საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ავთანდილ ასათიანი

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

დამტკიცებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2008

სახელმძღვანელოში განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების კონტექსტში, განხილულია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, უმაღლესი განათლება ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში, საგანმანათლებლო პროგრამა – კურიკულუმი, მისი აგების პინციპები და მეთოდიკა, სწავლების ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები, ცოდნის შემოწმება–შეფასება და საკრედიტო სისტემა. წიგნში ასევე წარმოდგენილია უმაღლეს სკოლებში განათლების მენეჯმენტის არსი, პრინციპები, მართვის ორგანოები, პერსონალი, ლიცენზირება–აკრედიტაცია, საფინანსო ეკონომიკური საქმიანობა და შრომის ბაზარი, ბოლონიის პროცესის სახელმღვანელო პრინციპები და ქართული საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის შესაძლებლობები. სათანადო ადგილი ეთმობა აგრეთვე პედაგოგის ეთიკას, უმაღლესი სასწავლებლის აღმზრდელობით პრობლემებს და კურსთამთავრებულთა სოციალიზაციის საკითხებს. ნაშრომს ერთვის ტერმინთა განმარტებები.

სახელმძღვანელო განკუთვნილია მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის, ვინც მომავალი საქმიანობის ასპარეზად უმაღლეს სასწავლებელში პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობა აირჩია. წიგნში განხილულმა საკითხებმა შეიძლება ასევე იმ პრაქტიკოს მენეჯერთა დაინტერესებაც გამოიწვიოს, რომლებიც ადამიანური რესურსების სწავლების პრობლემებით არიან დაკავებულნი. წიგნი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს აგრეთვე უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებით დაინტერესებულ მუშაკებს, განსაკუთრებით – დამწყებ აკადემიურ პერსონალს.

<u>რედაქტორი:</u> ***თამაზ კარანაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.***

<u>რეცენზენტები:</u>

დავით მალაზონია, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორი;

ლია მენთეშაშვილი, ***თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის პროფესორი.***

© ავთანდილ ასათიანი, 2008

© საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2008

ISBN 978-9941-14-039-6

შესავალი

ქართველი განმანათლებლები და საზოგადო მოღვაწეები ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყოველ ეტაპზე განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ევროპული განათლებისა და მეცნიერების მიმართ. თუმცა, ეს კეთილშობილი იდეა გასაგები მიზეზების გამო, მეტწილად მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. სახელმწიფოებრიობის მოშლის პირობებშიც არ შეწყვეტილა წინაპართა რუდუნებით არჩეული გზის ერთგულება, რაც ყველაზე კარგად ჩამოაყალიბა და სამოქმედო პროგრამად დაგვიტოვა ეროვნული აზროვნების უპირველესმა მესიტყვემ ილია ჭავჭავაძემ: *„ყმაწვილ–კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნით ცოდნითა. უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება. წინ გაუმძღვაროს გამოცდილება და ამ თოფ–იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. აი საგანი, აი გზაც მისდა მისაღწევად. აი რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ–კაცობა მთელს ევროპის მეცნიერების ფარ-ხმალით შეჭურვილი, ამაზე უკეთეს საგანს, ამაზე უკეთეს გზას უკვე სხვაგან გამოცდილსა და გამოყენებულს, სხვას ვერას ვურჩევთ ჩვენს საიმედო ყმაწვილ–კაცობას. ეს საგანი და ეს გზა სახეში უნდა გვქონდეს სულ მუდამ, ვიდრე ესთენი დრონი მეფობენ”* (42, 228-229).

ამჟამად საქართველოს ევროატლანტიკურ საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესები, სხვა სახელწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების კვალდაკვალ, განათლების სისტემის ევროპულ განათლებასთან დაახლოებასაც გულისხმობს. ხოლო, თავად *ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების საბოლოო მიზანი ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ენობრივი ნაირფეროვნების დაცვაა, რაც მისი მრავალფეროვანი ტრადიციების მემკვიდრეობაზეა დაფუძნებული და, ასევე, ევროპის ინოვაციური და სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ხელშეწყობაა, ევროპის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის მზარდი თანამშრომლობის მეშვეობით”* (34, 72-73).

სწორედ ამ ჭრილში მოიაზრება საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, რომელთაც

აშკარად გამოკვეთილი ევროპული ორიენტირები გააჩნიათ. სწორედ აღნიშნულის ყველაზე აშკარა და ამავე დროს კონკრეტულ გამოხატულებად იქცა ცივილიზებულ სამყაროში საყოველთაოდ აღიარებული ლიბერალური ღირებულებების პატივისცემა და მისგან გამომდინარე ჩვენს უნივერსიტეტებში ისეთი პრინციპების დამკვიდრება, როგორიცაა: აკადემიური თავისუფლება, სინდისის თავისუფლება და არჩევანის თავისუფლება.

მას შემდეგ, როცა საქართველომ აღიარა უნივერსიტეტების დიდი ქარტია და შეუერთდა ბოლონიის პროცესის შემაჯამებელ დოკუმენტებს, ჩვენი უმაღლესი განათლების სისტემა კიდევ უფრო დაუხლოვდა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს.

უმაღლესი განათლების პრობლემების მეცნიერულ ნიადაგზე გადაწყვეტა თანამედროვეობის უმთავრესი ამოცანაა. ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების მშენებლობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ უმაღლეს განათლებას აკისრია, ამიტომ მისი რეალიზაცია განათლების და მეცნიერების გარეშე წარმოუდგენელია.

უმაღლესი სკოლის მუშაობის მეცნიერული დასაბუთების საჭიროებამ გასულ საუკუნეში იჩინა თავი, როცა უმაღლესმა განათლებამ მასობრივი ხასიათი შეიძინა. ამ მიმართულებით როგორც უცხოეთში, ისე ყოფილ საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც დაიწყო გარკვეული მუშაობა. 1981 წელს გამოიცა ქართველ მეცნიერთა ჯგუფის მიერ შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელო „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები", რომელშიც სათანადოდ აისახა პედაგოგიკური მეცნიერების იმდროინდელი მიღწევები, თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, ამ ნაშრომმაც განიცადა გაბატონებული იდეოლოგიის გავლენა. ამ მხრივ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 2001 წელს ბათუმის უნივერსიტეტის მიერ ა. გობრონიძისა და ი. ბიბილეიშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები", რომელშიც მხოლოდ სწავლების ორგანიზაციის ფორმები და აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებია განხილული. აღნიშნულ ნაშრომში, ობიექტური მიზეზების გამო, გათვალისწინებული არ არის უმაღლესი განათლების

რეფორმის პრობლემატიკა, რომელმაც ძირეულად შეცვალა განათლების პოლიტიკა და სტრატეგია.

უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე რეფორმის ამოცანებიდან გამომდინარე, ცვლილებები ძირეულად სხვა სიბრტყეზე აყენებს უნივერსიტეტების როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ისე სტუდენტების საქმიანობას. ახალი განზომილებით წარმოჩინდა უმაღლესი განათლების როლი და ადგილი საყოველთაო ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში, რამაც უმაღლესი განათლების თეორიული საფუძვლების ახლებური გააზრების აუცილებლობამდე მიგვიყვანა. ყველაზე დიდი ცვლილებები სწავლების თეორიას ანუ დიდაქტიკას შეეხო. განათლების თანამედროვე ამოცანებიდან გამომდინარე, რადიკალურად შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამები, პრაქტიკაში დაინერგა კრედიტების ტრანსფერების დაგროვების ევროპული სისტემა, რასაც ლოგიკურად მოჰყვა სწავლების ახალი ორგანიზაციული ფორმებისა და ტექნოლოგიების დამკვიდრება. ამასთან ერთად, ძირეული გარდაქმნები მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლების მართვის სისტემაშიც. ტოტალიტარული ეპოქისთვის დამახასიათებელი იდეოლოგიზებული მმართველობითი სტრუქტურების ნაცვლად, დღეს წარმატებით მკვიდრდება განათლების მენეჯმენტის მოქნილი და დემოკრატიული სისტემა, რომელსაც ასევე დიდი პოტენციალი აქვს, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლის წარმატებული საფინასო – ეკონომიკური საქმიანობისა და ლიბერალური ღირებულებების განვითარებისთვის.

სწორედ უმაღლესი სასწავლებლების რეფორმირების თვალსაწიერიდან შევეცადეთ გაგვეშუქებინა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საპროგრამო საკითხები, რომელთა უმრავლესობა აქამდე ყურადღების მიღმა რჩებოდა, ან იდეოლოგიური კონიუნქტურის გავლენას განიცდიდა. ამდენად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის სასწავლო კურსი ითვალისწინებს, როგორც ტრადიციული პედაგოგიკური მეცნიერების მონაპოვრებს, ასევე უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის განვითარების თანამედროვე მდგომარეობას და

წინამდებარე სასწავლო კურსის ფარგლებში ამკვიდრებს მთელ რიგ ახლებურ მიდგომებს.

სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა გვაფიქრებინა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის სისტემატური სასწავლო კურსის შექმნა, რისკენაც ასევე გვიბიძგა უმაღლესი სკოლაში მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძვნების საჭიროებამ და იმ მასშტაბურმა რეფორმამ, რომელიც ამ სფეროში მიმდინარეობს არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპული განათლების სივრცეშიც.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების მშენებლობაში უმნიშვნელოვანეს როლს, სწორედ თანამედროვე მეცნიერების მიღწევების საფუძველზე მომუშავე უმაღლესი სასწავლებლები შეასრულებენ, რაშიც წამყვანი ადგილი უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას, მეთოდიკასა და განათლების მენეჯმენტს უჭირავს, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა გახდეს უმაღლესი განათლების სფეროს მუშაკების – აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მომზადებისა და გადამზადების საფუძველი.

წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც სრულად პასუხობს მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის გათვალისწინებულ სასწავლო პროგრამასა და სილაბუსს, ამ ტიპის ნაშრომის შექმნის პირველი ცდაა, ამიტომ იგი ხარვეზებისგან დაზღვეული ვერ იქნება. სახელმძღვანელოს გამოცემამდე გაეცნო აკადემიკოსი ნათელა ვასაძე და საყურადღებო წინადადებები მოგვაწოდა, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ მას. ჩვენ ასევე, მადლიერებით მივიღებთ და შემდგომ გამოცემაში გავითვალისწინებთ ყველა საფუძვლიან შენიშვნასა და წინადადებას.

პირველი ნაწილი:
უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები და თანამედროვე საგანმანათლებლო სტრატეგია

I თავი: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები

1.1. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საგანი, ამოცანები და სტრუქტურა

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად სწავლებისა და განათლების სფეროში უდიდესი ცოდნა დაგროვდა. მომავალი თაობის აღზრდა – განვითარება ადამიანის საარსებო პირობათა შორის ყოველთვის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო. ამიტომ იმსახურებდა იგი მოსახლეობის განსაკუთრებულ ინტერესს. სწორედ ამ ყურადღებისა და კაცობრიობის წიგნიერი განვითარების საწყის ეტაპზე, მოზარდის მიმართ მზრუნველობას, სასწავლებელში მის ტარებას და მეურვეობას სპეციალურად გამოყოფილი პირი – პედაგოგი (პედონომი) წარმართავდა. სწორედ აქედან იღებს სათავეს ტერმინი „პედაგოგიკა", რომელიც ბერძნული სიტყვაა და ქართულად ბავშვის ტარებას ნიშნავს. ხანგძლივი დროის შემდეგ, პედონომის ანუ პედაგოგის პირველადი მოვალეობა – ბავშვის ტარება, იმდენად გაფართოვდა, რომ მის მთავარ მოვალეობად, ბავშვის აღზრდისა და სწავლების საქმე იქცა. აქედან გამომდინარე, მის მიერ შესრულებული საქმიანობა, პედონომიური შინაარსის მომცველი გახდა, ხოლო ამ სფეროში დაგროვილი მეცნიერული ცოდნის გამომხატველ ტერმინად პედაგოგიკა იქცა.

ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ იზრდებოდა ცოდნის მოცულობა და შესაბამისად მისი შესწავლის აუცილებლობაც. მარტივი შრომის იარაღების დამზადებიდან ადამიანი წიგნიერი განათლების პირისპირ აღმოჩნდა, რამაც გზადაგზა მასობრივი ხასიათი შეიძინა. წერა–კითხვის მცოდნეობაში გადამწყვეტი სიტყვა სწორედ პედონომებმა თქვეს. თუ ელემენტარულ სკოლებში მოსახლეობის ფართო

ფენები სწავლობდნენ, უმაღლეს სასწავლებლებში (პლატონის აკადემიიდან ბოლონიის უნივერსიტეტამდე), მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ახალგაზრდები ეუფლებოდნენ განათლებას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად აქტუალური გახდა სასკოლო აღზრდა–განათლების პრობლემების სისტემატური დამუშავება–სრულყოფა, რაც მეცნიერული პედაგოგიკის ჩამოყალიბების წინაპირობად იქცა, ხოლო უმაღლესი განათლების პრობლემების მიმართ მეცნიერული ინტერესი მხოლოდ XX საუკუნეში გაიზარდა. ფაქტიურად, მანამდე მეცნიერების ინტერესის სფერო შემოიფარგლებოდა აღზრდა–განათლების პრობლემებით დაწყებითი და საშუალო განათლების დონეზე, რადგან მას მასობრივი ხასიათი ჰქონდა, ხოლო უმაღლესმა განათლებამ ვერ მიიქცია პედაგოგიური მეცნიერების ყურადღება მანამ, ვიდრე მანაც მასობრივი ხასიათი არ შეიძინა.

უმაღლესი სკოლის განვითარებამ სრულად გაიზიარა ის კანონზომიერება, რაც სასკოლო განათლებამ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მეცნიერული პედაგოგიკის ჩამოყალიბებას, რომელიც იან ამოს კომენსკის (1592 – 1670) სახელს უკავშირდება, წინ უძღოდა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, ხოლო უმაღლესი განათლების პრობლემების მეცნიერულ დამუშავებას და შესაბამისი მეცნიერული დარგის ფორმირებას საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების უნივერსიტეტებიდან დაწყებული და თანამედროვე უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები.

ახალი მეცნიერული დარგის ჩამოყალიბება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ამის ობიექტური საჭიროებაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი საგნის არსებობაში გამოიხატება. რაკი არსებობს საგანი ანუ უმაღლესი განათლების სისტემა, რომელიც ზოგადადი პედაგოგიკის ინტერესებში შედის, ხოლო უფრო კონკრეტულად, მის წიაღში აღმოცენებული ნაწილის – უმაღლესი სკოლის პედაგოგის საგანს, სწორედ უმაღლესი განათლება წარმოადგენს.

უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების მეცნიერული შესწავლის აუცილობლობა განაპირობა არა მარტო უმაღლესი განათლების მასობრივმა ხასიათმა, არამედ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში

უმაღლესი განათლების წინაშე მდგარი პრობლემების მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებამ.

თუკი თანამედროვე განმარტებით, ზოგადი პედაგოგიკა არის მეცნიერება მოზარდი თაობის (ადამიანის) აღზრდის, განათლების, სწავლებისა და განვითარების შესახებ და მისი ძირითადი ცნებებია: აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარება, უმაღლეს სკოლასთან მიმართებაში აღნიშნული ტერმინის მექანიკურად გადმოტანა მიუღებელია, რადგან უმაღლესი განათლება მნიშვნელოვნად განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისაგან. ამიტომ, მეცნიერულმა მიმართულებამ თუ დარგმა სრულად უნდა გამოხატოს ის თავისებურებები, რაც უმაღლეს განათლებას არა მარტო განასხვავებს ქვემდგომი საფეხურის განათლების საფეხურებისგან, არამედ წარმოადგენს უმაღლესი განათლების საგანს და განსაზღვრავს მის ამოცანებს.

სწორედ ასეთ მიმართულებას, დარგს წარმოადგენს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, რომელიც პედაგოგიკის ერთ-ერთი მიმართულებაა და ძირითადად ზოგადი პედაგოგიკის კანონზომიერებებს ექვემდებარება, რადგან ამ მეცნიერული მიმართულების დიფერენციაციის შედეგად ჩამოყალიბდა, თუმცა, ამჟამად მას, პედაგოგიკის ფარგლებში, სრულად გამოხატული საგანი, ამოცანები და კვლევის პრობლემატიკა აქვს. აქედან გამომდინარე, მისი ზოგადი დეფინიცია ასეთ სახეს მიიღებს:

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა არის პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ერთ–ერთი ნაწილი, რომელიც სწავლობს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო – საგანმანათლებლო, სტუდენტთა სოციალიზაციის და მათი პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების პრობლემებს, იკვლევს უმაღლეს სასწავლებლებში ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების გზებს, საშუალებებს და ამის საფუძველზე აყალიბებებს მეცნიერულ დასკვნებსა და მეთოდურ რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესების სრულყოფა–განვითარების მიზნით.

როგორც ითქვა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას აქვს მკაფიოდ გამოხატული კვლევა–ძიების საგანი და სპეციფიკური მიზან–ამოცანები, რაც მისი არსებობის საფუძველია.

ზოგადად უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საგანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი უმაღლეს სკოლაში, რომელიც მოიცავს განათლების, სწავლება/სწავლისა და სტუდენტთა სოციალიზაციის პრობლემებს, აგრეთვე უმაღლესი განათლების ამოცანების ფორმირებისა და რეალიზაციის კანონზომირებებს. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ამოცანებიც სტუდენტთა პროფესიული მომზადების, აღზრდის, განათლებისა და მათი ჰარმონიული განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება. იგი ამ მიზანთა მიღწევაში აქტიურად იყენებს ზოგადი პედაგოგიკის კანონებს და კანოზომიერებებს. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ინტერესებში შედის უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პედაგოგიური კადრები, ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია, სწავლების ორგანიზაციული ფორმები, კავშირი საზოგადოებრივ მოვლენებთან, სწავლების ახალი ტექნოლოგიები, უმაღლესი სკოლის სტრუქტურა, განათლების მენეჯმენტი და სხვ.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა იკვლევს სტუდენტთა აღზრდა-განათლების და სწავლების კანონზომიერებებს, მათი ანალიზის შედეგად შესაძლებელს ხდის ისეთი გზების, საშუალებების და მეთოდების შერჩევას, რომლებიც მეცნიერ-პედაგოგებს ხელს უწყობენ უმაღლესი სკოლის წინაშე არსებული პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტაში. თუმცა, უნივერსალური შტამპი პედაგოგიურ საქმიანობაში არ არსებობს, ამიტომ რომელიმე საშუალების გამოყენების ეფექტურობა პროფესორ-მასწავლებელთა პირად უნარზე, მის ცოდნა-გამოცდილებაზე, პედაგოგიურ ტაქტზე, ნიჭზე, სწავლის მოტივაციაზე და აკადემიურ ჯგუფში არსებულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზეა დამოკიდებული.

როგორც ცნობილია, პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის, განათლების, სწავლებისა და განვითარების შესახებ. ასეთი დეფინიცია მისაღებია ზოგადი პედაგოგიკისთვის, ხოლო, როდესაც უმაღლეს განათლებაზე ვმსჯელობთ, ტერმინი „პედაგოგიკა” ადეკვატური არ არის იმ პროცესებისა, რაც უმაღლეს სკოლაში მიმდინარეობს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მხოლოდ იმის აღნიშვნაც იკმარებდა, რომ უმაღლესი სასწავლებლის მთავრი საქმიანობა საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესებით გამოიხატება,

რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებრივი სასკოლო საქმიანობისგან, სადაც მოზარდის აღზრდა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ამიტომ, კლასიკური გაგებით, პედაგოგიკა მხოლოდ სკოლაზეა ორიენტირებული და ამ ტერმინის წინ განსაზღვრებად გამოყენებული სიტყვები „უმაღლესი სკოლა" არსებითად სხვა დატვირთვას აძლევს მას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლეს სკოლასთან მიმართებაში, მართებულად დამკვიდრდა ტერმინი „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა", რომელიც ზუსტად შეესაბამება უმაღლეს სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების მართვას. თუმცა დასავლურ საგანმანათლებლო სისტემებში, განსაკუთრებით აშშ–ში, განათლების თეორიასაც იყენებენ.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა ინტერესდება სტუდენტთა ფსიქო - ფიზიკური და ანატომიურ - ფიზიოლოგიური თავისებურებების, სოციალური სიმწიფის, სასწავლო-საწარმოო და შემეცნებითი ინტერესების შესწავლითა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებით, მათი პროფესიული დაოსტატებისა და სოციალიზაციის პრობლემებით.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა დაინტერესებულია საზოგადოებრივი მოვლენების განვითარების ტენდენციათა შესწავლით, სწორედ მათ კვალდაკვალ მიმდინარეობს სტუდენტთა პროფესიული მომზადება და მოქალაქეობრივი ფორმირება. რაკი უმაღლესი სკოლა საზოგადოების შეკვეთას ასრულებს, მისი განვითარების ძირეული საკითხების ცოდნას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებით აქტუალურია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისათვის თანამედროვე მეცნიერების და ახალი ტექნოლოგიების მოთხოვნების ცოდნა და მათზე დროული რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში უმაღლესი სკოლა ჩამორჩება მეცნიერების განვითარებას და საერთოდ ცხოვრებას.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ამოცანათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღმზრდელობით მუშაობას ანუ პიროვნების სოციალიზაციას. როგორც ცნობილია, სტუდენტური ასაკში ჯერ კიდევ არ არის დასრულებული პიროვნების ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ფორმირება, ამიტომ სწორედ ამ პერიოდს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა

ჰარმონიულად განვითარებული მოქალაქის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა შეისწავლის ამ ასაკობრივი და სოციალური მდგომარეობის ახალგაზრდობის ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ მონაცემებს და მათ საფუძველზე შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალგზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების თეორიის დაუფლება, უმაღლესი სკოლის პრაქტიკულ-პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-გათვალისწინება ისევე აუცილებელია ყველა საგნის პროფესორ-მასწავლებლისათვის, როგორც თავისი მაპროფილებელი საგნის ცოდნა ნებისმიერი რანგის სპეციალისტისათვის. სასწავლო - აღმზრდელობითი დაწესებულების რომელ საფეხურზეც არ უნდა მოღვაწეობდეს: „მასწავლებელი უთეორიოდ,–როგორც ამის თაობაზე კ. უშინსკი წერდა,–იგივეა, რაც ექიმბაში მედიცინაში". ამდენად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ცოდნას მრავალი სიკეთის მოტანა შეუძლია, ხოლო მისი უცოდინარობით გზას ვიჭრით არა მარტო პედაგოგიური საქმინობისკენ, არამედ მრავალ საინტერესო პერსპექტივაზეც უარს ვამბობთ.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკამ, განვლილი ათწლეულების განმავლობაში აქტიურად დაიმკვიდრა ადგილი წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების და დოქტორანტთა მომზადების სასწავლო გეგმებში, ხოლო უკანასკნელ პერიოდში, იგი შემოღებულ იქნა მაგისტრატურებშიც, როგორც მომავალი ლექტორის, მეცნიერ-მუშაკის, პროფესიული და პედაგოგიური უნარ-თვისებების გამომუშავებისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბების აპრობირებული საშუალება.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა მოწოდებულია გაარკვიოს უნივერსიტეტებში სწავლების ფორმების სტრუქტურა, შინაარსი და მათი განვითარების დიალექტიკა, გამოავლინოს მისი კანონზომიერებანი, დაასაბუთოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პრინციპები, რაციონალური მეთოდები და ორგანიზაციული ფორმები, განსაზღვროს იმ მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა ნომენკლატურა, რომელთა გამოყენება უმაღლეს სკოლაში

აუცილებელია მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე განვითარების პირობებში.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, როგორც სოციალური დისციპლინა, მოწოდებულია საზოგადოებრივი მოვლენებისა და სპეციალისტებზე მოთხოვნილებების ცვალებადობასთან დაკავშირებით შეიმუშავოს რეკომენდაციები სწავლების შინაარსში, პრინციპებსა და მეთოდებში, აუცილებელი ცვლილებების შესატანად უნივერსიტეტში არსებული სპეციალობების გათვალისწინებით.

უმაღლესი სასწავლებლისათვის უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საჭიროებას დიდი მტკიცებულება არ სჭირდება, რადგან არსებობს დარგი ანუ საგანი, მისი შემსწავლელი მეცნიერებაც უნდა არსებობდეს. მაგრამ აქვე ლოგიკურად იბადება კითხვა: რამდენად საჭიროა ასეთი მეცნიერება არაპედაგოგიკურ საქმიანობაში? ამის პასუხად წარმოვადგენთ რამდენიმე მოსაზრებას:

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში და პროფესიულ საქმიანობაში იძულებულნი ვართ პედაგოგის როლი შევასრულოთ. ხშირად წარმოებაში თუ ოფისში ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდებით, როცა თანამშრომლისთვის მითითების მიცემა გვიწევს. ჩვენ ამას მიმბაძველობის საფუძველზე ვაკეთებთ, უპირველესად ვბაძავთ მშობლებსა და მასწავლებლებს, მაგრამ ასეთი მიბაძვა, ხშირად პატარა ბავშვების მიერ „სკოლობანას" მიამიტურ თამაშს ემსგავსება. ამის თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია მივმართოთ მეცნიერებაში კარგად აპრობირებულ მეთოდებსა და ხერხებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ეფექტური სწავლება. ასეთ ასპარეზს სწორედ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა იძლევა.

ინდივიდის კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე, ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად შეგვიძლია „ვისწავლოთ სწავლა" მთელი ცხოვრების მანძილზე, აქტიურად გამოვიყენოთ ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული საშუალებები. აქაც თავის სიტყვას აღნიშნული მეცნიერება ამბობს. გარდა ამისა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის შესწავლა ხელს შეუწყობს უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულის ზოგადი ერუდიციის

ჩამოყალიბებას და ინტელექტუალური ჰორიზონტის გაფართოებას.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კურსის დევიზი უნდა იყოს შხედულება: „ისწავლე სწავლა და ასწავლე", რომელიც სრულად გამოხატავს მოცემული სასწავლო დისციპლინის შინაარსს და დანიშნულებას. ამ პრინციპის რეალიზაცია საშუალებას მისცემს სტუდენტებსა და მომავალ მაგისტრებს არა მარტო რაციონალურად განეწყონ უწყვეტი განათლების სისტემისადმი, არამედ შეიძინონ ცოდნა სწორედ იმ დისციპლინაში, რომელიც ხელს შეუწყობს წარმატებულ კარიერას, იმის მიუხედავად, თუ რა სპეციალობას ეუფლებიან ისინი. ეს უკანასკნელი კი წარმატებული სასწავლო პროცესის მთავარი საფუძველი უნდა გახდეს.

უმაღლესი პროფესიული სკოლის განათლების თეორიის შესწავლა ნაყოფიერ საფუძველს ქმნის ეფექტური პროფესიული საქმიანობისათვის. სასწავლო კურსში წარმოდგენილი მასალის წარმატებით დაუფლება საშუალებას იძლევა, კარგად დავგეგმოთ და წარვმართოთ სასწავლო პროცესი არა მარტო უმაღლეს სკოლაში, არამედ კომპანიაში (ან საწარმოში) და როგორც პედაგოგ-მენეჯერმა, მის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ.

თუ უფრო დავაკონკრეტებთ მოსალოდნელ შედეგებს, შეიძლება ითქვას, რომ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის და განათლების მენეჯმენტის შესწავლა საშუალებას მოგვცემს ვიცოდეთ და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოვიყენოთ წინამდებარე სასწავლო კურსში წარმოდგენილი საკითხები, რომელიც სრტუქტურულად სამი ნაწილისგან შედგება: *უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა და უმაღლესი სკოლის მენეჯმენტი:* პირველ ნაწილი – „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები" მოიცავს: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საგანს, ამოცანებს, სტრუქტურას, ძირითად ცნებებს, წყაროებს, მეცნიერული კვლევის მეთოდებს, განათლების მეცნიერებათა სისტემას, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებებათა ურთიერთკავშირს, განათლების ფილოსოფიასა და სწავლების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, განათლების ფსიქოლოგიის საკითხებს, განათლების როლს

საზოგადოებაში, განათლებას გლობალიზაციის პირობებში, საინფორმაციო – საგანმანათლებლო სივრცეს და ღია საგანმანათლებლო სისტემას.

მეორე ნაწილი ითვალისწინებს უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის ისეთი საკითხების შესწავლას, როგორიცაა დიდაქტიკის საგანი და ამოცანები, ძირითადი ცნებები, საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლების ზოგადდიდაქტიკური პრინციპები, განათლების მიზანი და შინაარსი უმაღლეს სკოლაში, საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო დისციპლინის სილაბუსი, სახელმძღვანელოები და დამხმარე მეთოდური მასალები უმაღლეს სკოლაში, საკრედიტო სისტემა უმაღლეს სკოლაში, სწავლების ორგანიზაციული ფორმები, სწავლების ტექნოლოგიები, სწავლების მეთოდები და სასწავლო მენეჯმენტი, პორტფოლიოს მეთოდი და ცოდნის შემოწმება-შეფასება.

მესამე ნაწილში „განათლების მენეჯმენტი უმაღლეს სკოლაში" განხილულია უმაღლესი სასწავლებლის მართვისა და განათლების პროცესების სამართლებრივი რეგულირების ისეთი საკითხები, როგორიცაა: უმაღლესი სკოლის სტრუქტურა, პერსონალი, არჩევითი ორგანოები და მართვის პრინციპები, უმაღლესი სასწავლებლების ლიცენზირება და აკრედიტაცია, უმაღლესი სასწავლებლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა და შრომის ბაზარი, პედაგოგიკა მენეჯერულ საქმიანობაში, საგანმანათლებლო პროცესის თავისებურებები უმაღლეს სკოლაში, პედაგოგიური ურთიერთობის სტილი და მენეჯმენტი, განათლების ხარისხის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები.

კითხვები და დავალებები:

1. რას ნიშნავს ტერმინი „პედაგოგიკა" და საიდან იღებს სათავეს მისი ეტიმოლოგია ?
2. სასკოლო პედაგოგიკისგან განსხვავებით, რამ განაპირობა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის გვიან ჩამოყალიბება ?
3. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის არსი და მისი ადგილი პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში.

4. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საგანი და ამოცანები.
5. რა საკითხებს ითვალისწინებს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის სასწავლო კურსი ?

1.2. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი ცნებები

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში, ზოგადი პედაგოგიკის მსგავსად, ძირითად ცნებებს, რომლებიც მეცნიერულ განზოგადებებს წარმოადგენენ, კატეგორიები ეწოდება. ასეთი ცნებები მეტნაკლებად სრულყოფილად გამოხატავენ მოცემული მეცნიერული მიმართულების არსს, მის მდგრადობასა და ტიპურ შემადგენლობას. ნებისმიერ მეცნიერებაში კატეგორია წამყვან როლს ასრულებს, იგი მთელ მეცნიერულ ცოდნას მსჭვალავს და აკავშირებს მას ერთიან სისტემასთან. ბევრი ფიქრი არ არის საჭირო იმისათვის, რომ ნებისმიერი მეცნიერებიდან, დავასახელოთ კატეგორიები იმის მიუხედავად, საბუნებისმეტყველოა იგი თუ სოციალურ–ჰუმანიტარული. მაგალითად, ფიზიკაში ეს იქნება მასა და ძალა, ხოლო ეკონომიკაში კატეგორიებად ითვლება ღირებულება, ფული და სხვა.

ძირითად კატეგორიებს ანუ ცნებებს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში მიეკუთვნება განათლება, სწავლება და სოციალიზაცია. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

განათლება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვა „განათლება” ერთ-ერთი მნიშვნელობით ცოდნის შეძენას, ხოლო განათლებული ნასწავლს ნიშნავს, ამასთან რელიგიური დატვირთვით იგი ცხონებასაც, ნათლით შემოსვასაც აღნიშნავს. ამ სიტყვის ძირი „ნათელი” შ. რუსთაველის განმარტებით, ბნელის ანტონიმია, აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა კაცმა ცოდნამიღებული ადამიანი სამყაროს ნათელს დაუკავშირა, რაც საფუძვლიან სემანტიკურ გააზრებას მოითხოვს. თუმცა სულხან–საბა ორბელიანის ლექსიკონში განათლება არ გვხდება.

აღნიშნული ტერმინი პედაგოგიურ მიმოქცევაში დიდი ხანია დამკვიდრდა და იგი ცოდნის დაუფლების პროცესს, ან იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს გულისხმობს, რომელსაც ადამიანი ფლობს. ამდენად, განათლება სწავლასაც ნიშნავს ან სწავლით მიღებულ ცოდნას.

ცნობილია, რომ სიტყვა განათლება, როგორც გამართული პედაგოგიკური ტერმინი, სწავლების თეორიის ფუძემდებელმა იოჰან ჰენრიხ პესტალოცმა შემოიტანა 1780 წელს. იგი ამავე მნიშვნელობით რუსულ ენაში პირველად გამოიყენა ნ. ი. ნოვიკოვმა, ხოლო ქართულად ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით ფართოდ გამოიყენება XIX საუკუნის 60–იანი წლებიდან.

XX საუკუნის 50–იან წლებამდე საბჭოთა პედაგოგიკაში „განათლება" განიხილებოდა, როგორც პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარისა და ჩვევების ერთობლიობა, ხოლო 60-იანი წლებიდან, როგორც ამ საქმიანობის პროცესი და შედეგი. ასეთივე მიდგომა დაფიქსირდა 1980 წელს იუნესკოს მე–20 გენერალურ კონფერენციაზე, რომ განათლება არის პიროვნების უნარების სრულყოფის პროცესი და შედეგი, რომლითაც იგი აღწევს ინდივიდუალურ ზრდას და სიმწიფეს. ამგვარად, თანამედროვე პირობებში სამეცნიერო - პედაგოგიურ და კანონშემოქმედებით სფეროებში დამკვიდრდა ისეთი ფორმულირება, რომელიც შეიცავს ორ ძირითად სიტყვას–პროცესს და შედეგს.

საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" არ იძლევა ამ ტერმინის განცალკევებულ დეფინიციას, მაგრამ მასში ჩამოყალიბებულია განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნები. ასეთებად კანონის თანახმად მიჩნეულია:

საქართველოში ამჟამად მოქმედებს სამი ტიპის განათლება: ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლება. თითოეული მათგანის განხორციელებისთვის შექმნილია შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებები. განათლების დაუფლება შესაძლებელია არაფორმალური ფორმით, ე. წ. თვითგანათლების გზითაც.

პედაგოგიური თვალსაზრისით, განათლება არის სწავლების, განვითარებისა და სოციალიზაციის სისტემა, რომელიც მიმართულია კაცობრიობის მიერ დაგროვილი ობიექტური გამოცდილების ასათვისებლად, განათლება აუცილებელია ინდივიდის მიერ არჩეულ საქმიანობაში და საზოგადოებრივ პრაქტიკაში წარმატებული მოღვაწეობისთვის, რომელიც საზოგადოებაში პიროვნების განვითარების და სოციალური სტატუსის ერთ-ერთ ფაქტორადაა მიჩნეული.

თანამედროვე პედაგოგიური მეცნიერება განათლებას, როგორც კატეგორიას, განიხილავს ისეთ ცნებად, რომლის ელემენტებსაც ფასეულობა, სისტემა, პროცესი და შედეგი წარმოადგენს. კლასიკურ დიდაქტიკაში განათლების შესახებ იგივე აზრია გატარებული, კერძოდ: განათლებას როგორც კატეგორიას აქვს 4 ასპექტი: ღირებულების, სისტემის, პროცესის და შედეგის ასპექტები. ღირებულება, როგორც განათლების კატეგორია ითვალისწინებს სამ ურთიერთდაკავშირებულ ბლოკს: განათლება როგორც ფასეულობა არის სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და პიროვნული. განათლება არის სწავლების დასახული მიზნისკენ მიმართული მოქმედების პროცესი, რომელსაც მასწავლებლისა და სტუდენტის სუბიექტურ-ობიექტური აქტივობა ახასიათებს. ბოლოს, განათლება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სახელმწიფო, საზოგადოებრივ და პიროვნულ შდეგებზე ორიენტირებულ ღირებულებათა სისტემა, რომელიც წარმოიშვა საგანმანათლებლო საქმიანობაში და მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროდუქციის მომხმარებლისთვის ეკონომიკური, მორალური და ინტელექტუალური თვალსაზრისით.

ამდენად, განათლების ცნებაში ნაგულისხმევი ელემენტები: ფასეულობა, სისტემა, პროცესი და შედეგი მთლიან კომპლექსს წარმოადგენს. აქედან პირველი – ფასეულობა, განათლების საზრისია. იგი ფაქტიურად განაპირობებს

დანარჩენი სამის არსებობას, რადგან ღირებულება, რომელიც განათლებას აქვს არის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომლის დასაუფლებლად იქმნება შესაბამისი სისტემა, რასაც მოსდევს საგანმანათლებლო პროცესი და ბოლოს მივდივართ შედეგამდე.

განათლების შედეგი თავის მხრივ შეიცავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: წიგნიერება, განათლებულობა, პროფესიული კომპეტენცია და მენტალობა.

თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის არა უბრალოდ წერა-კითხვის და ანგარიშის შესაძლებლობა, არამედ წიგნიერი ადამიანი, რომელიც მომზადებულია თავისი საგანმანათლებლო პოტენციალის გამდიდრებისა და შემდგომი ამაღლებისათვის. წიგნიერება უზრუნველყოფს პიროვნების სასტარტო მდგომარეობას, ხოლო განათლებულობა ისეთი წიგნიერებაა, რომელიც შეესატყვისება საზოგადოებრივ მოთხოვნებს და პიროვნული ინტერესების მაქსიმუმს.

პროფესიული კომპეტენცია უპირველესად განისაზღვრება პირადი პროფესიული განათლების დონით, ადამიანის ინდივიდუალური შესაძლებლობებით, გამოცდილებით და მოტივირებული სწრაფვით უწყვეტი თვითგანათლებისათვის, შრომისადმი შემოქმედებითი, პასუხიმგებლური დამოკიდებულებით.

მენტალიტეტი განათლების უმაღლესი ღირებულებაა და იერარქიულად მისი მიზანიც სოციუმში პიროვნების მენტალიტეტის ფორმირებაა (ინტელექტუალური ადაპტირებაა). იგი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ქცევის მსოფლმხედველობრივი საფუძველი, სულიერ-ზნეობრივი და კულტურული ღირებულებაა. გარკვეულ ინტერსს იწვევს განათლების კლასიფიკაციის და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1997 წელს, ამ ორგანიზაციის გენერალურ კონფერენციაზე ჩამოყალიბებული განათლების ცნების ინტერპრეტაცია, რომლის თანახმად, განათლება არის „კომუნიკაციის ორგანიზებული და მყარი (მტკიცე) პროცესი, რომლის საფუძველს სწავლება წარმოადგენს". შემდეგ ამავე დოკუმენტში განმარტებულია ამ დეფინიციის თითოეული სიტყვა, აი ისინიც:

კომუნიკაციის პროცესი – ორი ან მეტი პირის ურთიერქმედება, რომელიც მოიცავს ინფორმაციის გადაცემას (შეტყობინება, იდეა, სტრატეგია და სხვ.);

სწავლება – პიროვნების სულიერ და ინტელექტუალურ ფასეულობათა სისტემაში, უნარებში, ცოდნა-ინფორმაციის მოცულობაში და მათ გაგებაში ნებისმიერი ცვლილება (სწავლება განათლებად მაშინ ჩაითვლება, თუ იგი გეგმაზომიერ ხასიათს შეიძენს და არ დაიყვანება უბრალოდ ფიზიკურ ზრდაზე ან ზოგად სპეციალიზაციაზე);

ორგანიზებული – ამ შემთხვევაში გამოიყენება, როგორც გეგმაზომიერი და თანმიდევრული მოქმედების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული, რომელიც დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება;

განზრახვის სიმტკიცე ბევრად განაპირობებს, როგორც პროცესს, ისე შედეგს. აქ მხედველობაში მისაღებია პროცესის უწყვეტობა, ხანგძლივობა და მასში პიროვნების ნებისყოფა, რაც წმინდა ფსიქოლოგიური ფაქტორებია, თუმცა მათზე საბოლოოდ გადამწყვეტ გავლენას მაინც მოტივაცია ახდენს.

პედაგოგიკის მკვლევარები განათლებულობას განმარტავენ, როგორც აღზრდისა და სწავლების პროცესის შედეგს, რაც გულისხმობს პიროვნების უნარს, ინტელექტუალური და ქცევითი შესაძლებლობების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ განათლებულ ინდივიდს ადეკვატურად იმოქმედოს სხვადასხვა სიტუაციაში.

ზოგიერთი რუსი ავტორი (ე. გუსინსკი, ი. ტურჩანინოვი) განათლების ცნებაში გამოყოფს 3 ასპექტს, ესენია: განათლება პიროვნების საკუთრებაა, განათლება პიროვნების მიერ ქონების შეძენაა, განათლების სისტემა სოციალური ინსტიტუტია, რომელიც იმისათვისაა მოწოდებული, რომ მოქალაქეებს ქონების შეძენაში გაუწიოს ქმედითი დახმარება. მკვლევარ ბ. გერშუნსკის აზრით განათლებას 5 ასპექტი აქვს, თუმცა, ისინი არსებით გავლენას ვერ ახდენენ განათლების ცნების გაგებაზე. რადგან ყველა მათგანი დაკავშირებულია პიროვნების ფორმირებასთან, ინდივიდის მიერ სოციალური და კულტურული ღირებულებების შეთვისებასთან და გადაცემასთან, ამის მიუხედავად, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, მაინც არის შესაძლებელი განათლების არსებითი ასპექტების გამოყოფა, ესენია: სტუდენტებისა და

მასწავლებლების ერთობლივი საქმიანობა, რომელიც განათლების მიღებას ისახავს მიზნად; განათლება როგორც პროცესი და საგანმანათლებლო პროცესის შედეგები.

განათლებას ორგვარი გაგება აქვს–ერთ შემთხვევაში განათლებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებსაც ადამიანი ფლობს, სხვა შემთხვევაში განათლებაში შეიძლება ასევე იგულისხმებოდეს ცოდნის დაუფლების პროცესი. განათლება ადამიანის ზნეობრივი და ესთეტიკური ფორმირების, ე. ი. აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაც არის.

მეცნიერების განვითარების კვალობაზე, როგორც პედაგოგიკის სხვა კატეგორიები, განათლებაც არსებით ცვლილებებს განიცდის. ამის დასტურია განათლების სისტემაში ისეთი ფორმების დამკვიდრება, როგორიცაა დისტანციური სწავლება და ღია განათლების სისტემა. მათ შესახებ საგანგებო მსჯელობა წიგნის შესაბამის ნაწილში იქნება.

აქამდე, ჩვენთან გაბატონებული იყო შეხედულება, რომ სასკოლო განათლებას განმავითარებელი ფუნქცია ჰქონდა, ხოლო უმაღლესს, შემეცნებითი. ასეთი მიდგომა განათლების მიმართ მცდარი აღმოჩნდა. ჯერ ერთი, განმავითარებელი ფუნქცია აქვს არა მარტო სასკოლო სწავლებას, რამედ ზოგადად სწავლებას, მიუხედავად მისი საფეხურისა. მეორეს მხრივ, კვლევა და შემეცნება, რომელიც უმაღლესი განათლების სპეციფიკურ ფუნქციად იყო აღიარებული, განვითარების და სოციალიზაციის საფუძველია, ამდენად, სასკოლო და უმაღლესი განათლების გამიჯვნა განმავითარებელი და კვლევა–შემეცნებითობის ფუნქციების მიხედვით, სწორი არ არის.

სწავლება/სწავლა. პედაგოგიურ ლიტერატურაში სწავლების მრავალი განსაზღვრება – დეფინიცია არსებობს, უპირატესად ახლო წარსულში სწავლებას განმარტავდნენ, როგორც მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის გარკვეულ ცოდნა–ჩვევათა გადაცემისა და მოსწავლეთა მიერ ამ ცოდნა–ჩვევათა შეთვისების ორგანიზებულ ერთიან პროცესს (25. 13).

აღნიშნული დეფინიაცია უფრო გაღრმავებულია მოგვიანებით გამოცემულ სახელმძღვანელოში, რომლის

თანახმად, სწავლება რთული, ორმხრივი პროცესია: მასში ორი მხარე – პედაგოგი და მოსწავლე, მონაწილეობს. პედაგოგი ცოდნას აწვდის მოსწავლეს, ის კი ითვისებს მას. ე. ი. ორივე მხარე აქტიურია, ორივე საქმიანობს. მასწავლებლის საქმიანობას სწავლების პროცესში გადაცემა ეწოდება, მოსწავლისას კი – სწავლა. მაშასადამე, – მიუთითებს ავტორი, სწავლება ორი უფრო მარტივი პროცესის – გადაცემისა და სწავლის ერთიანობას წარმოადგენს (20. 11). განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს აკად. ნ. ვასაძე, რომელსაც მიაჩნია, რომ სასწავლო პროცესის ღერძი „მასწავლებელი–მოსწავლე" არ შეიძლება დაყვანილ იქნეს მხოლოდ „გადაცემა–მიღებაზე", – მისი აზრით, სწავლება არის ის ურთიერთობა, რომლის დროსაც ხორციელდება მართვადი შემეცნება (16. 260-261). თუმცა, შემეცნება და სწავლება კიდეც ემსგავსებიან და კიდეც განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

სწავლა არის პროცესი უკვე შემეცნებულის, პრაქტიკაში დადასტურებულის გაგებისა და შეთვისებისა. ესაა ერთი არსებითი თავისებურება და განსხვავება სწავლისა შემეცნებისაგან. სწავლის მეორე თავისებურება და განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ თუ შემეცნების პროცესი მუდმივი ძიების პროცესია, სამაგიეროდ, სწავლა შემოიფარგლება იმ ძირითადი საფუძვლების შეთვისებით, რომელიც ამა თუ იმ დარგში მეცნიერებას მოუპოვებია და რომლებიც ამავე დროს, შეეფარდება მოსწავლის განვითარების გარკვეულ დონეს (ასაკობრივს, ინტელექტუალურს). მესამე თავისებურებად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ სწავლა, როგორც მოსწავლის მიერ ცოდნა–ჩვევების დაუფლების გეგმაშეწონილი, ორგანიზებული პროცესი, აუცილებლად მოითხოვს მასწავლებელს. ამდენად, სწავლება არის მოსწავლის აქტივობის გამოწვევა მასწავლებლის მიერ, რაც მეცნიერული შემეცნების პროცესისათვის არ არის აუცილებელი. მიუხედავად აღნიშნული განსხვავებებისა, შემეცნება და მისი კანონზომიერება განსაზღვრავს სწავლებას და მის კანონზომიერებას, სწავლების პროცესის კანონზომიერება დაფუძნებულია შემეცნების პროცესის კანონზომიერებაზე, ხოლო სწავლების თეორია – შემეცნების თეორიაზე.

ფსიქოლოგიურად სწავლა ქცევის ფორმაა, თუმცა იგი არ შეიძლება დავიყვანოთ ცალკეული ფსიქიკური ფუნქციების უბრალო ჯამზე. სწავლა იმიტომ უნდა ჩაითვალოს ქცევის დამოუკიდებელ ფორმად, რომ მას თავისი სპეციფიკური საგანი და მიზანი აქვს. განსაკუთრებით კი ეს საგანმანათლებლო სწავლის შესახებ უნდა ითქვას. ასეთი სწავლების ამოცანების განხილვამ, ფსიქოლოგები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ იგი გამოცდილების შეგეგად ვერ შეიძინება. ამისათვის სპეციალური მიზნისა და ამოცანების მქონე აქტივობაა აუცილებელი, აქტივობა, რომლის ამოცანა თვით ცოდნის დაუფლებაა.

საგანმანათლებლო სწავლა იმით განსხვავდება გამოცდილებისაგან, რომ იგი ცოდნის მიღებაა შემეცნების გზით. შემეცნება კი არსებითის, ზოგადის წვდომაა. ეს იმას ნიშნავს, რომ შემეცნების გზით სწავლის შემთხვევაში, სწავლის საგანი სუბიექტისათვის ცნობიერად უნდა იყოს მოცემული, როგორც შემეცნების საგანი. საგანმანათლებლო სწავლის შემთხვევაში (არსებითად ნამდვილი სწავლის შემთხვევაში) შესასწავლი საგნის გაცნობიერება ხდება. გამოცდილების მიღების შემთხვევაში კი ეს ასე არ არის. ამიტომ სწავლის პროცესის ბუნებაც სხვაა და შედეგიც განსხვავებული.

ცოდნის მიღების, ჩვევებისა და უნარების განვითარების ყოველგვარი პროცესი არ არის სწავლა. ცნობილია, რომ თამაში, როგორც ქცევის ფორმა, ბავშვს აძლევს ცოდნას და ხელს უწყობს მისი ჩვევებისა და უნარების განვითარებას. მაგრამ თამაში სწავლა არ არის. იგი ამ შემთხვევაში არის სხვა მიზნის მქონე ქცევის თანმხლები ეფექტი. მიზანი კი თამაშია.

მოტივი განსაზღვრავს, თუ რა აზრი აქვს სუბიექტისათვის იმას, რაც ქცევის საგანია. სწავლის მოტივი ის საფუძველია, რომელიც განსაზღვრავს სუბიექტისათვის იმის აზრს, რასაც იგი სწავლის მეშვეობით აღწევს. ამდენად სწავლის ქცევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც აქტივობის დაუფლების მოტივი, თვით ამ აქტივობის დაუფლებაა (დ. უზნაძე).

საგანმანათლებლო სწავლა, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმა, იმით ხასიათდება, რომ ამ შემთხვევაში განათლების მიღების მოტივი თვითონ

განათლებაა. სწავლის, როგორც ქცევის დამოუკიდებელი ფორმის არსი, სწორედ სწავლის საგნის და მისი მოტივის ასეთი შესატყვისობაა.

სწავლის მოტივი შეიძლება იყოს გარეგანი და შინაგანი. გარეგანი მოტივი სათანადო ზემოქმედების შედეგად, შეიძლება შინაგან მოტივად გარდაიქმნას. მაგ., სტუდენტი იმისთვის სწავლობს, რომ ვინმეს ამით თავი მოაწონოს. ასეთ შემთხვევაში კარგად გააზრებულ პედაგოგიურ ზემოქმედებას შეუძლია ეს გარეგნული მოტივი გადაზარდოს შინაგან მოტივად და სწავლა თავისთავად გახდება სტუდენტის აქტივობის მოტივი.

აღნიშნულიდან ასეთი დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ, რომ სწავლის მოტივი და სწავლის მიზანი სწავლის, როგორც ქცევის, დამოუკიდებელი ფორმის ძირითადი მომენტებია. სწავლის ქცევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც სწავლის საგანი ობიექტივირებულია და მასშივეა სწავლის მოტივიც.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სწავლის მოტივიც და სწავლის ქცევაც ერთნაირად ვრცელდება განათლების ყველა, საფეხურზე, განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია. თუმცა, შესაძლებელია უფრო მეტი ცდომილება დაფიქსირდეს სწავლების კატეგორიასთან მიმართებით, ზოგადი და უმაღლესი განათლების შეპირისპირების შემთხვევაში.

როცა „სწავლებას" განვიხილავთ, როგორც კატეგორიას, აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ იგი თავის თავში მოიცავს ორ ცნებას: სწავლას და გადაცემას (სწავლებას). თავის მხრივ სწავლა სუბიექტის მიერ განხორციელებული დამოუკიდებელი ქცევაა, რომელიც ცოდნის დაუფლებისთვის ხდება, ხოლო გადაცემა (სწავლება) მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნის მიწოდებას ემსახურება. „სწავლების" კატეგორიის მეორე კომპონენტი – სწავლა, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს უმაღლეს სკოლაში და განსაკუთრებით მოზრდილთა განათლების სისტემაში, სადაც დამოუკიდებლობის ელემენტები გაცილებით მეტია, ვიდრე ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურზე.

სწავლებას, როგორც უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითად ცნებას, მცირეოდენი სახეცვლილებით განმარტავენ პედაგოგიკის სპეციალისტები (**ა. ანდრეევი**). ზოგიერთ მათგანს აქვე მოვუხმობთ, აი ისინიც:

- სწავლება არის პედაგოგიურად ორგანიზებული, მიზანმიმართული პროცესი, რომელიც ემსახურება სტუდენტთა (მსმენელთა) აქტიურ სასწავლო – შემეცნებით საქმიანობას: უნარ–ჩვევების, ცოდნის, აზროვნების განვითარებას, პიროვნული თვისებების და შემოქმედებითი შესაძლებლობების დაუფლებას, პროფესიული საქმიანობის განხორციელების მიზნით;
- სწავლება არის მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთდაკავშირებული საქმიანობის პროცესი, რომელიც პედაგოგიურ სისტემაშია მოქცეული;
- სწავლება ორმხრივი პროცესია, რომელშიც მონაწილეობენ მასწავლებელი და მოსწავლე, მათი გეგმაზომიერი და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად მიიღწევა პიროვნების განათლება, აღზრდა და განვითარება;
- სწავლება არის მასწავლებლის და სწავლის სუბიექტის ერთობლივი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ამ უკანასკნელის (სწავლის სუბიექტის) განვითარებას, მისთვის ცოდნის, უნარების, ჩვევების, მსოფლმხედველობრივი ელემენტების ფორმირებას, მომავალი პროფესიული ან სასწავლო საქმიანობისათვის.

აღნიშნული დეფინიციებიდან უფრო მისაღებად მიგვაჩნია ასეთი განსაზღვრება:

სწავლება უმაღლეს სკოლაში არის სტუდენტთა და პროფესორთა სპეციალურად ორგანიზებული, მიზანმიმართული, თანამშრომლობაზე დაფუძვნებული საქმიანობა, რომელიც ერთიან პედაგოგიურ სისტემაში მიმდინარეობს.

სოციალიზაცია. პიროვნების სოციალიზაციის წინაპირობას ზოგადი პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიები: აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარება წარმოადგენს.

ზოგადი პედაგოგიკიდან ცნობილია, რომ აღზრდა არის პედაგოგიურად ორგანიზებული, მიზანმიმართულ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ბავშვის პიროვნებად განვითარებას, სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებას ემსახურება. აღზრდა, არსებითად, არის უფროსი თაობის მიერ მოზარდი თაობისათვის იმ გამოცდილების გადაცემა, რაც

კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე დაუგროვებია მეცნიერების, ტექნიკის, შრომის იარაღების წარმოების, ზნეობის, სამართლის, ხელოვნების–მთელი კულტურის სფეროში. აღზრდას აქვს ორგვარი გაგება– ფართო და ვიწრო; ფართო აზრით ხმარებისას, მასში იგულისხმება მრავალმხრივი საკაცობრიო გამოცდილების, თაობათა შემოქმედების საუკეთესო შედეგების ათვისების მთლიანი პროცესი: ცოდნის დაუფლებაც (განათლება), ზნეობრივი წარმოდგენებისა და ქცევის ნორმების შეთვისებაც, ესთეტიკური გემოვნების და ფიზიკური კულტურის გამომუშავებაც. როცა ამბობენ, რომ აღზრდა პიროვნების განვითარების წამყვანი ფაქტორია, აქ იგი სწორედ ფართო აზრით იხმარება (შ. მალაზონია).

ვიწრო გაგებით კი აღზრდაში ვგულისხმობთ პედაგოგთა მიზანმიმართულ აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს, მოზარდის მსოფლმხედველობის ფორმირება, მისი ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარება.

განვითარების ცნება სხვა მეცნიერებებშიც გვხდება. ფილოსოფიაში მას ყველაზე ზოგადი, ყოვლისმომცველი აზრი აქვს. პედაგოგიკაში კი განვითარებაში ვგულისხმობთ ადამიანის ფორმირების, უსუსური ბავშვის უძლიერეს არსებად – პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესს, რომელსაც სამი უმთავრესი ფაქტორი: აღზრდა, გარემო და მემკვიდრეობა, განაპირობებს. როგორც ჩანს, განვითარება არ დაიყვანება აღზრდაზე, იგი მნიშვნელოვნად ფართო ცნებაა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, იგი აღზრდის, სწავლების და განათლების შედეგიც არის. საკუთრივ ადამიანის განვითარების პროცესს სამი ასპექტი აქვს, ესენია: ფიზიკური, სულიერი (ფსიქიკური) და სოციალური განვითარება. ამდენად, „განვითარება არის ადამიანის ფიზიკური, ფსიქიკური და სულიერი ძალების შინაგანი, თანმიმდევრული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლის ობიექტური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მისი ცხოვრების პოტენციალის, არსისა და დანიშნულების რეალიზაციას” (ნ. ვასაძე).

რადგან აღნიშნული ცნებების ანუ კატეგორიების ობიექტი მოზარდია, ასეთი დეფინიცია გამართლებულია, მაგრამ მათი მექანიკურად მისადაგება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისთვის

გაუმართლებელი იქნება, სწორედ იმის გამო, რომ აღზრდა ვიწრო გაგებით, მოზარდზეა ორიენტირებული და ამ მიმართებით დასახული მთავარი ამოცანები სასკოლო ასაკში უნდა გადაიჭრას. რაც შეეხება უმაღლეს სკოლას, იქ ფაქტიურად აღმზრდელობით მუშაობას სხვა დატვირთვა აქვს, რადგან სტუდენტურ ასაკში პიროვნებას სათანადოდ აქვს ჩამოყალიბებული ზნეობრივი ნორმები, ნებისყოფა, ხასიათი, ესთეტიკური გემოვნება და გამოკვეთილი აქვს რწმენაც. თუმცა, ეს თვისებები ჯერ კიდევ არ არის ადაპტირებული სოციუმთან.

ზოგადი განათლების ყველა საფეხური გარკვეულ როლს ასრულებს ადამიანის სოციალიზაციაში. დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლებიც გარკვეულწილად სოციალური ინსტიტუტებია, მაგრამ მათ შორის ბევრი რაოდენობრივი და თვისებრივი განსხვავებაა. ისეთი სოციალური ინსტიტუტი, როგორც სკოლაა, მოზარდის ასაკობრივი განვითარების კვალდაკვალ აზიარებს მოსწავლეებს საგანმანათლებლო–აღმზრდელობით ღირებულებებს. იგი ცხოვრებისათვის მომზადებასაც ემსახურება, მაგრამ ამ ამოცანის საბოლოოდ გადაჭრა სრულწლოვანებისას შეიძლება. ამიტომ საგანმანათლებლო ინსტიტუტებიდან პიროვნების სოციალიზაციაში განსაკუთრებულ როლს უმაღლესი სასწავლებელი ასრულებს. სწორედ იგი აზიარებს პიროვნებას ცოდნისა და სოციალურ ღირებულებათა სისტემას, რაც პიროვნების სოციალიზაციის საფუძველია.

მოზარდებთან მიმართებაში ხშირად გამოიყენებენ ისეთ შეფასებას, როგორიცაა მომწიფება, რომელსაც ორი განზომილება აქვს: სქესობრივი და სოციალური. სქესობრივი მომწიფება გაცილებით ადრე ხდება, ვიდრე სოციალური. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული, მართალია, სქესობრივად მოწიფებულია (უფრო ადრე, 12– 15 წლის ასაკშიც), მაგრამ იგი სოციალურად ჯერ კიდევ მოუმზადებელია, ამიტომ მისი სოციალური ადაპტაცია გრძელდება უმაღლეს სკოლაში ან სხვა სოციალურ ინსტიტუტში (პროფესიული სკოლა, შრომითი კოლექტივი, შეიარაღებული ძალები და სხვა).

სწორედ ზოგადი პედაგოგიკის კატეგორიები (აღზრდა, განათლება, სწავლება, განვითარება) მოქმედებენ მთელი

სისრულით სასკოლო ასაკში, ხოლო, რაც შეეხება უმაღლეს სკოლას, აქ განათლება და სწავლება კვლავ წამყვან კატეგორიებად გვევლინებიან, მაგრამ აღზრდას და განვითარებას უმაღლეს სკოლაში ისეთი გამოკვეთილი ხასიათი აღარ აქვს, როგორც ეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშია. მათ როლს უმაღლეს სკოლაში – სოციალიზაცია ასრულებს. თუმცა ეს იმგვარად არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოზარდის სოციალიზაციას ადგილი არ ჰქონდეს აღზრდა-განათლების დაბალ საფეხურებზე, რასაკვირველია, ეს ასე არ არის, პიროვნების სოციალიზაცია გარკვეული დოზით აღზრდა-განათლების ყველა საფეხურზე მიმდინარეობს, მაგრამ იგი, სტუდენტისთვის იმდენად ცნობიერად, იმდენად აშკარად ხორციელდება უმაღლეს სკოლაში, რომ მას თავისუფლად შეუძლია ძირითადი ცნების ანუ კატეგორიის ფუნქციის შესრულება. აქედან გამომდინარე, **განათლებასთან** და **სწავლებასთან** ერთად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კატეგორიად **სოციალიზაციაც** უნდა მივიჩნიოთ.

ამდენად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, როგორც პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი დარგი, ითვალისწინებს და ემყარება მის უმთავრეს ისეთ კატეგორიებს, როგორებიცაა აღზრდა და განვითარება, მაგრამ სპეციფიკური მიზნებიდან გამომდინარე, განათლებასა და სწავლებასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტუდენტის სოციალიზაციას.

პიროვნების სოციალიზაციაზე უდიდეს გავლენას აღზრდა და განვითარება ახდენს. სწორედ პედაგოგიკის ეს კატეგორიები ქმნიან მყარ ნიადაგს უმაღლეს სკოლაში სტუდენტის შემდგომი სოციალიზაციისათვის. მართალია, სტუდენტური ასაკის დასაწყისი აღზრდა-განათლების და განვითარების საფუძველზე სოციალიზაციის გარკვეულ საფეხურს გულისხმობს, მაგრამ ეს კიდევ არ არის პიროვნების სოციალიზაციის ის ხარისხი, რაც უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულს აქვს.

ზოგადად აღიარებულია, რომ აღზრდა-განათლება პიროვნების სოციალიზაციის საფუძველია. რაკი ადამიანი პიროვნებად სოციუმის გავლენით იქცევა, ამიტომ მის ჩამოყალიბებაში სწორედ სოციალური ინსტიტუტები ასრულებენ გადამწყვეტ გავლენას. მათ შორის პიროვნების

სოციალიზაციაში მთავარი რგოლი უმაღლესი სკოლაა. უფრო მეტიც, იგი არა მარტო სოციალიზაციის რიგითი საფეხურია, არამედ განსაკუთრებული საფეხური ცხოვრებისთვის მომზადებაში. რაკი უმაღლეს სკოლაში მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კვალდაკვალ პროფესიული მომზადებაც მიმდინარეობს, ამით ფაქტიურად ადგილი აქვს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, რაც მისი სოციალიზაციის საფუძველია.

ამდენად, სოციალიზაცია უმაღლეს სკოლაში, პროფესიის დაუფლებასთან ერთად, გულისხმობს, საზოგადოებაში (სოციუმში) თანაარსებობისათვის, ისეთი აუცილებელი ღირებულებების თვისობრივ და ხარისხობრივ განვითარებას, როგორიცაა: სოციალურად ღირებული შეხედულებები, წარმოდგენები, მსოფლმხედველობრივი ორიენტაციები, იდეალები და პიროვნების მორალური თვისებები.

სოციალიზაციაში იგულისხმება პიროვნების აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარებაც, ამდენად, იგი, ერთი მხრივ, ზოგადი პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიების შედეგია და მეორეს მხრივ, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი კატეგორია, რომელიც აღნიშნულ საგანმანათლებლო საფეხურზე აჯამებს სოციუმში პიროვნების ადაპტირებისათვის საჭირო უნარ–თვისებებს.

კითხვები და დავალებები:

1. ახსენით კატეგორიის ცნება უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში.
2. დაახასიათეთ განათლების ასპექტები (ელემენტები).
3. ჩამოაყალიბეთ განათლების ფუნქციები.
4. ჩამოაყალიბეთ შემეცნებისა და სწავლების განმასხვავებელი და მსგავსი ნიშნები.
5. განმარტეთ სწავლის ქცევა და სწავლის მოტივი.
6. ახსენით სოციალიზაციის როლი უმაღლესი განათლების პედაგოგიკაში.

1.3. პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის წყაროები და მეცნიერული კვლევის მეთოდები

პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის ჩამოყალიბებას წინ მრავალსაუკუნოვანი პედაგოგიური პრაქტიკა უძღოდა. როგორც ცნობილია, პედაგოგიკა, სხვა მეცნიერული დარგების მსგავსად, ფილოსოფიის წიაღში ჩაისახა. 1623 წელს ფრენსის ბეკონმა მოახდინა მეცნიერებათა ახალი კლასიფიკაცია, რომელშიც პედაგოგიკა ცალკე გამოყო.

პედაგოგიკის კვლევის მიზნები და ამოცანები დროთა განმავლობაში გაფართოვდა და აღზრდა – განათლებისა და წერა – კითხვის სწავლებიდან, ადამიანის ყოვლისმომცველი განვითარების პრობლემებს შეეჭიდა. მრავალგვარი ამოცანების შესაბამისად მოხდა პედაგოგიკის დიფერენციაცია. თუ ადრე აღზრდა–განათლების მეცნიერებას მხოლოდ ზოგადი პედაგოგიკა ემსახურებოდა, ამჟამად, ცოდნის საზღვრების არნახული გაფართოების კვალობაზე, რამდენიმე პედაგოგიური დარგი არსებობს. პედაგოგიური ცოდნის დიფერენციაციის შედეგად აღმოცენებული დარგების ერთობლიობას პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემა ეწოდება, რომელიც შედგება შემდეგი მეცნიერული დარგებისგან:

სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვთა განვითარების კანონზომიერებათა დადგენასა და შემუშავებული მეთოდების პრაქტიკაში განხორციელებას ემსახურება.

სკოლის პედაგოგიკა სასკოლო ასაკის მოსწავლეთა აღზრდის, განათლების, სწავლების და განვითარების ამოცანებს ისახავს მიზნად. სასკოლო პედაგოგიკა იყოფა დაწყებითი განათლებისა და საშუალო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა პედაგოგიკად, რომელთა სპეციფიკიდან გამომდინარე წარიმართება მუშაობა პედაგოგიკის ამ დარგში.

პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის წარმოდგენილი დარგები შეადგენენ ***ასაკობრივ პედაგოგიკას***, რომელიც მიზნად ისახავს ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეისწავლოს და დაადგინოს სხვადასვა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანთა აღზრდის, განათლების,

სწავლებისა და განვითარების თეორიული კანონზომიერებები და პრაქტიკულად განახორციელოს ისინი.

სპეციალური (კორექციული) პედაგოგიკა უნარშეზღუდული მოზარდების აღზრდა-განათლების, სწავლებისა და განვითარების პრობლემებზეა ორიენტირებული. მას სხვანაირად დეფექტოლოგიასაც უწოდებენ. სპეციალურ პედაგოგიკაში გამოიყოფა შემდეგი მიმართულებები: ***ლოგოპედია*** – მეტყველების დეფექტის მქონე ბავშვებისთვის; ***ტიფლოპედაგოგიკა*** – მხედველობადაქვეითებული და ბრმა ბავშვების აღზრდა–განათლების პრობლემების შემსწავლელი დარგი; ***სურდოპედაგოგიკა*** – სმენადაქვეითებული და ყრუ–მუნჯი მოზარდების პედაგოგიკა და ***ოლიგოფრენპედაგოგიკა*** – გონებრივი განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩენილი ბავშვების პრობლემების შემსწავლელი მეცნიერული დარგი.

ზოგადად პედაგოგიკას ყველაზე მეტად ახასიათებს ჰუმანისტური იდეალების სამსახური, მაგრამ მის ერთ-ერთ მიმართულებას, რომელსაც სპეციალური პედაგოგიკა ჰქვია, მოღვაწეობის საზრისად სწორედ უმწეოთა აღზრდა – განათლების პრობლემის მოგვარება ან მათი მინიმუმამდე დაყვანა აქვს ქცეული. ამ სფეროში მუშაობა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს და მრავალ სიძნელესთანაცაა დაკავშირებული, მაგრამ იგი ამასთანავე ყველაზე კეთილშობილური და საპატიოა.

კერძო მეთოდიკა კონკრეტული საგნის სწავლების პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად. საგანმანათლებლო სივრცეში რამდენი საგანიც ისწავლება, იმდენი კერძო მეთოდიკა არსებობს, რომელთა ამოცანას, ამ საგანთა სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეული თემების შესწავლის მეთოდიკის შემუშავება და მისი პრაქტიკული განხორციელება წარმოადგენს. მაგალითად, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, ფიზიკის სწავლების მეთოდიკა, ბიოლოგიის და სხვა. კერძო დიდაქტიკა თავის საქმიანობაში ეფუძნება პედაგოგიკის კანონებს, პრინციპებსა და მეთოდებს და საგნის სპეციფიკიდან, შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, შეიმუშავებს კონკრეტულ მეთოდებს და ხერხებს, რითაც პრაქტიკულად წყვეტს სასწავლო ამოცანებს.

პედაგოგიური ფსიქოლოგიის საგანს სწავლებისა და აღზრდის ფსიქოლოგიური კანონზომიერებების შესწავლა შეადგენს. იგი შეისწავლის სწავლების პროცესის მართვის ფსიქოლოგიურ საკითხებს, იკვლევს შემეცნებითი პროცესების ფორმირებას, ეძებს გონებრივი განვითარების საიმედო კრიტერიუმებს, განსაზღვრავს იმ პირობებს, რომლებიც ეფექტური გონებრივი განვითარებისათვის არის საჭირო. განიხილავს მოსწავლეთა და მასწავლებელთა, აგრეთვე თვით მოსწავლეთა შორის არსებულ ურთიერთობებს, იკვლევს და აყალიბებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს და სასწავლო–აღმზრდელობით საქმიანობაში მონაწილე მხარეთა ფსიქიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

პედაგოგიკის ისტორია შეისწავლის განათლების (როგორც ადამიანის განვითარების მიზანმიმართულ, ორგანიზებულ პროცესს, რომელიც მოიცავს ისეთ ქვესისტემებს, როგორიცაა აღზრდა და სწავლება) და პედაგოგიური აზრის (საზოგადოებაში არსებული იდეები და წარმოდგენები განათლებისა და სწავლების შესახებ) ისტორიას. პედაგოგიკის ისტორიას განათლების ფილოსოფიასაც უწოდებენ, მაგრამ ასეთი შეფასება არ არის გამართლებული, რადგან განათლების ფილოსოფია სხვა პრობლემატიკას სწავლობს, ხოლო პედაგოგის ისტორიას მკაფიოდ ჩამოყალიბებული ამოცანები აქვს. თუ ამ ტერმინში (პედაგოგიკის ისტორიაში) რაიმე უზუსტობას ხედავენ უფრო მისაღები იქნებოდა ამ საგნისთვის გვეწოდებინა განათლების და პედაგოგიკის ისტორია. რაც შეეხება განათლების ფილოსოფიას, მას ამ წიგნში სპეციალური პარაგრაფი ეძღვნება.

ანდროგოგიკა არის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი დარგი, რომელიც სწავლობს მოზრდილთა და ზრდასრული ადამიანების სწავლა–განათლების საკითხებს.

პედაგოგიური ანთროპოლოგია ორიენტირებულია აღზრდის ობიექტზე. იგი ყოველმხრივ (ბიოლოგიურად, სულიერად, სოციალურად, ინდივიდუალურად) ასაკობრივი პერიოდების გათვალისწინებით შეისწავლის ადამიანს და იძლევა მისი აღზრდის რეკომენდაციებს.

ცალკე გამოყოფენ აგრეთვე ***სოციალურ პედაგოგიკას***, რომელიც სოციალურ გარემოსთან მიმართებაში იკვლევს

პედაგოგიურ პრობლემებს და ***შედარებით პედაგოგიკას,*** იგი სხვადასხვა ქვეყნების საადმზრდელო სისტემების შედარებითი კვლევა–ძიებით არის დაკავებული.

ქრისტიანული პედაგოგიკა –ეკლესიური პედაგოგიკაა. პედაგოგიკის ეკლესიურობა ნიშნავს ადამიანის მომზადებას როგორც ამქვეყნიური, ისე მარადიული, სულიერი სასუფევლისთვის. ამ მიზნით პედაგოგიკის თეორიის ძირითადი კატეგორიების: აღზრდის, განათლების, განვითარებისა და სწავლების ქრისტიანული სულისკვეთებით გამდიდრებას. ქრიტიანული პედაგოგიკა იმისთვის არის მოწოდებული, რომ გაცხადდეს ღვთის სახე ადამიანში: სულიერ-ზნეობრივი სრულყოფილება მოიპოვოს ყოველმა ადამიანმა, რათა სიწმიდემ და სიკეთემ, სულიწმიდის მადლმა გაგვინათოს გული.

პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში გამოიყოფა პედაგოგიკის გამოყენებითი დარგები, რომლებსაც ერთიანობაში ***პროფესიულ პედაგოგიკას*** უწოდებენ. მისი დარგებია: ***სამხედრო, საოჯახო, პროფესიულ-ტექნიკური, საინჟინრო, ეკონომიკური, იურიდიული, საწარმოო სწავლების და სხვ.*** მათი საბოლოოდ ფორმირება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

პედაგოგიკამ ფართოდ გაიკვლია გზა ინჟინერთა მომზადების სფეროში. ამ პრობლემების გადაწყვეტაში აქტიურად გამოიყენება პროფესიულ-ტექნიკური პედაგოგიკის მიღწევები, რომელსაც ყოფილ საბჭოთა კავშირში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა. პედაგოგიკის ამ მიმართულების განვითარების შედეგად საინჟინრო-პედაგოგიურ წრეებში გამოყოფენ პედაგოგიკის გამოყენებით დარგს – **საინჟინრო პედაგოგიკას.** იგი მოწოდებულია, სპეციალისტთა მოსამზადებლად საინჟინრო საქმინობისათვის და ახასიათებს სწავლების სპეციფიკური მიზნები, პრინციპები, შინაარსი, ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები და საშუალებები. სწორედ ამით განისაზღვრება მისი არსი, ობიექტი, საგანი და შინაარსი.

საინჟინრო პედაგოგიკის ობიექტია საინჟინრო კადრების მომზადების პედაგოგიური სისტემა, ხოლო საინჟინრო პედაგოგიკის საგანია საპროექტო–ტექნოლოგიური ამოცანების დიდაქტიკური დამუშავება, პროფესიული განათლების

შინაარსი, სწავლების ორგანიზაციის ფორმები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები.

საინჟინრო პედაგოგიკა სწავლობს საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, საკომუნიკაციო, მმართველობითი და სხვა ფუნქციების თეორიას და მეთოდიკას, იკვლევს აგრეთვე ტექნიკის ფლობის უნარ-ჩვევებს, ტექნოლოგიური ცოდნის სწავლების თეორიას და პრაქტიკას, სპეციფიკური საშუალებების გამოყენების მეთოდოლოგიას საინჟინრო საქმიანობაში.

საინჟინრო პედაგოგიკა საინჟინრო განათლების სფეროში საზოგადოებრივი მოთხოვნილებებითა და ტექნიკური მეცნიერების ზეგავლენით ვითარდება, რომელიც საინჟინრო პედაგოგიკის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს.

უკანასკნელ პერიოდში მეცნიერები **პოსტმოდერნის პედაგოგიკითაც** დაინტერსდნენ. მათ იდეურ საყრდენს წარმოადგენს პორტინდუსტრიული და პოსტმოდერნისტული[1] ეპოქის განათლების განვითარების პერსპექტივები XXI საუკუნეში. იგი უპირატესად გამოიხატება მსოფლიოს ერთიანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო–პედაგოგიკური სივრცის ჩამოყალიბებაში. მეცნიერთა აზრით, სწორედ ასეთი მიდგომის შედეგად გახდება შესაძლებელი ზოგადადამიანური და საგანმანათლებლო პროცესების საყოველთაობა, რაც პედაგოგიკური ტრადიციების ურთიერთგამდიდრების საფუძველი იქნება.

პოსტმოდერნის პედაგოგიკა უარყოფს „სუფთა დაფის თეორიას" და აქედან გამომდინარე, ადამიანს არ მიიჩნევს „გარემოებისა და აღზრდის" პროდუქტად. იგი აღზრდა-განათლებაში, კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე, წამყვან როლს დეტალურად დამუშავებულ საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს და სწავლების მეთოდიკას ანიჭებს. პოსტმოდერნის პედაგოგიკა პრინციპულად უარყოფს განათლების მკაცრად მოდელირებას.

პოსტმოდერნის პედაგოგიკისთვის თვით განათლების მიზანიც ცვალებადი და უკიდურესად ინდივიდუალურია. პედაგოგიური პროცესის თანაავტორებად მასწავლებლები და

[1] პოსტმოდერნის იდეოლოგებად არიან აღიარებული ჟ. დერიდი, ი. კრიტევი, ჟ. ლიოთარი, დ. მილერი, ფ. ჯეისონი და სხვები.

მოსწავლეები გვევლინებიან. აღზრდა და განათლება შემოქმედებითი აქტის შედეგია, რომელიც თავისი ხასიათით უახლოვდება ხელოვნებას. პოსტმოდერნის პედაგოგიკა კულტურის ფენომენზეა ორიენტირებული, რაც მის კულტურულ პოლიფონიურობასაც გულისხმობს. ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პიროვნების ასაკს, სქესს, ანატომიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ეთნიკურ, სოციალურ და რელიგიურ კუთვნილებას. აქედან გამომდინარე, პოსტმოდერნის პედაგოგიკამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი პირობების შექმნას, რომელშიც ყოველ ადამიანს შეეძლება საკუთარი იდენტობისა და მოწოდების გაცნობიერება იმისათვის, რომ უკეთ შეძლოს პიროვნულად მისთვის მისაღები სოციალური ღირებულების ჩამოყალიბება. ასეთი მიდგომები ყველაზე უფრო აქტუალურია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკში[1].

პოსტმოდერნის პედაგოგიკის ჩამოყალიბება მაინც მომავლის პერსპექტივაა. მას ამჟამად ვიწრო მეცნიერულ წრეებში იცნობენ და აქედან გამომდინარე, მასზე მსჯელობა მხოლოდ თეორიულ დონეზე მიმდინარეობს, რეალურად იგი არაფრით განსხვავდება ინოვაციური პედაგოგიკისგან, რომელიც ერთნაირად საინტერესოა პედაგოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში შემავალი ყველა დარგისთვის. იგი დროის მოთხოვნაა და ყველაზე კარგად პასუხობს თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების გამოწვევებს. ეპოქალური თვალსაზრისით დაყოფა არც ერთი მეცნიერული დარგისთვის შედეგის მომტანი არ იქნება, ამიტომ, რაკი პოსტმოდერნიც საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი სტადიაა, აქედან გამოდინარე, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, პედაგოგიკა პოსტმოდერნის ეპოქაში ან ინფორმაციულ საზოგადოებაში.[2]

---

[1] 1979 წელს პოსტმოდერნის აღიარებულმა კლასიკოსმა ჟ. ფ. ლიოთარმა გამოაქვეყნა წიგნი „პოსტმოდერნის მდგომარეობა", რომელშიც სპეციალური თავი ეთმობა უმაღლესი განათლების განვითარების პერსპექტივებს.

[2]. აღნიშნული საკითხები უფრო ფართოდ განხილულია სახელმძღვანელოს მეორე თავში „უმაღლესი განათლება ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში".

როგორც უკვე აღინიშნა, პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში, როგორც მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, სათანადო ადგილი *უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას* უჭირავს, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე სახელმძღვანელო. ამიტომ, მისი დეფინიცია-განმარტების გამეორება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

სხვა პედაგოგიკურ მეცნიერებათა მსგავსად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაც მეცნიერული კვლევა–ძიებისთვის ძირითადად იმ წყაროებს იყენებს, რომელსაც ამ სისტემის დარგები, თუმცა მაინც არსებობს სპეციფიკური წყაროები, რომელიც საკუთრივ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ინტერესებში შედის.

ზოგადი პედაგოგიკის კვლევის წყაროებს წარმოადგენს: 1. პედაგოგიკის კლასიკოსთა მემკვიდრეობა, 2. თანამედროვე მასწავლებელთა მოწინავე გამოცდილება, 3. პედაგოგიური დოკუმენტები, 4. მხატვრული ლიტერატურა, ფოლკლორი და ისტორია.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა დასახელებულ წყაროთაგან მეტნაკლებად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ყველას იყენებს, მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც უმაღლესი განათლების სისტემის, ისე ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო, სასწავლო და მეთოდური მუშაობის შესწავლას. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა აქტიურად იყენებს მენეჯმენტს, როგორც განათლების მართვის კვლევისთვის მნიშვნელოვან წყაროს.

საგანმანათლებლო პროცესების მართვაში დიდ როლს ასრულებს საკანონმდებლო - ნორმატული დოკუმენტები, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის ევროინტეგრაციას ემსახურება.

მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილება მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს განათლების თეორიისთვის. ბოლონიის უძველესი უნივერსიტეტის დაარსებიდან დღემდე დიდი გამოცდილება დაგროვდა ამ მიმართებით, ამიტომ მისი შესწავლა ყოველთვის სარგებლობის მომტანი იქნება. ასეთივე როლი განეკუთვნება ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების და ცალკეულ პროფესორთა გამოცდილების შესწავლასაც, რადგან

საქართველო განათლებითა და მეცნიერებით გამორჩეული ქვეყანა იყო მუდამ, ხოლო ტრადიციული უმაღლესი სასწავლებლები გასული საუკუნის პირველ მეოთხედში დაფუძვდნენ და ამ ხნის მანძილზე სათანადო გამოცდილება დაუგროვდათ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ახლად დაფუძნებული, მაგრამ უკვე წარმატებული უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილების შესწავლა – განზოგადება, როლებიც ევროპული საგანმანათლებლო ტენდენციების გამტარებლებად გვევლინებიან.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევს აგრეთვე თანამედროვე საინფორმაციო–საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს, რომლებიც ტრადიციული და ღია საგანმანათლებლო სისტემის მთავარი ატრიბუტი გახდა.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში კვლევის მეთოდებად მოიაზრება ის წესები, რომელთა მეშვეობითაც წყდება სამეცნიერო–კვლევითი ამოცანები. რაც მეტი და ეფექტურია ასეთი საშულებები, მით მეტია წარმატების გარანტია. როგორც ზოგად პედაგოგიკაში, ისე უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში კვლევითი არსენალი პერიოდულად ივსება კონსტრუირების შედეგად წარმოქმნილი ახალი მეთოდებით. გარდა ამისა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში წარმატებით გამოიყენება მომიჯნავე მეცნიერულ დარგებში არსებული მეთოდები.

ამჟამად უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში ძირითადად გამოიყენება პედაგოგიური კვლევის შემდეგი მეთოდები: ***დაკვირვება, გამოკითხვა, პედაგოგიური ექსპერიმენტი, სოციომეტრიული კვლევა, ტესტირება, პილოტირება, მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები.***

პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში შემავალი დარგების მსგავსად, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაშიც **დაკვირვების მეთოდი** გულისხმობს საგანმანათლებლო–სასწავლო პროცესების სისტემატურ შესწავლას, ამ მოვლენების განვითარების ტენდენციების და კანონზომიერებების დადგენას სხვადასხვა გარემოებებში. დაკვირვების შედეგად მოპოვებული ფაქტობრივი მასალა ანალიზისა და სინთეზის საშუალებას აძლევს მკვლევარს, რომლის საფუძველზე შეიმუშავებენ შესაბამის რეკომენდაციებს.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში მიღებულია დაკვირვების მეთოდის ორი სახე: თვითდაკვირვება და სხვაზე დაკვირვება.

გამოკითხვის მეთოდი სამ ნაირსახეობას – საუბარს, ანკეტირებასა და ინტერვიუს აერთიანებს. საუბარი გამოკითხვის მეთოდის ყველაზე ძველი და გავრცელებული ფორმაა. მისი საშუალებით მკვლევარი ახლოს ეცნობა განათლების მომხმარებლის – სტუდენტის შეხედულებებს არსებული სისტემის მიმართ და იყენებს რეკომენდაციებისა და დასკვნების ჩამოყალიბებისთვის. საუბრისგან ოდნავ განსხვავდება ამ მეთოდის მეორე ფორმა – ინტერვიუ. თუ საუბრის დროს სტუდენტი ან ლექტორი შეზღუდული არ არის თემატიკით, ინტერვიუს პროცესში რესპოდენტი ზუსტად იმ კითხვებზე პასუხობს, რასაც მას უსვამენ. სასურველია, ორივე შემთხვევაში რესპოდენტთან ურთიერთობა გულწრფელი და ძალდაუტანებელი იყოს. არ არის რეკომენდებული საუბრის სტენოგრაფირება, რაც უშუალობის განცდას ამცირებს. შესაძლებელია მკვლევარმა საუბრისა და ინტერვიუს პროცესში მიღებული ინფორმაცია მისი დასრულების შემდეგ წერილობით აღადგინოს.

გამოკითხვის მეთოდში ყველაზე პროდუქტიულად მიიჩნევა ანკეტირება, რომელიც, მისი არსიდან გამომდინარე, საჭირო ინფორმაციის მოხერხებულად მიღების საშუალებას იძლევა. ანკეტირების წარმატებას, უპირველეს ყოვლისა, მისი შედგენის მეთოდიკა განაპირობებს. მკვლევარის წინასწარი ჰიპოთეზიდან გამომდინარეობს ანკეტის ცალკეული კითხვები და მისი ზოგადი მიზანდასახულობა. სწორედ კითხვარის პასუხებმა უნდა დაადასტუროს ან უარყოს მეცნიერული ჰიპოთეზები. ანკეტის კითხვარი ითვალისწინებს აგრეთვე რესპოდენტის ინდივიდუალურ შეხედულებებს, რომლისთვისაც დათმობილი უნდა იყოს სათანადო ადგილი. ანკეტებით მოპოვებული ინფორმაციის მიმართ ნდობის ალბათობა გაცილებით მაღალია მაშინ, როცა ანკეტა ანონიმურია.

პედაგოგიური ექსპერიმენტი ორი სახისაა: ბუნებრივი და ლაბორატორიული. ბუნებრივია ექსპერიმენტი, როცა ცდის ობიექტმა მისი მიმდინარეობის შესახებ არაფერი იცის და მისი ქცევაც შეუზღუდავი და ბუნებრივია. ხოლო ლაბორატორიული ექსპერიმენტის დროს სტუდენტის თუ პროფესორის ქცევა ხელოვნურად არის გამოწვეული. სწორედ ექსპერიმენტის

დროს ხდება მკვლევარის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის დადასტურება ან უარყოფა.

გავრცელების მასშტაბის მიხედვით ექსპერიმენტი შეიძლება იყოს გლობალური, როცა ამა თუ იმ მოვლენას რეგიონის ან მთელი ქვეყნის მასშტაბით აკვირდებიან. ლოკალური ექსპერიმენტი და მიკროექსპერიმენტიც უფრო მცირე რესურსებს მოითხოვს და მათი გავრცელების არეალიც შედარებით შეზღუდულია. ლოკალური ექსპერიმენტი შესაძლებელია ჩატარდეს ცალკე ფაკულტეტზე, ერთ უნივერსიტეტში ან რამდენიმეში ერთად იმ პირობით, თუ საექსპერიმენტოდ შერჩეული მასალა ერთ ან ორ პრობლემას მოიცავს. რაც შეეხება მიკროექსპერიმენტებს, მას ატარებენ ცალკეული ინდივინდები ან მეცნიერთა მცირერიცხოვანი ჯგუფები ნაკლებად პრობლემატური საკითხების კვლევისას.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში უკანასკნელ პერიოდში საკმაოდ პოპულარული გახდა **სოციომეტრული კვლევის მეთოდი**, რომელიც ემსახურება პიროვნებებს შორის ურთიერთობების შესწავლას. როგორც ცნობილია, პიროვნული ურთიერთობების შესწავლას მრავალი სირთულე ახლავს თან, რადგან იგი ადამიანური ურთიერთობის დელიკატური სფეროა და საჯაროობას ნაკლებად ექვემდებარება. ყოველ ინდივიდს თავისი განუმეორებელი შინაგანი სამყარო, ფსიქიკა, ტემპერამენტი, ინტერესი და ნებელობა ახასიათებს. ამიტომ მისი შესწავლა და სასურველი მიმართულებით წარმართვა საზოგადოებრივი წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

სოციომეტრული კვლევის მეთოდით შესაძლებელია დადგინდეს პიროვნების კოლექტივთან შეგუების მაჩვენებლები, გამოიკვეთოს ლიდერობის უნარის მატარებელი პირები. მკვლევარი ასეთი მონაცემების შედეგად ჩამოაყალიბებს ისეთ რეკომენდაციებს, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს, გამოავლინონ მათთვის სასურველი პერსონები, უკუვაგდოთ არასასურველი ჩვევები, წავახალისოთ მისაღები მიდრეკილებები, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ყოფითი და საქმიანი კომუნიკაციების პირობებში.

სოციომეტრული მეთოდების გამოყენების პერსპექტივები განუზომლად გაიზარდა პედაგოგთა და მენეჯერთა

მომზადებასა და მათ შემდგომ საქმიანობაში. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, პედაგოგიურ მოღვაწეობასა და თანამედროვე ბიზნესსაქმიანობაში წარმატებებს ბევრად განაპირობებს ადამიანურ რესურსებთან საერთო ენის გამონახვა, რაც ამ სფეროებში დაკავებული ადამიანების შესწავლით უნდა დაიწყოს. უმაღლესი განათლების მუშაკის მსგავსად, თანამედროვე მენეჯერული საქმიანობაც უწყვეტი განათლების სისტემის ცოდნაზეა დაფუძნებული, ამიტომ ინდივიდის პიროვნებათშორისი ურთიერთობების სოციომეტრიული კვლევა, როგორც ზოგადად უმაღლესი განათლებისთვის, ისე მენეჯერულ საქმიანობაში წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა.

განათლების პრობლემატიკის კვლევის მეთოდებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს **ტესტირების** (test – გამოცდა, შემოწმება) **მეთოდებს**. ტესტირების ჩატარებისთვის აუცილებელია, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, სტანდარტული ტესტების შედგენა. ტესტირება გამოიყენება ცოდნისა და უნარების შემოწმების მიზნითაც, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე კომპანიებში, ოფისებსა და საწარმოებში.

ტესტირების მეთოდის საშუალებით შესაძლებელია ჩატარდეს გლობალური ექსპერიმენტები, სტუდენტთა მასობრივი შემოწმებები. მოსახერხებელია აგრეთვე ტესტირების ჩატარება ვირტუალურ კონტინგენტთანაც. ტესტირების შედეგების დასამუშავებლად გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელიც ფინანსური რესურსებისა და დროის ეკონომიის საფუძველზე ოპტიმალურ ინფორმაციას გვაწვდის. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში გამოიყენება არა მარტო პედაგოგიური ტესტირება, რომელიც ცოდნისა და უნარების შემოწმება–შეფასებას გულისხმობს, არამედ ფსიქოლოგიაში კარგად აპრობირებული ტესტირების სახეები: ინტელექტის ტესტი, კრეატულობის (უნარების) ტესტი, მეხსიერების ტესტი და სხვ.

თავისი შინაარსით და ფორმითაც ტესტირებასთან ახლოსაა **პილოტირება,** რომელიც წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმების მიზნებისა და ამ მიზნების მიღწევის საშუალებების რეალურობის შემოწმებას. ამგვარად განმარტავს ამ ტერმინს საქართველოს კანონი „ზოგადი

განათლების შესახებ". თუმცა მარტო ეროვნული სასწავლო გეგმების ეფექტურობის შემოწმება არ არის პილოტირების მიზანი. ამჟამად პილოტირებას იყენებენ სხვა ამოცანების გადასაწყვეტადაც. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ეროვნული გამოცდების ტესტების პილოტირება ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში. პილოტირება ტარდება უმაღლესი სასწავლებლის ცალკეულ ფაკულტეტებზე და კურსებზე საგანმანათლებლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო დოკუმენტების შემოწმების მიზნით. ამდენად, პილოტირებამ, მისი სიახლის მიუხედავად, სრულად დაიმკვიდრა ადგილი უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კვლევის მეთოდებს შორის.

განათლების თეორიაში გზადაგზა ფეხს იკიდებს აგრეთვე **მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები**, რომელთა როლი კიდევ უფრო გაიზარდა საგანმანათლებლო პროცესებზე ინფორმატიზაციის გავლენის კვალდაკვალ.

როგორც დავინახეთ, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კვლევის მეთოდები მეტად მრავალფეროვანია. მათი შერჩევა და გამოყენება კვლევის კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარეობს. შესაძლებელია, რომელიმე ფუნდამენტური პრობლემის კვლევისას, მეცნიერმა რამდენიმე მეთოდი ერთად გამოიყენოს, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდი პრობლემა შედგება რამდენიმე საკითხისაგან, რომელთაც შეიძლება სპეციფიკური მეთოდი დასჭირდეს, ამიტომ მათთვის სხვა მეთოდის მომარჯვება გახდება აუცილებელი. წარმოდგენილი კვლევის მეთოდები მეტნაკლებად გამოიყენება ჩვენ საგანმანათლებლო სივრცეში. მათ შორის რაიმე უპირატესობაზე და რომელიმეს გამოყოფაზე საუბარი გაუმართლებელია. ჩვენს მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ არ შეიძლება რომელიმეს უნივერსალიზაცია, მათი გამოყენება კონკრეტულ ამოცანაზეა დამოკიდებული.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემის საფუძველი ?
2. რომელი დარგები შედის პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში ?
3. ჩამოაყალიბეთ საიჟინრო პედაგოგიკის საგანი და ამოცანები.

4. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა, ზოგადი პედაგოგიკისაგან განსხვავებით, კიდევ რა წყაროებს იყენებს ?
5. მოკლედ დაახასიათეთ კვლევის მეთოდები სათანადო მაგალითების დამოწმებით.

1.4. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებები

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას, პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში შემავალი სხვა დარგების მსგავსად, მეტნაკლები კავშირი აქვს სხვა მეცნიერებებთან. თუმცა მას განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი აქვს ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებებთან. ასეთი ტერმინის გამოყენება, როგორც ფოლოსოფიის მკვლევარები აღნიშნავენ, პირობითია, რადგან ყოველი მეცნიერული კვლევა–ძიება, რომელ დარგშიც არ უნდა მიმდინარეობდეს იგი, საბოლოოდ ადამიანისთვის არის განკუთვნილი. ხოლო, რაც შეეხება განათლებას და აღზრდას, იგი საკუთრივ ადამიანისეულია და მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. ამდენად, ყველაფერი, რაც ამ სამყაროში ხდება ადამიანისთვის სარგებლობის მომტანი უნდა იყოს. თვით სამყაროს შექმნის ბიბლიური თეორიაც ამასვე ადასტურებს, რომ მიწიერი სამყაროს გვირგვინად ღმერთმა ადამიანი შექმნა. მატერიალისტური პოზიციიდანაც, ყველა მეცნიერული დარგი საკუთარ მისიას პრაგმატული დანიშნულებით უყურებს.

ადამიანის აღზრდა–განვითარებაზე ყველაზე დიდი გავლენა მაინც ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებებს აქვს, რადგან ისინი ადამიანის ამა თუ იმ მხარეს უშუალოდ სწავლობენ. ასეთ მეცნიერებათა რიცხვში შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ბიოლოგიური მიმართულების, ისე საზოგადოებრივი მეცნიერებები. მაგალითად, ფიზიკური განვითარების კანონებს გავლენა აქვთ ადამიანის არსებობაზე, ისე, როგორც ორგანულ ქიმიას ან ბიოლოგიას, მედიცინას, ანატომიას და გენეტიკას. დასახელებული მეცნიერული დისციპლინები ადამიანის ფიზიკურ არსებობასთან და ზრდა–განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს სწავლობენ, მაგრამ არის ისეთი მეცნიერული დარგები, რომელთა მიზანს ადამიანის არსი, მისი

მსოფლმხედველობა, ცნობიერება, ფსიქიკა, აღქმა, მეხსიერება, ინტერესი, ემოცია და სხვა ფაქტორების კვლევა წარმოადგენს. ამასთან ერთად, ცივილიზაციის განვითარების კვალდაკვალ, სულ უფრო იზრდება ინტერესი საზოგადოებრივ პროცესებში პიროვნების მზარდი როლის შესახებ, რაც ზოგადად აღზრდის მეცნიერების, ხოლო კერძოდ, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამდენად, როგორც პედაგოგიკური მეცნიერება საზრდოობს მომიჯნავე მეცნიერებათა მიღწევებით, ისე ამ სისტემაში შემავალი დარგიც – უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაც კვლევით და პრაქტიკულ საგანმანათლებლო საქმიანობაში აქტიურად იყენებს სხვა მეცნიერული დარგების მიღწევებს. მათგან განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს **ფილოსოფიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგის** მიმართ. ზოგადი პედაგოგიკის ინტრესის სფერო ამ მხრივ კიდევ უფრო ფართოა და იგი ინტერესდება ანატომია–ფიზიოლოგიით, სასკოლო ჰიგიენით, ისტორიითა და ლიტერატურით, რაც სასკოლო ასაკის მოსწავლეთა აღზრდა–განათლების თავისებურებებით არის ნაკარნახები.

უპირველესი საგანი, რომელსაც უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა ეფუძნება – ფოლოსოფიაა. როგორც ცნობილია, სხვა დარგების მსგავსად, პედაგოგიკაც ფილოსოფიის წიაღში აღმოცენდა და შემდეგ გამოეყო მას. აქედან გამომდინარე, განათლების პრობლემების კვლევა წარმოუდგენელია შემეცნების პროცესის გაცნობიერების გარეშე, რომელიც არის სუბიექტის ობიქტთან ანუ ადამიანის სინამდვილესთან თეორიული მიმართება, რომლის შედეგად ყალიბლება ცოდნა მის შესახებ. ამ პატარა განმარტებაში, განათლების თეორიისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი რამდენიმე ტერმინის გამოყენება დაგვჭირდა. აქ მოვიშველიეთ სუბიექტი და ობიექტი, ადამიანი, სინამდვილე და ცოდნა, ყველა მათგანი ფილოსოფიურ ახსნას მოითხოვს ისე, როგორც ფოლოსოფიის სხვა ტერმინები და კატეგორიები, რათა ისინი ჩადგნენ განათლების პროცესის და განათლების თეორიის სამსახურში. განათლებას იმდენად აინტერესებს შემეცნება ან თვითშემეცნება, ცნობიერება ან თვითცნობიერება, რამდენადაც იგი ემსახურება ზოგადად განათლების და კერძოდ კი, სწავლება\სწავლა\დასწავლის პროცესს. ცალკე აღებული ეს

კატეგორიები და ცნებები ფილოსოფიის ინტერესის საგანია, მაგრამ ისინი პედაგოგიურ ფუნქციას იძენენ მაშინვე, როცა პიროვნებაზე ზემოქმედებას იწყებენ.

ანალოგიური დამოკიდებულება აქვს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას **ფსიქოლოგიასთან**, რომელიც ადამიანის ფსიქიკის განვითარების კანონებს შეისწავლის. რაკი პედაგოგიკა ადამიანის აღზრდის, განათლების, სწავლებისა და განვითარების კანონებს იკვლევს, ფსიქოლოგია ამ პრობლემათა გადაჭრის საქმეში ფასდაუდებელ სამსახურს უწევს მას. ფსიქოლოგიის ამოცანა ფსიქიკურ მოვლენათა აღწერა და ახსნა, მათი ანალიზი და მიმდინარეობის კანონზომიერებათა დადგენაა. ფსიქოლოგია შეისწავლის შეგრძნებებსა და გრძნობებს, მეხსიერებასა და ყურადღებას, აზროვნებასა და ნებისყოფას, აღქმასა და წარმოდგენებს და ა. შ., რომელთა გარეშე პედაგოგიკა დასახულ ამოცანებს ვერ შეასრულებს.

განათლება სოციალურ სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია, ამიტომ მისი პრობლემატიკის კვლევაში **სოციოლოგიას** განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აღზრდა-განათლება ადამიანის სოციალიზაციის გზაზე ერთ-ერთი პირველი საფეხურია, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნისა და ღირებულებათა სისტემის გაცნობიერებას. თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის ცხოვრების მანძილზე სოციალიზაციის პროცესი უწყვეტია, რასაც თან ახლავს ღირებულებათა სისტემის გაფართოებაც და ნაწილობრივი ცვლილებებიც, ამდენად აქტუალური ხდება განათლების სისტემის საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. განათლებას, ერთ შემთხვევაში, განსაზღვრავენ „როგორც ფორმალურ პროცესს, რომლის საფუძველზე საზოგადოება ერთი ადამიანიდან, ან ჯგუფიდან, მეორე ადამიანს ან ჯგუფს გადასცემს ღირებულებებს, ჩვევებსა და ცოდნას” (სმელცერი); მეორე შემთხვევაში, „ფართო მნიშვნელობით განათლება გაგებულია ინდივიდის მიერ ინფორმაციის და ინდივიდუალური გამოცდილების დაგროვებად” (სტოლპიერი), მესამე შემთხვევაში, განათლების ნაცვლად მსჯელობენ სკოლაზე. იგი გაგებულია როგორც სოციალური და ინტელექტუალური ფორმირება” (რ. ბერნსი). სოციოლოგიაში ცალკე გამოყოფენ განათლების

სოციოლოგიას, რომელიც განათლების სოციოლოგიურ ასპექტებს იკვლევს (31. 133-135).

ადამიანის განათლება სოციალური ინსტიტუტების (ოჯახი, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსები) ფარგლებში მიმდინარეობს, ხოლო სოციოლოგიას განსაზღვრავენ როგორც სოციალური ინსტიტუტების თეორიას, ამდენად, მართებულია სოციოლოგიის დაინტერესება განათლების სისტემით, ხოლო განათლების თეორია თავის მხრივ, აქტიურად იყენებს სოციალური კვლევის შედეგებს მუშაობის დაგეგმვისას, რადგან განათლების სისტემა საზოგადოების, სოციუმის ინტერესების გათვალისწინებას ემსახურება და ამ სისტემაში მიმდინარე საქმიანობა სოციალური შეკვეთების ადეკვატური უნდა იყოს.

სხვა პრობლემათა შორის, სოციოლოგიის ინტერესის საგანია თაობათა შორის წინააღმდეგობათა მიზეზების კვლევა, რომლითაც თანამედროვე ეპოქა ხასიათდება. პოლარიზაცია თაობებათა შეხედულებებს შორის ღირებულებითმა ორიენტაციებმა გამოიწვია, რაშიც გარკვეულ როლს განათლების სისტემაც თამაშობს, რადგან იგი, ყოველთვის სრულყოფილად ვერ ახორციელებს თავის ძირეულ ამოცანებს, კერძოდ, საზოგადოების კულტურის გადაცემას თაობიდან თაობაზე და მათ შორის უწყვეტ კავშირს, მომავალი თაობისთვის რწმენისა და ისეთი ღირებულებების გადაცემას, რაც ისტორიულად გამოცდილია და ზოგასაკაცობრიო დანიშნულება აქვს მოპოვებული.

სოციოლოგია ძირეულადაა დაინტერესებული განათლების სისტემაში არსებული პრობლემებით, რადგან იგი პირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოების განვითარებაზე. ამიტომ სოციოლოგები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ განათლების სოციოლოგიის პრობლემებს, უფრო მეტიც, განათლების სოციოლოგია პრეტენზიას აცხადებს, საფუძვლიანად შეისწავლოს ისეთი სოციალური ინსტიტუტების მიმართება განათლებასთან, როგორებიცაა სკოლა, ოჯახი, საზოგადოება და მასში მონაწილე სუბიექტები; მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, სტუდენტები, უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალი და სხვა დაინტერესებული მხარეები. სწორედ

ასეთ ამოცანებს უყენებს პოსტინდუსტრიული ეპოქა სოციოლოგიას, რადგან იგი იმ საზოგადოების სოციალური განვითარების კანონზომირებებს შეისწავლის, რომელიც ამჟამად ცოდნაზეა ორიენტირებული.

პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში შემავალი დარგებისათვის გამორჩეული ადგილი **ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას** უჭირავს. ანთროპოლოგია, როგორც კერძო, სპეციალური მეცნიერება სწავლობს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, მის წარმოშობას, რასებს და სხვა მსგავს პრობლემებს. ხოლო ფილოსოფიური ანთროპოლოგია – მხოლოდ არაბიოლოგიურს და სპეციფიკურ ადამიანურ თვისებებს ადამიანში. ფილოსოფიური ანთროპოლოგია სწავლობს ადამიანის ადგილს სამყაროში, არკვევს მის არსს, ეძებს იმ სპეციფიკურ ნიშნებს, რომელიც მას განასხვავებს სამყაროს სხვა არსებათაგან.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა პედაგოგიური ანთროპოლოგიის მონაცემებს ადამიანის არსის, მისი რაობის, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის შესახებ იყენებს საგანმანათლებლო საქმიანობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკამ აუცილებლად უნდა გამოიყენოს ნებისმიერი მეცნიერული დარგის მონაპოვარი, თუმცა მეტნაკლები ინტენსივობით. განათლების სპეციფიკიდან გამომდინარე, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფილოსოფიურ ანთროპოლოგიას, ხოლო, რაც შეეხება განათლების ფილოსოფიას და ფსიქოლოგიას, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი საგანგებო განხილვას იმსახურებს, რასაც შემდეგ პარაგრაფში შევეცდებით.

კითხვები და დავალებები:

1. დაასაბუთეთ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ადგილი ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებათა შორის.
2. რა სამსახურს უწევს ფილოსოფიური ანთროპლოგია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას?
3. რამდენად და როგორ იყენებს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა სოციოლოგიური კვლევის შედეგებს ?

1.5. განათლების ფილოსოფიის პრობლემები

ცივილიზებული მსოფლიო ინტენსიურად ეძებს განათლების სისტემის კრიზისის მიზეზებს და მისგან გამოსვლის გზებს, რომელშიც იგი XX საუკუნის ბოლოს აღმოჩნდა. განათლების დარგის სპეციალისტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, განათლებას აღნიშნული კრიზისის დაძლევაში ქმედით დახმარებას განათლების ფილოსოფია და ფსიქოლოგია გაუწევს. ამიტომ, გადაუდებელ აუცილებლობად მიაჩნიათ განათლების აღნიშნულ დარგებში კვლევა–ძიების გააქტიურება.

ტერმინი „განათლების ფილოსოფია" პირველად გამოიყენეს გერმანიაში, XIX საუკუნეში, ხოლო რუსეთში ვ. როზანოვმა 1899 წელს მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა იგი და მიუთითა ამ სფეროში კვლევა–ძიების ჩატარების აუცილებლობის შესახებ. 1923 წელს რუსეთში გამოიცა პედაგოგისა და ფილოსოფოსის ს. გესენის წიგნი „პედაგოგიკის საფუძვლები, გამოყენებითი ფილოსოფიის შესავალი", რომელიც გასული საუკუნის პედაგოგიკის ერთ–ერთ საუკეთესო წიგნად ითვლება. ამ ნაშრომში ლაპარაკია განათლების ფილოსოფიის განვითარების აუცილებლობაზე. ავტორი მიუთითებს, რომ პედაგოგიკის ყველაზე კერძო საკითხებს ფილოსოფიური პრობლემები უდევს საფუძვლად, ხოლო სხვადასხვა პედაგოგიურ მიმდინარეობებს შორის წინააღმდეგობები ფილოსოფიურ შეხედულებებს შორის ბრძოლის გამოხატულებაა. ამდენად, ნებისმიერ პედაგოგიურ პრობლემას, ფილოსოფიური ძირები აქვს, – აღნიშნავდა ს. გესენი და კვლავ ახსენებდა საზოგადოებას, რომ პედაგოგიკა ფილოსოფიის წიაღში იშვა. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში (პლატონი, სოკრატე, არისტოტელე, დემოკრიტე, კონფუცი, კვინტილიანე) და შემდგომ ეპოქებში (კანტი, ჰეგელი) სწორედ ფილოსოფიური კანონების და კანონზომიერებების საფუძველზე მოხერხდა პედაგოგიკის თეორიის აღმოცენება და განვითარება.

XX საუკუნის 20 – იანი წლების შემდეგ ყოფილ საბჭოთა კავშირში განათლების ფილოსოფიის მიმართ ინტერესმა იკლო. მხოლოდ 70–80 იან წლებში დაიწყო ამ მიმართულებით ნაწილობრივი გააქტიურება, თუმცა გამოქვეყნებულ შრომათა

უმრავლესობა დასავლეთში გამოქვეყნებული სტატიებისა და წიგნების კრიტიკას ეძღვნებოდა.

XX საუკუნის 20 – იან წლებში ამერიკელმა მეცნიერმა ჯ. დიუიმ გამოსცა წიგნი „აღზრდის ფილოსოფია", ხოლო 40 – იან წლებში კოლუმბიის უნივერსიტეტში შეიქმნა განათლების ფილოსოფიის საზოგადოება, რომელმაც შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა დაისახა მიზნად:

1. განათლების ფილოსოფიის საკითხების კვლევა;
2. თანამშრომლობა პედაგოგებსა და ფილოსოფოსებს შორის;
3. განათლების ფილოსოფიაში სასწავლო კურსების შექმნა;
4. აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო კადრების მომზადება;
5. საგანმანათლებლო პროგრამების ფილოსოფიური ექსპერტიზა.

აღნიშნულმა საზოგადოებამ მეტნაკლები წარმატებით გადაწყვიტა დასახული ამოცანები. გამოიცა მთელი რიგი წიგნები და სტატიები. შეიქმნა განათლების ფილოსოფიაში სასწავლო კურსები, რომლებსაც კითხულობდნენ ამერიკის, კანადისა და ევროპის უნივერსიტეტებში.

ყოფილ საბჭოთა კავშირში განათლების ფილოსოფიის პრობლემების კვლევა 90 – იანი წლებიდან გააქტიურდა. ამას ერთი მხრივ, ხელი შეუწყო არსებული ტოტალიტარული რეჟიმის რღვევამ, ამასთან ერთად, აღსანიშნავია იუნესკოს განსაკუთრებული როლი, რომელმაც განათლების განვითარების კონცეფციის შემუშავება XXI საუკუნის პრიორიტეტად გამოაცხადა. ამ პროგრამის ფარგლებში 1992 წელს გამოიცა წიგნი „XXI საუკუნის განათლების ფილოსოფია", რომელშიც თავმოყრილია აღნიშნული პრობლემისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მასალები. 1993 წელს განათლების ფილოსოფიის პრობლემათა კვლევას მიეძღვნა მოსკოვის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც ევროპელ მეცნიერებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

განათლების ფილოსოფიის მკვლევარები მყარად თანხმდებიან ორ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, თუ რისთვის უნდა გაღრმავდეს ამ მიმართულებით კვლევა–ძიება. ამათგან პირველია – XXI საუკუნის განათლების კონცეფციის

შემუშავებაში დახმარების აღმოჩენა შეუძლია სწორედ განათლების ფილოსოფიას, ხოლო მეორე – აღნიშნული პრობლემების დამუშავება ხელს შეუწყობს პოსტკომუნისტური ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას.

თვით ტერმინს „განათლების ფილოსოფიას" სხვადასხვა ინტერპრეტაციით განმარტავენ. მოვიტანთ უფრო მეტად გავრცელებულ დეფინიციებს:

- განათლების ფილოსოფია არის მეცნიერული პედაგოგიკა, რომელიც იგივეა, რაც განათლების თეორია;
- განათლების ფილოსოფია პედაგოგიკური მეცნიერების მეთოდოლოგიაა:
- განათლების ფილოსოფია იგივეა, რაც განათლების ზოგადი გააზრება;
- განათლების ფიოლოსოფია განათლებისკენ მობრუნებული ფილოსოფიაა:
- განათლების ფილოსოფია არის პედაგოგიკური სინამდვილის ანალიზის ინსტრუმენტი.

როგორც ვხედავთ, განათლების ფილოსოფიის მიმართ არსებული მიდგომები საკმაოდ განსხვავებულია. ეს ეხება, როგორც მეთოდოლოგიას, ისე განათლების პროცესის და სისტემის ერთიან გააზრებას.

განათლების ფილოსოფიის პრობლემათა მასშტაბურობა ნათლადაა დადასტურებული 1994 წელს ოქსფორდში (აშშ) გამოცემული განათლების 12 ტომიან ენციკლოპედიაში. მასში წარმოდგენილი სტატიების უბრალო დასახელებაც ნათლად მიუთითებს განათლების ფილოსოფიის მნიშვნელობაზე:

- კრიტიკული თეორია და განათლება;
- კრიტიკული აზროვნების ფილოსოფიური საკითხები;
- პედაგოგიური მართვა;
- განათლების ფილოსოფიის ისტორიული მიმოხილვა;
- განათლების ფილოსოფიის პერსპექტივები დასავლეთ ევროპაში;
- პოზიტივიზმი, ანტიპოზიტივიზმი და ემპირიზმი განათლებაში;
- პედაგოგიკური კვლევების ფოლოსოფიური საკითხები;

- მასწავლებლის მომზადება, როგორც ფილოსოფიური პრობლემა.

ამდენად, ევროამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში აქტიურად იკვლევენ განათლების და პედაგოგიკის ფილოსოფიურ პრობლემებს. მათ მიერ განიხილება, როგორც კონკრეტული და კერძო საკითხები, ისე ზოგადი და გლობალური პრობლემებიც.

განათლების ფილოსოფიის პრობლემათა კვლევა–ძიების თვალსაზრისით გარკვეული მცდელობები ჰქონდათ XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეებს (ს. დოდაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე), ხოლო XX საუკუნის პირველ ნახევარში სერიოზული შრომები შექმნეს დ. უზნაძემ, შ. ნუცუბიძემ, კ. ბაქრაძემ და სხვებმა, მაგრამ ტოტალურმა სახელმწიფო სისტემამ ხელი შეუშალა ამ სფეროს ბუნებრივ განვითარებას.

1997 წელს საქართველოში პირველად გამოვიდა რ. ბალანჩივაძის და ვ. ასათიანის მონოგრაფია „პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები", რომელშიც გაანალიზებულია პედაგოგიკისა და ფილოსოფიის ურთიერთობის პრობლემები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასახელებულ ნაშრომში განხილულია მხოლოდ აღზრდის ფილოსოფიური საფუძვლები და ცალკე მსჯელობა არ არის პედაგოგიკის სხვა კატეგორიებზე, თუმცა ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ავტორები აღზრდას განიხილავენ ფართო გაგებით და მასში განათლებასაც გულისხმობენ.

დეფინიციებზე მსჯელობისას დასახელებული წიგნის ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ფილოსოფია არის მსოფლმხედველობა და არც ერთი სხვა სპეციალური მეცნიერება არ არის მსოფლმხედველობა. რადგან პედაგოგიკაც სპეციალური მეცნიერებაა, იგი მსოფლმხედველობა არ არის, სამაგიეროდ პედაგოგიკა არის მეცნიერება, რომელიც წარმართავს ადამიანის მსოფლმხედველობრივი ფორმირების პროცესს, ეძებს იმ ხერხებს და საშუალებებს, რომლითაც უნდა მოხდეს ადამიანის ამგვარი თუ იმგვარი მსოფლმხედველობრივი ფორმირება. ჩვენი აზრით, ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ფილოსოფიას განათლებასთან, უპირველესად, სწავლების პროცესი ყველაზე ნათლად შემეცნებასთან მიმართებაში

გამოიხატება. თუმცა განათლების ფილოსოფიის პრობლემატიკა მრავალმხრივია. მათგან უფრო აქტუალურად მიგვაჩნია განათლების ფილოსოფიის ის პრობლემები, რომელთა გავლენა განსაკუთრებულია თანამედროვე განათლების მდგომარეობაზე. ასეთებია:

- რელიგია და მეცნიერება თანამედროვე განათლებაში;
- იდეოლოგია და განათლება;
- განათლება როგორც კაცობრიობის გადარჩენის სოციალური მექანიზმის შემადგენელი ნაწილი;
- განათლების მიზანი და შინაარსის ფორმირების ფილოსოფიური საფუძველი;
- სამოქალაქო აღზრდის სოციალურ–ფილოსოფიური პარადიგმა;
- განათლების ბუნებისშესაბამისობის და კულტურისშესაბამისობის ფილოსოფიური საფუძვლები;
- თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემების განვითარების ფილოსოფიური პრობლემები;
- სოციალური შეკვეთის როლი განათლებაში;
- ღირებულების სისტემა განათლებაში.

პედაგოგიკის ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობისას, მართებულად შენიშნავენ, რომ „აუცილებელია პედაგოგიკა თავისუფლად ოპერირებდეს ისეთი ცნებებით, როგორიცაა „სუბიექტი” და „ობიექტი”, „გონი” და „ღირებულება”, „ცნობიერება” და „თვითცნობიერება”, „კულტურა” და „ცივილიზაცია”, „თავისუფლება” და „პასუხისმგებლობა”, „მოტივი” და „საზრისი” და ა. შ. ეს ცნებები ფილოსოფიაში უკვე კარგა ხანია გარკვეულია. პედაგოგიკა კი მათ მიმართ რატომღაც ნაკლებ ინტერესს იჩენს, რაც, ცხადია, მისთვის უფრო საზიანოა, ვიდრე სასარგებლო, – აღნიშნავენ წიგნის ავტორები (3. 46).

ამდენად, განათლების ფილოსოფიის ჩარჩოებში შესაძლებელია, როგორც კერძო, ის ზოგადი ხასიათის პრობლემათა გადაწყვეტა. განათლების ფილოსოფია არის განათლების შესახებ შეხედულებათა განზოგადებაც და რეფლექსიაც. იგი განათლების პრობლემის გააზრება და ფილოსოფიური ანალიზია, მაგრამ, ამავე დროს, ის განათლების შესახებ განზოგადებულ შეხედულებებსაც

წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, განათლების ფილოსოფიის ჩარჩოებში შესაძლებელია მოექცეს განსაზღვრული ხასიათის მეცნიერული ცოდნის ელემენტები, მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს საგანთაშორისი კავშირებიდან, ფუნდამენტური ცოდნის სფეროდან; კანონზომიერების, პრინციპების, მეტნაკლებად არსებითის და ძირითადი საფუძვლების ცოდნის სფეროდან გამომდინარე. ასეთი ცოდნა სისტემატურად და სტრუქტურირებულად ითვლება. იგი მრავალმხრივია და ფუნქციურად ურთიერთგანპირობებული. სწორედ ასეთი ცოდნა ითვლება განვითარებად ცოდნად, რაც განათლებისა და სწავლების ძირითადი პირობაა.

განათლების ფილოსოფია განიხილავს და იკვლევს განათლების ტენდენციებს და ფუნდამენტურ კატეგორიებს, მის პარადიგმას, ადამიანის მდგომარეობას და ტრანსფორმაციას განათლების გავლენით.

თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით გამოყოფენ განათლების ფილოსოფიის ხუთ ძირითად ფუნქციას. ესენია:

- შემეცნების ფუნქცია;
- ახსნა–განმარტებითი ფუნქცია;
- დიაგნოსტიკური ფუნქცია;
- პროგნოზირების ფუნქცია;
- საგანმანათლებლო ფუნქცია.

ზოგიერთ შემთხვევაში განათლების ფილოსოფია მეთოდოლოგიურ და ინტეგრაციულ ფუნქციებსაც ასრულებს.

განათლების ფილოსოფია არა მარტო აყალიბებს და ასახავს პედაგოგიურ აზროვნებას, არამედ წარმოაჩენს მოცემულ ეპოქაში მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიმართებას განათლებასთან. იგი ითვალისწინებს ამა თუ იმ ეპოქის ადამიანის მოთხოვნილებებს და განვითარების შესაძლებლობებს.

სხვადასხვა ეპოქაში განათლების ფილოსოფიის იდეების გამომხატველები იყვნენ კაცობრიობის უდიდესი მოაზროვნეები: დემოკრიტე, სოკრატე, პლატონი, არისტოტელე, კონფუცი, კვინტილიანე, ი. კომენსკი, ჯ. ლოკი, ჟ. ჟ. რუსო, ა. დისტერვეგი, ი. პესტალოცი, ი. ჰერბარტი, ი. კანტი, კ. უშინსკი, ლ. ტოლსტოი. განათლების ფილოსოფიას საქართველოში გარკვეული საფუძველი შეუქმნეს გიორგი მთაწმინდელმა, იოანე პეტრიწმა, სულხან-საბა ორბელიანმა, დ. გურამიშვილმა,

ს. დოდაშვილმა, ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ნ. ნიკოლაძემ, დ. უზნაძემ, შ. ნუცუბიძემ, კ. ბაქრაძემ და სხვებმა.

განათლების ფილოსოფიას აქვს თავისი წყაროები, ასეთებია: სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემათა ისტორიული გამოცდილება; კულტურის, ფილოსოფიის, მეცნიერებისა და ტექნიკის ფუნდამენტური მიღწევები; ადამიანისა და მისი განვითარების შესახებ ყოველგვარი ცოდნა; ცივილიზაციისა და რელიგიური მსოფლაღქმის შესახებ ცოდნა. როგორც ჩანს, მიდგომები მრავალმხრივია, დაწყებული მეთოდოლოგიური საფუძვლებით და დამთავრებული განათლების პროცესის და სისტემის კონცეპტუალური გააზრებით.

ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში განათლების ფილოსოფიამ უნდა იმსჯელოს შემდეგი პრობლემების გადაჭრაზე:

- განათლების სისტემაში არსებული კრიზისის ანალიზი, მიზეზები და მისგან გამოსვლის გზები;
- განათლების განვითარების კანოზომიერებები (წარსული, აწმყო, მომავალი);
- სასწავლო–აღმზრდელობით საქმიანობაში ფუნდამენტური ტექნოლოგიური პროცესების გავლენა და მათი ფილოსოფიური გააზრება;
- კულტურას ზიარებული ადამიანის საქმიანობის თავისებურებათა გამოვლენა და გააზრება, კულტურის ფართო მნიშვნელობით.

განათლების ფილოსოფიის სპეციფიკური პრობლემები კიდევ ბევრია, რომელთა გადაჭრაზე დიდადაა დამოკიდებული გლობალიზაციის პირობებში საგანმანათლებლო სივრცის განვითარება და პიროვნებაზე ორიენტირებული განათლების სისტემის ფუნქციონირება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ისიც შეიძლება ითქვას, რომ განათლების ფილოსოფია არის შედარებით დამოუკიდებელი მეცნიერულ – ფილოსოფიური ცოდნის სისტემა, რომელიც ფილოსოფიისა და მეცნიერების მიჯნაზე მდებარეობს.

განათლების ფილოსოფია არსებობს არა მარტო მისი ფართო გაგებით (საზოგადოებრივი შეგნება), არამედ კონკრეტული ადამიანის პიროვნულ დონეზე, რომელიც მის განათლებასთან მიმართებაში გამოიხატება. ხოლო, რამდენად

გახდება პიროვნული პოზიცია საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, პირველ რიგში, თვით ადამიანის პიროვნებაზეა დამოკიდებული.

განათლების ფილოსოფია განიხილება აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენების კვალდაკვალ. თვით იდეა განათლების ფილოსოფიის შესახებ, ზოგჯერ თავისებურად გარდაისახება განათლების იდეოლოგიაში. განათლების იდეოლოგია გავლენას ახდენს განათლების პოლიტიკაზე, ხოლო განათლების პოლიტიკას სახელმწიფო განსაზღვრავს. განათლების პოლიტიკა დამოკიდებულია განათლების თეორიასთან, რომელიც თავის მხრივ კავშირშია განათლების პრაქტიკასთან. ამრიგად, შესაძლებელია ცნებების მთელი ჯაჭვი წარმოვიდგინოთ, რომლებიც განაპირობებენ და დამოკიდებულნი არიან ურთიერთზე. აქვე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ განათლების ფილოსოფიამ შეიძლება იმგვარად დაამყაროს კავშირი განათლების თეორიასთან, რომ ნაწილობრივ გვერდი აუაროს იდეოლოგიას და პოლიტიკას.

ამდენად, განათლების ფილოსოფია მოიცავს როგორც მეთოდოლოგიურ პრობლემებს, ისე განათლების მთლიან გააზრებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ტერმინი განათლების ფილოსოფია შედგება მეცნიერული პედაგოგიკის (განათლების თეორიის), პედაგოგიკურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის, განათლების საერთო გააზრების და პედაგოგიური სინამდვილის ანალიზის ინსტრუმენტებისგან. სხვა სიტყვებით, მათ რიცხვში უნდა ჩაითვალოს პედაგოგიკა და ანდროგოგიკაც, მაგრამ სულ სხვა განზომილებით და იგი უთუოდ ფილოსოფიური განზომილება იქნება.

კითხვები და დავალებები:

1. როდის და სად ჩაეყარა საფუძველი განათლების ფილოსოფიას ?
2. რა მიზნებს ისახავდა XX საუკუნის 40 – იან წლებში აშშ–ში შექმნილი განათლების ფილოსოფიის საზოგადოება ?
3. თანამედროვე პირობებში რა პრიორიტეტებია გამოკვეთილი განათლების ფილოსოფიის სპეციალისტების მიერ ?

4. წარმოდგენილი დეფინიციებიდან, განათლების ფილოსოფიის რომელი განმარტებაა თქვენთვის უფრო მისაღები და რატომ ?
5. ჩამოაყალიბეთ განათლების ფილოსოფიის ერთი პრობლემა, რომელიც აქტუალურად მიგაჩნიათ დღესაც, დაასაბუთეთ მიზეზი.
6. ჩამოაყალიბეთ განათლების ფილოსოფიის ფუნქციები, ახსენით მათი მნიშვნელობა.

1.6. განათლების ფსიქოლოგიის საკითხები

პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლი ფსიქოლოგიას განეკუთვნება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ფსიქოლოგია ძირეულად ინტერესდება ადამიანის აღზრდა-განვითარებით. თუმცა, მარტო ამით არ ამოიწურება საგანმანათლებლო პროცესებისადმი ფსიქოლოგიის ინტრესები. სწორედ ამის დასტურია **განათლების ფსიქოლოგიის**, როგორც ცალკე მიმართულების ჩამოყალიბება, რომელიც აღზრდა–განათლებისა და სწავლების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს სწავლობს.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის კავშირებს ფსიქოლოგიასთან ისეთივე თავისებურებები ახასიათებს, როგორც ზოგადი პედაგოგიკის ურთიერთობას ამ საგანთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, სრულად უნდა გავიზიაროთ დიდი ქართველი მეცნიერის დ. უზნაძის მოსაზრება, რომელიც წერდა: „ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის ურთიერთობა ორი დამოუკიდებელი მეცნიერების ურთიერთობაა: ფსიქოლოგია მხოლოდ ფსიქოლოგიურ კვლევას აწარმოებს და პედაგოგიკა – პედაგოგიკურს. დახმარება, რომელსაც ფსიქოლოგია უწევს პედაგოგს, პრინციპულად შეიძლება მხოლოდ იმაში მდგომარეობდეს, რომ ჯერ ერთი, (ფსიქოლოგია) სწორ ფსიქოლოგიურ ცნობებს აწვდის პედაგოგს, რომელსაც საზოგადოდ, ფსიქიკასთან აქვს საქმე, და რომლისთვისაც ასეთი ცნობები ყოველთვის აუცილებელია, და მეორე, იმ საკითხების ფსიქოლოგიურ მასალას ამზადებს, რომელიც სწორედ პედაგოგიკის უშუალო ინტერესებს ეხება, მაგრამ მეორის მხრივ პედაგოგიკაც უწევს დახმარებას ფსიქოლოგიას:

პედაგოგიური ზეგავლენის წარმატებითი პრაქტიკა და მისი სწორი თეორია ადამიანის ფსიქიკური განვითარების საფუძვლებს გვაცნობენ და ამით ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობენ. ფსიქოლოგია და პედაგოგიკა ორი დამოუკიდებელი მეცნიერებაა, მაგრამ ისინი მოწყვეტილი როდი არიან ურთიერთს: ისინი ეხმარებიან და ავსებენ ერთმანეთს" (33. 351-352).

ფსიქოლოგია დამოუკიდებლად იკვლევს ზოგადად ფსიქიკასთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემებს, როგორიცა: შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, მეხსიერება, ნებისყოფა, ჩვევა, აზროვნება, მეტყველება და სხვა, მაგრამ განათლების ფსიქოლოგიას ეს საკითხები აინტერესებს მხოლოდ სწავლა–განათლებასთან მიმართებაში.

განათლების ფსიქოლოგია საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეთა ფსიქიკური პროცესების შემსწავლელი მეცნიერებაა, რომელიც ფსიქოლოგიური და პედაგოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით აყალიბებს შესაბამის რეკომენდაციებს ამ პროცესების განვითარების მიზნით.

განათლების ფსიქოლოგია კონცენტრირებულია განათლების თეორიის ძირითად ცნებებზე: სწავლებაზე და სწავლაზე.

სწავლება რთული პედაგოგიური პროცესია და მის ეფექტურობაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პიროვნება და სპეციალისტი ჩამოყალიბდება. სწავლების პროცესში წარმატება დიდადაა დამოკიდებული, პირველ რიგში, მისი არსის მართებულ გააზრებასთან. ხშირად სწავლების პროცესის არსებული განსაზღვრებები მიუთითებენ სწავლის პროცესის ზოგიერთ თავისებურებაზე, მის შედეგებზე, მაგრამ არ იძლევიან საფუძვლიან წარმოდგენას იმ ცოდნაზე, რაც თანამედროვე მეცნიერებამ დააგროვა სწავლებისა და სწავლის შესახებ. ქართველი ფსიქოლოგი ა. ფრანგიშვილი გამოყოფდა სწავლების პროცესის საფეხურებს: „სწავლა პირველ და ძირითად საფეხურზე უჩვეულოს, გაუგებარის, უცხოს მიმართ გაკვირვებით, განცვიფრებით იწყება, ე. ი. სწავლა იწყება სწავლის ამოცანის (საკითხის) წამოჭრით. აქედან გამოდინარეობს სიტუაციის გარკვევის და ამოცანის გადაჭრის განზრახვის წარმოშობის საფეხური. სწავლის შემდგომ

საფეხურად მიჩნეულია სწავლის მიზნის, სწავლის ამოცანის განხორციელების შესრულება. საგანმანათლებლო სწავლის მკვლევარები სწავლის დამამთავრებელ და დამასრულებელ საფეხურად თვლიან მიღებული ცოდნის განმტკიცებისა და დამახსოვრების ეტაპს", – აღნიშნავდა პროფესორი ა. ფრანგიშვილი (37. 30). მკვლევარის მიერ გამოყენებული ტერმინი „საგანმანათლებლო სწავლა" იგივეა, რაც დღევანდელი გაგებით „განათლების ფსიქოლოგია".

გარკვეული თავისებურებების გათვალისწინებით, ასეთივე მიდგომები შეიძლება გავავრცელოთ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაზე. სწავლება შემოქმედებითი საქმიანობაა, იგი საგანგებოდ ორგანიზებული ისეთი პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური პროცესია, რომელიც სტუდენტთა ცოდნა–ჩვევების განვითარებას ემსახურება. სტუდენტის უნარ–თვისებათა განვითარება და ცოდნა-ჩვევებით გამდიდრება უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა სასწავლო თანამშრომლობით ხორციელდება. ასეთი თანამშრომლობის წარმმართველი მისია უნივერსიტეტის პროფესორმა უნდა შეასრულოს. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს სასწავლო მენეჯმენტის ეფექტურად განხორციელება, რომელშიც არანაკლები ადგილი სტუდენტის მოტივაციას, ინტერესს, განწყობას, მეხსიერებას და სხვა ფაქტორებს უჭირავს.

განათლების ფსიქოლოგიაში წამყვანი ადგილი პროფესორისა და სტუდენტის ფსიქოლოგიის შესწავლას განეკუთვნება. როგორც ითქვა, სტუდენტის შემეცნებითი ინტერესების გააქტიურებაში უმთავრესია საგანმანათლებლო პროცესის ორივე მონაწილის – პროფესორისა და სტუდენტის თანამშრომლობა. განათლების ფსიქოლოგია იკვლევს სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე სწავლის მოტივაციას და ინტერესს. დადგენილია, რომ სტუდენტის შეგნებული დამოკიდებულება და აქტივობა სწავლისადმი იზრდება მაღალ კურსებზე, მაგრამ უკუპროცესებიც არ არის გამორიცხული. ასეთი რამ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, თუ სათანადო დონეზე არ დგას აკადემიური პერსონალი, ანუ სწავლების ხარისხი იმდენად დაბალია, რომ სტუდენტი მის მიმართ ყოველგვარ ინტერესს კარგავს. შესაძლებელია წარუმატებლობის მიზეზი პროფესორთა და სტუდენტთა

პიროვნული შეუთავსებლობა გახდეს. ამდენად, საკითხის დასმა მარტო იმის შესახებ, რომ სტუდენტის წარუმატებლობა სწავლის მოტივაციის უქონლობის ან უბრალოდ სიზარმაცის ბრალი იყოს, ყოველთვის არ არის გამართლებული. სასწავლო ქცევა ინტელექტუალური საქმიანობის სფეროა და მასზე მრავალი ფსიქიკური გარემოება ახდენს გავლენას.

როგორც ითქვა, სწავლაში უმთავრესი მოტივაციაა, თუმცა განათლების ფსიქოლოგიაში მარტო ამ ჭეშმარიტების დეკლარირებით არ შემოიფარგლებიან და შეუძლიათ განსაზღვრონ ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ მოტივაციურ პროცესებზე. ამასთან ერთად, შესაძლებელია დავეუფლოთ მოტივაციის გაძლიერების სტრატეგიებს. აქ უმთავრესია, პროფესორის სამუშაო არსენალში კარგად იყოს გაცნობიერებული ისეთი ცნებების მნიშვნელობა, როგორიცაა: *მოტივი, მოთხოვნილება, შინაგანი მოტივი, ჰეტეროგენული* და *ჰომოგენური მოტივები, ლატენტური სწავლა, შფოთვა* და *სხვა.*

განათლების ფსიქოლოგია იკვლევს უნარ–ჩვევების და პრობლემათა გადაჭრის სტრატეგიების ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ამ თვალსაზრისით, პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს ის, რომ პროფესორმა გააცნობიეროს სწავლისადმი შემოქმედებითი მიდგომის პრინციპების მნიშვნელობა. ამის კვალდაკვალ ყალიბდება შემოქმედებითი ატმოსფერო, რაც სტუდენტთა აქტივობაში გამოიხატება. გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებები შემოქმედებითი აზროვნების განვითარების პირობებში. როგორც მოტივაციის შემთხვევაში ითქვა, აქაც დაგვჭირდება ისეთი ცნებების არსში წვდომა, როგორიაცაა: *ინტელექტი, კრეატულობა, აზროვნება, მეტაკოგნიცია, გენერალიზაცია.*

ზოგადად, საგანმანათლებლო საქმიანობა ყველაზე ახლოსაა კვლევით საქმიანობასთან. ხოლო უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში კვლევითი უნარების ფორმირება ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანადაა მიჩნეული. ამ სფეროში ნებისმიერი წარმატება წარმოუდგენელია „მასწავლებელ–მკვლევარის" როლის გაცნობიერების გარეშე. გარდა ამისა, კვლევით საქმიანობაში აუცილებელია ვიცოდეთ და აქტიურად ვიყენებდეთ *მაფორმირებელ ექსპერიმენტს, საკონტროლო* და

ექსპერიმენტულ ჯგუფებს, ვალიდობას, კორელაციურ კვლევას და სხვა ფსიქოლოგიურ კომპონენტებს, რომელთა გამოყენება მასწავლებელ–მკვლევარისთვის, რომელ საგანსაც არ უნდა ასწავლიდეს იგი, მაინც უმნიშვნელოვანესია.

უმაღლესი სასწავლებლის კონტინგენტი მნიშნელოვნად განსხვავდება უფროსკლასელთა აზროვნებისგან, რაც ძირითადად განაპირობებს უმაღლესი სასწავლებლის მუშაობის მიმართულებას. სტუდენტის აზროვნება დამოუკიდებელ და შემოქმედებით ხასიათს ატარებს. მათი აზროვნება განზოგადებისა და აბსტრაქციის მაღალი დონით გამოირჩევა. მიზეზ–შედეგობრივი კავშირების აღმოჩენისა და ლოგიკური დასაბუთების უნარი აშკარდ გამოხატულია. სკოლაში მიღებულ ცოდნას აქტიური საბაზისო დატვირთვა ეძლევა უმაღლესი განათლების საწყის ეტაპზე. სტუდენტს უჩნდება პრობლემური აზროვნების ინტერესი, რაც მეცნიერული აზროვნების განვითარებისთვის კარგი სასტარტო პირობა შეიძლება აღმოჩნდეს, თუ მას სწორად წარვმართავთ. სტუდენტობის ასაკში მთლიანად იშლება განსხვავება შემეცნებითი ინტერესების თვალსაზრისით სქესთა შორის. როგორც ცნობილია, უფროს სასკოლო ასაკში გოგონები გაცილებით ბეჯითები არიან, ვიდრე ვაჟები (11. 360). აღნიშნული გარემოებები სასწავლო პროცესის წარმატებით გაძღოლის საფუძველს იძლევა, თუმცა ამისთვის სხვა ფაქტორებთან ერთად სტუდენტის ფსიქოლოგიის ცოდნაცაა საჭირო.

კითხვები და დავალებები:

1. რა კავშირია პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიას შორის ?
2. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რა საფეხურებს გაივლის სწავლის პროცესი ?
3. დაახასიათეთ სწავლის მოტივი და მისი ნაირსახეობები.
4. ისაუბრეთ პროფესორსა და სტუდენტს შორის შესაძლო წინააღმდეგობებზე.

1.7. განათლების თეორიები და მეთოდოლოგიური პრინციპები

განათლება და სწავლა შემეცნების პროცესზე დაფუძნებული პროცესებია, ამიტომ მის არსში წვდომისთვის აუცილებლად ფილოსოფიის მონაპოვრებს უნდა მივმართოთ. ამ თვალსაზრისით, ფილოსოფიამ, კერძოდ კი შემეცნების თეორიამ ანუ გნოსეოლოგიამ დიდი ხანია ჩამოაყალიბა შესაბამისი კანონზომიერებები, რომლის თანახმად, შემეცნება ხორციელდება სუბიექტის ობიექტთან მიმართების პროცესში. სუბიექტი არის ის, ვინც იმეცნებს, ხოლო ობიექტია ის, რასაც იმეცნებენ. შემეცნება კონკრეტულ – ისტორიული პროცესია, რომელიც განიცდის მუდმივ ცვალებადობას. ადამიანს სინამდვილე მთლიანად არასოდეს ეძლევა, რადგან იგი უსაზღვრო და უკიდეგანოა, იგი შეიმეცნებს მხოლოდ მისთვის მისაწვდომს.

არსებობს ადამიანის სამყაროსთან მიმართების რამდენიმე სახე, ესენია: პრაქტიკული, ემოციური, აქსიოლოგიური და თეორიული. ამათგან განათლების თეორიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი უკანასკნელი სახე ანუ სამყაროსთან ადამიანის მიმართების თეორიული ასპექტია, რადგან სწორედ თეორიული მიმართების პროცესში ცდილობს ადამიანი, გაარკვიოს მისთვის საინტერესო საგნის ან მოვლენის არსი, რომლის შედეგად ყალიბდება ადამიანის ანუ სუბიექტის თეორიული მიმართება ობიექტთან, რაც ცოდნას ნიშნავს. თუმცა მარტო შემეცნების თეორიის მომარჯვება არაა საკმარისი სინამდვილის შემეცნებისა და სწავლა-განათლებისთვის. მთავარია, რა პოზიციიდან, რომელი საწყისიდან ანუ რომელი თეორიიდან ეცდები მიზნის მიღწევას. ამის მიხედვით პედაგოგიკაში იყენებენ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და პრინციპებს. ასეთებია: ეგზისტენციალიზმი, პრაგმატიზმი, იდეალიზმი, მატერიალიზმი, ნეოთომიზმი, ნეოპოზიტივიზმი, ონტოლოგია და სხვა. აღნიშნული ფილოსოფიური თეორიებიდან გზადაგზა აღმოცენდნენ თანამედროვე განათლების თეორიები.

ამჟამად მეტნაკლები პოპულარობით სარგებლობენ განათლების თეორიები: პერენიალიზმი (უახლოვდება

ნეოთომიზმს), ესენციალიზმი (წარმოიშვა იდეალიზმიდან და რეალიზმიდან), პროგრესივიზმი (წარმოიშვა პრაგმატიზმიდან), რეკონსტრუქციონიზმი (წარმოიშვა პრაგმატიზმიდან), (25. 270-291).

რაც შეეხება მეთოდოლოგიურ პრინციპს, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეცნიერების ამა თუ იმ დარგში. მათი ფუნქცია უფრო გამოკვეთილია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

მეთოდოლოგიური პრინციპი აფუძნებს ერთიან მოთხოვნებს ადამიანის ქცევისა და მოღვაწეობის მიმართ. იგი რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მსოფლმხედველობის ამოსავალი დებულებაა, რომელიც განაპირობებს ადამიანის მიმართებას სინამდვილისადმი, მისი ქცევისა და მოღვაწეობის პროცესში. ამდენად, პრინციპი არის სახელმძღვანელო დებულებათა ერთობლიობა, რომელიც საფუძვლად ედება ადამიანის მოღვაწეობას და განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მის მიმართულებასა და ინტენსივობაზე.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში გამოყოფენ შემდეგ **მეთოდოლოგიურ პრინციპებს**: აქსიოლოგიური, კულტუროლოგიური, ანთროპოლოგიური, ჰუმანისტური, სინერგეტული, ჰერმენევტული და ვალეოლოგიური პრინციპები.

საუკუნეთა განმავლობაში განათლების პრობლემების კვლევისას პედაგოგებს უხდებოდათ აღზრდა-განათლების სფეროში წამოჭრილ პრობლემებზე პასუხის გაცემა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ფილოსოფია, პირველ რიგში, არის მსოფლმხედველობა, რომელიც საფუძველთა-საფუძველია ადამიანთმცოდნეობის ყველა დარგისთვის, მათ შორის პედაგოგიკისათვის, რომელიც, ასევე ფილოსოფიის წიაღში აღმოცენდა.

თანამედროვე პედაგოგიკას და მის ახალ დარგს– უმაღლესი სკოლის პედაგოგიკას, ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური პრინციპები მყარ საფუძველს აძლევს იმისათვის, რომ გლობალურად იქნეს გააზრებული განათლების, აღზრდის და განვითარების ფილოსოფიურ–პედაგოგიკური პრობლემები.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის მეთოდოლოგიური პრინციპები მოკლედ ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

აქსიოლოგია (ბერძ. axia – ღირებულება, logos – მოძღვრება) არის მოძღვრება ფასეულობების შესახებ. მისი მიზანია

ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის ღირებულებითი გამოკვლევა. ამ თეორიით სიცოცხლის და ისტორიის საზრისი, შემეცნების მიმართულება, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართება შესაძლებელია აიხსნას მხოლოდ ღირებულებითი მიდგომებით. ადამიანის და საზოგადოების ღირებულებები და მათი ურთიერთმიმართება სამყაროს მამოძრავებელი მოვლენებია და ამდენად, მათი ახსნა განათლების მენეჯმენტისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

კულტუროლოგიური პრინციპი უნიკალური ნაირსახეობაა წარმოდგენილ მეთოდოლოგიურ პრინციპთა შორის. უკანასკნელ პერიოდში ტერმინით „კულტურა" მოიხსენებენ ადამიანური მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს, ზოგჯერ მას მთელი ხალხებისა და ცივილიზაციების მახასიათებლადაც იყენებენ. განათლების მენეჯმენტის თვალსაზრისით, აღნიშნულ პრინციპში მოიაზრებენ ურთიერთობის კულტურას, მართვის კულტურას, პროფესიულ კულტურას, ზნეობრივ კულტურას და ა. შ. მეცნიერთა დასკვნებით, თანამედროვე პირობებში, გამოყოფენ კულტურის 200 – ზე მეტ განსაზღვრებას, თუმცა იმაზე ყველა თანხმდება, რომ კულტურა ადამიანური მოღვაწეობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური, საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული, ისტორიულად ჩამოყალიბებული საქმიანობის და ქცევის ერთიანობაა, რომელიც ადამიანის განვითარების მთავარი იმპულსია, რომელიც გარკვეულწილად გამოხატავს ადამიანური ბუნების „გაადამიანურებას".

კულტურის ფენომენი უშუალოდაა დაკავშირებული აღზრდა-განათლების თეორიასთან და გავლენას ახდენს მის კატეგორიებზე, ისე როგორც თვით აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარება განაპირობებს პიროვნებისა და საზოგადოების კულტურას.

ადამიანის მაღალი კულტურის უნიკალური მაჩვენებელია, მისი უნარი და მუდმივი სწრაფვა – თვითგანათლების, თვითაღზრდისა და თვითგანვითარებისაკენ.

ანთროპოლოგიური პრინციპის ანუ ადამიანის შესახებ მეცნიერული მონაპოვრების საფუძველზე განიხილება ადამიანის ცოდნა და საგანმანათლებლო სისტემის განვითარება. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის სინთეზს, კერძოდ,

კვლევების ჩატარებას მედიცინაში, ფიზიოლოგიაში და განათლების თეორიაში. მეცნიერები ბიოსოციალური პედაგოგიკის ჩამოყალიბების ვარაუდსაც გამოთქვამენ. ანთროპოსოფიური სკოლის წარმომადგენლები ადამიანის ბიოფიზიოლოგიურ ნიშნებსა და გარეგნულ ფიზიკურ აგებულებაში ხედავდნენ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ერთ-ერთ საფუძველს. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით იტალიელმა ჩეზარე ლომბროზომ იურისპრუდენციაში თეორიაც კი განავითარა.

ამჟამად ანთროპოლოგიურმა პრინციპმა ფართო გავრცელება ჰპოვა. აშკარდ გამოკვეთილია ანთროპოლოგიური პედაგოგიკის ნიშნები, რომელიც არ შემოიფარგლება ადამიანის მარტო ბიოლოგიური და ფიზიკური მახასიათებლებით. მასში ამ ფაქტორებთან ერთად უდიდესი ყურადღება ეთმობა ადამიანის სულიერ სამყაროს და მის ფსიქიკას (რ. შტაინერი, ჯ. დიუი, ს. ფრენე, მ. მონტესორი). ანთროპოსოფიამ მიზნად დაისახა ადამიანის სხეულის, სულის და გონების კომპლექსური შესწავლა. ამ პრიციპებს ეფუძნება ცნობილი ვალდორფის სკოლის მუშაობა.

ჰუმანისტური პრინციპი განათლების სფეროსთვის ყოველთვის სისლხორცეულ მიმართულებას წარმოადგენდა, მაგრამ თანამედროვე პირობებში უმაღლესი სკოლის პედაგოგიკისა და განათლების მენეჯმენტისთვის, როცა რეალობად იქცა ღია განათლების სისტემის ფორმირება, უმნიშვნელოვანესი და ტევადი გახდა ამ პრინციპის როლი. ჰუმანისტური მეთოდური პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს მოსწავლისა და მასწავლებლის პიროვნული თავისებურებებისა და ინტერესების გათვალისწინებას, მათ ჰარმონიზაციას.

ის გარემოება, რომ ღია განათლების სისტემის სიკეთით შესაძლებელია ისარგებლონ ინვალიდებმა და ფიზიკური დეფექტის მქონე მოქალაქეებმა, დროებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფმა პირებმა და სხვა კატეგორიის ადმიანებმა, აშკარად მეტყველებს ამ პრინციპის რეალურ მოქმედებაზე.

ამ პრინციპს სხვათაგან ისიც გამოარჩევს, რომ თვით სწავლება ჰუმანური აქტია, ამდენად, ეს პრინციპი თავისი

ბუნებითაც შეესაბამება პედაგოგიურ პროცესს, რომელიც თავისთავად ჰუმანიზმის განხორციელებაა.

ღია განათლების სიტემა არ აწესებს სწავლისათვის რაიმე ბარიერს. სტუდენტი აქ სხვა საგანმანათლებლო სისტემებთან შედარებით, ყველაზე მეტად თავისუფალია და თავად განაგებს ისეთ საკითხებს, რაც სხვაგან გარკვეულ რეგლამენტაციას ექვემდებარება. სწორედ აღნიშნული გარემოებები, პროფესიის დაუფლების და პიროვნების ჰარმონიული განვითარების წინაპირობები აქცევს ღია განათლების სისტემას კომფორტულსა და მიმზიდველს, რაც ჰუმანისტური პრინციპის რეალური ხორცშესხამაა.

სინერგეტიკული პრინციპის მიმდევრები მთავარ აქცენტს ღია სისტემების შესწავლაზე აკეთებენ, რომელსაც თვითმმართველობის, თვითორგანიზაციისა და თვითგა-ნათლების პოზიციიდან განიხილავენ. ეს პრინციპი ღია განათლების ბაზისური პრინციპია.

სინერგეტიკა (ძვ. ბერძ. – შემწეობა, თანამშრომლობა) სამეცნიერო მიმდინარეობაა, რომელიც შეისწავლის კავშირებს, სტრუქტურებს (ქვესისტემებს) შორის, რომლებიც წარმოიქმნება გახსნილ სისტემებში (ბიოლოგიურში, ფიზიკო–ქიმიურში და სხვ.) ნივთიერებისა და ენერგიის ნაკადობრივი ცვლის შედეგად არათანაბარ პირობებში; ასეთი სისტემა ხასიათდება ქვესისტემების შეთანხმებული ქცევით, რაც იწვევს მისი მოწესრიგებულობის ზრდას ანუ ენტროპიეს (თვითორგანიზაციის) დაქვეითებას; სინერგეტიკა იყენებს არათანაბარზომიერი პროცესების თერმოდინამიკას, შემთხვევითი პროცესების თეორიას და სხვ.

ჰერმენევტიკული პრინციპის გამოყენებისას, სწავლება იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ მოსწავლემ ძირეულად გაიაზროს სასწავლო მასალა. ჰერმენევტიკა (ბერძ. –ვხსნი, ვთარგმნი) მეცნიერებაა, რომელიც განმარტავს უძველეს ავტორთა ქმნილებებს, უპირატესად ღვთისმეტყველებს, ანუ საღვთო წერილებს, ხოლო თანამედროვე განათლების თეორია, ანუ დიდაქტიკა აქტიურად იყენებს ამ პრინციპს და მისგან გამომდინარე, შესაბამის მეთოდს ძნელად გასაგები ტექსტებისა და ამოცანების ამოხსნა–გადაწყვეტისას. როგორც ითქვა, ჰერმენევტიკა სემანტიკურად სწორად ახსნას და გაგებას ნიშნავს. ამ პრინციპის გამოყენება აქტუალურია

ინტერნეტ-სწავლების პროცესშიც, როცა ძირითადი კომუნიკაციის საშუალებას არავერბალური, ელექტრონული ფოსტა წარმოადგენს.

ვალეოლოგიური პრინციპის მთავარი საზრისი უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის მთავარი მონაწილის – სტუდენტის ფიზიკური ჯანმრთელობაა. რაც შეეხება თვით ვალეოლოგიას, იგი არის მეცნიერება, რომელიც სწავლებითა და აღზრდით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, შენარჩუნებას და ამ პროცესების კვლევას.

ამდენად, თუ ჩვენ შევაჯამებთ წარმოდგენილ მსჯელობას მეთოდოლოგიური პრინციპების შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ პრინციპი თავისთავად იმის საშუალებას იძლევა, რომ რაციონალურად მივუდგეთ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას, სწორად ჩამოვაყალიბოთ და დავინახოთ განათლების სისტემის მომავალი, რომლის კონტურებშიც უნდა მოიძებნოს XXI საუკუნის გამოწვევებზე არგუმენტირებული პასუხები. განზოგადებული სახით ასეთ პრობლემებად მიგვაჩნია:

– განათლების ფუნდამენტალიზაცია, რომელმაც არსებითად უნდა აამაღლოს სწავლების ხარისხი;

– განათლების სისტემის წინმსწრები ხასიათი, რომელიც ვლინდება მის მიზანმიმართულობაში პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის თანამდევი პრობლემების გადაჭრისას, ადამიანის შემოქმედებითი უნარების განვითარების პრიორიტეტულობაში;

–განათლების სისტემის საყოველთაო მისაწვდომობა სწავლების დისტანციური მეთოდების გამოყენებით, პერსპექტიული საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე.

კითხვები და დავალებები:

1. ახსენით შემეცნების თეორიის მნიშვნელობა სწავლების პროცესისთვის.
2. რას ნიშნავს მეთოდოლოგიური პრინციპი და რომელ პრინციპებს იცნობთ ?
3. დაასაბუთეთ კულტუროლოგიური პრინციპის როლი განათლების თეორიაში.
4. მოძებნეთ კავშირები მეთოდოლოგიურ პრინციპებს შორის.

II თავი: უმაღლესი განათლება ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში

2.1. უმაღლესი განათლების როლი საზოგადოებაში

XXI საუკუნეში უკვე ფაქტად იქცა კაცობრიობის წინაშე ისეთი გლობალური პრობლემების გადაწყვეტის ამოცანა, როგორიცაა: მსოფლიოს ბუნებრივი რესურსების ამოწურვის საშიშროება, ენერგეტიკული კრიზისი, ეკოლოგიური პრობლემები, მოსახლეობის უზრუნველყოფა აუცილებელი რესურსებით (საკვები,სამრეწველო ნედლეული, ენერგეტიკული წყაროები და ა.შ.), ადამიანის ჯანმრთელობის პრობლემები, მოსახლეობის სიღარიბის პრობლემები, მრეწველობის განვითარების მიმართულებათა გადაფასება, მოსახლეობის ცხოვრების სოციალური პირობების ძირეული გაუმჯობესება, ადამიანთა განსახლების ფიზიკური საზღვრების გაფართოება, მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფა, განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მზარდი მატების რეგულირება და სხვ.

მართებულად უნდა ჩაითვალოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ XXI საუკუნის განათლება გადამწყვეტ როლს შეასრულებს ზემოთ ჩამოთვლილი გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განათლებამ თავისი ისტორიული მისია აქამდეც პირნათლად შეასრულა. საილუსტრაციოდ შეიძლება მივმართოდ ფაქტებს, რომლებიც მეტყველებენ განათლების მნიშვნელობაზე საზოგადოების პროგრესში, სოციალური წყობისა და ეპოქათა მიუხედავად.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დასტურდება უმაღლესი განათლებისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ინტერესი. პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, გამოჩენილი მეცნიერები და სახელმწიფო მოღვაწეები ყველაფერს აკეთებდნენ უმაღლესი განათლების ახალი კერების დასაფუძნებლად და სამოქალაქო სიმამაცის მაგალითებს იძლეოდნენ.

უმაღლესი განათლების პირველი კერა პლატონის აკადემია იყო. ადრეულ შუა საუკუნეებს მრავალი

სახელგანთქმული უმაღლესი სასწავლებელი ამშვენებს. XII საუკუნიდან მასობრივი ხასიათი მიიღო უნივერსიტეტების დაფუძვნებამ ევროპაში.[1]

ცივიზებული მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად ქართველმა ხალხმაც დიდი ყურადღება გამოიჩინა ზოგადად განათლების და მათ შორის უმაღლესი განათლების კერების დასაფუძნებლად. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ საყოველთაოდ აღიარებული ფაზისის აკადემია (III–IV სს), ქართული უმაღლესი სკოლა სირიაში (V ს.), ივირონის (X ს.) და პეტიწონის (XI ს.) სემინარიები, გელათისა და იყალთოს აკადემიები (XII ს.), თბილისისა და თელავისა სემინარიები (XVIII ს.). უამრავი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემის მიუხედავად გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით, 1918 წელს დააფუძვნეს თბილისის უნივერსიტეტი, რომელმაც ეპოქალური როლი შეასრულა არა მარტო ეროვნული მეცნიერული სკოლის ჩამოყალიბებაში, არამედ საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. სწორედ თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების კედლებში მომზადებული მეცნიერები წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის აღიარებულ უნივერსიტეტებში და სამეცნიერო ცენტრებში. თუმცა, ამ სფეროში პრობლემებიც ბევრია, რომლიც შესახებ ქვემოთ იქნება მსჯელობა.

ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი იყო პირველი მოღვაწე, რომელიც მტკიცედ იცავდა სახელმწიფოს მიერ უნივერსიტეტების მხარდაჭერის იდეას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს მოვლენები მიმდინარეობდა იმ დროს, როცა ნაპოლეონის არმიის ნაწილები გერმანიის სახელმწიფო ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

---

[1] პირველი უნივერსიტეტები გაისნა იტალიაში – ბოლონიაში 1158 წელს, ამავე საუკუნეში უნივერსიტეტები გაიხსნა სალერნოში, რეჯო-ნელ-ემილიაში; ინგლისში – ოქსფორდში და კემბრიჯში (XII ს); საფრანგეთში – პარიზში და მონპელიეში. XIII–XIV საუკუნეებში უნივერსიტეტები გაიხსნა პადუაში, ნეაპოლში, რომში, პიზაში, ფლორენციაში, ფერარაში, ორლეანში, ტულუზაში, ვალენსიაში, სალამანკაში, სევილიაში, ლისაბონში, პრაღაში, ვენაში, ერფრუტში, კელნში, კრაკოვში და სხვა ქალაქებში.

სწორედ ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტის ღვაწლის შედეგად ჩატარდა საგანმანათმლებლო რეფორმა პრუსიაში, ხოლო 1810 წელს გაიხსნა ბერლინის უნივერსიტეტი, რომელიც ლიბერალური იდეების მთავარ კერად იქცა.

აშშ–ის უმაღლესი განათლების ისტორიიდან შეიძლება გავიხსენოთ თ. რუზველტის უპრეცენდენტო მხარდაჭერა უნივერსიტეტებისადმი დიდი დეპრესიის წლებში. სწორედ ამის შედეგად ქვეყანამ გადალახა კრიზისული მდგომარეობა და მსოფლიო ლიდერის პოზიციები დაიმკვიდრა როგორც მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვაში, ისე ზოგადად, საზოგადოებრივ პროგრესში.

ამჟამად საყოველთაოდ აღიარებულია, რომ „ადამიანური კაპიტალი" მთავარ ნაციონალურ სიმდიდრედ ითვლება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს მსოფლიო ბანკის სტატისტიკური გაანგარიშებანი და ექსპერტთა ეკონომიკური დასკვნებიც.

თანამედროვე მსოფლიოში უმაღლესი განათლების პრობლემა ყველა ქვეყნისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. უკანასკნელ წლებში საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა სამხრეთ კორეაში მიმდინარე მოვლენები, რასაც ზოგიერთი ანალიტიკოსი „საოცრებად" მოიხსენიებს, თუმცა თვით კორეელები ამას ჩვეულებრივ პროცესად მიიჩნევენ და თვლიან, რომ „საოცრება" იმიტომ მოხდა, რომ მათ შექმნეს ახალი სკოლები, პირველყოვლისა, ეფექტური უმაღლესი სკოლები. ანალოგიური მიდგომები ახასიათებს უმაღლესი განათლების სისტემას ირანშიც. ისლამურმა რევოლუციამ, რელიგიური ფუნდამენტალიზმის მიუხედავად, რადიკალურად შეცვალა ამ ქვეყანაში უმაღლესი განათლების სისტემა: თუ რევოლუციამდე (1980 წლამდე) უმაღლეს განათლებას ირანში ეუფლებოდა 150 ათასი სტუდენტი, ამჟამად მათი რაოდენობა 1 მილიონ 300 ათასამდე გაიზარდა. რევოლუციამდე საზღვარგარეთ სწავლობდა ათასამდე კაცი, ხოლო ამჟამად 4000 ირანელი ახალგაზრდა სწავლობს საზღვარგარეთ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. ირანში კარგა ხანია იმ ჭეშმარიტებაშიც დარწმუნდნენ, რომ უმაღლესი სკოლის თვითმყოფადობას და განვითარებას დიდი სარგებლობა მოაქვს არა მარტო ახალგაზრდობის განათლებისათვის, არამედ თვით ქვეყნის განვითარებისათვის,

ამიტომ ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვან პრიორიტეტად სწორედ უმაღლესი სკოლის განვითარება იქნა მიჩნეული. ამჟამად ირანში 70-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელია, ხოლო რევოლუციამდე მხოლოდ 10 იყო.

დიდი მტკიცება არაა საჭირო იმის წარმოსადგენად, თუ როგორ ზრუნავენ განათლებაზე და მათ შორის უმაღლეს განათლებაზე, ევროპაში და აშშ–ში, ეს ისედაც ნათელია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამჟამად მსოფლიოში უპირატესობას ამერიკული უმაღლესი განათლების სისტემას ანიჭებენ, რამაც ევროპულ საგანმანათლებლო პროცესებზეც მოახდინა დადებითი ზემოქმედება. ევრო-ამერიკულმა საგანმათლებლო კონკურენციამ დადებითი გავლენა იქონია ევროპულ განათლებაზე. ამის დასტურია ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე მოვლენები, რაც „ცოდნის ევროპის" მშენებლობის იმპულსად იქცა.

მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკური ექსპერტების დასკვნით ნაციონალური სიმდიდრის სტრუქტურაში „ადამიანური კაპიტალი" ლიდერობს, რომელიც საშუალოდ შემოსავლის 2\3–ს აღწევს. ამდენად, დასტურდება დებულება იმის შესახებ, რომ განვითარებისა და კვლავწარმოების (ეკონომიკური თვალსაზრისით) მთავარი ფაქტორი XXI საუკუნეში იქნება არა მატერიალური დოვლათის დაგროვება, არამედ ცოდნა-გამოცდილების შეძენა, ჯანმრთელობის განმტკიცება და ფიზიკური განვითარება, რომელთა მხარდასაჭერად მსოფლიოში ყოველწლიურად 23-25 ტრილიონი დოლარი იხარჯება.

შემთხვევითი არ არის, რომ ეკონომიკურად დაწინაურებული და მაღალგანვითარებული ქვეყნები ამუშავებენ განვითარების პროგრამებს, კონცეფციებს და დოქტრინებს, რომლებშიც ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად ეროვნული განათლების სისტემის განვითარებას მოიაზრებენ. ევროკავშირის საკონსულტაციო კომიტეტის დასკვნის თანახმად, კონკურენტუნარიანი განათლების სისტემის გარეშე წარმოუდგენელია კონკურენტუნარიანი ეკონომიკა.

განათლება მნიშვნელოვანია არა მარტო პირადად ინდივიდის კეთილდღეობისათვის, არამედ მასზე ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს განვითარება. ამიტომ, სხვა

მაღალგანვითარებული ქვეყნების მსგავსად, ჩვენშიც ქვეყნის განვითარების პრიორიტეტად განათლება უნდა იქცეს, რასაც, სამწუხაროდ, აქამდე არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ხელისუფლების ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი ქვეყნის განვითარებას, ნავთობსადენებს, გაზსადენებსა და ე.წ. „ტრასეკას" პროექტებს უკავშირებდა, რაც დიდი შეცდომა იყო. რასაკვირველია, სარგებლობის მომტანია ასეთ მასშტაბურ პროექტებში მონაწილეობა, მაგრამ მარტო მათ იმედზე ყოფნა კარგს არას გვიქადის. მათგან მიღებული ეკონომიკური ეფექტი ძალზე დიდი არ არის, ისინი უფრო ღირებულნი პოლიტიკური თვალსაზრისით არიან, ხოლო ქვეყნის ყოველმხრივი განვითარების საფუძველს მოწინავე განათლების სისტემა ქმნის.

განათლების სფერო განვითარებულ ქვეყნებში დიდი ხანია გადაიქცა ეკონომიკური წინსვლის წამყვან ფაქტორად: განათლებაზე დახარჯული ყოველი ერთეული 1,7-1,9 –ჯერ მეტ უკუგებას იძლევა ერთიან ეროვნულ პროდუქტში. ამიტომ განათლება სტრატეგიული უნდა გახდეს საქართველოსათვის, მით უფრო ახლა, როცა ქვეყანა აქტიურად ატარებს რეფორმებს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა მიმართულებით, რაშიც გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია როგორც ამჟამად არსებულ ინტელექტუალურ პოტენციალს, ისე თანამედროვე სტუდენტ-ახალგაზრდობას. რადგან სწორედ ისინი გააგრძელებენ წინა თაობების ესტაფეტას. სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს აქტიური, მიზანმიმართული და პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნების ფორმირებაზე, რომელიც ფეხს აუწყობს თანამედროვე პლურალისტური საზოგადოების განუყოფელ ატრიბუტს–ელექტრონულ ტექნოლოგიებს.

განათლების სისტემისადმი უყურადღებობა ადამიანური რესურსების განიავების ტოლფასია, ამიტომ ეკონომიკური და კულტურული წინსვლის ისეთი ქმედითი საფუძველი, როგორიც უმაღლესი განათლებაა, მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს და როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩამოყალიბდეს მისი განვითარების გრძელვადიანი დოქტრინა.

საზოგადოების განათლებულობა ითვლება საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორის განვითარების პირობად. განათლებაში განხორციელებულ ინვესტიციას უკუგების

ხანგძლივი ვადები აქვს, მაგრამ იგი ყველაზე რენტაბელურია სოციალური სფეროს დაფინანსებისას. სახელმწიფომ არსებული რეზერვები ყოველთვის უნდა მიმართოს განათლებაზე. ანგარიში უნდა გაეწიოს საყოველთაოდ აღიარებულ მოვლენასაც, რომლის თანახმადაც, საპენსიო სიტემა განვლილი შრომისათვის პატივის მიგებაა (გადახდაა), ჯანდაცვა და საყოფაცხოვრებო – კომუნალური მეურნება (ზოგადად მომსახურების სფერო) უზრუნველყოფს დღევანდელობას, ხოლო განათლება მუშაობს მხოლოდ მომავალზე (პერსპექტივაზე). სწორედ ამ უკანასკნელის განვითარება ითვლება სოციალური სფეროს ყველა სექტორის განვითარების არსებით პირობად. საზოგადოების თვისობრივი და რაოდენობრივი განვითარების დინამიკას სწორედ განათლება აძლევს ტონს.

უკანასკნელი წლების გამოცდილება ადასტურებს, რომ განათლების სფერო სრულად ვერ პასუხობს საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს, სამწუხაროდ, იგი სათანადოდ ვერ ასრულებს საზოგადოების გამაერთიანებელი ინსტრუმენტის როლს. განათლებას შეუძლია შეაჩეროს ხალხის გაღატაკებისა და ახალგაზრდობის კრიმინალიზაციის პროცესი. ამიტომ განათლების განვითარება სახელმწიფო სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად უნდა ჩაითვლოს მომავალშიც.

იმის გაცნობიერებამ, რომ კაცობრიობის მომავალი, მისი გადარჩენა დაკავშირებულია განათლების და მეცნიერების შემდგომ განვითარებასთან, გამოიწვია ახალგაზრდობის ინტერესის არნახული ზრდა განათლების მიმართ. 90–იანი წლების დასაწყისში 1960 წელთან შედარებით მსოფლიოში მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობა სამჯერ გაიზარდა და 900 მილიონს მიაღწია, დასწრებული სწავლების სტუდენტთა რაოდენობა აშშ–ში 70–80-იან წლებში 5,5 მილიონიდან გაიზარდა 7,3 მილიონამდე, ე. ი. 1,4–ჯერ, ხოლო დისტანციური სწავლების სტუდენტთა რაოდენობა 2,4 მილიონიდან 5,5 მილიონამდე. ე. ი. 2,3 – ჯერ, დიდ ბრიტანეთში დისტანციურ სწავლებაში სტუდენტების საშუალო წლიურმა მატებამ 10,8 % შეადგინა, ხოლო დასწრებულ განყოფილებაზე სტუდენტთა რიცხვი მხოლოდ 2,3 %-ით გაიზარდა. როგორც ჩანს, სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები დიდად

პოპულარულია არა მარტო დიდ პრიტანეთში, არამედ ასეთი ტენდენცია დასტურდება თითქმის ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში. მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება რუსეთშიც, თუ მაგალითად, 1990 წელს ყოველ 10000 მოსახლეზე მოდიოდა 190 სტუდენტი, 1998 წელს ამ მაჩვენებელმა 245- ს მიაღწია.

ჩვენ შეგნებულად არ მოგვაქვს საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მონაცემები, რადგან ჩვენი მდგომარეობა მეტად სპეციფიკურია. სამწუხაროდ, უკანასკნელ პერიოდში საქართველოს უმაღლესი განათლების სფეროში მავნე ტენდენციები განვითარდა, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა უმაღლესი განათლების არსის პროფანაციას. ლექსიკური ერთეული „უნივერსიტეტი" ჩვენში აღარ გამოხატავდა არათუ უნივერსალური განათლების მომცემ სასწავლო დაწესებულებას, არამედ უბრალო სასწავლებლის აღმნიშვნელი სინონიმის ფუნქციაღა თუ შერჩა, იგიც საეჭვოა. ამიტომ ამ სისტემის მზარდი დინამიკა მხოლოდ თავის მოტყუებაა და მეტი არაფერი. სხვათა შორის, საქართველოს უმაღლესი საწავლებლების ავკარგიანობა ცხადყო უმაღლესი სასწავლებლების პირველმა ინსტიტუციურმა აკრედიტაციამ. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პროგრამულ აკრედიტაციას გაცილებით მეტი სასწავლებელი ვერ გადალახავს, რაც ერთადერთი სწორი გზაა ამ სფეროში ელემენტარული წესრიგის დამყარებისა და შემდგომი რეფორმის გატარებისათვის, რომლის გარეშეც ჩვენს უმაღლეს სკოლას კატასტროფა ემუქრება. რაც შეეხება აღნიშნული უმსგავსობის გამომწვევ მიზეზებს და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხის სავალალო მდგომარეობას, იგი საგანგებო ყურადღებას და განსჯას მოითხოვს, ამიტომ, ამჯერად მათზე არ შევჩერდებით, ზოგადად, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ქვეყნის უმაღლესი (არა მარტო უმაღლესი) განათლების სისტემა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა გარდამავალი პერიოდის ობიექტურმა სიძნელეებმა და აქედან გამომდინარე, არასტაბილურობამ, რასაც მასობრივი მექრთამეობა და განუკითხაობა მოჰყვა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ უმაღლესი სასწავლებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტის, როგორც პიროვნების და მოქალაქის ფორმირებაზე, რომელიც

იძენს აუცილებელ ცოდნას და ამ გზით უზრუნველყოფს პროფესიის დაუფლებას და სოციალურ სივრცეში საკუთარი თავის იდენტიფიცირებას. ცოდნის და საინფორმაციო პროცესების ინტენსიფიკაციის პირობებში, მიღებული ცოდნა სწრაფად ძველდება. ამის კვალდაკვალ იზრდება საზოგადოების წევრთა მოთხოვნილება განათლების მიმართ, რომელიც უნდა გახდეს უწყვეტი, მისაწვდომი და წინმსწრები.

უმაღლესი განათლების სისტემაში ყურადსაღებ ფაქტად იქცა მთელი რიგი ნოვაციები, რომლებიც გამოხატავენ განვითარების თანამედროვე ტენდენციებს. ამის დასტურია ის ტექნიკური საშუალებები, რაც სწავლების მაღალ დონეს უზრუნველყოფს, მათგან აღსანიშნავია:

– კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიები;
– თანამგზავრული კავშირის სისტემები;
– საწავლო (კაბელური) ტელეხედვა, ვიდეოფილმები;
– მასობრივი ტელეფონიზაცია, რომელიც მისაწვდომს ხდის საინფორმაციო სისტემებს;
– გლობალური და რეგიონული ქსელები (ინტერნეტი და ა.შ.).

დღევანდელი მსოფლიოს საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტის შემდგომი განათლების სისტემის განუყოფელ ნაწილად იქცა თანამედროვე ქსელური ტექნოლოგიები, რომელთა დანერგვას დიდძალი მატერიალური სახსრები ესაჭიროება, მაგალითად, აშშ–ში 1998-1999 სასწავლო წელს უნივერსიტეტების და კორპორაციების მიერ დაიხარჯა 2 მილიარდი დოლარი, ისეთი პროექტების შექმნაზე, რომლებიც უშუალოდ უწყობდა ხელს საუნივერსიტეტო განათლების მხარდაჭერას.

თანამედროვე ინფორმირებული საზოგადოება მეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებს უმაღლეს სასწავლებლებლებს, მოქმედ კვალიფიკაციებს და სპეციალისტთა გადამზადების ვადებს. ამიტომ არსებული სქემა „უნივერსიტეტი, მასწავლებელი და მისი პროფესიული ცოდნა” ობიექტურად იცვლება ახლით „სტუდენტი და მისი მოთხოვნილება განათლებაში”. განათლება ყოველი ადამიანისათვის უნდა იყოს მისაწვდომი ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სპეციალობაში.

თანამედროვე განათლების მნიშვნელობის გათვალისწინებით მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ

აუცილებელია განათლების არსებული სისტემის რადიკალური რეფორმირება, რომელიც ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. სწორედ განათლების სისტემამ უნდა მოამზადოს სხვადასხვა დარგის კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეეჯიდებიან და დაძლევენ კაცობრობის წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემებს. ასეთი ამოცანები დგას არა მარტო საქართველოს, არამედ მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყნის წინაშე.

განათლების რეფორმისა და გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე მუშაობენ ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მაგალითად, იაპონიაში მუშაობენ განათლების სისტემის განვითარების ეროვნულ პროგრამაზე, რომელიც გათვლილი იქნება 20 წელიწადზე, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომისიამ (იუნესკომ) 1998 წელს დაიწყო მუშაობა საპროგნოზო მოხსენებაზე: „იუნესკო: ჰორიზონტი 2020 წელს", რომელიც ამჟამად მოწონებული და მიღებულია მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. სწორედ ამ დოკუმენტში ჩამოყალიბდა განათლების პერსპექტივები უახლოესი ორი ათეული წლის განმავლობაში.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის კვალდაკვალ, საჭიროა ქვეყანამ ასევე შეიმუშაოს განათლების სისტემის ეროვნული დოქტრინა, რომელიც 15-20 წლის პერსპექტივაზე იქნება გათვლილი. უმაღლესი განათლება 2–3 წელიწადში შედეგებს ვერ მოგვცემს, შედეგებს იმ თაობიდან უნდა ველოდეთ, რომლებიც ამჟამად სწავლობენ რეფორმირებულ უმაღლეს სასწავლებლებში და შესაბამისი კვალიფიკაციის მიღების შემდეგ პრაქტიკულად იღვაწებენ მეცნიერების თუ მეურნეობის სხვადასხვა დარგში სულ მცირე 10 წელი მაინც. ამიტომ განათლებაში განხორციელებული ინვესტიცია შედეგებს საკმაოდ გვიან იძლევა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა აუცილებელია, რადგან ამის გარეშე ფიქრი წინსვლასა და განვითარებაზე, მხოლოდ განუხორციელებელ ოცნებად დარჩება. კარს მომდგარი გლობალური კატასტროფების, უდიდესი რისკების შემცირებას და უკეთეს შემთხვევაში, თავიდან აცილებას, მხოლოდ მაღალგანვითარებული

მეცნიერება თუ აღუდგება წინ, რომელიც ასევე ულტრათანამედროვე განათლებით მიიღწევა.

უკანასკნელ ათწლეულში უმაღლეს განათლებაში გამოიკვეთა ისეთი ტენდენციები, რომელთა გათვალისწინებას სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭება იმ გლობალური ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომელსაც სხვადასხვა გამოწვევების სახით ვაწყდებით ცხოვრების მრავალ სფეროში. აქედან გამომდინარე, უმაღლესმა განათლებამ მართებულად აიღო კურსი შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად:

- უმაღლესი განათლების ფუნდამენტალიზაცია;
- განათლების ინდივიდუალიზაცია;
- განათლების თეორეტიზაცია;
- პლურალიზმი უმაღლესი განათლების სისტემაში.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მოწინავე უმაღლესი განათლება უშუალოდ ახდენს გავლენას საზოგადოებრივ პროგრესზე. რაკი უმაღლესი სკოლა საზოგადოების წინსვლის განუყოფელი ინსტრუმენტია, იგი პირველ რიგში ორიენტირებულია თვით ამ საზოგადოების წევრთა სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებაზე, რომელთაც შეეძლებათ არა მარტო უნარიანი საქმიანობა ამა თუ იმ სფეროში, არამედ საზოგადოებრივი პროგრესისთვის ხელსშეწყობა და მისი უშუალო წარმართვა. უმაღლესი სკოლა უზრუნველყოფს მეცნიერების, ტექნიკის, განათლების, კულტურისა და სახელმწიფო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რაც საბოლოოდ განაპირობებს ზოგადსაკაცობრიო წინსვლას. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას ისახავს მიზნად უმაღლესი განათლების ევროპული ინტეგრაცია, რომელსაც მსოფლიოს უძველეს უნივერსიტეტში – ბოლონიაში ჩაეყარა საფუძველი.

ბოლონიის დეკლარაციაში (1999) ჩამოყალიბებულია უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ზოგადი მიმართულებები, რომელიც საყოველთაო მნიშვნელობის აქტია და ევროპული განათლების ინტეგრირებას ისახავს მიზნად. უმაღლესი განათლების ევროპული სისტემა ცოდნაზე ორიენტირებული საზოგადოების მშენებლობას ითვალისწინებს, რომელსაც სრულად შეესაბამება ბოლონიის დეკლარაციიაში ჩამოყალიბებული პრინციპები. მათი

მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისინი ბოლონიის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპებად იქცნენ. [1]

---

1 იოლად გასაგები და შესადარებელი აკადემიური ხარისხების სისტემის შემოღება, მათ შორის, დიპლომის დანართის დანერგვის გზით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ევროპის მოქალაქეების დასაქმებასა და უმაღლესი განათლების ევროპული სისტემის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას.*

** ძირითადად ორ მთავარ საფეხურზე დაფუძნებული სისტემის შემოღება: დიპლომამდელი და დიპლომის შემდგომი საფეხურები. განათლების მეორე საფეხურზე დაშვების წინაპირობაა პირველი, სულ მცირე, სამწლიანი საფეხურის წარმატებით დასრულება. უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დასრულებისას მინიჭებული აკადემიური ხარისხი, როგორც კვალიფიკაციის შესაბამისი დონე, მისაღები უნდა იყოს ევროპული შრომის ბაზრისათვის. მეორე საფეხური, როგორც ეს მიღებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მინიჭებით უნდა დასრულდეს.*

** კრედიტების სისტემის (კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის - ECTS), როგორც სტუდენტების მობილობის ხელშემწყობი საშუალების შემოღება. კრედიტების მოპოვება შესაძლებელი უნდა იყოს უმაღლესი განათლების ფარგლებს გარეთაც, მაგალითად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ჩათვლით, იმ პირობით, თუ მათ შესაბამისი უნივერსიტეტები აღიარებენ.*

** მობილობის ხელშეწყობა ისეთი წინააღმდეგობების დაძლევით, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ გადაადგილებას. კერძოდ:*

- სტუდენტებისათვის სწავლისა და წვრთნის შესაძლებლობისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ხელმისაწვდომობა;

- მასწავლებლების, მეცნიერებისა და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ევროპულ სივრცეში კვლევებზე, პედაგოგიურ მოღვაწეობასა და წვრთნაზე დახარჯული პერიოდის აღიარება და ცნობა, მათთვის კანონით დადგენილი უფლებების დაცვით.

** ხარისხის უზრუნველყოფის საკითხში ევროპული თანამშრომლობის ხელშეწყობა შესადარებელი კრიტერიუმებისა და მეთოდოლოგიების შემუშავების კუთხით.*

** უმაღლეს განათლებაში აუცილებელი ევროპული განზომილებების დანერგვა, განსაკუთრებით, კურიკულუმების (საგანმანათლებლო პროგრამების) განვითარება, სასწავლებლებს შორის თანამშრომლობა, მობილობის სქემებისა და სწავლების, წვრთნისა და კვლევების ინტეგრირებული პროგრამების შექმნა.*

ბოლონიის პროცესის წარმოდგენილი პრინციპები ნათლად მიუთითებს უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების აუცილებლობაზე და მასშტაბურობაზე. რადგან ევროპულმა თანამეგობრობამ ერთობლივი ძალებით გადაწყვიტა „ცოდნის ევროპის" შენება, იგი მიმზიდველ პერსპექტივებს შლის ჩვენი ქვეყნისთვისაც, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სწორედ განათლებისა და მეცნიერების კავშირებია გამოცხადებული პრიორიტეტად ევროპული თანამეგობრობის მიერ. XXI საუკუნის უნივერსიტეტების ერთ-ერთი მახასიათებელი მისი მეცნიერულ კვლევებზე ორიენტირებულობა უნდა გახდეს, ამიტომაც მოიპოვა მან საყოველთაო აღიარება ბოლონიის პროცესის სახელმძღვანელო დოკუმენტებში: „მიღებული უნდა იქნეს ზომები უმაღლეს განათლებასა და მეცნიერულ კვლევებს შორის მჭიდრო კავშირების უზრუნველსაყოფად. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე დიდ სარგებელს მიიღებს კვლევის ევროპულ სივრცესთან (ERA) ნაყოფიერი თანამშრომლობით, ამგვარად, გაძლიერდება „ცოდნის ევროპის" საფუძველი", (ბერნილის კომუნიკე), (34, 76). ამასვე მოგვიწოდებს ევროპული საგანმანათლებლო ინტეგრაციის სხვა დოკუმენტებიც, „რადგან კვლევა უმაღლესი განათლების მამოძრავებელი ძალაა, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ფორმირება უნდა ხდებოდეს კვლევის ევროპულ სივრცესთან ერთად" (სალამანკის მიმართვა), (34, 45-46). სწორედ ასეთი თანამშრომლობით გახდება შესაძლებელი XXI საუკუნის გლობალურ გამოწვევებზე პასუხის გაცემა. თუმცა, უმაღლესი განათლების რეფორმა ხანგძლივი პროცესია და იგი კარგად გააზრებულ მოქმედებას მოითხოვს.

ამ მიმართებით დიდი მუშაობაა ჩატარებული საქართველოშიც. საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ", რომელიც ბოლონიის პროცესის სულისკვეთებას გამოხატავს, ნათლად არის გამოკვეთილი უმაღლეს სასწავლებლებში ხარისხიანი განათლებისა და კვლევითი საქმიანობის თანაარსებობის ძირითადი მიმართულებები (მუხლი III).

სპეციალისტთა გათვლებით XXI საუკუნის დასაწყისიდან წარმოებებში და ოფისებში დასაქმებულთა თითქმის

უმრავლესობას უმაღლესი განათლება დასჭირდება. ამასთან ერთად, ახალი ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ, საჭირო გახდება უწყვეტი განათლების სისტემის დამკვიდრება ანუ „განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში".

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, სწორედ უმაღლესი განათლება იქცევა საყოველთაო განვითარების და პროგრესის საფუძვლად, ახალი გლობალური საშიშროებების თავიდან აცილების საშუალებად, რაც დიდი ხანია კარგად გააცნობიერა კაცობრიობამ. სწორედ ამის კვალობაზე ინტენსიურად მიმდინარეობს მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცის ინტეგრაცია, რაშიც აქტიურად არის ჩართული ჩვენი ქვეყანაც.

კითხვები და დავალებები:

1. როგორ შეიძლება უმაღლესი განათლება იქცეს თანამედროვე გლობალურ საშიშროებათა წინააღმდეგ ბრძოლის ქმედით იარაღად ?
2. უკანასკნელ წლებში რომელ ქვეყნებში გამოიჩინეს უმაღლესი განათლებისადმი განსაკუთრებული ინტერესი და რას მიაღწიეს ამით ?
3. უმაღლესი განათლების სრულყოფისთვის სახელმწიფოებმა რა ღონისძიებები უნდა გაატარონ ?
4. რა გავლენას ახდენს უმაღლესი განათლება ეკონომიკაზე და კულტურაზე ?
5. რა ტენდენციებით ხასიათდება თანამედროვე უმაღლესი განათლება ?
6. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი განათლების მიზნები საქართველოს მაგალითზე.

2.2. უმაღლესი განათლება და გლობალიზაცია

XXI საუკუნის დასაწყისში ტერმინი „გლობალიზაცია” მტკიცედ დამკვიდრდა არა მარტო პოლიტიკურ და სამეცნიერო ლექსიკონში, არამედ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალება ყოველდღიურად, ყოველ საათს, იყენებს ამ სიტყვას, როგორც თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს. უფრო მეტიც, თანამედროვე ეპოქას, გლობალურ ეპოქასაც უწოდებენ.

XX საუკუნის 80-იან წლებამდე „გლობალიზაციის” ცნება საერთოდ არ არსებობდა. იგი პირველად, 1983 წელს თავის ნაშრომში გამოიყენა ამერიკელმა მკვლევარმა ტ. ლევიტმა, მან, ამ ცნებით აღნიშნა ცალკეული სახეობის პროდუქტთა ბაზრების შერწყმის ტენდენცია. ხოლო გლობალიზაცია ფართო მნიშვნელობით, რაც ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრების გაუქმებას გულისხმობს, 1990 წლიდან გამოიყენება. ამ დროს გამოქვეყნდა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის კონსულტანტის კ. ომეს წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე” (Ohmac, 1990) და კრებული „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება”, რომლის შესავალში, მკვლევარ მ. ელბროუს მოსაზრებით, ამ ტერმინით უნდა აისახოს ის მდგომარეობა, როცა სხვადასხვა ქვეყნების მოქალაქეები ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში ერთვებიან (Albrow, 1990).

ტერმინი „გლობალიზაცია” გასულ საუკუნეში უპირატესად მაინც სამეურნეო-ეკონომიკურ კავშირებში და საერთაშორისო ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების დასახასიათებლად გამოიყენებოდა. კერძოდ, როგორც ამერიკელი პოლიტოლოგი ს. კრასნერი წერს, ტერმინით „გლობალიზაცია” აღინიშნება მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი პრობლემები, როგორიცაა: საუკუნის ბოლოს განვითარებული დემოკრატიული პროცესები; ადამიანის უფლებათა ლეგიტიმაცია; საერთაშორისო სავაჭრო გარიგებათა წესების უნიფიკაცია; არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდა; საერთაშორისო კაპიტალის ბაზრების სწრაფი ზრდა; ლეგალური და არალეგალური იმიგრაციის გაფართოება და სხვა.

ზოგიერთ მკლევარს მიაჩნია, რომ ტერმინი „გლობალიზაცია”, დამკვირდა „ურთიერთდამოკიდებულების” და „ინტერნაციონალიზაციის” ცნებათა ნაცვლად. იგი დამახასიათებელია თვისობრივად ახალი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის, ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროებისთვის. ახალი სისტემის არსებითი მახასიათებელი მისი ტრანსნაციონალური ბუნებაა. საყოველთაოდ გაზიარებულია, რომ გლობალიზაციას ყოვლისმომცველი ხასიათი აქვს. იგი მოიცავს ადამიანური საქმიანობის ყველა მხარეს და შეეხება საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ყოფის ნებისმიერ სფეროს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად, გლობალიზაციის საბოლოოდ ჩამოყალიბებული განმარტება ჯერ კიდევ არ არსებობს. ამ პრობლემას მრავალი საზოგადოებრივი მეცნიერება იკვლევს. უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბდა ცალკე მიმართულებაც, „გლობალისტიკის” სახით, რომელმაც იკისრა ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, თუმცა, აქაც არ არის საერთო მიდგომები. ზოგიერთისთვის „გლობალიზაცია” – „მთელ პლანეტაზე საერთო ბაზრის გავრცელებაა”, სხვისთვის – „უნივერსალური დასავლური ღირებულებების დამკვიდრება” ან „ნეოლიბერალური ღირებულებებია”, ხოლო ამ პროცესების ოპონენტები, გლობალიზაციას მიიჩნევენ „თანამედროვე იმპერიალიზმად და კოლონიალიზმად”. რაც შეეხება მსოფლიო პოლიტიკურ ელიტას, ისინი გლობალიზაციად თვლიან იმ მოძრაობას, რომელიც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დასამკვიდრებლად მიმდინარეობს და ხელს უწყობს სოციალ–ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ეფექტურობას.

ამგვარად, თუ დასაწყისში გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის შემცველი ტერმინი იყო, შემდეგ მან ფართო (გლობალური) მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო (პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური მხარე, კულტურა, მენტალიტეტი) მოიცვა. იგი გაერთიანების, შერწყმის სინონიმად იქცა და დაუპირისპირდა ისეთ ცნებებას, როგორიც ფრაგმენტაციაა (14. 184). უკანასკნელ პერიოდში მეცნიერები ცდილობენ გარკვეულ სისტემაში მოაქციონ კულტურის გლობალიზაცია.

ამ მიზნით შეიქმნა ნაშრომებიც, გაკეთდა ისტორიული ანალიზი, რომელმაც ცხადყო, რომ კულტურის გლობალიზაცია კაცობრიობის განვითარების თანამდევი პროცესი ყოფილა. ამ აზრის მომხრეებს საილუსტრაციოდ მოჰყავთ რელიგიები, იმპერიები და ეპოქალური ცვალებადობის შედეგად წარმოშობილი და შემდგომში გაბატონებული იდეოლოგიები.

ამჟამად გამოყოფენ კულტურული გლობალიზაციის შემდეგ ფორმებს:

– გლობალური ინფრასტრუქტურები: ტელეკომუნიკაციები, ინტერნეტი;

– კულტურის ტრანსნაციონალური კორპორაციები, კულტურის გლობალური ბაზარი;

– რადიო და მუსიკის ინდუსტრია;

– ტელევიზია, კინო, ტურიზმი;

– ინგლისური ენის გლობალიზაცია (1887 წელს ლ. ზამენჰოფის მიერ შემოტანილ იქნა ახალი ხელოვნური ენა – ესპერანტო, რომელიც მსოფლიო საკომუნიკაციო ენა უნდა გამხდარიყო, მაგრამ ამ მცდელობამ არ გაამართლა);

– დასავლური ღირებულებების ექსპორტი და ვესტერნიზაცია (ინდივიდუალიზმი, დემოკრატიზაცია, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და თანასწორობა).

90 – იან წლებში გლობალიზაციის შესახებ დამკვირებულმა აზრმა ევოლუცია განიცადა. არ გამართლდა გავრცელებული პროგნოზი იმის თაობაზე, რომ გლობალიზაციის პირობებში არსებობას შეწყვეტდნენ ეროვნული სახელმწიფოები, ხოლო ისეთი ცნებები, როგორიცაა „მსოფლიო საზოგადოება” ან „გლობალური კულტურა”, უფრო სოციალური ფანტასტიკის სფეროში მოექცა, ვიდრე რეალური სინამდვილისა. საერთაშორისო ორგანიზაციებმაც ვერ იკისრეს ის როლი, რომელსაც ეროვნული სახელმწიფო სტრუქტურები უნდა ჩაენაცვლებინა. ასეთი ცვლილებები კი, ზოგიერთი იდეოლოგის აზრით, ახალი გლობალური პოლიტიკური მმართველობის საფუძვლად უნდა ქცეულიყო. საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც გლობალიზმის სტრუქტურებად მოიაზრებიან, ხშირად აკრიტიკებენ ტრანსნაციონალური ინტრესების ლობირებაში, რომლებიც ცდილობენ საბაზრო იდეოლოგიის დამკვიდრებას

ცხოვრების ყველა სფეროში, რაც ჭეშმარიტებასთან ძალიან ახლოა. რაკი გლობალიზაცია ერთიანი საბაზრო ლოგიკის საფუძველზე, სხვადასხვა კულტურის ინტეგრაციის პროცესია, ამიტომ მისი ხელაღებით მიღება არ იქნება გამართლებული. რაც შეეხება განათლებას, იგი კულტურის ფენომენია, ამიტომ მისი საბაზრო ურთიერთობით შემოფარგვლა, უთუოდ შეაფერხებს მის განვითარებას. განსაკუთრებით მტკივნეულია ასეთი მიდგომები ეროვნული უმაღლესი სკოლისთვის.

უკანასკნელ პერიოდში ცხადად გამოვლინდა გლობალიზაციის სხვა უარყოფითი შედეგებიც. პირველ რიგში ეს შეეხება ისეთ სფეროებს, როგორიცაა მასობრივი ინფორმაცია და მსოფლიო ფინანსები, სადაც გლობალიზაციამ აშკარად გამოკვეთილი ფორმები შეიძინა. მაგალითად, ტელეკომუნიკაციების სფეროში მომხდარი რევოლუციური ცვლილებების და გლობალური ინტერნეტული ქსელის შექმნის შედეგად, დღეს ბევრს ლაპარაკობენ „კულტურული იმპერიალიზმის" და ძალისმიერი ვესტერნიზაციის ზემოქმედების შესახებ. აქტიურად გამოდიან მოქალაქეთა უფლებების დამცველები, რომლებიც უპირატესობას კულტურული მემკვიდრეობის დაცვას ანიჭებენ. გლობალიზაციის ოპონენტები ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას თვლიან, რასაც გლობალიზაციის „დამსახურებად' მიიჩნევენ, ხოლო მიგრირებული მოსახლეობისათვის კულტურული სტერეოტიპების თავზე მოხვევას, უდიდეს საფრთხედ თვლიან. გლობალიზაციამ აშკარად გამოკვეთა მცირერიცხოვანი ერების და ხალხების ასიმილაციის საშიშროება. ამას ხელს უწყობენ კოსმოპოლიტი ლიდერები და სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები.

გლობალიზაციის თანამდევი პროცესები განსაკუთრებით სახიფათოა განვითარებადი და „ახალგაზრდა დემოკრატიის" ქვეყნებისათვის. აქ, კულტურულ გლობალიზაციაზე გავლენას ახდენს საზოგადოებაში მზარდი დაძაბულობა და პოლიტიკური რყევები. ყოველივე ამის საბოლოო შედეგი ამ ხალხთა ტრადიციული კავშირების და კულტურული ტრადიციების რღვევა იქნება, – მიაჩნიათ გლობალიზაციის მოწინააღმდეგეებს, რაც უსაფუძვლო ნამდვილად არ არის.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს ფინანსურ სისტემაში და ფინანსურ ბაზრებზე მიმდინარე კრიზისები, რომლებშიც

მონაწილეობენ მაღალტექნოლოგიურ კომპანიათა აქციები და წარმოადგენენ „ეკონომიკური ცოდნის” საფუძველს, აჩვენა, რომ გლობალიზაციამ არა თუ აღმოფხვრა თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის წინააღმდეგობანი, არამედ გააღრმავა ისინი.

გლობალიზაციის თანამდევი პროცესების ზოგიერთი ნეგატიური გამოხატულების და გაცრუებული პროგნოზების მიუხედავად, გლობალიზაციას ობიექტური ფაქტორები განაპირობებს. კერძოდ, იგი შედეგია იმ ეკონომიკური, პოლიტიკური, ინსტიტუციური და სოციალური ცვლილებებისა, რომლებიც გამოწვეულია წარმოების სფეროში განხორციელებული რადიკალური რეფორმებისა და ტექნოლოგიური გარდაქმნების შედეგად.

ამგვარად, გლობალიზაცია ძალზე ფართო და მრავალმხრივი მოვლენაა, რომელიც საფუძვლიანად ცვლის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების შინაარსს. ბუნებრივია, ასეთი რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენი არაერთმნიშვნელოვნად აღიქმება საზოგადოების მიერ და იგი მუდმივი დებატებისა და წინააღმდეგობების საგანია.

გლობალიზაციის გავლენა აშკარად გამოკვეთილია ეკონომიკაში, პოლიტიკაში, მობილურ ტექნოლოგიებში და ტელეკომუნიკაციებში, მაგრამ იგი არანაკლებ გავლენას ახდენს განათლების სისტემაზე და მეცნიერებაზე, უფრო მეტიც, გლობალური ამოცანების გათვალისწინებით ყალიბდება განათლების პოლიტიკა და სტრატეგია.

განვიხილოთ გლობალიზაციის გავლენა განათლებაზე, რაშიც არსებით როლს თანამედროვე ტელესაკომუნიკაციო საშუალებები და მობილური კავშირები ასრულებს. როგორც ცნობილია, ინფორმატიზაციის პროცესების ზეგავლენით, ადამიანური რესურსი საწარმოს კონკურენტუნარიანობის ახალი პარამეტრი გახდა. სისტემატურად განვითარებადი ტექნოლოგიები უშუალო გავლენას ახდენს ადამიანურ ფაქტორებზე. ახლა არავინ დავობს მუშაკთა კვალიფიკაციაში ინტელექტუალური ფაქტორის აუცილებლობაზე, ეს უკვე აქსიომაა. მზარდი ტექნოლოგიები დინამიურ კავშირშია მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან, უფრო მეტიც, დღის წესრიგში დგას უწყვეტი დაოსტატება ანუ სწავლება. ამდენად,

კადრების მომზადება და განათლება კომპანიებისა და საწარმოების სტრატეგიის სისტემური შემადგენელი ნაწილია.

მზარდი გლობალური პროცესების პირობებში, კონკურენციის გაძლიერება აიძულებს საქმიან წრეებს, აქტიურად ჩაერიონ საგანმანათლებლო პროცესებში და განათლების სისტემას კონკრეტული მოთხოვნებიც წაუყენონ. კერძოდ, ბიზნესის წარმომადგენელთა აზრით, განათლების მთავარი ამოცანა უნდა გახდეს „ადამიანური რესურსების" უწყვეტი მომზადება. ამდენად, საკითხი მეტად მასშტაბურია და იგი მიზნად ისახავს უწყვეტ პროფესიულ მომზადებას ანუ სწავლებას მთელი სიცოცხლის მანძილზე.

უწყვეტი განათლების იდეა ბიზნესის წრეებში არ ჩასახულა. ამ პრობლემით მეცნიერები გაცილებით ადრე, XX საუკუნის პირველ ნახევარში დაინტერესდნენ. 1929 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ბ. იეკლიმ გამოსცა შრომა „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე". იგი ფაქტიურად პირველი ფუნდამენტური ნაშრომია ამ პრობლემის შესახებ.

XX საუკუნის დასაწყისში, უწყვეტი განათლების პრობლემას საფუძველი დაუდო მოზრდილთა სწავლების ქსელის გაფართოებამ, რადგან ამას მოითხოვდა დაჩქარებული სამრეწველო პროგრესი და წერა-კითხვის მცოდნეთა დეფიციტი. ამ ორმა პრობლემამ მსოფლიოში წინ წამოსწია მოზრდილთა სწავლების მეცნიერულ დონეზე კვლევის განზოგადების აუცილებლობა. ჩატარდა ამ საკითხისადმი მიძღვნილი კონფერენციები: 1929 წელს – ლონდონში, 1949 წელს – დანიაში, 1960 წელს – კანადაში. ამდენად, აღნიშნულმა პრობლემამ საერთაშორისო ხასიათი შეიძინა.

უწყვეტი განათლების პრობლემების მიმართ კიდევ მეტი ინტერესი გამოიჩინეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა. განსაკუთრებულია ამ მხრივ „იუნესკოს" როლი, რომელმაც 1972 წელს იაპონიაში ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია მოზრდილთა სწავლების შესახებ. კონფერენციის დეკლარაციაში ჩამოყალიბებულია უწყვეტი განათლების მთავარი მიმართულებები.

უწყვეტი განათლების პრობლემა არ არის მხოლოდ პედაგოგიური, – წერს მკვლევარი ნ. ვასაძე, – იგი განეკუთვნება იმ სოციალურ პრობლემათა რიცხვსაც, რომელთა სწორ და დროულ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული

ადამიანის კეთილდღეობა. ამასთანავე, ეს არის ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეკოლოგიური პრობლემა და სწორედ ასეთი მრავალფეროვნების გამო ძნელდება მისი განხორციელება.

1989 წლის იავარში გამოქვეყნდა ევროპელ მრეწველთა „მრგვალი მაგიდის" მოხსენება „განათლება და კომპეტენტურობა ევროპაში", მასში მითითებულია, რომ სამრეწველო კორპორაციები კადრების მომზადებას და განათლებას განიხილავენ, როგორც სტრატეგიულ ინვესტიციას, რაც მათი განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი მხარეა. მოხსენებაში გამოთქმულია წუხილი იმის გამო, „რომ მთავრობები განათლებას მიიჩნევენ საშინაო საქმედ. ამის გამო წარმოება უმნიშვნელო გავლენას თუ მოახდენს საგანმანათლებლო პროგრამებზე." მოხსენების შედეგად ჩამოყალიბებულ დასკვნებში აღნიშნულია, რომ საჭიროა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბიზნესს შორის კავშირის განმტკიცება, კერძოდ, დისტანციური სწავლების და განათლების გზით, აგრეთვე განათლების სფეროში კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვით.

აღნიშნულმა სტრატეგიამ, განათლებისა და პროფესიული მომზადების სისტემაში, უნდა უზრუნველყოს ის დონე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში სრულად უპასუხებს სამრეწველო კორპორაციების მოთხოვნებს.

ეკონომიკური განვითარების ახალი მოდელის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს სასკოლო განათლების შინაარსიც. ნეოლიბერალიზმის მიმდევართა აზრით, გლობალიზაციის პირობებში, განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ წარმატებით გასწიონ კონკურენცია ინვესტიციებისათვის ბრძოლაში, მხოლოდ მუშაკთა მომზადების დონის ამაღლების გზით. ასეთი პოლიტიკა ხელს შეუწყობს სამეცნიერო – ტექნიკური პერსონალის ინოვაციური უნარების შემდგომ წახალისებას, რაც საბოლოოდ წარმოების ეფექტური მუშაობის გარანტიაა. თანამედროვე სკოლამ ყოველთვის უნდა ადევნოს თვალი შრომის ბაზარზე მიმდინარე მცირეოდენ ცვლილებებსაც კი. ასეთ პირობებში სკოლის ამოცანაა, კურსადამთავრებულს მისცეს ფართო განათლება, რაც გულისხმობს ცოდნას მეწარმეობის სფეროში, კრიზისულ სიტუაციებში ორიენტირებას და სხვა თვისებებს. რაც მთავარია, ახალგაზრდას უნდა შეეძლოს ახალი ცოდნის დაუფლება, ე. ი.

იმგვარად მომზადება, რომ მან აითვისოს მოცემულ პროფესიაში ახალი ტექნოლოგიები უშუალოდ წარმოებაში. ამდენად, აქცენტები, სასკოლო განათლებაში, მოზარდის უნარების განვითარებაზე კეთდება. საბაზო სკოლაც ამისთვის უნდა იყოს მოწოდებული.

განათლებაში არსებულ პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა მიმართულებაა ცნობილი. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, 80–იან წლებში გეზი აიღეს ახალგაზრდობის პროფესიული მომზადების სისტემის განვითარებაზე. მთავრობამ მიიღო და დააფინანსა ორი სპეციალური პროგრამა: „ახალგაზრდობის პროფესიული სწავლების სქემები” და „ინიციატივები პროფესიულ–ტექნიკური განათლების სფეროში”. ორივე მათგანი მიმართული იყო სკოლასა და წარმოებას შორის კავშირის განმტკიცებისა და სასკოლო განათლებაში მეწარმეობის კულტურის დანერგვისათვის. ამჟამად ამ გზით მიდის საფრანგეთის ხელისუფლება. კერძოდ, 2000 წლის ოქტომბერში, საფრანგეთის განათლების სამინისტრომ, საფრანგეთის მეწარმეთა გაერთიანებასთან ერთად, ჩაატარა „სკოლისა და წარმოების ურთიერთობის კვირეული.” ღონისძიების მიზანი ნათელია – გააუმჯობესოს და განამტკიცოს სკოლისა და წარმოების ურთიერთობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის თვალსაზრისით, რაც საბოოოდ კარგი სტიმული იქნება მეწარმეობის მიმართ ინტერესის გაღვივებაში.

90–იან წლებში ევროპელი ექსპერტები (ОЭСР) დაინტერესდნენ ჯერ კიდევ 70–იან წლებში შემუშავებული უწყვეტი განათლების კონცეფციით, რომელიც სანავთობო კრიზისით და მისგან გამოწვეული რეცესიის გამო ვერ განხორციელდა. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, სასკოლო განათლებას მხოლოდ მომავალი კარიერისთვის მომზადების ფუნქცია აკისრია. ამჟამად საქმე სხვაგვარადაა, მეცნიერული ცოდნის ინტენსიფიკაციის პირობებში, რომელიც პოსტინდუსტრიული ეკონომიკის საფუძველს შეადგენს, სწავლებამ მთელი ცხოვრების მანძილზე, პრიორიტეტული განვითარება უნდა შეიძინოს.

უწყვეტი განათლების იდეამ მხარდაჭერა მოიპოვა საქმიან წრეებშიც. „ევროპელ მეწარმეთა მრგვალი მაგიდის” 1995 წლის მოხსენებაში დადასტურებულია, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს

მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობა, ამასთანავე, განათლების უმთავრეს ამოცანად მიჩნეულია ადამიანის უნარების მომზადება ახალი ცოდნის მისაღებად.

მთელი ცხოვრების მანძილზე (უწყვეტი განათლების სისტემაში) სწავლების პროცესში, მთავარი როლი დისტანციურ სწავლებას განეკუთვნება. როგორც ევროპელ ექსპერტთა (1996 წ., ფილადელფია) „მრგვალი მაგიდის" ანგარიშშია მითითებული, სწავლების ახალი ფორმები არ მოითხოვს პედაგოგთა მუდმივ მონაწილეობას სასწავლო პროცესში, მაგრამ მათი რეალიზება შეუძლიათ კომპანიებს, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო მომსახურება. რაც შეეხება განათლების სახელმწიფო სისტემას, მან უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა საბაზო განათლება.

უკანასკნელ პერიოდში აქა-იქ გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ საგანმანათლებლო პროცესში, სახელმწიფო სტრუქტურებს ჩაენაცვლება კერძო სექტორი იმ მოცულობით, რომ უპირატესობა ამ უკანასკნელის მხარეს იქნება. მაგრამ ასეთ განცხადებებს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი აქვს. რადგან ასეთი მოსაზრებები მხოლოდ საქმიანი წრეების და ისეთი კორპორაციების აზრია, რომლებიც ინფორმაციის და კომუნიკაციების სფეროში საქმიანობენ. მათ, სხვა პროფილის ბიზნესისგან განსხვავებით, საგანმანათლებლო ბაზრის ათვისების მეტი შესაძლებლობები აქვთ, ამიტომ, მათი ინტერესები, ბუნებრივია, თუმცა, ასეთი მიდგომები მაინც გლობალიზაციით არის განპირობებული. სახელმწიფოს როლს ამ პროცესებში გლობალისტები მხოლოდ ფინანსური დონორის ფუნციის შესრულებით ამოწურავენ.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში მსოფლიოს მრავალი განვითარებული ქვეყანა ახორციელებს ეროვნული განათლების სისტემის რეფორმირებას, რომლის ძირითად მიმართულებას და შინაარსს გლობალიზაცია განაპირობებს. განათლების სფეროს კონკურენტუნარიან ფაქტორად გადაქცევა, არა ცალკეულ მეწარმეთა, არამედ მთელი ეროვნული ეკონომიკის და განათლების სისტემის უპირველესი ამოცანა უნდა იყოს, რომელიც თითოეული მათგანისგან მოითხოვს მოქნილობას, სიახლეთა მიმართ კეთილგანწყობას და ცხოვრების გამოწვევებზე ადეკვატურ რეაგირებას. ახალ

პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ეფექტური ფუნქციონირების საკითხები და განათლებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების განაწილება.

გლობალიზაციის ლიბერალური ფრთის იდეოლოგთა აზრით, აღნიშნული მიზნის მიღწევა მხოლოდ საბაზრო ურთიერთობების პირობებშია შესაძლებელი. მსოფლიო ბანკის 1995 წლის მოხსენებაში „განათლების სისტემის პოლიტიკური სტრატეგია", დადასტურებულია, რომ გლობალიზაციის ლოგიკა განათლების სფეროში, ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მონაწილეობას, რამდენადაც სახელმწიფო მმართველობა სერიოზულად აფერხებს ამ სისტემის მოქნილ და ეფექტურ მუშაობას.

მსოფლიო ბანკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ახალ პირობებში, სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს ღარიბთათვის განათლების მიღების გარანტიების შექმნა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აგრეთვე ინფორმაციის გავრცელება განათლების შესაძლებლობათა შესახებ, და კიდევ, რაც მთავარია, შემოიღოს საგანმანათლებლო სტანდარტები და მოახდინოს მისი შესრულების მონიტორინგი.

გლობალისტთა ასეთი რადიკალური პოზიციის გაზიარება აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოების შემდგომ პოლარიზაციას. საგანმანათლებლო პროცესების თვითდინებაზე მიშვება კიდევ უფრო გაამძაფრებს სოციალურ დიფერენციაციას. სახელმწიფოების როლის მხოლოდ მონიტორინგითა და სტანდარტების დაწესებით შემოფარგვლა, ფაქტიურად საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმა იქნება. ასეთ პირობებში, მას საგანმანათლებლო პროცესებზე ზემოქმედების ბერკეტები ეცლება ხელიდან, ამიტომ, განათლების პოლიტიკის გადაცემა ეკონომიკური მაგნატებისთვის გაუმართლებელია. რადგან მთავარი დამსაქმებლები სწორედ ბიზნესის წარმომადგენლები არიან, ამიტომ გამართლებულად მიგვაჩნია, საფინანსო სექტორის ეკონომიკური აქტივობა და მათივე მონაწილება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაშიც, მაგრამ აქაც შენარჩუნებული უნდა იყოს მათსა და სახელმწიფოს შორის გარკვეული თანაფარდობა.

განათლების გლობალიზაციის თვალსაზრისით განსაკუთრებულ როლს იუნესკო ასრულებს. 90 – იანი წლებიდან ამ ორგანიზაციის ყურადღების საგანი გახდა უმაღლესი სკოლების ინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაცია, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების სერთიფიცირების და ნოსტრიფიცირების საფუძველი უნდა გახდეს. საბოლოოდ აღნიშნული პროცესის მიზანი დიპლომების საერთაშორისო აღიარებაა, რომელსაც 1992 წლის ნოემბერში იუნესკომ დაუჭირა მხარი. საქართველო 1997 წელს შეუერთდა ლისაბონის კონვენციას და ამით მთელი რიგი ვალდებულებები იკისრა. ერთ-ერთი მათგანია უმაღლესი სკოლის რეფორმა, რომლის საწყის ეტაპად მიჩნეულ იქნა უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია. ეს პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ მის შესახებ ცალკე გვექნება მსჯელობა წიგნის შესაბამის მონაკვეთში, ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ განათლების გლობალიზაციის კონტექსტში მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ, სახელმწიფომ აქტიურად უნდა გაატაროს თვითმყოფადი პოლიტიკა, რომელიც უზრნველყოფს ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების შენარჩუნებას.

საქართველოს და ჩვენი მეზობელი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემებისთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იუნესკოს ეგიდით 1998 წელს თბილისში გამართული რეგიონალური სემინარი თემაზე: „უმაღლესი განათლების სახელმწიფო პოლიტიკა: ხარისხში დარწმუნება, აკრედიტაცია და საგანმანათლებლო სტანდარტები". სემინარზე მიღებულ იქნა რეკომენდაციები გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნებისათვის უმაღლესი სკოლის ხარისხის მართვის ერთიანი სისტემის შექმნის შესახებ.

უმაღლესი განათლების გლობალიზაციის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება 2000–2005 წლებში ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების განათლების მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებულ მთელ რიგ რეკომენდაციებს უნივერსიტეტების სტუდენტთა, პროფესორ–მასწავლებელთა და მეცნიერების მობილურობის, სწავლების, სამეცნიერო გამოკვლევების ხარისხის ამაღლებისა და საუნივერსიტეტო სამოქალაქო საზოგადოების განვითარების შესახებ. ამ კონტექსტში განვითარებადი ქვეყნებისათვის განსაკუთრებულ

მნიშვნელობას იძენს ბოლონიის 1999 წლის 19 ივნისის ერთობლივ დეკლარაციაში „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცე" ჩამოყალიბებული პრინციპების შესრულება.

ამდენად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ, როგორც იუნესკოს, ისე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საზრუნავს, მსოფლიოს ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემათა სინქრონიზაცია–დაახლოება შეადგენს. ისინი გამუდმებით ეძებენ უმაღლესი სასწავლებლების მართვის ერთიან ინსტრუმენტებს, აწესებენ საერთო მოთხოვნებს და ამით აახლოებენ განსხვავებული ტრადიციების, კულტურისა და მენტალიტეტის ხალხებს. ამიტომ უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები გლობალიზაციის კლასიკური გამოვლენაა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, უკანასკნელ პერიოდში, სახელმწიფოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ცენტრალიზებული მმართველობა იცვლება ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოებითა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით. სწორედ ისინი ასრულებენ ერთგვარი სამეურვეო საბჭოების როლს, რომელთა შემადგენლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, მონაწილეობენ მშობლები და საქმიანი წრეების წარმომადგენლები. განათლების სისტემის განვითარებაში სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის შემცირება, საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საბაზრო მეთოდების დანერგვა და სასწავლო დაწესებულებათა შორის კონკურენციის სტიმულირება განაპირობებს განათლების სისტემის კომერციალიზაციას. სწორედ ბაზარი, როგორც ინსტიტუტი, განსაზღვრავს სწავლების მიმართ საერთო მოთხოვნებს, ხოლო, აქედან გამომდინარე, შემდეგ ყალიბდება სწავლების კონკრეტული მიზანი, ამოცანები და სწავლების ორგანიზაციის საშუალებები და ფორმები. აღნიშნული გარემოება სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს განათლების სფეროში, რაც გამოწვეულია კერძო სტრუქტურების მიერ სახელმწიფოს გავლენის შესუსტებით. არსებულმა ვითარებამ შესაბამისი გამოძახილი ჰპოვა საზოგადოების სოციალიზაციაში, კერძოდ, ბიზნესის წარმომადგენლები სტუდენტებს განიხილავენ, არა როგორც

განათლების მიღების უფლებების ბუნებრივ, კანონიერ მფლობელებს, არამედ საგანმანათლებლო მომსახურების მომხმარებლებს, რომელთაც შეუძლიათ შეიძინონ საგანმანათლებლო ბაზრის პროდუქტი – ცოდნა, ან შეისწავლონ კონკრეტული პროფესია. სწორედ ასეთი ურთიერთობის წესებს ამკვიდრებს გლობალიზაცია, რომელთა საფუძველზე ყალიბდება საგანმანათლებლო სისტემაც. ამჟამად ფართოდ მკვიდრდება ცხოვრებაში ისეთი ცნებები, როგორიცაა: „საგანმანათლებლო ბაზარი", „საგანმანათლებლო ბიზნესი", „საგანმანათლებლო წარმოება", „სასწავლო ბიზნესი" და სხვა.

გლობალიზაციის თანამდევ პროცესად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ საბაზრო ეკონომიკის მონაწილე მხარეები გადაიქცნენ განათლების ტრადიციული სისტემის ტრანსფორმაციის კატალიზატორებად. ასპარეზზე გამოდიან არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა საქმიანობის და მომსახურების გამალებული დივერსიფიკაცია მიმდინარეობს უპირატესად საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ. საგანმანათლებლო მომსახურებაში მსოფლიო ბაზარზე 2005 წელს 90 მილიარდი დოლარი დაფიქსირდა. საპროგნოზო მაჩვენებლებით იგი მომავალში კიდევ გაიზრდება. 2000 წელს ვანკუვერში მოეწყო განათლების პირველი მსოფლიო სალონი, რომელშიც მონაწილეობდა 3 ათასი პროფესიონალი, რომლებიც წარმოადგენდნენ მსოფლიოს 56 ქვეყნის 458 კერძო და სახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციას. შეკრების თემატიკა შეეხებოდა კადრების მომზადებას, დისტანციურ სწავლებას, საგანმანათლებლო სისტემების შექმნას, უცხოელ სტუდენტთა სწავლებას და უმაღლესი სასწავლებლების სტრუქტურების განთავსებას სხვადასხვა ქვეყნებში, საწარმოო–ტექნიკურ განათლებას და სასწავლო დაწესებულებათა პროგრამულ უზრუნველყოფას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ (მსო) განათლება შეიტანა მომსახურების სფეროში. ამიერიდან, განათლებით ვაჭრობა დასაშვებია ისე, როგორც სხვა პროდუქტით, თუ იგი შესაბამისი გენერალური ხელშეკრულების მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

ამრიგად, ზემოთ განხილულის საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ უმაღლესი განათლების გლობალიზაციას, ასეთებია:

1. სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების სიტემების დაახლოება და ინტეგრირება;

2. ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე ღია განათლების სისტემის დამკვიდრება;

3. უმაღლესი განათლების კომერციონალიზაცია და მის მიმართ საერთაშორისო შრომის ბაზრის იტერესების ზრდა;

4. ტრანსნაციონალური კომპანიების გავლენა საგანმანათლებლო პროცესებზე.

აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებასაც, რომ ამჟამად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სულ უფრო მეტი ადამიანი ანტიგლობალისტთა რიგებს უერთდება. ფაქტიურად მართლდება მათი შიში იმის თაობაზე, რომ ტრანსნაციონალური კომპანიები და უმსხვილესი კორპორაციები საფრთხეს უქმნიან ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემებს, ხოლო მომავალში, შემდგომი ლიბერალიზაცია კიდევ უფრო გაართულებს რიგით მოქალაქეთა უფლებებს განათლებაზე. გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი უარყოფითად აფასებენ აგრეთვე, განათლების მიმართ მომხმარებლურ, უტილიტარულ დამოკიდებულებას, რაც, მათი აზრით, საგანმანათლებლო სფეროს სულიერებისა და ჭეშმარიტი განმანათლებლობის მიღმა ტოვებს. ასეთი შეფასებები ყურად უნდა იღონ გლობალიზაციის იდეოლოგებმა და მეტი იზრუნონ მრავალსაუკუნოვანი საგანმანათლებლო ტრადიციების განვითარება-რეფორმირებაზე და არა მათ რღვევაზე.

გლობალიზაცია როგორც ეპოქალური მოვლენა სახეზეა და მისგან იზოლაცია, უშედეგო იქნება. ახლა უმჯობესია, როგორც ჩვენ, ისე სხვა მცირერიცხოვანმა ერებმა, ვისაც თავისი ეროვნული ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება უნდა, კარგად გაიაზრონ განათლების გლობალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განათლების გლობალიზაციის ფარგლებში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს. ისინი სარგებლობის მომტანი

იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი განათლების სისტემა გაიზიარებს ევრო-ამერიკული განათლების სივრცეში არსებულ მიღწევებს, მაგრამ, ამასთან ერთად, შეინარჩუნებს ეროვნული სკოლის სულისკვეთებას. მისასალმებელია აგრეთვე ტელესაკომუნიკაციო და მობილური ტექნოლოგიების დანერგვა განათლებაში. რაც შეეხება განათლების კომერციონალიზაციას და მის მოქცევას საბაზრო ეკონომიკის სისტემაში, აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. მართალია, რომ განათლების სისტემა ვერ იარსებებს თვისუფალი, საბაზრო ეკონომიკის გარეშე, მაგრამ ყველაფრის საბაზრო ლოგიკისთვის დაქვემდებარება, უარყოფითად იმოქმედებს მაგალითად ისეთი ეროვნული საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსებაზე და მის განვითარებაზე, როგორიცაა ზოგადად ქართველოლოგია. ასევე შეიძლება შეფასდეს ტრანსნაციონალური კომპანიების მზარდი გავლენაც. მათ რასაკვირველია, ბევრის გაკეთება შეუძლიათ განათლებისთვის, მაგრამ მხოლოდ ბიზნესის სექტორის კეთილგანწყობაზე და უპირატესად პრაგმატული მიდგომის ამარა ვერ იარსებებს უმაღლესი განათლების სისტემა. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და გაატაროს ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც იქნება ეროვნული სკოლის სიცოცხლისუნარიანობის და განვითარების გარანტი. ასეთი მიდგომები თავიდან აგვაცილებს განათლების გლობალიზაციის თანამდევ პრობლემებს.

ბოლოს უნდა ითქვას, რომ გლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ობიექტური ფაქტორია. როგორც ყველა ეპოქალურ მოვლენას, მასაც აქვს პოზიტიური და ნეგატიური მხარეები, აქედან გამომდინარე, მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. ამიტომ, განათლებაზე მისი გავლენის შესახებ მსჯელობისას, მით უფრო, გადაწყვეტილებათა მიღებისას, ყოველმხრივ შეჯერებული ანალიზია საჭირო. აქ ზედმეტი კატეგორიულობა და რადიკალიზმი წამგებიანია, გლობალიზაცია, როგორც მოვლენა – რეალობაა და მისი გავლენა განათლებაზეც სახეზეა. მთავარია, მომზადებული შევხვდეთ მას და მისგან მივიღოთ მხოლოდ ის, რაც განვითარების იმპულსს შესძენს უმაღლესი განათლების სისტემას, ხოლო გლობალიზაციის ისეთი ტენდენციები,

რომლებიც საფრთხეს უქმნიან ეროვნულ სკოლას, მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

კითხვები და დავალებები:

1. სად და როგორ დაიწყო გლობალიზაციის პროცესი ?
2. ახსენით გლობალიზაციის არსი.
3. ეკონომიკის გარდა, საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროებზე მოახდინა გავლენა გლობალიზაციამ და რაში გამოიხატება იგი ?
4. როგორია გლობალიზაციის გავლენა ეროვნულ თავისებურებებზე ?
5. რით გამოიხატა გლობალური პროცესები განათლებაში ?
6. მიუთითეთ საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე განათლების გლობალიზაციაში, გამოყავით კონკრეტულად რომელიმე.
7. რაში გამოვლინდა განათლების კომერციონალიზაცია ?

2.3. უმაღლესი განათლება ინფორმატიზაციის პირობებში

თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების განვითარების ყველაზე არსებით თავისებურებად მისი ინფორმატიზაცია ითვლება. გასული საუკუნის 70 – იანი წლებიდან დაწყებული, საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესმა, უკანასკნელ წლებში, ჭეშმარიტად გლობალური ხასიათი შეიძინა. დღეისათვის ამ პროცესმა მოიცვა მსოფლიო თანამეგობრობის არა მარტო განვითარებული ქვეყნები, არამედ მრავალი განვითარებადი ქვეყანაც. ინფორმატიზაციის ზემოქმედების შედეგად კარდინალური ცვლილებები მიმდინარეობს მოსახლეობის პროფესიულ საქმიანობასა და ზოგადად ყოფა–ცხოვრებაში. ეს ეხება ეკონომიკას, განათლებას, მეცნიერებას, კულტურას, ჯანდაცვას, საყოფაცხოვრებო მომსახურებას. მიმდინარე ცვლილებები იმდენად მასშტაბური და სიღრმისეულია, ხოლო მათი გავლენა საზოგადოების ცხოველმყოფელობაზე ისე მნიშვნელოვანია, რომ სახეზეა

ჩვენს პლანეტაზე პრინციპულად ახალი საინფორმაციო სფეროს – ავტომატიზირებული ინდუსტრიის დამკვიდრება.

ადამიანური მოღვაწეობის არცერთ სფეროში არ ყოფილა ისეთი წინსვლა, არსად და არასდროს არ მიუღწევია ტექნიკის განვითარებას ისეთი პროგრესისთვის, როგორც ინფორმატიკაში. თანამედროვე ავტომობილი 10– ჯერ სწრაფად მოძრაობს, ვიდრე მისი წინამორბედი; გემებს 100 – ჯერ მეტი ტვირთი გადააქვთ, მაგრამ თანამედროვე კომპიუტერები პირველ ელექტრო-გამომთვლელ მანქანებს მილიარდჯერ და მეტად აჭარბებენ ყველა ძირითადი პარამეტრით.

ინფორმაცია, ინფორმატიკა, ინფორმატიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები – იმდენად მყარად დამკვირდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ ხშირად მათ ისე ვიყენებთ, ზოგჯერ არც ვუფიქრდებით მათ ზუსტ მნიშვნელობას. არადა, მეცნიერებაში არსებითი მნიშვნელობა ტერმინების ზუსტად გამოყენებას ენიჭება.

ინფორმატიკა წარმოადგენს ინფორმაციის მიღების, გადაცემის და მეცნიერული დამუშავების ტექნოლოგიას. ამგვარი ტექნოლოგიების გავრცელების არეალი წარმოუდგენლად გაფართოვდა. ამჟამად, იგი მოიცავს ელექტრონულ, კომპიუტერულ და ქსელურ ტექნოლოგიებს, კომუნიკაციისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, დაწყებული წიგნის ბეჭდვიდან ტელეხედვამდე. აგრეთვე ენა, მეცნიერება, ხელოვნება და საერთოდ, კაცობრიობის ინტელექტუალური მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი, რომელიც თითქმის ყოველთვის იყო დაკავშირებული ინფორმაციის შეკრება–დამუშავებასთან, ყველა მათგანს ამჟამად უწოდებენ *ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს* (აიტ). ინფორმატიკა ვიწრო გაგებით სწორედ აიტ–ს გულისხმობს. ხოლო ამ ტერმინის ფართო გაგებაზე აზრთა სხვადასხვაობაა, თუმცა, იმაში ყველა თანხმდება, რომ ინფორმაციის შეხახებ მეცნიერება (ინფორმატიკა) მეტად ტევადია და მის ფართო გაგებაზე მსჯელობა, პირველადი ფილოსოფიური კატეგორიების – მატერიის და შემეცნების ცნებების გააზრებას მოითხოვს.

ინფორმატიზაცია წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პროცესს, რომელიც

მიმდინარეობს საერთო ცივილიზაციის განვითარების პარალელურად.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინფორმატიზაციის თანამდევი პროცესები წარმოადგენს ცივილიზაციის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ძალას. საინფორმაციო და ტექნოლოგიური გარდაქმნები გვევლინებიან ძირითადი სოციალურ–ისტორიული ცვლილებების ყველაზე ფუნდამენტურ ფაქტორებად, მათ რიცხვშია გლობალიზაციის პროცესი, რომელსაც ამზადებს და ბევრად განაპირობებს ინფორმატიზაცია.

კაცობრიობის ისტორიაში ამჟამად გამოყოფენ ექვს საინფორმაციო რევოლუციას, ესენია:

პირველი ინფორმაციული რევოლუცია – ენა ანუ დანაწევრებული მეტყველება უდიდესი საინფორმაციო გამოგონების დასაწყისია. ადამიანის შემეცნებაში და საქმიანობაში ენობრივი სიმბოლიკის დანერგვა და გავრცელება პირველი საინფორმაციო რევოლუციის შინაარსს შეადგენს.

მეორე ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც მოიცავს დამწერლობის გამოგონებას, პირველისგან გამოყოფილია რამდენიმე ათასი წლით. მეორე საინფორმაციო რევოლუციის წყალობით, შემჭიდროებულ დროში, შესაძლებელი გახდა უამრავი ადამიანის შეერთება ცოდნასთან, განსაკუთრებით პროფესიულთან. უძველესმა ცივილიზაციებმა შეძლეს მონაცემთა უზარმაზარი ბაზის დაგროვება, შექმნეს გიგანტური საიფორმაციო საცავები, ისეთები, როგორიც ალექსანდრიის ბიბლიოთეკა იყო.

მესამე საინფორმაციო რევოლუცია წიგნის ბეჭდვასთან არის დაკავშირებული. მან უპრეცენდენტო გავლენა მოახდინა ცოდნის, მეცნიერების, კულტურისა და ზოგადად ცივილიზაციის განვითარებაზე, საკაცობრიო პროგრესზე.

მეოთხე საინფორმაციო რევოლუცია დაკავშირებულია ტელეგრაფის, რადიოს, ტელეფონის და ტელევიზორის შექმნასთან. მეოთხე რევოლუციის შედეგად გაადვილდა დიდი სივრცის გადალახვა. მსოფლიო დაპატარავდა. მის ერთ ბოლოში მიმდინარე მოვლენებმა, სწორედ საინფორმაციო საშუალებებით შეძლო გავლენა მოეხდინა პლანეტის სხვა, საკმაოდ მოშორებული კუთხეების ეკონომიკისა და

საზოგადოების მდგომარეობაზე. მოგვიანებით ამ სისტემათა გამართულმა მუშაობამ, კერძოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა (მის) მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ტოტალიტარული რეჟიმების იდეოლოგიურ დამარცხებაში.

მეხუთე საინფორმაციო რევოლუციას სამართლიანად უწოდებენ კომპიუტერულ და ტელეკომუნიკაციურ ეპოქას. იგი თავისთავში მოიცავს სხვადასხვა კლასის კომპიუტერების შექმნას, რომელთაც წამში ასობით მილიონი და მილიარდი ოპერაციის გაკეთება შეუძლიათ. მძლავრ დამამახსოვრებელ მოწყობილობებს, რომლებიც ასობით ათას გიგაბაიტს ითვლიან, არ აქვთ შემდგომი განვითარების საზღვარი. მათ შეუძლიათ პლანეტის ნებისმიერ წერტილში ტრანსკონტინენტური (გლობალური, რეგიონალური) საკომუნიკაციო ქსელების საშუალებით ინფორმაციის გადაცემა და მიღება.

მეექვსე საიფორმაციო რევოლუცია, როგორც ამ დარგის მეცნიერები მიიჩნევენ, დაფუძნებული იქნება ადამიანური ცოდნის საექსპერტო სისტემებსა და ხელოვნურ ინტელექტზე. ამ პროცესებში გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც შეძლებს სხვაზე კარგად გამოიყენოს თავისი სამეცნიერო პოტენციალი. აუცილებლად მოხდება ქვეყნების დაყოფა, რომელიც ახლაც მიმდინარეობს, იმ პრინციპით, თუ ვის აქვს მეცნიერული სკოლა, რადგან მარტოხელა მეცნიერების დრო დიდი ხანია წავიდა, ხოლო მეცნიერული სკოლების შენარჩუნებას და განვითარებას ყველა ქვეყანა ვერ შეძლებს, ამიტომ მოხდება მეცნიერების კონცენტრაცია განვითარებულ ქვეყნებში.

საინფორმაციო რევოლუციებს შორის ინტერვალები გზადაგზა მცირდება, რაც ამ სფეროში მიმდინარე დინამიურ პროცესებზე მიუთითებს. როგორც ცნობილია, ტრადიციულად ეკონომიკურ მეცნიერებაში ითვლებოდა, რომ ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, კაპიტალზე (წარმოების საშუალებები) და შრომაზე. თანამედროვე პირობებში მათ დაემატა მეოთხე ფაქტორი – ინფორმაცია. ეკონომიკის ზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ინფორმაციის გამოყენებამ და ცოდნის ხარისხმა შეიძინა. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ინოვაციური განვითარების ტემპებს და ზოგადად მეცნიერულ–ტექნიკურ პროგრესს.

ცივილიზაციის შემდგომი განვითარების წამყვან ტენდენციად ინდუსტრიულიდან ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლა ითვლება, რომელშიც ობიექტი და შრომის შედეგი დასაქმებული მოსახლეობის საინფორმაციო რესურსი და მეცნიერული ცოდნა იქნება. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ განათლების ინფორმატიზაცია საზოგადოების ინფორმაციული პროცესების წარმატებით განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად ითვლება, რამდენადაც, სწორედ განათლების სფეროში მიმდინარეობს იმ ადამიანთა სწავლა–აღზრდა, რომელიც არა მარტო აყალიბებენ ახალ ინფორმაციულ საზოგადოებას, არამედ თვით მათ მოუწევთ ახალ გარემოში ცხოვრება და მუშაობა.

ინფორმატიზაციის სფეროში პირველი ნაბიჯები, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ყოფილ სსრ კავშირშიც გადაიდგა. 1985 წელს კომუნისტურმა ხელისუფლებამ მიიღო არსებითი მნიშვნელობის სამთავრობო გადაწყვეტილებები. კერძოდ, განათლების სფეროში გაიგზავნა რამდენიმე ათასი საბჭოთა წარმოების ეგ მანქანა, საშუალო სკოლებში შემოიღეს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სწავლება. საზოგადოებრივ ცნობიერებაში შემოვიდა ახალი ცნება „კომპიუტერული წიგნიერება", რომელიც აღნიშნავდა ეგმ–ის დახმარებით სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტის უნარების ფლობას. ამასთან ერთად, ინფორმატიკის უმთავრესი იდეების, საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის და ადგილის დამკვიდრებას საზოგადოების განვითარებაში.

ხუთი წლის შემდეგ შემუშავდა და გამოქვეყნდა განათლების ახალი კონცეფცია, რომელმაც განსაზღვრა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ძირითადი მიმართულებები და მთავარი პროცესები.

საბჭოური განათლების სისტემაში წამოწყებულმა განათლების ინფორმატიზაციის პროცესმა სასურველი შედეგები ვერ მოიტანა, თუმცა, ტექნიკური თვალსაზრისით, საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა ამ სფეროში. შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ამისთვის ხელი არ შეეშალა იდეოლოგიურ შეხედულებებს და გამწვავებულ პოლიტიკურ პროცესებს. როგორც ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ცხადყო, საზოგადოების ინფორმაციულობა და ინფორმატიზაცია დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე, ყველაზე

ქმედითი საშუალებაა, ამიტომ ტოტალიტარული სისტემა მის შედეგებს ბოლომდე არ თანაუგძნობდა. უფრო მეტიც, დემოკრატიისათვის დახურული კომუნისტური რეჟიმი, მხოლოდ გარე ფასადს აჩვენებდა ღიად, ხოლო რეალურად იგი მაინც ჩაკეტილი რჩებოდა. თუმცა, მობილური ქსელების პირობებში, შეუძლებელი აღმოჩნდა ინფორმაციის შეზღუდვა.

კომპიუტერული წიგნიერებისთვის დაწყებული მოძრაობა საბჭოთა იმპერიის ნგრევისთანავე თითქმის შეწყდა, რადგან მოიშალა ერთიანი სახელმწიფო სტრუქტურები, რასაც ამ პროცესისთვის გამოყოფილი სუფსიდიების შეწყვეტაც მოჰყვა. მართალია, როგორც ტექნიკური, ისე მეთოდური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა, მაგრამ, როგორც ითქვა, ტოტალიტარული სახელმწიფოს არსი ინფორმატიზაციული პროცესების სრული ამოქმედების საშუალებას არ იძლეოდა. ხოლო ამ პროცესის საგანმანათლებლო წინსვლასაც წერტილი დაუსვა ერთიანი საკავშირო სახელმწიფოს რღვევამ.

ინფორმატიზაციის და კომპიუტერული წიგნიერების პროცესის მართვასაც მრავალი ხარვეზი ახლდა. კერძოდ, განათლების სისტემა იმხანად განიცდიდა კვალიფიციურ პედაგოგთა დეფიციტს. მათი გადამზადების სისტემასაც მრავალი ნაკლი ჰქონდა, ხოლო ყველაზე უმწვავესი ეგმ – ის სიმცირე იყო. მასობრივი ვერ გახდა კომპიუტერული წიგნიერების კონცეფცია, მისი მოთხოვნების არსებითი ნაწილი გეგმების ფარგლებს ვერ გასცდა. მართალია, სკოლის სასწავლო გეგმებში შეიტანეს „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების" სწავლება, მაგრამ სკოლათა უმრავლესობას ასეთი ტექნიკა ფიზიკურად არ ჰქონდა. ამიტომ ეგმ – ის გარეშე აღნიშნული საგნის სწავლება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. გარდა ამისა, ძველი წყობილების რღვევამ განათლების სისტემა მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა. მართალია, განათლების სისტემა გათავისუფლდა იდეოლოგიური სტერეოტიპებისგან, მაგრამ ეკონომიკურმა სიდუხჭირემ დაამუხრუჭა განათლების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება. აღნიშნულმა პროცესებმა დამანგრეველი გავლენა მოახდინა საქართველოს განათლების სისტემაზე. პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, შინაომებმა, ეკონომიკურმა სტაგნაციამ და

ქვეყანაში არსებულმა კორუფციამ დიდი ზიანი მიაყენა, როგორც ზოგადად განათლების სისტემას, ისე ინფორმატიზაციის განვითარებას.

მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა უკანასკნელ წლებში. 2005 წელს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ, ფართომასშტაბიანი რეფორმის ფარგლებში, წამოიწყო განათლების სისტემის მასობრივი ინფორმატიზაციის პროგრამა – „ირმის ნახტომი". იგი ითვალისწინებს საქართველოს ყველა სკოლის აღჭურვას თანამედროვე კომპიუტერებით და მათ ჩართვას ინტერნეტის ქსელში. მომზადდა ამ საგნის მასწავლებლები, შემუშავდა სპეციალური მეთოდიკა, ჩატარდა უამრავი ტრენინგი, გატარდა სხვა თანამდევი ღონისძიებებიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მოგვიანებით მოახდენს გავლენას. ასევეა ინფორმატიზაციის პროცესიც, რომელიც ხანგძლივ პერიოდს გულისხმობს, რადგან იგი დაკავშირებულია არა მხოლოდ განათლების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასთან, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, პედაგოგიური ურთიერთობის პრინციპულად ახალი კულტურის დამკვიდრებასთან.

განათლების ინფორმატიზაციის თვალსაზრისით სერიოზული ძვრები მოხდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. მაგალითად, რუსეთში ამ პრობლემის გადაჭრას ფუნდამენტურად მიუდგნენ. მათ კარგად გაიაზრეს ინფორმატიზაციის მეცნიერული და სოციალური მნიშვნელობა. ამის დასტურად ითვლება ისეთი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა, როგორიცაა: განათლების ინფორმატიზაციის აკადემია, ღია განათლების სამეცნიერო აკადემია და ყველაზე პრესტიჟული – ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემია, რომლის წევრები ქართველი მეცნიერებიც არიან.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ინფორმატიზაციის მასობრივად დანერგვის მიზნით, ბევრად მეტია გაკეთებული, ვიდრე სასკოლო განათლებაში. თუმცა, მარტო კომპიუტერული კლასებით რაიმე წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია, თუ ისინი გლობალურ ქსელებთან არ იქნება მიერთებული. ამის პრობლემა კი უკანასკნელ

წლებამდე ნამდვილად ჰქონდათ ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებს. ახლა აღნიშნული პრობლემაც გზადაგზა გვარდება. ამჟამად საქართველოში მუშაობს რამდენიმე ინტერნეტ–პროვაიდერი, რომელთა ქსელში რამდენიმე ათასი მომხმარებელია ჩართული.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში, ქვეყნის მთელ რიგ უნივერსიტეტებში მასობრივად გაიხსნა შესაბამისი კათედრები, რასაც ამ სფეროში სამეცნიერო კადრების ზრდა მოჰყვა. ამჟამად საქართველოში მოქმედებს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის დარგში სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოები. კომპიუტერული ცენტრებით და სასწავლო კლასებით აღჭურვილია წამყვანი უნივერსიტეტები. უმაღლესი განათლების სისტემაში კომპიუტერიზაციის პროცესები სწრაფი ტემპით ვითარდება 2005 წლიდან, როცა ქვეყანაში დაიწყო უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური აკრედიტაცია.

კითხვები და დავალებები:

1. ჩამოაყალიბეთ ინფორმატიზაციის მნიშვნელობა საზოგადოებრივ პროგრესში.
2. რას მოიცავს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები ?
3. ახსენით საინფორმაციო რევოლუციებს შორის ინტერვალთა შემცირების მიზეზები.
4. რატომ იზღუდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება ტოტალიტარული რეჟიმების მიერ ?
5. რა კეთდება საქართველოში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების დასანერგად ?

2.4. საინფორმაციო – საგანმანათლებლო სივრცე და ღია განათლების სისტემა

უკანასკნელ ხანებში, ქართულ სინამდვილეშიც განათლებასთან მიმართებაში ხშირად იყენებენ გამოთქმას „საგანმანათლებლო სივრცე". ზოგჯერ სივრცის სინონიმად გარემოსაც მიიჩნევენ. ბუნებრივად გვიჩნდება კითხვა იმის თაობაზე, რომ ასეთი სიტყვათშეთანხმება უბრალოდ მოდური ტერმინია თუ ბუნებრივი პროცესის კონკრეტული გამოხატულება ?

გლობალიზაციის პროცესმა თანამედროვე მსოფლიო რეალურად მიიყვანა საინფორმაციო–საგანმანათლებლო სივრცემდე. მობილური საინფორმაციო ტექნოლოგიები გადამწყვეტ გავლენას ახდენენ საგანმანათლებლო პროცესებზე, ამიტომ ამ სფეროში მიღწეული წარმატებები შესაბამისად აისახა განათლებაშიც. ცნობილია, რომ ყოველი ეპოქის საგანმანათლებლო გარემო რაღაც ხარისხით მის საინფორმაციო უზრუნველყოფას გულისხმობდა. განათლების სისტემის განვითარების კვალდაკვალ იზრდებოდა მისი საინფორმაციო შესაძლებლობები, თუმცა, დღევანდელი თვალსაწიერიდან არა თუ შუა საუკუნეების საიფორმაციო არსენალი გამოიყურება საკმაოდ მწირად, არამედ გასული საუკუნის საიფორმაციო-საგანმანათლებლო გარემოს შედარება უხერხულიც კია თანამედროვე მიღწევებთან.

განათლების თეორეტიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ რამდენად მისაღებია ტერმინი „საგანმანათლებლო სივრცე". ამ ტერმინს უპირისპირებენ უფრო გავრცელებულ ტერმინს „საგანმანათლებლო სისტემას". ჩვენი აზრით, მეორე ტერმინი ანუ საგანმანათლებლო სისტემა განათლების სისტემის მსგავსია და შინარსობრივად განსხვავდება საგანმანათლებლო სივრცისაგან, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე განათლების სისტემა. მასში იულისხმება ისეთი ინსტიტუციები, რომლებიც სტრუქტურულად არ შედიან განათლების სისტემაში, მაგრამ გავლენას ახდენენ მასზე.

საგანმანათლებლო სივრცე ფართო გაგებით არის სოციოკულტურული ქვესისტემა, რომელიც გულისხმობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ფაქტების, გარემოებების,

სიტუაციების და პიროვნების განვითარებისთვის პედაგოგიურად ორგანიზებული სპეციალური პირობების ერთობლიობას. სოციოკულტურულ საგანმანათლებლო სივრცეში აერთიანებენ ისეთ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანის განათლებას და განვითარებას. ასეთებად მიჩნეულია ადამიანები, რომლებიც გავლენას ახდენენ საგანმანათლებლო პროცესებზე; ქვეყნების საზოგადოებრივ – პოლიტიკური წყობა; ბუნებრივი და სოციოკულტურული გარემო (პედაგოგიური კულტურის ჩათვლით); მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სხვა მოვლენები.

უმაღლესი განათლების სფეროში ღია საგანმანათლებლო სისტემის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს საინფორმაციო – საგანმანათლებლო სივრცე. ამ ტერმინის განსაზღვრების შეჯერებული ვარიანტი ჯერ კიდევ არ არსებობს, ამიტომ მოგვაქვს რამდენიმე მათგანი:

საინფორმაციო–საგანმანათლებლო სივრცე არის სისტემის სახით ორგანიზებული საინფორმაციო, ტექნიკური, სასწავლო–მეთოდური ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს პიროვნებაზე, როგორც საგანმანათლებლო პროცესის სუბიექტზე (ო. ა. ილიჩენკო).

სხვა განმარტებით, უმაღლესი სასწავლებლის საიფორმაციო გარემო არის მისი საქმიანობის ერთ-ერთი სფერო, რომელიც მოიცავს საორგანიზაციო–მეთოდურ, ტექნიკურ და პროგრამულ საშუალებებს, მათ დამუშავებას, ინფორმაციის გადაცემას, მისი მიწოდების ოპერატიულ სისტემებს და საგანმანათლებლო–სამეცნიერო კომუნიკაციის განხორციელებას (თ. ი. სოკოლოვა).

ერთ–ერთი განსაზღვრების თანახმად, საგანმანათლებლო სივრცე წარმოადგენს სწავლების შესაძლებლობებს და პიროვნების განვითარების ისეთ ერთობლიობას, რომელიც შეიძლება განვითარდეს, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მიმართულებით (ს. ა. დერიაბა).

ფაქტიურად ამ უკანასკნელი განმარტებით განვითარებულია, არც მეტი და არც ნაკლები, ემპირიზმის თეორია, რომლის მიხედვითაც გარემო პირობები აღიარებულია პიროვნების განვითარების ერთადერთ ფაქტორად.

ამდენად, ***საინფორმაციო – საგანმანათლებლო სივრცე არის პედაგოგიური სისტემა პლუს მისი უზრუნველყოფა, რაც ნიშნავს საფინანსო – ეკონომიკურ, მატერიალურ – ტექნიკურ, სამართლებრივ – ნორმატულ და მარკეტინგულ – მენეჯერულ უზრუნველყოფას.***

თანამედროვე პირობებში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ღია განათლების სისტემა. აღნიშნული გარემოება სერიოზულ კორექტივებს მოითხოვს განათლების ტრადიციულ სისტემაში, რომელიც რეალურად ხორციელდება კიდეც ბოლონიის პროცესის ფარგლებში.

საკუთრივ ღია განათლების არსის და განსაზღვრების თაობაზეც მრავალი მოსაზრება გამოითქვა. საყურადღებოდ მიგვაჩნია დევიდ ევანსის აზრი, რომელმაც ღია განათლება საგანმანათლებლო პოლიტიკად და განათლების მიზნად მიიჩნია. მისივე აზრით, ღია განათლება უზრუნველყოფს მოქალაქეთა ისეთი მოქნილი სისტემის შექმნას, რომელიც ითვალისწინებს განათლების მიღების მსურველთა გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, სოციალურ პირობებს და სხვა დაბრკოლებებს, რომელიც შეიძლება შეექმნას ამა თუ იმ პირს. ამდენად, ღია განათლების სისტემა ორიენტირებულია არა საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, არამედ განათლების მიღების მსურველთა ინტერესებზე.

ღია განათლების ანალოგიურ განსაზღვრებას ამკვიდრებენ დიდი ბრიტანეთის უმაღლესი განათლებისა და ინფორმაციის ღია უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის მუშაკები. 1999 წელს მათ ჩაატარეს საფუძვლიანი სამუშაოები, ისეთი პრობლემის შესახებ, როგორიცაა: „სტრატეგიული გამოკვლევები კანონმდებლობის საკითხებზე, აკრედიტაცია, ხარისხის აღიარება დისტანციურ და ღია განათლების სისტემებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიმართ". ამ გამოკვლევაში ღია განათლება განისაზღვრება, როგორც „სწავლების მოქნილი ფორმა, რომელიც უფრო მისაწვდომია სტუდენტისთვის, ვიდრე სტრატეგიული სისტემა, ხოლო მათივე განმარტებით დისტანციური განათლება „ითვლება ცოდნის შეძენის ისეთ ფორმად, რომელიც განუყრელადაა დაკავშირებული ღია განათლებასთან".

ამ ტერმინის სხვაგვარი განმარტება მოცემული აქვს ჯორჯ დენიელს. მისი აზრით, „ღია განათლება შესაძლებელია მოიცავდეს დისტანციურ განათლებას, აქედან გამომდინარე, დისტანციურმა სწავლებამ შესაძლებელია ზოგჯერ იქონიოს რაიმე გავლენა ღია განათლებაზე, ზოგჯერ არა".

ჯ. დენიელის ეს განსაზღვრება საკმაოდ ორაზროვანია. იგი ფაქტიურად გამორიცხავს სწავლების აღნიშნულ ორ ფორმას შორის აუცილებელ კავშირებს. ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია დ. ევანსის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ღია განათლება მარტო სწავლების ფორმა არ არის. იგი საგანმანათლებლო პოლიტიკაცაა. ამდენად, პოლიტიკა ყოველთვის ახდენს გავლენას სწავლა-განათლებაზე. აქედან გამომდინარე, ღია განათლება, როგორც პოლიტიკურად, ისე მეთოდოლოგიურად განაპირობებს დისტანციურ სწავლებას და იგი შესაძლებელია მივიჩნიოთ ღია განათლების სისტემის შემადგენელ ნაწილად, ისე, როგორც თვით ღია განათლება არის ღია საზოგადოების არსებითი შედეგი.

ღია განათლების სისტემა მაქსიმალურად უწყობს ხელს ისეთი მთავარი ამოცანის გადაწყვეტას, როგორიცაა სოციოკულტურული ყოფის გაფართოება და განვითარება, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის (მატერიალური და სულიერი ფასეულობები, ცოდნა, უნარი) ერთი თაობიდან მომდევნო თაობაზე გადაცემის გზით ხორციელდება. გასაზიარებელია იმ მკვლევართა მოსაზრებები, რომლებიც ეფუძნებიან ანთროპოცენტრულ იდეებს და განათლებას პირველ რიგში განიხილავენ, როგორც კულტურის ფენომენს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს სოციალიზაციის და ინკულტურიზაციის პროცესში არა მხოლოდ მოახდინოს თავისი ბუნებრივი შესაძლებლობების რეალიზება, არამედ ჩაერთოს გიგანტურ ინფორმაციულ სივრცეში და ამით წინააღმდეგობრივ პირობებშიც მოახდინოს ადეკვატური ადაპტირება. (49).

ღია განათლების სისტემის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა საშუალებას იძლევა ჩამოვაყალიბოთ მისი დამახასიათებელი ნიშნები.

1. ღია განათლება თავისი არსით გახსნილობას გულისხმობს, მისი განვითარება უშუალოდ უკავშირდება და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესებისადმი

შემოქმედებით მიდგომას. განათლების სისტემის (მათ შორის საზოგადოებრივის) გახსნილობა, როგორც ამოსავალი პრინციპი, გულისხმობს ახლებურ მიდგომებს საზოგადოებათმცოდნეობაში, რომლის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ საწყისად აღებული უნდა იყოს არა სისტემა და მისი სტატიკური მდგომარეობა, არამედ ადამიანი თავისი განუმეორებლობით, რომელიც ამავე დროს არის განვითარების წყარო.

ადამიანის ინდივიდუალობა ღია საზოგადოებაში წარმოადგენს ადამიანთა სოციალური კავშირების საფუძველს. საზოგადოებაში ყოველთვის წამოიჭრება რთული და მრავალმხრივი ამოცანები, რომელთა გადაჭრა ინიციივიატიანი და ინდივიდუალური თავისებურებებით აღსავსე ადამიანების ნიჭს და ენერგიას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალობის თავისუფლად განვითარება უნდა ჩაითვალოს საზოგადოების წინსვლის პირობად. ღია განათლების სიტემისათვის აღნიშნული დებულება ფუძემდებლური მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს.

2. ღია განათლების პირობებში თავისუფლადაა მისაწვდომი მსოფლიო თანამეგობრობის საინფორმაციო მონაპოვარი (რესურსი), იგი ამავე დროს ხელს უწყობს სივრცისა და დროის გადალახვას სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებთან მიმართებაში, სწორედ საინფორმაციო ქსელების მეშვეობით. თავისთავად საინფორმაციო ქსელები დიდ სიახლეს არ წარმოადგენს. მაგრამ მათი ციფრული მონაცემების კომპიუტერული დამუშავება, ტელესაკომუნიკაციო, თანამედროვე აუდიო-ვიდეო საშუალებებით და ბოჭკოვანი არხებით ინფორმაციის გადაცემას, მნიშვნელოვნად მივყავართ ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებამდე. მათში ვიდეო და აუდიო საშუალებები, კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობები კომბინირებული არის სრულიად ახალი საშუალებებით და ხერხებით. ამ პირობებში მომხმარებლისადმი მოთხოვნები მარტივია, ხოლო თვით საინფორმაციო მომსახურება – უფრო ინდივიდუალიზებული.

საინფორმაციო უპირატესობის მოპოვებისთვის არებობს ორი ძირითადი წყარო, პირველი გულისხმობს ინფორმაციაზე არაეკონომიკურ მონოპოლიას, რომელიც წარმოიქმნება საინფორმაციო შეზღუდვის პირობებში (ინფორმაციის

გავრცელებაზე ადმინისტრაციული ან სხვა ბარიერების წარმოქმნისას), როცა სუბიექტი ინფორმაციას იყენებს საკუთარი მიზნით, მაგრამ იგი მიუწვდომელია საზოგადოების სხვა წევრებისათვის. ინფორმაციის მოპოვების მეორე უპირატესობა მდგომარეობს ინდივიდის მოხერხებულობაში, რაც გამოიხატება კონკრეტული სუბიექტის უნარში, სწრაფად შეაფასოს და გაიგოს საერთოდ მისაწვდომი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში რელევანტური ცოდნა იქცევა ფაქტიურ ცოდნად, რომელიც ხელს უწყობს შრომის მომსახურების ეფექტურობას: წარმოიქმნება ისეთი ინფორმაციული ნაკადი, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციურ მიმოქცევაში შემოღწეულ პირველად გამოყენებულ სისტემატურ ინფორმაციაზე. ინოვაციური ნაკადის წარმოშობა ნიშნავს არა მარტო იმას, რომ ცოდნა იქცა წარმოების მნიშვნელოვან ფაქტორად, როგორც კაპიტალი და წარმოების პირობა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს განათლება და მეცნიერება, სისტემატური სწავლება და მუშაკთა გადამზადება, რომელიც შესაძლებელი და ეფექტურია მხოლოდ ღია განათლების სისტემის პირობებში.

3. ღია განათლების სისტემა არჩევანის ფართო შესაძლებლობას ქმნის. ყოველ ადამიანს შეუძლია ისწავლოს მისთვის მოსახერხებელ დროსა და ადგილზე ინდივიდუალური განრიგით, თუ მას აქვს სწავლის სპეციალური საშუალებები და ყოველივე შეთანხმებულია პედაგოგთან სხვადასხვა საკონტაქტო საშუალებით (ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტის ქსელი), აგრეთვე რეგლამენტირებული უშუალო კონტაქტით. ამ პრინციპის თანახმად, ადამიანი მიჩნეულია ცენტრალურ სუბიექტად, რომელსაც შეუძლია საკუთარი განათლების პროცესის ინიცირება და ორგანიზება. ღია განათლებაში წამყვანია ინდივიდის თვისუფლება, რომელიც მრავალ მიმართულებას აერთიანებს (ცოდნის გადაცემა, უნარი, ჩვევები, ადამიანის დამოკიდებლობის ფორმირება სამყაროსთან, აზროვნების განვითარება, თვითგამოხატვის და თვითრეალიზაციის უნარის ფორმირება, სოციალური შემოქმედება), შესაძლებლობას იძლევა სწავლება და აღზრდა წარმოვიდგინოთ მთლიანობაში, რომელთა დაშორება ანტიკურ მოაზროვნეებსაც კი დაუშვებლად მიაჩნდათ.

4. ღია განათლება სწავლების პროცესის პიროვნულ ორიენტირებულობას გულისხმობს. პიროვნული თვისებების გამომუშავებას აახლოვებს სწორედ ინდივიდუალური მიდგომები სწავლა – განათლებისადმი, რომელიც უზრუნველყოფს მომავალ პროფესიულ წარმატებებს და კომფორტულ მოღვაწეობას ღია საზოგადოებაში. პიროვნული მიდგომის იდეა მნიშვნელოვნად შეესაბამება ადამიანის მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების მიღების შესახებ არსებულ კონცეფციას. ამისათვის აუცილებალია საგანმანათლებლო პროგრამების დივერსიფიკაცია, რომელიც საშუალებას მისცემს ყოველ ინდივიდს, იმგვარად შემოფარგლოს თავისი საგანმანათლებლო ტრაექტორია, რომელიც ყველაზე კარგად უპასუხებს მისსავე საგანმანათლებლო მიზნებს და ახლოს იქნება პროფესიულ უნართან. საგანმანათლებლო პროცესის ასეთი ორგანიზაცია შესაძლებლობას მისცემს განათლების სუბიექტებს, თავად აირჩიონ მრავალმხრივი საგანმანათლებლო მომსახურებიდან სწორედ ისეთი, როგორიც უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტობას, როგორც დიპლომის შემდგომ საფეხურზე, ისე დამატებითი საგანმათლებლო პროგრამებით.

აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ ღია განათლების ქართულ ვარიანტად უნდა იქცეს ქართველი ხალხის განათლების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, რაც საზოგადოების სულიერ-ინტელექტუალურ თვისებად იქცა. სწორედ ეს თვისება უნდა დაედოს საფუძვლად განათლების და სულიერების სფეროში ყოველგვარ სიახლეს და მათ შორის მიმდინარე რეფორმასაც.

ღია განათლების სისტემის ჩამოყალიბება ობიექტური პროცესია. იგი წარმოადგენს ინფორმაციული ცივილიზაციის ჩამოყალიბებისა და განვითარების ევოლუციური გზის განუყოფელ ნაწილს და ამასთან ერთად უმნიშვნელოვანეს შედეგსაც.

ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრების თანახმად, ღია განათლებაზე გავლენას ვერ ახდენს სახელმწიფოს მიერ განათლების სფეროში გატარებული პოლიტიკა, რაც არ მიგვაჩნია მართებულად, რადგან განათლების სისტემა, რა ფორმისაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის განიცდიის სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის გავლენას. სწავლა-განათლება ხომ გარკვეულ იდეალებს და აქედან

გამომდინარე, იდეოლოგიას წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, ხოლო სახელმწიფო, თავისთავად მთავარი პოლიტიკური ინსტრუმენტია. თუმცა, სამწუხაროდ, ბოლო დროს ჩვენშიც და უცხოეთშიც ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, თუ რამდენადაა საჭირო სახელმწიფო იდეოლოგია ? ამ კითხვაზე, ბუნებრივია, გლობალისტებს და კოსმოპოლიტებს უარყოფითი პასუხი აქვთ, რადგან მათი აზრით, სახელმწიფო იდეოლოგია ხელს უშლის მსოფლიო საზოგადოების ფორმირებას, რაც მათი სანუკვარი ოცნებაა. ასეთი მიდგომები სიკეთეს ვერ მოუტანს ვერც საერთაშორისო თანამეგობრობას და ვერც ცალკე აღებულ რომელიმე ქვეყანას, უფრო მეტიც, იგი განსაკუთრებით სახიფათოა პატარა ქვეყნებისათვის და მცირერიცხოვანი ერებისათვის,

რაც შეეხება განათლებას, სახელმწიფო პოლიტიკა მასზე ყოველთვის ახდენდა გავლენას. მაგრამ ასეთი ზემოქმედება უკანასკნელ პერიოდში აღმოცენებული ღია განათლების მიმართ, მნიშვნელოვნად შემცირდა და უფრო მეტიც, მინიმუმამდე დავიდა, მაგრამ მისი სრულად გამორიცხვა ღია საგანმანათლებლო პროცესებიდან ჯერ-ჯერობით არ მომხდარა. უპირატესად ასეთი ზემოქმედება აშკარად გამოკვეთილია ტოტალიტარულ (ირანი, ჩრდილოეთ კორეა, კუბა) და უფრო მცირე მასშტაბით ნაკლები დემოკრატიის (ჩინეთი, სირია) ჩვეყნებში.

ღია განათლების სისტემა არის საკომუნიკაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზაზე განათლების მიღების ცნობილი ფორმების რაციონალური სინთეზი. ეს ობიექტური, კანონზომიერი პროცესია, რადგან ღია განათლების სისტემა ინფორმაციული ტექნოლოგიების და ტრადიციული ფორმების ერთობლიობაა, ამიტომ მას საგანმანათლებლო კონვერგენციაც შეიძლება ეწოდოს. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებისას. მაგალითად, კომპიუტერი ითავსებს მისთვის არაარსებითის, ტელევიზორის და რადიომიმღების ფუნქციას, ხოლო თანამედროვე ტელევიზორი გარდაიქმნა რთულ პროგრამულ მოწყობილობად, რომელიც უახლოვდება კომპიუტერს. შესაძლებელია სხვა მაგალითების მოტანაც.

არსებობს ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ მომავალში განათლების დაუფლების ყველა ფორმა თავს მოიყრის ერთად, ანუ მოხდება სხვადასხვა ფორმების კონვერგეცია, რომელსაც პირობითად ვირტუალურს უწოდებენ. ასეთი პროცესების ზოგად–პოლიტიკური ასპექტების შესახებ მრავალ გამოჩენილ ადამიანს გამოუთქვამს მოსაზრება. საინტერესოა ამ მხრივ აკადემიკოს ა. სახაროვის აზრი, რომელიც სწორედ კონვერგეციაში ხედავდა კაცობრიობის გადარჩენის ერთადერთ გზას, თუმცა იგი, ამაში მარტო განათლებას არ გულისხმობდა.

აღნიშნულ ჰიპოთეზასთან დაკავშირებით ამჯერად იმის თქმა შეიძლება, რომ ცივილიზაციის განვითარების ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით განათლებისა და მეცნიერების სფეროში ახალი მიმართულებებისა და სისტემების ჩამოყალიბებას უნდა ველოდოთ და არა ყოველივეს თავმოყრას, რაც გააღარიბებდა და შეაფერხებდა განათლების სისტემის განვითარებას. მრავალფეროვნება და ვარიანტთა სიუხვე კონკურენციის პირობაა, ხოლო კონკურენცია – განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

განათლების ფორმების შესახებ მსჯელობა უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ ამისთვის მივმართავთ უმაღლესი განათლების ორი ფორმის – დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შედარება-შეპირისპირებას.

ცნობილია, რომ დაუსწრებელი სწავლების სასწავლო პროცესი, როგორც დასწრებულის, მკაცრად რეგლამენტირებულია (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში), მაგრამ აქ უფრო სპეციფიკურია მოთხოვნები დაუსწრებელი სწავლების მიმართ. რადგან სასწავლო რეჟიმი ითვალისწინებს დადგენით მეცადინეობებს, სესიათაშორის მუშაობას და საგამოცდო სესიებს. დაუსწრებელ სწავლებაზე შეზღუდულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება, განსაკუთრებით სესიებს შორის პერიოდში. მთლიანად გამორიცხულია ინტერაქტიული მეთოდებით მუშაობა და სხვა.

ტრადიციულ დაუსწრებელ სწავლებაში ამჟამად ინერგება ამგვარი სწავლებისთვის ნიშანდობლივი ფორმები, მაგალითად ისეთი, როგორიცაა დამოუკიდებელი მუშაობა. ამას ხელს

უწყობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კომპიუტერები და ტელეკომუნიკაცია. აღსანიშნავია სასწავლო გეგმების მოდულებად აგების პრინციპის დამკვიდრება, მოქნილი სასწავლო გრაფიკების შემოღება და სხვა ფორმები, რომელთა გამოყენება სიახლეა განათლების ტრადიციული სისტემისათვის.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების გეგმაზომიერი სინთეზი, რომელიც დაეფუძნება ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს და გამოიყენებს დისტანციურ სწავლების ელემენტებს, საბოლოოდ მოგვცემს სწავლების ახალ ფორმას, რომელსაც ღია განათლების სისტემას უწოდებენ.

სწავლების კონკრეტული ფორმებისათვის (დასწრებული, დაუსწრებელი, დისტანციური) დამახასიათებელი ტექნოლოგიები ამა თუ იმ მოცულობით გამოიყენება სხვა ფორმებზეც. მაგალითად, სასწავლო მასალები, რომლებიც განკუთვნილი არის დისტანციური სწავლებისათვის გამოიყენება დასწრებულ სწავლებაზე ან პირიქით. სწავლების ორგანიზაციული ფორმები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, დამოუკიდებელი სამუშაო გვხდება აგრეთვე სწავლების სხვა სისტემეშიც. ამდენად, შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ კონვერგეციის პროცესი მიმდინარეობს განათლების სისტემაში.

ღია განათლების სისტემის ტექნოლოგიური სივრცე ეფუძნება ღია საინფორმაციო სისტემის პრინციპებს. ღია სისტემების გამოყენება თანამედროვეობის წამყვანი ტენდენციაა, რომელიც ობიექტურ რეალობად აქცია საინფორმაციო ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა, რომელზედაც არის ორიენტირებული განვითარებული საზოგადოების უმეტესი ნაწილი, მისი უმთავრესი გამოხატულება – მისაწვდომობაა, რაც მას საყოველთაო მიმზიდველობას სძენს.

ღია განათლების სისტემაში სასწავლო პროცესის მონაწილეებს, მაგალითად სტუდენტებს, შესაძლებლობა აქვთ ჩამოაყალიბონ სწავლებაში პირადი მიზანი, შინაარსი, სწავლების ხერხები, საშუალებები, ადგილი და დრო, ხოლო მასწავლებლებს შეუძლიათ სხვადასხვა გზებით მომხმარებელს

შესთავაზონ საგანმანათლებლო მომსახურება, რომელიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ამასთანავე უპასუხებს ინდივიდის სოციალურ ამოცანებს.

ღია განათლების სისტემა თვისობრივად ახალი შინაარსის შემცველია, იგი შეიცავს ტრადიციული განათლების სისტემისთვის აქამდე უცნობ მიმართულებებს, მეთოდებს, ხერხებს და სწავლების ორგანიზაციის ფორმებს. ამდენად, იგი სწავლების სრულიად ახალ სახეობად უნდა მივიჩნიოთ. თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მივმართოთ ტრადიციული და ღია განათლების სისტემების შედარებით დახასიათებას. იგი ასეთ სახეს მიიღებს:

ტრადიციული განათლება:	ღია განათლება:
სწავლის დაწყების და დასრულების ვადები წინასწარ არის დადგენილი.	სტუდენტი თვითონ ადგენს სწავლის დაწყების და დამთავრების ვადებს.
სტუდენტს ხელი არ მიუწვდება სასწავლო გეგმებზე და პროგრამებზე.	სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მარეგ-ლამენტირებელი დოკუმენტები.
სტუდენტთათვის სავალდებულ-ოა მეცადინეობებზე დასწრება.	სტუდენტები თვითონ წყვეტენ დაესწრონ თუ არა ლექციებს.
პროგრამების შინაარსს განსაზღვრავს სასწავლებელი.	სტუდენტთა შეხედულებები გათვა-ლისწინებულია პროგრამების შედგენისას.
სწავლების თანმიმდევრობას განსაზღვრავს სასწავლებლის ადმინისტრაცია და პედაგოგები.	სტუდენტებს საშუალება აქვთ კონსულტაციების საფუძველზე შე-იმუშაონ ინდივიდუალური მუშაობ-ის განრიგი.
სწავლების ტემპი განსაზღვ-რულია პროგრამებით.	სტუდენტები კონსულტაციების სა-ფუძველზე ათანხმებენ გეგმებს.
მასწავლებლები სასწავლო პროცესს უპირატესად ლექციის ფორმით წარმართავენ.	სტუდენტები კონსულტაციის საფ-უძველზე თვითონ ირჩევენ სწავლე-ბის ფორმას (მეცადინეობაზე დას-წრებას, დისტანციურ სწავლებას).
სტუდენტებისთვის დადგენილია სწავლების ორგანიზაციის ფორმები და განსაზღვრულია სამეცნიერო – მეთოდური ლიტერატურა.	სწავლება ხორციელდება ისეთი სახელმძღვანელოებით და დიდაქ-ტიკური საშუალებებით, რომლებ-შიც ნათლადაა გამოკვეთილი სწავლების მიზანი, მოტივაცია, შე-დგენილობა, თვითშეფასება, საინ-ფორმაციო საშუალებები და სხვა.

ამდენად, ღია განათლების სისტემის გლობალური მიზანია, ინფორმაციული საზოგადოების პირობებში, მსურველთა მომზადება პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში ეფექტური მონაწილეობისათვის. ღია განათლების სისტემის დამახასიათებელი ნიშნებია: სწავლების ხარისხი, სწავლების წინმსწრები ხასიათი, მისაწვდომობა და კრეატულობა.

ღია განათლების სისტემაში პრიორიტეტულია შემდეგი მიმართულებები:

- სწავლების პროცესი ატარებს ღია და შემოქმედებით ხასიათს;
- უზრუნველყოფილია საინფორმაციო რესურსის თავისუფლება;
- უზრუნველყოფილია არჩევანის თავისუფლება;
- შექმნილია სამყაროს ათვისების ერთობლივი შემოქმედებითი პირობები;
- უზრუნველყოფილია სწავლების პროსცესში ინდივიდუალობა;
- არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო კულტურას;
- მიმდინარეობს განათლების ფუნდამენტალიზაცია;
- გამოიყენება სწავლების ინოვაციური მეთოდები;
- დასაშვებია განათლების პროცესში მონაწილეთა როლების პერიოდული შეცვლა
- თვისობრივად იცვლება მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის დამოკიდებულება;

გარდა ამისა, ღია განათლების სისტემა უზრუნველყოფს:

- ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას განათლების მიღებაში
- ღია განათლების ნებისმიერი ტიპის სასწავლებელში ყოველგვარი პირობების გარეშე კონკურსგარეშე ჩარიცხვას
- სწავლის ადგილის, დროსა და ვადების თავისუფალ არჩევანს;
- განათლების მაღალ ხარისხს;
- შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობას;

- მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების დონის ამაღლების შესაძლებლობას;
- გადასვლას პრინციპიდან "მოსწავლე მეცადინეობისათვის" პრინციპზე "მეცადინეობა მოსწავლისათვის";
- მსოფლიოს ღია საგანმანათლებლო სისტემებში დაუბრკოლებელი ინტეგრაციის შესაძლებლობას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ღია განათლება განიხილება როგორც სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების, ფორმებისა და ტექნოლოგიების რაციონალური შეხამება, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესის მაქსიმლურ ეფექტურობას. ღია განათლება ემსახურება ხარისხიანი ცოდნის დაუფლებას და პიროვნების მიერ ლიბერალური ღირებულებების გათავისებას.

ღია განათლების სისტემა ყოველთვის ღიაა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების მიმართ, რაც განაპირობებს მის ადეკავტურობას ცხოვრებისეულ გამოწვევებზე. უკანასკნელ წლებში საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრდა ტერმინი „მოქნილი სწავლება" (flexible learning). ამ ცნებით აღინიშნება სწავლების რაციონალური ტექნოლოგიები და ფორმები, რომელიც დამახასიათებელია სწავლების სხვადასხვა ფორმისთვის. სწორედ ღია განათლებისთვის არის ყველაზე უფრო შესატყვისი ახალი ტერმინი – მოქნილი განათლების სისტემა.

ამრიგად, ღია განათლების სისტემის ჩასახვა და განვითარება ობიექტური პროცესია, რომელიც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებით, როგორიაცაა ინფორმატიზაცია და გლობალიზაცია.

ტერმინი „ღია განათლების სისტემა" – პირობითია, რომელიც მეტნაკლებად აღნიშნავს უკანასკნელ პერიოდში განათლების სისტემაში განვითარებულ ინტეგრაციულ მოვლენებს და ასახავს თვისობრივად ახალ მიმართულებას, რომელიც ეფუძნება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

ღია განათლების არსი განისაზღვრება პედაგოგიური და ტექნოლოგიური სფეროებით. იგი ეფუძნება ღია სისტემების (ღია საზოგადოება, ღია საინფორმაციო ტექნოლოგიები, დისტანციური სწავლება) თეორიას, რომლის პრინციპებსაც

წარმოადგენს ინტერპარაბელობა, მასშტაბურობა და მზარდი ხასიათი.

ამდენად, ღია განათლების სისტემაში ინტეგრირებულია ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რომელიც წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის ჰუმანიტარულ მიმართულებას და ამავე დროს არის სოციუმის განვითარების წამყვანი ფაქტორი, რადგან მას აქვს აშკარად გამოხატული შემდეგი თვისებები:

1. არის ღია, ინდივიდუალური და ამავე დროს ორგანიზაციული სისტემა;
2. მიმართულია მომავლისკენ;
3. უზრუნველყოფილია ინფორმაციული რესურსის მისაწვდომობა;
4. გარანტირებულია განათლების სტრატეგიის თავისუფალი არჩევანი;
5. განაპირობებს პიროვნების ორგანიზებულობას სასწავლო პროცესში;
6. ხელს უწყობს პიროვნების თავისუფალ განვითარებას.

კითხვები და დავალებები:

1. განმარტეთ საინფორმაციო – საგანმანათლებლო სივრცე.
2. ახსენით ღია განათლების არსი.
3. რა ნიშნებით ხასიათლება ღია განათლების სისტემა ?
4. რა განსხვავებაა დაუსწრებელ სწავლებასა და ღია განათლებას შორის ?
5. გამოყავით ღია განათლების პრიორიტეტები.

მეორე ნაწილი:
უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა

III თავი: საგანმანათლებლო პროგრამა–კურიკულუმი

3.1. უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა და კურიკულუმი

დიდაქტიკის სხვა განშტოებების მსგავსად, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაც ზოგადი დიდაქტიკიდან აღმოცენდა. თვით სიტყვა დიდაქტიკა (დიდასკო –დარიგება, სწავლება) ბერძნული წარმოშობისაა. თანამედროვე გაგებით დიდაქტიკა პირველად გამოიყენეს გერმანიაში 1613 წელს. ხოლო მისი წინაისტორია დაიწყო 1612 წელს, როცა ვოლფგან რატკემ (1571-1635) მთავრობას წარუდგინა ე. წ. „მემორიალი", სადაც ჩამოყალიბებული იყო სწავლების ზოგადი მოთხოვნები ანუ დიდაქტიკური წესები, რომელიც გააანალიზეს 1613 წელს გერმანელმა მეცნიერებმა: კ. ხედვიგმა და ი. იუნგმა სპეციალურ ანგარიშში: „მოკლე ანგარიში დიდაქტიკიდან, ანუ სწავლების ხელოვნება რატიხიაში". დიდაქტიკის მეცნიერულ თეორიად ჩამოყალიბება დაკავშირებულია დიდი ჩეხი მოაზროვნისა და პედაგოგის იან ამოს კომენსკის (1592–1670) სახელთან, რომელმაც 1657 წელს თავის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომს „დიდი დიდაქტიკა" უწოდა. ავტორის განმარტებით, დიდაქტიკა არის სწავლების თეორია. დიდაქტიკამ (ვ. რატკე, ი. კომენსკი) იმ დროისათვის გავრცელებული სწავლების ლოგიკურ–თეორიული მეთოდის ალტერნატივად, სწავლების ზოგადი, უნივერსალური მეთოდი წარმოადგინა. დიდაქტიკის თეორიის შემდგომი დამუშავება და სრულყოფა წილად ხვდა ცნობილ გერმანელ პედაგოგსა და ფსიქოლოგს იოჰან ფრიდრიხ ჰერბარტს (1776–1841), რომელმაც საგანგებო ყურადღება მიაქცია სწავლების ფსიქოლოგიურ ასპექტებს და დიდაქტიკის ძირითად ამოცანად მასწავლებლის საქმიანობის ანალიზი მიიჩნია. მისგან განსხვავებით, ამერიკელმა მეცნიერმა ჯონ დიუიმ (1859–1952) სწავლებაში მეტი ყურადღება დაუთმო მოსწავლეთა აქტიურობას. მისი აზრით: „თუ ბავშვს შევაჩვევთ ბრძანებების შესრულებას, ... ასეთ ვითარებაში თანამედროვე სისტემის ნაკლოვანებებს ვერ

აღმოვფხვრით, დემოკრატიის იდეალების სამართლიანობას ვერ დავამკვიდრებთ. ბავშვს სკოლაში უნდა მიეცეს თავისუფლება, რათა მომავალში, როცა ხელისუფლების საჭესთან დადგება, იცოდეს, როგორ გამოიყენოს ის; დაე, ინიციატივა, დამოუკიდებლობა განავითაროს – მხოლოდ მაშინ შევძლებთ ჩვენი დემოკრატიის ნაკლოვანებების ამოძირკვას (45. 304).

სწავლების პროცესში წვდომას ჯ. დიუი და ი. ჰერბარტიც, ფსიქოლოგიის დახმარებით ცდილობდნენ, რადგან ადამიანის ისეთი ფსიქიკური თვისებები, როგორიცა: ყურადღება, მეხსიერება, აბსტრაქცია, ასოციაცია, სასწავლო ქცევის აუცილებელი ატრიბუტებია, ამიტომ მათი გამოყენება პედაგოგიური მოვლენების ასახსნელად გამართლებულია. თუმცა, ეს მოვლენა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს პედაგოგიკის და დიდაქტიკის კვლევის მიზნებს შეადგენდეს ადამიანის ზემოთ ჩამოთვლილი ფსიქიკური თვისებები, ისინი მხოლოდ პედაგოგიური მოვლენების ახსნის საშუალებას წარმოაგდენს დიდაქტიკისთვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება, რაც ი. ჰერბარტსა და ჯ. დიუის შეხედულებებში იყო, რომ ისინი სხვადასხვა ფუნქციებს აკისრებდნენ მოწაფეებს. ჰერბარტის აზრით, ისინი პედაგოგის მითითებათა შემსრულებლები არიან, ხოლო დიუის კონცეფციის თანახმად, მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა ითანამშრომლონ მასწავლებლებთან.

რეფორმისტული პედაგოგიკის წარმომადგენლებმა (კერშენშტეინი, გაუდიგი, პეტერსი) XX საუკუნეში სწავლების პროცესი ბავშვის დომინანტობით გაიაზრეს, რომლის საფუძველსაც თეორიულ პედაგოგიური (ნოჰლი, ვეინერი, კლაფკე) მიდგომა წარმოადგენდა. ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალას იკრებს სწავლების ემპირიულ–ანალიტიკური თეორია (ჰეილმანი, შულცი, ოტო). სათანადო განვითარება ჰპოვა ახალმა დიდაქტიკურმა მიმდინარეობამ (ჰაბერმასი), რომელიც კრიტიკულ–კომუნიკაციური დიდაქტიკაა.

როგორც გერმანელი მეცნიერი პერტი კანზანენი წერს: „დიდაქტიკის ძირითადი მოდელები (თეორიული, ემპირიული–ანალიტიკური, კრიტიკულ–კომუნიკაციური) მჭიდროდ დაუახლოვდნენ ერთმანეთს, მოხდა მათი ინტეგრაცია. აშკარად შეიმჩნევა მეორე ტენდენციაც – განვითარების მაღალ საფეხურზე ძალზე მჭიდრო კავშირი დამყარდა დიდაქტიკასა

და მასწავლებელთა განათლებას შორის. რაც შეეხება ამერიკაში სწავლების თეორიის განვითარებას, მას არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა (ჰერბერტ სპენსერი, უილიამ ჯეიმსი), ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, შემდგომი განვითარება და სრულყოფა ჯონ დიუის ნააზრევში ჰპოვა. აშშ-ში დიდაქტიკური აზროვნების განვითარებაში მნივნელოვანი როლი შეასრულა უილიამ კილპატრიკმა. განსაკუთრებულია აგრეთვე ედვარდ თორნდაიკის ფსიქოლოგიური მოძღვრება, რომელიც სწავლების საფუძვლადაა მიჩნეული.

აშშ – ში სწავლების თეორია, ანუ დიდაქტიკა დაეფუძნა ექსპერიმენტული კვლევის მასალებს, რომლებიც სწავლების ხარისხზეა ორიენტირებული, ხოლო გერმანიაში დიდაქტიკის საფუძველს იდეალისტური მსოფლმხედველობა წარმოადგენდა.

თანამედროვე მკვლევარი პ. კანზანენი თვლის, რომ დიდაქტიკის დანიშნულება გაფართოებულია და დღეს დიდაქტიკას, სწავლების გარდა, მეორე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – სწავლის საკითხების კვლევა აკისრია. აქედან გამომდინარე, დიდაქტიკა არის სწავლება–სწავლა–დასწავლის ერთგვარი მეტათეორია, რომელიც მოიცავს ურთიერთთან დაკავშირებულ სწავლება–სწავლა–დასწავლის სხვადასხვა მოდელს. (13. 100).

იმავე გერმანელი დიდაქტიკოსის პერტი კანზანენის შეფასებით, გერმანული დიდაქტიკა წარმოადგენს ფართო მოძღვრებას, რომელიც კანტისა და ჰერბარტის ფილოსოფიიდან ამოდის და პედაგოგიური პროცესის ყველა მხარეს მოიცავს, მაშინ, როდესაც სწავლების ამერიკული თეორია, მხოლოდ საკლასო მეცადინეობის პირობებში, სწავლების სოციალურ–ფსიქოგიური ასპექტების კვლევით შემოიფარგლება.

აღნიშნული მიდგომები განპირობებულია სწავლების მიმართ პრაგმატულ დამოკიდებულებაზე (ჯ. დიუი), რაც ამერიკული მოდელის საფუძველია. აქ სწავლის მოტივი კონკრეტული სოციალური და ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას უკავშირდებოდა და არ მოიცავდა შემეცნების იდეალისტურ განზოგადებებს. ამდენად, სწავლების ამერიკული მოდელი ყველაზე ახლოს იდგა სასწავლო პროცესის მენეჯერულ გააზრებასთან. სავსებით ლოგიკურია ისიც, რომ

ამგვარი თეორიები სწორედ ამერიკული განათლების წიაღში იშვა, რადგან სწავლების შედეგები აქ, უწინარეს ყოვლისა, სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემებს დაუკავშირდა და ამიტომაც ლოგიკურია, რომ სწორედ აქ, ამერიკაში ჩაეყარა საფუძველი მართვის მეცნიერებას – მენეჯმენტს, რომელსაც სწავლების პრობლემები იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ისინი მიაჩნია მიზნის მიღწევის საფუძვლად.

სწავლებაში მოქმედიანობას და მოტივაციას ყოველთვის უმნიშვნელოვანესი ყურადღება უნდა ეთმობოდეს. მაგრამ საბჭოურმა პედაგოგიკამ ზურგი აქცია დიდაქტიკის რაციონალურ გაგებას და უარყო „მოქმედების პედაგოგიკა", რომლის თანახმად, დიდაქტიკის მთავარი საკითხი არა მასწავლებლის, არამედ მოსწავლის მოქმედიანობის არსში წვდომაა, ხოლო სწავლება – სწავლის ფუნქციაა, ამასთან ერთად, მასწავლებლის საქმიანობის განმსაზღვრელი, მოსწავლის შემეცნებითი ძალების გააქტიურებაა.

სასწავლო პროცესთან მიმართებით, უკანასკნელ პერიოდში ჩვენში, აქტიურად იყენებენ აქამდე უცნობ ტერმინს „კურიკულუმს". კურიკულუმის პრობლემებზე კვლევის შედეგად 1983 წელს გამოცემულ ცნობარში (ჰეიმერი, ფრეი, ჰაფტი) დიდაქტიკა და კურიკულუმის თეორია ერთი მეცნიერული დარგის პარალელურ ვარიანტებად არის წარმოდგენილი. ამიტომ კურიკულუმს საგანმანათლებლო პრაქტიკაში არსებითად განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის კულტურული ტრადიცია. ისე, როგორც დიდაქტიკის მიმართ ევროპულ სივრცეში შენარჩუნებულია ტრადიციული მიდგომები, ხოლო ბრიტანულ-ამერიკულ საგანმანათლებლო მოდელებში ფაქტიურად აღარ იყენებენ დიდაქტიკას, როგორც ტერმინს და მიმართულებას. მის ნაცვლად მიმართავენ განათლების ფსიქოლოგიას, ხოლო განათლების გერმანულ სისტემებში, მათ შორის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, დიდაქტიკა კვლავინდებურად განიხილება განათლებისა და სწავლების თეორიად, რომელიც პედაგოგიკის შემადგენელი ნაწილის სტატუსით კვლავაც აგრძელებს არსებობას, რაც სავსებით გამართლებული მიდგომაა.

გერმანული დიდაქტიკა (Gadt-didaqtika) ცოდნაზე ორიენტირებული დიდაქტიკაა, რომელიც საგნის ცოდნასთან ერთად, არსებით მნიშვნელობას ანიჭებს საგნის პედაგოგიკური

მნიშვნელობის ცოდნასაც. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას აუცილებლად ითვალისწინებენ ტრადიციებს და სტუდენტთა კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს. ცოდნაზე ორიენტირებული დიდაქტიკა ეფუძნება სასწავლებელთა ავტონომიურობას და ექსპერტულ ცოდნაზე აგებულ საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარებას.

თანამედროვე ევროამერიკული განათლების მეცნიერებაში, დიდაქტიკა მიაჩნიათ ისეთ მეცნიერებად, რომელიც ინსტიტუციური სასწავლო გარემოსა და შესაძლებლობის გათვალისწინებით შეიმუშავებს რეკომენდაციებს სწავლება /სწავლა/ დასწავლის პროცესის რეალიზაციისათვის" (სილი).

ამჟამად, საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრების თანახმად, დიდაქტიკა არის სწავლებისა და განათლების თეორია, რომელიც პასუხს იძლევა კითხვებზე: რა ვასწავლოთ? როდის ვასწავლოთ? და როგორ ვასწავლოთ? დიდაქტიკის ცნებებია: განათლება, სწავლება, ცოდნა, უნარი და ჩვევა.

დიდაქტიკური პროცესი, პირველ რიგში, იწყება მიზნის განსაზღვრით, რაც იმას ნიშნავს, რომ სასწავლო პროცესის მონაწილე მხარეებმა კარგად გაიაზრონ, რისთვის ვასწავლით (ვსწავლობთ). აქედან გამომდინარე, შემდეგი საფეხურია სწავლების შინაარსი ან ის საგნები, რომელიც დაწესებულ ვადებში იქნება შესწავლილი, რასაც მოჰყვება ტექნოლოგიური ქვესისტემა ანუ სწავლების საშუალება, რომლის დახმარებითაც შედგება სწავლება. მომდევნო საფეხურია სწავლების მეთოდების შერჩევა, თუ რა სახით განხორციელდება სწავლება. სასწავლო პროცესის უკანასკნელი საფეხური სწავლების ფორმების არჩევაა. წარმოდგენილ პროცესში, მის თითოეულ საფეხურზე განსაკუთრებული როლი განეკუთვნება სასწავლო პროცესის სუბიექტსა და ობიექტს – მასწავლებელსა და სტუდენტს, ანუ ვინც ასწავლის და ვისთვისაც საერთოდ მიმდინარეობს ეს პროცესი.

სქემატურად სასწავლო პროცესის სტრუქტურა ასეთ სახეს მიიღებს:



დიდაქტიკაში გამოყოფენ შემდეგ დარგებს: ზოგადი დიდაქტიკა, სკოლამდელი დიდაქტიკა, სასკოლო დიდაქტიკა, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა, სამხედრო დიდაქტიკა, მოზრდილთა დიდაქტიკა და სხვ.

ამათგან ჩვენი ინტერესების სფეროს უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა წარმოადგენს, რომლის მიზანია, მეცნიერულად შეისწავლოს უმაღლეს სკოლაში სწავლების ამოცანები, მისი შინაარსი, სასწავლო პროცესის აგების პრინციპები, ფორმები, მეთოდები და ხერხები; იგი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს

სტუდენტთა მოტივაციას სწავლის, კვლევითი საქმიანობის მიმართ და ამით ეფექტური გახადოს, როგორც უშუალოდ სწავლება, ისე სტუდენტთა დამოუკიდებელი სასწავლო-კვლევითი მუშაობა.

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში აქტუალურია არამარტო რა ვასწავლოთ და როგორ ვასწავლოთ ? არამედ რისთვის ვასწავლოთ, ვის ვასწავლოთ, რით ვასწავლოთ, როდის ვასწავლოთ ? რა საშუალებებით ვასწავლოთ ? ვინ უნდა ასწავლოს ? რა პირობებში უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი ? და სხვა, რომელთა პასუხი სასწავლო პროცესის ყველა რგოლისთვის კუთვნილი ადგილის მიჩენას გულისხმობს.

ამრიგად, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა არის პედაგოგიური პროცესის ორგანული ნაწილი, რომელიც ადგენს სტუდენტთა განათლების, სწავლებისა და განვითარების კონცეპტუალურ მიმართულებებს. შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს სასწავლო – საგანმანათლებლო და მეცნიერული მუშაობის ოპტიმიზაციისთვის.

უკანასკნელ პერიოდში, დასავლეთის მსგავსად, პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც, აქტიურად იყენებენ ტერმინს – კურიკულუმს. მას ხშირად დიდაქტიკის მნიშვნელობასაც ანიჭებენ. კურიკულუმის წარმოშობის ისტორია, ჯოზეფ დოლჩიმ გამოიკვლია. მისი აზრით, პირველად ეს ტერმინი ფილანტროპისტებმა გამოიყენეს. გერმანულ და ინგლისურ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი – კურიკულუმი XVIII საუკუნის განმავლობაში თანდათანობით ცვლიდა ჯერ სიტყვა „გეგმას", ხოლო მომდევნო პერიოდში – სასწავლო გეგმას. XIX საუკუნის დასაწყისში მას უკვე იყენებდა ჰერბარტი, მაგრამ გარკვეული დროის მანძილზე ეს ტერმინი საერთოდ აღარ გამოიყენებოდა (13. 102).

კურიკულუმს გერმანიაში დაუბრუნდნენ XX საუკუნის 70–იან წლებში, ხოლო ამერიკაში კურიკულუმი სასწავლო გეგმის მისაღებ ვარიანტად მიიჩნიეს. იგი ჯონ დიუის რეფორმისტულ პედაგოგიკას დაეფუძნა. კურიკულუმის დანიშნულებად მიიჩნიეს სასწავლო საგნის სწავლების პროცესში შესასწავლი მასალის შინაარსის ჩვენება და სასწავლო პროცესის მართვის მექანიზმების წარმოჩენა, ანუ როგორ მოხდეს დასახული მიზნის რეალიზაცია. ყურადღების

ცენტრშია ყოველი მოსწავლის სასწავლო აქტივობა, რაც იმ თვისებების ფორმირებაში უნდა გადაიზარდოს, რომელიც უზრუნველყოფს შემეცნებითი უნარების განვითარებას და კრიტიკული აზროვნების ფორმირებას.

რაც შეეხება საკუთრივ კურიკულუმს, მისი როლი და ადგილი ევროამერიკულ საგანმანათლებლო სივრცეში იმდენად გაფართოვდა, რომ იგი თავისი მასშტაბებით დიდაქტიკას მიუახლოვდა. ამასთან დაკავშირებით 1979 წელს მკვლევარი ვოლფგანგ კლაფკი სტატიაში „კურიკულუმი – დიდაქტიკა" – წერდა: „ისეთი სურათი იქმნება, რომ თითქოს დიდაქტიკა არის ზოგადი კურიკულუმი".

საქართველოს კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამა და კურიკულუმი სინონიმურ ცნებებად აღიარა:

საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - სასწავლო კურსების ერთობლიობაა (მათი მიზნები და ამოცანები, შინაარსი და მოცულობა, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის პროგნოზირების თავისებურებები და მეთოდური უზრუნველყოფა), რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა გამიზნული;

წარმოდგენილი დეფინიციით კურიკულუმი ფაქტიურად დიდაქტიკის რანგშია აყვანილი. ამასთან ერთად, იმის შესახებაც უნდა აღინიშნოს, რომ ახლებური დეფინიციით გაფართოვდა საგანმანათლებლო პროგრამის არეალი და მას, როგორც კანონშია მითითებული, დიდაქტიკის როლი დაეკისრა.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საგანმანათლებლო პროგრამის ნაცვლად გამოიყენებოდა სასწავლო გეგმა. ამჯერად, როგორც დავინახეთ, მისი არეალი გაფართოვდა და იგი მოიცავს სასწავლო გეგმას, პროგრამას და მთელ სასწავლო პროცესსაც ანუ დიდაქტიკასაც, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს სასწავლო პროცესის რაციონალურ აგებას.

სწავლების მიმართ რაციონალური მიდგომები, რასაც მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს, განუზომლად ზრდის სტუდენტის შესაძლებლობებს, მიიღოს ხარისხიანი განათლება, რომელიც უკან კი არ მიჰყვება განვითარებას, პირიქით, წინ უსწრებს მას: „მხოლოდ ის სწავლებაა კარგი, რომელიც წინ

უსწრებს განვითარებას” (ლ. ვიგოდსკი). უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმები და პროგრამები იმგვარად უნდა იყოს შედგენილი, რომ პასუხობდეს ასეთ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია, I კურსზე შესწავლილი მასალა, IV კურსზე მოძველებული აღმოჩნდეს.

სწავლების უპირველესი დანიშნულება სტუდენტის დამოუკიდებელი საქმიანობისათვის მომზადებაა, სტუდენტს საკუთარი ღირებულებების გრძნობა უვითარდება, როცა სასწავლო გარემოს შექმნაში თანამშრომლობას სთავაზობენ, სწავლაში არჩევითობის უფლებას აძლევენ, როცა მისი აზრით საზოგადოებრივი ორგანიზაციები ინტერესდებიან (Classer, 1975). ამიტომ თანამედროვე დიდაქტიკის მოთხოვნა– ვასწავლოთ არა მარტო ცალკეული ამოცანების გადაწყვეტა, არამედ მასშტაბური აზროვნება, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთვევაში შესაძლებლობას მისცემს, თავადვე მონახოს მართებული გამოსავალი და სიტუაციიდან გამომდინარე, მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. ამრიგად, მათემატიკოსმა უნდა ისწავლოს მათემატიკური აზროვნება, იურისტმა –იურიდიული, ხოლო ინჟინერმა–ინჟინრული აზროვნება. საბოლოოდ მათ საფუძველს კი – კრიტიკული აზროვნების უნარის განვითარება წარმოადგენს.

კითხვები და დავალებები:

1. რა პირობებში აღმოცენდა დიდაქტიკა როგორც სწავლების თეორია?
2. ვინ განავითარა ცნობილი დიდაქტიკური თეორიები და რით განსხვავდებიან ისინი?
3. რით განსხვავდება ევროპული და ამერიკული დიდაქტიკა?
4. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის არსი.
5. რა მსგავსება და განსხვავებაა დიდაქტიკას, საგანმანათლებლო პროგრამას და კურიკულუმს შორის?

3.2. სწავლების ზოგადდიდაქტიკური პრინციპები

ზოგადდიდაქტიკური პრინციპები ის სახელმძღვანელო დებულებებია, რომლებიც არეგულირებს სწავლების პროცესს. ეს არის ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სწავლება საზოგადოების მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად. ამას მიეკუთვნება სწავლების ის პრინციპები და წესები, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუ გვსურს მივაღწიოთ მაღალ ეფექტიანობას სწავლებაში.

საიდან იღებს სათავეს სწავლების პრინციპები? დიდაქტიკის განვითარების პირველ ეტაპზე სწავლების პრინციპები და წესები არსებითად სწავლების გამოცდილების განზოგადებას წარმოადგენენ. ემპირიულ საფუძვლებზე აგებული პრინციპები სწავლების არსებული პრაქტიკის კვლავწარმოებისათვის, წარსულში საკმარისი იყო, რადგან მაშინ გადასაცემი ცოდნის მოცულობა და სირთულე ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე XX საუკუნის მეორე ნახევარში, მითუმეტეს, საუკუნის ბოლოს. მაგალითად, დაკვირვება-გამოცდილება აშკარად უჩვენებდა იმას, რომ ბავშვები სურათებისა და სხვა თვალსაჩინოების გამოყენებით ბევრად უფრო ადვილად სწავლობენ წერა-კითხვასა და თვლას, ვიდრე უიმისოდ. აქედან გამომინარე, ჩამოყალიბდა დიდაქტიკური წესი – „ასწავლე თვალსაჩინოდ!“ ან კიდევ, გამოცდილებით დადასტურდა, რომ მოქმდების მრავალგზის განმეორება იწვევს ამ მოქმედების მტკიცედ დაუფლებას. ეს გამოცდილება განზოგადდა და მივიღეთ დიდაქტიკური ფორმულა – „გამეორება ცოდნის დედაა“ და ა.შ.

საზოგადოებრივი განვითარების კვალობაზე მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. კერძოდ, განათლება მასობრივ სოციალურ-კულტურულ მოვლენად იქცა, უსაზღვროდ გაიზარდა და გართულდა გადასაცემი ცოდნის მოცულობა. ასეთ პირობებში არსებული პედაგოგიკური გამოცდილების უბრალო აღდგენა-კვლავწარმოება არასაკმარისი გახდა. საჭირო გახდა სწავლების ახალი მიმართულებით წარმართვა, ახალი პრინციპების მიგნება, რომლის წყარო მხოლოდ სწავლების არსებული გამოცდილება ვერ იქნებოდა. პირველ ყოვლისა, საჭირო გახდა სწავლების შინაგანი კანონზომიერებების კვლევა, სწავლების

ორგანიზაციის მექანიზმის მოქმედების ლოგიკისა და განვითარების ტენდენციების შესწავლა და მათი კავშირების გამოვლენა ადამიანის ფსიქიკური განვითარების თავისებურებებთან.

ამავე დროს, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სწავლების დიდაქტიკური პრინციპები განპირობებული უნდა იყოს საზოგადოების სოციალური დაკვეთითა და დიდაქტიკური სისტემის თავისებურებებით. განსხვავებულ დიდაქტიკურ სისტემებში განსხვავებული სწავლების პრინციპები მოქმედებენ.

სწავლების პრინციპები, განსაზღვრავენ რა ლექტორის მოქმედიანობის ზოგად მიმართულებებს, დგინდებიან სწავლების პროცესის ანალიზის საფუძველზე. სწორედ ამგვარი ანალიზის შედეგად ვლინდება ის კანონზომიერებანი, რომლებიც განსაზღვრულ დიდაქტიკურ მოვლენებს ეხებიან და წარმოაჩენენ სწავლების ცალკეულ ელემენტთა შორის კავშირებს. სწავლების პრინციპები სწორედ ამ კავშირებს მოიცავენ. ეს მომენტი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეიძლება ითქვას, სწავლების პრინციპის არსს რომ ჩასწვდე, აუცილებელია ეს კავშირები გააცნობიერო.

განათლების თეორიაში სწავლების პრინციპთა რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ეს შეეხება როგორც სასკოლო დიდაქტიკას, ისე უმაღლესი სკოლის დიდაქტიკას. ზოგიერთი მეცნიერი ხუთ პრინციპს ასახელებს, ზოგი კი მეტს, მათი რაოდენობა ხუთიდან რვამდე მერყეობს, სხვადასხვა მეცნიერის შეფასებით. ჩვენ გამოვყოფთ შედარებით გაზიარებულ კლასიფიკაციას, რომელიც ასეთ სახეს მიიღებს:

მეცნიერულობის პრინციპი, განათლების ფუნდამენტალიზაციის პრინციპი, სისტემატურობისა და თანამიმდევრობის პრინციპი, საგანთაშორისი კავშირის პრინციპი, სწავლების პროფესიული მიმართულების პრინციპი, მისაწვდომობის პრინციპი.

მეცნიერულობის პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისთვის, არამედ უმაღლესი განთლებისთვისაც. თუმცა ამ პრინციპის გამოყენება არ ნიშნავს, მეცნიერების ყველა მონაპოვარი სასწავლო პროგრამებში აისახოს. როგორც

ცნობილია, ფუნდამენტურ მეცნიერებებში აღმოჩენები გვიან აღწევენ აღიარებას. მაგალითად, ა. აინშტაინის შრომები 1905 წელს გამოჩნდა, მაგრამ მისი თეორიების აღიარება შედარებით გვიან მოხდა, ამიტომ მეცნიერულობის პრინციპი სწავლებაში სრულიად არ ნიშნავს ყოველი ახალი მოძღვრების თუ მოსაზრების სასწავლო პროგრამებში შეტანას. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს ესა თუ ის თეორია თვითდამკვიდრებას და რაც მთავარია, არსებითია თუ არა მისი ცოდნა კონკრეტული სპეციალისტის მოსამზადებლად.

მეცნიერულობის პრინციპზე კეთდება აქცენტი უმაღლეს სკოლაში, უპირატესად სწავლების შინაარსის ფორმირებისას, ხოლო, რაც შეეხება უშუალოდ სწავლების პროცესში ამ პრინციპის გამოყენებას, იგი შემდეგ ფაზებს გაივლის: ემპირიული ფაქტები, რომლებიც არ შეესაბამება არსებულ წარმოდგენებს > მათი ინტერპრეტაცია, ჰიპოთეზის წამოყენება > ჰიპოთეზის თეორიული და ექსპერიმენტული დადასტურება > წარმოდგენილი დასკვნის (ჰიპოთეზის) მეცნიერულ ცოდნად ქცევა ან მისი უარყოფა (კორექტირება).

ფუნდამენტალიზაციის პრინციპი მხოლოდ უმაღლესი სკოლისთვისაა დამახასიათებელი. უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში, კონკრეტულად კი სწავლების საწყის ეტაპზე, მეცნიერულობის პრინციპი მჭიდრო კავშირშია განათლების ფუნდამენტალიზაციის პრინციპთან. ასეთი მიდგომა სასწავლო პროცესისადმი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სწორედ საუნივერსიტეტო განათლების ქვედა საფეხურზეა გათვალისწინებული საუნივერსიტეტო საბაზო საგნების შესწავლა, რომლებიც უზრუნველყოფს სტუდენტის ზოგადსაგანმანათლებლო თეორიულ ცოდნას და ამზადებს მას პროფესიულ სიღრმეებში შესაღწევად.

ზოგიერთი მკვლევარი განათლების ფუნდამენტა-ლიზაციისთვის მნიშვნელოვან კომპონენტად პროფესიულ – საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის გაძლიერებას მიიჩნევს. ასეთად კი კომპიუტერულ წიგნიერებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობას და უცხოური ენების შესწავლას თვლიან, რაც მოცემულ ეტაპზე ზოგადსაგანმანათლებლო ციკლის დისციპლინებად ითვლება.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში საკმაოდ პოპულარული გახდა ახლახანს წამოყენებული ტერმინი „ბაზისური კვალიფიკაცია", რომელიც გულისხმობს ე. წ. გამჭოლი საგნების და მიმართულებების შესწავლას. ზემოთ აღნიშნული საგნების გარდა, მათ მიაკუთვნებენ: ეკოლოგიას, ეკონომიკას და ბიზნესს, ფინანსებს, „კომერციულ ალღოს", სატრანსფერო ტექნოლოგიებს, მარკეტინგს, სამართლებრივ ცოდნას, საპატენტო და ინტელექტუალური საკუთრების საფუძვლებს და სხვა.

ამდენად, უმაღლესი განათლების ფუნდამენტალიზაცია გულისხმობს სტუდენტთა ზოგადთეორიულ, ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადპროფესიულ და ზოგადმეცნიერულ მომზადებას და მათი პროფესიული პროფილის გაფართოებას.

ფუნდამენტალიზაციის პრინციპის მცდარ გაგებასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა ამა თუ იმ დისციპლინას ან მეცნიერებას მიაკუთვნებენ „ფუმდამენტალიზაციის ექვივალენტის" სტატუსს. სწრაფად ცვალებად სამყაროში განათლების ფუნდამენტალიზაცია დროის მოთხოვნაა, რომელიც გლობალიზაციის თანამდევი პროცესებითაა განპირობებული. სტუდენტის მომზადება მრავალი ამოცანის გადაჭრაზე უნდა იყოს ორიენტირებული, ამაში სწორედ განათლების ფუნდამენტალიზაციის პრინციპის გეგმაზომიერი გამოყენება გაგვიწევს დახმარებას.

სისტემურობა და თანმიმდევრობა სწავლებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში დიდი ხნის წინ დანერგილი სწავლების სისტემატურობისა და თანამიმდევრობის დიდაქტიკური პრინციპისგან. უმაღლეს სკოლაში სისტემური ცოდნა და შესაბამისად სისტემური სწავლა, ისეთი ცოდნის დაუფლებას გულისხმობს, რომლის ამოსავალი ნიშნული სტუდენტის შემეცნებითი უნარების იმგვარად განვითარებაა, რომ იგი ადვილად გაერკვეს მიზეზ–შედეგობრივ კავშირებში, შეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება, ადეკვატურად გააანალიზოს სხვადასხვა სიტუაცია, დაამყაროს სტრუქტურული კავშირები მათ შორის და მიიღოს ოპერატიული გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ამ პრინციპის მეორე ნაწილს, თანმიმდევრობას სწავლებაში, იგი, როგორც ითქვა,

დიდაქტიკაში ტრადიციითაა განმტკიცებული და მას მნიშვნელობა უმაღლესი სკოლის დიდაქტიკისთვის დღესაც არ დაუკარგავს. არა მარტო სასწავლო მასალა უნდა აიგოს თანმიმდევრობით, რაც გულისხმობს თანდათანობით გადასვლას ახლობლიდან – შორეულზე, ნაცნობიდან – უცნობზე, მარტივიდან – რთულზე, არამედ სწავლების მთელი მექანიზმი ამ პრინციპის განხორციელებისკენ უნდა იყოს მიმართული.

მართალია, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მოტივაცია უფრო ძლიერია, ვიდრე სკოლაში, მაგრამ სწავლებაში სისტემურობისა და თანმიმდევრობის დაცვა, აქაც აქტუალურია, განსაკუთრებით სტუდენტობის საწყის ეტაპზე. უმაღლესი განათლების სისტემაში ახლახანს დამკვიდრებულმა კრედიტების ტრანსფერების დაგროვების ევროპულმა სისტემამ, რეალური პირობები შექმნა ამ პრინციპის განხორციელებისთვის. როგორც ცნობილია, საკრედიტო სისტემა ეფუძნება სტუდენტის სისტემატურ მეცადინეობას მთელი სემესტრისა და სასწავლო წლის მანძილზე, რაც გამოიხატება შესასწავლი საგნების ნაწილ-ნაწილ სწავლაში და შესაბამისად ჩაბარებაში, განსხვავებით ადრე არსებული სისტემისაგან, როცა სტუდენტი მხოლოდ გამოცდის წინა დღეებში ამზადებდა საგანს.

სწავლებაში **საგანთაშორისი კავშირის პრინციპის** პრაქტიკული განხორციელება გულისხმობს სწავლების შინაარსის შემადგენელ საგნებს შორის ისეთი დიდაქტიკური კავშირების ასახვას, როგორიც არსებობს ბუნებაში, საზოგადოებაში და შეიმეცნება მეცნიერების მიერ. საგანთაშორისი კავშირი გამოდის როგორც მეცნიერებათაშორისი ექვივალენტი, მის მეთოდოლოგიურ საუძველს მეცნიერული ცოდნის დიფერენციაცია და ინტეგრაცია წარმოადგენს, ხოლო ფსიქოლოგიურ საფუძვლად ითვლება სტუდენტთა სისტემათაშორისი ასოციაციების შემეცნება განათლებაში, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ერთიანობას, როგორც მსოფლმხედველობისა და ქცევის ერთობას.

მეცნიერებათა ინტეგრაციის გამოცდილება აისახება, როგორც ცალკეულ საგნების შესწავლისას, ისე ზოგადი განათლების სტრუქტურაში, სადაც გამოყოფენ სამ

კომპონენტს: ცოდნის სისტემას, რომელიც თვისობრივად გარდაიქმნება საგანთაშორისი კავშირის შედეგად; უნარების სისტემას, რომელიც სასწავლო-შემეცნებით საქმიანობაში სპეციფიკურ სახეს იღებს და საგანთაშორის კავშირებში რეალიზდება; ურთიერთობათა სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო–შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბებას, სხვადასხვა საგნიდან მიღებული ცოდნის სინთეზის საფუძველზე.

ამდენად, საგანთაშორისი კავშირის პრინციპის პრაქტიკაში განხორციელება გულისხმობს მონათესავე საგნებში საზიარო და მსგავსი თეორიების, კანონების, ცნებების და ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგიური პრინციპების და მეთოდების შესწავლას, რაც ხელს შეუწყობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მასშტაბურად გააზრებას და სტრუქტურული ცოდნის დაუფლებას.

სწავლების პროფესიული მიმართულობის პრინციპს უმაღლესი სკოლისთვის შეიძლება პირობითად „მაპროფილებელი პრინციპის" სტატუსი მიეკუთვნოს. ეს პრინციპი პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში დაამუშავეს პროფტექნიკური განათლების პედაგოგიკაში და დღემდე წამყვან პრინციპად ითვლება ამ სფეროში. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი გამოყენება უმაღლეს სასწავლებელშიც. ამჟამად ამ პრინციპის მიმართ რამდენიმე შეხედულება არსებობს. ზოგი მკვლევარი ამ ტერმინით გამოხატავს განსხვავებულ შეხედულებებს ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადდიდაქტიკურ, ფუნდამენტურ დისციპლინებსა და პრაქტიკულ საწარმოო სწავლებას შორის და ფიქრობს, რომ საგანთაშორისი კავშირის პრინციპის არსი პროფესიული მომზადების ამა თუ იმ სფეროში ზოგადსაგანმანათლებლო და ზოგადტექნიკური ცოდნის გამოყენებაში მდგომარეობს. უფრო გავრცელებული მოსაზრების თანახმად, პროფესიულ მიმართულებაში შედის პიროვნების (შრომითი საქმიანობისადმი და კონკრეტული პროფესიისადმი), ზოგადი და პროფესიული სწავლების მიმართულობა.

სწავლების პროფესიული მიმართულობის პრინციპის შედგენილობა საშუალებას გვაძლევს, ჩამოვაყალიბოთ ამ პრინციპის განხორციელებისათვის აუცილებელი კრიტერიუმები:

პროფესიული მიმართულობა სწავლებაში არც თუ იშვიათად მცდარად გაიგება, რაც წარმატებების ნაცვლად ზიანის მომტანიც შეიძლება გახდეს. ასე მაშინ მოხდება, როცა საბუნებისმეტყველო და ფუნდამენტური მეცნიერების რომელიმე საგნის სრული კურსის შესწავლის დასრულებამდე, მასში შეაქვთ პროფესიული პრობლემატიკა, რაც უარყოფითად მოქმედებს, როგორც საგნის შესწავლაზე, ისე სტუდენტის პროფესიულ დაოსტატებაზე. ამ პრინციპის გამოყენებაში დიდი სიფრთხილე და მიზანმიმართული მუშაობაა საჭირო. ზოგადსაგანმანათლებლო და ზოგადტექნიკური საგნების შესწავლა, რასაკვირველია, პროფესიის დაუფლებას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ არც ამ პრინციპთან და არც სხვა პრინციპებთან მიმართებაში, მათი გამოყენება თვითმიზნად არ უნდა იქცეს და სწავლების პროფესიულმა მიმართულებამ არ უნდა გამოიწვიოს ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადტექნიკური და ფუნდამენტური მეცნიერებების სწავლაში ზერელე დამოკიდებულება.

ზოგადსაგანმანათლებლო საგნების შესწავლამ შეიძლება პირდაპირი გავლენა არ იქონიოს პროფესიული საგნების დაუფლებაზე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. თუ უფრო ჩავუღრმავდებით ამ საკითხს, აღმოჩნდება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო საგნები პირველ რიგში ხელს უწყობენ პიროვნების ჰარმონიულ, ინტელექტუალურ განვითარებას. ამის შედეგად სტუდენტს თავისთავად უყალიბდება რაციონალური მიდგომები პროფესიის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ამ საგნების შესწავლისას მიმდინარეობს სტუდენტის იდეური, ზნეობრივი შეხედულებების ფორმირება, როგორც სამყაროსა და საზოგადოების მიმართ, ისე მისი მომავალი პროფესიისა და ადგილის შესახებ საზოგადოებაში.

რაც შეეხება ზოგადტექნიკურ და ფუნდამენტურ მეცნიერებებს, ისინი პროფესიის დაუფლების საფუძველს წარმოადგენენ, ამიტომ მათი ხარისხიანად სწავლების მნიშვნელობა ისედაც ნათელია, ამჟამად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ აღნიშნული ციკლის საგნები საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად მოდულს წარმოადგენენ, ანუ, ძველი ტერმინით რომ ითქვას, „მაპროფილებელი ჯგუფის” საგნებია

და მათი შესწავლა თეორიისა და პრაქტიკის გეგმაზომიერი მონაცვლეობით უნდა წარიმართოს.

მისაწვდომობის პრინციპის პრაქტიკულად განხორციელებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შემეცნებითი სირთულეების გადალახვას, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემაში.

შემეცნებითი სირთულეების პრობლემა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული არც პედაგოგიკაში და არც განათლების ფსიქოლოგიაში. არადა ამ პრობლემის დამუშავება ყველა დონის სწავლებისათვის აქტუალურია, რადგან სასწავლო მასალის შერჩევისა თუ სახელმძღვანელოს შექმნისას, აუცილებელია შემეცნებითი შესაძლებლობების გათვალისწინება. დიდაქტიკაში ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ სასწავლო მასალა არ უნდა იყოს არც ძალიან რთული და არც ძალიან იოლი. იგი უნდა იყოს ისეთი, რომ მოსწავლემ შეძლოს მისი ათვისება. ასეთი მიდგომა, შესაძლებელია, ნაწილობრივ უმაღლეს სკოლაზეც გავავრცელოთ.

როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ძალიან ადვილ გაკვეთილს სკოლის მოსწავლე ხშირად არ სწავლობს, რადგან მიაჩნია, რომ მან იგი ისედაც იცის, ხოლო ძალიან რთული საკითხების შესწავლას, გვერდზე გადადებს იმ მიზეზით, რომ ენერგიისა დროის ფუჭ ხარჯვად მიიჩნევს მეცადინეობას, რადგან ასეთ რთულ მასალას მაინც ვერ დაძლევს. როგორც ითქვა, ასეთი შეხედულებები ნაწილობრივ სტუდენტებშიც იჩენს თავს, ამიტომ სწავლა უნდა იყოს დასაძლევ სიძნელეთა დაძლევის მიზანმიმართული პროცესი. შემეცნებითი ამოცანები სტუდენტის შემეცნებითი შესაძლებლობების შესატყვისი უნდა იყოს. ასეთი მოთხოვნა არა მარტო ლექცია-სემინარების დაგეგმვა – ჩატარებისას არის გასათვალისწინებელი, არამედ საგანმანათლებლო პროგრამების აგებისას, უფრო მეტიც, მთელი სასწავლო პროცესის მენეჯმენტი ამ პრინციპის დაცვით უნდა მიმდინარეობდეს.

შემეცნებითი სირთულეების გადალახვა, როგორც ითქვა, სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ასეთი პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს რამდენიმე ფაქტორმა:

1. სწავლის არასრულმა მოტივაციამ, 2) სუსტმა საბაზო განათლებამ, 3) უინტერესო ლექციებმა, 4) აკადემიურ ლექსიკაში გაუცხოებამ და კიდევ სხვა ფაქტორებმა.

მისაწვდომობის პრინციპის გამოყენებით შესაძლებელია ზემოქმედება მოვახდინოთ ჩამოთვლილ ფაქტორებზე და გაზადაგზა აღმოვფხვრათ ან შევამციროთ მათი გავლენა.

როგორც ცნობილია, სწავლება იმისთვის არ არის მოწოდებული, რომ სტუდენტს მხოლოდ ცოდნის რაღაც მოცულობა გადაეცეს, არამედ პოზიტიური ზემოქმედება მოახდინოს მისი მსოფლმხედველობის განვითარებაზე, ჩამოუყალიბოს კრიტიკული აზროვნებისა და სიტუაციიდან გამომდინარე, ადეკვატური გადაწყვეტილების მიღების უნარი.

შემეცნებითი სიძნელეების გადაჭრაში სტუდენტთა კრიტიკულ-რეფლექსური ძალების განვითარების ერთ-ერთ ხერხად უნდა ჩაითვალოს ისეთი სიტუაციების შექმნა სასწავლო პროცესში, რომელიც თითქოს არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ მისი სიღრმისეული განხილვა საპირისპირო სურათს დაგვანახებს, ან მეორე უკიდურესობა, როცა ესა თუ ის თემა ან საკითხი სტუდენტის წარმოდგენაში არსებითია, მაგრამ მისი კრიტიკული განხილვისას რადიკალურად გვეცვლება მასზე წარმოდგენა. ამდენად, ლექტორის პედაგოგიურ ოსტატობაზე ბევრადაა დამოკიდებული წინასწარი შეხედულებების საიმედოობის კონტროლი. ასეთი სიტუაციები ხელს უწყობს შემეცნებითი შესაძლებლობების განვითარებას.

სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპის რეალურად განხორციელება სამამულო უმაღლესი განათლების ერთ-ერთ „მტკივნეულ” პრობლემად ითვლება. დღემდე უმაღლესი განათლების სისტემამ ვერ მიაღწია აბსტრაქტულ–თეორიული სწავლებისა და პროფესიული საქმიანობის პრაქტიკული ასპექტების ოპტიმალური თანაფარდობის დაცვას. უფრო მეტიც, ამ მხრივ ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში მდგომარეობა კიდეც გაუარესდა. როგორც ცნობილია, სოციალისტური გეგმიური ეკონომიკის პირობებში სამრეწველო წარმოებები ზემდგომ ინსტანციებს ემორჩილებოდნენ და სტუდენტების პრაქტიკა-სტაჟირებას თავიანთ ბაზაზე ატარებდნენ. ამჟამად მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. კერძო კომპანიები დაიტერესებულნი არ არიან პრაქტიკის გასავლელად სტუდენტების მისაღებად, ან თუ იღებენ, ხშირად ამ პროცესს ფორმალური ხასიათი აქვს, რაც „სასურველი” დახასიათების მიცემით ამოიწურება.

ეკონომიკური პროფილის სპეციალობებზე (საფინანსო, მენეჯერული, საბუღალტრო) სტუდენტ-პრაქტიკანტებს არ აცნობენ შესაბამის დოკუმენტებს, იმის მომიზეზებით, თითქოს ასეთი მასალები მათ კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენდეს, რაც, რასაკვირველია, არგუმენტად ვერ გამოდგება და კომერციული საიდუმლოების არსის მცდარი გაგებიდან გამომდინარეობს.

სწავლების ცხოვრებასთან, საზოგადოებრივ პრაქტიკასთან კავშირის პრინციპის უგულებელყოფასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა უმაღლესი სასწავლებლის დაბალ კურსებზე მიღებული ფუნდამენტური ცოდნა პრაქტიკით არაა განმტკიცებული და ასეთი თეორიული ცოდნა არათუ სამსახურში, არამედ მაღალ კურსებზეც დავიწყებას ეძლევა. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ ისეთი ცოდნა, რომელსაც არ ახლავს პრაქტიკული მუხტი, დავიწყებისთვისაა განწირული.

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ საბჭოური განათლების სისტემის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ, მისი ფუნდამენტური ხასიათი ითვლებოდა, მაგრამ მასაც ახლდა სუსტი მხარეები: მომზადებულ სპეციალისტებს იმდენად ფართო პროფილს აძლევდნენ, რომ იგი დილეტანტიზმს უახლოვდებოდა, ამიტომ ასეთი კურსდამთავრებული იძულებული იყო შრომითი საქმიანობის პირობებში შეევსო ან ახლიდან დაუფლებოდა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, ამ მიზნით, ახლიდან უწევდა პრაქტიკა – სტაჟირების გავლაც, რაც უმაღლესი სასწავლებლის კედლებში უნდა გაეკეთებინა. თუმცა ამის შესაძლებლებლობას ნამდვილად იძლეოდა სახელმწიფო ეკონომიკა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკისა და საყოველთაო კონკურენციის პირობებში კურსდამთავრებულთათვის ასეთი „სასათბურე პირობების" შექმნა აზრად არავის მოუვა, ამიტომ ახალგაზრდა სპეციალისტი მზად უნდა იყოს კონკურენციის პირობებში საქმიანობისთვის. სპეციალისტის მიმართ ასეთი მოთხოვნები არ გამორიცხავს გარკვეული ღონისძიებების გატარებას მისი პროფესიული ზრდისა და დაოსტატების მიზნით, მაგრამ საბჭოური „დამრიგებლობის" სისტემის რეანიმაციაც ფუჭი ოცნება იქნება.

სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპის გატარებას სერიოზულად აბრკოლებს პროფესორთა პრაქტიკული

მუშაობის გამოცდილების უქონლობა. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, როცა პროფესიულ-საკვალიფიკაციო საგნებს ზოგჯერ ის პროფესორები ასწავლიან, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობას არასოდეს ეწეოდნენ. ამიტომ სასწავლო პროცესის გადაჭარბებული თეორეტიზაცია მარტო სასწავლო გეგმების ბრალი არ არის. აქედან გამოსავალი ის იქნება, თუ ე. წ. „მაპროფილებელ" ანუ საკვალიფიკაციო საგნებს ისეთი პროფესორები გადასცემენ, რომლებსაც შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ექნებათ, რასაც კიდევ უფრო განამტკიცებს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკა–სტაჟირების განუხრელი შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ კვლავ მივიღებთ ისეთ კურიოზულ სწავლებას, როცა მომავალ მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარების მეთოდიკას ასწავლიდა ისეთი ლექტორი, რომელსაც არასოდე სჭერია ხელში საკლასო ჟურნალი, ხოლო მომავალ ექიმს დიაგნოზის დასმას ასწავლის ის, ვისაც ავადმყოფთან პროფესიული შეხება არასოდეს ჰქონია.

სწავლების გადაჭარბებულმა თეორეტიზაციამ იმდენად მწვავედ იჩინა თავი, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა მის წინააღმდეგ თითქმის ერთბაშად გაილაშქრეს, რამაც მეორე უკიდურესობის წინაშე დაგვაყენა. რეალურად წარმოიშვა ფუნდამენტური განათლების უარყოფის საშიშროება, რაც გაცილებით მავნეა, ვიდრე უწინდელი მდგომარეობა. ასეთმა რადიკალურმა მიდგომებმა, პირველ რიგში, თავი იჩინა სასწავლო გეგმების ფორმირებისას. მავანთ, თეორიული კურსების გაუმართლებელი შეკვეცის საფუძვლად საკრედიტო სისტემაზე გადასვლა მიაჩნიათ, რაც მცდარია. საკრედიტო სისტემა არამც და არამც არ ითვალისწინებს თეორიული სწავლების შესუსტებას პრაქტიკული ნაწილის გაძლიერების ხარჯზე, პირიქით, იგი პროპორციული თანაფარდობის დაცვისკენ მოგვიწოდებს, რაც იმას ნიშნავს, რომ უმაღლესი განათლება არის სპეციალისტის მომზადება კონკრეტულ სპეციალობაში საქმიანობისთვის და არა ზოგადად განათლებული ადამიანის მომზადება, რაც თავისთავად სასურველია, მაგრამ პირველადი მაინც სპეციალისტის მომზადებაა, რომელიც ხელს არ უშლის ზოგად განათლებას. კონკრეტული პროფილის გარეშე უმაღლესი სასწავლებლის

კურსადამთავრებული ვერ შეძლებს პოტენციური უნარ–შესაძლებლობების რეალიზაციას პრაქტიკულ საქმიანობაში. თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აბსოლუტურად იდეალურ პირობებში საქმიანობა არც ვიწრო პროფილის სპეციალისტს მოუწევს. შრომის ბაზარზე არასტაბილურობა ჩვეულებრივი მოვლენაა, ამიტომ ფუნდამენტური განათლება (იგი თავისთავად დიდი სიკეთეა) ცხოვრებისეულ გამოწვევებზე პასუხისთვის საიმედო იარაღია. ფუნდამენტურად განათლებული პიროვნება იოლად შეძლებს ახალ რეალობაში ადაპტირებას. თუმცა, უმაღლესი განათლება, როგორც ზემოთ ითქვა, ვერ იკისრებს სტუდენტის ფუნდამენტურ განათლებას, მისი პირველადი მოვალეობა კონკრეტულ სპეციალობაში პიროვნების მომზადებაა, ხოლო ფუნდამეტური განათლების სურვილი სტუდენტიდან უნდა მოდიოდეს, რომლის ხელშეწყობაც ასევე უმაღლესი სასწავლებლის მოვალეობაა.

აღნიშნული პრინციპების პარალელურად, ზოგიერთი მკვლევარი დისტანციური სწავლებისთვის სპეციფიკურ სწავლების პრინციპებს გამოყოფს, მაგალითად, მკვლევარ ვ. ანდრეევს, ასეთ პრინციპებად მიაჩნია: ინტერაქტივი, სასტარტო ცოდნა, სწავლების ინდივიდუალიზაცია, სწავლების რეგლამენტაცია, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. აღნიშნული პრინციპების საფუძვლიანობა საეჭვოდ გვეჩვენება, რადგან არც ერთი მათგანი სასწავლო პროცესისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ისინი დიდი ხანია გამოიყენებიან დიდაქტიკაში, როგორც საყოველთაოდ გავრცელებულ პრინციპებში შემავალი სეგმენტები, ან სწავლების მეთოდის ნაირსახეობანი. მაგალითად, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ცალკე პრინციპად გამოყოფას არ აქვს აზრი, რადგან სწავლების თეორიაში იგი ისედაც მთელ მიმართულებას წარმოადგენს და გამოიყენება არა მარტო დისტანციურ სწვლებაში, არამედ ზოგადად ყოველგვარ სწავლებაში. თუნდაც ზემოთ დასახელებული ე. წ. სასტარტო და ინდივიდუალური ცოდნის პრინციპები რომ ავიღოთ, მათ განა მარტო დისტანციურ სწავლებაში იყენებენ? ხოლო სწვლების პროცესის რეგლამენტაცია არ შეიძლება პრინციპის რანგში ავიყვანოთ, რადგან იგი სწავლების პროცესის სახეცვლილი ვარიანტია. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა დისტანციურ სწავლებასთან მიმართებაში რაიმე

დამახასიათებელი გამოვყოთ, ასეთად შეიძლება განვიხილოთ დისტანციური სწავლების ორი სპეციფიკური მხარე: პირველი – თითოეული პიროვნების თავისუფალი შესაძლებლობა, მისაღები გამოცდების გარეშე ისწავლოს და მიიღოს უმაღლესი განათლება; მეორე – დისტანციურობა სწავლებაში ნიშნავს მასწავლებელთან მინიმალური კონტაქტის პირობებში სწავლას, როდესაც უპირატესობა დამოუკიდებელ მუშაობას ენიჭება, ხოლო წამყვანი ადგილი ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ეკუთვნის.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ, ჩვეულებრივ, დისტანციურ სწავლებაში ჩაბმული სტუდენტი ასეთი შესაბამისობით იყენებს სასწავლო საშუალებებს: ბეჭდური პროდუქციას 40-50 %, ინტერნეტის სერვერიდან მიღებულ სასწავლო მასალებს 30-35 %, კომპიუტერული ვიდეო – საინფორმაციო კავშირს 10-15 %, სხვადასხვა საშუალებებს 5-10 %.

ისტორიული გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ყველა სიახლეს და აღმოჩენას პრობლემებიც თან ახლავს. კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, ასეთ პრობლემად ითვლება კომპიუტერის და ინტერნეტის მოხმარების მიმართ მოზარდთა და სტუდენტთა გადაჭარბებული ინტერესი. გარდა იმისა, რომ კომპიუტერთან მუდმივი კონტაქტი ადამიანის ჯანმრთელობაზე და ფსიქიკაზე უარყოფითად მოქმედებს, რაც თანამედროვეობის უმწვავესი პრობლემაა, იგი ამავე დროს პედაგოგიური თვალსაზრისითაც ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს. კომპიუტერს დიდ სიკეთესთან ერთად გამოუსწორებელი შედეგების მოტანაც შეუძლია. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ ტექნიკით სარგებლობისას ზომიერების დაცვა. კომპიუტერის ეფექტი, მისი შესაძლებლობები ხშირად დროის განცდას გვავიწყებს, მხედველობიდან გვრჩება პირველადი ამოცანები და უნებლიედ სხვა ინფორმაციაზე, გასართობ პროგრამებზე გადავერთვებით, თუმცა დროდადრო ასეთი რამეც საჭიროა, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ყველაფერში მთავარი ზომიერებაა. ასეთი ცდუნების თავიდან ასაცილებლად პირადი რეგლამენტის დაწესება და შესრულება აუცილებელია. უამისოდ, არა მარტო მოზარდი, არამედ, შესაძლებელია უფროსი ასაკის პიროვნებაც იმდენად გაიტაცოს ახალმა ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა,

რომ იგი, როგორც ახლა მას უწოდებენ, შეიპყროს ე.წ. „საბავშვო ავადმყოფობამ" ანუ კომპიუტერის სინდრომმა.

ზოგადიდაქტიკური პრინციპების პარალელურად უმაღლეს სკოლაში გამოყოფენ სწავლების სტრატეგიულ პრინციპებს, რომლებიც არსებული დიდაქტიკური პრინციპების ერთგვარ სინთეზს წარმოადგენს. მათ ასეთნაირად აჯგუფებენ:

1. უმაღლესი განათლების ორიენტირებულობა კურსდამთავრებულის პიროვნულ განვითარებაზე;
2. უმაღლესი განათლების შინაარსის შესაბამისობა მეცნიერებისა (ტექნიკის) და წარმოების (ტექნოლოგიის) თანამედროვე და საპროგნოზო განვითარების ტენდენციებთან;
3. უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმების (მათ შორის ინდივიდუალური და ჯგუფური) ოპტიმალური შეხამება;
4. სპეციალისტთა მომზადების სხავადასხვა ეტაპზე სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და საშუალებების რაციონალური გამოყენება;
5. კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა სფეროდან სპეციალისტთა მომზადების მიმართ წამოყენებული კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინება, სტუდენტთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი სტრატეგიული პრინციპები დეკლარაციულ ხასიათს ატარებს, ამიტომ ისინი ვერ ჩაენაცვლებიან ტრადიციულ, მაგრამ განახლებულ ზოგადდიდაქტიკურ პრინციპებს, თუმცა, სასწავლო ამოცანების დასახვასა და მათ ოპტიმალურად გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება სწავლების სტრატეგიულ პრინციპებსაც შეუძლიათ.

უმაღლესი სკოლის საქმიანობაში კვლავ აქტუალური რჩება ფუნქციონალური წიგნიერების პრობლემა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80 – იან წლებში, იუნესკოს დოკუმენტებში ფუნქციონალურ წიგნიერებად მიჩნეული იყო ადამიანის ელემენტარული ჩვევები: კითხვა, წერა და ანგარიში. უკანასკნელ პერიოდში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ძვრებმა ამ მხრივ შეცვალა აღნიშნული საკითხისადმი დამოკიდებულება.

კერძოდ, ამჟამად ფუნქციონალური წიგნიერების საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მათ მიაკუთვნებენ ისეთ არაპროფესიულ კომპონენტებს, რომელთა ფლობა საჭიროა, როგორც ცოდნის თვალსაზრისით, ისე უნარ-ჩვევების დონეზე, პიროვნების სოციალური მდგომარეობისა და პროფესიული საქმიანობის მიუხედავად. მკვლევართა უმრავლესობა იმაზეც თანხმდება, რომ წიგნიერების მონახაზი შეიცავს ცოდნასა და უნარებს ყოფით – ელემენტარულიდან (საკვების მომზადება, მარტივი საოჯახო ხელსაწყოების შეკეთება, უსაფრთხოების წესების ცოდნა, ექიმამდელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, კომუნალური ანგარიშსწორება, საყოფაცხოვრებო ტექნიკით და კავშირგაბმულობის საშუალებებით სარგებლობა და ა. შ.) ისეთი სამუშაოების და ოპერციების შესრულებამდე, რომლებიც გაცილებით მაღალინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს (ავტომანქანის მართვა, კომპიუტერის ფლობა, უცხოური ენების ცოდნა, საპატენტო – სალიცენზიო ცოდნა, ეკონომიკური, ეკოლოგიური და იურიდიული საფუძვლების ცოდნა და ა. შ.).

ფუნქციონალურ წიგნიერებას უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის საფუძვლების ცოდნა, რადგან არაპროფესიულ დონეზე ყოველი ადამიანი მოვალეა აღზარდოს შვილები და შვილიშვილები, ზემოქმედება მოახდინოს მომავალი თაობის ზნეობრივ ფორმირებაზე.

ფუნქციონალური წიგნიერება წარმოადგენს ნებისმიერი პროფილის სპეციალისტის წარმატებული საქმიანობის მყარ საფუძველს. იგი ასევე გასაღებია პროფესიის ათვისებისთვის. ამიტომ, იმის მიუხედავად, რომ უმაღლეს სასწავლებელში, როგორც წესი, უნდა ხვდებოდნენ ის აბიტურიენტები, რომლებმაც გადალახეს ელემენტალური წიგნიერების ზღვარი, მაგრამ რეფორმის მიმდინარეობის სირთულეებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია სტუდენტურ მერხზე აღმოჩნდეს ისეთი ახალგაზრდა, რომელიც სათანადოდ ვერ ფლობს ფუნქციონალურ წიგნიერებას. ამიტომ საგანმანათლებლო პროგრამებმა აღნიშნული პრობლემები უნდა გაითვალისწინოს.

ამრიგად, დიდაქტიკური პრინციპების განხილვის საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს სამი მიმართულების პრინციპები: ზოგადი პრინციპები, სწავლების მიზნისა და შინაარსის განმსაზღვრელი პრინციპები და ისეთი პრინციპები,

რომლებიც მოიცავენ დიდაქტიკურ პროცესს, მის ადეკვატურ პედაგოგიურ სისტემასა და შესაბამის ელემენტებს.

კითხვები და დავალებები:

1. ახსენით დიდაქტიკური პრინციპის არსი და მისი ფორმირების წინაპირობები.
2. გაავლეთ პარალელები სწავლებაში მეცნიერულობისა და ფუნდამენტალიზაციის პრინციპებს შორის.
3. დაასაბუთეთ სისტემურობისა და თანმიმდევრობის როლი სწავლებაში.
4. განათლებასა და სწავლებაში რა კომპონენტები გამოიყოფა, მიუთითეთ მათი როლის შესახებ საგანთაშორის კავშირებში.
5. რა როლს ასრულებს სწავლებაში პროფესიული განათლების ზოგადდიდაქტიკური პრინციპი ?
6. რომელმა ფაქტორებმა შეიძლება შეაფერხოს შემეცნებითი პროცესი ?
7. სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპის არსი კომუნისტურ ეპოქაში და დღეს ?
8. ჩამოაყალიბეთ სწავლების სტრატეგიული პრინციპები უმაღლეს სკოლაში.
9. ჩამოაყალიბეთ თქვენი შეხედულება ფუნქციონალური წიგნიერების შესახებ.

3.3. განათლების მიზანი და შინაარსი უმაღლეს სკოლაში

<u>განათლების მიზანი</u>

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის საგანი, ტრადიციული დიდაქტიკის მსგავსად, პედაგოგიური სისტემაა. ნებისმიერი პედაგოგიური სისტემა (ანტიკური, შუა საუკუნეების, რელიგიური, სარაინდო, ბურჟუაზიული, სოციალისტური, თანამედროვე) შესაძლებელია წარმოვადგინოთ შვიდი ინვარიანტული ელემენტის ერთობლიობად. როგორც ცნობილია, კანონიკური პედაგოგიური სისტემა, რომელიც ტრადიციული საგანმანათლებლო პროცესებიდან მომდინარეობს, შედგება სწორედ შვიდი ელემენტისგან:

სწავლის მიზანი, სწავლების შინაარსი, მასწავლებლები, მოსწავლეები, სწავლების მეთოდები, სწავლების ფორმები* და *სასწავლო ბაზა. სწორედ ეს ელემენტები გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ და ვიკვლიოთ ისინი, როგორც ერთიანი დიდაქტიკური მოვლენის ნაწილები.

თანამედროვე მიდგომა განათლების პროცესებისადმი სპეციფიკურია, დღეს რეალობაა ღია საგანმანათლებლო სივრცის არსებობა, ამიტომ ღია საგანმანათლებლო სისტემის პედაგოგიური სტრუქტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც კანონიკური შვიდელემენტიანი სისტემის ლოგიკური გაგრძელება, იმ განსხვავებით, რომ ცვლილებები შეეხება თვით ელემენტთა შედგენილობას.

განვიხილოთ ზოგიერთი ელემენტის არსი, კერძოდ, განათლების მიზანი, შინაარსი, პედაგოგიური სისტემის ადამიანური რესურსი –სტუდენტები და პროფესორები..

თანამედროვე პირობებში უმაღლესი განათლების მიზანია პიროვნების იმ შესაძლებლობების განვითარება, რომელიც საჭიროა როგორც პირადად ინდივიდისთვის, ისე საზოგადოებისათვის. განათლების მიზნის რეალიზაციისთვის აუცილებელია პიროვნების სოციალური აქტივობა და ეფექტური თვითგანათლების შესაძლებლობების უზრუნველყოფა ადგილმდებარეობის შეუზღუდავად.

განათლების მიზანი ითვალისწინებს ცოდნის, უნარებისა და ჩვევების სისტემას, რომელთა ჩამოყალიბება საგანმანათლებლო სტანდარტთან და სპეციალისტის მოდელთან შესაბამისობაში მიმდინარეობს. განათლების მიზანს აქვს იერარქიული სტრუქტურა (სასწავლო დისციპლინის მიზანი ამავე დროს სპეციალისტის მომზადების მიზანსაც წარმოადგენს. გამოიყოფა მასში წარმოდგენილი თემების შესწავლის მიზანიც), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული ელემენტები ავსებენ ერთმანეთს და ცალკეული მიზნების განხორციელება საერთო განათლების მიზნის შესრულებას ემსახურება.

განათლების მიზანი პედაგოგიურ საქმიანობაში შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მიზნის დასახვა, გარკვეულწილად, განაპირობებს სწავლების შინაარსს, მეთოდებსა და ხერხებს. პედაგოგიური მიზნები პასუხს გვცემენ კითხვებზე: რისთვის ვსწავლობთ ან ვასწავლით ?

შეძენილი ცოდნის, უნარების, ჩვევებისა და შესაძლებლობების საფუძველზე როგორი ამოცანების (პროფესიული, საგნობრივი, ცხოვრებისეული, ეთიკური, ესთეტიკური) შესრულებას შეძლებს სტუდენტი ? და ა. შ.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სწავლის მოტივაციის გაძლიერებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწავლების მიზნის ახსნა-განმარტებას, კერძოდ იმას, თუ რა ადგილი უჭირავს კონკრეტულ სასწავლო საგანს არჩეული პროფესიის დაუფლებაში. სწორედ მისი საფუძვლიანი გააზრებით დაწყებული საგნის შესწავლა იქნება წარმატებული. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიკარგება სწავლის მოტივის არსებითი ელემენტი და საქმე გვექნება გაუცნობიერებელ, ზედაპირულ სასწავლო საქმიანობასთან, რომელსაც მარცხის ალბათობა უფრო მეტი აქვს, ვიდრე წარმატების გარანტია. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ პედაგოგიკა მიზანშეწონილობის მეცნიერებაა და ჩვენც შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ.

განათლების მიზანი შეიძლება გადმოიცეს ტერმინებით, რომლებიც განსაზღვრავენ ცოდნის, შესაძლებლობისა და ოსტატობის დონეს საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. მიზანი შეესაბამება საკვალიფიკაციო დახასიათებას, პროფესიოგრამას ან სპეციალისტის პიროვნულ მოდელს.

პედაგოგიურ სისტემაში მიზნის დასახვას საფუძვლიანი დიაგნოსტიკა სჭირდება, რაც იმის გარანტიაა, რომ განსაზღვრულ დროში დიდაქტიკური პროცესი იმგვარად აიწყობა, რომ მიზანი დაძლეული იქნება.

განათლების მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ნათლად ცხადყო ეპოქალური ცვალებადობის კვალდაკვალ აღზრდა-განათლების მიზნების ცვალებადობა. კონკრეტულად, განათლების მიზანთან დაკავშირებით, განმანათლებლობის ეპოქიდან დაწყებული XX საუკუნის ჩათვლით, ორი მსოფლმხედველობა, ორი საგანმანათლებლო კონცეფცია უპირისპირდება ერთმანეთს. ესენია **ბუნებათშესაბამისობა და კულტურისშესაბამისობა**. ბუნებათშესაბამისობის კონცეფციის თანახმად, ადამიანის განათლება და ჩამოყალიბება, ღმერთის და ბუნების მიერ მისთვის მინიჭებული არსის შეცნობაა, ხოლო კულტურისშესაბამისობის კონცეფციის მიმდევრების აზრით, ადამიანის განათლება და ჩამოყალიბება არის

პიროვნების მიერ ყოფა-ცხოვრების ფორმებისა და განსაზღვრული შესაძლებლობების შეძენა-დაუფლება საზოგადოებრივი ცხოვრების ზეგავლენით.

როგორც ითქვა, განათლების მიზანს სხვადასხვაგვარად წარმოადგენდნენ აღნიშნული კონცეფციები. ბუნებისშესაბამისობის პრინციპის წინა პლანზე წამოწევა დაკავშირებულია ი. კომენსკის, ჟ. რუსოს და ი. პესტალოცის სახელებთან. მათი აზრით, ადამიანის არსის ახსნა *ღვთისმეტყველებაზე* იყო დაფუძნებული. რადგან ადამიანი ღვთისგან მომდინარეობდა, მისი დანიშნულებაც ღვთიური უნდა ყოფილიყო. აღნიშნულმა პრინციპმა სახეცვლილება განიცადა ა. დისტერვეგის, ფ. ჰერბარტის და კ. უშინსკის ნააზრევში. *მათ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლას და განათლების მიზნად ბუნებრივი შესაძლებლობების განვითარება დასახეს.* XX საუკუნეში წამოყენებული თეორიის თანახმად განათლებაში აღიარებულ იქნა *თვითრეგულირების პრიმატი* (მასლოუ, როჯერსი, ოლპორტი), *რომელიც განათლების მიზნად პიროვნების თვითგანსაზღვრას გულისხმობდა.*

ასევე ცვალებადი ბუნების გამოდგა კულტურისშესაბამისობის პრინციპიც. XVIII – XIX საუკუნეებში ამ პრინციპს (ჰელვეციუსი, დიდრო) *ახასიათებს სოციალურ-სამართლებრივი* შინაარსი, რაც ადამიანის არსის ახსნაში სამართლებრივი ნორმების უპირატესობას უსვამს ხაზს, ხოლო ზოგადად მის დანიშნულებას საზოგადოებრივ სტატუსს ანიჭებს. XIX – XX საუკუნეებში ***ბუნებრივ-ისტორიული პრინციპები*** პოპულარული გახდა, რასაც მარქსისტული პედაგოგიკის აღმოცენება მოჰყვა. ამ კონცეფციის თანახმად განათლების მიზანს საზოგადოების განვითარება შეადგენდა. XX საუკუნეში დასავლეთ ევროპაში და აშშ–ში ***კულტურულ-ისტორიული მიმართულება*** (შტაინერი, ვიგოდსკი, ბიბლერი) გამოდის წამყვან პოზიციებზე, რომლის თანახმად, საზოგადოების ბუნების ახსნა კულტურულ-ისტორიული განვითარებით იზომება, ხოლო განათლების მიზნად პიროვნების კულტურული განვითარებაა აღიარებული.

ამრიგად, როგორც განვლილი ისტორია ცხადყოფს, ადამიანის ბუნებათშესაბამისობის კონცეფციასთან, რომელიც

ადამიანს უფლის ხატად და მსგავსად მიიჩნევდა, დაპირისპირებით დაიწყო ფრანგი მატერიალისტების მოღვაწეობა, მათი სოციალურ-სამართლებრივი შეხედულებების თანახმად, განათლების ამოცანები სამოქალაქო საზოგადოების მიზნებს დაექვემდებარა. აქედან მოყოლებული არ შეწყვეტილა დავა-კამათი ბუნებათშესაბამისობისა და კულტურათშესაბამისობის კონცეფციების მიმდევართა შორის. უკანასკნელი პერიოდი იმითაც არის გამორჩეული, რომ კულტურულ-ისტორიული განვითარების კონცეფციის თანახმად, საზოგადოება განიხილება არა მარტო, როგორც სამოქალაქო და ეკონომიკური ერთობა, არამედ ადამიანთა კულტურულ-ისტორიული გაერთიანება.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოთ ჩამოთვლილი კონცეფციები არ წარმოადგენს პედაგოგიური აზროვნების მხოლოდ ისტორიას, ისინი დღემდე ინარჩუნებენ მეტნაკლებ ცხოველმყოფელობას და შესაბამის პირობებში შესაძლებელია სოციალური მნიშვნელობაც დაიბრუნონ. ამას ადასტურებს უკანასკნელ პერიოდში საზოგადოებრივ ცნობიერებაში მომხდარი არსებითი ცვლილებები, რამაც დღის წესრიგში დააყენა რელიგიური აღზრდისა და განათლების საჭიროება.

უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი განეკუთვნება განათლებისა და სწავლების შინაარსს, რომელიც არის კანონიკური დიდაქტიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტი, იგი მოიცავს განათლების მიზანს, შინაარსს, მეთოდებს, ორგანიზაციულ ფორმებს, სწავლების საშუალებებს და ადამიანურ რესურსებს (სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს).

განათლების შინაარსი იძლევა პასუხს კითხვაზე – რით ვასწავლოთ ? სხვა სიტყვებით, ეს არის მეცნიერული ცოდნის, პრაქტიკული უნარებისა და ჩვევების სისტემა, აგრეთვე მსოფლმხედველობრივი და ზნეობრივ–ესთეტიკური იდეების ერთობა, რომელთა დაუფლებისთვის ოპტიმალურ ფორმას სასწავლო პროცესი წარმოადგენს.

განათლების შინაარსის ფორმირება მრავალ გარემოებაზე არის დამოკიდებული, ამათგან შეიძლება გამოვყოთ უმთავრესი ფაქტორები:

1. საზოგადოების მოთხოვნები;

2. სუბიექტური ფაქტორები: პოლიტიკა, ეკონომიკა, მეცნიერთა მეთოდოლოგიური პოზიცია;

3. სამეცნიერო–ტექნიკური პროგრესი (მიკრო და რადიოელექტრონული ტექნიკა, კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები);

4. თანამედროვე მოთხოვნები განათლების სისტემის მიმართ (რომელიც გამოიხატება განათლების მისაწვდომობაში, ხარისხში, განათლების წინმსწრებ ხასიათში, მასობრიობაში, ინტერნაციონალურ ხასიათში, მობილურობაში და სხვ.);

5. ბიზნესის და ინვესტიციების ინტერესები.

განათლების შინაარსი, სამეცნიერო–თეორიული თვალსაზრისით, არის სოციალური გამოცდილების ნაწილი და არსებითად იმეორებს მის სტრუქტურას. ამდენად, იგი მოიცავს:

1. სამყაროს თეორიულ ცოდნას (ბუნება, საზოგადოება ადამიანი, ტექნიკა);

2. რეპროდუქციული საქმიანობის გამოცდილებას (პრაქტიკული საქმიანობის უნარ–ჩვევები);

3. შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილებას, რომელიც ითვალისწინებს შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სასწავლო ამოცანების არასტანდარტულად გადაწყვეტას;

4. გარემო პირობების ემოციურ–ღირებულებით გამოცდილებას.

ამდენად, განათლების შინაარსი არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ცალკეულ საგნებში ცოდნის, უნარებისა და ჩვევების მექანიკურ ერთობაზე, მან ორგანულად უნდა გააერთიანოს სოციალური გამოცდილების ყველა ელემენტი: ცოდნის სისტემა სამყაროსა და ბუნებაზე, საზოგადოებაზე, აზროვნებაზე, საქმიანობის ხერხებსა და სახეებზე, ინტელექტუალური და პრაქტიკული უნარ–ჩვევების სისტემაზე; შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილებაზე, ცალკეულ ინდივიდებზე და სხვა.

შინაარსის ცნება და მისი იერარქია. განასხვავებენ სპეციალისტის მომზადების შინაარსსა და სასწავლო დისციპლინის შინაარსს, რომელიც წარმოადგენს კონკრეტული პროფილის სპეციალისტის მომზადების შინაარსის მოცულობის ნაწილს, ხოლო, შემდეგი კი თავის მხრივ – სოციალური გამოცდილების ნაწილს.

სპეციალისტის მომზადების შინაარსი არის კონკრეტული პროფილის სპეციალისტის მოსამზდებლად გამიზნული ცოდნის მოცულობა, რომელიც დიდაქტიკური სისტემის სახით გადმოცემულია განათლების შინაარსის მარეგულირებელ სასწავლო – მეთოდურ მასალებში და სახელმძღვანელოებში.

განათლების შინაარსის მარეგულირებელი მასალები ანუ განათლების მატარებელი დოკუმენტებია: საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო გეგმები, სასწავლო პროგრამები, მეთოდური მასალები, სახელმძღვანელოები და დამხმარე ლიტერატურა.

სასწავლო პროგრამა არის აკადემიურ–მეთოდური ხასიათის დოკუმენტი, რომელშიც მეცნიერული მიღწევების შესაბამისად და სპეციალისტის მომზადების ამოცანების გათვალისწინებით დიდაქტიკური პრინციპების საფუძველზე, გადმოცემულია კონკრეტული სასწავლო საგანში შესასწავლი თემები და მითითებულია სასწავლო ლიტერატურა.

განათლების შინაარსის ფორმირება ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში. განათლების შინაარსის დასაბუთების მიზნით სხვადასხვა თეორია ჩამოყალიბდა. თუმცა აბსოლუტური სრულყოფილება ამ მხრივ გამორიცხულია, რადგან განათლების შინაარსი დიდაქტიკის ძირეული და მარადიული პრობლემაა, რომელიც უშუალოდ არის დამოკიდებული საზოგადოების განვითარებასთან და მის თანამდევ პრობლემებთან.

განათლების შინაარსის ფორმირებაში ეპოქალური როლი ოთხმა დიდაქტიკურმა თეორიამ შეასრულა. ესენია: ***თეოლოგიური დიდაქტიკის, დიდაქტიკური მატერიალიზმის, დიდაქტიკური ფორმალიზმის და დიდაქტიკური უტილიტარიზმის თეორიები.*** მოკლედ მათ შესახებ:

1. ***თეოლოგიური დიდაქტიკის*** **თეორიის** (ახალი აღთქმა, სამოციქულო პედაგოგიკა, იოანე ოქროპირი, კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი იერონიმე, ნეტარი ავგუსტინე.....) თანახმად, რადგან ადამიანი უფლის მიერ შეიქმნა მის ხატად და მსგავსად, ამიტომ უნდა შეისწავლოს ღვთის სიტყვა – წმინდა წერილი, ეკლესიის წნიდა მამათა და თეოლოგიური მემკვიდრეობა. თუმცა, ამ თეორიის წიაღში მაინც არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობაც, რომელიც სწორედ განათლების

შინაარსის შერჩევასთან იყო უშუალოდ დაკავშირებული. კერძოდ, განხეთქილებას იწვევდა საერო, წარმართული მეცნიერების შესწავლის მიზანშეწონილობა. მისი შესწავლის კატეგორიული მოწინააღმდეგენი იყვნენ იოანე ოქროპირი და ტერტულიანე, ხოლო კლიმენტი ალექსანდრიელი, ნეტარი იერონიმე და ნეტარი ავგუსტინე, მათ შესწავლას სასარგებლოდ მიიჩნევდნენ. ამ თეორიამ შემდგომი განვითარება ჰპოვა XII–XIII საუკუნეებში, რასაც დაუპირისპირდა აღორძინების ხანის დიდაქტიკა (ფრანსუა რაბლე, მიშელ მონტენი, ვიტორინო და ფელტრე).

2. *დიდაქტიკური მატერიალიზმის* თეორია განავითარეს ფრანგმა „ენციკლოპედისტებმა" (ვოლტერი, დ. დიდრო, კ. ჰელვეციუსი, ჟ. რუსსო). ამ თეორიის თანახმად, განათლების უმთავრესი მიზანია, რაც შეიძლება საგანთა ფართო სპექტრის შესწავლა და თითოეულ საგანში მეტი მოცულობის ცოდნის გადაცემა. სასწავლებლის კურსადამთავრებული უნდა ფლობლეს ენციკლოპედიურ ცოდნას. ხოლო ცოდნის სიღრმე შესწავლილი მასალის რაოდენობის პროპორციული უნდა იყოს. სწორედ ამ მოთხოვნის გადაწყვეტის სირთულემ წარმოშვა მთავარი დიდაქტიკური წინააღმდეგობა თვით ამ თეორიის წიაღში.

3. *დიდაქტიკური პრაგმატიზმის თეორიის* (ჰერაკლიტე, ციცერონი, ი. კანტი, ი. პესტალოცი, ი. ჰერბარტი, ჰ. სპენსერი, ა. დისტერვეგი) თანახმად არსებობის საყრდენს მოსწავლეთა უნარებისა და შემეცნებითი ინტერესების განვითარება წარმოადგენდა, რისთვისაც ბაზისურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ისეთ საგნებს, როგორიაცაა მათემატიკა, ლათინური ენა და ლოგიკა. სწორედ ამ დისციპლინების საშუალებით მიიჩნევდნენ შესაძლებლად ამ თეორიის მიმდევრები ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების განვითარების მიღწევას.

4. *დიდაქტიკური უტილიტარიზმის* თეორიის (ჯ. დიუი, გ. კერშენშტეინი, ჩ. კუპისევიჩი) თანახმად, სწავლების უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა ყოველდღიური საქმიანობისათვის პიროვნების მომზადება. სასწავლო მასალა ისე უნდა შეერჩიათ, რომ კურსადამთავრებულებს შესძლებოდათ ინდივიდუალური შრომის პირობებში

პრაქტიკული ხასიათის ამოცანების შესრულება. ამ თეორიის მომხრეები სწავლებაში პრაგმატული მიზნებით მოქმედებდნენ.

განათლების შინაარსის რაციონალურად შერჩევა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს განათლების საბოლოო შედეგებზე. თანამედროვე პირობებში არსებითად შეიცვალა ის კრიტერიუმები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა განისაზღვროს განათლების შინაარსი. ამჯერად განათლების შინაარსის ფორმირებაში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ განათლებას, რომელიც საზოგადოების განვითარების ადეკვატური იქნება. თუმცა, ასეთი მიდგომა პრაგმატული დიდაქტიკის ცალსახა აღიარებას არ ნიშნავს. მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შეჯერებისა და ცნობილი დიდაქტიკური თეორიების გათვალისწინებით უმაღლეს სკოლაში განათლების შინაარსი უნდა აიგოს შემდეგ პრინციპებზე:

1. განათლების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეს;

2. საგანმანათლებლო მასალის შინაარსის სირთულის შესაბამისობა სტუდენტთა რეალურ სასწავლო შესაძლებლობებთან, ანუ მისაწვდომობის დიდაქტიკური პრინციპი;

3. სასწავლო დროის შესაბამისობა შინარსის მოცულობასთან;

4. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება;

5. სწავლების შინაარის შესაბამისობა უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო–მეთოდურ და სასწავლო–მატერიალურ ბაზასთან;

6. განათლების შინაარსის წინმსწრები ხასიათი, მომავალზე ორიენტაცია;

7. სწავლების უზრუნველყოფა პროგრამული, საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, რომელთა გამოყენება კურსდამთავრებულს უშუალოდ მოუწევს სამუშაო ადგილზე.

აღნიშნული პრინციპების კვალდაკვალ გასათვალისწინებელია განათლების შინაარსის ფორმირების სისტემა, რომელიც შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

ა) საგანმანათლებლო სტანდარტი;

ბ) სპეციალისტის მოდელი (საკვალიფიკაციო მოთხოვნები);

გ) სასწავლო საგნისთვის მეცნიერული საფუძვლის, პრინციპების, კრიტერიუმების და მეთოდიკის შერჩევა;

დ) კურიკულუმი, სასწავლო გეგმები (საგანმანათლებლო პროგრამები);

ე) სასწავლო პროგრამები, სილაბუსები;

ვ) საგანმანათლებლო პროგრამებზე მომუშავე ჯგუფები, ექსპერტები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

დიდაქტიკური პროცესის მონაწილენი:

<u>სტუდენტები</u>

სასწავლო პროცესის ცენტრში სტუდენტი დგას, რომლისთვისაც არსებობს საერთოდ საგანმანათლებლო სისტემა. დიდაქტიკური პროცესის სუბიექტიც და ობიექტიც სტუდენტია. სწავლების მიზანი სტუდენტზეა გათვალისწინებული. იგი თანამშრომლობს ლექტორთან, რაც დიდაქტიკური სისტემის მამოძრავებელი ძალაა. ლექტორის და სტუდენტის მოქმედიანობა მთავარი დიდაქტიკური ინსტრუმენტია. თანამედროვე სასწავლო პროცესში სტუდენტი, როგორც ამ პროცესის ობიექტი, გარდაიქმნება მის სუბიექტად, რაც კიდევ უფრო დიდ პერსპექტივებს შლის სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტის მოდულის შედგენას, რომელიც შეიცავს დამოუკიდებელი მუშაობის უნარებისა და ჩვევების შემდეგ ჯგუფებს:

1. თვითგანათლების დაგეგმვისათვის საჭირო უნარ–ჩვევები:
   ა) დამოუკიდებელი ინდივიდუალური საქმიანობის დაგეგმვა;
   ბ) გეგმის შესაბამისად მიზანმიმართული მუშაობა, თვითკონტროლის და საქმიანობის კორექტირების უნარი;
2. სასწავლო და სამეცნიერო ინფორმციაში წვდომისა და ორიენტირების უნარ–ჩვევები:
   ა) სასწავლო და სამეცნიერო ინფორმაციის ნაკადში ორიენტაცია;
   ბ) ახალი ინფორმაციის დამოუკიდებელი ანალიზი და შეფასება; პერსპექტიული ინფორმაციის მოძიება;
   გ) საინფორმაციო წყაროების ძიება და შერჩევა შესასწავლ მასალასთან მიმართებაში;

დ) ინფორმაციული წყაროების კომპლექსური გამოყენება (ინტერნეტი, ტელე და რადიოინფორმაცია, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები .....);

3. ბიბლიოგრაფიული მუშაობის უნარ–ჩვევები:

ა) ბიბლიოგრაფიული მასალების და კატალოგების სისტემური გამოყენება;

ბ) თანამედროვე ბიბლიოგრაფიული წესების საფუძველზე სასწავლო, სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურის რეგისტრაცია;

4. ტექსტურ ინფორმაციასთან მუშაობის უნარ–ჩვევები:

ა) პირველწყაროების ზოგადად გაცნობა: ავტორი, შესავალი, შინაარსი, დასკვნები, ილუსტრაციები და ანოტაცია;

ბ) პირველწყაროების ლოგიკური სტრუქტურის დანაწილება;

გ) ძირითადი იდეების, დებულებებისა და პრობლემების გამოყოფა;

დ) მთავარი შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა;

ე) ამონაწერების სისტემატური გაკეთება, მათი შენახვა და თვითგანათლებისთვის გამოყენება;

ვ) რომელიმე პრობლემის ღრმად შესწავლისთვის დამატებითი წყაროების გამოყენება (ინტერნეტი, ლექსიკონები, ენციკლოპედიები, სახელმძღვანელოები);

ზ) წაკითხულის დაკონსპექტება და თეზისების ჩამოყალიბება;

თ) ავტორის არგუმენტაციის და იდეების მოკლედ გადმოცემა საკუთარი სიტყვებით და ცალკეული ციტატების მოხმობით;

ი) კონსპექტის გარეგნული გაფორმების წესების დაცვა (სამუშაოს დასახელება, ავტორის ვინაობა, გამოცემის წელი და ადგილი, ციტირების მინიშნება);

კ) კონსპექტში სხვა წყაროებიდან დამატებითი მასალების დაფიქსირება.

5. ინტერნეტის რესურსებით სარგებლობის უნარ–ჩვევები.

<u>აკადემიური პერსონალი</u>

აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი, მასწავლებელი) სასწავლო პროცესის მონაწილე და მისი წარმმართველია. თანამედროვე საგანმანათლებლო–ინფორმაციული გარემო მნიშვნელოვან ცვლილებებს უქადის აკადემიური პერსონალის ფუნქციებსა და

როლს. უკანასკნელ პერიოდში მრავალი კითხვა დაისმის ამ მიმართებით. კერძოდ, რა ცვლილებები განიცადა პედაგოგის როლმა ? რჩება თუ არა პედაგოგი სასწავლო პროცესის წამყვან ფიგურად ?

ტრადიციული სისტემით გამართულ დიდაქტიკურ პროცესში ლექტორის ფუნქცია და როლი კვლავინდებურად ტრადიციული რჩება, მცირეოდენი ცვლილებების გათვალისწინებით. რადიკალური ცვლილებები შეეხო ლექტორის საქმიანობას ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში.

ტრადიციულ დიდაქტიკურ პროცესში აკადემიური პერსონალის როლი და ფუნქციები სისტემის სახით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ორგანიზატორული – მუშაობის დაგეგმვა, სტუდენტური კოლექტივის ჩამოყალიბების სტიმულირება, სტუდენტის პიროვნული ინტერესების შესწავლა–გათვალისწინება;

დიდაქტიკური – სასწავლო მასალების შერჩევა და მომზადება, შესასწავლი მასალის მისაწვდომად, ნათლად, დამაჯერებლად და თანმიმდევრულად გადმოცემა, სტუდენტთა შემეცნებითი ინტერესებისა და სულიერი მოთხოვნების სტიმულირება;

პერცეფციული – აღსაზრდელთა სულიერ სამყაროზე ზემოქმედების უნარი, მათი ემოციური მდგომარეობის ობიექტური შეფასება, ფსიქიკური თავისებურებების გამოვლენა;

კომუნიკაბელური – პედაგოგიურად მიზანშეწონილი ურთიერთობის უნარი სტუდენტებთან, მათ მშობლებთან, კოლეგებთან და უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;

სუგესტური – ემოციურ – ნებელობითი ზემოქმედება სტუდენტზე;

კვლევითი – პედაგოგიური პროცესებისა და სიტუაციების ობიექტური შეცნობისა და ანალიზის უნარი;

სამეცნიერო–შემეცნებითი – მოცემულ დარგში მეცნიერული ცოდნის გამდიდრების უნარი;

საგნობრივი – სასწავლო საგანში სათანადო პროფესიული მომზადება.

იმის გამო, რომ ინფორმაციის ელექტრონულმა საშუალებებმა და ახალმა საიფორმაციო ტექნოლოგიებმა არსებითი გავლენა მოახდინეს საგანმანათლებლო პროცესებზე, რეალობად იქცა ვირტუალური პედაგოგიური სისტემა, აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის აკადემიური პერსონალის ფუნქციებიც. მაგალითად, ძნელად წარმოსადგენია ელექტრონული ფოსტის დახმარებით ჩატარებული სემინარის ან კონფერენციის მიმდინარეობის პროცესში სუგესტური და პერცეფციული უნარების გამოვლენა. კითხვის ნიშნები დაისმის იმის შესახებ, საერთოდ საჭიროა კი (ან მისი დეფორმირება) პედაგოგის ტრადიციული ტექნიკა, მოტორული მახასიათებლები, განსაკუთრებით არავერბალური საშუალებები (პოზა, ჟესტიკულაცია, მიმიკა ...), ტაგესტიკა (ხელის ჩამორთმევა, მხარზე შეხება ...), პროქსემიკა (ორიენტაცია, დისტანცია), პროსოდია და ექსტრალინგვისტიკა (ინტონაცია, ხმა, ტემბრი, პაუზა, ღიმილი ....). თუმცა, ამათ ნაცვლად ვირტუალურ დიდაქტიკურ პროცესს მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოთხოვნებიც აქვს, რაც უპირველესად გამოიხატება პედაგოგის მიერ ინტერნეტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და მათი გამოყენების დიდაქტიკური თავისებურებების გამოყენების უნარებში.

დიდაქტიკურ პროცესებში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას მრავალი სირთულე ახლავს თან. უპირველესი წინააღმდეგობა, რომელიც ამ გზაზე რეფორმის განხორციელებას წინ ეღობება, არის პედაგოგთა კონსერვატული შეხედულებები და მათი მოუმზადებლობა ახალ რეალიებთან ადაპტირებისათვის. ასეთი მდგომარეობა მოსალოდნელიც იყო. როგორც ცნობილია, განათლების სისტემას ნოვატორულთან ერთად, კონსერვატიზმიც ახასიათებს, ეს აშკარაა ტრადიციული ქვეყნებისთვის, რომელსაც ჩვენც მივეკუთვნებით. ამიტომ, ახალ საგანმანათლელო ტექნოლოგიებისა და უფრო მეტიც, ვირტუალური საგანმანათლებლო გარემოს მიმართ ასეთი სკეფსისი, ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. აქ ის გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯერ–ჯერობით ჩვენში, ჩამოყალიბებული არ არის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის და ვირტუალური საგანმანათლებლო სისტემის სამართლებრივ–ნორმატული ბაზა. აღნიშნულ

კონტექსტში დასადგენია პედაგოგიური საქმიანობის ნორმები და სხვა აუცილებელი პარამეტრები.

ვირტუალურ – საგანმანათლებლო სისტემაში სპეციფიკური პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები იჩენს თავს, რომელიც ჯერ–ჯერობით საფუძვლიანად გააზრებულიც არ არის. თუმცა, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პედაგოგის უმთავრესი მისია – სწავლების, აღზრდის და განვითარების მართვა, ძალაში უნდა დარჩეს. ვირტუალური სწავლების პირობებში პედაგოგი არანაკლებ მძიმე შრომას ასრულებს, ვიდრე ტრადიციულ პედაგოგიურ პროცესში. როგორც ითქვა, ვირტუალური საგანმანათლებლო სისტემა ცხრა მთას იქით აღარ არის, ამიტომ საჭიროა, აქედანვე დაიწყოს აღნიშნულ საგანმანათლებლო სისტემაზე ზრუნვა, რაც, პირველ რიგში, პედაგოგიური კადრების მომზადებასა და სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებაში უნდა გამოიხატოს.

კითხვები და დავალებები:

1. რა სახის ელემენტებისგან შედგება პედაგოგიური სისტემა, დაახასიათეთ ისინი.
2. ჩამოაყალიბეთ განათლების მიზანი.
3. რა გავლენას ახდენდა ეპოქალური ცვალებადობა განათლების მიზანზე და რომელი კონცეფციებია ცნობილი მასთან მიმართებაში ?
4. განათლების შინაარსის ფორმირებისას რა ფაქტორებია გასათვალისწინებელი?
5. რომელმა დიდაქტიკურმა თეორიებმა შეასრულა ეპოქალური როლი განათლების შინაარსის ფორმირებაში ?
6. უმაღლეს სკოლაში განათლების შინაარსი რომელ პრინციპებზე უნდა აიგოს ?
7. სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი მუშაობის რა სახის უნარების განვითარებაზე კეთდება აქცენტი ?
8. რა უნარებით უნდა ხასიათდებოდეს აკადემიური პერსონალი და რა ახალ მოთხოვნებს უყენებს მათ ვირტუალური საგანმანათლებლო სისტემა ?

3.4. საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო დისციპლინის სილაბუსი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზოგადი განათლება მეცნიერების საფუძვლების შესწავლის პროცესში პიროვნების განვითარების ამოცანას ისახავს მიზნად, ხოლო უმაღლესი განათლება მეცნიერების დაუფლებაზე და მის პრაქტიკულ გამოყენებაზე ორიენტირებული პროცესია. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (ინგლისი, ავსტრია) საშუალო სკოლის მაღალ საფეხურზე, ზოგადსაგანმანათლებლო ამოცანებთან ერთად, მოსწავლეთათვის მეცნიერული ჩვევების დაუფლება დაისახეს მიზნად და ამით მას მომავალ საუნივერიტეტო მომზადებაში დამხმარე როლის შესრულება დააკისრეს. ამ მოსაზრების ავტორებს მიაჩნიათ, რომ ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ადაპტირებას საუნივერსიტეტო გარემოში და ნაყოფიერს გახდის საუნივერსიტეტო განათლებას.

აღნიშნულ მოსაზრებას სერიოზული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ და საფუძვლიანად აკრიტიკებენ მას, რადგან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების შინაარსის ზრდა მიუღებელია იმის გამო, რომ სკოლამ უნდა განავითაროს შემეცნებითი უნარები, ანუ ხელი შეუწყოს მოსწავლის ზოგადი უნარების განვითარებას. სწორედ ასეთ საფუძველზე უნდა აღმოცენდეს უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლება. თუმცა, სრულყოფილი არც ეს უკანასკნელი იქნება, რადგან სწრაფად განვითარებად სამყაროში დღენიადაგ იცვლება მოთხოვნები სპეციალისტებზე, ამიტომ, არათუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ, უმაღლემა სასწავლებელმაც ისეთი სპეციალისტი უნდა მოამზადოს, რომელსაც ექნება კრიტიკულ სიტუაციაში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების უნარი. მასობრივი ინფორმატიზაციის პირობებში უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა არასტანდარტულ ვითარებაშიც თავისუფლად უნდა უპასუხოს ყოველგვარ გამოწვევას.

უმაღლესი სკოლის დიდაქტიკაში სწავლება\სწავლა\-დასწავლის პარალელურად არსებითი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწავლების შინარსის ფორმირებას. რაც იმას ნიშნავს, რომ საუნივერსიტეტო განათლებამ უნდა

გადაწყვიტოს ორი ძირითადი ამოცანა, პირველი – ინდივიდის განვითარება, მისი სპეციალიზაცია და მეორე – სოციალური კვლავწარმოება, რაც საზოგადოებრივი პროგრესისთვის მეცნიერული ბაზის განვითარებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა, როგორც აღინიშნა, ვერ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი მიმართულებით ანუ სწავლით, იგი მუდამ უნდა იკვლევდეს და სრულყოფდეს სწავლების შინაარსს, რაც განათლების მიმართ საზოგადოებრივ შეკვეთაში გამოიხატება.

განსაკუთრებული აქტუალობა ამ საკითხმა უკანასკნელ პერიოდში შეიძინა. როგორც ცნობილია, თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი განვითარების ტემპი მზარდ მოთხოვნებს უყენებს საგანმანათლებლო სტანდარტებს. დღევანდელი საზოგადოება, ფაქტიურად, მეექვსე საინფორმაციო რევოლუციის პირობებში ცხოვრობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მყისიერად ძველდება არსებული ცოდნა. მეცნიერებისა და საზოგადოების განვითარება ახალი რეალობის წინაშე აყენებს საგანმანათლებლო სისტემას, ამიტომ უმაღლესი სკოლის დიდაქტიკას მეტ მობილურობას შესძენს არა მარტო სტუდენტზე ორიენტირებულობა, არამედ საზოგადოებრივ პროგრესზე ორიენტირებულობა, რაც არა თუ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, არამედ ავსებს კიდეც ურთიერთს. აქედან გამომდინარე, სწავლების შინარსი იმგვარად უნდა აიგოს, რომ მან სათანადოდ უპასუხოს ორივე გამოწვევას. ასეთი ამოცანა მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიჭრება, როცა სწავლების შინარსის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი საზოგდოებრივი პროგრესი იქნება, ხოლო სასწავლო პროცესი, სტუდენტის უნარებზე და ცოდნაზე იქნება ორიენტირებული. საგანმანათლებლო სტრატეგიის მთავარი ვექტორი საზოგადოებრივი პროგრესის შესატყვისი ცოდნის საფუძველზე სპეციალისტთა მომზადებაა, რაც პიროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების თანამდევი პრობლემების გადაჭრასაც გულისხმობს. ასეთი სტრატეგიის განსახიერებას ევროამერიკული საგანმანათლებლო სისტემა წარმოადგენს, რომლის საფუძველიც ოპტიმალური სწავლების შინაარსია. სწავლებისადმი ასეთ მიდგომებს, დასავლეთში კლიენტზე ორიენტირებულ სწავლებას უწოდებენ, რაც ძირითადად მისაღებია, ოღონდ მას, როგორც ზემოთ აღინიშნა, უნდა

დაემატოს საზოგადოებრივ პროგრესზე ორიენტირებულობაც. ამდენად, სწავლების (შინარსის ფორმირება, სასწავლო პროცესი) სტრატეგია მაშინ შეასრულებს მთავარ ამოცანას, როცა იგი ორიენტირებული იქნება, როგორც სტუდენტზე, ისე საზოგადოებრივ პროგრესზე.

განათლების შინაარსმა უნდა ასახოს საზოგადოების, მეცნიერებისა და პიროვნების, როგორც არსებული, ისე პერსპექტიული მოთხოვნები, რაც, პირველ რიგში გულისხმობს შრომის საერთაშორისო და ეროვნული ბაზრის შეკვეთებს ამა თუ იმ პროფესიის მიმართ. სწორედ ეს მოთხოვნილებები ედება საფუძვლად იმ შინაარსის შერჩევას, რომლის ერთობლიობა ათეული წლების განმავლობაში სასწავლო გეგმად იწოდება.

უმაღლესი განათლების შინაარსის განზოგადებისთვის აუცილებლად მიგვაჩნია სწავლების შემდეგი კომპონენტების გამოყოფა:

1. ფაქტობრივი მასალები – მეცნიერული ფაქტები, კანონები, საზოგადო კანონზომიერებანი, მეცნიერული თეორიების ძირითადი დასკვნები, ცნებათა დეფინიცია – განსაზღვრებები;

2. ინტერპრეტაციები, ჰიპოთეზები, რომელთა მიზანს მიზეზ–შედეგობრივი კავშირების და ობიექტთა შორის დამოკიდებულების დადგენა წარმოადგენს;

3. სამეცნიერო–ისტორიული მასალები.

აღნიშნული კომპონენტები სხვადსხვა სასწავლო საგანში სხვადასხვა თანაფარდობით არის წარმოდგენილი. მაგრამ უმნიშვნელოვანეს ტენდენციად მაინც შემდეგი ითვლება: ფაქტებით გაჯერებული სასწავლო მასალა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება პროდუქტული, თუკი ასეთი ფაქტები ერთიანი სისტემის სახით იქნება ჩამოყალიბებული და იგი მისაწვდომი გახდება სტუდენტებისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესასწავლ მასალაში, სწორედ „ძიებითი” კომპონენტი წარმოადგენს იმ ძალას, რომელიც უზრუნველყოფს მასალის შეგნებულად შესწავლას, მის „შეღწევას” და განმტკიცებას სტუდენტის ცნობიერებაში, რაც იმის გარანტიაა, რომ ფაქტების განზოგადებით მიღწეული თეორიული დებულებების გამოყენებას საჭიროების შემთხვევაში შეძლებს სტუდენტი ან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული.

უმაღლეს სკოლაში სწავლების შინაარსის განსაზღვრისას აუცილებელ, ამოსავალ პრინციპად უნდა მივიღოთ სწავლების დიდაქტიკური პრინციპები, რომელთა გათვალისწინება ოპტიმალურ გადაწყვეტამდე მიგვიყვანს. სწორედ სწავლების დიდაქტიკური პრინციპების საფუძველზე შედგენილი სასწავლო გეგმები (საგანმანათლებლო პროგრამა–კურიკულუმი) იძლევა იმის საფუძველს, რომ სწავლებამ პასუხი გასცეს უმაღლესი სკოლის წინაშე მდგარ ამოცანებს, რომლებიც სინთეზურად ორი მიმართულებით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. სტუდენტის შემეცნებითი უნარების და კრიტიკული აზროვნების განვითარება;

2. ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის სპეციალისტის მომზადება.

აქედან, უპირველესი ამოცანა ზოგადკულტურული დანიშნულებისაა, ხოლო მეორე – პროფესიული ანუ პრაგმატული. ამიტომ სწავლების შინაარსიც ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო საგანი უნდა პასუხობდეს წამოყენებული ამოცანებიდან ერთ-ერთს, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ამოცანები ერთმანეთისაგან იზოლირებულნი კი არ არიან, არამედ განაპირობებენ ერთმანეთს, რადგან სტუდენტის შემეცნებითი უნარები და კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს პროფესიის დაუფლების საფუძველს, ხოლო სწავლების პროფესიული მიმართულება, თავისთავად ზემოთ დასახელებული უნარების ფორმირებას განაპირობებს. ამდენად, ისინი მჭიდრო კავშირში არიან და განპირობებენ ერთმანეთს.

განათლების შინაარსს ხშირად „სწავლების შინაარსსაც" უწოდებენ. მათ შორის რაიმე პრინციპული განსხვავება არ არის. აქ მხოლოდ იმას შეიძლება გაესვას ხაზი, რომ განათლების შინაარსი უფრო მეტი მოცულობისაა, ვიდრე სწავლების შინაარსი.

სწავლების შინარსს განსაზღვრავს სასწავლო გეგმა ან კურიკულუმი, სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები.

სასწავლო გეგმა ისეთი ნორმატიულ–მეთოდური ხასიათის დოკუმენტია, რომელშიც სპეციალობების და კურსების მიხედვით ნაჩვენებია, თუ რა საგნები და როგორი

თანმიმდევრობით უნდა ისწავლებოდეს, რამდენი კრედიტ-საათი აქვს დათმობილი თითოეული საგნის სწავლებას კურსზე საერთოდ და, როგორ არის დანაწილებული საათების მოცემული რაოდენობა სემესტრების მიხედვით.

სასწავლო გეგმაში დიფერენცირებულია სპეციალური, საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო საგნები. გამოყოფილია სავალდებულო და არჩევითი საგნები.

უკანასკნელ წლებში ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრება იწყო სასწავლო გეგმის მოდიფიცირებულმა ვარიანტმა, რომელსაც კურიკულუმს უწოდებენ. იგი ევრო-ამერიკულ საგანმანათლებლო პროცესებში დიდი ხანია დაინერგა.

საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - სასწავლო კურსების ერთობლიობაა (მათი მიზნები და ამოცანები, შინაარსი და მოცულობა, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის პროგნოზირების თავისებურებები და მეთოდური უზრუნველყოფა), რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა გამიზნული;

კურიკულუმი სასწავლო გეგმის ახლებური ვარიანტია, რომელიც თავისი შინაარსით გაცილებით ფართოა, ვიდრე მანამდე არსებული სასწავლო გეგმა. მისი დანიშნულებაა, მასწავლებელს უჩვენოს კონკრეტული სასწავლო საგნის სწავლებისას, ერთი მხრივ, როგორ შეარჩიოს სასწავლო მასალის შინაარსი, ხოლო, მეორე მხრივ, როგორ მოახდინოს სასწავლო პროცესის ორგანიზება. კურიკულუმის ახალი კონცეფციის არსი გულისხმობს ყურადღების კონცენტრაციას ყოველი ინდივიდუალური მოსწავლის და მისი სწავლების მიმართ.

სასწავლო გეგმისა და კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს სწავლების დიდაქტიკური პრინციპები.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე რეფორმებმა თვისობრივად ახალ მიმართულებებს დაუდო სათავე. საქართველოს კანონმა „უმაღლესი განათლების შესახებ" დაამკვიდრა მთელი რიგი ახალი ტერმინები, რომლებიც გზას იკვლევენ ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემაში. მათ შორის უმთავრესია:

მოდული – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას.

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს, ან რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით;

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა – სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სპეციალური სასწავლო გეგმა, შინაარსი, მოცულობა და მისი ათვისების წესი.

კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას.

რეფორმის ძირითადი მიზანი არის ის, რომ ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემა ამზადებდეს კონკურენტუნარიან სპეციალისტს, რომლისთვისაც კარგად გამართულ სასწავლო პროცესთან ერთად აუცილებელია მას საფუძვლად ედოს სტუდენტის მაქსიმალური მოტივაცია სწავლისადმი. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას არა მარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი პოსტკომუნისტური სისტემითვის.

სასწავლო პროგრამაში მწყობრი სახით მოცემულია ძირითად მეცნიერულ ცოდნათა სისტემის მოცულობა, რომლებიც უნდა შეისწავლოს სტუდენტმა. აქვეა ნაჩვენები ის პროცედურებიც, რომლითაც უნდა მოხდეს გარკვეულ წარმოდგენათა შემუშავება. პროგრამა სასწავლო გეგმის საფუძველზე დგება. მასში სწავლების დიდაქტიკური პრინციპების გათვალისწინებით ჩამოყალიბებულია კონკრეტულ სასწავლო დისციპლინაში შესასწავლი თემები, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოცულობით. საწავლო პროგრამას, ცალკეული განყოფილებების, მიმართულებებისა და თემების ბოლოს ახლავს სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალი, რაც სტუდენტს

აძლევს მიმართულებას დამოუკიდებლადაც შეისწავლოს ესა თუ ის საკითხი ან კონკრეტული საგანი.

უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამა მეცნიერების განვითარების დონეს უნდა შეესაბამებოდეს. იგი თავისი არსით ცხოვრების წინმსწრებიც უნდა იყოს. თუ ადრე, ტოტალიტარული წყობილების დროს სასწავლო პროგრამები ტიპური და უნიფიცირებული იყო, დღეს, საბედნიეროდ, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და ყველა უმაღლეს საწავლებელს მინიჭებული აქვს სრული უფლება, თავად შეადგინონ სასწავლო პროგრამები, რაც განვითარების მეტ შესაძლებლობებს იძლევა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაში მასობრივად დამკვიდრდდა **სილაბუსი** ანუ სასწავლო დისციპლინის სილაბუსი, რომელიც წარმოადგენს სასწავლო მენეჯმენტის განხორციელების ქმედით საშუალებას.

სილაბუსი შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დიალოგის ერთ-ერთი ფორმა პედაგოგსა და სტუდენტს შორის. მისი მიზანია, წლის დასაწყისიდანვე შეუქმნას სტუდენტს წარმოდგენა მოდულის შესახებ: რა, რატომ, როდის, როგორ შეისწავლოს ან გამოიმუშაოს მზაობა კონკრეტული მოდულის შესწავლის მიმართ. სილაბუსის გაცნობისას სტუდენტს გარკვეული წარმოდგენა უნდა შეექმნას თვით პედაგოგზეც, მისი მუშაობის სტილსა და თვისებების შესახებ. სილაბუსის წინასწარ გაცნობა სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს, აირჩიოს სასურველი პროფესორი, რომელთანაც მომავალში ისწავლის მოცემულ საგანს. ამდენად, სილაბუსი დემოკრატიულობის და სტუდენტთა ინტერესების გამოხატვის ქმედითი საშუალებაც არის.

სილაბუსის პათოსი ნაკლებად მენტორული უნდა იყოს. იგი უპირველესად უნდა გამოირჩეოდეს უშუალობით, დაწერილი უნდა იყოს გასაგები ენით, რომელიც ამავდროულად, გარკვეულ „დამაინტრიგებელ" მუხტსაც შეიცავს სტუდენტის შემეცნებითი აქტივობის და სწავლის მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით.

სილაბუსის შედგენისას მნიშვნელოვანია მისი ტექნიკური გაფორმება: ყურადღება უნდა მიექცეს შრიფტის პარამეტრებს,

ხოლო განსაკუთრებული აზრის გამოსახატავად დახრილ და გამუქებულ სიტყვებს.

რაც შეეხება სილაბუსის სტრუქტურას, იგი იწყება მოდულის იდენტიფიკაციით. ამ ნაწილში უნდა განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია: მოდულის სახელწოდება, ფაკულტეტი, კურსი, სპეციალობა, პროგრამა (ბაკალავრის, დიპლომირებული სპეციალისტის, დოქტორანტის), მოდულის ხელმძღვანელის, პედაგოგის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება, საკონტაქტო ტელეფონები, ელექტრონული ფოსტის მისამართი, კრედიტი, სემესტრი, მეცადინეობის ჩატარების დღე, საათი და აუდიტორია.

სასწავლო კურსის შესწავლას წინ უნდა უძღოდეს ისეთი წინაპირობა, როგორიცაა სტუდენტთა სასტარტო მომზადების მაჩვენებელი ანუ იმ კურსების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია მოცემული სასწავლო კურსის შესასწავლად. თუ შესასწავლი საგანი იკითხება ბაკალავრიატის I–II სემესტრში, ცხადია, მისი შესწავლის წინაპირობა იქნება მხოლოდ საშუალო სკოლის მასალა. ასეთ შემთხვევაში არავითარი წინაპირობის მითითება არ არის საჭირო.

სასწავლო კურსის შინაარსი მოიცავს ლექციების, სემინარებისა და ლაბორატორიული მეცადინეობების განრიგს, სადაც მითითებული იქნება აუდიტორია, მეცადინეობის დაწყება და დამთავრება.

შემდეგ მოდის კურსის აღწერილობა. ამ ნაწილში უნდა განისაზღვროს **კურსის მიზანი**, კერძოდ, რა ცოდნის მიღებას ემსახურება ეს მოდული, ზოგადად რა ადგილი უკავია მას საერთო პროგრამულ კონტექსტში, ანუ სტუდენტისათვის ნათელი უნდა გახდეს, რა ფუნქცია აკისრია (რა მნიშვნელობა აქვს) ამ კონკრეტულ ცოდნას სპეციალობის დაუფლების მთლიან კონტექსტში. **კურსის აღწერისას** მოკლედ უნდა იქნეს მიმოხილული შესასწავლი თემები და საკითხები (არა უმეტეს 50–70 სიტყვისა), სასურველია, ე. წ. მამობილიზებელი კლიშეების გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს ყურადღების მიზნობრივ კონცენტრაციას, მაგალითად, „ყურადღება მიაქციეთ", „მნიშვნელოვანია იცოდეთ", „ძალზე დაგეხმარებათ იცოდეთ", „საგანგებო ყურადღებას დავუთმობთ...." და სხვ. სილაბუსის ამავე ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს **მოსალოდნელი შედეგები**. კონკრეტულად უნდა დაიწეროს, რა

უნარ-ჩვევები გამოუმუშავდებათ სტუდენტებს კურსის გავლის შემდეგ და როგორ შეეძლებათ მათი გამოყენება. არსებითად, იმის მიხედვით, თუ რამდენად ზუსტად განისაზღვრება შედეგები და რამდენად ნათლად გამოიკვეთება ისინი ზოგადპროფესიულ უნარ-ჩვევებს შორის, ფასდება სილაბუსის ხარისხი და შესაბამისად, მისი ავტორის, პედაგოგის კვალიფიკაცია. აქვე უნდა მიეთითოს სასწავლო კურსის ფორმატის შესახებ, კერძოდ, იმ თანაფარდობის თაობაზე, რომელიც ინფორმაციას აძლევს სტუდენტს სწავლების ფორმების შესახებ (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და ლაბორატორიული მეცადინეობა, საკურსო და სადიპლომო სამუშაო, პრაქტიკა, კონფერენცია, სასწავლო ექსკურსია.....). სილაბუსი ითვალისწინებს თითოეული მათგანისთვის გათვალისწინებული საათების მითითებას. მეტი უშუალობისათვის, აქვე უნდა შევთავაზოთ სტუდენტს, რომ ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში მზად ხართ გამოყოთ მისთვის დრო და ინდივიდუალურად იმუშაოთ მასთან.

სილაბუსის სტრუქტურაში სათანადოდ უნდა იყოს წარმოდგენილი სასწავლო რესურსი, რომელიც შედგება ძირითადი სახელმძღვანელოების, დამხმარე ლიტერატურისა და ვებ–საიტების მისამართებისგან. თითოეულ მათგანს უნდა ახლდეს მცირეოდენი განმარტებები. კერძოდ, მითითებული უნდა იყოს ძირითადი სახელმძღვანელოების ნომენკლატურა ან კონსპექტი, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს სწავლება (შესაბამისი ადგილის მინიშნებით, სადაც შეიძლება მათი მოპოვება – ბიბლიოთეკა, თავისუფალი გაყიდვა, ლექტორის საკუთრება ....). სავალდებულო სახელმძღვანელოთა ჩამოთვლისას მითითებული უნდა იყოს ყველა წიგნი, რომელიც საჭიროა ამ კურსის შესწავლისთვის, ხოლო ვარიანტული ლიტერატურის საჭიროების შემთხვევაში მინიშნებული უნდა იყოს ცალკეული თავები და პარაგრაფებიც. თუ ძირითადი სახელმძღვანელო არ არის მშობლიურ ენაზე, მაშინ კურსის შესწავლის წინაპირობებში ამის შესახებ საგანგებოდ უნდა იყოს აღნიშნული. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ბაკალავრიატის დაბალ საფეხურებზე არ არის რეკომენდებული უცხოენოვანი ლიტერატურის მითითება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სტუდენტები შეისწავლიან უცხოურ ენებს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ლექტორის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, რომელიც სტუდენტმა წინასწარ უნდა იცოდეს. ასეთ მოთხოვნათა რიგს განეკუთვნება კონკრეტული ლექტორის პირადი დამოკიდებულება სტუდენტის აქტივობასთან, დისციპლინის დაცვასთან, პლაგიატობასთან, მეცადინეობებების გაცდენებთან და სხვ.

სტუდენტებს განსაკუთრებით აინტერესებთ ცოდნის შემოწმება – შეფასება, რომელსაც ეძღვნება სილაბუსის ერთი ნაწილი. აქ სქემატურად უნდა წარმოადგინოთ, შეფასების რა ფორმებს გამოიყენებთ: სემინარს, კოლოკვიუმს, ინტერაქტიულ გამოკითხვას, ესეს, კაზუსებს, გამოცდას და ა.შ აქვე უნდა მივუთითოთ თითოეული მათგანის რაოდენობა სემესტრის განმავლობაში. წერითი კოლოკვიუმის შემთხვევაში, შესაბამის გრაფაში მითითებული უნდა იყოს ტესტში შემავალი საკითხების რაოდენობა და თითოეული კითხვის მაქსიმალური შეფასება, ასევე სასურველია, მიეთითოს ჯამური ქულის რაოდენობა. მაგალითად, საკითხების რაოდენობა X მაქსიმალური ქულა თითოეული სწორი პასუხისთვის = ჯამს. სილაბუსი შეიცავს იმ წინაპირობებს, რომელსაც აწესებს საგნის წამყვანი პროფესორი სტუდენტის გამოცდაზე დაშვებისთვის. მაგალითად, კოლოკვიუმების აუცილებელი შესრულება, სემინარების ჩატარება, ესეს წარმოდგენა და სხვა.

შემაჯამებელ გამოცდაზე მხედველობაში მიიღება შუა სემესტრული შეფასების ხვედრითი წილი და გავლენა. შემაჯამებელი გამოცდის ნიშანზე გავლენას ახდენს აგრეთვე მეცადინეობებზე დასწრება, სტუდენტის აქტივობა, არაუმეტეს 10 % - ის ფარგლებში.

სასწავლო პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია პიროვნული ფაქტორი, თუ ვინ ასწავლის სტუდენტს, ამიტომ ლექტორმა უნდა წარუდგინოს (სილაბუსის ცალკე თავი) საკუთარი თავი. აქ მოკლედ მიეწოდება ისეთი ინფორმაცია, რომლებიც, ლექტორის აზრით, არის მიზანშეწონილი (სამეცნიერო ხარისხი და მიღწევები, წოდება, შრომების რაოდენობა და კვლევის მიმართულება, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობა. ინფორმაცია ოჯახური მდგომარეობის შესახებ და სხვ.).

სილაბუსის შემადგენელი ნაწილია სამუშაო გეგმა, რომელშიც წარმოდგენილია შესასწავლი თემები და

საკითხები. იგი იბეჭდება მთელ წელზე ან სემესტრზე გათვალისწინებით. მეცადინეობების იერარქია არ უნდა იყოს მექანიკური, მათ შორის აუცილებელია ლოგიკური თანმიმდევრობა.

უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი სილაბუსის შედგენის ტიპურ ფორმატს ამკვიდრებს, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს აკადემიურ პერსონალს. ამ მიმართებით სასურველია მეტი თავისუფლება მიენიჭოს პროფესორებს. მართალია, სილაბუსი უნიფიცირებულ ნორმებს უნდა პასუხობდეს, მაგრამ მასში ლექტორის ინდივიდუალური სახეც უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტმა მოახერხოს მათი მუშაობის განმასხვავებელი შტრიხების აღმოჩენა და ამის საფუძველზე არჩევანის გაკეთება. სწორედ ასეთი მიდგომა შეესაბამება უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების სულისკვეთებას.

კითხვები და დავალებები:

1. პარალელი გაავლეთ ზოგადი და უმაღლესი (აკადემიური, პროფესიული) განათლების მიზნებს შორის.
2. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი განათლების ამოცანები, დაახასიათეთ ისინი.
3. დაახასიათეთ სწავლების შინაარსის მარეგლამენტირებელი დოკუმენტები.
4. ჩამოაყალიბეთ სილაბუსის არსი და მნიშვნელობა.
5. სილაბუსის რომელ ნაწილებს შეუძლია გავლენის მოხდენა სწავლის მოტივაციაზე?

3.5. უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო

სასწავლო პროცესში უმნიშვნელოვანესი ადგილი სახელმძღვანელოს უჭირავს, რომელიც საგანათლებლო და სასწავლო პროგრამების საფუძველზე დგება. სახელმძღვანელოში წარმოდგენილი შესასწავლი მასალა სრულად უნდა პასუხობდეს სასწავლო პროგრამებს და შეესაბამებოდეს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს. უმაღლეს სკოლაში სწავლების სპეციფიკას, სხვა გარემოებებთან ერთად, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობაც განაპირობებს. დამოუკიდებელი მუშაობის უნარის განვითარებისათვის სწორედ სახელმძღვანელოს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

სახელმძღვანელოში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი მისი მიზანი და ამოცანები. თვალსაჩინოდ იყოს წარმოდგენილი წიგნის სტრუქტურა და რეკომენდაციები, რაც გაუადვილებს მომხმარებელს მის გამოყენებას.

წიგნის ავტორის წინაშე ყოველთვის წინააღმდეგობრივი პრობლემაა გადასაწყვეტი, რაც გამოიხატება წიგნის კომპაქტურობაში, რომელშიც ამავე დროს სრულად უნდა იყოს გადმოცემული სასწავლო მასალა. ორივე მოთხოვნის ერთდროულად გათვალისწინება, ერთი შეხედვით, არ არის მარტივი, მაგრამ აქაც არის ნაწილობრივი გამოსავალი. სწორედ ასეთ გზას ადგანან ის ავტორები, რომლებიც ცდილობენ ჩაეჭიდონ ცენტრალურ საკითხებს, ფუძემდებლურ იდეებს და მათთან დამოკიდებულებაში ჩამოაყალიბონ შესასწავლი საკითხები. კერძო მეთოდიკაში ასეთი მიდგომა სასწავლო მასალის გენერალიზაციის პრინციპის სახელით არის ცნობილი. ასეთი პრინციპით სახელმძღვანელოს აგება გამორიცხავს გამეორებებს და ხელს უწყობს მასალის კომპაქტურად და ამავე დროს სრულყოფილად გადმოცემას.

სახელმძღვანელოებს ხშირად ის მეცნიერები წერენ, რომლებიც, შესაძლოა, წარმატებული მკვლევარები იყვნენ, მაგრამ პედაგოგიური ოსტატობითა და საგნის სწავლების მეთოდიკის ცოდნით არ გამოირჩევიან. ამიტომაცაა, რომ მათ მიერ თითქოს სახელმძღვანელოდ გამიზნული წიგნი მეცნიერულ გამოკვლევას ან სამეცნიერო პოპულარულ ლიტერატურას უფრო წარმოადგენს.

სასწავლო, სამეცნიერო და სამეცნიერო–პოპულარულ ლიტერატურას შორის არსებითი განსხვავებაა: სასწავლო ტექსტი მეტად სტრუქტურიზებულია და იგი შედგება ცოდნის ამა თუ იმ სფეროს დაწვრილებითი აღწერით, რაც მიუღებელია მეცნიერული ტექსტისათვის. რაც შეეხება პოპულარულ ლიტერატურას, იგი გადმოიცემა ისეთი ენით, რომელიც ძალიან ახლოა ყოველდღიურ მეტყველებასთან. არ შეიცავს პრინციპულ განსაზღვრებებს, პირიქით, მასში მოცემულია მრავალი მაგალითი, ხოლო სასწავლო ტექსტში უპირატესად აკადემიური მსჯელობაა, რომელსაც შესაბამისი განსაზღვრებები და დეფინიციები ახლავს.

სახელმძღვანელოს პრეტენზია არ აქვს ორიგინალურ აღმოჩენებზე. მისი ავტორ-შემდგენელი ეფუძნება კონკრეტულ დარგში არსებულ მიღწევებს და პრაქტიკაში დადასტურებულ დებულებებს. წარმოუდგენელია ერთმა მეცნიერმა ან მეთოდისტმა, რაგინდ გამოცდილი და პროფესიონალი იყოს, შექმნას სახელმძღვანელო, რომელიც მხოლოდ მის მეცნიერულ მიგნებებზე და აღმოჩენებზე იქნება დაფუძნებული. სასწავლო ლიტერატურის ავტორები სახელმძღვანელოების შედგენისას აქტიურად იყენებენ მოცემულ დარგში მრავალი მეცნიერის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილ შრომებს, თუმცა მათი ზუსტი ციტირება სახელმძღვანელოებში არ არის მიღებული, ამიტომ იქმნება პლაგიატობის შთაბეჭდილება, რაც ნამდვილად არ არის უსაფუძვლო, თუმცა იგი განსხვავდება „კლასიკური პლაგიატობისგან", როცა მავანი, სხვისი აღმოჩენიდან ან მეცნიერული გამოკვლევიდან იდეებს გადმოიწერს და თავისად მოგვაჩვენებს. ამდენად, სახელმძღვანელოს შემდგენელი, რასაკვირველია, არ არის წიგნში გადმოცემული ყველა იდეის და დებულების აღმომჩენი, მაგრამ ეს სრულიად არ აკნინებს მის დამსახურებას წიგნის შედგენაში. მთავარია, სახელმძღვანელოს ავტორ–შემდგენელი ზედმიწევნით ფლობდეს მოცემულ სასწავლო საგანს და საგნის სწავლების მეთოდიკას, ხოლო უშუალოდ სახელმძღვანელო წიგნმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი კრიტერიუმები: სტუდენტთათვის გამიზნული სასწავლო ინფორმაციის აღქმა სწრაფი და მოვლენების ადეკვატური იყოს, ხოლო მისი დამახსოვრება ხანგძლივ პერიოდზე ორიენტირებული.

აღნიშნულ კრიტერიუმებთან მიმართებაში აღსანიშნავია ის სიძნელეები, რაც თითოეული მათგანის რეალიზაციასთან შეიძლება იქნეს დაკავშირებული. ხშირად სახელმძღვანელოში გადმოცემული ესა თუ ის იდეა, დებულება ან მტკიცებულება ნაკლებად დამაჯერებლად ეჩვენება თვით წიგნის ავტორსაც კი, ამიტომ სხვა სიტყვებით ხსნის ან დამატებითი არგუმენტები მოჰყავს არსში უკეთ წვდომის მიზნით. ასეთი მიდგომა არათუ დასაშვები, არამედ აუცილებელიცაა. გარდა ამისა, საჭიროა სახელმძღვანელოში გამოყენებული უცნობი ტერმინების განმარტებები თან დაერთოს შესაბამის თემას ან წიგნის სპეციალურ მონაკვეთს. ძნელად აღსაქმელი საკითხები გრაფიკულად გამოისახოს სასწავლო ტექსტში, რასაკვირველია, თუკი ასეთი გრაფიკული მასალის წარმოდგენა შემეცნებითი ამოცანების გადაწყვეტას მოემსახურება. ამდენად, სახელმძღვანელოში გადმოცემული სასწავლო მასალის ადეკვატური აღთქმისათვის სხვა ნიუანსების მოძებნაც შეიძლება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა შემეცნებით საქმიანობას.

სასწავლო მასალის სწრაფად ათვისებას და ხანგძლივ დახსომებას მთელი რიგი ფსიქიკური გარემოებები განაპირობებს, თუმცა აქაც გარკვეულ როლს სახელმძღვანელოც ასრულებს. მეთოდურად გამართებულია სახელმძღვანელოს ცალკეული მონაკვეთების სტრუქტურიზება, ცალკეული დეფინიციების და დასკვნების განსხვავებული შრიფტით წარმოდგენა, უფრო მეტიც, სასწავლო ტექსტში მოცემული ცენტრალური იდეა, შესაძლებელია, რუბრიკის ფორმით გადიდებული ზომებით წარმოვადგინოთ. ასეთი წესით გადმოცემული მასალა გარდა იმისა, რომ იგი ადვილი აღსაქმელია, ამასთან ერთად გამეორების პროცესშიც უფრო მოსახერხებელია, რადგან გამოყოფილი ადგილები, განსხვავებული შრიფტითა და ზომებით გადმოცემული დეფინიციები და დასკვნები ადვილად და სწრაფად აღიბეჭდება მეხსიერებაში. ასეთი გარემოებები განსაკუთრებით კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ოპტიკური მეხსიერების უნარის მქონე სტუდენტებზე, თუმცა მხედველობითი მეხსიერება მინიმალურ დონეზე ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელია, ამიტომაცაა, რომ ხშირად, წიგნის ტექსტიდან ნაცნობი საინტერესო აზრი ზედმიწევნით

შეგვიძლია აღვადგინოთ იმ დონეზეც კი, თუ სად იყო ესა თუ ფრაგმენტი, მარჯვენა ფურცელზე თუ მარცხენაზე, ზემოთ იყო თუ ქვემოთ.

სწავლის მოტივაციის განმტკიცებაში გარკვეულ როლს სახელმძღვანელოც ასრულებს. ჩვეულებრივი ამბავია, რომ კარგი ლიტერატურული ენით შედგენილი ტექსტი ადვილი გასაგები და სასიამოვნო საკითხავია. ამასთან ერთად, სწავლის მოტივაციაზე დადებით გავლენას ახდენს სასწავლო სახელმძღვანელოში, ყოველი თემის სათაურის შემდეგ საგანგებოდ გამოყოფილი სასწავლო საკითხები, რომელთა რაოდენობა 2–3 საკითხს არ უნდა აღემატებოდეს, აქვე სასურველია, მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ის კონკრეტული მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც მოცემული თემის შესწავლას უკავშირდება. ამდენად, სტუდენტს, ვიდრე სწავლას შეუდგებოდეს, წინასწარ ეცოდინება ის შედეგი, რასაც ამ თემის შესწავლიდან მიიღებს. ყოველი სასწავლო ამოცანის წარმატება მაინც პრაგმატულ მიზნებს უკავშირდება. არათუ თანამედროვე დინამიურ სამყაროში, არამედ უძველეს პერიოდშიც, დაახლოებით ამგვარი დამოკიდებულება ყოფილა სწავლის მიმართ, როგორც სოფოკლე ამბობდა: „..თუ ცოდნაში სარგებლობა არაა, მაშინ არც ცოდნა იქნება სასიხარულო”. ასეთი პათოსი ბუნებრივია და იგი დღესაც ინარჩუნებს პოზიციებს, ამიტომ, ამგვარად კონსტრუირებული სახელმძღვანელო, სწავლის მოტივაციის გაძლიერების თვალსაზრისით, უთუოდ სარგებლობის მომტანი იქნება.

სახელმძღვანელოში გადმოცემული სასწავლო მასალის ტიპური სტრუქტურა შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

1. თემის დასახელება;
2. თემის შესწავლის მიზანი (ჩამოთვლილი უნდა იყოს ის პირობები და უნარები, რომელთა მიღწევას და განვითარებას შეძლებს სტუდენტი კონკრეტული მასალის შესწავლის საფუძველზე);
3. თემის ცალკეული მონაკვეთების დასათაურება (სასწავლო საკითხები, რომელთაგანაც შედგება თემა);
4. სასწავლო ინფორმაცია ცალკეული დანაყოფის შესახებ (სასწავლო მასალები ყოველი მონაკვეთისა და ბლოკისთვის წარმოდგენილი უნდა იყოს გრაფიკის, სქემის, ნახატის ან ტექსტის სახით, დიდაქტიკური საჭიროებიდან გამომდინარე,

შესაძლებელია გამოვიყენოთ მულტიმედია და სხვა ელექტრონული საშუალებები);

5. სასწავლო თემის ბოლოს ჩამოყალიბებული უნდა იყოს დასკვნები ან შესაბამისი რეზიუმე;

6. თვითშეფასებისთვის კითხვები და დავალებები;

7. ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სია, ინტერნეტ–საიტები, რომლებშიც ფართოდ იქნება გაშუქებული კონკრეტული თემები.

ზოგადად სახელმძღვანელო სტუდენტთა შემეცნებითი უნარების განვითარებასაც ემსახურება, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია ცალკეული სასწავლო თემების (თავების, პარაგრაფების) ბოლოს მოცემული კითხვები და დავალებები, რომელსაც ლოგიკურად მოსდევს კონკრეტული საკითხების ამსახველი ლიტერატურის სია.

სასწავლო ტექსტები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ სტუდენტის არა მარტო პროფესიულ მომზადებაზე, არამედ ზოგადად პიროვნების განვითარებაზეც. ამ თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სახელმძღვანელო წიგნის ტექტის გაჯერებას კრიტიკული ხასიათის ინფორმაციით.

წიგნში წარმოდგენილი ინფორმაცია არ უნდა იყოს მხოლოდ აღწერილობითი, მასში წამყვანი ადგილი მსჯელობას, მტკიცებას ან რაიმეს უარყოფას უნდა ეკავოს, რომლის თანამონაწილეც მისი მკითხველი ხდება. ავტორი იმპერატიულად კი არ უნდა გვმოძღვრავდეს, არამედ მსჯელობისა და დამაჯერებელი არგუმენტების საფუძველზე ეცადოს მკითხველის ჭეშმარიტებაში დარწმუნებას. მაგალითად, ზოგიერთი სახელმძღვანელოს კითხვისას, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს კი არ მსჯელობდე და რაიმეს ამტკიცებდე ან უარყოფდე, არამედ უმაღლეს ჭეშმარიტებას ეცნობოდე, რომელიც ისე უნდა მიიღო, როგორც წიგნშია მოცემული. ამგვარად შედგენილი ტექსტები, გარდა იმისა, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარებას არ ემსახურება, უინტერესოც არის. ამიტომ ავტორის მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია კი არ უნდა ვიწამოთ, არამედ მსჯელობითა და არგუმენტებით დავიჯეროთ. ამისათვის შესაძლებელია მამობილიზებელი კლიშეები გამოვიყენოთ. მაგალითად, „ვნახოთ, ყოველთვის ასე თუ იქნება....”,

„განვიხილოთ, რამდენად სრულდება მოცემული კანონი..”, „თუ სასტარტო პირობებს შევცვლით, შედეგი .....” და სხვა.

სასწავლო ტექსტებზე მსჯელობისას აუცილებელია ისეთი ფრაგმენტების გამოყენება, რომელიც კონსტანტირებული ფაქტებისა და მისგან გამომდინარე შედეგის მიმართ, სტუდენტში აღძრავს განსხვავებულ, კრიტიკულ დამოკიდებულებას. ასეთი ეფექტის მისაღწევად მისაღებია ისეთი სიტყვათშეთანხმებების გამოყენება, როგორიცაა მაგალითად, „სხვა გარემოებებში ასეთი შედეგი არ იქნებოდა.....”, „ახლა განვიხილოთ, მსგავსი მოვლენები როგორ სახეს მიიღებენ, თუ გავითვალისწინებთ.....”, „ სხვა მხრივ შესაძლებელია.....”. ამგვარი მიდგომებით გაძლიერდება ძიებითი ელემენტი, რაც ხელს შეუწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას და შემეცნებითი ინტერესის გაძლიერებას.

სახელმძღვანელო წიგნში (გარკვეული დიდაქტიკური მოთხოვნების საფუძველზე) შესასწავლი მასალა გადმოცემული უნდა იყოს მწყობრი სისტემის, მეცნიერების ძირითადი მონაპოვრების სახით და თანაც ისეთი ერთიანი სტრუქტურით, რომ წინა მასალა აადვილებდეს მომდევნოს გაგებას. სახელმძღვანელო გარკვეული ცოდნა-ჩვევების შეძენის შესაძლებლობასთან ერთად უნდა უზრუნველყოფდეს თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ურთიერთკავშირს. სახელმძღვანელო იმ მოქმედებათა შესრულებასაც უნდა გეგმავდეს, რომლებიც იმ ცოდნა-ჩვევების შეძენისა და უნარების განვითარებისთვისაა საჭირო, რომლებიც პროგრამითაა გათვალისწინებული. სახელმძღვანელო მეცნიერების დაუფლების ძირითადი საშუალებაა.

სახელმძღვანელოს შესახებ ზემოთ განხილული საკითხები რომ შევაჯამოთ, მის მიმართ მოთხოვნები ასეთ სახეს მიიღებს:

1. სახელმძღვანელოში მეცნიერების განვითარების უახლესი მიღწევები მოცემული უნდა იყოს ლოგიკური თანმიმდევრობით, რომელიც გაითვალისწინებს შემდეგ დიდაქტიკურ პრინციპებს: მეცნიერულობას, თვალსაჩინოებას, მისაწვდომობას, განათლების ფუნდამენტალიზაციას, სისტემატურობას და

თანამიმდევრობას, საგანთაშორის კავშირს, სწავლების პროფესიულ მიმართულობას და ცხოვრებასთან კავშირს.

2. სახელმძღვანელოში მეცნიერების თეორიულ დებულებათა შესაბამისი ისეთი პრაქტიკული მაგალითები უნდა იყოს ნაჩვენები, რომლითაც იგი უზრუნველყოფს სტუდენტებში თეორიისა და პრაქტიკის კავშირსა და მეცნიერულ-შემეცნებითი ინტერესების გაღვივებას. ამ მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს სწავლის მოტივის აღძვრა-განვითარებას. ამისათვის საჭიროა ყოველი შესასწავლი თემის მოტივის ხაზგასმა, უნდა გამოიყოს კონკრეტული მიზანი, ამოცანა და მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება კონკრეტული თემის შესწავლას.

3. სახელმძღვანელო უნდა დაეხმაროს სტუდენტს, ადეკვატურად და სწრაფად აღიქვას სასწავლო ინფორმაცია და რაც შეიძლება დიდხანს შემორჩეს იგი მეხსიერებას. ამისათვის საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმძღვანელოს ტექნიკურ გაფორმებას: დეფინიციები, განმარტებები, დასკვნები და განსაკუთრებული დებულებები გადმოიცეს განსხვავებული შრიფტით და პარამეტრებით. შესასწავლი მასალის ბოლოს აუცილებელია კითხვები და დავალებები, თემის ირგლივ არსებული ლიტერატურისა და წყაროების მითითება.

4. სახელმძღვანელო უნდა იძლეოდეს პროგრამაში დასმული საკითხების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას, აძლიერებდეს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს. შესასწავლი მასალა უნდა დალაგდეს მთავარი ღერძის ირგვლივ, საკითხებს შორის გამოიკვეთოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რაც სასწავლო მასალის გენერალიზაციას შეუწყობს ხელს. სახელმძღვანელოს მთელი შინაარსი, ცალკეული თავები და პარაგრაფები ლოგიკურ ერთიანობაში უნდა იყოს ერთმანეთთან.

5. სახელმძღვანელო დაწერილი უნდა იყოს სალიტერატურო ენით, ხოლო მის ცალკეულ დანაყოფებს წერითი მეტყველების ერთიანი სტილი აკავშირებდეს. გრამატიკულად დახვეწილი, მკაფიო, მარტივი, აკადემიური და გასაგები ენა სახელმძღვანელოს უმთავრესი პირობაა.

კითხვები და დავალებები:

1. ჩამოაყალიბეთ სახელმძღვანელო წიგნის ამოცანა და მისი შედგენის საფუძველი.
2. რა განსხვავებაა სასწავლო, სამეცნიერო და სამეცნიერო–პოულარულ ლიტერატურას შორის ?
3. რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელო ?
4. რა ელემენტებს შეიცავს სასწავლო მასალის სტრუქტურა ?
5. რა როლი ეკისრება მამობილიზებელ კლიშეებს სახელმძღვანელოში ?

3.6. საკრედიტო სისტემა უმაღლეს სკოლაში

უმაღლესი განათლების ევროპულმა სისტემამ, რომელიც განათლების ხარისხსა და გამჭვირვალობას ეფუძნება, გამოკვეთა ძირითადი ორიენტირები, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის მომზადებას შრომის ბაზრისთვის, კომპეტენციის შემდგომ განვითარებას და აქტიურ მოქალაქეობას. ასეთი მიდგომა მყარ საფუძველს ქმნის ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირება ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირებას ემსახურება, რომელიც ევროპული საგანმანათლებლო სივრცის მთავარი პრიორიტეტია.

ბოლონიის პროცესმა მასში გაწევრიანებული ქვეყნებისთვის საყოველთაო ხასიათი შეიძინა, რომელიც, ერთი მხრივ, არის პასუხი თანამედროვე გამოწვევებზე და მეორეს მხრივ, ევროპული ღირებულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება მზარდი გლობალიზაციის პირობებში. როგორც ბოლონიის პროცესის ერთ-ერთ შემაჯამებელ დოკუმენტშია აღნიშნული: „...ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების საბოლოო მიზანი ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ენობრივი ნაირფეროვნების დაცვაა, რაც მისი მრავალფეროვანი ტრადიციების მემკვიდრეობაზეა დაფუძნებული და, ასევე, ევროპის ინოვაციური და სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პოტენციალის ხელშეწყობაა, ევროპის უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებათა შორის მზარდი თანამშრომლობის მეშვეობით” (34.75).

სწორედ ამ თვალსაწიერიდან, ბოლონიის პროცესში გაწევრიანებით საქართველოსაც ეძლევა უნიკალური შანსი უმაღლესი განათლება ევროპულ სტანდარტებთან დააახლოვოს იმდაგვარად, რომ შეინარჩუნოს ეროვნული კულტურა და თვითმყოფადობა, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს ამ პროცესში მონაწილე თითოეული სუბიექტისგან.

როგორც საყოველთაოდაა აღიარებული, განათლების სისტემას ძლიერი კონსერვატიზმი ახასიათებს, ამიტომ სიახლეებს ყოველთვის ეჭვები და უნდობლობაც ახლავს თან. აქედან გამომდინარე, უმაღლესი განათლების სისტემაში ამჟამად მიმდინარე რეფორმებიც არ არის გამონაკლისი, რომელიც რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვს არა მარტო ინსტიტუციურ დონეზე, არამედ იგი საზოგადოების მსოფლმხედველობასა და შეგნებაზეც უდიდეს გავლენას ახდენს. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ რეფორმის მიმდინარეობას სერიოზული სიძნელეები შეხვდება, ეს მოსალოდნელია და მათი გადაჭრაც გარკვეულ დროს მოითხოვს. განათლება ხომ ხანგრძლივ პერსპექტივაზეა გათვლილი და შედეგსაც მოგვიანებით იძლევა.

ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა კრედიტების სისტემის შემოღება და მათი ტრანსფერის მეშვეობით სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენშიც გამოჩნდა ლიტერატურა, რომელსაც ჩვენც ვეყრდნობით. ევროპის სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში მიღებული ცოდნის აღიარებას კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS-ი) უზრუნველყოფს, რომელიც 1989 წელს შეიქმნა. დღეს ეს სისტემა, რომელმაც კრედიტების დაგროვების ფუნქციაც შეითავსა, ბოლონიის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნის მიერაა აღიარებული. ECTS-ი გავრცელებულია ევროპის ოცდაათზე მეტ ქვეყანაში და დანერგილია ათასზე მეტ უმაღლეს სასწავლებელში. საქართველოს კანონით “ უმაღლესი განათლების შესახებ” (მუხლი 87, პუნქტი 8) ჩვენს ქვეყანაში კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემაზე გადასვლა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისამდე.

კრედიტები პირველად XX საუკუნის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ჰარვარდის უნივერსიტეტში შემოიღეს. შემდეგ შეფასების ეს სისტემა დიდ ბრიტანეთში შემოვიდა, და ბოლოს, მთელს ევროპაში გავრცელდა. მათ შორის საქართველოშიც.

ECTS-ის მეშვეობით ადვილია სასწავლო პროგრამების გაგება და შედარება. ამ სისტემის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი სახის პროგრამისათვის, მიუხედავად მისი ტიპისა, და აგრეთვე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შემთხვევაშიც. ეს სისტემა ემსახურება როგორც მობილურ, ასევე არამობილურ სტუდენტებს: მისი გამოყენება კრედიტების დასაგროვებლად შესაძლებელია, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით, ასევე ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლისათვის. ECTS - ი ეხმარება სტუდენტებს გადაადგილდნენ ქვეყნებს, ქალაქებს, რეგიონებს, ასევე სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებს შორის.

სისტემა ითვალისწინებს დამოუკიდებელ სწავლასა და სამუშაო გამოცდილებას. ამის გამო, კარგად ცნობილი აკრონიმი “ECTS” ნიშნავს “ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას” .

ESTS – ის საფუძველზე, სტუდენტის დატვირთვა არის დრო, რომელიც საჭიროა ისეთი სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის, როგორიცაა ლექციებზე, სემინარებზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეებებზე დასწრება– მონაწილოება, საველე და პროფესიული პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, პროექტებისა და პრეზენტაციების მომზადება და სხვა.

საგანმანათლებლო პროგრამები კრადიტების საფუძველზე უნდა იყოს შედგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტები უნდა განაწილდეს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სეგმენტში (მოდული, კურსები, სამუშაო პრაქტიკა, დისერტაცია და ა. შ.). პროგრამები შეიძლება შედგებოდეს ერთწლიანი კურსების ან უფრო მოკლევადიანი მოდულებისგან. მათში ასევე შესაძლებელია გათვალისინებული იყოს სასწავლო პრაქტიკა ან კვლევითი მუშაობა. საკრედიტო სისტემა მკვიდრდება არა მარტო უმაღლესი განათლების საფეხურებზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), არამედ, მისი გამოყენება

შესაძლებელია, ასევე ავტონომიური კურსებისთვისაც, როგორიცაა მოდულები, რომლებიც არ შედის სრული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

კრედიტში აისახება სასწავლო მუშაობის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა სწავლის მიზნებიდან გამომდინარე ამოცანების გადასაწყვეტად. ანუ ECTS-ის კრედიტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოთხოვნილი სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და სწავლის შედეგებისა და მიღწევების შესაბამისი შეფასების შემდეგ. სწავლის შედეგად ითვლება კომპეტენციების ერთობლიობა, რომლითაც განისაზღვრება, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს სტუდენტს ამ ცოდნის გამოყენებით გრძელვადიანი ან მოკლევადიანი სასწავლო პროცესის დასრულების შედეგად. კრედიტების გადანაწილება უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად.

რაც შეეხება უშუალოდ, კრედიტების განაწილების სისტემას და მის გავლენას საუნივერსიტეტო განათლების შინაარსზე, მან მთელი რიგი სიახლეები შემოიტანა ამ სფეროში. კერძოდ, გარკვეულ ჩარჩოებში მოახდინა სასწავლო პროცესის რეგლამენტაცია, რომელიც, უწინარესად, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებითა და სტუდენტის მობილურობით არის განპირობებული.

– ბაკალავრიატის მთლიანი სასწავლო პროგრამა 240 კრედიტს მოიცავს (1 კრედიტი 25–30 საათს ეტოლება) და თითოეულ სასწავლო წელს სტუდენტმა უნდა შეასრულოს 60 კრედიტი (30 კრედიტი სემესტრში);

–შრომითი კანონმდებლობის შესაბამისად, ზრდასრული ადამიანის შრომითი დატვირთვა კვირაში 38–45 საათს უნდა შეადგენდეს, რაც 39–40 კვირიანი სასწავლო წლის შემთხვევაში უნდა შეადგენდეს 1500–1800 ასტრონომიულ საათს. სასწავლო წელი უნდა შეიცავდეს ორ 20, კვირიან სემესტრს ან სამ 13, კვირიან ტრიმესტრს, ლექცია–სემინარებისა და სასესიო დროის ჩათვლით. წლიურ შრომით დატვირთვას ევროპულ საკრედიტო სისტემაში უსადაგებენ 60 კრედიტს. ამგვარად, წლის განმავლობაში სტუდენტმა 60 ევროპული კრედიტი უნდა მოაგროვოს;

– სტუდენტის მიერ შესწავლილი დისციპლინების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 32 – ს (8 საგანი თითოეულ სასწავლო წელს);
– სასწავლო გეგმის 240 კრედიტი შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს: ძირითადი სპეციალობისათვის სულ მცირე 110 კრედიტი (მაქსიმუმ 150 კრედიტი, რომელთაგან 20 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს აბსოლუტური თავისუფლება ეძლევა აიღოს ნებისმიერი კურსი უნივერსიტეტის მასშტაბით. დარჩენილი 40 კრედიტით კი მას შეუძლია შეისწავლოს ნებისმიერი კურსი თავისი ფაკულტეტის ფარგლებში, რომელიც, ერთი მხრივ, მოცემული ფაკულტეტისათვის სავალდებულო კურიკულუმს წარმოადგენს;
– კურსი არ უნდა იყოს 5 კრედიტზე ნაკლები, რაც სტუდენტის მიერ ამ კონკრეტული საგნის ასათვისებლად დახარჯულ 125 საათს უდრის. ასეთი ტიპის კურსები შეიძლება განიხილებოდეს დამატებითი სპეციალობებისათვის ან არჩევით კურსებში. საბაკალავრო სპეციალობის ძირითადი კურსები სასურველია იყოს 10 კრედიტიანი, რაც სემესტრში შეადგენს მთელი სასწავლო პროგრამის მესამედს.
– საბაკალავრო პროგრამის კონცეფციის შედგენისას, ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს მოცემული (მისანიჭებელი) აკადემიური ხარისხი და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტანდარტი, კვალიფიკაციის რაობა, ცოდნა და ის უნარ-ჩვევები, რასაც შრომის ბაზარი აყენებს დასაქმების წინაპირობად.

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების შედეგად დღითი-დღე რეალური ხდება ისეთი პირობების შექმნა, როცა უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს შესაძლებლობა ექნება ძირითადი + დამატებითი + არჩევითი მოდულის შესწავლა.

საკრედიტო სისტემა სტუდენტზეა ორიენტირებული და მის აკადემიურ დატვირთვას ემყარება. განსაზღვრული კრედიტი შესრულებულად ითვლება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

როგორც ცნობილია, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შემოღება, თავდაპირველად მობილურ სტუდენტზე იყო გათვალისწინებული, თუმცა შემდგომში მან საყოველთაო ხასიათი შეიძინა. ECTS – ის დამკვიდრების პირობებში, ისეთი დიდი განსხვავება მობილურ

და არამობილურ სტუდენტს შორის აღარ არის, როგორც თავდაპირველად იყო. რადგან ახალი სისტემის პირობებში ყველას ერთნაირად ეძლევა იმის შანსი, სურვილისამებრ გახდეს მობილური სტუდენტი, მთავარია მოთხოვნების შესრულება. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო სივრცის თითოეული მონაწილისთვის ერთნაირად სავალდებულოა ECTS – ის ძირითადი მახასიათებლების (ECTS – ის კრედიტები, სტუდენტის დატვირთვა, სწავლის შედეგები და კომპენტენციები, ECTS – ის შეფასების სკალა) და ძირითადი დოკუმენტების (საინფორმაციო პაკეტი/კურსების კატალოგი, სასწავლო ხელშეკრულება, ნიშნების ფურცელი და სხვ.) ცოდნა. მობილური სტუდენტისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერაზმუსის პროგრამაში მონაწილე სტუდენტების ქარტია და ECTS – ის სერთიფიკატის კრიტერიუმებისა და განაცხადის შეტანის/განხილვის პროცედურები.

კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის დამკვიდრება მოსახერხებელსა და ქმედითს გახდის უწყვეტი განათლების სისტემასაც. როგორც ცნობილია, აკადემიური ხარისხის მისაღებად რეგულარული პროგრამის ყველა მონაწილე არ არის დასწრებული განყოფილების სტუდენტი. ამ სეგმენტში მოსწავლეთაგან სულ უფრო იზრდება მოზრდილ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ავტონომიურ კურსებს ან მოდულებს გადიან. ასეთი კურსები შესაძლებელია, ფორმალურ კვალიფიკაციასთან არც იყოს დაკავშირებული. ასეთია მგალითად, უწყვეტი პროფესიული განათლების კურსები. დღესდღეობით მრავალი ადამიანი სწავლობს უმაღლესი სასწავლებლების მიღმა, ასეთია კორპორაციული განათლება, დამოუკიდებელი სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება და ა. შ. ამიტომ ECTS სწავლების ასეთი ფორმების გამოყენების შემთხვევაშიც მისაღები და ხელსაყრელია. იგი ქმედით იარაღად იქცა მოზრდილთა განათლების სისტემაშიც და აქტიურად ინერგება სწავლების ისეთ ფორმებზე, რომლებიც ემსახურებიან სწავლას მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

კითხვები და დავალებები:

1. რა მიზნებს ისახავს ბოლონიის პროცესი ?
2. რა არის კრედიტი ?
3. რა გავლენას ახდენს საკრედიტო სისტემა სტუდენტის აქტივობაზე ?
4. დაასაბუთეთ სწავლების ოპტიმიზაციაში საკრედიტო სისტემის მნიშვნელობა.
5. რა განსხვავებაა მობილურ და არამობილურ სტუდენტს შორის ?
6. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარდა კიდევ სად შეიძლება დაინერგოს საკრედიტო სისტემა ?

IV თავი: სწავლების ორგანიზაციის ფორმები

4.1. ლექცია უმაღლეს სკოლაში

უმაღლეს სკოლაში სწავლების ორგანიზაციის ფორმებია: *ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაო, კონსულტაცია, საქმიანი თამაში, იმიტაცია, კოლოკვიუმი, დამოუკიდებელი მუშაობა, გამოცდა, სასწავლო ექსკურსია და სხვა.* მათგან სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმებს მიაკუთვნებენ: ლექციას, სემინარს, პრაქტიკული მეცადინეობას და ლაბორატორიულ სამუშაოს. განვიხილოთ ყველაზე გავრცელებული და უმაღლესი სკოლის პრაქტიკაში დამკვიდრებული სწავლების ორგანიზაციის ტრადიციული ფორმა – ლექცია.

ლექცია ზეპირსიტყვიერ ანუ ვერბალურ მეთოდთა ჯგუფს განეკუთვნება, რაც ლექტორის მიერ ცოდნის უშუალოდ გადაცემას და სტუდენტის მიერ გადაცემული ცოდნის შეთვისებას გულისხმობს. ლექცია ორატორული ხელოვნების ერთ–ერთი ფორმაა, რომელიც კლასიკური განათლების სისტემაში სწავლების ორგანიზაციის ძირითად ფორმად არის აღიარებული.[1] მისი აუცილებელი მახასიათებლებია:

- სტუდენტთა (მსმენელთა) სტაბილური შემადგენლობა;
- მეცადინეობის ჩატარება განსაზღვრულ დროს, წინასწარ დადგენილი განრიგის შესაბამისად;
- ლექტორის ერთდროული მუშაობა მთელ კურსთან ან აკადემიურ ჯგუფთან;
- ლექტორის წამყვანი როლი ლექციაზე.

ლექციას ძველ საბერძნეთში დიალოგური ფორმა ჰქონდა. გამოჩენილი ანტიკური მოაზროვნეები: პლატონი, არისტოტელე, სოკრატე და სხვები აკადემიებსა და ლიკეის დარბაზებში, ტაძრების მიმდებარე ბაღებში თუ ღია სტოაში მოწაფეებთან თხრობის და საუბრის მეთოდით (საუბარს ანუ ევრისტიკულ მეთოდს იყენებდა სოკრატე) გადასცემდნენ ცოდნას. ლექციამ კლასიკური შინაარსი შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში

[1] ზოგად პედაგოგიკაში სასკოლო ლექციას სწავლების მეთოდად მიიჩნევენ, რომელიც არსებითად განსხვავდება უმაღლესი სკოლის ლექციისაგან.

შეიძინა. პირდაპირი მნიშვნელობით lectio – კითხვას ნიშნავს. პირველი ლექციები, რომლებსაც XIII–XIV საუკუნეებში ატარებდნენ, სხვა არაფერი იყო, თუ არა ლექტორების მიერ მზა ტექსტების კითხვა, რასაც თან ახლდა მასწავლებელთა კომენტარები. მაგრამ დროთა განმავლობაში, წიგნის ბეჭდვის განვითარებისა და წიგნების გავრცელების კვალდაკვალ, ლექციების კითხვის ასეთმა მეთოდმა აზრი დაკარგა. შემდგომ ეპოქაში ლექციამ ზეპირი ხასიათი, მეტი ცხოველმყოფელობა შეიძინა და სასწავლო მასალის გადმოცემის საჯარო ფორმად იქცა.

უმაღლეს სკოლაში წაკითხული ყველა ლექცია არის სასწავლო დანიშნულების. აქედან გამომდინარე, ის უპირველესად უნდა იყოს შემეცნებითი მუხტის მატარებელი, ხოლო მისი დასკვნები ყოველმხრივ არგუმენტირებული. სასწავლო ლექცია არსებითად არის უკვე ცნობილი თეორიული დებულებებისა და მოვლენების ან, თუნდაც, ცალკეული ფაქტების ახლებურად გაშუქება. ლექცია ისე უნდა იყოს აგებული, რომ დააინტერესოს და გაიტაცოს მსმენელი და გააღრმავოს მათი ცოდნა. მისი მთავარი ამოცანაა სასწავლო დისციპლინაში არსებული პრობლემების ახსნა და დასაბუთება.

თანამედროვე ლექცია მჭევრმეტყველების ნიმუშიც უნდა იყოს. იგი მეტყველების კულტურის მაღალ მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს. ლექცია ადამიანთა ინტელექტუალური ურთიერთობის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

სასწავლო ლექცია არსებითად განსხვავდება ოფიციალური მოხსენების ფორმით წაკითხული ლექციისაგან. მას არც დიპლომატიური სტილი და შესაბამისი ეტიკეტი სძენს ღირსებას და არც საზეიმო თუ რევოლუციური პათეტიკა. სასწავლო ლექცია აკადემიური საქმიანობის უმნიშვნელოვანესი სფეროა და იგი მთლიანად პროფესორის შემოქმედებაზეა დამყარებული. ლექცია არსებითად განსხვავდება ე. წ. პიარ–პროპაგანდისტული, ინფორმაციული და მიმოხილვითი ლექციებისაგან.

მაგალითად, ლექცია–ინფორმაცია და სასწავლო ლექცია სრულიად შეუთავსებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია. ზოგიერთი პროფესორი სტუდენტებს მხოლოდ არსებულ ინფორმაციას აწვდის და გაურბის ახალი აზრების

გამოთქმას, კრიტიკულ მსჯელობას და თამამ განზოგადებებს. ისინი უპირატესად ფაქტების კონსტანტაციით კმაყოფილდებიან.

ისეთი ლექტორებიც გვხდებიან, რომლებიც ლექციის შინაარსს კი არ გადმოგვცემენ, არამედ წინასწარ მომზადებულ ტექსტებს კითხულობენ ან კარნახობენ. სწორედ ასეთი ლექტორების შესახებ აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე წერდა: „უმაღლეს სკოლაში, როცა ლექტორს აუდიტორიაში შემოაქვს დაწერილი ლექციების გაყვითლებულ ქაღალდთა გროვა და იწყებს სტუდენტების თვალწინ მონოტონურ კითხვას, ეს უკვე ლექცია აღარ არის. საქმე გვაქვს სტუდენტთა მოწყენილობასა და გულაცრუებასთან, რასაც ზიანის მეტი არაფერი შეუძლია მოგვცეს.... როცა თქვენ (ე.ი. ლექტორი) დაწერილ ლექციას კითხულობთ, რატომ არ ფიქრობთ სტუდენტზე, რომელიც გამოცდას ზეპირად გაბარებთ ? თქვენ ხომ კანონიერად უკრძალავთ მას ჩანაწერის, რვეულის, წიგნის, მით უმეტეს შპარგალკის გამოყენებას ? მაგრამ სად არის აქ სამართლიანობა ? ლექტორი დაწრილ ტექტს კითხულობს, სტუდენტი ზეპირად აბარებს. ეს ხომ კურიოზი გამოდის! თუ ლექტორმა ზეპირად არ იცის ის მასალა, რომლის ზეპირ ცოდნას სტუდენტობისაგან მოითხოვს, მაშინ ის რაღა მასწავლებელია ? ამიტომაც შეიძლებოდა მოგვეთხოვა უმაღლეს სკოლაში მარტოოდენ ზეპირი ლექციების წაკითხვა და დაწერილის აკრძალვა”.

გარდა ლექციის პირდაპირი კითხვისა, უმაღლეს სკოლაში კიდევ ერთმა, მსგავსმა პრობლემამ შეიძლება იჩინოს თავი, ასეთად მიგვაჩნია ლექტორის მიერ დაზეპირებული ლექციის გადაცემა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, რაც არანაკლებ მანკიერი გზაა პრობლემის გადასაწყვეტად. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ლექცია მსჯელობის, საჯარო აზროვნების, შემოქმედებითი მუხტის და კრიტიკული აზროვნების მატარებელი უნდა იყოს, რომელიც ინტერესით განაწყობს მსმენელს, ჩაითრევს აზრთა ჭიდილში და ამ პროცესის თანაზიარს გახდის. როგორც გამოჩენილი ჩინელი ფილოსოფოსი კონფუცი ამბობდა: „სწავლა ფიქრის გარეშე დროის უნაყოფო ხარჯვაა, ხოლო ფიქრი სწავლის გარეშე სასაცილოა და დამღუპველი”. დაზეპირებული ტექსტი კი, პირიქით, მსჯელობის უნარს აქვეითებს, ლექციის ტემპს

არაბუნებრივად დააჩქარებს და ლექტორის მეტყველებას გაუგებარსა და უინტერესოს გახდის. ლექციის მიზანი ხომ მარტო მასალის გადაცემა არ არის, მთავარი მაინც სტუდენტის მიერ გადაცემულის ათვისებაა. თუმცა სასწავლო პროცესში მონაწილება ლექტორებისთვისაც სასარგებლოა, როგორც ლათინური გამოთქმა შეგვახსენებს, სწავლისას ჩვენც ვსწავლობთ (Docendo disimus).

ამრიგად, სასწავლო ლექცია შემოქმედებითი საქმიანობის ნაყოფია, რომელსაც შემეცნებითი ფუნქცია ეკისრება. ლექციაში თანაბრად უნდა იყოს რაციონალური და ირაციონალური მხარეები. როგორც გამოთქმა გვახსენებს: ცუდი მასწავლებელი აწვდის ჭეშმარიტებას, კარგი კი ასწავლის მის აღმოჩენასო. კარგად ჩატარებული ლექცია სიახლეთა წვდომაში თანამონაწილედ გახდის სტუდენტს. სწორედ ასეთი სწავლება იქნება წარმატების მომტანი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლექტორის მზადებას ლექციისათვის. პედაგოგიური საქმიანობა მოღვაწეობის სპეციფიკური სფეროა, ამიტომ ანგარიშგასაწევია გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის ა. დისტერვეგის მითითება: „ვინც მუდამ არ სწავლობს, მასწავლებლად არ გამოდგება". ლექციის ჩატარებამდე საგნის წამყვან პროფესორს დამუშავებული უნდა ჰქონდეს სასწავლო კურსის პროგრამა, შედგენილი ჰქონდეს შესაბამისი სილაბუსი და სალექციო კურსი.

უშუალოდ რიგითი ლექციისთვის, როგორც წესი, პროფესორის მომზადება კონკრეტულ ამოცანებს ისახავს მიზნად. ასეთია გადასაცემი თემის ახლებური გააზრება, ახალი ინფორმაციის და მეცნიერული მიღწევების შეჯერება გადასაცემი ლექციის ტექსტთან, მეთოდური საკითხების ჩამოყალიბება, თვალსაჩინო მასალების და თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების მომარჯვება, პირველწყაროების და დამხმარე ლიტერატურის მომზადება სტუდენტებისათვის.

ამრიგად, ლექციის მოსამზადებელი ეტაპებიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ნაწილები:

- თემის ფორმულირება და ძირითადი ამოცანის განსაზღვრა;
- წინასწარი გეგმის შედგენა;

- ♦ ბიბლიოგრაფიის გაცნობა და სწავლების ტექნოლოგიის შერჩევა;
- ♦ ლექციის გეგმის ან კონსპექტის შედგენა.

სტრუქტურულად ლექცია შედგება: შესავლის, ძირითადი და დასკვნითი ნაწილებისაგან. ლექციის თითოეული მონაკვეთი სპეციფიკური შინაარსით გამოირჩევა.

შესავალი ნაწილი მოწოდებულია საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად (აუდიტორიის წესრიგში მოყვანა, დასწრების შემოწმება, განვლილი თემის გახსენება, ახალ მასალაზე გადასასვლელად ნიადაგის მომზადება); ლექციის ძირითადი ნაწილი ემსახურება სალექციო თემის ახსნა–გაშუქებას, მას ეთმობა ლექციის დროის ბიუჯეტის 80–85 %. ხოლო დასკვნით ნაწილში მოხდება ლექციაზე განხილული მასალის შეჯამება.

უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესი და მათ შორის ლექციაც ეფუძნება ურღვევ პედაგოგიურ მოთხოვნას, რომლის თანახმად ერთი და იმავე მასალას დაახლოებით ერთნაირი ინტელექტუალური და ასაკობრივი განვითარების სტუდენტები უნდა სწავლობდნენ. ლექციისთვის ეს პირობა მნიშვნელოვანია.

მეცნიერების მიერ გამორკვეულია, რომ აზროვნების აღმავლობა სხვადასხვა ასაკობრივ პერიოდში განსხვავებულია. იგი განსაკუთრებით ძლიერია 20, 23, 25, 30, და 32 წლის ასაკში, ხოლო აზროვნების ნაწილობრივი დაქვეითება შეინიშნება 22, 24, 26, 28, 31 და 34–35 წლის ასაკში. საერთოდ, მეხსიერების სფეროში ყველაზე მაღალი მაჩვენებლების შემცველად მიიჩნევენ 18 – დან 20 წლის ჩათვლით პერიოდს.

ლექციის დაწყებამდე, დაახლოებით 10–15 წუთის განმავლობაში, მიზანშეწონილია ლექტორის ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური მობილიზაცია. ხოლო ლექციაზე შესვლისას ანუ მის შესავალ ნაწილში, სტუდენტებთან მისალმებისას, საჭიროა მცირეოდენი პაუზა, 5–10 წამით, აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დასამყარებლად.

პროფესორმა საუბარი უნდა დაიწყოს მშვიდად, შედარებით დაბალი ხმით და შენელებულ ტემპში. ლექციის შესავალ ნაწილში ხდება საორგანიზაციო საკითხების მოგვარება: აუდიტორიის მობილიზება, დისციპლინაზე ხაზგასმა. ასეთი

ღონისძიება იმისთვის არის საჭირო, რომ სტუდენტებმა იგრძნონ მეცადინეობის დაწყება და განეწყონ მოსასმენად.

საორგანიზაციო საკითხების შემდეგ ლექტორი აუდიტორიას შეახსენებს წინა ლექციაზე განხილულ მასალას, გაუკეთებს მას მცირეოდენ რეზიუმეს, ამის შემდეგ ასახელებს განსახილველ თემას და სტუდენტებს აცნობს ლექციის გეგმას, და მიზანდასახულობას. სწორედ აქედან იწყება ლექციის მთავარი ნაწილი, რომელიც მოწოდებულია შესასწავლი თემის არსის გახსნისთვის.

ლექციის ძირითად ნაწილში განიხილება შესასწავლი თემის პრობლემური საკითხები, თუმცა, ასეთმა მიდგომამ არ უნდა დაარღვიოს ლექციის მსვლელობის ლოგიკური თანმიმდევრობა. მარტივი საპროგრამო საკითხების შესწავლას სტუდენტები დამოუკიდებლად შეძლებენ. ლექტორის მეტყველება უნდა იყოს ზომიერი. დაბალი კურსების სტუდენტებისათვის მიღებულია წუთში 50–60 სიტყვის წარმოთქმა, ხოლო მაღალ კურსებზე 60–70 სიტყვისა.

ლექცია უნდა ატარებდეს პოლემიკურ ხასიათს, რაც მის ევრისტიკულ მიმართულებას უზრუნველყოფს. განსჯა და კამათი ლექციის განუყოფელი ატრიბუტებია, ასეთი განწყობა პრობლემური სიტუაციების პროცესში შეიძლება წარმოიშვას, რაც წინასწარ უნდა შეამზადოს ლექტორმა.

სწავლებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ლექტორის გამართული მეტყველება, ზომიერი დიქცია, რომელიც საჭიროების მიხედვით იცვლება. რადგან მონოტონური ლექცია არც თუ იშვიათად ინტერესს კარგავს, ამიტომ ემოციური ეფექტისთვის ზოგჯერ საჭირო ხდება ინტონაციის და ტემბრის შეცვლა.

ლექტორის მსჯელობისას სასურველია გამოყენებულ იქნეს მოკლე წინადადებები. მასალის მარტივად და მისაწვდომად გადაცემა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ნაძალადევი, ღვარჭნილი წინადადებების შეკოწიწება და უცხო სიტყვებით კუდაბზიკობა. უცხო სიტყვების მიზანშეწონილი გამოყენების საწინააღმდეგო აზრი არავის უნდა ჰქონდეს, როცა მშობლიურ ენაში მისი შესატყვისი არ მოიპოვება, მაგრამ, როცა ამის საჭიროება არ არის და მავანი მაინც მიმართავს მის გამოყენებას, ეს დაუშვებელია.

სასწავლო ლექციას უნდა ახასიათებდეს თხრობის სისხარტე, საკითხთა დანაწევრება–დაყოფა დასახული მიზან–ამოცანის შესაბამისად. იგი უნდა ეყრდნობოდეს ღრმა მეცნიერულ–ლოგიკურ სტრუქტურას, რომელიც სტუდენტს პოლემიკის აქტიური თანამონაწილის მდგომარეობას უნარჩუნებს.

ლექციის მიმდინარეობა და შინაარსი ზუსტად არ უნდა იმეორებდეს სახელმძღვანელოს ტექსტს. მასში უნდა დომინირებდეს ერთი იდეა, რომელსაც დაექვემდებარება დანარჩენი საკითხები. ასეთი მიდგომის შედეგად ლექცია საინტერესო და ადვილად დასამახსოვრებელია. მასწავლებელმა კარგად უნდა შეაფასოს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ამის გათვალისწინებით წარმართოს ლექცია.

დროში შეზღუდულობის გამო, ლექტორი ვერ ახერხებს მის ხელთ არსებული ვრცელი მასალის გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დამოუკიდებელი მეცადინეობისათვის შემოინახოს ასეთი მასალები და მიუთითოს მათი გამოყენების შესახებ.

ლექციის მსვლელობისას ლექტორი არ უნდა მოსწყდეს აუდიტორიას. ასეთ მოვლენასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა პროფესორი გატაცებულია მონოლოგით. ამიტომ, გადასაცემი მასალის სპეციფიკის გათვალისწინებით, აუცილებელია მონოლოგისა და დიალოგის პერიოდული ჩანაცვლება. ამასთან ერთად, აუცილებელია, ლექტორს მუდამ ჰქონდეს სულიერი კავშირი აუდიტორიასთან. პერიოდულად ამოწმებდეს იმას, თუ როგორ უსმენენ და ითვისებენ გადაცემულს სტუდენტები. ლექტორის მუშაობაში მნიშვნელოვანია უკუინფორმაცია, რასაც სტუდენტის მიმიკა იძლევა. ამ თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება პროფესორის ფიზიკურ პოზიციას, ყველაზე მომგებიანია, ლექტორი იდგეს კათედრასთან და იქედან წარმართავდეს ლექციას. ამიტომ ძველთაგანვე საყოველთაო აღიარება მოიპოვა კათედრამ, რომელიც ამაღლებული მდგომარეობის გამო, მოხერხებულია იმისთვის, რომ ლექტორმა და აუდიტორიამ კარგად უყურონ ერთმანეთს.

ლექტორის მეთოდურად გამართული ლექცია ემოციური ზემოქმედებითაც უნდა გამოირჩეოდეს. არ არის სასურველი

მონოტონური საუბარი. ლექტორმა გავლენა უნდა მოახდინოს სტუდენტთა გრძნობებზე, გამოიწვიოს მათი აღფრთოვანება, სიმპათია ან, პირიქით, აღშფოთება და ანტიპათია ამა თუ იმ მოვლენის ან უღირსი პიროვნების მიმართ.

ლექციას მარტო შიშველი მაგალითები და ემპირიული ფაქტები ვერ გახდის საინტერესოს. ამისათვის თეორიული განზოგადებები და აკადემიური განსჯა არის საჭირო. საერთოდ, აკადემიური სტილი ლექციისთვის ყველაზე ოპტიმალური მოვლენაა, თუმცა შიგადაშიგ, განტვირთვისთვის ლექტორმა, შესაძლებელია, მსჯელობის მსუბუქ ფორმებსაც მიმართოს.

ლექტორის თვითკმაყოფილებიდან ერთი ნაბიჯია მარცხამდე, ამიტომ ბოლომდე თვითკრიტიკულნი და მომთხოვნნი უნდა ვიყოთ საკუთარი თავის მიმართ. უნდა გვახსოვდეს, რომ სტუდენტებს პრობლემის არსში წვდომა მეტ სარგებლობას მოუტანს, ვიდრე ლექტორის აზრი ამ პრობლემის შესახებ, თუმცა ინტერესმოკლებული არც ეს უკანასკნელია, მაგრამ გარკვეული ზომიერების დაცვა მაინც საჭიროა.

ლექტორი ყოველთვის უნდა მისდევდეს ერთ მაგისტრალურ ხაზს. იმის გასარკვევად, თუ რამდენად წარმატებით ითვისებენ სტუდენტები ლექციაზე განხილულ საკითხებს. მასწავლებელს შეუძლია რამდენიმე საკონტროლო შეკითხვა დაუსვას სტუდენტებს და პასუხის გათვალისწინებით კორექტივებიც შეიტანოს ლექციის მსვლელობაში. ასეთი შეკითხვები სტუდენტის შეფასებას არ ისახავს მიზნად, არამედ იგი ლექციის მსვლელობის ერთგვარი დიაგნოსტიკაა, რომელიც მიმართულებას აძლევს ლექტორის შემდგომ მოქმედებას.

ლექციის მსვლელობისას პროფესორი ყურადღებით უნდა განეწყოს აუდიტორიის მიმართ. მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს ისეთი სტუდენტის გამოვლენა, რომელიც შეიძლება ლექციას ხელს არ უშლიდეს, მაგრამ არ უსმენდეს. უშუალო შენიშვნის გარდა, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება განსახილველი ან წინა მასალიდან რაიმე შევეკითხოთ ასეთ სტუდენტს, რაც მას აიძულებს „დაუბრუნდეს" აუდიტორიას და ყურადღებით მოუსმინოს ლექტორს. სტუდენტთა ყურადღების დაფიქსირება პროფესორს მრავალი გზით შეუძლია, სახელდობრ ასეთებია:

– სახის გამომეტყველება, სტუდენტის მიმიკა (მოწონება, დაეჭვება, თანაგრძნობა ან უარყოფა);

– სტუდენტის ჟესტი ლექტორის აზრისადმი, თანხმობა ან უარყოფა;

– სტუდენტის რეპლიკა ან აპლოდისმენტი, სიცილი, ირონია და სხვა.

თითოეულ მათგანზე პროფესორს ადეკვატური რეაქცია უნდა ჰქონდეს. ზოგჯერ დაყვავება უფრო ეფექტურია, ვიდრე შენიშვნა. თუმცა არის ისეთი მომენტიც, როცა ლექტორმა აშკარად არ უნდა მოახდინოს სტუდენტთა ქცევაზე რაიმე რეაგირება, იგი ისე გაატაროს, თითქოს არც კი შეენიშნოს, მაგრამ მეხსიერებაში შემოინახოს და მომავალ საქმიანობაში ისე მოიქცეს, რომ მსგავსი ლაფსუსი არ მოუვიდეს.

უმაღლესი სკოლის მუშაკთა შორის ყოველთვის იყო აზრთა სხვადასხვაობა სტუდენტის მიერ ლექციის ჩაწერის თაობაზე:

– ზოგი მიიჩნევს, რომ ლექციის ჩანაწერი უნდა იყოს მოკლე, რომელიც მოიცავს დასკვნებს, წესებს და ფორმულებს;

– მეორენი თვლიან, რომ ლექცია სტუდენტმა დაწვრილებით უნდა ჩაიწეროს;

– მესამეთა აზრით, საჭიროა ძირითადი დებულებებისა და დასკვნების კარნახით ჩაწერა;

– ლექტორთა ერთი ნაწილის აზრით, ლექციაზე არაფრის ჩაწერა არ არის საჭირო. სტუდენტი მთელი გულისყურით უნდა ისმენდეს ლექციას.

აღნიშნული მოსაზრებები უმაღლესი სკოლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვა და რაღაც ხარისხით დღემდე შენარჩუნებულია. თითოეული მათგანი, ალბათ, საზოგადოების განვითარების თავისებურებებს ითვალისწინებდა, ამიტომ მათ გარკვეული ფუნქცია იმხანად შეასრულეს. თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში აღარ არის ლექციის ჩაწერის საჭიროება. ინფორმაციის მიღების უამრავი საშუალება არსებობს, თუმცა ლექციაზე სტუდენტის მიერ ძირითადი დებულებების ხაზგასმა და ჩანიშვნა გარკვეული სარგებლობის მომტანი იქნება. თუ სტუდენტები რამეს ინიშნავენ, ლექტორის მეტყველების ტემპი შენელებული უნდა იყოს (წუთში 17 – 20 სიტყვა). მაგრამ ამის გადაწყვეტა სტუდენტის საქმეა. ნებისმიერი იმპერატიული

მექნიზმის ამოქმედება დაუშვებელია. ამის თაობაზე ლექტორი შეიძლება რჩევით შემოიფარგლოს.

ლექციის დასკვნითი ნაწილისთვის საჭიროა გამოიყოს 5 წუთი, რომლის დროსაც ლექტორი ჩამოაყალიბებს ძირითად დასკვნებს, შეაჯამებს განხილულ პრობლემებს და დამოუკიდებელი მუშაობისთვის იძლევა დავალებებს. აუცილებელია, სტუდენტებს მათთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ შეკითხვების დასმის საშუალება მიეცეს.

ლექცია მეთოდურად გამართულია, თუ იგი ითვალისწინებს და ემსახურება: ა) ლოგიკურ თხრობას და კრიტიკული აზროვნების განვითარებას; ბ) შემეცნებით ამოცანებს; გ) მოტივაციას და დამაჯერებლობას; დ) აღმზრდელობით მიზნებს. ამასთან ერთად, როგორც ლექციის პროცესი, ისე ყოველგვარი კონტაქტი სტუდენტურ აუდიტორიასთან, უნდა ემყარებოდეს პედაგოგიური ურთიერთობის მისაღებ ფორმას, რომლის შესახებ დაწვრილებით ამ წიგნის უკანასკნელ თავში იქნება საუბარი.

საყოველთაო ინფორმატიზაციის ეპოქაში ბუნებრივად გამოითქმის ლექციის, როგორც სწავლების ორგანიზაციის მთავარი ფორმის, ჩანაცვლების შესახებ მოსაზრება. ჯერ კიდევ ადრე, პოლიგრაფიის განვითარების კვალდაკვალ წარმოიშვა ასეთი აზრი, რადგან სტუდენტებს წიგნების შეძენის შესაძლებლობა მიეცათ. ამის გამო, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, სწავლის მიზნით დამოუკიდებლად მისცემოდა წინასწარ შერჩეული ტექსტები, ხოლო ლექციისთვის განკუთვნილი დრო კონსულტაციებს დათმობოდა. ასეთი მოთხოვნები ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში უფრო საფუძვლიანი გახდა, თუმცა ლექციამ მაინც შეინარჩუნა სწავლების ორგანიზაციის მთავარი ფორმის სტატუსი, რაც მისი სიცოცხლიუნარიანობის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოვლენაა. ლექცია ხომ საუნივერსიტეტო განათლების განუყრელი ატრიბუტია, რომელიც, სასწავლო პროცესების მართვის თვალსაზრისით, განვითარების ყველა ეტაპზე წამყვან პოზიციას ინარჩუნებდა, რაც დღესაც გრძელდება.

რაც შეეხება ინფორმაცილი ტექნოლოგიების გავლენას ლექციათა ინტენსივობაზე, იგი რეალობაა და ამას ყველა უნდა შეურიგდეს, თუმცა იგი კონკურენციას კი არ უწევს

ლექციას, პირიქით, ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა უფრო მეტი შესაძლებლობები შესძინა პროფესორ–მასწავლებლებლებს, სრულყოფილი ლექციების ჩასატა-რებლად. აქვე იმის თაობაზეც უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია, რაც ხშირ შემთხვევებში გადაჭარბებული სააუდიტორიო მეცადინეობების შემცირებაში და შესაბამისად დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი დროის გაზრდაში გამოიხატა. აღნიშნული საკითხები ერთიან სისტემაში მოაქცია და საბოლოოდ დაარეგულირა საკრედიტო სისტემამ.

სალექციო მუშაობის პროცესში გარკვეულწილად სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის მოტივაციაც შეიძლება გაძლიერდეს, რადგან მეცნიერული კვლევის შედეგებს კარგად ვამოწმებთ, სწორედ სწავლების პროცესში ან პირიქით, კვლევითი საქმიანობისას, უფრო ვრწმუნდებით მისი სასწავლო პროცესში გადმოტანის საჭიროებაში. ამდენად, სწავლება და კვლევითი საქმიანობა ავსებს ერთმანეთს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ თვალსაზრისითაც მხარდასაჭერია უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა, რომელიც მეცნიერულ კვლევებზე ორიენტირებული უნივერსიტეტების ფუნქციონირებას ისახავს მიზნად.

როგორც ყველა სხვა საქმიანობას, ლექციასაც ხარისხის შეფასების კრიტერიუმები აქვს. ლექციის ხარისხთან მიმართებაში მისი შეფასების კრიტერიუმების სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ლექციის თეორიული მაჩვენებლები, რომელიც ითვალისწინებს: თეორიულ დებულებათა არსში წვდომისა და თემასთან დაკავშირებილი პრობლემების სრულად ახსნის მდგომარეობას; გადაცემული ლექციის დაკავშირებას მეცნიერების თანამედროვე მიღწევებთან; 2. ლექციის მეთოდური მახასიათებლები ითავალისწინებს: ლექციის გეგმის რეალიზაციას, აღმზრდელობით ზემოქმედებას, სწავლის მოტივაციის გაძლიერებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ლექციის ლოგიკურ მიმდინარეობას, აუდიტორიასთან შეუფერხებელ კონტაქტს, სტუდენტთა აქტიურობას, მეტყველების კულტურის მოთხოვნების შესრულებას, სწავლების ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, სპეციალიზაციისა და

უმაღლესი სასწავლებლის პროფილის გათვალისწინებას; 3. ლექციის ორგანიზაციული გამართულობას განეკუთვნება: დისციპლინა ლექციაზე, სტუდენტთა დასწრების მაჩვენებლები, სტუდენტთა თანამონაწილეობა ლექციის მსვლელობაში.

ლექციის შესახებ კიდევ ბევრის თქმა შეიძლება. თუმცა მასთან დაკავშირებული თითოეული ნიუანსის სრულად გადმოცემა თითქმის შეუძლებელია. ლექცია ხომ შემოქმედებითი აზროვნების შედეგია, ამიტომ შემოქმედების რომელიმე ჩარჩოში მოქცევა მიუღებელია. წინამდებარე შეხედულებები ლექციის მომზადებისა და ჩატარების ზოგადმეთოდურ ქარგას წარმოადგენს მხოლოდ, მისი მიზანი ლექტორის თვითმოქმედებისთვის ხელშეწობაა და არა დაშტამბული აზროვნებისკენ მოწოდება. თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ლექციამ, რომელ საგანშიც არ უნდა ტარდებოდეს იგი, მიზანს გადაუხვიოს და აუდიტორიას იმედი გაუცრუოს. თვითმოქმედება იმ ფარგლებშია მისაღები, სანამ ძირითად ამოცანებს პასუხობს და სარგებლობა მოაქვს სტუდენტებისთვის.

კითხვები და დავალებები:

1. მიუთითეთ ლექციის ძირითად მახასიათებლებზე და დაასაბუთეთ მათი როლი სასწავლო პროცესში.
2. რა განსხვავებაა წაკითხულ და ზეპირ ლექციას შორის ?
3. რა იგულისხმება ლექტორის ლექციისათვის მზადებაში ?
4. დაახასიათეთ ლექციის შემადგენელი ნაწილები.
5. საჭიროა თუ არა სტუდენტის მიერ ლექციის ჩაწერა და რატომ ?
6. დაწერეთ ესე „აზრთა ჭიდილი”.

4.2. სემინარული მეცადინების მომზადებისა და ჩატარების მეთოდური საკითხები

სემინარული მეცადინეობა უმაღლეს სკოლაში სწავლების ორგანიზაციის ერთ-ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენს. Seminarium - ლათინურიდან მომდინარეობს და ზუსტი თარგმანით, ქართულად სანერგეს ნიშნავს. სასწავლო პროცესთან მიმართებაში იგულისხმება ისეთი კერა ან სანერგე, რომელიც ცოდნის გავრცელებას ემსახურება.

სემინარია ძველთაგანვე სასწავლო დაწესებულებას აღნიშნავდა. სემინარიის მოსამზადებელ საფეხურს პროსემინარიას უწოდებდნენ. ამჟამად უმაღლეს სკოლაში სწავლების ორგანიზაციის ფორმებად ითვლება სპეცსემინარი, რომელიც რომელიმე საგნის კონკრეტული მონაკვეთის გაღმავებულ შესწავლას ემსახურება და საკუთრივ სემინარი, რომლის თაობაზე მსჯელობა გვექნება სახელმძღვანელოს წინამდებარე პარაგრაფში.

სემინარული მეცადინეობის პროცესში ლექციებზე და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში მიღებული ცოდნა თვისობრივად ახალ საფეხურზე ადის. იგი ემსახურება არა მარტო ადრე მიღებული ცოდნის განმტკიცებას, არამედ მის გაფართოებას და განხილული თემიდან ისეთი საკითხების წარმოჩენა–გათავისებას, რომელზედაც ადრე არ გამახვილებულა ყურადღება. ამასთან ერთად, სემინარზე ღრმავდება სტუდენტის აზროვნება, როგორც მოცემული საკითხების მიმართ, ისე შემეცნებითი უნარების განვითარების თვალსაზრისით და შედეგად გაცილებით მაღალ აზროვნებას ვიღებთ. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ სემინარზე ფოკუსირდება სასწავლო–შემეცნებითი, აღმზრდელობითი და კონტროლის ფუნქციები.

სემინარული მეცადინეობები ორგანულად უკავშირდება ლექციასა და დამოუკიდებელ მუშაობას. რაც უფრო მაღალია წაკითხული ლექციის დონე და რაც უფრო უკეთ მუშაობენ სტუდენტები დამოუკიდებლად, მით უფრო წარმატებულია სემინარი. თავის მხრივ, კარგად ჩატარებული სემინარი დადებით გავლენას ახდენს არა მარტო მოცემული თემის შესწავლაზე, არამედ ზოგადად საგნის ათვისებაზე, ამასთან

ერთად იგი მნიშვნელოვნად ზრდის დამოუკიდებელი მუშაობისადმი ინტერესს.

როგორც სამუშაო პრაქტიკამ ცხადყო, კარგ შედეგებს იძლევა სწავლების დაგეგმვა შემდეგი თანმიმდევრობით: ლექცია, დამოუკიდებელი სამუშაო, ლაბორატორიული (პრაქტიკული) მეცადინეობა და სემინარი. ასეთი თანმიმდევრობა ყველაზე ოპტიმალურია, რადგან ლექციაზე განხილულ თეორიულ საკითხებს დამოუკიდებელი მუშაობისას გაიაზრებენ და შეისწავლიან სტუდენტები, შემდეგ პრაქტიკულ მეცადინეობაზე, ცდებისა და ვარჯიშის (დამოკიდებულია საგნის სპეციფიკაზე) მეშვეობით პრაქტიკულად გაითავისებენ და შეაჯერებენ შესწავლილ მასალას, ხოლო სემინარულ მეცადინეობაზე უკვე საფუძვლიანად შეაჯამებენ თემის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, განამტკიცებენ ცოდნას და წამოჭრიან პრობლემურ საკითხებს.

სემინარული მეცადინეობა საჯარო გამოსვლის აპრობირებული ფორმაა. იგი კარგად წარმოაჩენს ლექტორის ორატორულ უნარს და მის პოლემიკურ შესაძლებლობებს. იგი ანალოგიურ თვისებებს აზიარებს სტუდენტებსაც. სწორედ ასეთი გამოსვლების პროცესში იძენენ სტუდენტები საჯარო გამოსვლის და საკუთარი აზრის დამაჯერებლად გადმოცემის ჩვევებს.

მოსალოდნელი შედეგებს ბევრად განაპირობებს სასწავლო პროცესის ოპტიმალური დაგეგმვა. სწორედ იგი ახდენს არსებით გავლენას სემინარული მუშაობის შინაარსზე. გარდა იმისა, რომ სემინარული მეცადინეობის ჩატარება განრიგის მიხედვით ზუსტად უნდა იყოს რეგლამენტირებული და ითვალისწინებდეს სწავლების ორგანიზაციის ფორმების ზემოთ აღნიშნულ თანმიმდევრობას, ამასთან, მის ჩატარებას წინ უნდა უსწრებდეს შემდეგი საკითხების მოგვარება:

- სასწავლო დისციპლინის სილაბუსში ზუსტად განისაზღვროს სემინარის თემა, ჩატარების ვადა და შესაბამისი ლიტერატურა;
- ყოველი სემინარის წინ სტუდენტებს ჩაუტარდეს კონსულტაციები და მიეცეს კონკრეტული მითითებები;
- ლექტორმა წინასწარ შეადგინოს სემინარის ჩატარების გეგმა, მოიძიოს ახალი ლიტერატურა განსახილველი პრობლემის ირგვლივ;

- სტუდენტების წინასწარი ინფორმირება კონკრეტული თემის ირგვლივ ლიტერატურის მოძიების შესაძლებლობის შესახებ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და web site – ზე;
- ჩატარებული სემინარის შედეგების ანალიზი და გამოცდილების მომავალში გათვალისწინება.

სემინარულ მეცადინეობას, როგორც აღინიშნა, წინ უსწრებს ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობები, კონსულტაციები, რაც სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას მიზანმიმართულ ხასიათს აძლევს. კონსულტაციაზე მასწავლებელი ამოწმებს სასწავლო ჯგუფის მზადებას შესაბამისი ლიტერატურით, იძლევა საჭირო მეთოდურ მითითებებს, განმარტავს სხვადასვა საკითხებს და პასუხობს სტუდენტთა შკითხვებზე.

სემინარისთვის მზადების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ სტუდენტებთან მუშაობას, რომლებსაც დავალებული აქვთ სემინარზე მოხსენებით გამოსვლა. ლექტორი ასეთ სტუდენტს წინასწარ უსახავს კონკრეტულ ამოცანას. ეხმარება მოხსენების გეგმის შედგენაში, ლიტერატურის შერჩევასა და ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში, თუ, რასაკვირველია, ასეთი საჭიროება არის.

სემინარულ მეცადინეობათა მომზადებასა და ჩატარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სემინარის გეგმის შდგენას. კარგად გააზრებული გეგმა სემინარის წარმატების აუცილებელი პირობაა. ამასთან ერთად, სემინარის გეგმა წარმოადგენს ძირითად მეთოდურ დოკუმენტს სტუდენტთა დამოუკიდებელი მომზადებისათვის. სემინარის გეგმები მთელი სასწავლო წლისთვის დგება, თუმცა, მათი კორექტირება ჩვეულებრივ, გზადაგზა მიმდინარეობს. აღნიშნული გეგმის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი გარემოებები:

- ასეთი მეცადინეობისთვის უნდა შეირჩეს პრობლემური, აქტუალური საკითხები;
- მეცადინეობისას შესაძლებელი გახდეს დისკუსიული გარემოს შექმნა;

- სწავლების ტექნიკური საშუალებების ხვედრითი წილი მეცადინეობის პროცესში და ამ თვალსაზრისით უნივერსიტეტის მზადყოფნა;
- უმაღლესი სასწავლებლის პროფილი და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები და გამოწვევები.

სასურველია, ერთსაათიან სემინარზე განსახილველად მივცეთ ერთი ან ორი საკითხი. მრავალი საკითხის სიღრმისეულ ანალიზს სათანადო დრო ესაჭიროება, ამიტომ უმჯობესია სტუდენტებმა საფუძვლიანად შეისწავლონ ცოტა, ვიდრე ზერელედ გაიარონ რამდენიმე საკითხი ერთად.

სემინარული მუშაობის სასწავლო რესურსთან დაკავშირებით მასწავლებელს მხედველობიდან არ უნდა გამორჩეს ის გარემოება, რომ აუცილებელია სასწავლო ლიტერატურაზე მუშაობის ნორმების გათვალისწინება. ოპტიმალურად არის მიჩნეული: დაბალ კურსებზე ერთსაათიანი მეცადინეობისათვის 6 გვერდის, ხოლო მაღალ კურსებზე 10 გვერდის დამუშავება. რეკომენდებული ლიტერატურის მოცულობა ორსაათიანი სემინარისთვის 40–50 გვერს არ უნდა აჭარბებდეს.

სემინარული მეცადინეობა იწყება საორგანიზაციო საკითხებით: მეცადინეობაზე დასწრების შემოწმებით და აკადემიური ჯგუფის მობილიზაციით. შემდეგ უშუალოდ გადავდივართ შესავალ ნაწილზე, რომელიც ითვალისწინებს: თემის დასახელებას, სემინარის მიზან–ამოცანების ხაზგასმას, განსახილველ საკვანძო პრობლემების გამოყოფას, მეცადინეობის ჩატარების წესისა და რეგლამენტის შეხსენებას სტუდენტებისთვის.

ლექტორის შესავალი სიტყვა უნდა იყოს ლაკონური, ლოგიკურად გამართული და ზომირად ემოციური, რომელიც დადებითად იმოქმედებს სტუდენტთა განწყობაზე და დამაჯერებლობას შესძენს მათ გამოსვლებს. შესავალი სიტყვა არ უნდა აღემატებოდეს 5 წუთს.

სემინარული მეცადინეობის ძირითადი ნაწილი იწყება სტუდენტთა გამოსვლებით. საპასუხოდ უნდა გამოვიდნენ წინასწარ ჩაწერილი მომხსენებლები, თუმცა ლექტორმა ისინიც უნდა ჩააბას დისკუსიაში, ვინც პასიურობს და სათანადოდ არ ემზადება, რადგან სემინარი სწორედ მაშინ

მიაღწევს მიზანს, როცა მასში მონაწილეობა საყოველთაო იქნება.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სემინარზე გამომსვლელი სტუდენტების ლიტერატურული ენით მეტყველებას, ლოგიკურ გამართულობას და კრიტიკული ანალიზის უნარს. სტუდენტს წინასწარ უნდა ჰქონდეს მოფიქრებული მოხსენების სტრუქტურა, მტკიცებისა და უარყოფის ხერხები, შეეძლოს არასტანდარტული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა. სტუდენტის გამოსვლა ჩვეულებრივ 8–10 წუთს გრძელდება. მოხსენების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია მისი ხანგრძლივობა 10 წუთამდეც გაგრძელდეს.

ლექტორი ყურადღებით უნდა უსმენდეს მომხსენებელს, მაგრამ არ აწყვეტინებდეს საუბარს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა სტუდენტის მსჯელობა არასწორი მიმართულებით მიდის ან იგი აშკარა შეცდომებს უშვებს. ამ დროს ლექტორმა ასპარეზი უნდა მისცეს მომხსენებლის თანატოლებს. მათი ჩარევით შესაძლებელია შეცდომებიც გავასწოროთ და საერთო მსჯელობას საჯარო დისკუსიის სახეც მივცეთ. ლექტორის წამდაუწუმ ჩარევამ შესაძლებელია დააბნიოს გამომსვლელი, ამიტომ არათუ აზრის დასრულების საშუალება, არამედ შეცდომით განვითარებული მოსაზრების შანსიც უნდა ჰქონდეს ყველა გამომსვლელს. კარგად მომზადებულ და ეფექტურად წარმართულ სემინარზე მინიმალურია ლექტორის საუბარი. იგი მხოლოდ მეთოდურად მართავს სიტუაციას, აქტივობა კი სტუდენტებზეა გადატანილი.

მთავარ გამომსვლელებთან ერთად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთა მასობრივ ჩართვას მსჯელობა–დისკუსიაში. სტუდენტები კითხვებს უსვამენ გამომსვლელებს, აფიქსირებენ განსხვავებულ პოზიციებს, კამათობენ ადგილიდან, ე. ი. სავალდებულო არ არის კამათში მონაწილეები კათედრაზე გამოდიოდნენ.

სემინარის მსვლელობისას აუცილებელია კამათი. როგორც გამოცდილება აჩვენებს, კარგად მომზადებულ აუდიტორიაში კამათი ბუნებრივად წამოიჭრება, რაც მისასალმებელია, მაგრამ ამის იმედზეც ვერ იქნება ლექტორი, საჭიროა სათადარიგოდ სადისკუსიო პრობლემების მომზადება. როცა ლექტორი იმაში რწმუნდება, რომ დისკუსია არ შედგება, მაშინ იგი ახდენს მის პროვოცირებას წინასწარ მოზადებული პრობლემის

„შემოგდებით”, რასაც შემდგომ სტუდენტები აგრძლებენ და ლექტორის მეთვალყურეობით ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავთ. აქ გასათვალისწინებელია კამათის ეთიკური მხარე, სტუდენტები უნდა შეეჩვიონ საპირისპირო აზრის მოსმენას, კრიტიკა არ უნდა იყოს პიროვნების შეურაცხმყოფელი, ზედმეტად ემოციური და ოპონენტის დამთრგუნველი.

ლექტორმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს სემინარულ მეცადინეობებზე მოსალოდნელი „ემოციური აფექტები”. იმდაგვარად წარმართოს მეცადინეობა, რომ გაანეიტრალოს დაძაბულობა, გამოამჟღავნოს სათანადო მოთმინება, ერუდიცია და ტაქტი, არ გაღიაზიანდეს და „არ მიაკეროს იარლიყები” სტუდენტს, არ მიმართოს მენტორულ დარიგებებს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ცნობილი ჭეშმარიტება: „როცა ვინმეს ასწავლი, არ გაბრაზდე! “, აქედან გამომდინარე, სტუდენტთა დატუქსვა აქ იმის გამოც არ იქნება ეფექტური, რადგან ასეთი ზემოქმედება აქვეითებს შემოქმედებით ატმოსფეროს და უარყოფითად მოქმედებს სწავლის მოტივაციაზე.

სემინარის მსვლელობისას ლექტორმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს სტუდენტების მიერ შესრულებულ წერილობით ნამუშევრებსა და კონსპექტებს. შესაძლებელია, ნამუშევრების ვიზუალური გადახედვა ზერელე იყოს, მაგრამ ასეთ შემოქმედებასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა. უფრო ყურადღებით უნდა შემოწმდეს იმათი კონსპექტები და რეფერატები, რომელთა გამოსვლაც ნიშანზე ფასდება. პერიოდულად ლექტორმა უნდა შეკრიბოს სტუდენტთა ნამუშევრები და მშვიდ ვითარებაში ძირეულად შეამოწმოს ისინი.

სემინარული მეცადინეობის მნიშვნელოვანი ნაწილია ლექტორის შემაჯამებელი სიტყვა, რომელსაც 10 წუთი უნდა დაეთმოს. დასკვნით ნაწილში ფასდება სემინარის დადებითი და უარყოფითი მხარეები. კიდევ ერთხელ კეთდება მოკლე რეზიუმე განხილულ პრობლემებზე, გამოიყოფა წარმატებული სტუდენტები, როგორც ძირითად მომხსენებელთაგან, ისე დისკუსიაში მონაწილეთა შორის. ყურადღება ექცევა იმ სტუდენტებს, რომლებიც პასიურობდნენენ სემინარზე და მომავალში აქტიურობისკენ მოუწოდებენ მათ. ამ მიზნით ასეთ სტუდენტებს ეძლევათ კონკრეტული სასწავლო ამოცანა.

ლექტორი აცხადებს სემინარში მონაწილე სტუდენტთა შეფასებას არა მარტო რეიტინგით ანუ რიცხვითი გამოხატულებით, არამედ მცირე სიტყვიერ განმარტებებსაც დაურთავს მას. ასეთი განმარტებები ნათელ წარმოდგენას უქმნის სტუდენტს მისი მომზადების დონეზე და კონკრეტულად მიუთითებს ხარვეზების გამოსწორებაზე.

სემინარული მეცადინეობის წარმოდგენილი ვარიანტი ზოგადი ხასიათისაა. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია მას რაიმე დაემატოს ან გამოაკლდეს კიდეც, თუმცა დიდაქტიკური პათოსი და მეთოდური თანმიმდევრობა მეტნაკლებად ყველა საგნისთვის მისაღები იქნება.

კითხვები და დავალებები:

1. დაასაბუთეთ სემინარული მეცადინეობის მნიშვნელობა.
2. დაასაბუთეთ სწავლების ორგანიზაციის ფორმათა ოპტიმალური თანმიმდევრობა.
3. ლექტორის მიერ რა საკითხებია მოსაგვარებელი სემინარის ჩატარების წინ ?
4. დაახასიათეთ სემინარული მეცადინეობის შემადგენელი ნაწილები.
5. წერილობით ჩამოაყალიბეთ სემინარის გეგმა თქვენს სპეციალობაში.

4.3. ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობა

უმაღლეს სკოლაში სწავლების ორგანიზაციის ფორმებიდან მნიშვნელოვანი ადგილი ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს უჭირავს. ლექციასთან და სემინართან ერთად, სწორედ მათი მეშვეობით წარიმართება სააუდიტორიო სწავლება, რაც ლექტორსა და სტუდენტს შორის კომუნიკაციას, თანამშრომლობას გულისხმობს. მათ შორის თანამშრომლობა კი წარმატებული სასწავლო პროცესის უმთავრესი პირობაა.

ლექციას, როგორც ცნობილია, დიდი ხნის ისტორია აქვს, ხოლო ლაბორატორიული მეცადინეობები უმაღლეს სკოლაში გვიან დამკვიდრდა. სწავლების ეს ფორმა თავდაპირველად

უპირატესობით სარგებლობდა ტექნიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში. რადგან ტექნოლოგიური პროცესების მხოლოდ თეორიული შესწავლით, ამ სფეროში ძირითადი ამოცანა ვერ გადაწყდება, საჭიროა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება. ამისათვის კი აუცილებელია სტუდენტი შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების საშუალებებსაც გაეცნოს და გაითავისოს ისინი.

სწავლების სხვა ფორმებთან შედარებით, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, მეტი საშუალებები აქვს სტუდენტთა შემეცნებითი ინტერესების განვითარებისა და სწავლების მოტივაციის გასაძლირებლად. ხელსაწყოებისა და აპარატურის გაცნობასთან ერთად, სტუდენტი ამგვარი მეცადინეობების პროცესში პრაქტიკულად ამოწმებს თეორიული სწავლების დროს შეძენილ ცოდნას, ეცნობა მეცნიერული კვლევის მეთოდებსა, ეუფლება ექსპერიმენტული მუშაობის ხერხებს, იძენს დამოუკიდებელი აზროვნებისა და ანალიზის ჩვევებს.

ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ქმედითი საშუალებაა სტუდენტთა აქტივიზაციისათვის. თუ ლექციაზე პასიურობს სტუდენტი, ლაბორატორიულ მეცადინეობაზე სწავლისადმი ამგვარი დამოკიდებულება მინიმუმამდეა დაყვანილი. ასეთი შესაძლებლობებით ლაბორატორიული მეცადინეობა ბევრად აღემატება სწავლების ორგანიზაციის სხვა ფორმებს. ამიტომ უკანასკნელ პერიოდში ამ თვალსაზრისით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გამოვლენილი აქტივობა უთუოდ იმედისმომცემად უნდა მივიჩნიოთ.

არც თუ დიდი ხნის წინ, ლაბორატორიული მუშაობის პროცესში სტუდენტები და მასწავლებლები ყველას წარმოედგინა, შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ ისეთ სასწავლო ლაბორატორიაში, სადაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო კოლბები, სინჯარები, ძრავების სხვადასხვა მოდიფიკაციები, ელექტროგამტარები და ნახევარგამტარები, ქიმიური ელემენტები და ა. შ. ასეთი საშუალებები მართლაც არის საჭირო ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებისათვის, მაგრამ მათ გარეშეც შეიძლება ასეთი მუშაობის წარმართვა.

უკანასკნელ წლებში ასეთი მიდგომა ფართოდ ინერგება ზოგად პედაგოგიკაშიც და უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაშიც. სასწავლო აუდიტორია თავად წარმოადგენს ლაბორატორიას, სადაც შესაძლებელია პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მუშაობა. ასეთი სამუშაო წმინდა ტექნოლოგიური პროცესების გარეშეც შეიძლება არსებობდეს, ანუ ყოველი პრაქტიკული მეცადინეობა, სადაც ადგილი აქვს ვარჯიშს, გამეორებას, თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირებას და თეორიული მონაპოვრების სანდოობის ხარისხის დადგენას ან უარყოფას, იგივე ლაბორტორიული მუშაობაა. ამდენად, ლაბორატორია მარტო ქიმიური ცდები ან ელექტროგამტარების წინადობის მაჩვენებლების დადგენა არ არის, როგორც მას, სწორედ ამგვარად მიიჩნევდნენ არც თუ შორეულ წარსულში. ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები ერთი და იმავე შემეცნებითი ამოცანებისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების ფორმირებას ემსახურება. მათ შორის განსხვავება, მხოლოდ ტექნიკური საშუალებების გამოყენების ოდენობასა და ინტენსივობაშია. აქედან გამომდინარე, მათი ჩატარებისას გამოხატული სპეციფიკური თავისებურებებიც, მხოლოდ ტექნიკური ხასიათისაა.

ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებისას, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საგნის სპეციფიკა. ამის შემდეგ შედგება შესაბამისი გეგმა. თუ ლაბორატორიული მეცადინეობა, ტრადიციული გაგებით, ტექნოლოგიურ პროცესებს მოითხოვს, მაშინ, შესაბამისად გათვალისწინებული უნდა იქნეს ლაბორატორიის ტექნიკური შესაძლებლობები, რომელიც შესაბამისად გავლენას მოახდენს, როგორც მუშაობის დაგეგმვაზე, ისე ლაბორატორიული მეცადინეობის წარმართვაზე.

გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, უპირატესად ატარებენ სალექციო კურსის კითხვის პარალელურად. იშვიათად, მაგრამ მაინც ვხდებით ამგვარი მეცადინეობების ჩატარების შემთხვევებს, თეორიული კურსის მოსმენის შემდეგ. გამონაკლისის სახით ფიქსირდება აგრეთვე მესამე გზაც – ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარებისა თეორიული კურსის წაკითხვის წინ. ასეთ მიდგომას იმით ამართლებენ, რომ პრაქტიკულად ნაზიარებ უნარ–ჩვევებს, ადვილად

შეუსაბამებ თეორიულ განზოგადებებს, რაც შემეცნებითი აქტივობის ქმედით ფორმად მიაჩნია ზოგიერთ მეთოდისტს. თუმცა, მასობრივი ხასიათი ამ მეთოდს არასოდეს ჰქონია.

ყველაზე ოპტიმალური მაინც პირველი გზაა, როცა ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს სალექციო კურსის მოსმენის პარალელურად მიმართავენ. არსებული სასწავლო გეგმებიც ძირითადად ამ სასტემითაა აგებული. სწორედ ლექციაზე იღებს სტუდენტი აუცილებელ ინფორმაციას და შემდეგ იწყებს პრაქტიკული მეცადინეობისთვის მზადებას. ფაქტიურად სტუდენტი რწმუნდება იმაში, რომ ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად აუცილებელია ლექციაზე მოპოვებული თეორიული განზოგადებები. ხოლო თავის მხრივ, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობა წარმოადგენს სემინარისა და გამოცდისთვის მომზადების საფუძველს. ამდენად, სწავლების ორგანიზაციის თითოეული ფორმა ორგანულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული და განსაზღვრავს საბოლოო შედეგს.

თითოეული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაო არსებითად ლექციაზე მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობის გამოვლენის საშუალებას წარმოადგენს. მოტივირებული სტუდენტი მიზანმიმართულად ეცნობა თეორიულ მასალას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმ საკითხებს, რომელთა პრაქტიკული გადაწყვეტა მას უშუალოდ ლაბორატორიულ მეცადინეობებზე მოუწევს. აქედან გამომდინარე, მისი მოტივაცია ძლიერი იქნება და შესაბამისად შედეგებიც არ დააყოვნებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება თეორიული კურსის მოსმენის შემდეგ, დიდი შედეგიანობით არ გამოირჩევა. ამით პირველ რიგში, თვით თეორიული მომზადება ზიანდება. რადგან პრაქტიკული უნარების გარეშე თეორიული სწავლება აშკარად ზერელე გამოდის. მხოლოდ თეორიული განზოგადებები არ ტოვებს სტუდენტის ცნობიერებაში იმ კვალს, რაც ესოდენ საჭიროა როგორც სპეციალური, ისე ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესასწავლად. მარტო თეორიული ცოდნა ვერ მოახდენს სათანადო ზემოქმედებას

სტუდენტის ცნობიერებაზე, იგი ღრმად ვერ ჩასწვდება და ვერ გაითავისებს წმინდა ტექნოლოგიურ პროცესებსა თუ საზოგადოებრივი განვითარების კანონებს.

აღნიშნულის მიუხედავად, ზოგიერთი რთული ტექნიკური საგნის შესწავლისას მაინც მიაჩნიათ შესაძლებლად, ლაბორატორიული მეცადინეობის ამგვარი თანმიმდევრობით ჩატარება. ამ იდეის მომხრეები თვლიან, რომ სტუდენტები გაცილებით ადეკვატურები არიან რთული ტექნოლოგიური პრობლემების მიმართ მაშინ, როცა ძირეულად აქვთ შესწავლილი არა ერთი კონკრეტული თემა, არამედ კომპლექსურად ფლობენ მთელ თეორიულ მასალას. თუმცა ჩვენის მხრივ ასეთ მიდგომასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ თეორიული ცოდნის პრაქტიკული უნარ–ჩვევებით განმტკიცების გარეშე, გამორიცხულია თვით თეორიული მასალის საფუძვლიანი დაუფლება.

ამდენად, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისთვის ოპტიმალურად მიგვაჩნია მისი შეწყვილება სალექციო და სემინარულ მუშაობასთან. სწავლება ეფექტური იქნება, თუ ლექცია, პრაქტიკულ–ლაბორატორიული და სემინარული მეცადინეობები პარალელურად დაიგეგმება სწორედ აღნიშნული თანმიმდევრობით.

სტრუქტურულად ლაბორატორიული სამუშაო ხუთ ნაწილად იყოფა. ესენია: შესავალი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას, რაც მუშაობისათვის მომზადების შემოწმებას ითვალისწინებს. ამასთან ერთად, ამ ნაწილში სტუდენტებს უხსნიან კონკრეტული ლაბორატორიული სამუშაოს მიზანს. მეორე ნაწილში გაიხსენებენ მოცემული სამუშაოს თემასთან დაკავშირებულ ძირითად ცნებებს, რაც თეორიულად უკვე იციან სტუდენტებმა; შემდეგი ნაწილი განკუთვნილია უშუალოდ ლაბორატორიული ცდის ჩატარებისთვის; მეოთხე ნაწილში მიმდინარეობს ჩატარებული სამუშაოს შედეგების დამუშავება, რომელიც დასრულდება შემაჯამებელი ოქმის შედგენით. ხოლო ლაბორატორიული სამუშაოს უკანასკნელი საფეხური ჩატარებული ცდის შედეგების შესახებ ანგარიშის შედგენას გულისხმობს, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს, თუ რამდენად მიაღწია მიზანს ლაბორატორიულმა სამუშაომ,

შესრულდა თუ არა დასახული ამოცანა. მოკლედ იქნება აგრეთვე აღწერილი ცდის ჩატარების თანმიმდევრობა და შედეგების დამუშავების მდგომარეობა.

ლაბორატორიული სამუშაოსთვის აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელო. თუ სახელმძღვანელო წიგნი არ არსებობს მოცემულ საგანში, მაშინ მეთოდური მითითებები ან ინსტრუქცია მაინც უნდა იყოს სტუდენტთათვის მისაწვდომი. იმის თქმაც საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ასეთი ლიტერატურის შემდგენლებს, ხშირად ზომიერების გრძნობა ღალატობთ და ცდილობენ თეორიული საკითხების ვრცლად წარმოდგენას. ასეთი მიდგომით ჩვენს წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს არა ლაბორატორიული სამუშაოს შესასრულებლად განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელო, ინსტრუქცია ან მეთოდური მითითება, არამედ სახელმძღვანელოს პროფანაცია, რომელიც ამგვარი ლიტერატურის ჩანაცვლების წარუმატებელ მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი ლიტერატურა დახმარების ნაცვლად ხელს უშლის და ინტერესსაც უკარგავს სტუდენტებს, რომ თეორიული მასალა საფუძვლიანად შეისწავლონ სწორედ სახელმძღვანელოში.

ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების მეთოდურ მითითებებში სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ხელსაწყო – იარაღების აღწერასა და მათი მოხმარების წესებს.

აუცილებელია, ლაბორატორიული მეცადინეობისას კურსი გაიყოს რამდენიმე ჯგუფად და საჭიროების მიხედვით, ქვეჯგუფებადაც. ასეთი დაყოფა დამოკიდებულია სასწავლო ბაზის შესაძლელობებზე. სამუშაოების შესრულება დასაშვებია, როგორც ჯგუფურად (ბრიგადულად), ისე ინდივიდუალურად (1–2 სტუდენტთან).

სამუშაოს ჯგუფურად შესრულების პროცესში არ არის ყველა სტუდენტის თანაბარი აქტივობა. თუმცა, აქაც შეიძლება როლების იმდაგვარად განაწილება, რომ უფუნქციოდ არავინ დარჩეს, მაგრამ ეს ხშირად ვერ ხერხდება. ამის შედეგად სუსტი აკადემიური მომზადების სტუდენტები ან პასიურობენ, საერთოდ არ მონაწილეობენ ცდებისა და ექსპერიმენტების პროცესში. ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო თრგუნავს ჩამორჩენილ სტუდენტებს და არასრულყოფილების კომპლექსს უვითარებთ მათ.

მრავალრიცხოვან ჯგუფში ძალზე რთული და არაეფექტურია ერთი მასწავლებლის მიერ ლაბორატორიული მეცადინეობის ჩატარება. მასწავლებელთა რაოდენობა სტუდენტების რიცხოვნების პროპორციული უნდა იყოს. ოპტიმალურია 2-3 სტუდენტისგან დაკომპლექტებული ჯგუფების ერთად მუშაობა. ერთმა მასწავლებელმა შეიძლება უხელმძღვანელოს 3-4 ასეთ ჯგუფს.

ლაბორატორიული მეცადინეობის მასწავლებელი დარწმუნებული უნდა იყოს სტუდენტების მიერ თეორიული მასალის ცოდნაში. სამუშაოს მსვლელობისას მასწავლებელმა თანაბრად უნდა გაანაწილოს დავალებები. ექსპერიმენტის შემთხვევაში მაქსიმალური ყურადღება უნდა დაეთმოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარის ფორმირებას და ასეთი სტუდენტების გამოვლენა-წახალისებას.

ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შესასრულებელ სამუშაოთა და სავარჯიშოთა თემატიკას. ამ ტიპის მეცადინეობებზე განსახილველი სამუშაოები და ამოცანები სასწავლო დისციპლინის სილაბუსში წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული. ანგარიშგასაწევია ამასთან დაკავშირებით ის მოსაზრებაც, რომ თითოეული სტუდენტისთვის კონკრეტული დავალება წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული. ასეთ ვითარებაში სტუდენტი ვალდებული იქნება, დამოუკიდებლად შეიმუშაოს ინდივიდუალური გეგმა, მოახდინოს თეორიული გაანგარიშებები, შეადგინოს საჭირო განრიგები, ცხრილები და ნახაზები, რაც შემეცნებითი უნარების განვითარებაზე დადებით ზეგავლენას მოახდენს.

ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები სტუდენტთა მეცნიერული მიდრეკილებების გამოვლენისა და მათი შესაბამის უნარებად გარდაქმნის ნაცადი გზაა. ლაბორატორიული მუშაობის პროცესში ყალიბდება ჯგუფური მუშაობის ჩვევები, რაც მნიშვნელოვანია როგორც პროფესიულ საქმიანობაში, ისე სამეცნიერო მოღვაწეობაში.

თვალსაჩინოების ელემენტები მოჭარბებულია ლაბორატორიული სამუშაოების შესრულებისას. ამიტომ სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, შესაბამის ტექნიკასა და ზოგადად ლაბორატორიულ ბაზას, განსაკუღებული ყურადღება უნდა მიექცეს. ყველაზე უკეთესი მეთოდიკაც

ვერას გახდება, სათანადო სასწავლო ბაზის გაუმართაობის შემთხვევაში. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად შეესაბამება სტუდენტთა კონტინგენტს ლაბორატორიის შესაძლელობები. როგორც ითქვა, არაფრისმომცემია ისეთი მეცადინეობები, როცა 2-3 სტუდენტი მუშაობს, დანარჩენი კი პასიური მაყურებლის როლით კმაყოფილდება. მნიშვნელობა არა აქვს, ასეთი მდგომარეობა სასწავლო ბაზის არასრულყოფილებით არის გამოწვეული თუ სტუდენტების სიზარმაცით.

ლაბორატორიული მეცადინეობის შემაჯამებელი საფეხური ჩატარებული მუშაობის ანგარიშის შედგენას ითვალისწინებს. სწორედ აქ წარმოჩინდება სტუდენტის ანალიტიკური აზროვნების უნარი. ანგარიშში თეორიული მომზადებისა და პრაქტიკული უნარების გარკვეული სინთეზია. სასურველია, სამუშაოს ანგარიში არ იყოს სტანდარტული. არასტანდარტული და ორიგინალური ანგარიშის შედგენას მხოლოდ ისთი სტუდენტი შეძლებს, ვინც დამოუკიდებლად ატარებს ცდასა და ექსპერიმენტს. ასეთი მუშაობა შესაბამისად აისახება ანგარიშშიც, თუმცა ეს არ ნიშნავს თემატიკიდან გადახვევას და დასახული ამოცანების გვერდის ავლას. რასაკვირველია, ისეთი სავალდებულო მონაკვეთები, როგორიცაა, საკითხის ირგვლივ არსებული თეორიული მონაცემები, ჰიპოთეზა, კვლევის მიმდინარეობა, მისი შედეგები, დასკვნები და ბიბლიოგრაფია, ყველა ესენი ანგარიშის აუცილებელი კომპონენტებია. მაგრამ არ არის გამორიცხული, წარმატებული, კრიტიკულად მოაზროვნე სტუდენტი, არ დაკმაყოფილდეს დადგენილი სტანდარტით და კიდევ რაიმე ორიგინალური შემოგვთავაზოს. სწორედ ასეთი შედეგი იქნება შედეგიანი, რისკენაც უნდა ვისწრაფოდეთ და სტუდენტებსაც მუდამ ამისთვის განვაწყობდეთ. ლაბორატორიული სამუშაოს შემდეგ, სასურველია ჩატარდეს შესაბამის თემაზე სემინარი. მთავარ მომხსენებლად გამოიყოს ის სტუდენტი, რომელმაც ნაყოფიერად შეასრულა სამუშაოები და ხელშესახები შედეგები მიიღო. მოხსენებას უნდა ახლდეს სათანადო განხილვა და დისკუსია, რომელიც გამოავლენს მეცნიერული მიდრეკილებების მქონე სტუდენტებს.

აუცილებლად მიგვაჩნია სტუდენტის მიერ ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების ზუსტი

აღრიცხვა და გაცდენების აღდგენა. როგორც ცნობილია, ლაბორატორიული მეცადინეობები უმთავრესად გათვალისწინებულია ტექნიკური და საბუნებისმეტყველო პროფილის ფაკულტეტებზე. ამიტომ ასეთი სამუშაოების გარეშე წარმოუდგენელია შესაბამის სპეციალობაში კვალიფიციური მუშაკის მომზადება.

ლაბორატორიულ სამუშაოებთან თავისი დანიშნულებით ახლოსაა პრაქტიკული მეცადინეობები, რომელიც არ ითვალისწინებს მსგავს ცდებსა და ექსპერიმენტებს, მაგრამ შემეცნებითი თვალსაზრისით იმავე დატვირთვას ასრულებს. პრაქტიკული მეცადინეობები უპირატესად ენების შესწავლის პროცესში, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო საგნებშიც ტარდება, მას უპირატესად ვარჯიშის ხასიათი აქვს და დიდაქტიკური ამოცანებითაც ლაბორატორიულ სამუშაოებს წააგავს, ამიტომ მასზე საგანგებოდ არ შევჩერდებით.

კითხვები და დავალებები:

1. დაასაბუთეთ ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების როლი სწავლის მოტივაციაში, შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაში.
2. სწავლების ორგანიზაციის ფორმათა შორის როგორი თანმიმდევრობით უნდა ჩატარდეს ლაბორატორიული (პრაქტიკული) მეცადინეობები და რატომ ?
3. დაახასიათეთ ლაბორატორიული მეცადინეობის შემადგენელი ნაწილები.
4. რა მსგავსება ან განსხვავებაა ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს შორის ?

4.4. სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლების ორგანიზაციის ფორმების დაჯგუფებისას ორ მიმართულებას გამოყოფენ, ესენია: ზუსტად რეგლამენტირებული და არარეგლამენტირებული მეცადინეობები. პირველში გაერთიანდება საუდიტორიო ანუ ლექტორთან საკონტაქტო მეცადინეობები, ხოლო მეორეში – დამოუკიდებელი მუშაობა და თვითგანათლება. მეორე

მიმართულება არათუ ჩამორჩება სააუდიტორიო – საკონტაქტო მეცადინეობებს, არამედ ზოგიერთი პარამეტრით, კიდეც აჭარბებს მათ. ამიტომ დამოუკიდებელი სამუშაოების შერჩევასა და მისი მიმდინარეობის რეგულირებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით დღეს, როცა უმაღლესი განათლების სისტემამ რეალურად იბრუნა პირი ამ სფეროს სრულყოფისაკენ, რომელიც ათეული წლების მანძილზე თვითდინებაზე იყო მიშვებული. თუმცა, თუ სიმართლეს გავუსწორებთ თვალს, უნდა ვაღიაროთ, რომ სტუდენტთა ცოდნის სიმტკიცე და შემეცნებითი უნარები, სწორედ დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში ყალიბდება. ამიტომ სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის აქტივიზაციის ხერხების ძიება, თითოეული ლექტორის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაში, სწორედ დამოუკიდებელი მუშაობის უნარ–ჩვევების ფორმირებას ენიჭება წამყვანი ადგილი.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა სწავლების ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს სააუდიტორიო მეცადინეობათა შედეგებს. დამოუკიდებელი მუშაობის უპირველესი მიზანი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის პროცესში განხილული საკითხებისა და სასწავლო ამოცანების შესწავლა–გათავისებაა.

დამოუკიდებელი მუშაობა სტუდენტის მიერ შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ამ გზით ცოდნის შეძენა–განმტკიცებას ითვალისწინებს. დამოუკიდებელი მეცადინეობა სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, მისი მოცულობა და თანმიმდევრობა რეგლამენტირებულია ახალი სასწავლო გეგმებით. კომუნისტური და პოსტკომუნისტური ეპოქის საგანმანათლებლო სისტემა მხოლოდ ფორმალურად აღიარებდა სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის საჭიროებას და ამის იქით მისი ინტრესების სფერო აღარ ვრცელდებოდა. დღეს მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. ბოლონიის პროცესის სახელმძღვანელო დებულებებში და საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ", სწორედ დამოუკიდებელ მუშაობაზე კეთდება აქცენტი. ხოლო

რაც შეეხება მის მოცულობასა და ნორმირებას, იგი საკრედიტო სისტემაზე გადასვლის შედეგად, ზუსტ შესაბამისობაში მოვიდა სააუდიტორიო მეცადინეობებებთან. მაგალითად, საშუალოდ მიღებულია, რომ თეორიული მეცადინეობასთან შედარებით 1.5 ან 2 – ჯერ მეტი დრო უნდა გამოიყოს დამოუკიდებელი მეცადინეობისთვის. აღნიშნულ თანაფარდობას სააუდიტორიო და სტუდენტთა დამოუკიდებელ მეცადინეობებს შორის, საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე ადგენენ, ფაკულტეტზე გამოყოფილი ექსპერტები და ხარისხის მართვის სამსახურის სპეციალისტები.

დამოუკიდებელი მუშაობა, მართალია, სტუდენტის სასწავლო საქმიანობაა, მაგრამ მის რაციონალურად წარმართვაზე არსებით გავლენას ახდენენ კონკრეტული საგნის პედაგოგები. ვიდრე უშუალოდ დამოუკიდებელ მუშაობას შეუდგებოდნენ, სტუდენტები დავალებებსა და სათანადო მითითებეს პროფესორ–მასწავლებლებისგან იღებენ. სწორედ ასეთი კონსულტაციების პროცესში ეძლევა სტუდენტს მუშაობის მთავარი ორიენტირი, რომელსაც შემდგომში დამოუკიდებლად ახორციელებს.

დამოუკიდებელი მუშაობა შესაძლებელია რამდენიმე სახის იყოს. სპეციალისტები გამოყოფენ ძირითად და დამატებით დამოუკიდებელ სამუშაოებს.

დამოუკიდებელი მუშაობის ძირითად ფორმებს მიაკუთვნებენ: მოსმენილი ლექციების შესაბამისი ლიტერატურის შესწავლასა და დაკონსპექტებას; სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის მომზადებას; სასწავლო ამოცანებიდან გამომდინარე სახელმძღვანელოებისა და დამხმარე ლიტერატურის შესწავლას; საკონტროლო და საკურსო სამუშაობისათვის მზადებას; თანამედროვე ინფორმაციული საშუალებების გამოყენებას.

დამატებით ფორმებს მიაკუთვნება: სამეცნიერო–პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო ექსკურსიებში მონაწილეობა; სასწავლო თემატიკასთან დაკავშირებული ვიდეო საშუალებების (კინოფილმების და ტელეგადაცემების, სასწავლო ვებ საიტების) ნახვა და მათი გარჩევა.

დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციისა და სწავლების მეთოდიკის შემდგომი სრულყოფისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდური ხერხი, როგორიცაა ექსპრეს – გამოკითხვა,

რომელიც, როგორც წესი, ტარდება ლექციაზე და კონსულტაციაზე, მისი ხანგძლივობა დაახლოებით 10–15 წუთს გრძელდება. ამ დროს ლექტორი სათანადო ინფორმაციას იღებს თითოეული სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი სამუშაობის მიმდინარეობაზე, გამოავლენს ამ პროცესის თანამდევ ხარვეზებს და კონკრეტული მითითებებით ეცდება სტუდენტთა დახმარებას. ასეთი გამოკითხვა დადებითად მოქმედებს სტუდენტთა მუშაობის აქტივობაზე და შემეცნებითი პრობლემების გადაწყვეტაზე.

დამოუკიდებელი მუშაობა ნაყოფიერ ნიადაგს წარმოადგენს კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და კვლევითი უნარების ფორმირებისათვის. გამოცდილი ლექტორები, გარდამავალ საფეხურზე, როცა ფაქტიურად ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის შეცვლა, ეფექტურად იყენებდნენ სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას ე. წ. „თეთრი ლაქების" გამოსააშკარავებლად. როგორც პრაქტიკამ ცხადყო, ასეთ თემებზე სტუდენტები დიდი ინტერესით მუშაობენ. ასეთი მუშაობა აქტუალურია დღესაც, რადგან მსგავსი პრობლემა კიდევ ბევრია.

დამოუკიდებელი მუშაობისადმი ინტრესის ზრდას ხელს უწყობს თეორიული სწავლების პროცესში ლექტორის მიერ პრობლემური კითხვების დასმა. ასეთი კითხვები, როგორც წესი, განვლილი მასალიდანაა, მაგრამ იშვიათად მიმართავენ კითხვებს შესასწავლი მასალიდანაც, რაც უფრო აფხიზლებს სტუდენტებს. საფუძვლიანი პასუხების მისაღებად სტუდენტები, ლექტორის მითითების საფუძველზე მოიპოვებენ სათანადო ლიტერატურას და დამოუკიდებლად სწავლობენ მას.

სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაში ეფექტის მომცემია ისეთი წერითი სამუშაოები, როგორიცაა ესეს შესრულება, ან რომელიმე პრობლემურ საკითხზე საპრეზენტაციო მასალების დამუშავება. ასეთი მუშაობა მეტ ინტრესს იწვევს მაშინ, როცა საორიენტაციო თემებიდან სტუდენტები თავად ირჩევენ მათთვის სასურველი პრობლემის დამუშავებას. შესაძლებელია, სტუდენტმა საორიენტაციო თემატიკის მიღმაც შეარჩიოს მისთვის საინტერესო საკითხი, რაც მისასალმებელია და წახალისებას იმსახურებს. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ საკუთარი მოსაზრებით არჩეულ პრობლემაზე მუშაობისას სტუდენტები უფრო ინტერესით ეკიდებიან მათ შესრულებას,

ვიდრე სხვისი მითითებით არჩევის შემთხვევაში, რადგან მას თავსმოხვეულად თვლიან. ამიტომ არჩევანის შესაძლებლობა ყველას უნდა მიეცეს, თუ, რასაკვირველია, ასეთი ინტერესი იქნება. პასიურობის შემთხვევაში, თავად ლექტორმა უნდა შესთავაზოს თემები.

ასეთი სამუშაოების პროცესში ლექტორის მოვალეობას მეთოდური მითითებების მიცემა, ლიტერატურის და პირველწყაროების დასახელებაა. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შესრულებული ესეს შემოწმებას. თუ ნამუშევარი საფუძვლიანად არ იქნება შემოწმებული და მისი განხილვაც ფორმალურად შედგა, მაშინ ყველაფერი აზრს კარგავს. ნაცვლად სტუდენტის აქტივობისა, ჩვენ მივიღებთ უინტერესო სტუდენტს, რომელმაც შესაძლებელია საერთოდ დაკარგოს სწავლის მოტივაცია. ამიტომ, თითოეული საგნის მასწავლებელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ დამოუკიდებელი მუშაობის წარმატება თუ წარუმატებლობა, მაინც სასწავლო აუდიტორიაში იღებს მთავარ იმპულსს.

დამოუკიდებელი მუშაობისას გასათვალისწინებელია ადამიანის მეხსიერების შესაძლებლობები. ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ ლექციის მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის დაახლოებით 10 % - ის დამახსოვრებას ახეხებს სტუდენტი. ამიტომ მისი აღდგენა, შევსება და განმტკიცება დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში უნდა მოხდეს. აქ იგიც გასათვალისწინებელია, რომ ლექცია და დამოუკიდებელი მუშაობა ემოციური თვალსაზრისითაც ავსებენ ერთმანეთს, რადგან, თუ ლექციას ახასიათებს ემოციური მუხტი, რომელიც სათანადო როლს ასრულებს შემეცნებით პროცესში, დამოუკიდებელი მუშაობა მოკლებულია უშუალო კომუნიკაციურ ემოციას, რადგან წიგნსა და სხვა სასწავლო საშუალებეზე მუშაობა გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით ინტერსმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ, ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი პირველადი აღქმის მოცულობის შეზღუდულობის კანონი, რომლის თანახმად, ადამიანს შეუძლია გონებაში ერთდროულად, არა უმეტეს, 7 ± ინფორმაციის დაფიქსირება. ამაში დასარწმუნებლად სტუდენტებს შეგვიძლია შევთავაზოთ, გაიმეორონ დაფაზე დაწერილი ერთნიშნა ციფრების საკმაოდ დიდი რიგი. ხუთი ციფრის გამეორება არ წარმოადგენს დიდ სირთულეს,

შემდეგ კი იწყება შეფერხებები. იმისათვის, რომ მეტი ციფრი დაიმახსოვრონ, აღქმული ინფორმაცია ხანგძლივ მახსოვრობაში გადავიდეს, საჭიროა სისტემატური ვარჯიში.

დამოუკიდებელი მუშაობის საჭიროება, იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ინფორმაციული რევოლუციის პირობებში, მიღებული ცოდნა სწრაფად ძველდება, დაახლოებით წელიწადში 10 % - ის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების ფლობა დაეხმარება არა მარტო სტუდენტს, არამედ უმაღლესი სასწავლებლის სპეციალისტს, რომელიც პრაქტიკული საქმიანობის პროცესში ყოველთვის აღმოჩნდება ახალი ინფორმაციის დაუფლებისა და უახლესი მეცნიერული ნოვაციების შესწავლის საჭიროების წინაშე. ამიტომ სტუდენტობის დროს დამოუკიდებელი მუშაობის წესების გათავისება, მომავალ პროფესიულ საქმიანობაში წარმატების წინაპირობად უნდა იქნეს მიჩნეული.

სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა თავისი არსით ინდივუდუალირი სასიათისაა, მაგრამ გარკვეულ ზემოქმედებას მაინც მოითხოვს, განსაკუთრებით კი I კურსზე. მომდევნო კურსებზე ზემოქმედების ხარისხი გზადაგზა იკლებს. როგორც ცნობილია, უმაღლესი სასწავლებელი სხვა თვისებრიობას ანიჭებს სტუდენტს. საშუალო სკოლადამთავრებულს, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ აქვს დამოუკიდებელი მუშაობის ისეთი ჩვევები, რაც აუცილებელია უმაღლეს სკოლაში სწავლისთვის. ამიტომ ამ თვალსაზრისით, ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას შესაბამისმა ფაკულტეტმა. ზოგადად, სანამ კონკრეტულ საგნებში, ცალკეული ამოცანების გადაწყვეტისთვის დავალებებს და მითითებს მივცემდეთ ახალბედა სტუდენტებს, მანამ მათ უნდა გავაცნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურა, ავუხსნათ ბიბლიოთეკით და სხვა ინფორმაციული წყაროებით სარგებლობის წესები. სწორედ ამის შემდეგ არის შესაძლებელი კონკრეტულ საგნებთან მიმართებით კონსულტაციების გამართვა.

როგორც ითქვა, დამოუკიდებელი მუშაობის არსის მიუხედავად, აღნიშნული პროცესი მაინც მართვადია, განსაკუთრებით პირველ კურსზე. თუმცა ამ პროცესებზე ზემოქმედება სრულიად არ ნიშნავს სტუდენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებას, პირიქით, ასეთი ზემოქმედება მხოლოდ მეთოდური ხასიათის შეიძლება იყოს, რაც მათ

აქტივობასა და შემეცნებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისას, საჭიროა გათვალიწინებული იქნეს შემდეგი გარემოებები:

◇საგანმანათლებლო პროგრამებში და სასწავლო გეგმებში ზედმიწევნით უნდა იყოს დაცული დამოუკიდებელი სამუშაოსთვის რეკომენდებული სტანდარტი, რომელიც ასევე ითვალისწინებს ცალკეული საგნების სპეციფიკას. აქედან გამომდინარე, სავალდებულო არაა საკონტაქტო – სააუდიტორიო დატვირთვასა და დამოუკიდებელ მეცადინეობებს შორის ზუსტი პროპორციების შენარჩუნება. მათ შორის თანაფარდობა დგინდება კონკრეტული სასწავლო ამოცანებიდან გამომდინარე;

◇სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა, როგორც სწავლების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმა, განუყოფლადაა დაკავშირებული სწავლების სხვა ფორმებთან, ამიტომ თეორიული და პრაქტიკული სწავლების პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებული უნდა იყოს დამოუკიდებელი მუშაობის თემატიკა და მასთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანები. თეორიული საკითხების შესწავლა და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა, სწორედ დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში სრულდება, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს ყოველი სასწავლო საგნის სილაბუსში;

◇დაზუსტებას საჭიროებს თეორიული და პრაქტიკული დავალებების შესასრულებლად გამიზნული დამოუკიდებელი სამუშაობის მოცულობა და ნორმები, რაც გათვალისწინებული იქნება დავალებების განსაზღვრისას;

◇დამოუკიდებელი სამუშაოების ფორმულირებისას, ყოველი სასწავლო კურსის წამყვანმა პროფესორმა უნდა გაითვალისწინოს, როგორც უნივერსიტეტის საწავლო რესურსი, ისე Web site-ებზე განთავსებული ლიტერატურის მისაწვდომობა.

ამრიგად, კარგად დაგეგმილი და წარმართული დამოუკიდებელი მუშაობა წარმოადგენს სტუდენტთა შემოქმედებითი, არასტანდარტული და ორიგინალური აზროვნების განვითარების წინაპირობას. სწორედ ასეთი მუშაობით შეძლებს სტუდენტი თეორიული ცოდნის

პრაქტიკულად გამოყენებას, ისეთი ჩვევებისა და უნარების განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ცხოვრების გამოწვევებზე მის მზაობას. თანამედროვე ინფორმატიზაციის პირობებში, უმაღლესი სასწავლებლის კურსადამთავრებულის წინაშე, ყოველთვის აქტუალური იქნება ადრე მიღებული ცოდნის შევსება და განახლება, რაშიც დამოუკიდებელი მუშაობის უნარები და ჩვევები უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი მუშაობის უნარების ჩამოყალიბებას ისეთივე ყურადღება უნდა დავუთმოთ, როგორც ზოგადად სპეციალისტის მომზადებას, რადგან, სწორედ ამ უნარებზე იქნება დამოკიდებული მისი ადაპტაცია თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, რომლის საყოველთაოდ აღიარებული დევიზია „სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე".

კითხვები და დავალებები:

1. დაასაბუთეთ დამოუკიდებელი მეცადინეობის როლი სასწავლო პროცესში.
2. დაახასიათეთ დამოუკიდებელი მუშაობის ფორმები.
3. ახსენით ექსპრეს–ინფორმაციის როლი სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობაში.
4. რა გარემოებებია გასათვალისწინებელი სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისას ?
5. დამოუკიდებელი მეცადინეობა რა სახის უნარების განვითარებაზე ახდენს გავლენას ?

V თავი: სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

5.1. სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები

სწავლების ორგანიზაციის ფორმებთან ორგანულადაა დაკავშირებული სწავლების მეთოდები და სწავლების ტექნოლოგიები. სწავლების ამა თუ იმ მეთოდის არჩევა და მისი საქმიანობის, მოქმედების იარაღად ქცევა, პირადად პედაგოგის ფუნქციაა, ხოლო სწავლების ორგანიზაციის ფორმას, სასწავლებლის ხელმძღვანელები წყვეტენ. საბოლოოდ ფორმებზე ახლოს პედაგოგთან მაინც მეთოდებია, რადგან მეთოდი მასწავლებლის შრომის იარაღია. ამიტომ მის მომარჯვებაზე ბევრადაა დამოკიდებული წარმატება თუ მარცხი.

„Methodos" ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ქართულად გზას, საშუალებასა და მოქმედების ხერხს ნიშნავს. პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილია სწავლების მეთოდების მრავალი სახეცვლილების შესახებ.[1] თუმცა საბოლოო თანხმობა მეცნიერთა შორის დღესაც არ არის მიღწეული. სასკოლო დიდაქტიკაში უპირატესობით სარგებლობს ის კლასიფიკაცია, რომლის თანახმად გამოიყოფა ოთხი ჯგუფის მეთოდები: ახსნით-ილუსტრაციული (რეპროდუქციული); პრობლემური; ნაწილობრივ ძიებითი და კვლევითი მეთოდი (18. №3) თუმცა, ერთ–ერთი კლასიფიკაციის თანახმად, გამოყოფენ ორი ჯგუფის მეთოდებს: ხელოვნური (სასკოლო) და ბუნებრივი, მათ სწავლების ორი სახე შეესაბამება: საინფორმაციო და ძიებითი (ლაბორატორიული).

სწავლების მეთოდთა კლასიფიკაციის საფუძვლად აკადემიკოსმა დ. ლორთქიფანიძემ, ცოდნის ოთხი წყარო გამოყო: 1. მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა; 2. წიგნი და

---

[1] ამერიკელი პედაგოგი კ. კერი სწავლების მეთოდების განვითარების ისტორიაში ოთხ „რევოლუციას" გამოჰყოფს. პირველ რევოლუციად მიიჩნევს იმ მოვლენას, როცა მშობელმა პროფესიონალ მასწავლებელს გადასცა შვილის აღზრდა, მეორე რევოლუცია სწავლებაში წერილობითი სიტყვის გავრცელება–გამოყენებაა. მესამე რევოლუციის დროს ბეჭდური პროდუქციის გამოყენება მოხდა, ხოლო მეოთხე რევოლუციამ კომპიუტერებს და ინფორმციულ ტექნოლოგიებს გაუხსნა გზა სწავლებაში.

საერთოდ, წერილობითი წყაროები; 3. მოვლენებსა და საგნებზე უშუალო დაკვირვება; 4. შრომით საქმიანობაში პრაქტიკული მონაწილეობა. აღნიშნულ წყაროებს მან სწავლების მეთოდთა შემდეგი ჯგუფები შეუფარდა: 1. ზეპირსიტყვიერი, ვერბალური მეთოდები (თხრობის მეთოდი, საუბრის მეთოდი, ლექციის მეთოდი); 2. წიგნით მუშაობის მეთოდები (ახსნითი კითხვის მეთოდი, დამოუკიდებელი კითხვის მეთოდი); 3. საგნებსა და მოვლენებზე უშუალო დაკვირვებითი მეთოდები (ლაბორატორიული მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი); 4. პრაქტიკული მუშაობის მეთოდები (შრომითი სწავლება, ვარჯიში), (19. 201-202).

ზოგადად ნებისმიერი მეთოდი წარმოადგენს მასწავლებლის მიზანმიმართულ მოქმედებათა სისტემას, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეთა შემეცნებითი და პრაქტიკული მოქმედიანობის ორგანიზაციაზე, რაც უზრუნველყოფს მათ მიერ განათლების შინაარსის ათვისებას, ანუ სწავლების მეთოდი გულისხმობს მოსწავლისა და მასწავლებლის აუცილებელ ურთიერთმოქმედებას.

სასკოლო დიდაქტიკაში სწავლების მეთოდების კლასიფიკაციის საკითხი გაცილებით კარგად არის დამუშავებული, ვიდრე უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში. ასეთი მდგომარეობა ბუნებრივიც არის, რადგან სასკოლო–საგანმანათლებლო სისტემით მეცნიერება საუკუნეების განმავლობაში ინტერესდებოდა, ხოლო უმაღლესი განათლების პრობლემებმა აქტუალობა უკანასკნელ პერიოდში შეიძინა, რაშიც ცოდნის მოცულობის ზრდასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს არსებითი ადგილი უჭირავს.

თანამედროვე უმაღლესი სკოლის პედაგოგიკაში სწავლების მეთოდების ნაცვლად მასობრივად მკვიდრდება სწავლების ტექნოლოგიები. Teqnos (ბერძ.) – ქართულად ნიშნავს ოსტატობას, ხელოვნებას, უნარს. ტექნოლოგია ჩვენში საწარმოო პროცესებთან ასოცირდებოდა და პროდუქციის შექმნას უკავშიდებოდა. მან ნივთიერი სახე მიიღო ჩვენს ცნობიერებაში. მაგრამ უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა, პირველ რიგში ინფორმატიზაციის მზარდმა ტემპებმა, გზა გაუხსნა სწავლების პროცესისადმი არატრადიციულ დამოკიდებულებას. თუ აქამდე ტექნოლოგიას ნივთიერი გამოხატულება ჰქონდა, თანამედროვე

გაგებით შესაძლებელია, ტექნოლოგიური პროცესის შედეგი ინტელექტუალური ფასეულობა გახდეს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე პედაგოგიკურ მეცნიერებაში ტერმინი „ტექნოლოგიები" ფართოდ გამოიყენება სწავლების პროცესის აღსანიშნავად. მას არავითარი კავშირი არ აქვს ტრადიციულ ტექნოლოგიურ პროცესებთან. იგი მხოლოდ სწავლების ტექნოლოგიებს გულისხმობს. ამდენად, სრულიად ლოგიკურია, სასწავლო–საგანმანათლებლო პროცესებში მიმდინარე ინოვაციური ტენდენციები სწავლების ტექნოლოგიად მივიჩნიოთ.

უმაღლესი განათლების თეორიიაში სწავლების ტექნოლოგიები უფრო მყარად იკიდებს ფეხს, ვიდრე ტრადიციული სწავლების მეთოდები. რადგან ეს უკანასკნელი მაინც სასკოლო დიდაქტიკის ორგანული ნაწილია და მათი გამოყენება უმაღლეს სკოლაში აქამდეც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. ახლა კი, ახალი რეალიების გათვალისწინებით, სწავლების ტექნოლოგიები ფართოდ შეიჭრა თვით ზოგადი განათლების სისტემაში და რა გასაკვირია თუ მისით ინტერესდება უმაღლესი სკოლაც, რომელიც ინფორმატიზაციის და გლობალიზაციის პირობებში, ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა.

„სწავლების ტექნოლოგია" არის განათლების თეორიის ერთ–ერთი მიმართულება, რომელიც, სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, შეისწავლის და წარმართავს სწავლების მეთოდებს, ახდენს სასწავლო პროცესის პროექტირებას, უზრუნველყოფს სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების ფორმირებას და სწავლება / სწავლის პროცესის აქტიურ სწავლებად გარდაქმნას.

სწავლების ტექნოლოგიებმა ადგილი დაიმკვიდრა განათლების თეორიის ყველა კომპონენტში. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა განათლების მიზნისა და შინაარსის ახლებური გააზრება. სწავლების ტექნოლოგიამ ყველაზე უფრო გამოკვეთა თავისი შესაძლებლობები აქტიური სწავლება–სწავლის პროცესში. როცა აქტიურ სწავლებაზე ვლაპარაკობთ, შეიძლება ვინმემ იფიქროს, განა შესაძლებელია სწავლება აქტივობის გარეშე ? მაგრამ ასეთი რამეც შესაძლებელი ყოფილა. ამის დასტურია არა მარტო უახლესი წარსული, არამედ, მეტწილად, რაოდენ სამწუხარო არ უნდა

იყოს, ჩვენი დღევანდელობაც. ყველას კარგად მოეხსენება პროცენტულად რამდენი სტუდენტია აქტიური სწავლებაში და რამდენი პასიური. ამიტომ სწავლების ახალი ტექნოლოგია, რომელიც აქტიურ სწავლების სტრატეგიას აყალიბებს, მასობრივ ხასიათს იძენს, რაც ყველაზე კარგად პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს.

ტრადიციული სწავლებისგან განსხვავებით, სწავლების ტექნოლოგიებმა მთავარი ყურადღება რეალურად მიმართა სწორედ ცხოვრებისეულ გამოწვევებზე. თუ აქამდე სწავლების თეორიაში ნომინალურად მოქმედებდა სწავლების ცხოვრებასთან კავშირის პრინციპი, დღეს მან რეალური დანიშნულება შეიძინა. სწავლება–სწავლის წინაშე მთელი სიმწვავით დგას პრობლემა იმის შესახებ, რამდენად ადეკვატურია ჩვენი სასწავლო პროცესი, შეუძლია თუ არა კურსადამთავრებულს კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება ?

აქტიური სწავლება უპირისპირდება ინდიფერენტიზმს და განყენებულ სწავლებას. ყველა სტუდენტმა იცის, რომ, რაც აუდიტორიაში ხდება, მისი საქმეა, მისი მონაწილეობა აუცილებელია ყველაფერში.

სწავლების ტექნოლოგიებში მეთოდები, მიზნების შესაბამისად, სამ კატეგორიად იყოფა: გამოწვევა, შინაარსის რეალიზება და რეფლექსია (steele u meredith, 1995, no Estes u Vaughn, 1986). ეს კატეგორიები სწავლება / სწავლის მოდელს ემსახურება და უნივერსიტეტში მეცადინეობის ორგანიზების ეფექტური საშუალებაა. მოდელის (გამოწვევა – შინაარსის რეალიზება – რეფლექსია) საწყის სტადიაზე, მასწავლებელი მეცადინეობის შინაარსს, სტუდენტების მიერ ადრე მიღებულ ცოდნას, მათ შეკითხვებს სწავლება /სწავლის მიზნებს უკავშირებს. შემდეგ სტადიაზე სტუდენტები მასწავლებლის ხელმძღვანელობით სწავლობენ ან იკვლევენ პრობლემას. კულმინაცია მაშინ იწყება, როცა სტუდენტები მსჯელობენ და ფიქრობენ, რაც გაიგეს, მასალის ინტერპრეტაციას ახდენენ, ან პრობლემის გადასაწყვეტად იყენებენ მას.

სწავლების ტექნოლოგია ეყრდნობა ტრადიციულ მეთოდებს და გამოწვევის სტადიაზე ანუ შესავალ ნაწილში ააქტიურებს შესწავლილ მასალას, რომელზედაც უნდა „დაშენდეს" განსახილველი თემა. ამას ორგანულად მოჰყვება შეკითხვები

ისეთ საკითხებზე, რაც განვლილ მასალას ახალ პრობლემასთან აკავშირებს. სასურველია, საუბარი იყოს უშუალო და შიგადაშიგ პროვოკაციულიც.

ძალზე ეფექტურია **გუნდური მუშაობის** ჩვევების გამომუშავება. ამ მიზნით დავალების შესასრულებლად ერთიანდებიან სტუდენტები. რაოდენ დიდი აუდიტორიაც უნდა იყოს, ყოველთვის შესაძლებელია 2–3 კაციანი ჯგუფების შექმნა. სწორედ ამას ისახავს მიზნად სწავლების ტექნოლოგიაში დამკვიდრებული მეთოდი, რომლის დევიზია: „დაფიქრდით – დაწყვილდით – აზრები ერთმანეთს გაუზიარეთ".

გუნდური მუშაობიდან გამოირჩევა სწავლების ტექნოლოგია **„მოზაიკა I".** ამ მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელი შესასწავლ ტექსტს წინასწარ ყოფს ნაწილებად. სტუდენტები „ოჯახებად" ჯგუფდებიან, მათში სტუდენტთა რაოდენობა ტესტის საკითხების ოდენობის პირდაპირპროპორციულია. ყველას თავისი ნომერი აქვს. თითოეული „ოჯახიდან" ერთი და იმავე ნომრის მფლობელები „ექსპერტთა ჯგუფებს" ქმნიან. სწორედ ისინი შეიმუშავებენ ძირითად კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზე შეფასდება მუშაობის შედეგები.

სასწავლო დისკუსია ერთობლივი სწავლების მეთოდია და პრობლემის მრავალმხრივი განხილვისთვის გამოიყენება. ამ მეთოდის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს დისკუსიაში ერთბაშად მრავალი სტუდენტის მონაწილების შესაძლებლობა. თუმცა მის ნაკლად მიიჩნევენ მასწავლებლის ინდივიდუალური კომუნიკაციის შეზღუდულ შესაძლებლობებს.

პედაგოგი სადისკუსიო პრობლემის შესახებ, წინასწარ ამზადებს კითხვებს. სტუდენტები ოთხკაციან ჯგუფებად წყვილდებიან. თითოეულ ჯგუფს საკუთარი პოზიაცია აქვს. შემდეგ ერთობლივად განიხილავენ პრობლემას, დააზუსტებენ ერთმანეთის პოზიციებს. ცალკეული წყვილები წერილობით შეაჯერებენ არგუმენტებს. ხუთიოდე წუთის შემდეგ მსგავსი პოზიციების მქონე ჯგუფები ერთმანეთს ეკონტაქტებიან და პოზიციებს ათანხმებენ, შემდეგ კვლავ უბრუნდებიან თავიანთ ჯგუფებს. ამის შემდეგ წყვილები ყველაზე საფუძვლიან არგუმენტებს ამოირჩევენ იმ წყვილის წინააღმდეგ, რომელიც თავდაპირველად მის ოთხეულში შედიოდა. ამდენად, მექანიკურად შექმნილ ჯგუფში შესაძლებელია განსხვავებული

მოსაზრებების სტუდენტები აღმოჩდნენ. აქ მთავარია იდეების თანაზიარობა, ამიტომ ეძებენ ოთხეულის წევრები თანამოაზრეებს წყვილის გარეთ. დისკუსიას აჯამებს ათწუთიანი დებატები, რომელშიც ყველა იდეა დაფიქსიდება.

გონებრივი იერიში სწავლების ტექნოლოგიების აღიარებული მეთოდია, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა მიერ, წინასწარ განსაზღვრულ დროში, პედაგოგის მიერ შერჩეული საკითხის ირგვლივ. საკუთარი აზრის გამოთქმას. აქ თავისუფლების ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ძნელად თუ შეიკავებს ვინმე თავს, მასში მონაწილეობისგან. უმთავრესია აქტივობა, ყველა აზრი მისაღებია, მთავარია მასში მონაწილეობა. გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებისას, შესაძლებელია გჯუფური და ინდივიდუალური მუშაობა, აქაც არ არის რაიმე შეზღუდვა. რამდენი იდეაც იქნება, ყველა ფიქსიდება, შედეგები დაჯგუფდება და 5–6 იდეის გარშემო გაიმართება დისკუსია. ასეთი მუშაობით სტუდენტები ეჩვევიან კრიტიკულ აზროვნებას, საკითხისადმი შემოქმედებით მიდგომას და ერთი და იმავე პრობლემის ირგვლივ სხვადასვა ინტერპრეტაციის გამოთქმას.

გონებრივი იერიშის მეთოდთან ახლოს დგას სწავლების მეთოდი **„ვიცი / მინდა ვიცოდე / ვისწავლე”**. მისი გამოყენების საწყის ეტაპზე, თემასთან დაკავშირებით, სტუდენტებს სწორედ გონებრივი იერიშით სთხოვენ, თავიანთი აზრის დაფიქსირებას. მეორე საფეხურზე სტუდენტები ახალ ინფორმაციას მასწავლებლის დახმარებით ეძებენ. ამ ეტაპზე მათ ჩამოყალიბებული აქვთ შეხედულებები იმის თაობაზე, თუ კიდევ რომელი საკითხების შესწავლას მოისურვებენ. მესამე, დასკვნით საფეხურზე, პედაგოგის დავალებით, სტუდენტები ადგენენ სახელდახელო ცხრილს, რომელშიც არის სამი მიმართულება: ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე. თითოეული მათგანის გასწვრივ სტუდენტი თავისი შეხედულებისამებრ ჩამოწერს მისთვის საინტერესო საკითხებს. მასწავლებლისთვის ყველაზე საინტერესოა ცხრილის ის გრაფა, რომელშიც სტუდენტები იმ საკითხების შესახებ მიუთითებენ, რომელთა ცოდნა სურთ. ასეთი საკითხები აუცილებლად მოექცევა მასწავლებლის თვალსაწიერში და შემდგომ მეცადინეობაზე, რაღაც ფორმით სტუდენტთა შემეცნებითი ინტერესები დაკმაყოფილდება. აქედან

გამომდინარე, აღნიშნული მეთოდი მასწავლებელსა და სტუდენტს შორის თანამშრომლობის სასურველ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

ზეპირ მეცადინეებს გზადაგზა **წერითი სამუშაოები** უნდა ჩაენაცვლოს. როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, წერა დადებითად მოქმედებს სტუდენტის ინტელექტის განვითარებაზე, მათ მიერ სამყაროს აღქმის უნარის ფორმირებასა და ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე. წერა ხელს უწყობს შემეცნებითი და კრიტიკული უნარების განვითარებას.

სტუდენტურ აუდიტორიაში და დამოუკიდებელი მეცადინეობის პროცესშიც ხშირად მიმართავენ წერით დავალებებს. საკონტაქტო მეცადინეობების დროს შესრულებული წერითი სამუშაო გონებრივი იერიშის მეთოდის თავისებური გაგრძელებაა. მასწავლებელი წერითი სამუშაოსთვის გამოყოფს 10 – 12 წუთს. ამ დროში სტუდენტებმა უნდა ჩამოაყალიბონ თავიანთი შეხედულებები ლექციაზე ან სემინარზე განხილული რომელიმე პატარა პრობლემის ან ნიუანსის მიმართ. შესაძლებელია, სტუდენტებს დასაწერად მივცეთ განყენებული საკითხიც, რომელიც არ უკავშირდება კონკრეტულ სასწავლო მასალას, მაგრამ სტუდენტის მსოფლმხედველობის შეცნობისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოწოდება შეუძლია. ასეთი მუშაობა იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ სტუდენტს საშუალება ეძლევა, თავისუფლად დააფიქსიროს თავისი შეხედულება, როგორც სწავლის პირობების, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ საკითხზე. ეს კი დადებითად იმოქმედებს კრეატული უნარების განვითარებაზე და ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებაზე.

აქტიური სწავლების ფორმებიდან **საქმიანი თამაში** სწავლების ეფექტური საშულებაა. საქმიანი თამაშის უპირატესობა სხვა ფორმებთან შედარებით, მის შეჯიბრებითობაში გამოიხატება. თამაშისთვის შექმნილი გუნდი აქტიური და მოტივირებულია, რასაც ხელს უწყობს გუნდებს შორის კონკურენცია.

საქმიანი თამაშის თითოეულ მონაწილეს განსაზღვრული ფუნქცია აქვს. ჯგუფიდან გამოყოფენ ლიდერს, მომხსენებელს,

ოპონენტს, პროვოკატორს, ექსპერტს, ასისტენტს, გამფორმებელსა და რეგისტრატორს. მათი შერჩევა შეუძლიათ თვით სტუდენტებს. სასურველია, როლების განაწილებისას თუ გავითვალისწინებთ, სასწავლო დისკუსიის მსვლელობაში სტუდენტთა აქტივობას. ასეთი ღონისძიებების პროცესში მონაწილეობისას სტუდენტები წარმოაჩენენ თავიანთ შესაძლებლობებს.

საქმიანი თამაში ხანგძლივ დროს მოითხოვს, მას შეიძლება 2 – 4 საათი დაეთმოს. საქმიანი თამაშის დასკვნით ეტაპზე მასში აქტიურ მონაწილეობას იღებს უშუალოდ საგნის მასწავლებელი, რომელიც აჯამებს მუშაობის შედეგებს და შესაბამის რჩევა–დარიგებას აძლევს თამაშში მონაწილეებს. აუცილებელია, საქმიან თამაშში მონაწილეებმა პერიოდულად შეცვალონ როლები.

განათლების თანამედროვე თეორიაში აღიარებულია, რომ არსებობს ორგვარი ცოდნა: ერთი მხრივ, აქტიურად კონსტრუირებული, რომელიც კვლევა–ძიების შედეგად მიიღწევა, და მეორე, – შეძენილი ცოდნა, რომელიც გადაცემით, სწავლის საშუალებით არის შეძენილი. პირველი აქტიური ცოდნაა, მეორე – პასიური. ცოდნის ძიების გზით დაუფლებას, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში მიაქციეს ყურადღება. სოკრატეს პედაგოგიური პრაქტიკიდან ცნობილია, რომ დიდი ფილოსოფოსი და მასწავლებელი მოსწავლეთა კითხვებზე პირდაპირ არასოდეს პასუხობდა. იგი კითხვას, როგორც წყაროებშია მოთხრობილი, იკლიკატური შეკითხვებითვე პასუხობდა და მანამ გრძელდებოდა კითხვა–პასუხი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის, ვიდრე მოსწავლე თავად არ მივიდოდა ჭეშმარიტ პასუხამდე. ამ მეთოდს დიდაქტიკაში საუბრის ანუ ევრისტიკული მეთოდის სახელით იცნობენ, ზოგიერთი მას სოკრატესეულ მეთოდსაც უწოდებს.

ძიებითი ელემენტების უპირატესობას სწავლებაში და ზოგადად აზროვნებაში აღიარებდა მეორე ბუმბერაზი ფილოსოფოსი არისტოტელეც. მისი ცნობილი გამონათქვამი „ფილოსოფია გაკვირვებიდან იწყება” („მეტაფიზიკა”), აქტიური სწავლების მეთოდების სასიცოცხლო მნიშვნელობაზე მიუთითებს.

სწავლების თეორიაში არანაკლებ პრობლემატურია უკვე შეძენილი ცოდნის გამოყენების საკითხი. ამ თვალსაზრისით, განათლების სპეციალისტები ცოდნის ორგვარ გაგებაზე მიუთითებენ, ესენია: სასარგებლო და უსარგებლო ცოდნა. მკვლევარ ჰარდნერის აზრით, მექანიკურად დამახსოვრებული ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკავშირებული პირად ინტერესებსა და ადრე მიღებულ ცოდნასთან, ხშირად საბაზო ცნებებისგან ძალიან დაშორებულ, „მკვდარ ბალასტად" იქცევა და განათლებული ადამიანის რეალური, ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული ვერ იქნება (Whitehead, 1957; Gardner, 1991).

კონსტრუირებულ ცოდნასა და პასიური გზით შეძენილ ცოდნას შორის წინააღმდეგობის დასაძლევად განათლების თეორიაში ასეთი გზა გამონახეს: სტუდენტებს ცოდნის კონსტრუირებას სთავაზობენ საპროგრამო სასწავლო საგნის ფარგლებში. ფაქტიურად ასეთი მიდგომა ევრისტიკული მეთოდის ახლებური ინტერპრეტაციაა. ამგვარმა დამოკიდებულებამ განათლების პროცესში „ძიებითი" კომპონენტი წამოსწია წინა პლანზე, რომელმაც დადებითად იმოქმედა სტუდენტთა აქტივობაზე და თავისუფალი აზროვნების ასპარეზი გააფართოვა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება განვაცხადოთ, რომ სწავლება /სწავლა ყველაზე შედეგიანი მაშინაა, როდესაც მასში სტუდენტის საკვლევაძიებო ინტერესები მოიაზრება. ამიტომ წარმატებული ლექტორი ყოველთვის დაინტერესებული უნდა იყოს სტუდენტებში ასეთი მისწრაფების გაღვივებისთვის. ამ საქმეში კონსტრუირებულ სწავლება / სწავლას განსაკუთრებული ადგილი უნდა მიეკუთვნოს. სწორედ ამის დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში განათლების მკვლევარები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ისეთი პოპულარული თეორიებით, როგორიცაა **კონსტრუქტივიზმი და მეტაშემეცნება**, მათთან ერთად განიხილავენ კრიტიკული აზროვნების ფორმირებას დ სოციალური პასუხისმგებლობის აღზრდას.

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოდგენილი მეთოდებით არ ამოიწურება. ჩვენ შევეცადეთ ის თეორიები გაგვეცნო მკითხველისთვის, რომელიც უშუალოდ ახდენს

გავლენას სტუდენტთა კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაზე და შემეცნებითი უნარების განვითარებაზე. თანამედროვე გამოწვევებზე ადეკვატური პასუხის გაცემა, სწორედ ასეთი უნარებით შეიარაღებულ მოქალაქეებს შეეძლებათ. ღია საზოგადოება მოქალაქეთა აქტივობაზე დაფუძნებული საზოგადოებაა, რომლის მამოძრავებელ ძალას ახალგაზრდული იდეალიზმი წარმოადგენს, ამიტომ მათი სამოქალაქო აქტივობისთვის სათანადო საფუძველი სწავლების პროცესში უნდა მომზადდეს.

კითხვები და დავალებები:

1. ჩამოაყალიბეთ სწავლების მეთოდები, მიუთითეთ მათი კლასიფიკაციის საფუძველი.
2. ახსენით სწავლების ტექნოლოგიის არსი.
3. რას წარმოადგენს აქტიური სწავლება ?
4. გაავლეთ პარალელი სწავლების ტექნოლოგიებს: „მოზიკა–*L* –სა" და „გუნდურ მუშაობას" შორის.
5. დაახასიათეთ სწავლების ტექნოლოგიები: „ვიცი/მინდა/ვიცოდე/ვისწავლე" და „გონებრივი იერიში".
6. როგორ აისახება სწავლებაში კონსტრუქტივიზმისა და მეტაშემეცნების თეორიები.

პორტფოლიოს მეთოდი და ცოდნის შემოწმება–შეფასება

ცოდნის შემოწმება–შეფასება სასწავლო პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულება დროდადრო იცვლებოდა.

ნიშნებით ანუ ბალებით ცოდნის შეფასება გვიან შუასაუკუნეებში გერმანიაში ჩაისახა. რუსეთში იგი შემოღებულ იქნა 1837 წელს და ითვალისწინებდა სამბალიან შეფასებას. შემდეგ დანერგეს 12 – ბალიანი შეფასების სისტემა.

ნიშნებით შეფასების მიმართ განსხვავებულმა დამოკიდებულებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარშივე იჩინა

თავი. განათლების სფეროში მომხრეები გამოუჩდნენ უნიშნო სწავლების იდეასაც. უნიშნო სწავლების სისტემა თავისებურად განვითარდა იაპონიაში, სადაც სტუდენტს საერთოდ არ უმხელდნენ გამოცდაზე მიღებულ შედეგს. ერთადერთი გამონაკლისი დაიშვებოდა უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, სტუდენტს განმეორებითი ჩაბარების შესაძლებლობა რომ არ წართმეოდა. სხვა შემთხვევებში სტუდენტთა შეფასებები საიდუმლეობად რჩებოდა სწავლის დამთავრებამდე. მხოლოდ დიპლომის მიღების დროს, მისი ხარისხით იგებდა კურსამთავრებული განვლილი აკადემიური წარმატებების შესახებ. მაღალხარისხოვანი დიპლომის მფლობელს შეეძლო სამეცნიერო–აკადემიურ საქმიანობაში ეცადა ბედი, ხოლო დამაკმაყოფილებელი აკადემიური მოსწრება პრაქტიკული მოღვაწეობის უფლებას აძლევდა მის მფლობელს.

უნიშნო სწავლების სისტემა პრაქტიკაში დანერგეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან, 1918 წლის დადგენილებით შეფასების ბალობრივი სისტემა გაუქმდა და როგორც კლასიდან კლასში გადაყვანა, ისე სასწავლებლის დამადასტურებელი მოწმობის გაცემა, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდებოდა. 30 – იანი წლებიდან კვლავ დაუბრუნდნენ 5 - ბალიანი შეფასების სისტემას, რომელმაც 21–ე საუკუნემდე მოატანა. აღნიშნული სისტემის ფარგლებში არსებობდა შეფასების უნიფიცირებული ნორმები, რომელთა საფუძველზე ხდებოდა სტუდენტთა შეფასება, თუმცა ყველაზე დაბალი შეფასება ერთიანი პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემას ოფიციალურად ხუთბალიანი შეფასების სისტემა ერქვა, რეალურად იგი ოთხბალიან სისტემას წარმოადგენდა. ხუთბალიანი შეფასების სისტემა, ყოფილი საბჭოთა კავშირის გარდა, მიღებული იყო ევროპის, ჩინეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სასწავლებლებში, თუმცა მისი გამოყენება მთელ რიგ ქვეყნებში სახეცვლილი ფორმით ხდებოდა, მაგალითად, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში – ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში და აღმოსავლეთ გერმანიაში შეფასების ბალობრივი სისტემა შებრუნებული მნიშვნელობით გამოიყენებოდა, ერთიანი უმაღლესი შეფასება იყო, ხოლო ხუთიანი ყველაზე დაბალი.

ამდენად, განვლილი ისტორია ცხადყოფს, რომ აზრთა სხვადასხვაობა ცოდნის შემოწმების ფორმებს შეეხებოდა, მაგრამ ზოგადად მისი მნიშვნელობა სადავო არასოდეს გამხდარა.

ხანგრძლივი გამოცდილებით დადასტურებულია, რომ სწორედ სასწავლო პროცესის შემაჯამებელ ეტაპზე – ცოდნის შემოწმება–შეფასებისას, ნათლად წარმოჩინდება სტუდენტთა შემოქმედებითი უნარებისა და კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობები, თუ რამდენად დაეუფლნენ დამოუკიდებელ უნარებს და შეძლებენ თუ არა პრაქტიკულ საქმიანობაში მის გამოყენებას. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა უმაღლესი განათლების სისტემაში, ჯერ კიდევ ძალუმად იგრძნობა ძველი ინერცია, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოცდებზე სტუდენტთა მომზადების ხარისხის შემოწმება არც თუ იშვიათად, ტრადიციული ნიშნების დასმით მთავრდება. ან უკეთეს შემთხვევაში ხუთბალიან სისტემას მექანიკურად შეუსაბამებენ ასქულიან რეიტინგს და ამით კმაყოფილდებიან, თუმცა, კრედიტების ტრანსფერების დაგროვების ევროპული სისტემა საკითხის ასე იოლად გადაჭრას არ გულისხმობს. ამის უპირველესი მიზეზი ისიც არის, რომ უმაღლესი განათლების სფეროში, თვით აკადემიურ წრეებშიც, კვლავ ძლიერია კონსერვატული შეხედულებები. ამასთან ერთად დროულად ვერ შემუშავდა სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები. ამიტომ ცოდნის შემოწმება–შეფასება ხშირად ლექტორის სუბიექტური მოსაზრებით წყდებოდა. ასეთი მიდგომა კი დიდ ცდომილებას იძლევა. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ შეფასების უნიფიცირებული ნორმების უქონლობის გამო ერთი საკონტროლო ნამუშევარი ამ საგნის სპეციალისტებმა სხვადასხვა ნიშანზე შეაფასეს.

სტუდენტთა ცოდნის ერთიანი ნორმების დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2006 წელს დამტკიცებული ინსტრუქცია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ", რომელშიც ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემის გარდა, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სტუდენტის შეფასების წესების უნიფიკაციას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის თანახმად (მუხლი 4. სტუდენტის მიღწევების შეფასება), დაუშვებელია სტუდენტის სემესტრული (ტრიმესტრული) მიღწევის შეფასება მხოლოდ სემესტრის (ტრიმესტრის) ბოლოს ჩატარებული გამოცდის მიხედვით. სტუდენტის სემესტრის (ტრიმესტრის) განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს: ა) მისი დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას; ბ) შუა სემესტრულ რეიტინგულ შეფასებას; გ) სემესტრის საბოლოო გამოცდის შეფასებას; სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტში, ითვლება ჩაჭრილად. საკრედიტო სისტემაში მიღებულია ხუთი დონის დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 90 %- ზე მეტი, (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81–90 %, (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71–80 %, (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61–70 %, (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51–60 %, არსებობს ორი უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41–50% რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% –ზე ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაობი აქვს ჩასატარებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი წესების დამკვიდრება სრულიად არ ზღუდავს უმაღლეს სასწავლებელს სპეციფიკური პირობების წამოყენებაში. მაგრამ კონკრეტულ სასწავლებელში შემუშავებული პრინციპები ყველასთვის სავალდებულო უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ყველა პროფესორს ცოდნის შეფასების თავისი კრიტერიუმები ექნება, სტუდენტისთვის შეუძლებელი აღმოჩნდება შემოწმება–შეფასების პროცესში ორიენტირება.

ზოგადად ცოდნის შემოწმება–შეფასება ხდება ზეპირი და წერითი გამოცდის, ტესტირების, პრეზენტაციის, სამეცნიერო მოხსენების, პორტფოლიოს, მონიტორინგის, რუბრიკების, თეზისის შედგენის, კოლოკვიუმის, ინტერნატურის, პედაგოგიური და საველე პრაქტიკების ანგარიშის, სტაჟირების შედეგების საფუძველზე. ამავე დროს, სტუდენტის ცოდნის

შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სტუდენტის ლექციებზე და სხვა სახის მეცადინეობებზე დასწრება, სპეციალური დავალებების შესრულების ხარისხი, ტექნიკური ან ლაბორატორიული უნარ–ჩვევების გამომუშავება, ნაშრომების წერის უნარი, წიგნებისა და სტატიების კითხვის მაჩვენებლები, სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომების კითხვა და კრიტიკული შეფასების შესაძლებლობები, დისკუსიებში მონაწილება და მათი გაძღოლის უნარი და სხვა. მათ შორის შეფასების პროცესში პრიორიტეტების განსაზღვრა სწორედ უმაღლესი სასწავლებლის პროგრამტივაა, რომელიც თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით აყალიბებს ასეთ პრიორიტეტებს.

როგორც აღინიშნა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული წესები ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას, თუმცა, ამაზე შორს ინსტრუქცია არ მიდის და მასში დაკონკრეტებული არ არის და როგორც ჩაუბარებლობის (FX), ისე ჩაჭრის (FF) შემთხვევაში შემდგომი მოქმედების წესები, გარდა იმისა, რომ ზოგადად მითითებულია მუშაობის აუცილებლობის შესახებ, რაც დაკონკრეტებას მოითხოვს, კერძოდ, შესამუშავებელია ისეთ პრაქტიკული მექანიზმი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს, უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტის მომავალი მოქმედების გეგმას. კერძოდ, პირდაპირ დაიშვება თუ არა X – შეფასებისას სტუდენტი განმეორებით გამოცდაზე, თუ ამისთვის დამატებითი მეცადინეობები, პრაქტიკული სამუშაოები ან პროექტებია შესასრულებელი ? ან კიდევ X – შეფასებისას სტუდენტი როგორი წესით და რა ვადებში გაივლის განმეორებით კურსს ? სწავლების საფეხურები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა), აკადემიურ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა და სხვა საკითხები სწორედ კონკრეტულმა უმაღლესმა სასწავლებლმა უნდა გადაწყვიტოს ადგილობრივი პირობების და სპეციფიკის გათვალისწინებით (ლექცია, ლექცია+სემინარი, ლექცია+ სემინარი +ლაბორატორიული სამუშაო/პრაქტიკუმი და ა. შ). ამდენად, ცოდნა–ჩვევების შემოწმება–შეფასების უნიფიკაცია სრულიად არ ნიშნავს ერთი შაბლონის მიმდევრობას, იგი სათანადო ლავირების საშუალებას უტოვებს უმაღლეს სასწავლებელს. სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

სტუდენტის მრავალმხრივ განვითარებაზეა ორიენტირებული, ამიტომ შეფასების სისტემაც ანალოგიურ მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. ამის ერთ–ერთი გამოხატულებაა შეფასებისას სულ მცირე, სამი კომპონენტის არსებობა: ორი ან სამი შუალედური და ერთი შემაჯამებელი გამოცდა, რომლის ხვედრითი წილი 50 % - ს არ უნდა აჭარბებდეს.

აუცილებელია, საგნის წამყვანმა პროფესორმა (ასოცირებულმა პროფესორმა) წინასწარ ჩამოაყალიბოს და სტუდენტებს გააცნოს გამოცდაზე დაშვების პირობები,1 რაც გააძლიერებს სტუდენტთა მოტივაციას. აქ გასათვალიწინებელია შეფასების ხვედრით წილში მეცადინეობებზე სტუდენტთა დასწრების როლი. სასწავლებლის გადაწყვეტილებით დასაშვებია საერთო შეფასებაში ამ კომპონენტს 5 – დან 10 % - მდე მიეკუთვნოს. ცოდნის მრავალმხრივი შემოწმება–შეფასება აუცილებლად მოითხოვს წერითი და ზეპირი შეფასების ფორმების მონაცვლეობას. აუცილებელია ორივე ფორმის გამოყენება კონკრეტული ამოცანის და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. რომელიმე მათგანის უნივერსალიზაცია ზიანის მომტანია. თუმცა გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ყველა შემთხვევაში შემაჯამებელი შეფასებისას, მიღებული ქულა არ უნდა აღემატებოდეს 50 % - ზე მეტს. აღნიშნული პირობები წინასწარ სტუდენტისთვის ცნობილია შესაბამისი საგნის სილაბუსის მეშვეობით,2 რომელიც ყველა სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

---

1 შემაჯამებელ გამოცდაზე დაშვებისათვის შესაძლებელია განისაზღვროს რამდენიმე ვარიანტი: ა) თუ სტუდენტი დაესწრება ლექციების ორ მესამედს და მონაწილებას მიიღებს ამდენივე სემინარში (პრაქტიკუმში), ამასთან ერთად, დაიმსახურებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას საკონტროლო სამუშაოში (კოლოკვიუმში, მოამზადებს წერით ნამუშევარს (რეფერატი, ესე, მოხსენება და ა. შ.); ბ) თუ სტუდენტმა საბოლოო გამოცდაზე დაშვებისთვის, სემინარებში/პრაქტიკუმებში, საკონტროლო წერაში/კოლოკვიუმში მონაწილების შედეგად 50 ქულიდან დააგროვა 25 ქულა მაინც.

2 მაგალითად, თუ სწავლების ფორმატი ითვალისწინებს: ლექციას+სემინარი/პრაქტიკუმი, მაშინ ლექციაზე დასწრებისთვის

ცოდნის შემოწმება–შეფასებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლექტორის ობიექტურობა და პრინციპულობა. რაკი გამოცდა სწავლების ორგანიზაციის ფორმებიდან აშკარად გამოხატული სპეციფიკით გამოირჩევა და იგი ფაქტიურად აჯამებს სწავლების სხვა ფორმების (ლექცია, დამოუკიდებელი მუშაობა, პრაქტიკული და ლაბორარატორიული სამუშაო, ინტრაქტივი, საქმიანი თამაში, სასწავლო ექსკურსია, სემინარი, კონსულტაცია, სასწავლო და საველე პრაქტიკა, ინტერნატურა, პროექტებზე მუშაობა) პროცესში მიღწეულ წარმატებებს. აქედან გამომდინარე, თუკი განვლილი საფეხურები რიგიანად ჩატარდა, გამოცდაზეც სათანადო შედეგს უნდა ველოდოთ. მაგრამ თუ რომელიმე კომპონენტში მოვიკოჭლებთ, მაშინ იგი აუცილებლად აისახება საბოლოო შედეგში.

უმაღლესი სკოლის პრაქტიკაში ხშირად დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევები, როცა სუსტად ჩატარებულ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს მაღალი „აკადემიური მოსწრება აგვირგვინებს", უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ლექტორები თავიანთ სისუსტეებს ჩქმალავენ გამოცდაზე განსაკუთრებული „გულუხვობით", რაც დაუმსახურებელი ნიშნების წერაში გამოიხატება. ზოგჯერ ამ მანკიერი მეთოდის მეორე ნაირსახეობასაც შეიძლება წავაწყდეთ, როცა უღიმღამოდ ჩატარებულ ლექციებს მკაცრი გამოცდა მოჰყვება, რაც უფრო იშვიათია, ვიდრე პირველი შემთხვევა. თუმცა ორივე შემთხვევა მანკიერი და მიუღებელია. საბოლოო გამოსავალი მაინც კარგად გამართული სასწავლო პროცესია, თითოეულ საფეხურზე დაშვებული ხარვეზი თუ წარმატება ლაკმუსის ქაღალდივით აისახება სტუდენტთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების დროს, თუ, რასაკვირველია, ეს პროცესი გამართული მეთოდიკის ფარგლებში და შესაბამისი ობიექტურობით წარიმართება. სწორედ ამის თაობაზე იქნება ჩვენი შემდგომი მსჯელობაც.

ცოდნის შემოწმება–შეფასებას ნაყოფიერ საფუძველს უქმნის სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა თანმიმდევრული და სისტემატური მეცადინეობები. ამ თვალსაზრისით, წამყვანი

შესაძლებელია გამოიყოს 10 %, სემინარებზე/პრაქტიკუმებზე მონაწილეობისთვის 25 %, საკონტროლო წერაში / კოლოკვიუმში მონაწილებისთვის 25 %, ხოლო საბოლოო გამოცდისთვის 40 % (წერითი 20 %, ზეპირი 20 %).

ადგილი უჭირავს დამოუკიდებელ მეცადინეობებს, რომლებიც ლექტორის არაპირდაპირი ზემოქმედებით წარიმართება, თუმცა ფორმალურად იგი დამოუკიდებელ ხასიათს ატარებს, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლისა და საგნის წამყვანი პროფესორის მეშვეობით იმართება.

აუცილებელია, სტუდენტი დარწმუნდეს დროში განაწილებული სწავლის უპირატესობაში. ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ შემჭიდროებულ ვადებში შესწავლილი მასალა სწრაფად ეძლევა დავიწყებას. მხოლოდ ხანგძლივ დროზე გათვლილი სწავლა არის მყარი. ცოდნის შეთვისების ამგვარ მიდგომას შეესაბამება ჩვენთან ახლახანს დამკვიდრებული ევროპული საკრედიტო სისტემა, რომელიც ცოდნის შემოწმება–შეფასებას შუალედებში, სასწავლო კურსის მონაკვეთების მიხედვით გულისხმობს.

ცოდნის შემოწმება–შეფასებისას აუცილებელია სტუდენტის **ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება**, ფსიქოლგების და ფიზიოლოგების მიერ გამოვლენილია ადამიანის ოთხი ძირითადი ნერვული ტიპი. ესენია: ცოცხალი, შეუკავებელი, მშვიდი და სუსტი. მათ შეესაბამება ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი სხვადასვა ტემპერამენტის ტიპები. მაგალითად ცოცხალ ტიპს შეესაბამება სანგვინიკური ტემპერამენტის ტიპი, შეუკავებელს – ქოლერიკული, მშვიდს – ფლეგმატიკური და სუსტს – მელანქოლიკური ტემპერამენტის ტიპის ადამიანი.

ცხადია, უმაღლეს სკოლაში სტუდენტთა ტიპოლოგიურ თავისებურებათა შემჩნევა–გამოვლინება მარტო გამოცდის პროცესში ერთობ ძნელია. ამ მიმართებით საჭიროა (სასწავლო წლის განმავლობაში) სასწავლო–საადმზრდელო მუშაობის პროცესში, განსაკუთრებით პრაქტიკულ–ლაბორატორიული და სასემინარო მეცადინეობის დროს მივაქციოთ სათანადო ყურადღება სტუდენტთა ტიპოლოგიურ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლინებას და დიფერენცირებული მიდგომის გზით მოვახდინოთ მათზე საჭირო აღმზრდელობითი ზეგავლენა. გამოცდის დროს კი, რაკი წინასწარ, ერთგვარი წარმოდგენა იქმნება ცალკეულ სტუდენტზე, საჭიროა გამომცდელმა დაიცვას სათანადო ტაქტი ურთიერთობაში, წონასწორობა და სულიერი სიმშვიდე. ამავე დროს, აუცილებელია, გამომცდელი იჩენდეს სათანადო სიმტკიცესა

და პედაგოგიურ პრინციპულობას, რაც არ გამორიცხავს სტუდენტისადმი ჰუმანურ მოპყრობას. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე ყოველი სამუშაო სტუდენტისთვისაა განკუთვნილი, ამიტომ მოვლენების ცენტრში სტუდენტი უნდა იდგეს და ყველა სტუდენტისკენ უნდა შემობრუნდეს.

ცოდნის შემოწმება–შეფასებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს შუალედურ შემოწმებას, რაც კოლოკვიუმის, პრაქტიკული, ლაბორატორიული და სემინარული მუშაობის ფარგლებში მიმდინარეობს. შუალედური შემოწმებები ზუსტად რეგლამენტირებულ დროში უნდა ჩატარდეს, რომელიც წინასწარ იქნება გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინის სილაბუსში. დაუშვებელია ნორმის ზემოთ, შუალედური შემოწმების ჩატარება. ასეთი ვითარება ხელსაც უშლის საგნის ღრმად და შემოქმედებითად შესწავლას. ხშირი შემოწმებები იძულებულს ხდის სტუდენტს მოამზადოს გამარტივებული, ზერელე პასუხები, რამაც შორსგამიზნულ დამოუკიდებელ მუშაობას ზიანიც შეიძლება მოუტანოს. ამდენად, მიმდინარე კონტროლი გეგმიურ და ზომიერ ხასიათს უნდა ატარებდეს.

შემაჯამებელი გამოცდისთვის სტუდენტის მომზადების თვალსაზრისით დამოუკიდებელი მუშაობა ყველაზე აქტიური პერიოდია. შესაძლებელია, რჩევის სახით სტუდენტებს შევთავაზოთ ჯგუფურად (2–3 სტუდენტი ერთად) მეცადინეობა. მაგრამ ყველა მათგანი სწავლაზე მოტივირებული უნდა იყოს და თითოეულს დაახლოებით ერთნაირი სასტარტო მომზადება ჰქონდეთ, შეიძლება ძლიერისა და სუსტის შეწყვილებაც, რაც სუსტისთვის უფრო იქნება სასარგებლო. საერთოდ ჯგუფური მეცადინეობის პროცესში შესაძლებელია ბუნდოვანი საკითხების ერთმანეთთან შეჯერება, გამეორება, საკითხების კრიტიკული განხილვა, რაც ოპონირებით მიიღწევა. გამოცდისთვის ასეთი ფორმით მზადება სწავლებას მეტ აქტივობას მატებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია შემაჯამებელი გამოცდების განრიგის შედგენისას ინტერვალების თანაბარი დაცვა. ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი მანკიერი ტენდენცია, რომლის თანახმად სასწავლო საგნები არაოფიციალურად იყოფოდა ადვილად ჩასაბარებლად და რთულად. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა–კურიკულუმით

გათვალისწინებული საგნების შესწავლა ერთნაირად აუცილებელია. ეს ეხება როგორც ძირითად, ისე დამატებით და არჩევით საგნებს.

როგორც შუალედური შემოწმების, ისე შემაჯამებელი გამოცდის სათანადო მეთოდურ დონეზე ჩატარებისთვის მნიშვნელოვანი როლი საგამოცდო საკითხების შერჩევა–მომზადებას უჭირავს. არც თუ შორეულ წარსულში ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ერთპიროვნულად იყო დამკვიდრებული ზეპირი გამოცდის ჩატარება. ამ ფორმით ცოდნის შემოწმება–შეფასება აუცილებლად მოითხოვდა საგამოცდო ბილეთებს. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, სწორედ საგნის მასწავლებელი ადგენდა საგამოცდო ბილეთებს, რომელიც შემდგომში კათედრის სხდომაზე ოფიციალურად მტკიცდებოდა. ასეთი პროცედურა უპირატესად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. გამოცდისთვის საშუალოდ მზადდებოდა 25–30 ბილეთი. თითოეულ მათგანში 3–4 საკითხი იყო გათვალისწინებული. ამ სისტემით შედგენილი საგამოცდო ბილეთები ასახავდა მთელ სასწავლო კურსს, რომელიც სტუდენტს გამოცდებს შორის დადგენილ შუალედში (4–6 დღეში) უნდა მოემზადებინა.

ფაქტიურად ასეთმა წესმა ვერ გაამართლა, რადგან შემჭიდროებულ ვადებში სწავლა მტკიცე არ შეიძლება იყოს. ბევჯითი სტუდენტები მაინც აღწევდნენ გარკვეულ წარმატებებს მთელი ენერგიის მობილიზებისა და ნებისყოფის ხარჯზე. მაგრამ სტუდენტთა უმრავლესობა მხოლოდ რამდენიმე საკითხის სწავლას თუ ახერხებდა. ასეთი „იერიშით” მომზადებული საგანი მალევე ეძლეოდა დავიწყებას, მისგან მხოლო შეფასებაღა შემორჩებოდა საგამოცდო უწყისში და სტუდენტის ჩათვლის წიგნაკში, რაც დროებითი ეფექტის გამოხატულება უფრო იყო, ვიდრე მტკიცე ცოდნის დასტური. მყარი ცოდნით მხოლოდ ის სტუდენტები გამოირჩეოდნენ, რომლებიც აქტიურობდნენ კოლოკვიუმებზე და სემინარებზე, თუმცა მათი შუალედური შეფასებები მხოლოდ ლექტორის უბის წიგნაკში აისახებოდა და ოფიციალურად არსად არ აფიქსირებდნენ. ამიტომ ვერ მიიღო შუალედურმა შემოწმებებმა საყოველთაო ხასიათი და ის ერთეულთა მოვალეობად იქცა.

ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულმა საკრედიტო სისტემამ უკუაგდო ძველი წესების მანკიერი გამოვლინებები,

მათ შორის ცოდნის შემოწმება–შეფასების თვალსაზრისით და დაამკვიდრა თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი რეიტინგული შეფასების სისტემა.

ცოდნის შემოწმებისა და შეფასების რეიტინგული სისტემის შემოღება საშუალებას იძლევა სისტემატურად და თანმიმდევრულად დავამყაროთ კონტროლი სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, სტუდენტთა ცოდნასა და უნარებზე, აგრეთვე იგი ქმედითი იარაღია ეფექტური ინდივიდუალური მუშაობისთვის. რეიტინგული შეფასების სისტემის გამოყენების პირობებში სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება გაცილებით ზუსტი და ადეკვატურია, ვიდრე ტრადიციული შეფასების დროს სტუდენტის ცოდნა.

ცოდნის შემოწმების რეიტინგული შეფასების სისტემა საშუალებას იძლევა:

ა) სწავლების სხვადასხვა ეტაპზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების (ბალების) დაჯამებისა და მიღწევების ადეკვატური გამოყვანისთვის;

ბ) სპეციალური კოეფიციენტების სისტემის მეშვეობით შესაძლებელია, სტუდენტის მიერ ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობის განსაზღვრა, იგი, ამავე დროს, საშუალებას იძლევა სტუდენტის შემეცნებითი უნარების განვითარების ეკვივალენტის დადგენისათვის;

გ) ცოდნის შემოწმება–შეფასების რეიტინგული სისტემა მოქნილია.

გარდა იმისა, რომ უარყოფილ იქნა შეფასების 5 – ბალიანი სისტემა (რომელიც რეალურად 4 – ბალიანი იყო, გზადაგზა მას უკანასკნელ დროს ჩაენაცვლა 10 – ბალიანი შეფასება) და მის ნაცვლად დამკვიდრდა რეიტინგული შეფასება, რომელიც უმაღლეს ქულად 100 – ს მიიჩნევს, ამავე დროს, შეიცვალა ცოდნის შემოწმების სისტემაც. ახალი მეთოდის თანახმად, უპირატესობა ენიჭება ტესტირებასა და მონიტორინგს.

ტესტირების გზით გამოცდის ჩატარებამ აშკარად აჩვენა თავისი უპირატესობა ტრადიციული საგამოცდო ბილეთების საფუძველზე, ზეპირ გამოცდასთან შედარებით. თანამედროვე შემაჯამებელი გამოცდა თავისი მნიშვნელობით არ არის იმოდენა დატვირთვის, როგორც ადრე შემაჯამებელი გამოცდა

იყო. თუ ადრე გამოცდაზე თეორიულად მაინც, ყველას შეეძლო უმაღლესი შეფასების მიღება, ახალი სისტემით ეს გამორიცხულია. სტუდენტი, რომელიც შუალედური შემოწმებისას დაბალ შეფასებას მიიღებს, შემაჯამებელ გამოცდაზე უმაღლეს ქულას ვერ მოაგროვებს. მაგალითად, 2 შუალედური შემოწმებისას სტუდენტს შეეძლო დაეგროვებინა 50 ქულა, რადგან თითოეული შემოწმება ითვალისწინებდა 25-25 ქულას. პირველი შემოწმებისას სტუდენტმა მიიღო 20 ქულა, ხოლო მეორე შემოწმებისას მხოლოდ 15 ქულის მიღება მოახერხა. ამრიგად, მისი რეიტინგის ჯამი მხოლოდ 35 ქულაა. შემდგომში ამ სტუდენტმა საბოლოო შეფასებისას მაქსიმალური 50 ქულის მიღებაც რომ მოახერხოს, მისი საბოლოო რეიტინგი მაინც 85 იქნება.

ზოგიერთის აზრით, ასეთი სისტემა სტიმულს უკარგავს სტუდენტს და ზღუდავს მათ უფლებებს. მაგრამ ამგვარი მოსაზრება საფუძველს მოკლებულია, რადგან უამრავი არგუმენტის მოტანა შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ ასეთი მიდგომით არათუ ილახება სტუდენტის უფლებები და ინტერესები, არამედ პირიქით, ასეთი მეთოდით შეფასებისას, სტუდენტი უფრო აქტიური და მობილიზებულია სწავლის მიმართ. მისი შესაძლებლობის რეალიზაციისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებია შექმნილი. იგი მოტივირებულია, რადგან კარგად იცის, რომ „იერიშობანა" სწავლაში უსარგებლო და მავნეა. ამიტომ სემესტრის ბოლოს კი არ ელოდება, არამედ სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე აქტიურია და სისტემატურად ემზადება პრაქტიკული, ლაბორატორიული და სემინარული მეცადინეობებისათვის. დროულად აბარებს კოლოკვიუმებს, მონაწილებს პრეზენტაციებში და პერიოდულად წერს ესეს. ასეთი მუყაითობა მყარი ცოდნის საფუძველი ხდება. ამით რეალურად ხორციელდება დიდაქტიკაში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული სისტემატურობის პრინციპი, რომელიც მტკიცე ცოდნა–ჩვევების და უნარების ჩამოყალიბების ეფექტური გზაა. ამასთან ერთად, ასეთი სისტემის პირობებში ფართო შესაძლებლობა ექმნება სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას, რადგან ყველა რწმუნდება მის ქმედუნარიანობაში.

შუალედური შემოწმებისა და საბოლოო შეფასების სრულყოფილად ჩატარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა

ენიჭება ტესტური დავალებების შედგენის მეთოდურ მხარეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გარემოებას, თუ რამდენად თავსდება დასმული კითხვები სასწავლო სილაბუსის ფარგლებში. წარმოდგენილი საკითხები არ უნდა იყო მხოლოდ აღწერილობითი ხასიათის, მთავარია მასში დომინირებდეს მიზეზ–შედეგობრივი კავშირი. ტესტის კითხვები სტუდენტს უნდა განაწყობდეს კრიტიკული აზროვნებისთვის, რაც გამორიცხავს სტანდარტულ პასუხებს. საბოლოოდ ასეთი მიდგომა ხელს უწყობს სტუდენტის შემეცნებითი უნარების ჩამოყალიბებას, კრეატულ აზროვნებას და პროფესიულ მომზადებას.

ცოდნის შემოწმება–შეფასება მრავალმხრივი და რთული პროცესია. ამიტომ შემოწმება–შეფასებაც მრავალი ასპექტის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. აქ რომელიმე ერთი უნარის ან ჩვევის შეფასებით ვერ დავკმაყოფილდებით, ამიტომ ამ პროცესის ოპტიმალურად მართვისას ბევრი რამ არის გასააზრებელი, ამაში მათი უბრალო ჩამოთვლაც დაგვარწმუნებს: ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია სტუდენტის ცოდნის სიღრმე, იგი არ უნდა იყო ზედაპირული და ზერელე. წარმატებული სტუდენტის ცოდნა უნდა გამოირჩეოდეს სიტკიცით. ლექტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს ცოდნის სიმტკიცეს, ერთმანეთისგან განასხვაოს შეგნებული ცოდნა და მექანიკურად დაზეპირებული ინფორმაციის ფლობის უნარი. ცოდნა შეიძლება იყოს მცდარიც და ჭეშმარიტიც, სისტემატურიც და ფრაგმენტულიც, ან კიდევ სტუდენტის აზროვნება იყოს ფართო დიაპაზონის ან ვიწრო ჩარჩოებით შემოფარგლული. ყველა შემთხვევაში, ლექტორის მოვალეობაა ერთმანეთისგან გამიჯნოს ისინი და შესაბამისად შეაფასოს სტუდენტის ნაშრომი და ნააზრევი. გადაწყვეტილების მიღებისას ყველა პირობა გასათვალიწინებელია, თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ყოველთვის კრიტიკული აზროვნების უნარსა და შემეცნებითი ძალების განვითარებას ეკუთვნის.

გამომცდელის მოვალეობაა გამოცდის მსვლელობისას კეთილმოსურნეობის ატმოსფეროს შექმნა. სტუდენტს უნდა სჯეროდეს, რომ მისი კარგი მომზადებით ლექტორიც ნასიამოვნები დარჩება, რადგან ამ ცოდნაში მისი წვლილიცაა.

არაპედაგოგიურია ლექტორის საქციელი, როცა იგი გამოცდაზე კუშტი და შეუვალი გამომეტყველებით გამოცხადდება. ზოგიერთი თვლის, რომ გარეგნული სიმკაცრე ობიექტურობის გარანტიაა. ასეთი მიდგომა არა მარტო მეთოდურად არის მცდარი, არამედ არაჰუმანურიცაა.[1] ობიექტურობის საბაბით ზედმეტი სიმკაცრე არავის ეპატიება. გამოცდის მსვლელობისას კეთილმოსურნეობის გარემოს შექმნა არ გამორიცხავს ობიექტურობას. პედაგოგიური ურთიერთობის დემოკრატიული სტილი ყველაზე ოპტიმალური გზაა პრობლემების გადასაწყვეტად. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ გამოცდა ადამიანის ფსიქიკაზე აისახება, ამის გათვალისწინებით, ლექტორს მუდამ უნდა ახსოვდეს იგი და ყველაფერი გააკეთოს ზედმეტი დაძაბულობის თავიდან ასაცილებლად, რაც ცოდნის გამოვლენის აუცილებელი პირობაა.

გამოცდაზე სტუდენტის ზედმეტმა მღელვარებამ შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს მის მიერ ცოდნის სრულად გამოვლენაზე, არამედ მის ჯანმრთელობაზეც, ამიტომ ჩვენი ვალია გამოვრიცხოთ ან მინიმუმამდე დავიყვანოთ გამოცდის თანამდევი დაძაბულობა. ლექტორმა უნდა იცოდეს სტუდენტის ინდივიდუალური თვისებები, იცნობდეს მის ფსიქიკას და ამის შესაბამისად ააწყოს ურთიერთობები მასთან. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბაკალავრიატის სრული კურსი 32 საგნის შესწავლას ითვალისწინებს. ყველა მათგანის ჩაბარებამ რომ გადაჭარბებული ემოციური დატვირთვა გამოიწვიოს, მაშინ აუცილებლად შეირყევა სტუდენტის ჯანმრთელობა. თუმცა,

---

[1] ამ სტრიქონების ავტორი პირადად შეესწრო ახალგაზრდა პედაგოგთა გადაჭარბებულ სიმკაცრეს, როცა ისინი ზემდგომი სტრუქტურის ხელმძღვანელის დავალების საფუძველზე კურსიდან კურზე გადასაყვან გამოცდებს ესწრებოდნენ. ნაცვალად იმისა, რომ კარგად მომზადებული სტუდენტების პასუხებს კმაყოფილების განცდა გამოეწვია დამსწრეებში, მათ პირიქით, კარგი პასუხები ხასიათს უფუჭდებდათ, ხოლო მოუმზადებელი სტუდენტის ხილვისას, კმაოფილებას ვერ მალავდნენ. ეს იყო არა მარტო ანტიპედაგოგიური საქციელი, არამედ ანტიჰუმანური მოვლენაც, რასაც გამოუსწორებელი სულიერი ტრამვის მიყენება შეუძლია სტუდენტისთვის.

მეორე უკიდურესობაშიც არ უნდა გადავიჭრათ და ახალგაზრდის ჯანმრთელობაზე ზრუნვის საბაბით, გზა არ გავუხსნათ ლიბერალიზმს. ჰუმანურობა არ გამორიცხავს პრინციპულობას. ლექტორმა არა მარტო თვითონ უნდა შეძლოს პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტა, არამედ ასეთ შესაძლებლობას აღსაზრდელებიც უნდა აზიაროს.

ბოლონიის პროცესის საპროგრამო დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სტუდენტთა მონაწილეობას საგანმანათლებლო მენეჯმენტში. ამ თვალსაზრისით, გარკვეული ძვრები შეინიშნება ცოდნის შემოწმება–შეფასების მხრივაც. უმაღლეს სასწავლებლებში დაიწყეს მუშაობა სტუდენტთა თვიშეფასების მეთოდიკის საკითხებზე.

პედაგოგიური თვალსაზრისით, სტუდენტთა თვითშეფასება ობიექტური შეფასებისთვის საიმედო საფუძველს წარმოადგენს. სტუდენტთა მონაწილება შეფასების პროცესში ზრდის მათ პასუხისმგებლობასა და სწავლის მოტივაციას. იგი ხელს უწყობს თანამშრომლობას პროფესორებსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტი კარგად აცნობიერებს თავის მოვალეობებს, მიღწევებსა და არსებულ ხარვეზებს. თუმცა, ასეთი შეფასება წინასწარ მომზადებას მოითხოვს. პროფესორი წინასწარ ამზადებს თვითშეფასების კითხვარს, რომელშიც ჩამოთვლილია შესწავლილი თემები, მათ გასწვრივ, შესაბამის გრაფაში სტუდენტი წერს ისეთ შეფასებას, რომელიც, მისი აზრით, შეესატყვისება მისსავე ცოდნას. თითოეული თემა სტუდენტის მიერ ფასდება ათბალიანი სისტემით.

შეფასების სისტემაში გზადაგზა ინერგება რუბრიკებიც, რომელიც შეფასების ერთ–ერთ ფორმას წარმოადგენს. მასში მოცემულია ის მითითებები, რომელთაც სტუდენტები სამუშაოს დაწყებისას იღებენ.

რუბრიკაში განმარტებულია ისეთი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზე შეფასდება ნაშრომი. მაგალითად, სტუდენტმა წინასწარ იცის, რა შემთხვევაში დაიმსახურებს ესე უმაღლეს ან საშუალო შეფასებას (ემპირიული ფაქტები, არგუმენტები, ორიგინალური მსჯელობა, ესთეტიკური გაფორმება). ასეთი ნოვაციები მრავალფეროვნებასთან ერთად საინტერესოს ხდის ცოდნის შემოწმება–შეფასების პროცესს. იგი აღარ არის ძველებურად მიუწვდომელი და ვინმეს კეთილ ნებაზე

დამოკიდებული. ამ პროცესის საჯაროობა და გამჭვირვალობა თანამშრომლობისთვის განაწყობს სტუდენტებს, რაც სასწავლო საქმიანობაში წარმატების აუცილებელი პირობაა.

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცოდნის შემოწმება–შეფასების ოპტიმალურად მართვისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი პრინციპები:

- ცოდნის შემოწმება–შეფასების ობიექტურობა;
- სტუდენტისადმი ინდივიდუალურ მიდგომა;
- თანამშრომლობა სტუდენტსა და ლექტორს შორის;
- ცოდნის შემოწმება–შეფასების უნიფიცირებული ნორმები და კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლის სპეციფიკური მოთხოვნები;
- ცოდნის მრავალმხრივი შეფასება.

წარმოდგენილი პრინციპები ერთნაირად სავალდებულოა ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლისათვის, რადგან იგი ზოგად ხასიათს ატარებს და ამავე დროს ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლებლის სპეციფიკას. ამდენად, ამ პრინციპებს მათი ზოგადმეთოდიკური ფუქციიდან გამომდინარე, ცოდნის შემოწმებისა და შეფასების ზოგად პრინციპებს უწოდებენ.

სტუდენტთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების პროცესში აქტიურად ინერგება პორტფოლიოს მეთოდი, რომელიც გაცილებით ფართოდ, უფრო მრავალმხრივი დანიშნულებითა და მეტნაკლები ინტენსივობით გამოიყენება ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე, ვიდრე უმაღლეს სკოლაში.

პორტფოლიო ფართო გაგებით, რომელიც თავისი არსით ზოგად განათლებაზეა ორიენტირებული, არის სასწავლო პროცესისა და მისი შედეგების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ტექნოლოგია, მოსწავლეთათვის მას სასწავლო საქმიანობაში მაორგანიზებელი ფუნქცია აქვს, ხოლო მასწავლებელთათვის – იგი უკუკავშირის საშუალება და შეფასების ქმედითი იარაღია.

ზოგადი განათლების დონეზე გამოყოფენ სამი სახის პორტფოლიოს, ესენია: ძირითადი, შერჩევითი და შეფასების პორტფოლიო. შერჩევითი პორტფოლიო საჩვენებელი დანიშნულებისაა. იგი შეიძლება აჩვენონ მშობლებს, სხვა მასწავლებლებს და დაინტერესებულ პირებს, მასში მოსწავლის განსაკურებული მიღწევებია ასახული. შეფასების

პორტფოლიო დინამიკაში წარმოადგენს მოსწავლის (სტუდენტის) სასწავლო აქტივობის მაჩვენებლებს, ხოლო ძირითადი პორტფოლიო ორთავეს ელემენტებს მოიცავს. ასეთი სახის დიფერენცირებული პორტფოლიო შეიძლება უმაღლეს სკოლაშიც გამოიყენონ, მაგრამ იგი მაინც უფრო კარგად ზოგადი განათლების სულისკვეთებას შეესაბამება.

თუკი ზოგადი განათლებისთვის პორტფოლიო წარმოადგენს საქაღალდე ნაკრებს, რომელშიც თავმოყრილია მოსწავლეთა ნამუშევრები და მათი შეფასებები, აგრეთვე მასწავლებლებისა და მშობლების შენიშვნები, უმაღლესი განათლების საფეხურზე, პორტფოლიო უპირატესად ცოდნის შემოწმება–შეფასებას ემსახურება.

პორტფოლიოს დანიშნულებას ერთნაირად არ უდგებიან ყველგან. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში პორტფოლიოს ამოცანები გააფართოვეს და მასში აღწერილია სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაოებიც, კერძოდ: ცალკეული დავალებების შერჩევის კრიტერიუმები, შეფასების პირობები, ინფორმაცია ნაშრომების პრეზენტაციის შესახებ და საგნის წამყვანი პროფესორის შეფასებები მათზე. ამგვარ პორტფოლიოში სტუდენტი თვითონ აღწერს სასწავლო პროცესის ყველა ნიუანსს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, პიროვნულ დამოკიდებულებასა და მიღწევებს, რაც აძლიერებს სწავლის მოტივაციას და ხელს უწყობს სტუდენტებში თვითშეფასების უნარის განვითარებას.

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, პორტფოლიო შეიძლება გაიყოს რამდენიმე ნაწილად:

პირველ ნაწილს პირობითად შეიძლება ეწოდოს „მიღწევების საქაღალდე", მასში წარმოდგენილი იქნება სტუდენტის (მოსწავლის) წარმატებების დამადასტურებელი დიპლომები, სიგელები, საპატიო ნიშნები (მედლები), მადლობის წერილები და ა. შ.

მეორე ნაწილი არის რეფლექსიის პორტფოლიო, რომელშიც თავმოყრილია პიროვნული განვითარების დინამიკა. აქვე იქნება სტუდენტის სასწავლო საქმიანობის ამსახველი მასალები (საკონტროლო სამუშაოები, ტესტები, ესეები, სემინარის მოხსენებები, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობის მასალები ...) და პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური

დაკვირვების შედეგები, რომელსაც აკადემიური პერსონალი ადგენს.

მესამე ნაწილი სამეცნიერო–კვლევითი ხასიათისაა, მასში თავმოყრილია შესაბამის სფეროსთან დაკავშირებული მასალები (მოხსენებები, ექსპერიმენტული მასალები, რეფერატები, სამეცნიერო პუბლიკაციები, რეცენზიები ...) და პროფესორის დასკვნები სტუდენტის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე.

როგორც აღინიშნა, პორტფოლიოს მიმართ ერთგვაროვანი დამოკიდებულება ჯერჯერობით არ არსებობს. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უპირატესობას ანიჭებენ ცოდნის შემოწმება–შეფასების პორტფოლიოს. ამ ამოცანიდან გამომდინარე, პორტფოლიოში აკადემიური კურსების მიხედვით თავმოყრილი უნდა იყოს სტუდენტის მიღწევების თემატური ნაკრები (შუალედური შემოწმება–ტესტირება, საბოლოო გამოცდა, სტუდენტის მონაწილეობის ხარისხი სასწავლო პროცესში და ა. შ.), რომელიც ნათელ წარმოდგენას შექმნის ამა თუ იმ სასწავლო კურსის შესწავლის პროცესში სტუდენტის შემეცნებითი და პროფესიული უნარების განვითარებაზე.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უპირატესობა მიანიჭეს საგნობრივ პორტფოლიოს, რომელიც წარმოადგენს თითოეულ სასწავლო საგანში სტუდენტის მიღწევების თემატურ ნაკრებს (იგულისხმება შუალედური ტესტირება, სემესტრის განმავლობაში სტუდენტის აქტივობა, შემაჯამებელი გამოცდა და სხვა დავალებათა შესრულების მაჩვენებლები), რომელიც კურსებისა და სემესტრების მიხედვით წარმოგვიდგენს მისი შემეცნებითი უნარებისა და პროფესიული განვითარების მაჩვენებლებს.

პორტფოლიოს დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს, საგნის წამყვანი პროფესორის მიერ სტუდენტის დამატებითი დახასიათება. პროფესორს ამ სეგმენტში შესაძლებლობა აქვს მიუთითოს სტუდენტის ზოგად ერუდიციაზე, დამოუკიდებელი სწავლის უნარზე, შემოქმედებით აზროვნებაზე და სემესტრის განმავლობაში მიღწეულ შედეგებზე. ყველა მათგანის მიმართ პროფესორი აფიქსირებს თავის შეხედულებას (ბრწყინვალე, ძალიან კარგი, კარგი, დამაკმაყოფილებელი, არადამაკმა-ყოფილებელი).

ცოდნის შემოწმება–შეფასებაში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ე. წ. პრემიალური მეთოდი. საგნის წამყვან პროფესორს ცოდნის შეფასებისას (შუალედური, საბოლოო) უფლება ენიჭება ბონუსით დააჯილდოოს სტუდენტი. მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ქულას. ბონუსით აღინიშნება სტუდენტის სხვადასხვა აქტივობა (შეკითხვაზე პასუხი, დისკუსიაში მონაწილეობა, დროული რეპლიკა, მეცადინეობაში თანამშრომლობა და სხვა). აღნიშნული სიხლე პორტფოლიოს მეთოდის კვალდაკვალ ინერგება ჩვენშიც.

უმაღლეს სკოლაში სტუდენტის პორტფოლიოში უნდა აისახოს სტუდენტის სასწავლო და სამეცნიერო მიღწევები, მისი ყოველგვარი აქტივობა, მეცადინეობებზე დასწრება, შუალედური და საბოლოო შეფასებები, ზეპირი და წერილობითი ტესტების შესრულების მდგომარეობა, დისკუსიებში მონაწილეობა და სხვა ინტელექტუალური გამოვლინებანი, რომელიც საშუალებას მისცემს საგნის წამყვან პროფესორს ობიექტურად და სრულყოფილად შეაფასოს სტუდენტის მიღწევები, როგორც პროფესიული უნარების განვითარების თვალსაზრისით, ისე შემოქმედებითი, ზოგადი ერუდიციისა და დამოუკიდებელი უნარების განვითარების მხრივ. შესაძლებელია აგრეთვე პროფესორის შეხედულებისამებრ, უმაღლესი სასწავლებლის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, პორტფოლიოში დამატებით, სიტყვიერად აისახოს სტუდენტის სასწავლო–სამეცნიერო აქტივობის მაჩვენებლები.

პორტფოლიო სემესტრის განმავლობაში ინახება საგნის წამყვან პროფესორთან, რომელიც პერიოდულად მასში აკეთებს შესაბამის ჩანაწერებს, ხოლო საბოლოო გამოცდის შემდეგ ბარდება ფაკულტეტის დეკანატში. დაუშვებელია პორტფოლიოს ერთჯერადი შევსება, ან ცვლილებების შეტანა მასში, რადგან ამით საფრთხე ექმნება თვით პორტფოლიოს არსს, მის დანიშნულებას. უფასურდება სწავლებაში თანმიმდევრობისა და სისტემატურობის პრინციპი, რომელიც მტკიცე ცოდნის საფუძველი უნდა გახდეს.

ამრიგად, პორტფოლიო ხელს უწყობს ორგანული კავშირის დამყარებას სასწავლო პროცესსა და უშუალოდ სტუდენტის შეფასებას შორის, აკადემიურ პერსონალს და სხვა

დაიტერესებულ პირებს უზრუნველყოფს სტუდენტის სასწავლო–სამეცნიერო აქტივობის შესახებ საჭირო ინფორმაციით, დახმარებას უწევს თვით სტუდენტებსაც საკუთარი მიღწევებისა თუ პრობლემების ანალიზში, და რაც მთავარია, იძლევა ყოვლისმომცველ ინფორმაციას სტუდენტის ცოდნის შემოწმება – შეფასებისათვის.

კითხვები და დავალებები:

1. გაავლეთ პარალელი ცოდნის შეფასების აქამდე არსებულ და ახალ სისტემებს შორის.
2. რა გავლენას ახდენს სტუდენტთა ცოდნის შეფასების რეიტინგული სისტემა სწავლის მოტივაციასა და ცოდნის სიმტკიცეზე ?
3. რამდენადაა გასათვალისწინებელი ცოდნის შეფასებისას სტუდენტის ინდივიდუალური თავისებურებები ?
4. რამდენადაა დაცული ცოდნის შეფასების ახალი სისტემის პირობებში სტუდენტთა უფლებები ?
5. დაახასიათეთ ცოდნის შემოწმება–შეფასების ზოგადი პრინციპები.
6. ჩამოაყალიბეთ პორტფოლიოს როლი ცოდნის შეფასებაში.
7. ცოდნის შეფასებაში პორტფოლიოს რომელ ნაწილს ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა ?

დისტანციური განათლება და კორპორაციული სწავლება

დისტანციური სწავლება ღია საგანამანათლებლო სისტემის ისეთივე განუყოფელი ატრიბუტია, როგორიც თვით ღია განათლების სისტემა გლობალურ პროცესებში. დისტანციური სწავლება ობიექტურად წარმოშვა ინდივიდუალური და მასობრივი განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებებმა. დისტანციური სწავლება ორიენტირებულია ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე, მას ახალ კანონზომიერებებთან ადაპტაციის უნარი აღმოაჩნდა. როგორც ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ ცხადყო, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, განათლების არსებულმა ფორმებმა ვერ შეძლეს მზარდი საზოგადოებრივი შეკვეთის შესრულება, ხოლო დისტანციური სწავლება (დს), რომელიც დაფუძნებულია საინფორმაციო და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე (სკტ), ადვილად წყვეტს ასეთ პრობლემებს. დღეს იმაზე აღარ დავობენ, რომ დისტანციური სწავლება, განათლების მიღების თვისებრივად ახალი ფორმაა, რომელიც XX საუკუნის ბოლოს ჩაისახა, სწორედ საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების ბაზაზე. მეცნიერული თვალსაზრისით, განათლების მიღების ეს ფორმა უფრო სრულყოფილია, ვიდრე დაუსწრებელი სწავლება. ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაითვალოს დაუსწრებელი სწავლების მოდერნიზებულ ფორმად. ის გარემოება, რომ დისტანციურ სწავლებაში წამყვანი ადგილი თანამედროვე ტექნოლოგიებს უჭირავს, სრულიად არ ნიშნავს მის არსში სრულფასოვნად წვდომას, ამისთვის გასააზრებელია პედაგოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემები. დისტანციური სწავლების სისტემა მარტო საინფორმაციო–კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებას არ ნიშნავს. იგი მთლიანი კომპლექსია და ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებათა მიღწევებს ეფუძნება. ამდენად, დისტანციური სწავლება უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის და ნაწილობრივ ანდროგოგიკის კვლევის ობიექტია.

დისტანციურმა სწავლებამ ასახვა ვერ პოვა ახლად მიღებულ საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ". შესაძლებელია, კანონმდებლებმა დისტანციური

სწავლება უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიურ უფლებამოსილებად მიიჩნიეს და ამის გამო არ გამოყვეს ცალკე. ვითვალისწინებთ რა განათლების სისტემაში მიმდინარე გლობალურ პროცესებს და მასში დისტანციური სწავლების როლს, სწავლების ეს უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომელიც ერთ–ერთი მზარდი მიმართულებაა, მეტ ყურადღებას და იურიდიულ ძალმოსილებას მოითხოვს.

XX საუკუნის დასასრულს განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი და ბუნებრივიც კი გახდა ახალი ტიპის საგანმანათლებლო მომსახურებისა და საგანმათლებლო (სასწავლო) დაწესებულებების ჩამოყალიბება. სასწავლო და სამეცნიერო–პედაგოგიურ ლიტერატურაში ხშირად გვხდება თანამედროვე განათლების სისტემის ამსახველი ისეთი ტერმინები, როგორიცაა ღია, მოქნილი და დისტანციური. რეალურ პრაქტიკაში ეს სიტყვები ხშირად გამოიყენება და აღნიშნავს განათლების სფეროში მიმდინარე მოვლენებს. ვერც თეორიაში და პრაქტიკაში, ვერც საზღვარგარეთ და ვერც ჩვენთან ვერ მივიდნენ ამ ტერმინების ერთიან გაგებამდე, რაც ბევრად ართულებს სამეცნიერო – პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ – ჩინოვნიკურ სფეროებში ურთიერთგაგებას (*College of Engineering University of Idaho, Distance Education at a Glance, 1995 www.uidaho.edu/evo/newhtml/eomain.htm).*

ტერმინი „დისტანციური განათლება” აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მკვლევართა შორისაც. არსებობს ამ ტერმინის სხვადასხვა განმარტება-დეფინიცია. (მათი გაცნობა შეიძლება სერვერზეც: http: www.eado.ru). ამერიკის შეერთებული შტატების მუნიციპალური კოლეჯების ასოციაციის (ITC – Instuctional Telecommucations Counil) განმარტების თანახმად, დისტანციური განათლება არის საგანმანათლებლო მომსახურების გავრცელება და მიწოდება, ან საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების შესაძლებლობა სასწავლო და არასასწავლო ცენტრებში და შენობებში, სადაც გამოიყენება ვიდეო, აუდიო, კომპიუტერული, მულტიმედია კომუნიკაციები ან მათთან შეხამებული ინფორმაციის გადაცემის ტრადიციული საშუალებები (www.itcnetwork.org; www.sinclair.edu|community|itc).

დისტანციური განათლება ისეთი სისტემა და პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კავშირს

საგანმანათლებლო რესურსებთან (American Coucil on edication – ACE).

რეალურად, დისტანციურ განათლებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ლექტორი და სტუდენტი ფიზიკურად ვერ ხვდებიან ერთმანეთს და სწავლების სპეციფიკური ტექნოლოგია (ხმის, გამოსახულების, წერილობითი მასალების და სხვა მონაცემების გადაცემის ტექნოლოგია), ხშირად გამოიყენება დისტანციური დაშორიშორების გადალახვისთვის.

სათრენინგო ანუ სასწავლო კურსები, რომლებიც ადგილმდებარეობით დაშორებულია მსხვილ სასწავლო ცენტრებს და განთავსებულია ე. წ. „არასაუნივერსიტეტო ქალაქებში", სასწავლო ინფორმაციის გადაცემას წარმართავს აუდიო, ვიდეო და კომპიუტერული ტექნოლოგიებით, ასე განმარტავს დისტანციურ სწავლებას აშშ–ის აიდახოს უნივერსიტეტის პროფესორი ბარი უილისი.

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ დოკუმენტებში დისტანციური განათლება შემდეგნაირად არის განმარტებული: „დისტანციური განათლება არის საგანმანათლებლო პროცესი, რომლისთვისთვისაც დამახასიათებელია ადგილისა და დროის მიხედვით დაშორებული მასწავლებლისა და სტუდენტის სასწავლო თანამშრომლობა. ამ თვალსაზრისით გამოიყენება ტერმინი „დისტანციური განათლება" ისეთი სასწავლო კურსების ფუნქციონირების შემთხვევაში, რომელიც ეწყობა ტელევიზიის, რადიოს და ინტერნეტის ქსელის გამოყენების პროცესში (ღია რადიოტელეგადაცემა, დახურული ქსელები, საკაბელო მაუწყებლობა, თანამგზავრული მაუწყებლობა, აუდიო და ინტერნეტ კონფერენციები, ვიდეოფირები, CD და DVD დისკები, კორესპონდენციები).

დისტანციურ განათლებას ზოგადად განმარტავს ქართველი მეცნიერი, პროფესორი გ. ჩაჩანიძე: - „დისტანციური განათლება ტრადიციული განათლების ყველა ფორმის (საკლასო, სკოლისგარეშე, დაუსწრებელი, დასწრებული, საღამო და ა.შ.) ორგანიზაციული, მეთოდური და ტექნიკური უზრუნველყოფის თვისობრივი სახეცვლილებაა, ხასიათდება ევოლუციურობით, ინფორმაციული საზოგადოების განვითარების კანონზომიერი მოვლენაა და რეალიზებულია

ახალი ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით (39. 140).

დისტანციური სწავლებისა და განათლების ამერიკული საბჭო ფედერალურ დონეზე ოფიციალურად არის აღიარებული, როგორც კერძო უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის სააგენტო. ამ სააგენტოს განმარტების თანახმად, დისტანციური განათლება იგივეა, რაც საკორესპონდენტო–დაუსწრებელი სწავლება, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების მიერ სასწავლო პროგრამების დამოუკიდებელ შესწავლას. ყოველი გაკვეთილის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფაქსის, ფოსტის ან ინტერნეტის საშუალებით პედაგოგს გადაუგზავნის მის მიერ შესრულებულ ნაშრომს ატესტაციისათვის. შემოწმებული ნამუშევარი ამავე საშუალებით უბრუნდება სტუდენტს. ამგვარი ურთიერთობა უზრუნველყოფს პიროვნულ თანამშრომლობას სტუდენტსა და ლექტორს შორის.

დისტანციურ განათლებასა და საკორესპონტო–დაუსწრებელ სწავლებას შორის მსგავსებას აღიარებენ ბრიტანელი სპეციალისტებიც. თუმცა, ამ ორ ფორმას შორის მსგავსებასთან შედარებით, განსხვავება უფრო მეტია.

დასავლელმა მეცნიერებმა დისტანციური განათლების 6 ნიშანი გამოყვეს, ესენია: 1) პიროვნებისთვის მოსახერხებელი სასწავლო პროცესი; 2) სწავლების ტემპი და პიროვნული კავშირები მისაღებია როგორც სტუდენტათათვის ისე კონსულტანტებისთვის (ტიუტორებისთვს); 3) ინფორმაციის შერჩევასა და გამოყენებაში სრული თავისუფლება; 4) დროული უკუკავშირები და სრული ინფორმირებულობა; 5) შიდაჯგუფური ინტერაქტიობა; 6) ინდივიდუალური სწავლებისთვის ხელისშეწყობა (50,32-33).

აღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესი განათლების სისტემაში დისტანციური სწავლება შეიძლება მივიჩნიოთ სტუდენტთა და პედაგოგთა ურთიერთმოქმედების ინტერაქტიულ, მიზანმიმართულ, ორგანიზებულ პროცესად, რომელსაც ახლავს სპეციფიკური დიდაქტიკური სისტემა და ხორციელდება სწავლების მრავალვარიანტული საშუალებებით, არარეგლამენტირებული დროისა და ადგილის შეუზღუდავად.

დისტანციური სწავლება მრავალი კომპონენტისგან შედგება, მათგან მთავარია – ღია სწავლება, კომპიუტერული სწავლება და საკომუნიკაციო სისტემა.

ამდენად, დისტანციური განათლება არის განათლების მიღების პროცესი ადგილისა და დროის შეუზღუდავად, რომლის დროსაც მეცადინეობებზე დასწრება და სინქრონული სწავლება მინიმალურია, ან საერთოდ უგულებელყოფილია და მისი ადგილი მთლიანად დამოუკიდებელ სწავლებას (და არა თვითგანათლებას) ეთმობა. დამოუკიდებელ სწავლებას თვითგანათლებისგან განასხვავებს სწორედ ორმხრივი კავშირი სტუდენტსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის, რომელიც დისტანციური სწავლების მთავარი კომპონენტია.

შესაძლებელია, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, რომ პლურალიზმი და მრავალვარიანტულობა, მხოლოდ მეცნიერული პედაგოგიკისათვის იყოს დამახასიათებელი, მაგრამ ასეთი შეხედულება რომ მცდარია, ამისთვის საკმარისია პარალელები გავავლოთ სხვა საგნებთან. მაგალითად, მარკეტინგის ცნება-ტერმინის 10 ნაირსახეობას ვხვდებით. ანალოგიური ფაქტები ფიქსირდება მეცნიერებების სხვა დარგებშიც. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა ერთი სრულყოფილი განსაზღვრება, მაგრამ, რაკი დისტანციური განათლება ახალი მიმართულებაა და იგი საბოლოოდ ჩამოყალიბებული ჯერ კიდევ არ არის, ამიტომ მის განსაზღვრებაში არსებული მრავალვარიანტულობაც, ამ პროცესის თანამდევ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ, რაც მეტია ინტერესი ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, მით უფრო ადვილი მისაღწევია საბოლოო შედეგამდე, თუ მაინცდამაინც კონიუნქტურის გავლენაში არ მოვექცევით. ბოლოსდაბოლოს მკითხველს სრული უფლება აქვს, თავად აირჩიოს ის განსაზღვრება, რომელიც მას უფრო მართებულად მიაჩნია, უფრო მეტიც, პრობლემაში ჩახედულ პირს, შეუძლია თვითონ ჩამოაყალიბოს მისაღები ფორმულირება, რაც კიდევ ერთი წინგადგმული ნაბიჯი იქნება პრობლემის კვლევის თვალსაზრისით.

ერთ გარემოებაზე შეიძლება ამთავითვე შევთანხმდეთ, რომ ზუსტი განსაზღვრებები სარგებლობის მომტანი არ იქნება ისეთი მრავლისმომცველი ჰუმანიტარული სფეროსთვის,

როგორსაც პედაგოგიკა და განათლების ფილოსოფია განეკუთვნება.

აქვე საჭიროა ერთ გარემოებაზე გავამახვილოთ ყურადღება, საკითხი ისევ ტერმინოლოგიურ პრობლემას, ოღონდ პედაგოგიკის ძირითადი ცნებების ახალი რაკურსით, „დისტანციური განათლებისა" და „დისტანციური სწავლების" სინონიმური დატვირთვით გამოყენებას უკავშირდება. ამასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, მართებულია, განათლების შედეგის აღსანიშნავად, გამოვიყენოთ ასეთი სიყტვათშეთანხმება: „ახალგაზრდამ მიიღო უმაღლესი განათლება", ხოლო ტერმინს „განათლება", როგორც პროცესის აღმნიშვნელს, რადგან იგი არ შეესაბამება მოვლენის არსს, უნდა ჩაენაცვლოს ტერმინი „სწავლება". ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და მივიღებთ გამართულ ტერმინოლოგიას, რომელიც ზუსტად ასახავს მოვლენის არსს. ამდენად, როცა მხედველობაში გვაქვს დისტანციური განათლების სისტემა, აქ არავითარი უხერხულობა არ წარმოიშობა და ტერმინიც ზუსტად ასახავს მოვლენის არსს, ხოლო სწავლების პროცესს ზუსტად შეესაბამება ტერმინი „დისტანციური განათლება".

ამჟამად, როგორც ითქვა, უმაღლეს განათლებაში დისტანციურ სწავლებას გამოკვეთილი აქვს სათანადო ადგილი, თუმცა, დისტანციური სწავლების განსაზღვრება – დეფინიციის მხრივ, როგორც დავინახეთ, ერთიანობა ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. აქედან გამომდინარე, მკითხველს ვთავაზობთ მის ერთ–ერთ ვარიანტს:

დისტანციური სწავლება სტუდენტისა და პროფესორის სპეციალურად ორგანიზებული, მიზანმიმართული ურთიერთობის პროცესია, რომელიც დისტანციური სწავლების ტექნოლოგიების საფუძველზე, პედაგოგიურად ორგანიზებულ გარემოში მიმდინარეობს.

დისტანციური სწავლების მთავარი ტექნოლოგიებია: ტექნოლოგია – პორტფოლიო, ინტერნეტ – ტექნოლოგია, სატელევიზიო – თანამგზავრული ტექნოლოგია. დასაშვებია აგრეთვე ტექნოლოგიათა შეხამება.

დისტანციური სწავლების მიზანია, შესაძლებლობა მისცეს მსურველებს უმაღლესი პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებებში, მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი

ადგილის მიუხედავად, დაეუფლონ ძირითად და დამატებით პროფესიულ – საგანმანათლებლო პროგრამებს.

თანამედროვე ცხოვრების დინამიური ხასიათი მეტ-ნაკლებად ყველას უქმნის დროის დეფიციტს, ამიტომ მეცნიერები სულ უფრო მეტი ინტენსივობით იკვლევენ ასეთი პრობლემების გადაჭრის გზებს. რადგან დროის პრობლემა ერთ-ერთი უმწვავესია დღესდღეობით, აქედან გამომდინარე, უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს დისტანციური სწავლების დამკვიდრება, რომელმაც მოსახერხებელი და მისაწვდომი გახადა სწავლა. სწავლების ამ ფორმას უდიდესი პოტენციალი აქვს. სწორედ მისი გამოყენებით გახდა შესაძლებელი დაზოგილიყო უდიდესი დრო, ენერგია, ფინანსები და გამოთავისუფლებულიყო პედაგოგიური პერსონალი. მომავალში მისი გავრცელების არეალი კიდევ უფრო გაიზრდება.

სულ ცოტა ხნის წინ, ალბათ საუკუნის მიჯნაზე, ქართველი სტუდენტებისთვის, ინტერნეტ – განათლება და დისტანციური სწავლება ოცნების საგანი იყო და იგი დასავლეთის ქვეყნების მოქალაქეთა პრივილეგიად მიაჩნდათ, დღეს ასეთი შესაძლებლობა რეალობად იქცა, რადგან საქართველოს წამყვან უნივერსიტეტებში დანერგილია და წარმატებით მუშაობს დისტანციური სწავლების სისტემა.

ინტერნეტის სისტემის განვითარების თანამედროვე ტემპი და მისი მომსახურეობის სულ უფრო ნაკლები ფასები, დისტანციურ სწავლებას არა მარტო შესაძლებელს ხდის, არამედ მეტ მიმზიდველობას ანიჭებს სწავლების ამ ფორმას. სწორედ დისტანციური სწავლება მსურველებს აძლევს ფართო შესაძლებლობას, საკმაოდ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღონ ზოგადი და პროფესიული განათლება იმის მიუხედავად, თუ რომელ ქვეყანაში ცხოვრობენ ისინი, ამასთან ერთად, მათ შესაძლებლობა აქვთ, პარალელურად გააგრძელონ საქმიანობა ან სწავლა სხვა სასწავლებლებში.

დისტანციური სწავლება განათლების მიღების და კვალიფიკაციის ამაღლების ფართო შესაძლებლობებს უხსნის ინვალიდებს, მცირეწლოვანი ბავშვების დედებს და ყველას, ვისაც არ შეუძლია ძირითადი საქმიანობის შეწყვეტა ან უმაღლესი სასწავლებლებიდან შორს ცხოვრობს. გარდა ამისა,

დისტანციური სწავლება მატერიალური თვალსაზრისითაც მოსახერხებელია, რადგან ქვეყნის პერიფერიებიდან დედაქალაქში ან სხვა ქალაქებში ხანგრძლივად გამგზავრება სოლიდურ ფინანსურ ხარჯებს მოითხოვს. ამდენად, დროის ეკონომიასთან ერთად დისტანციური სწავლება მატერიალური თვალსაზრისითაც მიმზიდველია.

სწავლების აღნიშნული ფორმა განსაკუთრებულ შესაძლებლობებს ანიჭებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამწესებულ პირებს. ცნობილია, რომ მათ შორის ბევრია არასრულწლოვანი და ახალგაზრდა, რომლებმაც სხვადასხვა გარემოებათა გამო ვერ დაიწყეს ან შეწყვიტეს სწავლა, ამიტომ ასეთი კონტინგენტისთვის დისტანციური სწავლება დიდ პერსპექტივებს სახავს.

ამჟამად მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ასეულობით უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც დისტანციური სწავლების ფორმით განათლებას ასეულ ათასობით სტუდენტი ეუფლება. ძირითადად ესენი არიან მსოფლიოში აღიარებული უმსხვილესი უნივერსიტეტები. XX საუკუნის ბოლოს წარმოჩინდნენ ე. წ. „მეგაუნივერსიტეტები", რომელთა კონტინგენტი ასი ათასს აჭარბებს, სწორედ დისტანციურ სწავლებაში ჩაბმული სტუდენტების ჩათვლით.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა და ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასასვლელად საჭიროა ქვეყანაში გატარდეს შემდეგი ღონისძიებები;

– განვითარდეს დისტანციური სწავლების ტექნოლოგიები, მოხდეს მისი აპრობირება, პირველ რიგში, დაინერგოს საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომელიც დაეფუძნება ინფორმატიზაციას და თანამედროვე ტელეკომუნიკაციებს;

– შეიქმნას სპეციალური დიდაქტიკური მასალები, დამუშავდეს სწავლების მეთოდიკა დისტანციურ სწავლებაში;

– საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება დისტანციური სწავლების ეფექტურობის შესახებ;

– მოსახლეობის კონსერვატულად განწყობილი ფენებისა და აკადემიური საზოგადოების დარწმუნება დისტანციური სწავლების მეთოდების დანერგვის აუცილებლობაში;

– განისაზღვროს ტექნიკური, საინფორმაციო-აკადემიური ნორმატივები და პარამეტრები, რომელთა საფუძველზე

მოხდება დისტანციური სწავლების ლიცენზირება და აკრედიტაცია;
- დისტანციური სწავლების ლეგალიზაციისათვის მომზადდეს სამართლებრივი ბაზა, რაც შესაძლებელია კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ" დამატებების სახით და ახალი კანონქვემდებარე აქტების მიღებით.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში რეალობად იქცა სწავლების თანამგზავრული, ქსელური და სატელევიზიო მეთოდების გამოყენება. ეს მიმართულება იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ სულ მალე იგი ხელმისაწვდომი იქნება ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მოქალაქეთათვის. როგორც ცნობილია, თანამგზავრულ კომუნიკაციებს ხანგძლივი კაპიტალური მშენებლობები არ სჭირდება. მთავარია მოიძებნოს სათანადო ფინანსური საშუალებები და გადაწყვეტილება დროის მოკლე მონაკვეთში აღსრულდება. ამდენად, განათლების სფეროს წარმატება, პირველ რიგში, ინვესტიციებზეა დამოკიდებული.

ამჟამად მოწინავე უნივერსიტეტებში დიდ ყურადღებას უთმობენ სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების, კომპიუტერული პროგრამების, ტესტების, სასწავლო ვიდეოფილმების, მოდულების სამუშაო სახელმძღვანელოების და დისტანციური სწავლების სხვა საშუალებების შექმნას და დამუშავებას. აღნიშნული ტიპის მეთოდური მასალების სიმრავლე მნიშვნელოვნად ზრდის კონკურენციას ამ სფეროში და დადებითად მოქმედებს სწავლების ხარისხზე.

დისტანციურმა სწავლებამ უკვე დაიმკვიდრა ადგილი მრავალი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში. ამის დასტურია მზარდი მოთხოვნილება ამ ტიპის განათლების მქონე სპეციალისტებზე. იმის მიუხედავად, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა დისტანციური სწავლების შემოღებას, მან აქაც დაამტკიცა თავისი ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა.

დისტანციური სწავლების სისტემაში ფართოდ გავრცელდა შემდეგი ტექნოლოგიები:
– პორტფოლიო (კეისი) ტექნოლოგია დაფუძნებულია სასწავლო–მეთოდური მასალების კომპლექტებზე (საქაღალდე და კომპაქტ-დისკები), რომლებიც მიეწოდება დამოუკიდებელი სწავლების სისტემაში ჩაბმულ სტუდენტებს (ინგლისურად

case, suitcase – ჩანთა). პორტფოლიო ანუ კეისის ტექნოლოგია ფართოდ გამოიყენება თრენინგებითა და სიტუაციური მეთოდებით სწავლებისას (ინგლისურად case – შემთხვევა, სიტუაცია).

– სატელევიზიო ტექნოლოგია – სწავლების ის მიმართულებაა, რომელშიც წამყვანი ადგილი სატელევიზიო საშუალებებს განეკუთვნება;

– სწავლების ინტერნეტ-ქსელის ტექნოლოგიის ბაზას ინტერნეტული ქსელი წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო–მეთოდური მასალებით;

– ლოკალური ქსელების ტექნოლოგია დაფუძნებულია ლოკალური ქსელების სისტემაზე და უზრუნველყოფს მსურველ სტუდენტებს სასწავლო–მეთოდური მასალებით;

– საინფორმაციო–თანამგზავრული ქსელური ტექნოლოგია გამოიყენება სატელევიზიო სწავლებაში. იგი თანამგზავრული არხების გამოყენებით მნიშვნელოვან სამსახურს უწევს ლოკალური ქსელების შევსებას და განახლებას;

– სასწავლო ჯგუფის ტექნოლოგია ითვალისწინებს მასწავლებელთა პერიოდულ გასვლებს მეცადინეობების ჩასატარებლად პერიფერიულ სასწავლო ცენტრებში;

– გამსვლელი საატესტაციო ტექნოლოგია ითვალისწინებს საატესტაციო კომისიების პერიოდულ გასვლებს ადგილობრივ სასწავლო ცენტრებში ატესტაციების ჩატარების მიზნით.

გარდა ამისა, ზოგიერთი მკვლევარი კიდევ გამოყოფს კორესპოდენციულ (წერილობით) და რადიოფიცირებულ (რადიოგადაცემები) ტექნოლოგიებს, მაგრამ ჯერ მათ მასობრივი ხასიათი არ აქვთ და მისგან მიღებული ეფექტიც უმნიშვნელოა.

დისტანციური სწავლების ტექნოლოგიათა წარმოდგენილი ტიპები უმაღლეს სასწავლებლებში გამოიყენება სრულად, ნაწილობრივ ან შერეული სახით. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში არსებული ტრადიციული დაუსწრებელი სწავლების პროცესში ადგილი აქვს დისტანციური სწავლების ტექნოლოგიათა გამოყენებას, რამაც გარკვეული იმპულსი შეიძლება მიანიჭოს დაუსწრებელი სწავლების სისტემას, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დაუსწრებელი სწავლების სისტემა ნაწილობრივი ცვლილებებით ფონს ვერ გავა. იგი ძირეულად

უნდა გარდაიქმნას, წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგება მისი ლიკვიდაციის საკითხი, როგორც ეს მოხდა საქართველოში.

დისტანციურ სწავლებასთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული კორპორაციული განათლება, რომელიც ტრანსნაციონალური კომპანიების სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს და ამავე კომპანიებისათვის კადრების მომზადებას ემსახურება. როგორც ცნობილია, ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ქვეყნებში ერთდროულად მოღვაწეობა, ანუ უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების ცალკეული საწარმოები, კომპანიები, ფირმები და მათი ფილიალები განფენილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. სწორედ ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა შეიმუშავეს და დაადგინეს მათთვის მისაღები საქმიანობის წესები და ნორმები, რომელთა გავრცელებას და სწავლებას ისინი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. გარდა ამისა, მეცნიერებისა და ტექნიკის განუხრელი წინსვლის კვალდაკვალ, ისინი დაინტერესებულნი არიან მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებით. ამიტომ ქმნიან საუწყებო ანუ კორპორაციული განათლების სასწავლებლებს. ზოგიერთი მონაცემით, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში კორპორაციული უნივერსიტეტების რაოდენობა 400 – დან 2000 – მდე გაიზარდა. ყველაზე მეტი კორპორაციული უნივერსიტეტი ა შ შტატებშია. ამერიკული კორპორაციული უნივერსიტეტები გარდაიქმნენ უზარმაზარ მრავალეროვან სასწავლებლებად, რომლებიც განთავსებული არიან სტუდენტურ ქალაქებში. კორპორაციული უნივერსიტეტები სასწავლო პროცესში აქტიურად ნერგავენ და ავითარებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს და დისტანციურ სწავლებას. კორპორაციული უმაღლესი სასწავლებლების გააქტიურებას თან სდევს კონკურენციის გაძლიერება საგანმანათლებო ბაზარზე, რაც აისახება ტრადიციული უნვერსიტეტების საქმიანობაზე, კერძოდ, ისინი პოზიციების შესანარჩუნებლად მეტ ძალისხმევას ახმარენ კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას.

უკანასკნელ წლებში დისტანციური სწავლება უფრო ფართოდ გამოიყენება კორპორაციულ განათლებაში. სწორედ კორპორაციული განათლების სისტემაში სამრეწველო ფირმები და კომპანიები წარმართავენ სპეციალისტთა მომზადებას,

კვალიფიკაციის ამაღლებას და ამისთვის იყენებენ ინტერნეტის ქსელებს ან თავიანთი კორპორაციული სასწავლებლების ქსელს. ასე მაგალითად, ამერიკულმა კომპანიამ Sun Health – care Group – მა, რომელიც სამედიცინო მომსახურებითაა დაკავებული, ხოლო მისი წლიური საფინანსო ბრუნვა 3 მილიარდ დოლარს შეადგენს, თანამშრომელთათვის, რომლებიც ამ ფირმის 614 განყოფილებაში და დანაყოფში საქმიანობენ, შექმნა დისტანციური სწავლების ქსელი. ამ ღონისძიებამ კომპანიას არა მარტო სწავლებაზე დანახარჯების შემცირების საშუალება მისცა, არამედ მნიშვნელოვნად აამაღლა მუშაკთა კვალიფიკაცია. სწავლების ანალოგიური სისტემები შექმნეს ისეთმა ცნობილმა კომპანიებმა და ფირმებმა, როგორებიცაა: IBM, Compag computer და Hewlett-Packard. კვლევითი კორპორაციის IDC (ა შ შ) ანალიტიკოსების შეფასებით სასწავლო სახელმძღვანელოებისა და მოწყობილობების საბაზრო თვითღირებულების მოცულობამ საწარმოო სწავლების ქსელისათვის 1999 წელს შეადგინა 1,1 მილიარდი დოლარი.

კორპორაციული განათლების ფართო ქსელი განავითარეს რუსეთში. ამ ქვეყნის უმსხვილესმა კომპანიამ „რაო „გაზპრომმა" ჩამოაყალიბა უწყვეტი პროფესიული განათლების ცენტრები და ფილიალები, რომლებშიც უახლესი ტექნოლოგიებით მიმდინარეობს კვალიფიციური კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. მდიდარი სასწავლო-მატერიალური ბაზა და კარგად გააზრებული სასწავლო პროცესი კომპანიისათვის მომგებიანი ინვესტიცია გახდა. თუმცა, ისიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში მიღებული, რომ რუსული „როსნეფტი" და „გაზპრომი" სახელმწიფო კომპანიებია და მათ წარმატებებში სახელმწიფოს ადმინისტაციული მანქანაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. აღნიშნული კომპანიები ბევრად განსხვავდებიან დასავლური ტიპის კომპანიებისაგან. მაგრამ მათ მიერ წამოწყებული კორპორაციული სწავლების სისტემა თითქმის იმეორებს აშშ–ში და ევროპაში უკვე აპრობირებული კორპორაციული განათლების მოდელებს.

სამწუხაროდ, კორპორაციული განათლების თვალსაზრისით, საქართველოში თითქმის არაფერი გაკეთებულა. თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი კომპანიის მიერ ახალგაზრდა

სპეციალისტთა მომზადებისათვის მოკლევადიანი სასწავლო კურსების მოწყობას და პერიოდულად კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც, რასაკვირვალია, გავლენას ვერ ახდენს ამ სფეროში არსებულ მდგომარეობაზე. საქართველოში მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ვერ მივიდა იმ ნიშნულამდე, რომ ამ სფეროში დასაქმებულმა კომპანიებმა და ფირმებმა დამოუკიდებლად იზრუნონ კადრების მომზადებაზე, უფრო მეტიც, შექმნან კორპორაციული განათლების სასწავლებლები.

საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ" ითვალისწინებს სასწავლო ცენტრების შექმნას ადრე არსებული პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ნაცვლად. ასეთი სასწავლო ცენტრები უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ამოქმედდა რამდენიმე ქალაქში და რაიონში. თუმცა, ეს ცენტრები არ წარმოადგენენ კორპორაციული განათლების კერებს, რადგან მათ მართვას და დაფინასებას სახელმწიფო განაგებს. ბოლო დროს გამოჩნდნენ ძლიერი კომპანიები, რომლებიც მჭიდრო თანამშრომლობას იწყებენ სასწავლო ცენტრებთან, უკვეთავენ კადრების მომზადებას და ამისთვის შესაბამის გასამრჯელოსაც იხდიან. შესაძლებელია, ჩვენი ქვეყნის სიმცირიდან გამოდინარე, არც გახდეს საჭირო კორპორაციული განათლების სისტემის ჩამოყალიბება, რადგან ასეთი ტიპის სასწავლებლები უპირატესად ფუნქციონირებენ უმსხვილესი საწარმოებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების წიაღში. ასეთი რამ ამჟამად საქართველოში არ არსებობს და უახლოეს ათწლეულშიც საეჭვოა მათი გამოჩენა. ამდენად, ჩვენი პირობების და მდგომარების ქვეყნისთვის შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს ისეთი თანამშრომლობა, როგორიც უკვე დაწყებულია პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრებსა და ცალკეულ კომპანიებს შორის. სწორედ ამ სტრატეგიას ითვალისწინებს საქართველოს უმაღლესი პროფესიული განათლების კონცეფციაც.

კითხვები და დავალებები:

1. ახსენით დისტანციური სწავლების არსი.
2. რამ განაპირობა დისტანციური სწავლების შემოღება ?
3. რომელ ქვეყნებშია დისტანციური სწავლების სისტემა პოპულარული ?

4. რა ნიშნებს გამოყოფენ დისტანციურ სწავლებაში ?
5. რა განსხვავებაა დისტანციურ განათლებასა და დისტანციურ სწავლებას შორის ?
6. ვისთვის არის მოხერხებული დისტანციური სწავლება ?
7. რას ნიშნავს კორპორაციული განათლება ?
8. ჩამოაყალიბეთ თქვენი შეხედულება დისტანციური და კორპორაციული სწავლების პერსპექტივების შესახებ საქართველოში.

მესამე ნაწილი:
უმაღლესი განათლების მენეჯმენტი

VI თავი: განათლების მენეჯმენტი უმაღლეს სკოლაში

განათლების მენეჯმენტის არსი და ძირითადი მიმართულებები

მეცნიერული მენეჯმენტის სამშობლო ამერიკაა. ჯ. დუნკანის ცნობილ წიგნში „ფუძემდებლური იდეები მენეჯმენტში" დასაბუთებულია, რომ სისტემატური მეცნიერული მიმართულების – „მენეჯმენტის" გამოჩენა დაკავშირებულია 1880 წელს ამერიკელი ინჟინერ–მექანიკოსების საზოგადოების კრებასთან. სწორედ ამ კრებაზე, კომპანია „Yale and Town Manufacturing" – ის დამაარსებელმა და ხელმძღვანელმა ჰენრი თაუნმა წაიკითხა მოხსენება თემაზე „ინჟინერი ეკონომისტის როლში" (აღნიშნულ პრობლემას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, რადგან პოპულარული მოსაზრების თანახმად, მენეჯერი = ინჟინერს ეკონომისტის როლში). მოხსენებაში „შრომითი პროცესების მართვა" ხელოვნების რანგში იქნა აყვანილი და იგი გაიგივებულ იქნა ტექნიკურ კონსტრუირებასთან, რომელიც შემდგომში შესაბამის ლიტერატურაში აისახა. ჰ. თაუნის მოხსენების შინაარსს მკვლევარები მაინცდამაინც მნიშვნელოვნად არ მიიჩნევენ, თუმცა მან გარკვეული როლი მაინც შეასრულა მართვის მეცნიერების განვითარებაში. პრინციპულად ახლებური მიდგომები დაფიქსირდა ინჟინერთა ეკონომიკური საქმიანობის კუთხით, რომელიც მანამდე მხოლოდ ტექნიკური ეფექტურობით შემოიფარგლებოდა. ჰ. თაუნის იდეებმა ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა ფრედერიკ ტეილორისთვის, რომელსაც „მეცნიერული მენეჯმენტის მამას" უწოდებენ.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ფ. ტეილორის იდეების ჭეშმარიტმა გამგრძელებელმა, მორის ლ. კუკმა გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი უმაღლესი განათლების მართვის შესახებ. მისი მოხსენება „აკადემიური და სამრეწველო ეფექტურობა", 1910 წელს გამოქვეყნდა, თუმცა ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო მენეჯმენტში პირველი პუბლიკაციები გასული საუკუნის 50 – 60 – იან წლებში გამოჩნდა.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მ. კუკს საბაზრო ინჟინრული განათლება ჰქონდა და ალბათ, ამანაც განაპირობა მისი დაინტერესება აკადემიური და საწარმოო პროცესების ურთიერთობების მიმართ. ამდენად, საუნივერსიტეტო მართვის კვლევა იქცა განათლების მენეჯმენტის საფუძვლად, რომელიც თანამედროვე პირობებში გადაიქცა პროფესიული საქმიანობის თვითმყოფად სფეროდ. თუმცა, სამწუხაროდ, მისი მნიშვნელობა, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, უპირველეს ყოვლისა, კარგად შევისწავლოთ აშშ – ში უმაღლესი განათლების პროფესიონალ მენეჯერთა მომზადების მდიდარი გამოცდილება, ჩამოვაყალიბოთ სათანადო რეკომენდაციები და წინადადებები ეროვნული უმაღლესი განათლების განვითარებისა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის. სწორედ ასეთ მიდგომებს ითვალისწინებს თანამედროვე ევროპული განათლების სისტემა და მისი წარმმართველი იდეა, რომელიც ბოლონიის პროცესის ფარგლებში ცოდნაზე დაფუძვნებული საზოგადოების მსენებლობას ემსახურება.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ სპეციალისტთა მომზადებასთან დაკავშირებული ცნებები და განსაზღვრებები, რომლის კვალიფიკაცია „მენეჯერია". ამერიკულ კონტექსტში მენეჯერი სპეციალური განათლების მქონე პროფესიონალია (ჩვეულებრივ, ის დამატებითი კვალიფიკაციაა იურიდიულის, ეკონომიკურის, საინჟინროს და ა. შ.), თანაც, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პრაქტიკისაგან განსხვავებით, სადაც, როგორც წესი, მენეჯერის მომზადება ითვალისწინებს და კიდეც ასოცირდება საწარმოო საქმიანობისთვის სპეციალისტის მომზადებასთან. რაც შეეხება აშშ – ს, ტერმინი „მენეჯმენტი" გამოიყენება ფართო მნიშვნელობით პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოების კულტურული ცხოვრების მიმართ, მათ შორის, განათლების სფეროს მიმართაც. დასავლურ ლიტერატურაში „საგანმანათლებლო მენეჯმენტი" გამოიყენება:

1. ადამიანთა ჯგუფის პროფესიული ნიშნით წარმოჩენისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ მენეჯმენტში

მოიაზრება ისეთი ჯგუფის ადამიანები, რომლებიც განათლების სისტემაში მმართველობით ფუნქციებს ასრულებენ;

2. ცალკეული პიროვნებების აღნიშვნისთვის, რომლებიც სასწავლო დაწესებულებებში მმართველობითი ამოცანებით არიან დაკავებული (რექტორი – Chancellor/President/Rector; პრორექტორი — Vice-Chancellor/Vice-Pre-sident, Vice-Rector; დეკანი — Dean და ა. შ.);

3. სასწავლო საგნების (კურსების) აღსანიშნავად: ზოგადად მენეჯმენტი და მასთან ერთად განათლების მენეჯმენტიც კონკრეტული სპეციალიზაციის საგანს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი განსაკუთრებული ცოდნის სფეროა და მისი დაუფლება მიმდინარეობს, როგორც უმაღლესი განათლების ჩარჩოებში (ბაკალავრიატის დონეზე, რაც ძალზე იშვიათია), ისე მაგისტრატურის და დოქტორანტურის დონეებზე ან კიდევ დამატებითი სერთიფიცირებული განათლების მეშვეობით;

4. სპეციალიზებული პროცესის აღნივშნისთვის: მენეჯმენტი ისეთ პროცესად მიიჩნევა, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი საქმიანობისა და ფუნქციების შესრულებას, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა: დაგეგმვა, პროგნოზირება, ორგანიზაცია, სასწავლო პროცესის კოორდინაცია, სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის კონტროლი, საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგების მონიტორინგი, ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვა და სხვა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ზოგადად განათლების მენეჯმენტს და კერძოდ კი უმაღლესი სკოლის მენეჯმენტის სპეციალისტთა მომზადებას მასშტაბური ხასიათი აქვს. ამაში იოლად დავრწმუნდებით, თუ ზოგადად მაინც გავეცნობით განათლების მენეჯერთა მომზადების ძირითად მიმართულებებსა და შინაარსს ამ ქვეყნის რამდენიმე საგანმანათლებლო ცენტრში. მაგალითად, ნიუ–იორკის უნივერსიტეტში (New York University), უმაღლესი განათლების ცენტრში (Center for the Study of Higher Educa-tion(CSHE)) და პენსილვანიის შტატის უნივერსიტეტში (Pennsylvania State University). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მათი საქმიანობა შეიძლება შეფასდეს, როგორც ამერიკისთვის მეტნაკლებად დამახასიათებელი და ტიპური, მაგრამ, რადგანაც,

დღესდღეობით „სასწავლო–ტიპური სტანდარტი” მიუღებელი ატრიბუტია აშშ–ის უმაღლესი სკოლის პრაქტიკაში, ამიტომ იგი მაინც პირობითად უნდა მივიჩნიოთ.

ნიუ–იორკის უნივერსიტეტში განათლების მენეჯმენტის სფეროში რამდენიმე პროექტი ხორციელდება: უმაღლესი განათლების მართვის სფეროში ფილოსოფიისა და განათლების დოქტორის სასწავლო გეგმები (Doctor of Philosophy (Ph. D.) და Doctor of Education (Ed. D.) in higher education administration), ხელოვნების მაგისტრის მომზადების სასწავლო გეგმა სტუდენტური პერსონალის ადმინისტრირების სფეროში (Master of Arts degree in higher education student personnel administration). აღნიშნული პროგრამების უმთავრესი მიზანია, უმაღლესი განათლების სისტემისთვის პროფესიონალ მენეჯერთა მომზადება, კერძოდ, ისეთი სტრუქტურებისთვის, როგორიცაა: კოლეჯის პრეზიდენტი (სწავლის ხანგძლივობა 2 წელი) (College President), მისი მოადგილეები, მიმართულებათა შესაბამისად, უფროსკლასელთა პროგრამების კორდინატორი (Coordinator of Adult Programs), დეკანი (Dean), უმაღლესი სასწავლებლის ისეთი სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელები, როგორიცაა, მაგალითად, სამეცნიერო – კვლევითი განყოფილების/ნაწილის უფროსი (Director of Institutional Research), უნივერსიტეტის პრეზიდენტის აღმასრულებელი თანაშემწე (Executive Assistant to the President) და სხვა. ასეთი პროგრამები ამერიკაში მყარად დამკვიდრებული ისეთი თვალსაზრისიდან გამომდინარე არის შემუშავებული, რომლის თანახმად „უმაღლესი განათლება” განსაკუთრებული დისციპლინა კი არ არის, არამედ, იგი ცოდნის სინთეზური სფერო, რაც აერთიანებს ცოდნას ისეთი დარგებიდან, როგორიცაა: განათლების თეორია, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტორია, ეკონომიკა, პოლიტიკა და მმართველობა. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული პროგრამები, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამებში გათვალიწინებულია მთელი რიგი სასწავლო კურსები, რომლებიც ემსახურება უმაღლესი სასწავლებლების ფუნქციონირების ისეთი ასპექტების შესწავლას, როგორიცაა: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და მართვა, აკადემიური პერსონალის მმართველობითი უნარები, სტუდენტური ჯგუფების კომუნიკაციური პრობლემები, ჯგუფური და

ინდივიდუალური ურთიერთობის თავისებურებები და სხვა. ძალზე მრავალფეროვანია ძირითადი (სპეციალიზებული) და ეკლექტიური (არჩევითი) კურსების ნუსხაც, რომელსაც სთავაზობენ მაგისტრის მომზადებისას ძირითადი დისციპლინების სასწავლო გეგმების ჩარჩოებში, ასეთებია:

ამერიკული კოლეჯი (The American College); შესავალი „მომავლის პედაგოგიკაში" (Intro-duction to Future Studies in Education); პროფესორ–მასწავლებელთა შემადგენლობა: პოლიტიკა, პრაქტიკა და პრობლემები (Faculty Personnel: Policies, Practices and Issues); ფინანსები უმაღლეს განათლებაში (Finance in Higher Education); უმაღლესი განათლების ხელმძღვანელობა (Go-vernance in Higher Education); უმაღლესი განათლების ისტორია (History of Higher Education); ინოვაციები უმაღლეს განათლებაში (Inno-vations in Higher Education); უმაღლესი განათლების რესურსებით უზრუნველყოფა (ფანდრეიზინგი) (Fund Raising); უმაღლესი სასწავლებლის შეფასება და დაგეგმვა (Institutional Assessment and Planning); სამართალი და უმაღლესი განათლება (The Law and Higher Education); საგანმანათლებლო პოლიტიკა უმაღლეს სკოლაში (Politics of Higher Education); უმაღლესი განათლების სოციოლოგია (So-ciology of Higher Education); უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები (Student in Higher Edu-cation); სწავლება და სწავლა უმაღლეს სკოლაში (Teaching and Leaning in Higher Education); სტუდენტური პერსონალის ხელმძღვანელობა (Student Personnel Administration); ტელეკომუნიკაცია უმაღლეს განათლებაში (Telecommunications in Higher Education); გაერთიანებები/კავშირები და კოლექტიური შეთანხმებები/ხელშეკრულებები (Unions and Collective Bargaining); ეკლექტიური კურსები; კომპიუტერული ტექნოლოგიები ადმინისტრატორ-თათვის (Computer Technology for Adminis-trators); საინფორმაციო სისტემების მართვა (Management Information Systems); უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობათა სწავლისა და წარმატების პირობები (Access and Success of Minorities).[1]

---

[1]. რადგან ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არ გვაქვს საგანმანათლებლო მენეჯმენტისთვის დადგენილი უნიფიცირებული ტერმინები, ამიტომ სასწავლო კურსის გასწვრივ ვუთითებთ ინგლისურ სახელწოდებას.

მოცემული პროგრამის ანალიზის საფუძველზე განათლების მენეჯერთა მომზადების ძირითადი ამოცანები შესაძლებელია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

1. სპეციალისტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ უმაღლესი განათლების სფეროში (ამერიკულ კონტექსტში) სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობა;

2. უმაღლესი განათლების სისტემისთვის პრაქტიკოს–მენეჯერთა მომზადება, რომლებიც შეძლებენ შემოქმედებითად გამოიყენონ მიღებული ცოდნა და მართვის თანამედროვე მეთოდები.

უფრო თუ დავაკონკრეტებთ შედეგებს, ზემოთ მითითებული პროგრამის გავლის შემდეგ, კურსდამთავრებულები სათანადოდ გარკვეული იქნებიან უმაღლესი სასწავლებლის მართვის სტრუქტურებში, სამართლებრივ და ფინანსურ საკითხებში, სასწავლო პროცესის და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის დაგეგმვაში, პროგნოზირებასა და კოორდინაციაში, სწავლების ხარისხის კონტროლისა და ზოგადად საგანმანათლებლო მენეჯმენტის პრობლემებში.

პენსილვანიის უნივერსიტეტში, უმაღლესი განათლების მენეჯმენტის შემსწავლელი ცენტრის ბაზაზე, ხორციელდება ანალოგიური პროგრამები, რომლებიც მკაცრად რეგლამენტირებული არ არის. სამაგისტრო პროგრამა შედგება მინიმუმ 30 კრედიტისგან, რომელიც მოიცავს სავალდებულო შესავალ კურსს უმაღლესი განათლების პრობლემებზე 15 კრედიტის ფარგლებში, მასში გათვალისწინებულია სხვადასხვა კურსები, სემინარები, პრაქტიკუმები, დამოუკიდებელი სწავლება და სავალდებულო კურსი განათლების სტატისტიკაში, რაც საბოლოოდ მეტ მოქნილობას სძენს სამაგისტრო პროგრამას, რომელიც შედგება ცალკეული კურსებისგან (მოდულებისგან). საბაზო კურსები რეკომენდებულია ყველა სტუდენტისთვის, მაგრამ აქვე გათვალისწინებულია სტუდენტის ინტერესებიც, მათ სრული თავისუფლება ენიჭებათ, როგორც ეკლექტიური კურსების შესწავლისას, ისე მომიჯნავე საგნების არჩევისას.

სწავლის დასაწყისშივე, თითოეულ სტუდენტ–მაგისტრანტს გამოუყოფენ ორ კონსულტანტს – ერთს სპეციალობაში, მეორეს უმაღლესი განათლების სფეროში. სტუდენტის მიერ შესწავლილი კურსები, გასავლელი პრაქტიკა და სამაგისტრო

თემაზე მუშაობა გათვალისწინებულია სტუდენტსა და კონსულტანტს შორის წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებით (შეთანხმებით).

როგორც აღინიშნა, ამერიკული უმაღლესი განათლების სისტემაში ტიპური სასწავლო გეგმის ცნება არ არსებობს. რადგან სამაგისტრო პროგრამები ერთსა და იმავე სპეციალობაში, სწავლის ხანგძლივობის თვალსაზრისით, განსხვავდება სხვადასხვა უნივერსიტეტში (1 – დან 3 წლამდე), ასევე განსხვავებულია სწავლის ფორმებიც, კურსების რაოდენობა და შინაარსი, პრაქტიკის ხანგძლივობა კომპანიებში, სამაგისტრო დისერტაციის მომზადებისა და გამოსაშვები გამოცდების ჩაბარების პირობები და სხვა. ასეთ მოთხოვნებს, როგორც წესი, უშუალოდ ადგენენ კონკრეტული უნივერსიტეტები, თუმცა ზოგადი წესები შეთანხმებულია შესაბამის სააკრედიტაციო სააგენტოსთან.

სწავლის დაწყებისას სტუდენტი პროფესორისგან იღებს სასწავლო კურსის პროგრამას, რომელშიც მოცემულია კურსის მიზანი და ამოცანები, რეკომენდებული ლიტერატურა, მეცადინეობისა და ინდივიდუალური კონსულტაციების განრიგი (office hours), დავალებების ნუსხა და შეფასების კრიტერიუმები. როგორც წესი, ყოველი კურსი მთავრდება ჩათვლით ან გამოცდით. შემაჯამებელი გამოცდა (final examination) საერთო შეფასების 50 % - ს შეადგენს. კურსის შემაჯამებელი შეფასებები ნაწილდება შემდეგი თანმიმდევრობით: 1. შუალედური გამოცდა (25 %), წერითი ნამუშევრის ჩათვლა (25 %), განხილვებში მონაწილეობა (10 %), შემაჯამებელი გამოცდა (40 %) ან კიდევ, პირველი დავალება (წერითი სამუშაო) – 15 %, მეორე დავალება (წერითი) – 25 %, მესამე დავალება (წერითი) – 20 %, მეცადინეობებზე დასწრება და აქტივობა – 20 %, საბოლოო გამოცდა – 20 %.

შეფასების ასეთი სისტემა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა დამოუკიდებელ მუშაობას, სტიმულს აძლევს მათ სისტემატურ და აქტიურ მეცადინეობას მთელი სემესტრის მანძილზე, რაც დადებითად აისახება განათლების ხარისხზე.

განათლების მენეჯმენტის შესწავლით დაინტერესებულ მაგისტრანტებს სთავაზობენ პოპულარულ სასწავლო კურსებს: უმაღლესი განათლების სასწავლო გეგმები (Curricula in Higher

Education); მმართველობა უმაღლეს განათლებაში (Administration in Higher Education); ამერიკის უმაღლესი განათლების ისტორია (The History of American Higher Edu-cation); სტუდენტები და კლიენტები უმაღლეს განათლებაში (Higher Education Students and Clients); უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა (Organization Theory and Higher Education).

ამერიკული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია ზოგიერთი დასკვნის ჩამოყალიბება ჩვენთვის საინტერესო – განათლების მენეჯმენტის ირგვლივ. თუმცა ის, რაც აშშ–ში რამდენიმე ათწლეულის წინ გაკეთდა, ჩვენთან მას ახლა ეყრება საფუძველი, მაგრამ ამერიკელები თუ ამ საქმეში გზის გამკვალავები იყვნენ, ჩვენ, ამ თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყნების უდიდესი გამოცდილება გვაქვს საფუძვლად. ამიტომ ამ ნოვაციის დამკვიდრება ჩვენთან სწრაფად მოხდება.

ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების რეფორმის მიმდინარეობის ტემპებიც გვაძლევს. სწორედ რეფორმის ფარგლებში გატარდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტური მართვის სისტემის დამკვიდრებისთვის. ამ თვალსაზრისით, პირველი ნაბიჯი სამართლებრივი ბაზის შექმნისთვის გადაიდგა. სწორედ რეგლამენტირებული სამართლებრივი ურთიერთობები ქმნიან ზოგადად მართვის მეცნიერებისთვის და მოცემულ შემთხვევაში კი – განათლების მენეჯმენტისთვის მკვიდრ საფუძველს. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა მივმართოთ ქვეყნის კანონმდებლობას, რომლის თანახმად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმებია: საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც სახელმწიფო აფუძნებს და კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შეიძლება დაფუძნდეს „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით.

საქართველოს კანონებმა ზოგადი და უმაღლესი განათლების შესახებ, სათავე დაუდეს განათლების სისტემის და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის თანამედროვე მიმართულებებს. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესები

ეროვნული განათლების ევროპულ სისტემაში ინტეგრაციას ისახავს მიზნად. ამ თვალსაზრისით, ჩვენი ინტერესის საგანს უმაღლესი განათლება წარმოადგენს, რომელიც ბოლონიის პროცესის ფუძემდებლური პრინციპების საფუძველზე, ევროპის უმაღლესი განათლების კვალდაკვალ, აქტიურად ნერგავს ცივილიზებულ სამყაროში დამკვიდრებულ უმაღლესი განათლების მართვის თანამედროვე მეთოდებს.

როცა მენეჯმენტზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მართვის მეცნიერება, რომელიც იმდენად ყოვლისმომცველია, რომ მისი ინტერესის სფეროში ექცევა ადამიანური საქმიანობის ყველა დარგი, მათ შორის განათლებაც.

საქართველოში განათლების მენეჯერთა მომზადების პრობლემა, გასაგები მიზეზების გამო, უკანასკნელ დრომდე არ დასმულა დღის წესრიგში. ჩვენში არათუ მენეჯერთა მომზადება, არამედ თვით ტერმინი „განათლების მენეჯმენტიც" არ გამოიყენებოდა. მეორე წელია ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განათლების ფაკულტეტზე ამოქმედდა განათლების მენეჯერთა სამაგისტრო პროგრამა. იგი მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის მენეჯერების მომზადებას. ანალოგიური პროექტები აქვთ ქვეყნის სხვა უნივერსიტეტებსაც. ხოლო, რაც შეეხება უმაღლესი განათლებისთვის მენეჯერთა მომზადებას, ამისთვის განსხვავებული მიდგომებია საჭირო.

უმაღლესი განათლების მენეჯმენტის შესწავლა მიმდინარეობს სხვადასხვა უნივერსიტეტში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში. ასეთი მიდგომა ძალიან ჰგავს აშშ–ის მაგალითს. კერძოდ, განათლების თეორიისა და მენეჯმენტის კურსს შეისწავლიან ის მაგისტრანტები, რომლებიც პედაგოგიური საქმიანობისთვის ემზადებიან. გაცილებით მეტი ინტერესი უნდა გამოავლინონ ასეთი კურსის შესწავლაში დოქტორანტებმა, რადგან ამ საფეხურის დასრულების შემდეგ მათ აბსოლიტურ უმრავლესობას უმაღლეს სასწავლებელში მოუწევს მოღვაწეობა. ამიტომ მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი კურსების შესწავლა. გასათვალისწინებელია აგრეთვე იმ კატეგორიის დოქტორანტთა მომავალი საქმიანობაც, რომლებიც წმინდა სამეცნიერო ასპარეზზე მოახდენენ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაციას. მათ კარგად

უნდა ახსოვდეთ, რომ უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და მენეჯმენტი ითვალისწინებს მეცნიერული მუშაობის მეთოდური საკითხების შესწავლასა და დოქტორანტებთან ურთიერთობის პრობლემების განხილვას.

ათწლეულების მანძილზე, როგორც ჩვენ ქვეყანაში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, განათლების სისტემისა და სკოლების მართვის აღმნიშვნელ ტერმინად „სკოლის მართვა და ხელმძღვანელობა" ან „სკოლათმცოდნეობა" გამოიყენებოდა, რომელიც დღემდე შემორჩა პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში. რასაკვირველია, საგანმანათლებლო დაწესებულებათა მაშინდელ ხელმძღვანელობასა და თანამედროვე მართვას შორის მარტო ტერმინოლოგიური განსხვავება არ არის. ტოტალიტარიზმის პირობებში, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების, ასევე განათლების სისტემის მართვაც ცენტრალიზმის პრინციპებზე იყო აგებული, თუმცა „ფასადის შესალამაზებლად" მმართველობის ამ სისტემას დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე დაფუძნებულ მართვას უწოდებდნენ, მაგრამ მას საერთო არაფერი ჰქონდა დემოკრატიასთან.

რაკი ზოგადად მენეჯმენტი მართვის მეცნიერებაა, აქედან გამომდინარე, ლოგიკური იქნება უმაღლესი განათლების მენეჯმენტის დეფინიციისას გავითვალისწინოთ განათლების სისტემის და საგანმანათლებლო პროცესების სპეციფიკა. ამის გათვალისწინებით მისი განმარტება ასეთ სახეს მიიღებს:

უმაღლესი განათლების მენეჯმენტი არის მართვის ორგანიზებული სისტემა, რომელიც მყარად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული ფორმების, პრინციპებისა და მეთოდების საფუძველზე უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო–აკადემიური პროცესების, ადამიანური რესურსებისა და მათთან დაკავშირებული სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების ეფექტურ მართვასა და პროგნოზირებას.

უმაღლესი განათლების მენეჯმენტი პრაქტიკულად 5 ძირითადი მიმართულებით ხორციელდება, ეს მიმართულებებია:

1. უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვა;
2. განათლების ხარისხის მართვა;

3. ინოვაციური პროცესების მართვა (საფინანსო–ეკონომიკური და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროექტები);

4. საერთაშორისო პროექტების მართვა;

5. საგანმანათლებლო ინოვაციური ტექნოლოგიების მართვა.

საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ", ზუსტად არის გამიჯნული როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციები უმაღლესი განათლების სისტემის მართვაში, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეული რგოლების (საქართველოს მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) უფლებამოსილება (თავი II). ამასთან ერთად, უმაღლესი განათლების სისტემაში ასევე ზუსტად არის რეგლამენტირებული ცალკეულ უმაღლეს სასწავლებლებელთა კომპეტენციები მართვის სფეროში (თავი III, მუხლი 10), რაც ნათლად ცხადყოფს მართვის პროცესში, ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალურ შეხამებას (30).

აღნიშნულმა კანონმა ზუსტად განსაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პრინციპები,[1] რომელიც აშკარად დემოკრატიული მონაპოვარია. იგი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ევროინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე.

---

[1] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის პრინციპები: 1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს: ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებების, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელძღვანელის ანგარიშებისა და ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის; ბ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას; გ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში; დ) თანასწორ მოპყრობას განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა; ე) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არჩევნების სამართლიანობასა და გამჭირვალობას, კონკურსების საჯაროობას. 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

აქედან გამომდინარე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ამჟამად რეალური დემოკრატიული მართვა მკვიდრდება, განსხვავებით საბჭოური სისტემისგან, როცა არჩევითობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა. საკონკურსო აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურენცია ფორმალურადაც არასდროს დაფიქსირებულა. დღესდღეობით ასეთი მანკიერებანი წარსულის კუთვნილებაა. უმაღლესი სასწავლებლების მართვაში მონაწილეობენ არა მარტო აკადემიური თანამდებობის პირები, არამედ სტუდენტებიც, რაც რეალური დემოკრატიული პროცესების აშკარა გამოვლენაა.

განათლების მენეჯმენტი ზოგადი მენეჯმენტის სპეციფიკური ნაირსახეობაა, რადგან თვით განათლების სისტემა არის განსხვავებული საქმიანობის სფერო. განათლებას ბევრი რამ განასხვავებს მატერიალური წარმოების სხვა დარგებისგან, ამიტომ მისი მენეჯმენტიც სპეციფიკურია. განსხვავება პირველ რიგში გამოიხატება საქმიანობის შედეგით, რაც მართვას მოჰყვება. თუ მატერიალური წარმოების მართვის შედეგს, ნივთიერი გამოხატულება აქვს, განათლებისა და მეცნიერების ეფექტური მენეჯმენტის ამოცანას ინტელექტუალური და სულიერი ფასეულობების შექმნა წარმოადგენს. ამიტომაცაა უმაღლესი განათლების მართვა სპეციფიკური და განსხვავებული სხვა სფეროების მენეჯმენტისგან.

აკადემიური თავისფლება უმაღლესი განათლების ფუნდამენტური პრინციპია. იგი უნივერსიტეტების დიდი ქარტიის წარმმართველი მიმართულებაა. ზოგადად თავისუფლება, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საყოველთაო დეკლარაციაშია გაცხადებული, ცივილიზებული, ჰუმანური საზოგადოების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია, ამიტომ აკადემიური თავისუფლებაც მისი ტოლფარდი ცნების მნიშვნელობას იძენს საგანმანათლებლო სივრცეში. სწორედ აკადემიური თავისუფლება არის განვითარებისა და პროგრესის საფუძველი, რომლის გარეშეც უბრალოდ ვერ იარსებებს სრულფასოვანი განათლება და მეცნიერება. აქედან გამომდინარე, ეფექტური მენეჯმენტის უცილობელი პირობა სწორედ აკადემიური თავისუფლებაა.

რაკი უმაღლესი განათლების მიზანს სტუდენტის შემეცნებითი უნარების განვითარება, კრიტიკული აზროვნების

ფორმირება და მისი ეროვნული და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მომზადებაა, ამიტომ ყოველგვარი საქმიანობა, რაც უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს, სტუდენტზეა ორიენტირებული. საგანმანათლებლო პროცესის ობიექტი სტუდენტია, ყველაფერი მათზეა გათვლილი, მათ შორის გამონაკლისი არც უმაღლესი განათლების მენეჯმენტია, რომელშიც არა მარტო გათვალისწინებულია სტუდენტთა ინტერესები, არამედ მის განხორციელებაში თვით სტუდენტები იღებენ მონაწილეობას. მათი როლი და ადგილი გარანტირებულია საკანონმდებლო და სხვა ნორმატული აქტებით.

ეკონომიკურ თეორიაში და ზოგადად მენეჯმენტში აღიარებულია წარმოებისა და ბიზნესის განვითარებაში გეოგრაფიული, ეთნიკური და ზნეობრივი ფაქტორების გავლენა. აღნიშნული გარემოებები გაცილებით დიდ როლს ასრულებენ განათლებაში და მეცნიერებაში. რადგან განათლება ინტელექტუალური საქმიანობაა, მასში გაცილებით დიდია ტრადიციებისა და სულიერი ღირებულებების გავლენა. განათლების მენეჯმენტი ითვალისწინებს ეროვნულ ტრადიციებს, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ზნეობრივ ნორმებსა და მოსახლეების უმრავლესობის მენტალობას, რომელიც არ ზღუდავს სხვა ეთნიკური ჯგუფებისა და განხსვავებული რწმენის ადამიანების განათლებას. აქედან გამომდინარე, განათლების მენეჯმენტი ერთი მხრივ, უნდა ითვალისწინებებდეს ავტოქტონური ერის მენტალობას, კულტურულ ტრადიციებს და მეორე მრივ, ტოლერანტული უნდა იყოს სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვყოთ უმაღლეს სკოლაში განათლების მენეჯმენტის განხორციელების საშუალებები, ასეთებია:

<>უმაღლესი სკოლის მართვის დემოკრატიულობა;

<>მართვის პროცესში ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შეხამება;

<>მართვის პროცესის სპეციალიზაცია (სპეციფიკურობა);

<>აკადემიური თავისუფლება;

<>მომხმარებლის ანუ სტუდენტის ინტერესების პრიორიტეტულობა;

<>უმაღლესი სასწავლებლის ტრადიციების, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების მენტალობის გათვალისწინება.

უმაღლეს სკოლაში განათლების მენეჯმენტის განხორციელების საშუალებები ახლოს დგას მართვის პრინციპებთან, რომელიც ნორმატიულ, სავალდებულო ხასიათს ატარებს, ხოლო განათლების მენეჯმენტის განხორციელების საშუალებებს სახელმძღვანელო–რეკომენდაციული ხასიათი აქვს. ისინი ქმედითი მენეჯმენტის განხორციელების ინსტუმენტებია.

როგორც ზოგადი მენეჯმენტის თეორიაში, განათლების მენეჯმენტშიც გამოიყოფა ძირითადი ფუნქციები, ესენია: ***დაგეგმვა, მოტივაცია, ორგანიზაცია, კონტროლი და ხელმძღვანელობა (გაძღოლა).***

უმაღლესი განათლების მენეჯმენტში გამოიყოფა აგრეთვე მართვის სამი დონე: ***საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და ლექტორის დონე.*** ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია თვითრეგულაციის პროცესები, რომელიც ბევრ საკითხს ბუნებრივად არეგულირებს, თუმცა, სწორი მიმართულების მიცემა პერიოდულად მასაც ესაჭიროება.

უმაღლესი განათლების მენეჯმენტში გამოყოფენ სწავლების მენეჯმენტსაც, რომელიც მხოლოდ სასწავლო პროცესის მართვას ითვალისწინებს. სწავლების მენეჯმენტი პირობითად მართვის მესამე დონეს – ლექტორის მიერ სასწავლო პროცესების მართვას შეიძლება ეწოდოს. თუმცა, ასეთი დანაწევრება სარგებლობის მომტანი არ იქნება, რადგან სასწავლო პროცესის განხორციელების თეორიული განზოგადება და მისი მეთოდური უზრუნველყოფა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირეულ პრობლემას შეადგენს. ხოლო, რაც შეეხება „პედაგოგიურ მენეჯმენტს",[1] იგი პედაგოგიკის

[1] უკანასკნელ პერიოდში საგანმანათლებლო სივრცეში დამკვიდრდა ტერმინი „განათლების მენეჯმენტი", მასში მოიაზრება პრინციპების, მეთოდების, ორგანიზაციული ფორმებისა და ტექნოლოგიური საშუალებების კომპლექსი, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურობის ამაღლება. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროცესი გულისხმობს სასწავლო–აღმზრდელობით, სასწავლო–შემეცნებით და თვითგანათლების პროცესების ერთიანობას. აქედან გამომდინარე,

სინონიმად და მის ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან დამოუკიდებელი მეცნიერებისთვის საჭირო ატრიბუტები მას ჯერ არ გააჩნია. დასაშვები და ამასთან ერთად საჭიროცაა, ზოგადი პედაგოგიკის იმ ნაწილს, რომელსაც „სკოლათმცოდნეობას" ეძახდნენ, სასკოლო მენეჯმენტი ეწოდოს. მაგრამ სახელის შეცვლის კვალდაკვალ საჭიროა, მანაც გაიზიაროს თანამედროვე მენეჯერული მართვის მიღწევები. მით უფრო, რომ ასეთი მექნიზმები გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ".

უმაღლესი განათლების მენეჯმენტში, მართვის ყველა დონეზე გადაწყვეტილების მომზადება შედგება რამდენიმე ეტაპისგან. ზოგადი მენეჯმენტის ანალოგიით, განათლების მენეჯმენტში შეიძლება გამოვყოთ გადაწყვეტილების მომზადების 5 საფეხური: ***1. პრობლემის დასმა; 2. ალტერნატივების გამოვლენა, 3. მისაღები ვარიანტის არჩევა; 4. მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკაში დანერგვა; 5. შედეგის შემოწმება.***

უმაღლესი განათლების მენეჯმენტის პრაქტიკულად განხორციელებისას, შესაძლებელია მთელი რიგი პრობლემები წამოიჭრას, რასაც, სასურველია მომზადებული შევხდეთ. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული კომუნიკაციური პრობლემები. მათი შეუფასებლობა ხშირად მარცხის წინაპირობაც გამხდარა. ამიტომ კომუნიკაციური ბარიერების ოპტიმალური გადალახვისთვის, მართვის სამივე დონეზე (საუნივერსიტეტო, საფაკულტეტო და ლექტორის დონეზე), სასურველია გათვალიწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებები:

1. კომუნიკაციის მნიშვნელობისა და უნარების სათანადოდ გააზრება და შეფასება;
2. ფსიქოლგიური განწყობა (აზროვნების სტერეოტიპი, წინასწარ შექმნილი აზრი, დამოკიდებულება ადამიანებთან, ყურადღება და ინტერესი სხვათა მიმართ, ფაქტობრივი მონაცემების სისრულე და სხვა);

ფაქტობრივად ყველა მასწავლებელი არის სასწავლო–შემეცნებითი პროცესის მენეჯერი, ხოლო სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი, მთლიანი სასწავლო–აღმზრდელობითი პროცესის მენეჯერი. იხ. ნ. ვასაძე, პედაგოგიკა, თბ., 2000, გვ. 112.

3. კომუნიკაციის სტრუქრურა: მეტყველების მანერა, სიტყვების მიზანმიმართული გამოყენება, მსჯელობისას მსმენელი იმდაგვარად უნდა განვაწყოთ, რომ ყურადღება გადაიზარდოს საფუძვლიან ინტერესში, ინტერესიდან ძირეულ დებულებებამდე, ძირეული დებულებებიდან – კამათამდე და შეკითხვებამდე, შეკითხვებიდან – დასკვნებამდე, დასკვნებიდან – მოქმედებამდე. აქვე გასათვალისწინებელია კომუნიკაციის სანდოობის ხარისხის გათვალისწინება და კორექტულობა ინფორმაციის მიღებისას;

4. მეხსიერების პრობლემის გააზრებისას გასათვალისწინებელია, რომ შესწავლიდან (მიღებული ინფორმაციიდან) 24 საათის შემდეგ ადამიანს უფრო მეტი ავიწყდება, ვიდრე შემდგომი 2 წლის განმავლობაში. მეორე დღეს შესწავლილის 25–30 % ახსოვს სტუდენტს. ამიტომ ამ თვალსაზრისით ეფექტურია საკრედიტო სისტემა, რომელიც დროში განაწილებულ სწავლას გულისხმობს.

5. უკუკავშირის უქონლობა: ცოდნის სიმტკიცე, განათლების მაჩვენებლები, ერუდიციის დონე, მსოფლმხედველობრივი წარმოდგნები.

6. აკადემიური ჯგუფის მახასიათებელთა შესწავლის მდგომარეობა.

აღნიშნული გარემოებები მეტნაკლებად გასათვა-ლისწინებელია განათლების მენეჯმენტის პრაქტიკულად განხორციელებისას. მაგრამ აქ ერთ დეტალზეც უნდა გამახვიდეს ყურადღება. ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი არ ვრცელდება, ან ნაწილობრივ ვრცელდება მართვის სამივე დონეზე. მაგალითად, I –III ფაქტორი უპირატესად განათლების მართვის მენეჯმენტში გამოიყენება, მაშინ, როცა IV – VI ფაქტორები წამყვანია სწავლების პროცესში და მათი გათვალისწინება ლექტორის დონეზე ხდება. თუმცა, როგორც ითქვა, მათ შორის მკაცრად გამიჯნული საზღვრები არ არსებობს.

განათლების მენეჯმენტში აქტიურად გამოიყენება სასწავლო –საგანმანათლებლო პრაქტიკაში დამკვიდრებული წახალისებისა და დასჯის მეთოდები. აღნიშნული მეთოდები აგრეთვე მიღებულია ზოგად მენეჯმეტში, რომელიც 1911 წელს ფ. ტეილორმა შემოიღო წარმოების ეფექტურობის ამაღლების

მიზნით. ფ. ტეილორი ყოველ მუშაკს ისეთი სამუშაოს შესრულებას ავალებდა, რომლის დაძლევაც მას შეეძლო, როგორც ინტელექტუალურად, ასევე ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით. განათლების თეორიაში ასეთ მიდგომას დასაძლევობისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების პრინციპს უწოდებენ, რომელიც მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იან ამოს კომენსკის სახელს უკავშირდება. ამასთან ერთად, ფ. ტეილორს დაუმკვიდრებია წარმატებული მუშაკების მატერიალური წახალისება, რომელსაც ასევე შეიძლება მოეძებნოს პარალელი განათლების თეორიაში. წახალისება და დასჯა ხომ აღზრდის ნაცადი მეთოდებია. თუკი წარმოებაში კარგი მუშაობის საზღაური მაღალი ხელფასია, კარგი სწავლის მოტივი – პროფესიული და საზოგადოებრივი წარმატებებია.

აღნიშნული მეთოდები მეტნაკლები ინტენსივობით გამოიყენება განათლების მენეჯმენტში, განსაკუთრებით კი ლექტორის დონეზე. თუმცა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო დონეებზეც შეიძლება წარმატებული მუშაკის მატერიალირი წახალისება, რაც ეფექტური მენეჯმენტის ერთ–ერთი გამოვლენაა.

ამდენად, უმაღლესი განათლების არსისა და ძირითადი მახასიათებლების გაცნობის შემდეგ, მეტი თავდაჯერებით შეიძლება აღინიშნოს, რომ უმაღლესი სკოლის ეფექტური მართვის საქმეში რეალური წარმატების მიღწევას მხოლოდ პროფესიონალი მენეჯერები შეძლებენ. უმაღლესი სკოლის თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით მართვა უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების სისტემის ევროინტეგრაციის საფუძველი. ამ მიზანს ემსახურება მიმდინარე რეფორმაც და მის ფარგლებში განათლების მენეჯერთა მომზადებაც.

კითხვები და დავალებები:

1. სად და როგორ პირობებში აღმოცენდა განათლების მენეჯმენტი ?
2. როგორი პროცესების აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „საგანმანათლებლო მენეჯმენტი” ?

3. რას ითვალისწინებს განათლების მენეჯერთა მომზადება აშშ–ში ?
4. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი განათლების მენეჯმენტის არსი;
5. რა მიმართულებებს უნდა ითვალისწინებდეს უმაღლესი განათლების მენეჯმენტი ?
6. დაასაბუთეთ აკადემიური თავისუფლების როლი უმაღლესი განათლების მენეჯმენტში;
7. ჩამოაყალიბეთ უმაღლეს სკოლაში მენეჯმენტის განხორციელების საშუალებები;
8. გამოყავით მართვის დონეები უმაღლესი განათლების მენეჯმენტში და დაახასიათეთ ისინი.

უმაღლესი სკოლის სტრუქტურა, მართვის ორგანოები და აკადემიური პერსონალი

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ორი სახისაა: უნივერსიტეტი და ინსტიტუტი (უმაღლესი სკოლა). ორგანიზაციულ– სამართლებრივი ფორმის მიხედვით ისინი შეიძლება იყვნენ საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირები (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", მუხლი 9).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (უნივერსიტეტი, ინსტიტუტი) შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისგან – ფაკულტეტებისგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების: რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან (მუხლი 14).

აღნიშნული კანონის თანახმად, განსაზღვრულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები ანუ მმართველი სუბიექტები, ესენია: *აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ხოლო ფაკულტეტის მართვის ორგანოებია (მმართველი*

სუბიექტებია): ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (მუხლი 15).

როგორც წინა პარაგრაფში აღინიშნა, უმაღლეს სასწავლებელში განათლების მენეჯმენტი სამ დონეზე ხორციელდება, ესენია: საუნივერსიტეტო (საინსტიტუტო), საფაკულტეტო და აკადემიური პერსონალის (ლექტორის) დონე. მათგან ოფიციალური სტატუსი საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დონეებს მიეკუთვნება. რაც შეეხება მესამე – ლექტორის დონეს, იგი თვითრეგულაციითა და პიროვნული კომუნიკაციის მეშვეობით მიიღწევა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების ანუ მმართველი სუბიექტების არჩევა ხდება უმაღლესი საწავლებლის ფარგლებში საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. არჩევნების წესს განსაზღვრავს მოცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) წარმომადგენლობითი ორგანოა წარმომადგენლობითი საბჭო, რომელსაც ირჩევენ ფაკულტეტების აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ვადა ძირითად საფეხურზე სწავლის ხანგრძლივობის ტოლია.

სასწავლო–საგანმანათლებლო პროცესები ახალი კანონმდელობით რეალურად სტუდენტზე ორიენტირებულია. სტუდენტთა ინტერესების დაცვა გარანტირებულია მათი მონაწილეობით უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგელობით და ფაკულტეტის საბჭოებში. სტუდენტები უნდა შეადგენდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს, ხოლო ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის დებულებით, მაგრამ არ შეიძლება იყოს საბჭოს შემადგენლობის 1/4 - ზე ნაკლები.

წარმომადგენლობითი საბჭო დემოკრატიულ საწყისებზე მოქმედებს, ამიტომ მისი წევრი არ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენელი. ასევე დაუშვებელია ერთდროულად პირის არჩევა აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებში.

წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება ვრცელდება ადმინისტრაციული და საფინანსო–ეკონომიკური

საქმიანობის სფეროში (მუხლი 18). წარმომადგენლობითი საბჭო ირჩევს აგრეთვე წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს და აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომებს ამზადებს და ატარებს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი.

პერსონალურ დონეზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი, ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების სფეროში, რომელიც წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელს საფინანსო–ეკონომიკურ ურთიერთობებში. იგი ანგარიშვალდებულია უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დადგენილი წესის შესაბამისად, პერიოდულად აბარებს ანგარიშს აღნიშნულ საბჭოებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) აკადემიური საბჭო, რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ.

აკადემიურ საბჭოში ყველა ფაკულტეტისთვის თანაბარი ადგილებია გამოყოფილი. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა მხოლოდ პროფესორი.

აკადემიური საბჭო შეიმუშავებს და ამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო–კვლევით პროგრამებს და კოორდინირებას უწევს იმ ღონისძიებათა კოპლექსს, რომელიც განაპირობებს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერული კვლევების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას.

უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საბჭო ირჩევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორს, რომელიც ამავდროულად არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. იგი უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირია და წარმოადგენს უმაღლეს სასწავლებელს ქვეყნის შიგნითა და გარეთ აკადემიურსა და სამეცნიერო სფეროებში, რისთვისაც უფლებამოსილია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით დადოს გარიგებები და შეთანხმებები. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების, შეთანხმების დადება დაკავშირებულია ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებთან, მათ ხელს აწერს აგრეთვე ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (მუხლი 22).

ამრიგად, კანონის საფუძველზე სრულიად ახალი თვისებრიობა შეიძინა უმაღლესი სასწავლებლის მართვის ორგანოებმა. თუ აქამდე, უნივერსიტეტის რექტორი ხელმძღვანელობდა და წარმართავდა სასწავლო–სამეცნიერო, ადმინისტრაციულ და საფინანსო საქმიანობას, ახლა მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და ერთი მხრივ, გაიმიჯნა უფლებამოსილება წარმომადგენლობით და აკადემიურ საბჭოებს შორის, აქედან გამომდინარე, შესაბამისად გამიჯნულია რექტორის, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის და მეორეს მხრივ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის ფუნქციები და უფლებამოსილებანი. რექტორი ხელმძღვანელობს სასწავლო – სამეცნიერო საქმიანობას და საერთაშორისო კავშირებს, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი – ადმინისტრაციულ და საფინანსო–ეკონომიკურ საქმიანობის უშუალო წარმმართველია.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველ სუბიექტებს შორის ახალი სტრუქტურული რგოლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იგი წარმართავს უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობის ხარისხის კონტროლს და აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატურ შემოწმებას.

უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობაში ეყრდნობა ადგილობრივ რესურსებს და აგრეთვე მჭიდრო კავშირებს ამყარებს, თანამშრომლობს საძღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებესის შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოწოდებულია ხელი შეუწყოს სწავლებისა და სწავლის მაღალი ხარისხის მიღწევას. ამ მიზნით იგი სისტემატურად ამუშავებს და სრულყოფს საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო გეგმებს, მოდულებს, სილაბუსებს და სხვა სასწავლო – პროგრამულ დოკუმენტებს. ადგენს შეფასების კრიტერიუმებს და აკრედიტაციის პროცესისათვის ამზადებს შესაბამის მასალებს.

უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოს წარდგინებით, ხოლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. ამ თანამდებობაზე აირჩევა მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

უმაღლეს სასწავლებელში განათლების მენეჯმენტის მეორე საფეხური ფაკულტეტია. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ფაკულტეტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სასწავლო, სამეცნიერო–კვლევითი (კათედრა, სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კლინიკა, პროგრამული მიმართულება და სხვა) და დამხმარე (ბიბლიოთეკა და სხვა) სტრუქტურული ერთეულები.

ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები (მუხლი 27).

საფაკულტეტო მმართველობის დონეზე უფლებამოსილებები თავმოყრილია ფაკულტეტის საბჭოს ხელში. აქ უფლებამოსილებათა ისეთ გამიჯვნასთან არ გვაქვს საქმე, როგორც ეს ხდება აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებს შორის. სადაც სასწავლო – სამეცნიერო საქმიანობას აკადემიური საბჭო ხელმძღვანელობს, ხოლო ადმინისტრაციულ და საფინანსო–ეკონომიკურ საქმიანობას წარმომადგენლობითი საბჭო უძღვება. ამისგან განსხვავებით, ფაკულტეტზე როგორც საფინანსო–ეკონომიკურ, ისე სასწავლო–კვლევითი საქმიანობის სტრატეგიას მხოლოდ ფაკულტეტის საბჭო აყალიბებს. ამასთან ერთად, ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ფაკულტეტის დეკანს, ხირისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ამტკიცებს

სადისერტაციო საბჭოს დებულებას, ფაკულტეტის სტუქტურას და გადაწყვეტილებებს იღებს საფაკულტეტო მმართველობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

პერსონალურ დონეზე ფაკულტეტს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი, რომელსაც ფაკულტეტის საბჭო ირჩევს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირთაგან. ფაკულტეტის დეკანი ანგარიშვალდებულია უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წინაშე. იგი პასუხისმგებელია აგრეთვე ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელებაზე. თავის მხრივ, დეკანი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს და ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იმავე ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს ახორციელებს, რასაც უმაღლესი სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ოღონდ საფაკულტეტო დონეზე.

უმაღლეს საწავლებლებში სასწავლო და სამეცნიერო კვლევით საქმიანობას წარმართავს აკადემიური პერსონალი, რომელიც შედგება პროფესორებისგან. პროფესორთა შემადგენლობას მიეკუთვნება: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ – პროფესორი. აკადემიური პერსონალი აირჩევა კონკურსის საფუძველზე განსაზღვრული ვადით. კონკურსის ჩატარების წესს შეიმუშავებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

პროფესორად და ასოცირებულ პროფესორად აირჩევა მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ხოლო ასისტენტ–პროფესორად დოქტორი ან დოქტორანტი (მუხლი 35).

ახალი კანონმდებლობა აკადემიურ პერსონალს ძირეულად უფართოვებს უფლებებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია, რომ მათ ამიერიდან, რეალურად შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ უმაღლესი სასწავლებლის მართვაში. ამის ბერკეტებს აკადემიურ პერსონალს ანიჭებს მოქმედი საარჩევნო სისტემა, რომელიც საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო (საინსტიტუტო) დონეებზე შეუზღუდავად გარანტირებულია. გარდა ამისა, მათ, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, საგანმანათლებლო პროგრამის

ფარგლებში, დამოუკიდებლად შეუძლიათ განსაზღვრონ სასწავლო პროგრამის შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები, გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები, განახორციელონ სწავლება, კვლევა და შემოქმედებითი საქმიანობა.

აკადემიური პერსონალის გარდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს (რექტორი, ადმინისტრაციის ხელძღვანელი, ფაკულტეტის დეკანი, მათი მოადგილეები), მასწავლებელთა შემადგენლობას (მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი) და დამხმარე პერსონალს (მუხლი 40).

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მართვა უფლებამოსილებათა დანაწილების პრინციპის საფუძველზე ხორციელდება. მმართველი სუბიექტებია: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო. მეოთხე სუბიექტი ანუ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენცია ვრცელდება მხოლოდ სახელოვნებო და სასპორტო უმაღლეს სასწავლებლებზე, განსხვავებით დანარჩენი სამი სუბიექტისგან, რომლებიც ზუსტად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მონაწილეობენ უმაღლესი განათლების სისტემის მართვაში დაწყებული საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით და დამთავრებული ერთიანი ეროვნული გამოცდების ორგანიზებითა და სასწავლო დაწესებულებების ლიცენზირება–აკრედიტაციით.

კითხვები და დავალებები:

1. ჩამოთვალეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველი სუბიექტები;
2. ვინ ირჩევს მმართველ ორგანოებს და აკადემიურ პერსონალს ?
3. ჩამოაყალიბეთ აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების უფლებამოსილებანი;
4. ჩამოაყალიბეთ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანები;

5. დაახასიათეთ ფაკულტეტის მმართველი ორგანოები;
6. დაახასიათეთ აკადემიური პერსონალის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;
7. უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მმართველი სუბიექტების გარდა, კიდევ რომელ ორგანოებზეა უმაღლესი განათლების სისტემის მართვის უფლებამოსილება გადანაწილებული და რით გამოიხატება იგი ?

უმაღლესი სასწავლებლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა და შრომის ბაზრის გავლენა საგანმანათლებლო პროცესებზე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის სამი სახის რესურსი გამოიყენება; ფინანსური, ადამიანისეული და ინფრასტრუქტურული. ადამიანისეულ რესურსებს შეადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი (აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე), რომელთა შესახებ წინა პარაგრაფში იყო მსჯელობა, ხოლო ინფრასტრუქტურულ რესურსს მიეკუთვნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ქონება (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ". თავი XIV).

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეკონომიკური საქმიანობა რეგულირდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონითა და სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული უფლებამოსილებით.

საქართველოს მოქმედი კანომდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მიეკუთვნებიან არასამეწარმეო საქმიანობის იურიდიულ პირებს. მათ გამიჯვნას არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამ მხრივ აღსანიშნავია ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების ორგანიზაციული მოწყობის ასპექტი და საგადასახადო პოლიტიკის სფერო.

უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით;

ბ) კერძო გრანტის, შემოწირულების სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

გ) საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო–კვლევითი გრანტები;

დ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ ერთეულებზე აბიტურიენტთა მიღების წახალისების მიზნით გამოყოფილი სპეციალური სახელმწიფო–საბიუჯეტო პროგრამები;

ე) დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები (მუხლი 79).

მოქმედი კანონმდებლობა უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების საკმაოდ ფართო სპექტრს ითვალისწინებს, მაგრამ დღეისათვის, მათგან განსაკუთრებით ქმედითია სწავლის საფასური, რომელიც სახელმწიფო და კერძო გრანტით ფინანსდება. როგორ ცნობილია, მათი გამოვლენის წესს არეგულირებს კანონი და იგი საერთო ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტის მიერ ზოგად უნარებში დაგროვილი ქულების საფუძველზე დგინდება. ყოველწლიურად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს სახელმწიფო გრანტით დასაფინსებელი ადგილების რაოდენობას. სახელმწიფო გრანტი სხვადასხვა სახისაა: სრული დაფინანსება, ნაწილობრივი 50 % – ით დაფინანსება და ნაწილობრივი 30 % – ით დაფინასება. ნაწილობრივი გრანტის შემთხვევაში თანხის სხვაობას თვით აბიტურიენტი ფარავს.

აღნიშნული კანონის 79 – ე მუხლის ბ პუნქტით გათვალისწინებული კერძო გრანტი აბიტურიენტის ან მისი მხარდამჭერის მიერ იფარება, შესაძლებელია, კერძო პირმა მოიძიოს სხვა თანხებიც, მაგალითად, რომელიმე კომპანიამ ან კერძო პირმა დააფინანსოს კონკრეტული სტუდენტის განათლება, რაც კანონით ნებადართულია.

სახელმწიფო გრანტით ფინანსდება ყველა აბიტურიენტი, იმის მიუხედავად, თუ სად სწავლობს იგი, სახელწიფო თუ

კერძო უმაღლეს სასწავლებელში. აქ გასათვალისწინებელია ერთი გარემოებაც. სახელმწიფოს მიერ დადგენილი წლიური სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობა 1500 ლარია. ზოგიერთ კერძო უმაღლეს სასწავლებელში კი წლიური სწავლის ქირა 5000 – 6000 ლარია. იმის მიუხედავადად, რომ აბიტურიენტმა ეროვნულ გამოცდებზე მაქსიმალური ქულები დააგროვა და სრული დაფინანსების სახელმწიფო გრანტი მოიპოვა, მისი ოდენობა 1500 ლარზე მეტი ვერ იქნება. ამიტომ ამ თანხის ზემოთ სწავლის საფასური თვით აბიტურიენტმა უნდა დაფაროს. სრული დაფინასება ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებზე და აგრეთვე იმ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებზე, რომლებშიც სწავლის წლიური საფასური არ აღემატება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მოცემული წლისთვის დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

უმაღლესი საგანმანათლელო დაწესებულების ფინანსურ წყაროებს შორის მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფო სამეცნიერო–კვლევითი გრანტი, რომლის გაცემა ხდება კონკურსის საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

უმაღლეს სასწავლებლებს უფლება აქვთ შეასრულონ იურიდიული და კერძო პირების შეკვეთები, მათი კომპეტენციის ფარგლებში. ამ თვალსაზრისით, დიდი პოტენციალი აქვთ ტექნიკური პროფილის უმაღლეს სასწავლებლებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა კომპანიებსა და საწარმოებს მრავალი სამეცნიერო–ტექნიკური ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი, რაც საფუძვლიან მეცნიერულ დამუშავებასა და კვლევას მოითხოვს, ამ თვალსაზრისით, უმაღლეს სასწავლებლებს კარგი პერსპექტივები ექნებათ. ამასთან ერთად, უმაღლესი სასწავლებლის ცალკეულ სამეცნიერო დანაყოფებს და მეცნიერთა ჯგუფებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ღია კონკურსებში და გამარჯვების შემთხვევაში მოიპოვონ გრანტი, ხოლო სამეცნიერო მუშაობისთვის, დადგენილი წესის შესაბამისად, გამოიყენონ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო ბაზა. ასეთი მიზნობრივი გრანტების ხვედრითი წილი სულ უფრო მეტ ადგილ იკავებს უმაღლესი სასწავლებლების საფინანსო საქმიანობაში.

თანამედროვე უმაღლესი სასწავლებლები სამეცნიერო კვლევებზე ორიენტირებულნი არიან, ამიტომ ეს საქმიანობა შესაბამისად აისახება მათ ფინანსურ მაჩვენებლებში. კონკურსების შედეგად გრანტის მოპოვების პერსპექტივა მეცნიერული კვლევების ინტერესს ერთიორად ზრდის, ასეთი მექანიზმის არსებობა უფრო მოტივირებულს ხდის თითოეულ მკვლევარს, რასაც მეცნიერული მიღწევების კვალდაკვალ ფინანსური წარმატებებიც მოაქვს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე სასწავლო–კვლევითი საქმიანობა ორგანულადაა დაკავშირებული ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზართან. თანამედროვე კონკურენტულ გარემოში კვალიფიკაციის შესაბამისი სამუშაო ადგილის მოპოვება, მხოლოდ ხარისხიანი განათლების შედეგად არის შესაძლებელი. ამიტომ უმაღლესი სასწავლებლები ყურადღებით სწავლობენ ინტელექტუალური ბაზრის კონიუნქტურას და მის მოთხოვნებს ითვალისწინებენ საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამდენად, შრომის ბაზრის გავლენა უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაზე ფაქტად იქცა ჩვენ ქვეყანაშიც, ხოლო იმაზე, თუ რამდენად აუღებენ ალღოს ახალ გამოწვევებს, ბევრად იქნება დამოკიდებული უმაღლესი სასწავლებლების არა მარტო წარმატება–წარუმატებლობა, არამედ ბევრი მათგანის არსებობაც.

საშუალო და უფროსი ასაკის მოქალაქეებს კარგად ახსოვთ უახლეს კომუნისტურ წარსულში არსებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც გეგმიური ეკონომიკიდან გამომდინარე, უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრბულებს, როგორც წესი, კვლიფიკაციის შესაბამისად აკმაყოფილებდა სამუშაო ადგილებით. უფრო მეტიც, ზოგჯერ იძულების ბერკეტებსაც (ის კურსადამთავრებული, რომელიც განაწილების ადგილზე 2-3 წელი არ იმუშავებდა არ აძლევდნენ დიპლობს, სწორედ ამის გამო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული განაწილებით მიდიოდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, არამედ ერთიანი საბჭოთა სახელმწიფოს შორეულ ოლქებშიც, მათ შორის ციმბირში და ყაზახეთშიც) იყენებდა მათი განაწილების ადგილებზე

გასაგზავნად. სახელმწიფო იმგვარად განაწყობდა საზოგადოებრივ აზრს, რომ თუ უმაღლესი სასწავლებლის კურსადამთავრებული მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისად არ გააგრძეებდა მუშაობას, მისი განათლებისათვის სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯები წყალში გადაყრილად ითვლებოდა, ხოლო თვით კურსადამთავრებული მორალური გაკიცხვის ობიექტად იქცეოდა. იმჟამინდელი მბრძანებლურ – ადმინისტრირების სისტემა და სახელმწიფო ეკონომიკა შრომითი მოწყობის მტკიცე გარანტიებს ქმნიდა, რომელიც ძირშივე გამორიცხავდა კონკურენციას. მაგრამ ეს იყო წარსულში, ახლა რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა. საბაზრო ეკონომიკა დიდ პერსპექტივებს შლის საზოგადოების წინსვლისთვის, ამასთან ერთად, თითოეული პიროვნებისგან ახალ რეალიებთან და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან ადაპტირება სათანადო ძალისხმევას მოითხოვს.

მართალია, ქვეყანა, ავად თუ კარგად, 90 – იანი წლებიდან ნაბიჯ–ნაბიჯ საბაზრო ეკონომიკისკენ მიიწევდა, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორიც განათლებაა, ასეთი წინსვლა არ იყო. იმის მიუხედავად, რომ ჩვენთან დიდი ხანია დამკვიდრდა ფასიანი სწავლება, დაფუძნენ კერძო უმაღლესი სასწავლებლები და უარიც ვთქვით კომუნისტურ იდეოლოგიაზე, მაგრამ უმაღლესი განათლება მაინც ვერ იქცა ეკონომიკის განვითარების რეგულატორად. ამას უამრავი ახსნა მოეძებნება, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ აქამდე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებლებებში სწავლების ხარისხი ძალიან დაბალია, რაც თავის მხრივ არაკონკურენტული გარემოს შედეგია. უნივერსიტეტები და ინსტიტუტები ზედმეტი ძალისხმევის გარეშე აგროვებდნენ სტუდენტთა კონტინგენტს, რაც მათი არსებობის გარანტია იყო. არაკონკურენტულმა გარემომ უარყოფითად იმოქმედა სწავლების ხარისხზე. თავისთავად, ისედაც სუსტმა საბაზრო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, სამწუხაროდ, გავლენა ვერ მოახდინა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხზე და მთელი უმაღლესი განათლების სისტემა კონკურენციის მიღმა აღმოჩნდა, რამაც იგი კვლავ საბჭოური უმაღლესი განათლების მემკვიდრეობაში დატოვა, ოღონდ იდეოლოგიური

პოსტულატების გარეშე. ქვეყნის არასტაბილურობამ და ბევრწილად განუკითხაობამაც, რამაც კორუფციული გარემოს ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, საერთოდ უპერსპექტივო გახადა კონკურენტული გარემოს შექმნა უმაღლესი განათლების სისტემაში, ამიტომ არის კვლავ აქილევსის ქუსლად ქცეული განათლების ხარისხი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში.

უმაღლესი განათლების სფეროში უკანასკნელ წლებში დაწყებულმა რეფორმამ, საიმედო ტენდენციები გამოკვეთა. ამჟამად ჩვენში არავინ დავობს უმაღლეს სასწავლებლებლებს შორის კონკურენციის აუცილებლობაზე, უფრო მეტიც, ის უკვე უმაღლესი სკოლის მუშაობის განუყოფელ ნაწილად იქცა. თავის მხრივ, კონკურენცია სწავლების ხარისხის განვითარების ყველაზე ქმედითი იარაღია, ხოლო ხარისხიანი განათლება და მეცნიერება, რომელიც განუყოფელია უმაღლესი განათლებისგან, ქვეყნის სიმტკიცისა და საზოგადოების კეთილდღეების საფუძველია. ამიტომ საგანმანათლებლო პროცესები უმაღლესი განათლების მენეჯმენტის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ქვაკუთხედია. სწავლების ხარისხზე საბაზრო – ეკონომიკური ურთიერთობები პირდაპირ გავლენას ახდენენ. უმაღლესი განათლების სფეროში არსებული კონკურენცია, კარგი მენეჯმენტის პირობებში, სწავლების ხარისხის განვითარების ეფექტურ საშუალებად იქცევა, ხოლო საბაზრო ეკონომიკის კანონების უგულებელყოფა, საბედისწერო მარცხის წინაპირობად შეიძლება გახდეს.

სამწუხაროდ, მთელი ათწლეული გახდა იმისთვის საჭირო, გაგვეცნობიერებინა ელემენტარული ჭეშმარიტება, იმის თაობაზე, რომ უმაღლესი განათლების ფინანსური მენეჯმენტი, იმგვარადვე ექვემდებარება ეკონომიკურ კანონებს, როგორც ნებისმიერი კომპანიის საქმიანობა, რომელსაც ფინანსური მოგება სურს.

საბედნიეროდ, ძველი მემკვიდრეობის ინერცია გზადაგზა დავიწყებას ეძლევა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მესვეურები საგანმანათლებლო ბიზნესს მთელი სერიოზულობით უდგებიან. საქართველოში გამოჩნდნენ ისეთი უნივერსიტეტები და სკოლები, რომლებიც ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების შედეგად, სერიოზულ ფინანსურ მოგებასაც იღებენ. სწორედ ამგვარი

დამოკიდებულება ქმნის ხარისხიანი განათლების საფუძველს. რადგან განათლება აღიარებულია ისეთ პროდუქტად, რომლის ყიდვაც არის შესაძლებელი, ბუნებრივია, მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტი გაიყიდება კარგად, ამიტომ ხარისხიან განათლებაზე ყოველთვის დიდი მოთხოვნა იქნება.

ეროვნულ და საერთაშორისო ინტელექტუალურ შრომის ბაზარზე მხოლოდ ხარისხიანი განათლება არის კონკურენტუნარიანი. ხოლო ამის კვალდაკვალ ხდება განათლების სფეროს კომერციონალიზაცია, ამიტომ მისი მართვაც აღნიშნული ინტერესების შესაბამისად უნდა მოხდეს.

განათლებას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, მრავალი მეცნიერული დარგი იკვლევს, მათ შორისაა ეკონომიკა, რომელიც განათლებას მიიჩნევს ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად და საზოგადოებისთვის სარგებლობის მომტანად. აქედან გამომდინარე, განათლება საბაზრო ეკონომიკის ისეთივე აუცილებელი ინსტრუმენტია, როგორც ეკონომიკის განვითარების სხვა ფაქტორები (მიწა და სხვა ბუნებრივი რესურსები, კაპიტალი (წარმოების საშუალებები) და შრომა). თანამედროვე პირობებში მათ დაემატა მეოთხე ფაქტორი – ინფორმაცია და განათლება. ეკონომიკის ზრდაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ინფორმაციის გამოყენებამ და ცოდნის ხარისხმა შეიძინა. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ინოვაციური განვითარების ტემპებს და ზოგადად მეცნიერულ–ტექნიკურ პროგრესს.

განათლება შედეგიანია არამწარმოებლურ ურთიერთობებშიც. რაც უფრო განათლებულია ადამიანი, უფრო კარგად ახდენს ადაპტირებას ახალ ტექნოლოგიებთან (საყოფაცხოვრებო, კომუნალური), რაციონალურად გეგმავს და მოიხმარს ოჯახურ ბიუჯეტს. ოპტიმალურად წყვეტს ოჯახის წევრთა სამედიცინო პრობლემებს, ამისთვის წინასწარ მიმართავს ავადმყოფობის პრევენციას, რითაც თავიდან იცილებს მკურნალობაზე დაგვიანებით გამოწვეულ ზედმეტ ხარჯებს. წარმატებით გეგმავს შვილების განათლებას და ოპტიმალურად ახდენს მის ინვესტირებას და ა. შ. აქვე იმის თქმაც შეიძლება, რომ განათლების სარგებლიანობა ყოველთვის ეკონომიკური კატეგორიებით არ გამოიხატება, სულიერი და ესთეტიკური საზრდო არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანისთვის.

განათლებით მიღებული სარგებლობა არ არის მიმართული მარტო პიროვნების საკეთილდღეოდ, მას ასევე სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვისაც, თუმცა ასეთი სარგებლობის ციფრებში ასახვა და გამოანგარიშება შეუძლებელია, მაგრამ იგი აშკარად არსებობს. მარტო ის რად ღირს, რომ განათლებისა და კულტურის დონე მნიშვნელოვნად ამცირებს ზოგადად მართლსაწინააღმდეგო ქმედებებსა და კონკრეტულ დანაშაულსაც, რაც, ასევე, შესაბამისად ამცირებს მათი პრევენციისათვის გათვალისწინებულ დანახარჯებს, თუმცა ამ ტენდენციიდან ზოგიერთი გამონაკლისიც არსებობს, კერძოდ, განათლებული ადამიანი, თუ მისი მართლშეგნება არ დგას სათანადო დონეზე, საზოგადოებისათვის მეტად საშიშია, ვიდრე გაუნათლებელი. თუმცა ასეთი ფაქტები ზღვაში წვეთია იმ სიკეთესთან შედარებით, რაც ზოგადაგ განათლებას მოაქვს.

შრომის ბაზარმა ძირეული შემობრუნება გამოიწვია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მენეჯმენტში. კონკურენტული შრომის ბაზარი უშუალო ზემოქმედებას ახდენს საგანმანათლებლო პროცესების მართვაზე უმაღლეს სკოლაში. რადგან განათლების მნიშვნელობა დიდი ხანია გასცდა პოლიტიკისა და სულიერების ფარგლებს და ეკონომიკის განვითარების რეგულატორის როლი იკისრა, ამდენად მისი მნიშვნელობა სამყაროს საყოველთაო განვითარების ცენტრალურ მოვლენად იქცა. განათლებით, სხვა დარგების მკვლევართა კვალდაკვალ, საფუძვლიანად დაინტერესდნენ ეკონომისტებიც, რასაც მოჰყვა მეცნიერული დარგის – განათლების ეკონომიკის ჩამოყალიბება.

განათლების ეკონომიკის მკვლევართა განმარტებით, განათლების ეკონომიკა არის ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ აკეთებს არჩევანს ადამიანი და საზოგადოება ფულის მეშვეობით ან უსასყიდლოდ იმისთვის, რომ გამოიყენოს შეზღუდული რესურსები და განახორციელოს სხვადასხვა ტიპის სწავლება, განავითაროს ცოდნა, ხელოვნება, გონება, აზროვნება, ხასიათი და ა. შ., გაანაწილოს სწავლის პროცესში წარმოებული სულიერი და განივთებული დოვლათი და მოიხმაროს იგი ინდივიდისა და საზოგადოების მიზნების შესაბამისად (29. 7-8).

ანალოგიური შეხედულება ვრცელდება საყოველთაო განათლების ყველა სეგმენტზე, მათ შორის უმაღლეს

განათლებაზეც. ამჟამად უმაღლეს სასწავლებლებში ნებისმიერი სახის სასწავლო–საგანმანათლებლო საქმიანობა აისახება კრედიტებში. მათში განსაზღვრულია აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის შრომის წილი, რომელიც დაფინასების ობიექტია. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროცესების მართვის მთავარი ინსტრუმენტი ფინანსებია, ამიტომ მისი მართვაც ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლების ორგანიზაციის ფორმები, სასწავლებლის აკრედიტაცია, ხარისხის მართვა და სხვა.

როგორც უკვე ითქვა, უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო საქმიანობაზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს ინტელექტუალური შრომის ბაზარი. სწორედ საბაზრო კონიუნქტურა არის სპეციალისტებზე მოთხოვნის ბარომეტრი, თუმცა, კომუნისტური წყობიდან მომდინარე, სახელმწიფო შეკვეთების სისტემამ მრავალი პრობლემის წინაშე დააყენა საგანმანათლებლო ბაზარი, რაც საგანგებო მსჯელობის საგანია, ამჯერად მხოლოდ იმაზე ვამახვილებთ ყურადღებას, თუ რა ბერკეტებით ახდენს შრომის ბაზარი საგანმანათლებლო პროცესებზე ზეგავლენას. ამ მხრივ, პირველ რიგში, ანგარიშგასაწევია შრომის ბაზრის მოთხოვნა ამა თუ იმ დარგის სპეციალიტებზე. ჩვენთან ასეულობით ამზადებდნენ სპეციალისტებს ისეთ პროფესიებში (მეტალუგია, მართვის ავტომატიზებული სისტემები, სამთო საინჟინრო და სხვა), რომლებსაც დასაქმების არავითარი შანსიც არ ჰქონდათ. მდგომარეობას იგიც ართულებდა, რომ ამ დარგის სპეციალისტები საბიუჯეტო დაფინანსებით მზადდებოდნენ, აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსთა აზრით, ფაქტიურად სახეზე იყო ფინანსების უმიზნო განიავება და ახლგაზრდების მოცდენა. თუმცა მთლად ასე სავალალოდ არ ყოფილა საქმე. ასეულობით არა, მაგრამ ათეულობით აღნიშნული დარგის კურსამთავრებული დასაქმდა ქვეყნის ახლადამუშავებულ შესაბამის საწარმოებში, ამიტომ მოცემულ ეტაპზე, სახელწიფო შეკვეთამ შესაბამისი დარგის სპეციალისტები შეუნარჩუნა ქვეყანას. მაგრამ ეს გამონაკლისი შემთხვევებია და ტენდენციად ვერ ჩაითვლება, მით უფრო, სასურველ მოვლენად. ამა თუ იმ დარგის სპეციალისტთა მომზადების რაოდენობის განსაზღვრა ეკონომიკურ კანონებს

ექვემდებარება, რაც, პირველ რიგში, ბაზრის კონიუნქტურის შესწავლით იწყება. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია სპეციალისტის მიმართ დამსაქმებელთა მოთხოვნები. ანალოგიური პრეტენზიებით უკვე აშკარად გამოდიან უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიები და კორპორაციები, ისინი საგანმანათლებლო სტანდარტის ფორმირებაშიც ხედავენ თავიანთ როლს.

დამსაქმებლებს ანუ კერძო კომპანიებს და სახელწიფო დაწესებულებებს სერიოზული ბერკეტები აქვთ სწავლის მოტივაციასა და ხარისხზე ზემოქმედებისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწავლის მაღალი ხარისხისთვის მარტო კარგი საგანმანათლებლო პროგრამები, კვალიფიციური პროფესორები და თუნდაც გამართული სასწავლო ინფრასტრუქტურა საკმარისი არ არის. თუმცა ყველა მათგანი აუცილებელია, მაგრამ სწავლას სათანადო მოტივაცია სჭირდება. განათლებისთვის მარტო სწავლება ვერ იქნება შედეგიანი, თუ მას სწავლა არ შეეწყვილა, ანუ, როგორც უკანასკნელ ხანს დამკვიდრდა ჩვენს საგანმანათლელო სივრცეში, უნდა განხორციელდეს სწავლება/სწავლის პროცესი, რაშიც ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად სწავლის მოტივაციაც არსებითი მნიშვნელობისაა.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის მოტივაცია ყოველთვის როდი აქვს სტუდენტ–ახალგაზრდობას. ძველი სტერეოტიპები ჯერ კიდევ მოქმედებს. ზოგიერთ უნივერსიტეტში კვლავაც აქვს ადგილი ე. წ. „ჩაწყობებს" არა მარტო საშუალო და დამაკმაყოფილებელ ნიშნებზე, არამედ „ფრიადებზეც", რაც აშკარა უსამართლობა და უფრო მეტიც, სირცხვილია უმაღლესი სასწავლებლისთვის. ამასთან ერთად, კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი დაუმსახურებლად იღებს სამსახურს, ხოლო უფრო კვალიფიციური სპეციალისტები უმუშევრები რჩებიან. ასეთი მდგომარეობა უიმედობასა და სწავლის მიმართ ნიჰილიზმს იწვევს. ამიტომ საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ დაესვას წერტილი, როგორც სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში უმსგავსობას, ისე დაუმსახურებელ სამსახურებრივ კარიერას. საჭიროა საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს საღი აზრი ხარისხიანი სწავლისა და შრომისათვის. მართალია, სამსახურებში მოწყობა ძველებურად, მარტო დიპლომის საფუძველზე არ ხდება,

მაგრამ მთელ რიგ კომპანიებში და ოფისებში ჩატარებული კონკურსები ეჭვის საფუძველს უტოვებს ახალგაზრდა სპეციალისტებს, რაც უარყოფითად მოქმედებს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. არადა, სწავლის მოტივაციისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების დამოკიდებულებას სწავლისადმი. ყველასთვის ნათელი უნდა გახდეს, რომ, როგორც დასაქმებისთვის, ისე სამსახურეობრივი წინსვლისთვის არსებობს ერთადერთი გარანტია – მაღალი კვალიფიკაცია და კეთილსინდისიერება. სწორედ ამგვარი მიდგომით დაფასდება ჭეშმარიტი სწავლა, რაც შესაბამისად იმოქმედებს სწავლის მოტივაციაზე და საბოლოოდ სწავლის ხარისხზე. სწავლის ხარისხი კი განვითარებული ეკონომიკის და ზოგადად საზოგადოების წინსვლის ქმედითი იარაღია.

კითხვები და დავალებები:

1. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების წყაროები.
2. აბიტურიენტის განათლების სრული დაფინანსების პირობებში, რატომ უხდება მას კერძო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის ქირის დამატებით გადახდა ?
3. ახსენით სამეცნიერო გრანტის არსი და მისი როლი უმაღლესი სასწავლებლის დაფინანსების წყაროებში.
4. დაასაბუთეთ შრომის ბაზრის გავლენა უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებზე.
5. რას სწავლობს განათლების ეკონომიკა ?
6. რა მიგაჩნიათ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულის დასაქმებისთვის აუცილებელ პირობებად?

უმაღლესი სასწავლებლების ლიცენზირება და აკრედიტაცია

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიცენზირება და აკრედიტაცია გასული საუკუნის დამლევს გახდა აქტუალური. მანამდე ასეთი პროცედურა უცნობი და მიუღებელი იყო ტოტალიტარული განათლების სისტემისთვის.

უმაღლესი სასწავლებლის ლიცენზირება საგანმანათლებლო საქმიანობაზე უფლების მინიჭებას, ნების დართვას გულისხმობს. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", განსაზღვრავს ლიცენზიის მიღების პირობებსა და პროცედურებს.[1] უკანასკნელი 10–15 წლის განმავლობაში ლიცენზირება პრაქტიკულად კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა ანუ, როგორც მათ უწოდებენ, კერძო უმაღლესმა სასწავლებლებმა მიიღეს დაფუძნების დროს. კანონმდებლობით კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიცენზირება 1991 წლიდან არის ნებადართული. თუმცა ლიცენზირების მიმართ წაყენებული მოთხოვნები იმდენად მარტივი აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მსურველმა გადალახა ეს ბარიერი და სამწუხაროდ, ამის შედეგად უმაღლესი სასწავლებლები აღმოცენდნენ იქ, სადაც ამის არც საჭიროება იყო და არც პირობები. თუმცა თვით მოვლენა ანუ ლიცენზირება არაფერ შუაშია, მთავარი მაინც მისი პირობების დარღვევაა.

---

[1] ლიცენზიის მოსაპოვებლად ლიცენზიის მაძიებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენენ შემდეგ დოკუმენტებს: ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებას; ბ) საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო გეგმას; გ) ინფორმაციას აკადემიური პერსონალის შესახებ, მისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მითითებით; დ) საგანმანათლებლო პროცესის საფინანსო უზრუნველყოფის გაანგარიშებას; ე) ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ; ზ) საბანკო დაწესებულების ცნობას ლიცენზიის მოთხოვნით განცხადების შეტანის მომენტისთვის ლიცენზიის მაძიებლის ანგარიშზე არსებული ფონდის (საწესდებო კაპიტალის) ფაქტობრივი ოდენობის შესახებ (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ, მუხლი 58).

კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიცენზირებისას აღნიშნული კანონი ითვალისწინებს დადგენილი პირობების დაწვრილებით შემოწმებას, შესწავლილი უნდა იქნეს, როგორც დოკუმენტები, ისე საგანმანათლებლო დაწესებულების ადგილსამყოფელი და სასწავლო–მატერიალური ბაზა. ამისთვის კანონით სამი თვეა გამოყოფილი. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია ლიცენზიის პირობების შემოწმება სასწავლებლის ფუნქციონირებისას. ლიცენზიის პირობების დარღვევამ შეიძლება მისი შეჩერება ან გაუქმებაც გამოიწვიოს (მუხლები 61,62).

უმაღლესი სასწავლებლების ლიცენზირება 2005 წლამდე ინსტიტუციური აკრდიტაციის გარეშე მიმდინარეობდა, რაც ამ სფეროს სამართლებრივი მოუწესრიგებლობით იყო გამოწვეული. უმაღლესი სასწავლებლის ლიცენზირების საფუძველს ინსტიტუციური აკრედიტაცია წარმოადგენს. სწორედ ამგვარად განიხილავს ლიცენზირებას საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ". აღნიშნული კანონის თანახმად, ლიცენზია არის კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მინიჭებული უფლება, განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის მოპოვების საფუძველია შესაბამისი ინსტიტუციური აკრედიტაციით დადგენილ მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობა.

უმაღლეს სასწავლებელში აკრედიტაცია ორი სახისაა: ინსტიტუტუციური და პროგრამული. უმაღლესი განათლების შესახებ კანონის თანახმად, აკრედიტაცია არის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატის გაცემის უფლების) დადგენის პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობის დადგენით. აკრედიტაციის განხორციელებისთვის სახელმწიფო ქმნის საგანმანათლებლო დაწესებულებების სააკრედიტაციო სამსახურს, რომელიც

აკონტროლებს აკრედიტაციის პირობების შესრულებას, უფლებამოსილია აკრედიტაციის პირობების დარღვევის შემთხვევაში გააუქმოს მინიჭებული აკრედიტაცია.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღიარებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი აკრედიტაცია. საქართველოში კანონმდებლობით სახელმწიფო აკრედიტაციაა მიღებული.

თუ სახელმწიფო აკრედიტაცია ემსახურება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატის გაცემის უფლების დადგენას, მისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი აკრედიტაცია წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის დადგენას, შეფასებას და აღიარებას იმ კრიტერიმებისა და ნორმების საფუძველზე, რომლებსაც ადგენს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიულ – საზოგადოებრივი გაერთიანება მოცემული კატეგორიის საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

საზოგადოებრივი აკრედიტაცია გავრცელებულია ძველი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც საგანმანათლებლო პროცესების მართვაში საზოგადოების მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ. ზოგადად, აკრედიტაცია გამჭვირვალე პროცესია, მაგრამ საზოგადოებრივი აკრედიტაციის პირობებში კიდევ უფრო გამოხატულია საჯაროობა, რაც საბოლოოდ ხარისხის ამაღლებას ემსახურება. ანალოგიური მიდგომები ჩამოყალიბდება გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებშიც, თუმცა მას გარკვეული დრო სჭიდება. როგორც ცნობილია, აკრედიტაციაზე ზრუნვა XX საუკუნის დასაწყისში დაიწყეს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, თუმცა, შესაბამისი სისტემები და სტრუქტურები მოგვიანებით, საუკუნის ბოლოს შეიქმნა. ამიტომ საზოგადოებრივი აკრედიტაციის სისტემის დამკვიდრება ჩვენი ქვეყნისთვისაც არ არის ცხრა მთას იქით. მანამდე თვით საზოგადოებაში უნდა ჩამოყალიბდეს ამის მოთხოვნილება. საზოგადოებრივი აკრედიტაცია თვითრეგულაციის გამოხატულებაა და იგი მაღალგანვითარებულ დემოკრატიულ მექანიზმს ეფუძნება, რომელიც გზადაგზა ჩვენშიც ყალიბდება.

რაც შეეხება აკრედიტაციის მოქმედ სისტემას, ნორმატიულად და ლოგიკურადაც, პირველადი ინსტიტუციური აკრედიტაციაა, მისი მეშვეობით დგინდება უმაღლესი

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესაბამისობა ამ დაწესებულების მატერიალური, საფინანსო და ადამიანური რესურსების, სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმატივებთან.

სააკრედიტაციო სამსახური ქმნის ექსპერტთა ჯგუფებს, რომლებიც შესაბამისი ინსტრუქციის საფუძველზე განიხილავენ კონკრეტული უმაღლესი სასწავლებლისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხებს. აკრედიტაცია შეიძლება სასწავლებელს მიენიჭოს ან არა, ანდა მიენიჭოს პირობით. აკრედიტაციის მინიჭების მაქსიმალური ვადა 5 წელია.

აკრედიტაციის მინიჭებაზე ან გაგრძელებაზე განაცხადს აკეთებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც განაცხადთან ერთად წარმოადგენს ინსტიტუციური აკრედიტაციისთვის აუცილებელ ინფორმაციას. იგი უნდა ითვალისწინებდეს მონაცემებს, სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის რაოდენობას, სასწავლო ფართობს (აუდიტორიები, ლაბორატორიები, სპორტული მოედნები), სანიტარულ ნორმატივებს, კომპიუტერებისა და წიგნადი ფონდის რიცხოვნებას, ინტერნეტული მომსახურების მდგომარეობასა და ფინანსების ძირითად პარამეტრებს.

კერძო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაც იმდაგვარად ექვემდებარება აკრდიტაციას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ორთავე დაინტერესებულია დადგენილ ვადებში გაიარონ აკრედიტაცია. რადგან მის გარეშე ეჭვის ქვეს დადგება ამ სასწავლებელში მიმდინარე საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხი. აკრედიტაცია საშუალებას აძლევს უმაღლეს სასწავლებელს, მუდმივად იზრუნოს სასწავლო–მატერიალური ბაზის განმტკიცებასა და აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც ხარისხიანი სწავლების საფუძველია. ამასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით, სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს.

აკრედიტაციის მეორე, უფრო რთული ეტაპია პროგრამული აკრედიტაცია, რომელიც ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის შესაბამისობას ისეთ კრიტერიუმებთან, როგორიცაა:

სწავლების მიზნების და ამოცანების დამაჯერებლობა, პროგრამის შესაბამისობა მათთან და მისი აგების პრინციპები, სწავლების მეთოდოლოგია, პროგრამების ათვისების მდგომარეობა და სტუდენტთა მიღწევები, ინდივიდუალური მუშაობა მათთან და სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა, სწავლების ხარისხის ამაღლების პოტენციალი და სხვა.

პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააკრედიტაციო სამსახური უფლებამოსილია გააუქმოს პროგრამული აკრედიტაცია, რაც სამართლებრივად მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებულია (მუხლი 75–77) რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, ასეთ პროგრამებს მიეკუთვნება: იურიდიული, სამედიცინო (მათ შორის სავეტერინარო მედიცინის) და პედაგოგიური. ასეთი პროფესიები სასერთიფიკაციო გამოცდებს ექვემდებარება, რომელთა ჩამონათვალიც საქართველოს კანონით დგინდება.

უკანსკნელ ათწლეულში, აკრედიტაცია განათლების საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ამ პროცესით სისლხორცეულად არიან დაინტერესებული ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციები. განსაკუთრებით ამ მხრივ გამოირჩევა იუნესკო და მისი ინიციატივით შექმნილი საბჭოები, მუშა ჯგუფები და კონსორციუმები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება/სწავლის პროცესის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებას ემსახურება. თუმცა, უმაღლესი სასწავლებლების ლიცენზირება და აკრედიტაცია ერთი სეგმენტია, იმ მასშტაბური ამოცანის გადაწყვეტაში, რომელსაც ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ბოლონიის პროცესი ისახავს მიზნად. სწორედ ამ საკითხებს ეძღვნება წიგნის შემდეგი პარაგრაფი.

კითხვები და დავალებები:

1. რას ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ლიცენზირება?

2. როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს უმაღლესი სასწავლებლის ლიცენზირება და რატომ ?
3. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი სასწავლებლის აკრედიტაციის სახეები, რას ითვალისწინებს თითოეული მათგანი ?
4. რა განსხვავებაა სახელმწიფო და საზოგადოებრივ აკრედიტაციას შორის ?
5. ჩამოაყალიბეთ რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მიზანი.

განათლების ხარისხის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები

განათლება საზოგადოებრივი ინტელექტის კვლავწარმოების წამყვანი ქვაკუთხედია, მის სტრუქტურაში ძირითადი პოზიცია უმაღლეს განათლებას უჭირავს, როგორც მთლიანად განათლებისა და მეცნიერების კულტურის კვლავწარმოქმნის მექანიზმს.

სიტყვა „ხარისხის" სემანტიკის შესახებ თუ ვიმსჯელებთ, ლოგიკურად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ხარისხიანი კარგს უნდა ნიშნავდეს, ხოლო უხარისხო ცუდს. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ხარისხი რაღაც საფეხურს, რანგს, თანრიგს აღნიშნავს. იგი რისამე შედარებითი მნიშვნელობაა, მაგალითად, კარგი ხარისხის საქონელი, ხარისხიანი პროდუქცია ან უხარისხო საქონელი, რომელიც ცუდის ექვივალენტია. ხარისხი რაღაცის მიმართ აღმატებულის აღმნიშვნელი ცნებაა, იგი ერთმანეთისგან განასხვავებს კარგს, ცუდს, საშუალოს და მათ განსაზღვრებად დაერთვის.

საქართველოს კანონებში განათლების შესახებ, ვერ ვხვდებით განათლების ხარისხის საგანგებო განმარტებას, მაგრამ კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ" სათანადო ადგილი ეთმობა საგანმანათლებლო ხარისხის უზრუველყოფის სამსახურს (მუხლი 25), ხოლო ხარისხის უზრუნველყოფა კანონის თანახმად, არის შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

განათლების ხარისხი არც თუ დიდი ხნის წინ ჩვენშიც და სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც პროცენტული მაჩვენებლებით ფასდებოდა. აკადემიური მაჩვენებლები ფრიადოსნების, ოთხოსნების და სამოსნების პროცენტული მონაცემებით იზომებოდა. მაღალხარისხოვანი განათლების მომცემად ითვლებოდა ის სკოლები, რომელთა შორის მეტი კურსდამთავრებული გააგრძელებდა სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. ხოლო უმაღლესი სასწავლებლები გაწეული მუშაობის ანგარიშებში თვალსაჩინო ადგილს მიუჩენდნენ წარჩინებითი დიპლომით კურსდამთავრებულებს. სწორედ ასეთი მაჩვენებლები განსაზღვრავდა ძირითადად სწავლების ხარისხს. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს იმის შესახებაც ითქვას, რომ პრაქტიკულ თუ სამეცნიერო საქმიანობაში წარმატებული კურსდამთავრებულებიც არ რჩებოდა ყურადღების მიღმა. ხოლო, რაც შეეხება შრომის ბაზრის მოთხოვნებს სპეციალისტებზე, რომელიც ხარისხიანი განათლების მთავარი ბარომეტრია, ასეთი ცნება სოციალისტური ეკონომიკისთვის უცხო იყო, რადგან კურსდამთავრებულების შრომით მოწყობაზე სახელმწიფო ზრუნავდა, ბუნებრივია, მათი მასობრივი დასაქმებისას არავინ უყურებდა მათ შესაძლებლობებსა და განათლების ხარისხს, მთავარია, კურსდამთავრებულს დიპლომი ჰქონოდა და იგი სამსახურით გარანტირებული იყო. ხარისხიანი განათლების მქონე სპეციალისტი ანუ უნარიანი მუშაკი გარკვეული საქმიანობის შედეგ გამოვლინდებოდა და მას დააწინაურებდნენ, თუმცა პროტექციონიზმის შედეგადაც, ხშირად, დაუმსახურებლად აწინაურებდნენ საკმაოდ დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებს. ამდენად, გეგმიურმა საბჭოთა ეკონომიკამ განათლების ხარისხის მიმართ ფორმალური სტერეოტიპების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, რამაც საბოლოოდ განათლების ხარისხის დაკნინებამდე მიგვიყვანა.

ტექნოლოგიურ პროცესებში ხარისხის განსაზღვრისას მხედველობაში აქვთ პროდუქციის (პროდუქტის) ვარგისიანობის კოეფიციენტი, მისი ღირებულება და სარგებლიანობა, მომხმარებლის პოზიცია, ან კიდევ, რამდენად

შეესაბამება გამოშვებული პროდუქცია არსებულ სტანდარტებს.

რაც შეეხება განათლებაში ხარისხის განსაზღვრება–დეფინიციას, როგორც ითქვა, განათლების შესახებ არსებული კანონები მას არ ითვალისწინებს. ხარისხის უზრუნველყოფა ზოგადი ცნებაა უმაღლეს განათლებაში, რომელიც მრავალი ინტერპრეტაციის შესაძლელობას იძლევა, თუმცა, მეტნაკლებად მისაღები განსაზღვრების მოძებნა მაინც შეიძლება. ასეთივე მდგომარეობაა საგანმანათლებლო სტანდარტთან მიმართებითაც. რადგან სიტყვა „სტანდარტი" განსხვავებული მიმართულებით გამოიყენება ევროპაში, დაწყებული, როგორც ვიწროდ განსაზღვრული, მარეგულირებელი მოთხოვნა-განაცხადი, დამთავრებული, როგორც საუკეთესო გამოცდილების, პრაქტიკის ზოგადი აღწერილობა. ამასთანავე, მას მეტად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული უმაღლესი განათლების სისტემების ლოკალურ კონტექსტშიც.

აღნიშნული ფაქტორების მიუხედავად, ვეცადეთ თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, განათლების ხარისხის დეფინიცია მაინც ჩამოგვეყალიბებინა:

განათლების ხარისხი არის სასწავლებლის კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარების, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებისა და ზნეობრივი განვითარების განსაზღვრული დონე, რომელსაც მიაღწიეს საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსადამთავ-რებულებმა სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცეში დაწესებული მოთხოვნების შესაბამისად.

განათლების ხარისხი სოციალური კატეგორიაა, რომელიც განაპირობებს საგანმანათლებლო მდგომარეობასა და საზოგადოების მოთხოვნებს პიროვნების პროფესიული კომპეტენციისა და მოქალაქეობრივი ფორმირების მიმართ. განათლების ხარისხი განისაზღვრება საგანმანათლ;ებლო დაწესებულების სასწავლო საქმიანობის დამახასიათებელი ისეთი მაჩვენებლების ერთობით, როგორიცაა: სწავლების შინაარსი, სწავლების ფორმები და მეთოდები, მატერიალურ–ტექნიკური ბაზა, ადამიანური რესურსები და ა. შ., რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიულ კომპეტენტურობას.

განათლების ხარისხად მიჩნეულია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაწეული საგანმანათლებლო მომსახურების განსაზღვრული ხარისხი (დონე), რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. ამდენად, განათლების ხარისხი მისი მფლობელის ის ცოდნა, უნარი და შესაძლებლობაა, რომელიც შეესაბამება დაწესებულ ნორმას ან სტანდარტს. აქედან გამომდინარე, ხარისხი გამოიხატება მისი სარგებლიანობით და ვარგისიანობით მომხმარებელთა მიერ წამოყენებული მიზნების, ნორმებისა და დოქტრინების ნორმებთან შესაბამისობით.

თავის მხრივ, ნორმის ცნებაც არ არის აბსოლუტური და ფიქსირებული. სისტემატურად მუშაობენ „ნორმის ხარიხის" განსაზღვრებაზე, რომელიც სუბიექტური მოსაზრებებიდან განთავისუფლებას მოითხოვს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ განათლების ხარისხი მრავალასპექტიანი მოვლენაა, ამიტომ უმჯობესია, ყურადღება გავამახვილოთ ექსპერტების მოსაზრებებზე, რომლებიც რეკომენდაციებს იძლევიან არა ხარისხზე, არამედ ხარისხებზე, ესენია:

– განათლების ხარისხი, მომზადება და გადამზადება;

– სწავლების ხარისხი (სასწავლო პროცესი და პედაგოგიური საქმიანობა);

– სამეცნიერო – პედაგოგიური კადრების (ადამიანური რესურსი) ხარისხი;

– საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი;

– მატერიალურ – ტექნიკური ბაზის ხარისხი, საინფორმაციო–საგანმანათლებლო გარემო;

– მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტების მომზადების ხარისხი;

– განათლების მენეჯმენტის ხარისხი;

–კვლევითი საქმიანობის ხარისხი.

ამ უკანასკნელთან მიმართებით ერთი შენიშვნაც უნდა გავაკეთოთ, რადგან სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები უკავშირდება ბოლონიის დეკლარაციით განსაზღვრული უმაღლესი განათლების მხოლოდ სამ საფეხურს, იგი არ მოიცავს კვლევებსა და ზოგად ინსტიტუციურ მენეჯმენტს.

მიზანშეწონილია აღინიშნოს ხარისხისა და ეფექტიანობის ცნებების ურთიერთობის შესახებაც. ეფექტიანობა არის მიზნის მიღწევის ხარისხი განსაზღვრული დანახარჯებით. შედარებით მარტივად კი – ეფექტიანობა ეს არის ხარისხი დანახარჯების გათვალისწინებით.

უმაღლესი სასწავლებლის კურსადამთავრებულის განათლების ხარისხი შესაძლებელია განვიხილოთ აღნიშნული მიდგომების საფუძველზე, მიღებული საგანმანათლებლო დოქტრინის ადეკვატურად, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სოციალურ მოთხოვნებს და სტანდარტებს, ხოლო კურსდამთავრებულის პიროვნების ხარისხი, ყველა შემთხვევაში განისაზღვრება, ადამიანის გარემოცველ სამყაროსთან ადეკვატურობით. სწორედ ამის საფუძველზე გამოყოფენ ადამიანის შინაგან და გარეგან ხარისხებს.

ადამიანის შინაგანი ხარისხი არის მისი პოტენციალი, რომელიც საქმიანობის პროცესში, ცოდნასა და უნარებზე მოთხოვნილების შესაბამისად ტრანსფორმირდება გარეგნულ ხარისხად. ადამიანის ხარისხის ქვაკუთხედად ითვლება მისი ინტელექტი, რომელიც მოიცავს სულიერ–ზნეობრივ და გონებრივ–შემოქმედებით საწყისს. ყოველივე, რაც ადამიანის სამყაროში გამორჩეულობაზე მიუთითებს, დაკავშირებულია ღვთიურ საწყისთან, რასაც ბიბლიურ თეორიასთან მივყავართ. თვით გენიალური მოაზროვნეებიც სამყაროს შექმნის ბიბლიური თეორიის აღიარებამდე მიდიოდნენ, რომლის თანახმად, მიწიერი სამყაროს გვირგვინად ღმერთმა ყველაზე სრულყოფილი არსება – ადამიანი შექმნა, რომელსაც სხვა გამორჩეულ უნარებთან ერთად ცოდნისა და მეცნიერების დაუფლების უნარიც უბოძა.

პრობლემის საფუძვლიანად გასააზრებლად გავიხსენოთ განათლების ხარისხის ზოგიერთი თვისება:

– ხარისხის მრავალასპექტიანობა ანუ მრავალწახნაგიანობა (საგანმანათლებლო სისტემების პოტენციალისა და განათლების ხარისხის საბოლოო შედეგი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის რაღაც დონეს; სწავლებისა და აღზრდის შედეგების ხარისხი); შემოქმედებითი და რეპროდუქციული, განყენებული და პრაგმატული ცოდნა და მათი კომპონენტები;

– ხარისხის საბოლოო შედეგების მრავალსაფეხურიანობა (უმაღლესი სასწავლებლის სამი საფეხური, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების, პროფესიული და ზოგად–საგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა ცოდნის ხარისხი);

– განათლების ხარისხის მრავალეფექტიანობა (განათლების ხარისხი ფასდება მრავალი სუბიექტის მიერ; ძირითადი სუბიექტებია: მოსწავლეები და სტუდენტები; დამსაქმებლები; ზოგადად საზოგადოება და სახელმწიფო ორგანოები; განათლების სისტემა; განათლების სხვადასხვა საფეხურის წარმომადგენელი; განათლების სისტემის მკვლევარები; ადგილობრივი და საერთაშორისო მონიტორინგის ჯგუფები);

– უნიფიცირებული კრიტერიუმი, რომელთა საშუალებით ფასდება განათლების ხარისხი;

– განათლების ხარისხის პოლიქრონიულობა ანუ მრავალ წელზე გათვლილი მიმდინარე, ტაქტიკური და სტრატეგიული ასპექტების შეთანხმება, რომელიც სხვადასხვა დროს ერთი და იმავე სუბიექტების მიერ განსხვავებულად ფასდება (მთელი ცხოვრების მანძილზე შრომითი საქმიანობის კვალდაკვალ კურსდამთავრებულები მრავალგზის გადააფასებენ თავიანთი განათლების ხარისხს, ცალკეული საგნების საჭიროებას და შესწავლის მდგომარეობას, მასწავლებელთა კვალიფიკაციას; სახელმწიფო და საზოგადოება პერიოდულად გადახედავს განათლების პრიორიტეტებს, შინაარსსა და ხარისხს და ა. შ.).

–ზოგადსაგანმანათლებლო სისტემებისა და განათლების ხარისხის შეფასებაში ცდომილებები, რომელიც განათლების ხარისხის შეფასებაში მონაწილე სუბიექტების არაობიექტურობით ან კორპორაციული ინტერესით არის გამოწვეული;

– ვარიანტულობა და ინვარიანტულობა (უმრავლეს საგანმანათლებლო სისტემათა, სასწავლო დაწესებულებათა და მათივე კურსდამთავრებულთა ხარისხებს შორის გამოიყოფა ინვარიანტული სისტემა, ხოლო განათლების ნებისმიერი დონის კურსდამთავრებულისთვის ანუ ყოველი სასწავლებლის ცალკეული სპეციალობისთვის (კურსდამთავრებულთა მოცემული უმრავლესობისთვის ან საგანმანათლებლო სისტემისთვის) საერთო ხარისხი.

ჩამოთვლილი განათლების ხარისხის მახასიათებლები განათლების ხარისხის კატეგორიის სირთულეზე მიუთითებს. იგი ინვარიანტულია ნებისმიერი ქვეყნისთვის. განათლების ხარისხის კვლევისას აუცილებელია სწორედ აღნიშნული ასპექტების გათვალისწინება, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური ასპექტების შეჯერება, კომპრომისების მუდმივი ძიება.

სწორედ ასეთი მიდგომები უნდა გახდეს წინააღმდეგობრივი პრობლემების კომპრომისული გადაწყვეტის საფუძველი, რაც გამოიხატება განათლების შინაარსითა და მრავალსუბიექტურობით, კრიტერიუმთა სიმრავლითა და განუსაზღვრელობით. ჩამოთვლილი სუბიექტების რაც მეტი სულიერი კულტურა და ინტელექტუალური დონე მოხმარდება საგანმანათლებლო პროცესებს, მით მეტი იქნება განათლების ხარისხი, რადგან განათლების ხარისხის ჩამოთვლილი ფაქტორები ინტეგრაქციული ფუნქციის მატარებელია.

საყოველთაო აზრის თანახმად, ცივილიზებულმა სამყარომ დიდი ხანია უარი თქვა განათლების რაიმე გეორაფიულ საზღვრებში მოქცევაზე და ფართოდ გაუხსნა გზა უახლეს ტექნოლოგიებს საგანმანათლებლო სივრცეში. სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების უნიფიკაციის პროცესი, რომელიც მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდება. ამის წინაპირობად გვესახება გლობალიზაციის თანამდევი პროცესები, რომელთა გავლენა საერთაშორისო შრომის ბაზარზე შეუქცევად ხასიათს ატარებს.

ამჟამად, უფრო გაზიარებული მოსაზრების თანახმად, სტანდარტი არის ორი სახის: საგანმანათლებლო და სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტი. საგანმანათლებლო სტანდარტი ყოვლისმომცველია და მასში ძირითადი პარამეტრებით თავსდება სახელმწიფო-საგანმანათლებლო სტანდარტიც, მაგრამ ამ უკანსკნელს ჯერ კიდევ შემორჩა სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებების პრეროგატივაა და იგი მეტწილად კონიუნქტურით საზრდოობს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ შრომის საერთაშორისო ბაზრის განვითარების ტენდენციებსა და ბოლონიის პროცესის სულისკვეთებას, აშკარაა, რომ ასეთი დაყოფა ისტორიის

საკუთრებად იქცევა და უპირობოდ დამკიდრდება ერთადერთი სტანდარტი, რომელსაც საგანმანათლებლო სტანდარტი ჰქვია.

ცალკეულ ქვეყნებში განათლების ხარისხისა და სტანდარტის მიმართ სხვადასხვა მიდგომებია. ძირითადად გამოიყოფა ორი მიმართულება, პირველის შემთხვევაში განათლების ხარისხის დადგენა და რეგულირება მიმდინარეობს სახელმწიფო–საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისობაში, ხოლო მეორე მიმართულების თანახმად, განათლების ხარისხში განმსაზღვრელი არის დამსაქმებლის მიერ წამოყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ორივე მიდგომისას მხედველობაში მიიღება საზოგადოების შეხედულებები და საექსპერტო მონაცემები. პირველ შემთხვევაში ზედაპირულად, ხოლო მეორე შემთხვევაში სიღრმისეულად. პირველი მიმართულების მიმდევარნი არიან პოსტკომუნისტური და კომუნისტური მმართველობის ქვეყნები, სადაც ჯერ კიდევ სუსტია საბაზრო ეკონომიკა, ხოლო მეორე მიმართულებას ამკვიდრებენ მაღალგანვითარებული დემოკრატიული ქვეყნები, რომლებშიც განათლების ხარისხს შრომის ბაზრის მოთხოვნები განსაზღვრავს. თუმცა უკანასკნელ პერიოდში ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში აშკარად გამოიკვეთა ბოლონიის პროცესის ხელმომწერი ქვეყნების მიერ განათლების ხარისხის მართვისადმი კონცეპტუალური მიდგომა, რომელსაც, რასაკვირველია, არაფერი აქვს საერთო ტოტალიტარული რეჟიმების მიერ დამკვიდრებული განათლების ხარისხსა და სახელმწიფო – საგანმანათლებლო სტანდარტებთან. ბერნილის კომუნიკეს (2003) სულისკვეთება ლისაბონის სტრატეგიის ორგანული გაგრძელებაა, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს დინამიური და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას ევროპაში. სწორედ ამ პოლიტიკის გამოხატულებად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმები, როგორც ზოგადი და პროფესიული განათლების სისტემაში, ისე უმაღლესი განათლების დონეზე.

ამდენად, განათლების სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების დამკვიდრება, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის დამკვიდრებას, რაც შესაძლებელს გახდის როგორც

სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლეს სასწავლებლებში განათლების ერთიანი დონის უზრუნველყოფას. ამასთან ერთად, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შემოღება არის ბოლონიის პროცესის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა და მსოფლიო კულტურასთან ინტეგრაციიის პირობა. საგანმანათლებლო სტანდარტი, როგორც აუცილებელი მოთხოვნა, გულისხმობს კურსდამთავრებულთა მომზადებისთვის აუცილებელ პირობებს და მათ შესაბამისად სწავლის შინაარსის, მეთოდების, ფორმებისა და ხარისხის მართვის სისტემების აგებას.

ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნებმა „ცოდნის ევროპის" მშენებლობაში პრიორიტეტად აღიარეს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც არ დააზარალებს მონაწილე ქვეყნების მრავალფეროვნებას, რაც ევროპის სიდიადედ ითვლება. ამ ჭრილში განიხილება ხარისხის უზრუნველყოფა, სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების დანიშნულებაც, რომელიც მოწოდებულია:

<> ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში სტუდენტთა განათლების გაუმჯობესებისთვის;

<> უმაღლესი განათლების ინსტიტუტებისთვის მათი ხარისხის გასაუმჯობესებლად და ავტონომიურობის გასამყარებლად;

<> ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებისთვის სამუშაო ფონის შექმისათვის;

<> ხარისხის უზრუნველყოფის ტრანსფარენტულობის და საყოველთაო მისაწვდომობის ხელშეწყობისთვის.

განათლების ხარისხის შემადგენელი და არსებითად მისი განმსაზღვრელი ნაწილი ადამიანის ხარისხია. კონცეპტუალური თვალსაზრისით, განათლების ხარისხი მოიცავს: ადამიანის ხარისხს, შინაარსის ხარისხს (ცოდნის შედგენილობის ხარისხს), საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ხარისხს და განათლების მენეჯმენტის ხარისხს. თითოეული მათგანი თავის მხრივ შეიცავს საკმაოდ რთულ სტრუქტურას. ამჯერად ჩვენ ადამიანის ხარისხის სტრუქტურაზე შევჩერდებით, რადგან დანარჩენი სამი: სწავლების შინაარსი, საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და განათლების მენეჯმენტი, საკმაოდ ფართოდაა განხილული წიგნის შესაბამის პარაგრაფებში. აქვე გვინდა მოკლედ

წარმოვადგინოთ ადამიანის ხარისხის სტრუქტურა, რომელიც ძირითადად დამუშავებულია (ა. ი. სუბეტკო), მაგრამ სრულყოფილად მაინც არ მიგვაჩნია, ამიტომ შევეცადეთ მასში ზოგიერთი დამატებითი შტრიხის შეტანას. გრაფიკულად ადამიანის ხარისხის სტრუქტურა ასეთ სახეს მიიღებს:

სქემა №2.



ადამიანის ხარისხის მოცემული სქემა საშუალებას გვაძლევს, უფრო ღრმად შევიცნოთ ადამიანის ხარისხის წარმომავლობის მთელი პროცესი, როგორც განათლებისა და აღზრდის ობიექტისა. სტრუქტურის თითოეულ კომპონენტს გამჭოლი ფუნქცია აკისრია, რაც იმით გამოიხატება, რომ იგი აღწევს სტრუქტურის სხვა სეგმენტებში და გავლენას ახდენს მათზე. მაგალითად, აღზრდა მიმართულია ადამიანში პიროვნების ჩამოყალიბებაზე და შეეხება ადამიანის ხარისხის თვით დედაარსს, ისეთ თემებს, როგორიცაა მსოფლმხედველობრივ – ღირებულებით, სულიერ – ზნეობრივ და სისტემურ – სოციალურ ხარისხს. მსოფლმხედველობრივ – ღირებულებითი ბლოკის ფორმირება მიმდინარეობს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებით, რომელშიც განსაკუთრებით გამოხატულია სამყაროს ერთიანი აღთქმის აღმზრდელობითი ფუნქცია, ისტორიული მსოფლმხედველობის ფორმირება და საზოგადოებრივი იდეალების გავლენა. სულიერ – ზნეობრივი ბლოკი განსაზღვრავს სულიერ–ზნეობრივი, კულტურული და შრომითი აღზრდის პრიორიტეტებს, რამდენადაც სულიერება და ზნეობრიობა ნამდვილად წარმოადგენს ადამიანის არსებობისა და ნებისმიერ სფეროში მოღვაწეობის ქვაკუთხედს. სისტემურ – სოციალური ბლოკი აერთიანებს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა აღზრდის ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმების თანაარსებობა, პატრიოტული აღზრდა, ისტორიული მეხსიერების განვითარება და განათლება, სამართლებრივი და სამოქალაქო აღზრდა და სხვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს განათლების მენეჯმენტი, რომელიც ამ ბლოკიდან აღმოცენდება, მაგრამ გამჭოლი იდეით უკავშირდება, როგორც სხვა ბლოკებს, ისე საბოლოო შედეგს და ამით იგი წარმოდგენილი სტრუქტურის ორბიტაზე მთავარ რგოლს წარმოადგენს. პიროვნების აღზრდის ხარისხი განათლების ხარისხში გადაედინება და პირიქით, რომელთა განხორციელების ინსტრუმენტადაც განათლების მენეჯმენტი გვევლინება. ამდენად, ისინი წარმოქმნიან ადამიანის მთლიან ხარისხს.

ადამიანის ხარისხთან მიმართებაში აქტიურად იყენებენ ადამიანის კვალიმეტრიას, რომელიც განათლებაში 6 მიმართულებად იყოფა:

– სტუდენტთა ცოდნის კვალიმეტრია;
– სტუდენტთა პიროვნების საქმიანობის კვალიმეტრია;
– სტუდენტთა პიროვნების კულტურის კვალიმეტრია;
– ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების კვალიმეტრია;
– პროფესიული მომზადების კვალიმეტრია.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულია ისეთი ცნებები, როგორიცა: შეფასება, აკრედიტაცია და აუდიტი. შეფასება განათლების სფეროში მყარად დამკვირებული მოვლენაა, აკრედიტაცია კი უკანასკნელი ათწლეულის მონაპოვარია და მანაც დაიმკვიდრა ადგილი განათლების სისტემაში, ხოლო, რაც შეეხება აუდიტს, იგი საფინანსო კონტროლის სფეროში აპრობირებული ტერმინი იყო აქამდე, მაგრამ მისი ფუნქციები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზეც გავრცელდა და განათლების ხარისხის შემოწმებასაც მიესადაგა.

თანამედროვე მსოფლიოში მომხმარებლის მოთხოვნათა დაკმაყოფილება და ხარისხი უმნიშვნელოვანეს პრობლემად ითვლება, რომელსაც ყოველწლიურად მეტ ყურადღებას უთმობენ. საერთაშორისო სტანდარტის ISO – 900 თანახმად, ხარისხის სისტემებმა განსაკუთრებულ განვითარებას მრეწველობაში მიაღწიეს. ხარიხის სისტემის აღნიშნული სტანდარტის მიზანი ხარისხის უზრუნველყოფაა, ხოლო სტანდარტის ფუნქციონირება შესაძლებლობას აძლევს საწარმოებსა და კომპანიებს დაასაბუთონ თავიანთი პროდუქციის ხარიხსი, რომელიც საყოველთაო აღიარებისა და სერთიფიკაციის პირობაა. სწორედ ამ გზით აღწევენ ისინი წარმოების განვითარებასა და ამ საქმეში უზარმაზარი ინვესტიციების მოზიდვას. ასეთი მიდგომების დანერგვა მიმდინარეობს განათლების სისტემაში, რაც გამართული მენეჯმენტის პირობებში წარმატებულ საგანმანათლებლო ბიზნესად იქცევა.

ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრების ბერნილის კომუნიკეში მითითებულია, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში, ინსტიტუციური ავტონომიურობის პრინციპების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფაზე მთავარი პასუხისმგებლობა თვით საგანმანათლებლო დაწესებულებას ეკისრება, რაც ხარისხის ეროვნული სისტემის ფარგლებში კიდევ უფრო ზრდის ანგარიშვალდებულებას. ამასთან ერთად,

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 2005 წლიდან სწორედ ბერნილის კომუნიკეს საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ სისტემას დაექვემდებარა:

<> ბოლონიის პროცესში ჩართული ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების პასუხისმგებლობის განსაზღვრა;

<> პროგრამების ან სასწავლებლების შიდა და გარე შეფასება, სტუდენტების მონაწილეობითა და შედეგების გამოქვეყნებით;

<> აკრედიტაციის, სერთიფიკაციის ან სხვა შესაბამისი პროცედურების სისტემა;

<> საერთაშორისო მონაწილეობა, თანამშრომლობა და საერთო ქსელის შექმნა.

ევროპულმა საგანმანათლელო პროცესებმა ძირეულად გამიჯნა ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სტანდარტები და შესაბამისად ჩამოაყალიბა მათი სახელმძღვანელო პრინციპები, აი ისინიც:

უმაღლესი განათლების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები:

1.1 **ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია და პროცედურები:** ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ სტრატეგია და შესაბამისი პროცედურები, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი პროგრამებისა და დიპლომების ხარისხი და სტანდარტი. ამავე დროს, გათვალისწინებულ იქნეს ადგილობრივი კულტურის განვითარების სპეციფიკა. ამის მისაღწევად ინსტიტუტებმა უნდა შეიმუშავონ და განახორციელონ ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების სტრატეგია. სტრატეგიას, პოლიტიკასა და პროცედურებს უნდა გააჩნდეთ ოფიციალური სტატუსი და უნდა იყოს საჯარო. ისინი აგრეთვე უნდა ითვალიწინებდნენ სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას.

1.2 **პროგრამებისა და დიპლომების დამტკიცება, მონიტორინგი და პერიოდული შემოწმება:** ინსტიტუტებს უნა გააჩნდეთ ოფიციალური მექანიზმები თავიანთი პროგრამებისა და დიპლომების დასამტკიცებლად, პერიოდული შემოწმებისა და მონიტორინგის ჩასატარებლად.

1.3 **სტუდენტთა შეფასება:** სტუდენტები უნდა შეფასდნენ იმ საჯარო კრიტერიუმების, წესებისა და პროცედურების

თანახმად, რომლებიც თანმიმდევრულად იქნება გამოყენებული.

1.4 **მასწავლებელთა ხარისხის უზრუნველყოფა:** ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ გზები და საშუალებები, რომლებიც მათ დააკმაყოფილებთ კვალიფიციური მასწავლებლებით, და გარანტიას შეუქმნით, რომ ინსტიტუტების მიერ შერჩეული მასწავლებლები იქნებიან კომპეტენტურნი და კვალიფიცირებულნი.

1.5 **სასწავლო რესურსები და სტუდენტთა მხარდაჭერა:** ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტთა სწავლების დამხმარე რესურსების ადეკვატურობა და თითოეულ კონკრეტულ პროგრამასთან შესაბამისობა.

1.6 **საინფორმაციო სისტემები:** პროგრამების ეფექტური მენეჯმენტისა და სხვა საქმიანობებისათვის ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მისი გამოყენება.

1.7 **ინფორმაციის საჯაროობა:** ინსტიტუტებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ განახლებული, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია, როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი პროგრამებისა და დიპლომების შესახებ.

უმაღლესი განათლების ხარისხის გარე უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები:

2.1 **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების გამოყენება:** ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცედურების ეფექტურობას.

2.2 **ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესების შემუშავება:** ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების მიზნები და ამოცანები უნდა განისაზღვროს თავად პასუხისმგებელი სტუქტურის (უმაღლესი სასწავლებლების ჩათვლით) მიერ იქამდე, ვიდრე საკუთრივ ეს პროცესები განვითარდებიან, და უნდა გამოქვეყნდნენ გამოყენებული პროცედურების აღწერილობასთან ერთად.

2.3 **გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები:** ნებისმიერი ოფიციალური გადაწყვეტილება, რომელიც ხარისხის გარე უზრუნველყოფის საქმიანობის შედეგად მიიღება, უნდა ეყრდნობოდეს საჯარო კრიტერიუმებს.

2.4 **პროცესების მიზანმიმართულება:** ხარისხის გარე უზრუნველყოფის ყველა პროცესი უნდა შემუშავდეს იმდაგვარად, რომ შესაძლებელი იქნეს დასახული ამოცანების გადაწყვეტა.

ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პროცედურების შემუშავება და მენეჯმენტი არ არის რომელიმე ქვეყნის საშინაო საქმე, მას საერთო ევროპული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან „უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ხარისხი არის ნდობის, რელევანტურობის, მობილურობის, თავსებადობისა და მიმზიდველობის ძირითადი პირობა" (სალამანკის მიმართვა, 2001). ამიტომ ევროპული ქვეყნების განათლების მინისტრები აღნიშნული ღონისძიებების გასატარებლად მოუწოდებენ ხარისხის უზრუნველყოფის ქსელის (ENQA) წევრებს, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციასთან (EUA), უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ევროპულ ასოციაციასთან (EUKASHE) და ევროპის სტუდენტების ეროვნულ კავშირებთან ერთად კოორდინირებული მუშაობისკენ.

კითხვები და დავალებები:

1. რა განაპირობებს უმაღლესი განათლების ხარისხს ?
2. იმსჯელეთ ადამიანის შინაგან და გარეგან ხარისხებზე, რა დამოკიდებულებაა მათ შორის ?
3. რა ნიშნებით დაახასიათებდით განათლების ხარისხს ?
4. როგორ ფასდებოდა განათლების ხარისხი კომუნისტურ ეპოქაში, გაავლეთ პარალელი დღევანდელობასთან;
5. რით აიხსნება განათლების ფაქტორთა ინტერნაციონალური ხასიათი ?
6. რა კავშირი აქვს საგანმანათლებლო სტანდარტებთან განათლების ხარისხის უზრუნველყოფას ?
7. დაახასიათეთ განათლების ხარისხის კომპონენტები;
8. რა ღონისძიებები გატარდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტების დასამკვიდრებლად ?
9. რას გულისხმობს განათლების ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ?

VII თავი: აღმზრდელობითი მუშაობის მენეჯმენტი

7.1. სტუდენტური ასაკის პედაგოგიურ – ფსიქოლოგიური ასპექტები

მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ ადამიანის განვითარება, დაბადებიდან სიცოცხლის ბოლომდე თანაბარმნიშნელოვნად არ მიმდინარეობს. ახალდაბადებული ბავშვის თავის ტვინის წონა 400 გრამია, 6 წლის ასაკში - 1200, ხოლო ზრდადასრულებული ადამიანისა - 1400–1450 გრამი. აღნიშნული ფაქტიც ადასტურებს ადამიანის გონებრივი განვითარების განსხვავებულ შესაძლებლობებს სხვადასხვა ასაკში. ასეთივე მდგომარეობაა ფიზიკური და სულიერი განვითარების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, სასწავლო–აღმზრდელობით საქმიანობაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის ასაკობრივი განვითარების თავისებურებებს. ამ მხრივ ცალკეული მოაზროვნეები და მოგვიანებით კი ე. წ. ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებანი, განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ამ საკითხის მიმართ. ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთში აღნიშნული პრობლემით სოფისტები დაინტერესდნენ. ასაკობრივი პერიოდების შესახებ თავისი შეხედულებები ჩამოაყალიბა არისტოტელემ, რომელმაც მოზარდის ასაკობრივი განვითარების ზღვრად 7 წელი მიიჩნია და 3 პერიოდი გამოყო. მისი აზრით, ყოველ პერიოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღზრდაში, მაგრამ მე–3 პერიოდში, 14 – დან 21 წლამდე არსებითად ხდება პიროვნების ფიზიკური, ესთეტიკური და გონებრივი განვითარება. არისტოტელეს პერიოდიზაციის საფუძველს მოზარდის ფიზიკური განვითარება წარმოადგენდა, როგორც არისტოტელე მიიჩნევდა, 7 წლის ბავშვი კბილებს იცვლის, 14 წლის ასაკში სქესობრივი მომწიფება მთავრდება, ხოლო 21 წლისას წვერი ამოსდის.

ასაკობრივი პერიოდიზაციის შესახებ პირველი მეცნიერული კონცეფცია იან ამოს კომენსკიმ ჩამოაყალიბა. მან ასაკობრივი პერიოდიზაციის საფუძვლად 6 წელი აიღო და 4 პერიოდი გამოყო. კომენსკიმ დაახასიათა თითოეული პერიოდი და მათ შესაბამისი სასწავლებლები მიუსადაგა: ბავშვობას (დაბადებიდან 6 წლამდე) – დედობრივი სკოლა; ყრმობას (6 –

დან 12 წლამდე) – მშობლიური ენის სკოლა; სიჭაბუკეს (12 – დან 18 წლამდე) – ლათინური ენის სკოლა ანუ გიმნაზია, ხოლო მოწიფულობას (18 – დან 24 წლამდე – აკადემია ანუ უმაღლესი სასწავლებელი.

ი. კომენსკის ასაკობრივი პერიოდიზაციის საფუძველს მოზარდის ფიზიკური და სულიერი განვითარება წარმოადგენს. ამასთან ერთად, მან დიდი ადგილი დაუთმო ბუნების გავლენას აღზრდაში, ამიტომაც გამოყო ოთხი პერიოდი და მას წელიწადის ოთხი დრო და დღის მონაკვეთები მიუსადაგა: ბავშვობა მას გაზაფხულს და დილას აგონებს, ახალგაზრდობა – შუადღესა და ზაფხულს, მოწიფულობა – საღამოსა და შემოდგომას, ხოლო სიბერე ზამთარსა და ღამეს.

პედაგოგიკის ისტორია იცნობს მოზარდთა ასაკობრივი პერიოდიზაციის სხვა მცდელობებსაც. მათგან აღსანიშნავია: ჟ. რუსოს, რ. შტაინერის, ბლონსკის, შაცკის და სხვათა მოსაზრებები.

ასაკობრივი პერიოდიზაციის შესახებ საყურადღებო შეხედულებები გამოთქვეს ქართველმა მოაზროვნეებმა და პედაგოგიკის მკვლევარებმა: ს. ს. ორბელიანმა, დ. უზნაძემ, გ. თავზიშვილმა და შ. ჩხარტიშვილმა. მათი ინტერესის საგანი სასკოლო პერიოდს არ სცდება, ხოლო დ. უზნაძე მხოლოდ ადრეული ბავშვობას განიხილავს, განსხვავებით სულხან–საბა ორბელიანისგან, რომელმაც ადამიანის მთელი სიცოცხლის პერიოდიზაცია მოგვცა. სახელოვანი მწერალი თითოეული პერიოდის აღმნიშვნელ სპეციფიკურ ტერმინებსაც გვთავაზობს: დაბადებიდან 5 წლამდე იგი ჩვილობას უწოდებს, 5 – დან 10 წლამდე უსუარობას, 10 – დან 15 – მდე ნინველობას, 15 –დან 20 წლამდე ყრმობას. 20 –დან 30 წლამდე ჭაბუკობას, 30 –დან 50 წლამდე სრული ასაკს, ხოლო შემდეგ პერიოდს, მოხუცებულობას და მხცოვანებას.

ასაკობრივი პერიოდიზაციის ირგვლივ განსხვავებული შეხედულებები გამოვლინდა, როგორც პერიოდებსა და მათ შორის დადებულ ზღვრებს შორის, ისე ცალკეული პერიოდების აღმნიშვნელ ტერმინებს შორისაც. ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობა დღემდე გრძელდება. მართალია, ამჟამად აღარ იყენებენ სულხან–საბა ორბელიანის ტერმინოლოგიას, მაგრამ ყველა ერთი და იმავე მნიშვნელობით როდი ხმარობს ისეთ ლექსიკურ ერთეულებს, როგორიცაა:

ჩვილი, ყრმა, მოწიფული, მოზარდი, მოზრდილი, ყმაწვილი თუ ჭაბუკი. პედაგოგიკაში უფრო მეტადაა გაზიარებული შემდეგი სახელდება: ჩვილობა, ბავშვობა (ადრეული, საშუალო, გვიანი), მოზრდილობა (მომწიფების წინარე, მომწიფების პერიოდი), მოწიფულობა, ჭაბუკობა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ნაწილობრივ განსხვავებული მოდელი მოქმედებს[1]

თანამედროვე პირობებში მოზარდის ასაკობრივი პერიოდიზაციისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ დადგენილ საგანმანათლებლო საფეხურებს, რომლის საფუძველია ბავშვის ბიოლოგიური და სოციალური განვითარების კანონზომიერებების შესწავლა. ამ პირობების გათვალისწინებით, საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ" აწესებს შემდეგ ასაკობრივ პერიოდიზაციას:

1. ჩვილობის, ანუ ძუძუს ბავშვობის ასაკი – დაბადებიდან 1 წლამდე, 2. სკოლამდელის წინარე ასაკი–1 წლიდან 3 წლამდე. 3. სკოლამდელი ასაკი– 3 წლიდან 6 წლამდე 4. უმცროსი სასკოლო ასაკი–6 წლიდან 12 წლის ჩათვლით 5. საშუალო სასკოლო ასაკი–13 წლიდან 15 წლის ჩათვლით 6. უფროსი სასკოლო ასაკი–16 წლიდან 18 წლამდე.

წარმოდგენილ ასაკობრივ პერიოდიზაციას შეესაბამება ქვეყანაში არსებული ზოგადი განათლების საფეხურები. ამჟამად საქართველოში სრულ ზოგად განათლებას აქვს სამი საფეხური: დაწყებითი (6 წელი), საბაზო (3 წელი) და საშუალო (3 წელი).

საქართველოს კანონმდებლობა ასაკობრივ ზღვარს და აქედან გამომდინარე, რაიმე შეზღუდვებს არ აწესებს უმაღლესი განათლების მიღებისას. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს რიგი გარემოებებისა და ტენდენციების

---

[1]. ქრისტიანულ პედაგოგიკაში მიღებულია ადამიანის განვითარებისა და სულიერი ჩამოყალიბების პერიოდები: 1. ბავშვის ცხოვრების პირველი წელი, რომელშიც გამოიყოფა ორი ხანა: ახალდაბადებულობა (0–2 თვე) და ჩვილობა (2 თვიდან–1 წლამდე). 2. ბავშვობაში გამოყოფენ: 1. ადრეული ბავშვობას (1–3 წლები) და 2. სკოლამდელ ასაკს (3–7 წლები); 3. ყრმობა მოიცავს უმცროსი სასკოლო ასაკიდან 7-წლიდან 14 წლამდე პერიოდს; 4. ჭაბუკობა –14 წლიდან 18 წლის ჩათვლით.

უგულებელყოფას, რომელიც თან ახლავს და არსებით გავლენას ახდენს უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო–აღმზრდელობით საქმიანობაზე.

სტუდენტთა ინდივიდუალური, შემეცნებითი უნარებისა და ნეიროდინამიკურ თავისებურებებზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და სათანადო გამოკვლევების შედეგად დადასტურებულია, რომ 18 – დან 25 წლამდე პერიოდი ყველაზე ოპტიმალურია მთელი რიგი ფსიქიკური და ინტელექტუალური ფუნქციების განვითარებისა და მეცნიერული ცოდნის დაუფლებისათვის. ამასვე ადასტურებს ისტორიული გამოცდილებაც. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ფილოსოფოსად მომზადებისათვის, რაც იმხანად ზოგადად მეცნიერებას ნიშნავდა, 20–21 წლის ახალგაზრდებს არჩევდნენ (პლატონი). როგორც ზემოთ აღინიშნა, ი. კომენსკიც უმაღლესი განათლების მისაღებად საუკეთესო პერიოდად 18 – 24 წლებს მიიჩნევს. ამ ასაკს ზუსტად არ იზიარებს ჟან ჟაკ რუსო, მაგრამ გონებრივი განვითარების დასრულების შემდეგ (15 წელი) საგანგებოდ მიანიშნებს უმაღლესი განათლებისთვის სპეციფიკურ პერიოდზე. ამასვე ადასტურებს შუა საუკუნეების უნივერსიტეტების და უმაღლესი სასულიერო საგანმანათლებლო ცენტრების გამოცდილებაც.

მეცნიერების განვითარებამ და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა უშუალო გავლენა მოახდინა მოზარდის განვითარებაზე. კარგა ხანია უკვე ფაქტად იქცა, რომ აქსელერაციის პროცესი უშუალოდ ახდენს გავლენას სასწავლო–აღმზრდელობით პროცესზე ზოგადი განათლების საფეხურზე, თუმცა, მისგან გამოწვეული შედეგები საყურადღებოა უმაღლესი სკოლისთვისაც. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია თანამედროვე ინფორმატიზაციის მიღწევები, როგორც მეცნიერები ადასტურებენ, ამჟამად კაცობრიობა VI საიფორმაციო რევოლუციის პირობებში ცხოვრობს, რომელიც თავის პირობებს კარნახობს უმაღლესი განათლების სისტემას, ხოლო ინფორმირებულობის თვალსაზრისით, დღევანდელი სტუდენტობა რამდენჯერმე აღემატება იმ თაობას, რომელიც ორი ათწლეულით ადრე სწავლობდა უმაღლეს სასწავლებელში.

აღნიშნული გარემოებები და სასწავლო – აღმზრდელობითი პროცესის თანამდევი მთელი რიგი წინააღმდეგობები, აშკარად

მიგვანიშნებს სტუდენტთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლისა და მათი საგანმანათლებლო – აღმზრდელობით საქმიანობაში გათვალისწინების აუცილებლობაზე, რაც პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სპეციალისტების საფუძლიან მუშაობას მოითხოვს.

ამჟამად უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი 18 წლის ახალგაზრდა ხდება. (არის გამონაკლისი შემთხვევებიც, რომელიც ზოგად ტენდენციაზე არსებით გავლენას ვერ ახდენს.) ამ ასაკში ჭაბუკის შემეცნებითი უნარები და ფსიქო–ფიზიკური განვითარება იმ კონდიციამდეა მისული, რომ მას თავისუფლად შეუძლია ახალ ცხოვრებას შეუდგეს. ფაქტიურად უმაღლესი სკოლის სპეციფიკა იმდენად განსხვავებულია ზოგადი სასკოლო განათლების პირობებისგან, რომ გუშინდელი აბიტურიენტისთვის სტუდენტობა მართლაც ახალი ცხოვრების დასაწყისია. თუმცა სტუდენტობის ყველა საფეხური ერთნაირი როდია. პირველი და დამამთავრებელი კურსების სტუდენტებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რაც ამ პრობლემის პედაგოგიურ – ფსიქოლოგიური შესწავლის აუცილობლობას უსვამს ხაზს.

როგორც ცნობილია, 18 წლის ჭაბუკი ფიზიკური და ფსიქიკური თვალსაზრისით მზადაა ინტელექტუალური შრომის უფრო მაღალი საფეხურისთვის. იგი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრიცაა, რასაც ოფიციალურ სტატუსს ანიჭებს მოქმედი კანონმდებლობა, 18 წლის ახალგაზდას არჩევნებში მონაწილეობის უფლებაც ენიჭება, ამდენად, იგი სრულფასოვანი მოქალაქეცაა, რაც დადებიათად აისახება მის ფსიქიკაზე. იმის მიუხედავად, რომ ამ ასაკში ადამიანი სოციალურად მომწიფებული არ არის. მისი სოციალიზაციის პროცესი კიდევ რამდენიმე წელს გრძელდება და მეტნაკლებ სრულყოფილებას უმაღლესი სასწავლებლის დასრულებისა და შრომითი მოწყობისას მიაღწევს. ძირითადად მაინც სტუდენტობის ასაკია სოციალური მომწიფების დასრულების აქტიური პერიოდი. სწორედ ამ დროს ხდება პროფესიის დაუფლება და შრომითი მოღვაწეობისთვის საფუძვლის შექმნა. გასათვალისწინებელია აგრეთვე ოჯახის შექმნის შესაძლებლობაც. აქედან გამომდინარე, სტუდენტის სოციალური მზაობა არ უნდა გავიგოთ ისე, როგორც, რაღაც

განყენებული ცნება, მასზე გავლენას ახდენს უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარე სასწავლო–აღმზრდელობითი მუშაობა და მასში სტუდენტის მონაწილეობა, აგრეთვე საზოგადოების სოციალური ფონი.

უმაღლესი სასწავლებლისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტური ასაკისთვის დამახასიათებელი პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური ასპექტების ცოდნას და მათ გათვალისწინებას. კონკრეტულად მაინც ვისთან გვაქვს საქმე, რამდენად არის შესაძლებელი სტუდენტისა და პროფესორის ინტელექტუალური თანამშრომლობის იმგვარად აგება, რომ დაძლეულ იქნეს მთავარი საგანმანათლებლო ამოცანა და ამავე დროს, გავითვალისწინოთ თვით სტუდენტის ინტერესები, მისწრაფებები და დაცული იყოს სასწავლო პროცესში მონაწილე მხარეების უფლებები ? ასეთი და მსგავსი კითხვები მრავალია და მათზე პასუხის გაცემაში დახმარებას სტუდენტის სოციალური და პედაგოგიურ – ფსიქოლოფიური პორტრეტიც გაგვიწევს.

18–20 წლის ჭაბუკის ქცევას უმეტეს შემთხვევაში არ ახლავს მოვლენის წინასწარ ჭვრეტა. ხშირად ახალგაზრდების მიერ გადადგმული ნაბიჯებიც იმპულსურია და საზოგადოებრივ ღირებულებას მოკლებული. სტუდენტებში ზოგჯერ ბავშვურ სიცელქესაც ვხვდებით. თუმცა მათ მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების მაგალითების ჩვენებაც შეუძლიათ, მაგრამ იმპულსური მოქმედებებითაც გვამახსოვრებენ თავს.

ჭაბუკობის ასაკისთვის დამახასიათებელი მაღალი შემართება და რომანტიკული მისწრაფებები სტუდენტობის ასაკში თანდათან ადგილს უთმობს პრაგმატიზმს. იმის მიუხედავად, რომ ამ ასაკშიც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ჭაბუკებისთვის დამახასიათებელ სასიცოცხლო ენერგიას, რაც მაღალი იდეალებით განაწყობს ახალგაზრდას, მაგრამ სტუდენტობის პერიოდში რომანტიკულ აღტკინებას სერიოზულ კონკურენციას ცხოვრების რეალური ხედვა უწევს. ამ პერიოდში ახალგაზრდებს მკაფიოდ უყალიბდებათ ცხოვრების მიმართ რაციონალური შეხედულებები, თუმცა, ახალგაზრდული იდეალიზმი კვლავ მათი ცხოვრების თანამდევია და სწორედ იგი წარმოადგენს მთავარ მასტიმულირებელ მუხტს სხვადასხვა ნოვაციისთვის.

მაგრამ არსებობს მედლის მეორე მხარეც, რაც უთუოდ გასათვალისწინებელია. ყველას გაგვიგონია გავრცელებული აზრი, რომ სტუდენტობა ოქროს ხანაა, – ასეთი შეფასება შეიძლება გადაჭარბებული იყოს, მაგრამ უსაფუძვლო ნამდვილად არ არის. სტუდენტობაა სწორედ ის პერიოდი, როცა არსებითი ძვრები ხდება პიროვნების სოციალიზაციის გზაზე. დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი ნაბიჯები უმნიშვნელოვანესია ადამიანისთვის. ახალგაზრდები სულ ახლახან გამოვიდნენ მშობელთა და სკოლის მასწავლებელთა მეურვეობიდან და სულ სხვა, გაცილებით უფრო ლიბერალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან პროფესორებთან, ვიდრე სკოლის მასწავლებლებთან იყო. რაც კიდევ უფრო ზრდის მათი თავისუფლების ხარისხს. ამიტომ მოზღვავებული ჭაბუკური ენერგია არც თუ იშვიათად არასწორად მიიმართება, რაც იმითაც გამოიხატება, რომ სტუდენტთა ერთი ნაწილი მეტად იყენებს ამ მდგომარეობას და ხშირად მეგობრებთან ურთიერთობისა და გართობის ზღვარსაც კი სცდება. რადგან ისინი კარგად ვერ აცნობიერებენ სტუდენტობის დანიშნულებას, რომ იგი მარტო გართობის ასპარეზი როდია. „...ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, – წერდა ი. ჭავჭავაძე სტუდენტობის წლებზე, – ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელესა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, – ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვაძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ–ყურძენაცა. ოო, ძვიფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთ–ქვეშ არ ჩასწყვეტია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.”

სტუდენტობის თავისუფლების ხარისხი მარტო ნეგატიურ შედეგებს როდი იძლევა, ის უპირველესად პოზიტივზეა ორიენტირებული. სწორედ სტუდენტობის რადიკალიზმი აძლევს ერთგვარ იმპულსს საუნივერსიტეტო განათლების დინამიზმს, მის მუდმივ განვითარებას. თაობათა შორის კრიტიკული დამოკიდებულება ყველა ეპოქაში არსებობდა, ასეთ პროცესებს ადგილი აქვს ზოგადად განათლების

სფეროშიც, მაგრამ თუ სასკოლო განათლების საფეხურზე, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის წინააღმდეგობის მიზეზი უპირატესად ბავშვური ცელქობა და სიზარმაცეა, უმაღლეს სკოლაში თავს იჩენს მსოფლმხედველობრივი შეუთავსებლობა. ახალზრდობისთვის ხშირად მიუღებელია მათივე მშობლების თაობის პროფესორთა შეხედულებები. მათ თავად სურთ, თვითონ განაგონ საკუთარი ცხოვრება. ამ მხრივ საინტერსოა ბერკლის უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ წამოყენებული რადიკალური თეზისი: „ნურასდროს ენდობით ოცდაათ წელს გადაცილებულებს.” ჰიპების ლიდერი ჯერი რუბინი აცდახადებდა: „თაობებს შორის უფსკრული ისტორიის ყველა მონაკვეთზე არსებობდა, მაგრამ დღევანდელი ყველაზე ღრმაა. ამიტომ წინა თაობა ვერაფერს ასწავლის შემდგომს.” ანალოგიური აზრებს გამოთქვამს მარგარიტ მიდი წიგნში: „თაობათა სანგარი”. მისი მტკიცებით, უფროს თაობაში არ არიან ადამიანები, „რომელთაც ახალგაზრდებზე უკეთ ეცოდინებოდათ, რა ცხოვრება მოუწევთ ახალგაზრდებს, ახალგაზრდობა თვითონ გაიყოლებს უფროს თაობას მათთვის უცხო ახალი გზით, შვილები აღზრდიან მშობლებს”. (31. 148).

უმაღლესი განათების სისტემაში ჯანსაღი წინააღმდეგობა საბოლოოდ სარგებლის მომტანია საზოგადოებისათვის. თაობათა შორის დაპირისპირება არაა მარტო ასაკში განსხეულებული. ეს პრობლემა უფრო მსოფლმხედველობრივია. უფრო თუ დავაკონკრეტებთ სათქმელს, ერთ მხარეს უნდა მოვიაზროთ კონსერვატორი პროფესორები და ავტორიტეტების ბრმად მიმდევარი სტუდენტები, ხოლო მეორე მხარეს ნოვატორი პროფესორები და მეამბოხე სტუდენტები. პირველს წარსულის ნოსტალგია აწუხებს და აწმყოს უნდობლად უყურებს, ხოლო მეორეს, პირიქით – მიღწეული არად მიაჩნია, მის დანგრევას და ახლის აგებას ცდილობს.

საქართველოში მიმდინარე რეფორმები ტყუპისცალივით ჰგავს აღწერილ მდგომარეობას. ეს ეხება არა მარტო განათლებას, არამედ საზოგადოებრივი ყოფის მთელ სპექტრს. ამიტომ უფროსი თაობის ზოგიერთი წარმომადგენლის მეტისმეტი წუხილი ამის გამო გადაჭარბებულია. ასეთი წინააღმდეგობა ყოველთვის მტკივნეული იყო გარდამავალი საზოგადოებრივი ფორმაციების დროს. რადგან თაობებს შორის ინტელექტუალური უთანხმოება მოიცავს არა მარტო

განათლების სფეროს, არამედ კულტურას, ყოფა–ცხოვრებას. სწორედ ასეთი ტენდენციები გამოიკვეთა ზოგადად ავანგარდიდან პოსტმოდერნში გადასვლისას, ასეთივე ტენდენციებია უმაღლესი განათლების სისტემაშიც.

უმაღლესი სკოლისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის ცოდნას, საზოგადოებრივად რამდენად აქტიურია სტუდენტი. ამ თვალსაზრისით საკმაო სიჭრელეა, მაგრამ ახალგაზრდული ჰეროიკა სტუდენტთა უმრავლესობის თანამგზავრია, ამიტომ მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტივობა უფრო მეტადაა პროგნოზირებადი, ვიდრე პასიურობა. საზოგადოებრივად უფრო მეტად ინდიფერენტულია სტუდენტობა აშშ-ში და ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ეს უკვე ტენდენციაა და ალბათ, ჩვენც ვერ ავიცდენთ თავიდან მას.

სტუდენტთა სოციალურ აქტივობასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია კიდევ ის გარემოებაც, რომ დაბალი კურსის სტუდენტები უფრო მეტ ენთუზიაზმს ამჟღავნებენ, ვიდრე მაღალკურსელები. უახლესი წარსულიდან იმის გახსენებაც შეიძლება, რომ სტუდენტობა წარმოადგენდა წარმმართველ ძალას ეროვნულ მოძრაობაში. პატრიოტული მუხტი ახალგაზრდობაში ყოველთვის ღვივის. სტუდენტობა კი ის ძალაა, რომელსაც სიახლისადმი განსაკუთრებული ინტერესი აქვს. ამიტომაც შეასრულა 80–90 – იანი წლების სტუდენტობამ კომუნისტური ტოტალიტარული წყობის ნგრევაში განსაკუთრებული მისია. ჩვენი ქვეყნის სტუდენტობა შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ – პოლიტიკურ მოვლენებში. ამდენად, სტუდენტური ასაკი უთუოდ სოციალურად აქტიურ ხანად უნდა მივიჩნიოთ და მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მის განვითარებას.

პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ზოგადი საშუალო სკოლისგან განსხვავებით, ახალბედა სტუდენტები ძირითადად აცნობიერებენ, რომ მათ უკვე დაიწყეს დამოუკიდებელი ცხოვრება, რაც ძალიან მოსწონთ და სწავლისადმი დამოკიდებულებაც შეგნებულია. ამას ხელს უწყობს ის გარემოებაც, თუ სტუდენტმა შეგნებულად, თავისი მისწრაფების საფუძველზე აირჩია პროფესია.

სკოლისგან განსხვავებით, სადაც სასწავლო საგნებისადმი შერჩევითი დამოკიდებულებაა, უმაღლეს სასწავლებელში

ასეთი რამ მინიმუმამდეა დაყვანილი. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ სწავლების შინაარსის ფორმირების ძველი, კომუნისტური ეპოქისთვის დამახასიათებელი წესი წარსულს ჩაბარდა. დღეს არავინ ავალდებულებს ჩვენს სტუდენტობას ე. წ. საზოგადოებრივი ციკლის საგნების შესწავლას. მათ თვითონ შეუძლიათ აირჩიონ, ან უარი თქვან მათზე, ეს პროცესი უკვე დაარეგულირა საკრედიტო სისტემამ.

ეპოქალურმა მოვლენებმა უფრო პრაქტიკული გახადა სტუდენტობა. უახლეს კომუნისტურ წარსულში მატერიალური კეთილდღეობა იდეალიზირებული იყო, რადგან მასზე სახელმწიფო და კომპარტია „ზრუნავდა". ამიტომ სტუდენტთა უმრავლესობა ასეთ პრობლემებზე ფიქრით ნაადრევად თავს არ იწუხებდა. ახლა მდგომარეობა სხვაგვარადაა; სტუდენტობა ამ საკითხს უკვე პრაგმატულად უყურებს, რაც დადებითად აისახება სწავლის ხარისხზე. აქვე გასათვალისწინებელია დასაქმებისას მოსალოდნელი კონკურენცია, რომელიც კიდევ უფრო აძლიერებს სწავლის მოტივაციას.

ამდენად, სწავლის ინტერესის ზრდის საფუძველი ახალი მოტივაციური სტრუქტურების ჩამოყალიბებაა. სტუდენტი დარწმუნებულია, რომ მისთვის მთავარია პრაქტიკულად დაამტკიცოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მზაობა. სტუდენტი ყოველნაირად ცდილობს საზოგადოების სრულყოფილი წევრის ადგილის დამკვიდრებას, რაც მის მოტივაციურ სტრუქტურაში არსებითი მნიშვნელობისაა.

ჭაბუკები სერიოზულად უდგებიან თეორიული საგნების შესწავლას. ინარჩუნებენ კრიტიკულ დამოკიდებულებას მასწავლებლების მიმართ, რომელიც უფროს კლასებში ჩამოუყალიბდათ, მაგრამ კრიტიკის ობიექტი ახლა პრობლემის არსია და არა მასწავლებელთან მათი პიროვნული ურთიერთობა. ამასთანავე ისინი თვითკრიტიკულებიც არიან. აღსანიშნავია მათი თვითდაჯერებულობა და მიზანმიმართულებაც. ეს ალბათ ლოგიკურია, რადგან პირველკურსელი სტუდენტი კმაყოფილია იმით, რომ მან გადალახა დიდი ბარიერი, ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები, რაც მის სიძლირეზე მიუთითებს. ეს მიღწევა რწმენას მატებს და მეტი წარმატებისკენ უბიძგებს მათ, რაც ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის წარმატებული სასწავლო–აღმზრდელობითი საქმიანობისთვის.

თუ უფროსკლასელები გარესამყაროს და საკუთარი თავის შემეცნებას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცდილობენ, სტუდენტები ამ ორ მოვლენას ერთმანეთს უკავშირებენ და გარესამყაროში საკუთარი პიროვნების ადგილს ეძებენ. ასეთი ქმედება პრაგმატულ ამოცანებს ემსახურება და სტუდენტის მოტივაციური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია.

ინტელექტუალური განვითარების თვალსაზრისით, საინტერესოა ის გარემოება, რომ სწავლა მარტო შემეცნებითი უნარების განვითარებას არ ხმარდება. იწყება კრიტიკული აზროვნების ეხალი ეტაპი. ლოგიკური აზროვნება აღმავლობას განიცდის. სტუდენტებს უჩნდებათ მეცნიერულ პრობლემებზე კამათის მოთხოვნილება. ისინი არ სჯერდებიან საპროგრამო მასალას და დამატებითი ლიტერატურით სარგებლობენ. უკვე ნორმად არის ქცეული ენციკლოპედიების და ინტერნეტული გამოცემების გამოყენება, რომელიც მეცნიერული კვლევა–ძიების საფუძველი შეიძლება გახდეს სათანადო მოტივაციის პირობებში.

სტუდენტის მსჯელობა ლოგიკური და ღრმაა, ისინი აღარ სჯერდებიან ცალკეული ფრაგმენტების ცოდნას და სისტემურად აზროვნებენ. დახვეწილია მათი მეტყველება და მოტორიკაც. ასეთივე მოთხოვნებს უყენებენ სტუდენტები თავიანათ პროფესორებს.

აღსანიშნავია აგრეთვე სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებებიც. კრიმინალისტ–დაქტილოლოგთა მტკიცებით ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ორ ადამიანსაც კი არ ექნება აბსოლუტურად მსგავსი თითის ანაბეჭდი. თუკი ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ უფრო მეტი საფუძველი არის იმის დასაბუთებისთვის, რომ თითოეული პიროვნება განუმეორებელი ინდივიდია არა მარტო გარეგნულად და კანის ქსოვილზე ხაზების განლაგებით, არამედ გონებრივი შესაძლებლობებით, ინტერესებითა და სულიერი სამყაროთი.

თავისებურებებით ხასიათდებიან და განსხვავებული ინტერესები აქვთ არა მარტო დაბალი და მაღალი კურსის სტუდენტებს, არამედ თანაკურსელებსაც. აღსანიშნავია არსებითი განსხვავებანი სქესთა შორისაც, რაც აისახება სტუდენტთა ყოფა–ცხოვრებაში და სწავლაში.

სტუდენტთა ინდივიდუალურ თავისებურებებზე დაკვირვებით შესაძლებელია ამა თუ იმ პიროვნების ნერვული

სისტემის ტიპზე მსჯელობა. ის სტუდენტები, რომელთაც ინერტული ნერვული სისტემა აქვთ, დავალებებით გადატვირთვის შემთხვევაში უფრო ცუდად სწავლობენ, ვიდრე აქტიური ნერვული სისტემის ტიპის სტუდენტები, რადგან არ შეუძლიათ შეთავაზებული ტემპის აყოლა. მაგრამ ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით სასწავლო ამოცანებს წარმატებით ართმევენ თავს. აღსანიშნავია აგრეთვე გოგონების მეტი მონდომება და სიბეჯითე, თუმცა მათი შემეცნებითი ინტერესები ვაჟებზე ნაკლებადაა ჩამოყალიბებული. სამაგიეროდ გოგონები უფრო კონცენტრირებული არიან კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაზე, ხოლო ბიჭები – აბსტრაქტულზე. ხელოვნებაში მეტად აქტიურობენ გოგონები. ბიზნესში და პოლიტიკაში ვაჟებს მეტი ინტერესი აქვთ. თუმცა ეს ზოგადი ტენდენციაა და საპირისპირო გამონაკლისებსაც ვხვდებით, რაც საერთო სურათს არ ცვლის.

სტუდენტურ ასაკში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება სქესთა შორის ურთიერთობას. როგორც ზემოთ ითქვა, ხშირია ამ პერიოდში დაოჯახების შემთხვევები, რაც დადებით როლს თამაშობს სტუდენტთა შემეცნებითი ინტერესების განვითარებაში და ერთგვარ სტიმულს წარმოადგენს პრაგმატული ქცევისათვის. ზოგადად სქესთა შორის ჯანსაღი ურთიერთობა, სტუდენტის ქცევის კულტურაზეც დადებით ზეგავლენას ახდენს. ასეთი ურთიერთობები მომავლის რწმენასა და სრულფასოვნებას ბადებს ახალგაზრდებში, რაც დადებითად აისახება პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაზე.

სტუდენტთა ასაკობრივი განვითარების ტენდენციები ზოგადი ხასიათისაა და მიანიშნებს მხოლოდ ამ სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელ თვისებებზე და არა ზოგადად 18–24 წლის ასაკის ახალგაზრდებზე. რაც შეეხება სტუდენტთა ინდივიდუალურ თავისებურებებს, ეს უმაღლესი სკოლის პროფესორის მუდმივი დაკვირვებისა და გამოვლენის საგანია და მასზე ადეკვატური ზემოქმედებაც მისივე კომპეტენციაა. ერთი რამ აშკარად გამოკვეთილია, უმაღლესი სკოლის აკადემიური პერსონალის სასწავლო–აღმზრდელობით საქმიანობაში წარმატებებს დიდწილად განაპირობებს სტუდენტთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა და პრაქტიკულ მუშაობაში მათი გათვალისწინება.

კითხვები და დავალებები:

1. გაიხსენეთ ცნობილი ასაკობრივი პერიოდიზაციები;
2. რით განსხვავდებოდა იან ამოს კომენსკის მიერ ჩამოყალიბებული ასაკობრივი პერიოდიზაცია არისტოტელეს პერიოდიზაციისგან?
3. რისთვის არის საჭირო სტუდენტის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების ცოდნა?
4. დაახასიათეთ სტუდენტური ასაკი;
5. რის საფუძველზეა აგებული თაანმედროვე ასაკობრივი პერიოდიზაცია?
6. პედაგოგიკის ისტორიაში ცნობილი პერიოდიზაციებიდან ვის მიერ ჩამოყალიბებული ასაკობრივი პერიოდიზაცია შეესაბამება თანამედროვე სტუდენტურ ასაკს?

7.2. საგანმანათლებლო პროცესის აღმზრდელობითი პოტენციალი

მართალია, უმაღლეს სასწავლებლებში ზრდასრული ახალგაზრდები სწავლობენ, მაგრამ, როგორც წინა პარაგრაფში იყო აღნიშნული, პროფესიის დაუფლებისა და მათი სოციალური მომწიფების პროცესი კვლავ გრძელდება. აქედან გამომდინარე, უმაღლესი სკოლა ემსახურება საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და განმავითარებელ მიზნებს, რაც პიროვნების სოციალიზაციაში გამოიხატება. პედაგოგიკაში დამკვიდრებულ მოსაზრებათა თანახმად, *აღზრდა არის აღსაზრდელზე გარკვეული, მიზანმიმართული, სისტემატური ზემოქმედება მასში სოციალურად ღირებული და პროფესიულად მიზანშეწონილი თვისებების აღზრდის მიზნით.* სხვაგვარად, აღზრდას განმარტავენ, როგორც ყოფაქცევის ჩვევას, რომელსაც იძლევა ოჯახი, სკოლა და გამოვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერთ–ერთი განმარტების თანახმად, *აღზრდა ადამიანის სოციალურად ჩამოყალიბების, მისი გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარებისა და შრომითი ჩვევების შემუშავების პროცესია,*

რომელიც აღმზრდელის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს სათანადოდ ორგანიზებულ გარემოში (გ. თავზიშვილი).

აღზრდა ორგვარი გაგებით – ფართო და ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება: ფართო აზრით ხმარებისას, მასში იგულისხმება მრავალმხრივი საკაცობრიო გამოცდილების, თაობათა შემოქმედების საუკეთესო შედეგების ათვისების მთლიანი პროცესი: ცოდნის დაუფლებაც (განათლება), ზნეობრივი წარმოდგენებისა და ქცევის ნორმების შეთვისებაც, ესთეტიკური გემოვნებისა და ფიზიკური კულტურის გამომუშავებაც (შ. მალაზონია).

ვიწრო გაგებით კი აღზრდაში ვგულისხმობთ აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომელიც მიმართულია მოზარდთა ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარებისათვის.

აღზრდის განმარტებაში აშკარად გამოკვეთილია ის სასურველი ნაწილები ანუ მიმართულებები, რომელთა განვითარებისათვისაც მიმდინარეობს აღზრდის პროცესი. მეცნიერები მათ სხვადასხვა ტერმინებით მოიხსენიებენ (აღზდის შემადგენელი ნაწილები, აღზრდის კომპონენტები, აღზრდის სახეები, აღზრდის ელემენტები, აღზრდის მიმართულებები).

ერთიანი აზრი არც აღზრდის ნაწილების (მიმართულებების) რაოდენობის შესახებ არსებობს. მათი როდენობა სხვადასხვა მეცნიერის კლასიფიკაციით მერყეობს 5 –დან 10 – მდე. ზოგიერთი მეცნიერი (ნ. ვასაძე, შ. მალაზონია, ზ. ცუცქირიძე), ცალკე გამოყოფს სამოქალაქო, პატრიოტულ, ჰუმანიზმის, სამართლებრივ, რელიგიურ, ეკოლოგიურ და შეგნებული დისციპლინის აღზრდას. პიროვნების ჰარმონიულად ჩამოყალიბებისთვის ჩვენ ტრადიციულ კლასიფიკაციას ვუჭერთ მხარს, რომლის საფუძველზე გამოიყოფა შემდეგი ნაწილები: *გონებრივი, ზნეობრივი, ფიზიკური, ესთეტიკური და შრომითი (ეკონომიკური) აღზრდა*. რადგან სწორედ მათზეა დამოკიდებული პიროვნების ჰუმანური, სამართლებრივი და სამოქალაქო მრწამსი თუ პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა.

აღზრდის შემადგენელ ნაწილებზე პირველად ძველ საბერძნეთში მიუთითეს. პლატონი ადამიანის სულს სამ ნაწილად ყოფდა (გონიერი, ნებელობითი, გრძნობითი),

ამდენივეზე მიუთითებდა არისტოტელეც (მცენარეული, ცხოველური, გონიერი). აქედან გამომდინარე, მათვე გამოყვეს აღზრდის ნაწილები: ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი. ხაზი გაუსვეს აგრეთვე ესთეტიკური უნარების განვითარებასაც.

ამჟამად, აღზრდის თეორიაში და პრაქტიკულ სასწავლო – აღმზრდელობით საქმიანობაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ აღნიშნულ აღზრდის შემადგენელ ნაწილებს (მიმართულებებს). მოკლედ მათ შესახებ შეიძლება ითქვას შემდეგი:

გონებრივი აღზრდა ბავშვსა და მოზარდში შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებისა და მის ნიადაგზე რაც შეიძლება მეტი მეცნიერული ცოდნის მოპოვებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფორმირების კანონზომიერი, მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესია, რომელიც მიმდინარეობს ორგანიზებულ გარემოში აღმზრდელის ანუ მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

ზნეობრივი აღზრდის რაობა, მიზანი და ამოცანები უშუალოდ გამომდინარეობენ ზნეობის ანუ მორალის გაგებიდან.

მორალი თავისუფლებისკენ და სიკეთისკენ სწრაფვაა და მისთვის ბრძოლაა, რადგან მორალი არ არის მდგომარეობა, მდგრადობა. იგი მოქმედებაა, თავისუფლებას არავინ გიბოძებს, იგი უნდა მოიპოვო, გაუფრთხილდე, სრულყო. მორალური აღზრდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანის ფორმირებას გულისხმობს. თუმცა, როგორც ზოგს მიაჩნია, თავისუფლება განუკითხაობას არ გულისხმობს, პირიქით, იგი ასევე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოების თითოეულ წევრს.

ზნებრივი აღზრდა დაფუძნებულია სიკეთის მარდიულ კატეგორიებზე ანუ ცნებებზე. ქრისტიანული სამყაროსათვის მორალი ათი მცნების და ცხრა ნეტარების დაცვას გულისხმობს. ამდენად, ჭეშმარიტი მორწმუნე მაღალზნეობრივი ადამიანია. ზნეობრივ აღზრდას ემსახურება ოჯახი, სკოლა, ეკლესია და მთელი საზოგადოება.

ფიზიკური აღზრდა ბავშვისა და მოზარდის ჯანსაღი ორგანიზმის ჩამოყალიბების კანონზომიერი, მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესია, რომელიც მიმდინარეობს

ორგანიზებულ გარემოში აღმზრდელის ხელმძღვანელობით ან სტიქიურად.

ესთეტიკური აღზრდა არის ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ორგანული ნაწილი, ყველა სხვა კომპონენტთან მჭიდროდ დაკავშირებული, ყველა ელემენტის დამამშვენებელი და მათ შორის ჰარმონიის დამამყარებელი. ვიცით, რომ ინტელექტუალური მოღვაწეობისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების გარეშე შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დასწავლა, დამახსოვრება, დაზეპირება და არა ჭეშმარიტი კვლევა, რადგანაც გონებრივი შრომისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება აძლიერებს აზროვნების უნარს, სასიამოვნოს ხდის კვლევის პროცეცსს და ა.შ. მორალისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების გარეშე მორალი ქცევის კანონებად ჩამოყალიბდება და არა მოქმედების სტიმულად, შრომისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება ვერ გასცილდება მოვალეობისა და ვალდებულების გეგმურ, მოსაწყენ მოქმედებათა შესრულების ფარგლებს. ამასთანავე, თვით ესთეტიკური აღზრდაც განპირობებულია ადამიანის გონებრივი, მორალური თუ ფიზიკური სრულყოფით, ამიტომ ესთეტიკური აღზრდის სხვა კომპონენტთაგან იზოლირებულად განხორციელება შეუძლებელია.

ყველაზე მშვენიერი სამყაროში ადამიანია, მაგრამ არა ყველა ადამიანი, არამედ ისეთი ადამიანი, რომლის პოტენციურ შესაძლებლობების გამოვლენისა და სწორი განვითარების პირობებს შევუქმნით. ასეთი მშვენიერი ადამიანის აღზრდაში და მისაბაძი ცხოვრების შექმნაში დიდი როლი ენიჭება ესთეტიკურ აღზრდას, რომლის ძირითადი მიზანია ადამიანში ადამიანობის აღზრდა. ადამიანი ურთულესი ბიოლოგიური და სოციალური ორგანიზმია, რომელშიც ბიოლოგიური და სოციალური ჰარმონიულადაა შერწყმული.

შრომითი და ეკონომიკური აღზრდის მიზანმიმართულად და შედეგიანად წარმართვისათვის საჭიროა თვით პრობლემის არსებითი მხარეების. კერძოდ, იმის გარკვევა, თუ რა არის თავად შრომა, რა არის შრომითი აღზრდა და რა არის შრომითი სწავლება, როგორ უკავშირდებიან ისინი პიროვნების ეკონომიკურ განათლებას, როგორია მათი არსი და ფუნქცია.

შრომა არის ადამიანის შეგნებული, მიზნობრივი და შემოქმედებითი-ფიზიკური ან ინტელექტუალური მოქმედება,

რომელიც მიმართულია მისი მატერიალური და სულიერი მოხოვნილების დაკმაყოფილებისა და ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებისაკენ.

შრომითი აღზრდა პედაგოგიურად ორგანიზებული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის სხვადასხვა სახეობაში მოსწავლეთა ორგანიზებული ჩაბმის პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს მათთვის მწარმოებლობისთვის მინიმალური ცოდნის და შრომითი უნარ-ჩვევების გადაცემას.

შრომითი აღზრდა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს: სასწავლო შრომას, შრომით სწავლებას, მწარმოებლურ შრომას, საყოფაცხოვრებო თვითმომსახურებას.

შრომით აღზრდის კონკრეტული ამოცანებია: დაწყებითი ეკონომიკური და პროფესიული განათლება და პროფესიული ორიენტაცია. პროფესიის შეგნებულად ათვისება მიზანმიმართული შრომითი და ეკონომიკური აღზრდით მიიღწევა.

პროფესიული აღზრდა სისტემის სახით არის წარმოდგენილი და იგი მოიცავს: პროფესიულ განათლებას, პროფესიულ დიაგნოსტიკას, პროფესიულ კონსულტაციას, პროფესიულ შერჩევასა და პროფესიულ ადაპტაციას.

აღზრდაში ნაწილების ანუ მიმართულებების გამოყოფა პირობითია და მათ შორის ყოველთვის მჭიდრო კავშირია, ისინი მოწყვეტილი კი არ არიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს. მათი დაყოფა პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება, რაც იმაში გამოიხატება, რომ დიფერენცირებული აღმზრდელობითი მუშაობა უფრო ქმედითია. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჯერ გონებრივ განვითარებაზე ზრუნავდნენ და მისი დასრულების შემდეგ გადადიოდნენ ზნეობრივ ან ესთეტიკურ აღზრდაზე. რასაკვირველია, ასე არ არის. აღმზრდელობითი პროცესი ყველა მიმართულებაზე ერთდროულად და მეტნაკლები ინტენსივობით ახდენს ზემოქმედებას, კონკრეტული ამოცანისა და შესაბამისი პირობების გათვალისწინებით.

აღზრდა შეიძლება სპეციალურად ორგანიზებულ გარემოში ან სტიქიურად, გარემო პირობების ზემოქმედების შედეგად მიმდინარეობდეს. ეს ეხება როგორც საბავშვო ბაღსა და სკოლას, ისე უმაღლეს სასწავლებლს. მხოლოდ ამ დაწესებულებების აღმზრდელობითი ზემოქმედების ქვეშ არც

ბაღისა და სკოლის მოსწავლეა და არც უნივერსიტეტის სტუდენტი. ამდენად, აღზრდაზე, პიროვნების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მარტო სკოლა და ოჯახი, არამედ გარემო პირობები, ზოგადად საზოგადოება და ადამიანის გენეტიკური თვისებები.

ამ მიმართულებით ინტერესი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში გამოიჩინეს და ადამიანის განვითარების ფაქტორებზე გამოთქვეს საყურადღებო მოსაზრებები. მაგალითად, სოკრატე და პლატონი ადამიანის განვითარებაში მხოლოდ მემკვიდრეობას აღიარებდნენ, ხოლო დემოკრიტე და არისტოტელე ამგვარ ფუნქციას გარემო პირობებს მიაწერდნენ. მოგვიანებით აღნიშნული შეხედულებები კიდევ უფრო განავრცეს და ისინი პიროვნების განვითარების თეორიების სახით ჩამოაყალიბეს. ამჟამად ყველაზე გავრცელებულ თეორიებია: 1. ნატივიზმი (სოკრატე, პლატონი, გოტფრიდ ლაიბნიცი) 2. ემპირიზმი (დემოკრიტე, არისტოტელე, ჯონ ლოკი). ორივე მათგანი ცალმხრივ ხასიათს ატარებდა, რადგან პიროვნების განვითარებას უკავშირებდა მხოლოდ ერთ ფაქტორს და გამორიცხავდა სხვა ფაქტორის როლს. მაგალითად, ნატივისტები მხოლოდ მემკვიდრეობას მიიჩნევდნენ პიროვნების ფორმირებაში გადამწყვეტ ფაქტორად და უარყოფდნენ გარემოს რაიმე მონაწილეობას მოზარდის ფორმირებაში, ხოლო, მათ საპირისპიროს ამტკიცებდნენ ემპირიზმის მიმდევრები და მხოლოდ გარემოს პრიმატს აღიარებდნენ. აღნიშნული თეორიები გააერთიანა კონვერგენციის თეორიამ (ვ. შტერნი), რომლის თანახმად მოზარდის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს, როგორც მემკვიდრეობა, ისე გარემო პირობები. თუმცა არც ეს თეორია არის სრულყოფილი, რადგან მასში არ ჩანს აღზრდის როლი, ***ამიტომ თანამედროვე მეცნიერება აღიარებს მემკვიდრეობისა და სოციალური გარემოს როლს პიროვნების ფორმირებაში, მაგრამ გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მესამე ფაქტორს–აღზრდას.***

კაცობრიობის ხანგრძლივმა ისტორიამ ცხადყო აღზრდის მიზნებისა და ამოცანების ცვალებადობა არსებული საზოგადოებრივი წყობისა და პოლიტიკური რეჟიმის მოთხოვნათა შესაბამისად. ასეთი კონიუნქტურა ჩვენშიც იყო დამკვიდრებული უახლეს კომუნისტურ წარსულში, როცა

აღზრდის მიზანს „კომუნიზმის აქტიური მშენებლის” აღზრდა წარმოადგენდა.

ადამიანი არ არის საწარმოო ურთიერთობათა და იდეოლოგიის დანამატი, ის ინდივიდია, პიროვნებაა თავისი კომპლექციით, ტემპერამენტით, ცნობიერებით, ნიჭიერებით, ემოციებით, აზროვნებით, ნებელობით, შრომისმოყვარეობით. აღზრდის მიზანი და ამოცანები უნდა განისაზღვროს საზოგადოებაში დამკვიდრებულ ცხოვრების წესსა და პიროვნებას შორის ჰარმონიით. აღზრდამ ადამიანი უნდა აზიაროს სამ ძირითად ღირებულებას –ჭეშმარიტებას, სიკეთეს და მშვენიერებას. აღზრდის მიზანი სწორედ ამ სამი კრიტერიუმით მოქმედი პიროვნების ჩამოყალიბებაა. იგია ყოველმხრივი განვითარების ქვაკუთხედი და აღზრდის მარადიული მიზანი (25. 60-67).

თანამედროვე ეტაპზე აღზრდის მიზანი არის დემოკრატიული საზოგადოების თავისუფალი მოქალაქის აღზრდა, რომელიც იქნება ფიზიკურად ჯანმრთელი და ზნეობრივად სრულყოფილი, მშრომელი და მუყაითი, პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული, პატრიოტი, ბედნიერი პირად ცხოვრებაში, რომელსაც გააჩნია ესთეტიკური განცდის უნარი, შეეძლება ჭეშმარიტების წვდომა, ზნეობრივი და კეთილშობილური საქციელისაკენ ლტოლვა. სწორედ ასეთ ადამიანს მიიჩნევენ ჰარმონიულად განვითარებულ პიროვნებად. ამგვარად, ზოგადად აღზრდის მიზანი ყოფილა ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბება. ჰარმონიულ განვითარებაში იგულისხმება ზემოთ აღნიშნული აღზრდის შემადგენელი ნაწილები ანუ მიმართულებები: გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, შრომით–ეკონომიკური და ფიზიკური აღზრდა, რაც ამასთანავე აღზრდის ამოცანებიცაა. ასეთი ამოცანები ასაკისა და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით ვრცელდება უმაღლესი სკოლის სტუდენტებზე.

როგორც ზემოთ ითქვა, აღზრდა მიზანმიმართული და ორგანიზებული პროცესია, რომელიც მოითხოვს მუშაობის ისე წარმართვას, რომ შესაძლებელი გახდეს მოსალოდნელი შედეგის წინასწარ დაგეგმვა ან განჭვრეტა. ამისათვის კი საჭიროა მიზნისა და ამოცანების სწორი გააზრება.

აღზრდა, როგორც წესი აღმზრდელობით გარემოში ხორციელდება და აქედან გამომდინარე, თავად აღმზრდელობითი პროცესი, როგორც სამეცნიერო-თეორიული მოქმედება, არის აღმზრდელის, ამ შემთხვევაში, მასწავლებლის პროფესიული მოქმედება, რომელიც შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან, რომლებიც ამასთანავე წარმოადგენენ პიროვნების (აღსაზრდელის) ფორმირების ობიექტურ ფაქტორებს. ესენია: „აღმზრდელობითი გარემო", „აღმზრდელობითი შემოქმედება" და „სამყაროში საკუთარი ადგილის გააზრება." დასახელებულ კომპონენტთა საშუალებით ბავშვი და მოზარდი შეიგრძნობს სოციალურ ფასეულობათა აზრს, შეიცნობს საკუთარ თავს პიროვნებად.

როგორც საზოგადოებაში, ისე აკადემიურ წრეებშიც, გამოითქმება შეხედულება იმის შესახებ, თითქოს სტუდენტური ასაკის ახალგაზრდების აღზრდა დასრულებული იყოს და იქ მარტო პროფესიულ განათლებაზე უნდა ზრუნავდნენ, ასეთი აზრი აშკარად მცდარი და უსაფუძვლოა. აღზრდა ფართო გაგებით განათლებასაც გულისხმობს. ეს ერთიანი კომპლექსია. ამის თაობაზე ასეთ აზრს ავითარებს ჩვენი სახელოვანი მოაზროვნე ი. ჭავჭავაძე: „ ..საკმაო არ არის, რომ კაცი მეცნიერი იყოს, დიდი სწავლა მიეღოს, ბევრი ცოდნა შეეძინოს, ამასთანავე იგი კაი კაციც უნდა იყოს და კაი–კაცობის შემძლებლობაც ჰქონდეს. კაი-კაცობა და კაი–კაცობის შემძლებელობა მარტო ზნე–ხასიათისაგან ეძლევა ადამიანს, ავი კაცი რამოდენადაც მეცნიერია და დიდად სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშარია, უფრო დიდად მავნებელია." (42. 208). შემდეგ კვლავ აგრძელებს აღზრდა–განათლების კავშირზე მსჯელობას ერის წინამძროლი და ასეთ დასკვნამდე მიდის „..ისევ გონებაგანუვითარებელი და ზნე–ხასიათით გაწურთვნილი კაცი სჯობია, ვიდრე გონებაგანვითარებული და ზნე–ხასიათ გაუწვრთვნელი, ხოლო ზნე–ხასიათის წურთვნა დიდად დამოკიდებულია სწავლასა და ცოდნაზედ .."(42. 209). არ არსებობს სწავლება აღზრდის გარეშე და პირიქით, აღზრდა – სწავლის გარეშე. რომელ სასწავლო საფეხურთანაც არ უნდა გვქონდეს საქმე, აღზრდა და განათლება განუყოფელი ერთობლიობაა. ამის თაობაზეც გამოთქვა კომპეტენტური აზრი ი. ჭავჭავაძემ: „...სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა

სწურთვნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში. წურთვნა სხვაა და სწავლა სხვა. ერთს ერთი საგანი აქვს და მეორეს – სხვა. წურთვნა მიმართულია ზნე–ხასიათის ზრდასა და განვითარებაზე და სწავლა – კი – გონების გახსნასა და მსჯელობის გაძლიერებაზე" (42. 208). ამდენად, აღზრდის ერთიანი პროცესიდან განათლების გამოყოფა მხოლოდ პრაქტიკული მიზნით, სასწავლო და პროფესიული მომზადების ქმედითობისთვისაა გამიზნული.

რაკი სწავლება და აღზრდა ერთიანი პროცესის მხარეებს წარმოადგენენ და გავლენასაც ახდენენ ერთმანეთზე, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულება ამავდროულად აღზრდელობითი ამოცანების მატარებლადაც უნდა ჩაითვალოს. აღზრდა პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას ისახავს მიზნად, რომელიც გულისხმობს გონებრივ, ზნეობრივ, ფიზიკურ, ესთეტიკურ და შრომით აღზრდას. მიუხედავად იმისა, რომ აღზრის მიზანი ყველა ასაკობრივ საფეხურზე ძირითადად ერთნაირია, მათი განხორციელების მეთოდებში მაინც შეინიშნება განსხვავება. სწორედ ასეთი სპეციფიკით გამოირჩევა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც აშკარად გამოხატულია სტუდენტის სოციალიზაციის პროცესი. სწორედ სტუდენტობისას ხდება ცხოვრებისეული პრობლემების უფრო საფუძვლიანი გააზრება, ვიდრე სასკოლო ასაკში. ამ თვალსაზრისით, ზერელე წარმოდგენები იცვლება პრაგმატიზმით. სტუდენტები უკეთ აცნობიერებენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში, რაც აღმზრდელობითი მუშაობისთვის ნაყოფიერია.

ადამიანის ჰარმონიული განვითარება სრულად შეესაბამება დემოკრატიული საზოგადოების იდეალებს. რომელიც აშკარა პრიორიტეტს ლიბერალურ ღირებულებებს ანიჭებს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიური პერსონალი სათანადო აღმზრდელობითი პოტენციალის მატარებელია. რაციონალურად წარმართული მუშაობის პირობებში ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება.

უმაღლესი სკოლის აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა გაითვალისწინოს აღზრდის მთავარი ამოცანა და აქედან გამომდინარე, პრაქტიკული საქმიანობისას

მხედველობაში მიიღოს სტუდენტთა აღზრდის შემდეგი პრინციპები:

მოტივაცია აღზრდაში. აღზრდაში მოტივაცია უმთავრესია. ნათელი მიზნები წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სტუდენტის მიზანსწრაფვა ქვეყნისა და საზოგადობის ინტერესებიდან გამომდინარეობს, თუმცა ზოგადი ინტერესების გათვალისწინება ხელს არ უნდა უშლიდეს პიროვნული მისწრაფებების დაკმაყოფილებას. დემოკრატიული საზოგადოების წიაღში პიროვნების შესაძლებლობების განვითარებისა და ამ პოტენციალის გამოვლენისთვის მაქსიმალური პირობებია, ამიტომ სტუდენტისთვის უცხო უნდა იყოს უიმედობა და აპათია. მათ კარგად უნდა გაცნობიერონ თავიანთი სტატუსი და ის დიდი შესაძლებლობები, რომელიც ბეჯითი შრომით სწორედ სტუდენტობის ასაკში მიიღწევა.

სტუდენტობის ხანა ძვირფასი პერიოდია ყველასათვის, ამას ყველა კურსდამთავრებული აღიარებს, მაგრამ ეს პერიოდი მარტო გართობის დიდი შესაძლებლობებით კი არ უნდა დაამახსოვრდეს სტუდენტებს, თუმცა გართობაც მნიშვნელოვანი კომპონენტია სტუდენტურ ცხოვრებაში და ზოგადად აღზრდაში, მაგრამ მთავარი მაინც შეძენილი ცოდნაა, რომელიც ძვირფას საგზლად გაჰყვება ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე. რადგან ნათელი პერსპექტივა და მაღალი იდეალები მოტივაციის გაძლიერების საფუძველია, ურომლისოდაც არ არსებობს აღზრდა. სწორედ ამიტომაც არის საჭირო მარტივი და ნათელი გეგმების ჩამოყალიბება. სტუდენტი ყოველთვის უნდა ისწრაფოდეს უკეთესისკენ, ახალგაზრდული ენერგია დადებითისკენ უნდა მიემართებოდეს, ამაში მეგზურობის გაწევა კი უმაღლესი სასწავლებლის პროფესორების ვალია. თუ სტუდენტი კარგად გააცნობიერებს თავის ადგილს და მისიას საზოგადოებაში, ამასთან ერთად იქნება სწავლაზე მოტივირებული, პრობლემებიც იოლად გადაწყდება. ამაში ხელის შეშველება კი უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს.

სამოქალაქო აქტივობის (ცხოვრებასთან აღზრდის კავშირის) პრინციპი. ამ პრინციპის განხორციელება უშუალოდ ემსახურება პიროვნების სოციალიზაციის ამოცანის შესრულებას, რომელიც უმაღლეს სკოლაში აღზრდის

უმთავრესი მიზანია. რაკი უმაღლესი სკოლა კურსდამთავრებულებს ამზადებს საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის, ამ საქმეში გადამწყვეტ როლს სწორედ აღზრდის სამოქალაქო ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცება ასრულებს.

საგანმანათლებლო პროცესებს გადამწყვეტი გავლენა აქვს საზოგადოებასა და მეცნიერებაში მიმდინარე მოვლენებზე, რომელთა შესახებაც ზემოთ იყო მსჯელობა. მაგრამ არანაკლებ გავლენას ახდენენ ამგვარი მოვლენები სტუდენტთა სოციალიზაციაზე, ზოგადად აღმზრდელობით მუშაობაზე. ახალ საგანმანათლებლო პროგრამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დარგის, მიმართულების გავლენას სოციალურ ცხოვრებაზე. სასწავლო პროცესშივე იკვეთება პიროვნული ინტერესები სამოღვაწეო სფეროს მიმართ, სტუდენტობის ასაკისთვის დამახასიათებელი პრინციპულობა და სითამამე ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემათა გადაწყვეტისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოს მაღალმთიანი და არაქართველებით დასახლებული რეგიონებისთვის მასწავლებლების მწვავე დეფიციტი იყო მუდამ. სტუდენტობისას ბევრმა კურსდამთავრებულმა გაითავისა ეს ეროვნული პრობლემა და შორეულ რაიონებს მიაშურა სამუშაოდ. ასეთი ნაბიჯები უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს სწორედ ცხოვრებისეული პრობლემების გაცნობიერებამ და პატრიოტულმა შეგნებამ გადაადგმევინა. ანალოგიური საფუძველი განაპირობებს სტუდენტურ ინიციატივებს ისტორიული ძეგლების მოვლა–პატრონობაში, სარეზერვო სამსახურში თუ სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სფეროებში. სტუდენტთა ასეთი ნაბიჯები განპირობებულია მათი აქტიური პოზიციით, რომელიც ისწრაფის საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისთვის, რაც სოციალიზაციის გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი პროცესები არ უნდა დარჩეს უმაღლესი სკოლის აკადემიური პერსონალის ყურადღების მიღმა.

გუნდური მუშაობის პრინციპი. ეს პრინციპი თვისობრივად განსხვავდება აღზრდაში კოლექტივიზმის პრინციპისგან, რომლის ამოსავლიც კომუნისტური ტოტალიტარული დოქტრინა იყო და კომუნისტური საზოგადოებისათვის

ბრძოლას ითვალისწინებდა. რეალურად სინამდვილე სულ სხვაა: აღზრდის მიზანი ადამიანის ბრძოლისთვის მომზადება კი არაა, არამედ მისი თანამშრომლობისთვის მომზადებაა.

კომუნისტურ ხანაში გაბატონებული კოლექტივიზმის იდეები საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდა პიროვნულ ინტერესებს, უფრო მეტიც, იგი ახშობდა კერძო ინიციატივას და ხელს უწყობდა უსახური მასის ფორმირებას, რაც კომუნისტური დოქტრინის შემადგენელი იყო.

კოლექტივიზმი თავისთავად ცუდი როდია, როცა იგი ურთიერთთანადგომაში და სოლიდარობაში მყღავნდება. მთავარია, კოლექტივის ინტერსებმა არ მიჩქმალოს პიროვნების მისწრაფებები. კოლექტიურში პიროვნებათა ინტეგრირებული სიმრავლე უნდა იგულისხმებოდეს. საბოლოოდ ამგვარი მიდგომა კოლექტიური და ინდივიდუალური აღზრდის ერთიანობას განაპირობებს. უკანასკნელ ხანებში ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში ფართოდ ინერგება გუნდური მუშაობის პრინციპები. ამ მხრივ ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს სწავლების ახალი ტექნოლოგიები, რომელშიც გუნდური პრინციპით სწავლებას წამყვანი ადგილი უკავია.

რაკი სტუდენტი ცხოვრებისთვის, საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის მზადდება, მისი აღზრდა–განათლებაც ადეკვატური უნდა იყოს, ამიტომ გასათვალისწინებელია საზოგადოებისა და ბიზნესის სოციალური შეკვეთა. ამ მხრივ პროფესიულ უნარებთან ერთად არსებითი მნიშვნელობა შეიძინა სწორედ გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარებმა. მარტო იმის თქმაც იქნება საკმარისი, რომ უკანასკნელ პერიოდში არნახულად გაიზარდა მოთხოვნები მენეჯერული უნარების განვითარების თვალსაზრისით. წარმატებული მენეჯერი გუნდური მუშაობის კარგი მცოდნე და კოლექტივიზმის იდეის, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, მატარებელია.

გუნდური მუშაობის პრინციპები, მართალია, სწავლების სფეროში განიხილება და მას მრავალ სპეციალობაზე ასწავლიან მენეჯმენტის კურსში, მაგრამ იგი იმდენად ფართო პრობლემატიკას მოიცავს, რომ მარტო სწავლებით არ ამოიწურება. გუნდური მოქმედიანობა და ინდივიდუალური თავისებურებების ჰარმონიზაცია გაცილებით დიდ ამოცანებს ისახავს მიზნად, ვიდრე ნებისმიერი პროფესიული საქმიანობა:

იგი ვლინდება პოლიტიკაში, ბიზნესში, მეცნიერებაში, კულტურაში და რაც მთავარია, ემსახურება ადამიანში ადამიანურობის აღზრდას. ადამიანი, მისი სოციალური სტატუსიდან გამოდინარე, სოციუმში თანაარსებობისათვის ემზადება, რაშიც კოლექტივიზმის პრინციპებითა და გუნდური მოქმედიანობის სულისკვეთებით აღზრდას მნიშვნელოვანი როლი აკისრია.

პიროვნებისადმი მომთხოვნელობისა და პატივისცემის ერთიანობის პრინციპი. ამ პრინციპის განხორციელება ერთდროულად გულისხმობს, როგორც პიროვნების პატივისცემას, ისე მის მიმართ მომთხოვნელობას. ასეთი მიდგომა ლოგიკური და სამართლიანია. ბუნებრივია, თითოეული ჩვენთაგანი, ვისაც პატივს ვცემთ, მათგანაც ანალოგიურ საქციელს ველოდებით. ვინც მოვალეობისგან თავისუფალია, მას პატივსაც არავინ სცემს. პასუხისმგებლობის გრძნობა თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი არსებობის საზრისია, რაც მეტია პიროვნების პროფესიული კვალიფიკაცია, მით უფრო დიდია მისი პასუხისმგებლობაც საზოგადოების წინაშე, ამიტომ ამ გრძნობის აღზრდა უმაღლესი სკოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო საქმიანობის თანამდევი პროცესია. სასწავლო ქცევაში ნათლად ვლინდება სტუდენტის ეს თვისებები. მათი შელამაზება ან მიჩქმალვა თითქმის შეუძლებელია. პედაგოგის თვალს არასოდეს გამოეპარება უპასუხისმგებლო სტუდენტი. მაგრამ მარტო მისი გამომჟღავნება საქმეს როდი შველის. მთავარია უპასუხისმგებლობის კორექცია, მისი გამოსწორება.

სასკოლო განათლების საფეხურზე და უნივერსიტეტშიც მასწავლებლები ზოგჯერ ხელს ჩაიქნევენ სტუდენტზე, იმის გამო, რომ ის ზარმაცობს ან უდისციპლინოა. შესაძლებელია, ასეთი შეფასებისას ისინი არც სცოდავდნენ, მაგრამ ამ მოვლენასთან შეგუება მაინც გაუმართლებელია. ამის შესახებ სრულად გასაზიარებელია პედაგოგიკის მკვლევართა მრავალგზის გამოთქმული მოსაზრება: „როგორი მოუწესრიგებელი, დისციპლინის დამრღვევი და აბეზარი არ უნდა იყოს სტუდენტი, მასში უსათუოდ არის ბევრი კარგი, რაც შეიძლება მოქმედებაში არ ჩანს, მაგრამ თუ ამ კარგს

აღმზრდელი მიაგნებს, ხელთ ექნება სტუდენტის აღზრდის უტყუარი საშუალება. ადამიანისადმი რწმენა იძლევა შესაძლებლობას იმ პროექტის მიღებისას, რომლის განხორციელებაც აღზრდის ამოცანას წარმოადგენს. სტუდენტს ყოველთვის სჭირდება უფროსების მიერ თავისი საქციელის შეფასება, მისი მოქმედების საზოგადოებრივი ღირებულებით შემოწმება და იგი ყოველთვის ცდილობს დადებითი შეფასება დაიმსახუროს, რაც მასში კმაყოფილების განცდას იწვევს” (9. 82).

აღზრდაში მეტად ეფექტურად გამოიყენება დადებითი ქცევა. მასწავლებელი ყოველთვის უნდა ეცადოს სტუდენტისავე საქციელში აღმოაჩინოს დადებითი და მასზე დაყრდნობით განავითაროს აღმზრდელობითი საქმიანობა. აქედან გამომდინარე, ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს სტუდენტის უმნიშვნელო დადებითი ქცევაც და შესაბამისად შეაფასონ იგი. ასეთი მიდგომა სტუდენტს უფრო მეტის გაკეთებისკენ განაწყობს, რაც აღმზრდელის წახალისების შემთხვევაში კვლავ დადებითი მუხტის მატარებლად გვევლინება.

პიროვნებისადმი მომთხოვნელობისა და პასუსისმგებლობის ერთიანობის პრინციპი გულისხმობს სტუდენტის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას აღზრდაში. ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადი განათლების ყველა საფეხურზე. მისი მნიშვნელობა ანგარიშგასაწევია უმაღლეს სკოლაშიც.

მართალია, სტუდენტობა ერთი სოციალური ჯგუფია, მაგრამ იგი შედგება ინდივიდებისაგან, რომელთაც განსხვავებული მსოფლმხედველობა, ემოციები და მისწრაფებები აქვთ. გასათვალისწინებელია მათი ოჯახური პირობები, სოციალური წარმომავლობა, ცხოვრებისეული პერიპეტიები და სხვა, რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია არსებითი ზემოქმედების მოხდენა.

ამ პრინციპთან მიმართებაში გასათვალისწინებელია ერთი ასეთი გარემოებაც, კერძოდ, სტუდენტი ყოველთვის უნდა გრძნობდეს, რომ მისი წარმატება ახარებს ლექტორს, ხოლო მარცხი გულს ტკენს მას. ასეთი განწყობა ხელს უწყობს მათ შორის ნდობის განმტკიცებას, რაც სასწავლო –

აღმზრდელობით მუშაობაში თანამშრომლობის საფუძველს შექმნის.

უმაღლეს სკოლას დიდი აღმზრდელობითი პოტენციალი აქვს ზნეობრივი აღზრდის თვალსაზრისით. დადასტურებული ფაქტია, რომ, რაც უფრო მაღალია პიროვნების განათლების მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია მისი ზნეობრივი მოთხოვნილება, ამიტომ სტუდენტობის სწრაფვა მაღალი იდეალებისადმი მარტო ამ ასაკისთვის დამახასიათებელი რომანტიკული ბუნებით არ აიხსნება, აქ გარკვეულ როლს განათლების დონეც ასრულებს.

ზნეობრივი აღზრდა მიზანმიმართული პროცესია, რომელიც კონკრეტული ამოცანების გადაჭრის შედეგად მიიღწევა, ასეთებია: ზნეობრივი შეგნების, გრძნობების, პატრიოტიზმის და სამოქალაქო განცდის, ჰუმანიზმის, ტოლერანტობის, შრომისა და შეგნებული დისციპლინის თვისებების აღზრდა.

პედაგოგიურ საქმიანობაში მიღებულია აღზრდის შემდეგი მეთოდები: სიტყვიერი მეთოდები (ეთიკური საუბრები, ლექცია–მოხსენებები, დისპუტი); დარწმუნება; მაგალითი; ვარჯიში; წახალისება და დასჯა. უმაღლეს სკოლაში უპირატესად მიმართავენ სიტყვიერ მეთოდებს, დარწმუნებას, მაგალითსა და წახალისებას.

აღმზრდელობით საქმიანობაში არანაკლებ მნიშვნელოვანია სტუდენტის აქტივობა. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მუშაობას ეწევიან სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები. თვითაღზრდის მეთოდი დიდი ხანია აპრობირებულია პედაგოგიური საზოგადების მიერ, რომელსაც სწორედ სტუდენტური თვითმმართველობის პროცესში შეუძლია აღმზრდელობითი მისიის შესრულება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთნაირი შტამპი ვერ გამოგვადგება ყველა სიტუაციაში. მეთოდის შერჩევა კონკრეტული მიზნიდან გამომდინარეობს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია სტუდენთა ჯუფის განწყობა და ცალკეული ინდივიდების თავისებურებანი. აქედან გამომდინარე, რომელიმე მეთოდის გაუნივერსალება უშედეგო იქნება.

კითხვები და დავალებები:

1. ახსენით აღზრდის სოციალური არსი.
2. რა იგულისხმება პიროვნების ჰარმონიულ განვითარებაში?
3. დაახასიათეთ ის ფაქტორები, რომლებიც პიროვნების ჩამოყალიბებას განაპირობებენ.
4. რა ახდენს ზეგავლენას აღზრდის მიზანზე, იცვლება თუ არა იგი ?
5. დაახასიათეთ აღზრდის პრინციპები უმაღლეს სკოლაში.
6. მოახდინეთ აღზრდის მეთოდთა კლასიფიკაცია უმაღლესი სკოლის სპეციფიკის გათვალისწინებით.
7. შეადგინეთ ესე, რომელშიც გაშუქდება მაგალითის როლი აღზრდაში.

7.3. უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის ეთიკა

უმაღლესი სკოლის პედაგოგის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ წინამდებარე წიგნის სხვადასხვა მონაკვეთშია მსჯელობა. ამჯერად პედაგოგის პროფესიულ თავისებურებათა კონტექსტში, მისი სოციალური ქცევისა და ზნეობრივი მოქმედების შესახებ გვექნება საუბარი.

ზნეობის ანუ მორალის არსს და კატეგორიებს ეთიკა სწავლობს. სწორედ ეთიკის მეცნიერების საგანს წარმოადგენს ზნეობა, რომელშიც იმ ნორმათა ერთობლიობა იგულისხმება, რომლებიც პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების თანაფარდობის შეგნებას და მისდამი უანგარო დაქვემდებარებას გამოხატავენ.

ბერძნული „ethos” და ლათინური „moralis” მომდინარეობენ სიტყვა „ზნიდან”, ამდენად იგი ქართულ ენაში „ზნეობას” შეესაბამება. თანამედროვე ეთიკის მეცნიერებაში გამოყოფენ ზნეობის შემდეგ ფუნქციებს, ესენია: შემეცნებითი, შეფარდებითი, საორიენტაციო, მოტივაციური, აღმზრდელობითი, ჰუმანისტური და პროგნოსტიკური. ისინი საზოგადო ღირებულებებია ყოველი პროფესიის ადამიანისთვის, თუმცა მათ მიმართაც შეიძლება მეტნაკლები ინტერესი გამოიჩინოს განსხვავებული საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სფეროს წარმომადგენელმა.

ზნეობრივი პრობლემების მიმართ გამორჩეულ ინტერესს ამჟღავნებს პედაგოგიკა, რაც ლოგიკურია. რადგან ზოგადად აღზრდა და მათ შორის ზნეობრივი აღზრდაც, პედაგოგიკის ერთ–ერთ ცნებას და ძირითად კატეგორიას წარმოადგენს, ამიტომ, თუ ზნეობის ზოგადი პრინციპები გამოყენებულია პროფესიების მოთხოვნათა შესაბამისად, ამ მხრივ პედაგოგის პროფესიული ეთიკა ორივე განზომილებით (ზოგადად პროფესიული, როგორც ინჟინერი, ეკონომისტი, ზეინკალი და ა. შ. და საგნობრივი, როგორც ზნეობრივი აღზრდის ამოცანის უშუალო შემსრულებელი) მჭიდრო კავშირშია ზნეობრივ–მორალურ კატეგორიებთან. როგორც ვიცით, იგი ერთის მხრივ, როგორც ყველა ზნეობრივი ადამიანი, თავად განასახიერებს ზნეობრივ ქცევას ისე, როგორც ექიმი, ინჟინერი, იურისტი, საჯარო მოხელე და ა. შ., თუმცა მათი პროფესიული ფუნქციების განხორციელების პროცესშიც შეინიშნება გარკვეული თავისებურებებიც, რაც საგანგებო მსჯელობის საგანია და ამჯერად მხოლოდ ზოგადი პროფესიული ეთიკის უმთავრესი ღირებულებების შესახებ უნდა აღინიშნოს, რომელთა იგნორირებას თან სდევს ზნეობრივი ღირებულებების დეგრადაცია, რაც უპირატესად ვლინდება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევაში, პიროვნების ღირსების შელახვაში, ურთიერთ მაამებლობაში ან არაჰუმანურ ქმედებებში, ყალბი ღირებულებების დამკვიდრებაში და ა. შ.

რაც შეეხება ზნეობრივი კატეგორიებისა და ეთიკური ნორმების დაცვის პოზიტიურ მხარეს, იგი ხელს უწყობს ადამიანის ზნეობრივ თვითგანსაზღვრას, საკუთარ თავთან და სხვებთან დამოკიდებულებაში პრიმიტიული, უხეში ქცევისგან თავის არიდებას, ადამიანის სულის სიღრმისეულ შრეებში არსებული ქვენა გრძნობებისგან განთავისუფლებას, სულის გაფაქიზებას, სხვისი წარმატების თანაზიარობის განცდის უნარის ფორმირებას და მოყვასის დახმარების მოთხოვნილების გამომუშავებას, არაეთიკური საქციელის პირუთვნელ შეფასებას, საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობას, უმწეოთა და ჩაგრულთა თანადგომას, უსამართლობის მიმართ შეურიგებლობას და სხვა საზოგადოებრივად და პიროვნულად სასარგებლო და ზნეობრივად ამაღლებული ნორმების დამკვიდრებას.

ზემოთაც აღინიშნა, რომ ეთიკის სპეციალისტების მიერ ზნეობის ფუნქციების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს აღზდა–განათლების სფეროს წარმომადგენლები იჩენენ, რაც საკვლევით ბუნებრივია, რადგან წარმოდგენილი ფუნქციები (შემეცნებითი, შეფარდებითი, საორიენტაციო, მოტივაციური, აღმზრდელობითი, ჰუმანისტური და პროგნოსტიკური) უშუალოდ პედაგოგიური საქმიანობის (სასწავლო, აღმზრდელობითი) განუყოფელი ნაწილია. მათი კვლევითა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებით სწორედ მასწავლებლები და აღზრდის თეორეტიკოსები არიან სისლხორცეულად დაინტერესებულნი, რადგან თითოეული ზნეობრივი ფუნქციის ფორმირება სასწავლო–აღმზრდელობითი საქმიანობის მთავარი ორიენტირია, ამიტომ მათ მიმართ პედაგოგების გამორჩეული ინტერესის მიზეზიც ნათელი უნდა იყოს. სწორედ ამის გამო ეთიკის სპეციალისტებმა ეთიკის სხვა დარგების გვერდით „ეთიკური დიდაქტიკაც” გამოყვეს. თუმცა აჯობებდა, მის ნაცვლად „პედაგოგიური ეთიკა” (15. 20) გამოეყენებინათ, რადგან დიდაქტიკა განათლებისა და სწავლების თეორიაა, ამიტომ „ეთიკური დიდაქტიკის” აღზრდის დანიშნულებით ხმარება გაუმართლებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს მხოლოდ ტერმინოლოგიურ უზუსტობასთან.

ეთიკის მკვლევარები დასაშვებად მიიჩნევენ „პროფესიული ეთიკის’ არსებობასაც. მისი არსებობის საფუძვლად, პროფესიების თავისებურებების გათვალისწინებით ზნეობის ზოგადი პრინციპების გამოყენება მიაჩნიათ. თუ ასეთ მიდგომას გავიზიარებთ, მაშინ პროფესიულ ეთიკაში ყველაზე საფუძვლიანად ადგილს სწორედ პედაგოგები დაიმკვიდრებენ.

ცალკე დარგად გაფორმდება თუ არა პედაგოგის ეთიკა, როგორც ეთიკის მეცნიერების დარგი, ამას მომავალი გვიჩვენებს, ამჯერად ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგავართ, სასწავლო–აღმზრდელობითი სფეროს მუშაკები სხვათაგან განსხვავებული, სპეციფიკური ზნეობრივი პრინციპებით ხელმძღვანელობენ პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, რაც იმის საფუძველია, რომ მას პედაგოგის ეთიკა ეწოდოს. აქედან გამომდინარე, ***პედაგოგის ეთიკად უნდა მივიჩნიოთ ზნეობრივი პრინციპებისა და ეთიკის კატეგორიების საფუძველზე წარმართული სასწავლო–აღმზრდელობითი საქმიანობა.*** ასეთივე მიდგომა მართებული იქნება უმაღლესი

სკოლის პედაგოგების მიმართაც. ეს მით უფრო საფუძვლიანია, რადგან უმაღლეს სკოლაში არა მარტო ხელმძღვანელობენ ეთიკური კატეგორიებით, არამედ იკვლევენ მათ.

ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს უმაღლესი სკოლის პედაგოგის მიერ ზნეობრივი კატეგორიების კვლევა, ჩვენ მხოლოდ ეთიკური ნორმების ფლობის და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უმთავრესი ასპექტები გვაინტერებს, ანუ ის, თუ რა ადგილი უჭირავს ეთიკურ ნორმებს უმაღლესი სკოლის პედაგოგის საქმიანობაში.

უმაღლესი სკოლის პედაგოგის ეთიკური ნორმები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. მან შედარებით რეგლამენტირებული ხასიათი შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში შეიძინა, თუმცა უფრო ადრეც, ანტიკურ ეპოქაშიც არსებობდა მასწავლებლის ქცევის ზოგადი წესები, მაგრამ ისინი თვითრეგულირების საფუძველზე აღმოცენდნენ, განსხვავებით შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში არსებული პროფესორთა საქმიანობის განმსაზღვრელი წესებისგან, რომლებიც უნივერსიტეტების მესვეურთა მიერ იყო სანქცირებული და მის შესრულებაზეც სათანადო მეთვალყურეობა არსებობდა.

უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა დემოკრატიულმა პროცესებმა შესაბამისი გავლენა მოახდინა უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობაზე და მათ შორის პედაგოგებისა და სტუდენტების დამოკიდებულებაზე, რაც დადებითად აისახება საერთო მდგომარეობაზე. თუმცა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ლიბერალური საზოგადოების პირობებშიც კი, ის პრობლემები, რაც ადმინისტრირებას და ზოგადად კანონმდებლობის ფარგლებს სცილდება, ზნეობის სფეროში ექცევა, ამიტომ უმაღლეს სასწავლებლებში ეთიკური ნორმების დამკვიდრებისთვის მყარი გარანტიების შექმნით მთელი ევროპული საგანმანათლებლო სამყარო დაინტერესდა. სწორედ ამის რეალური გამოძახილი გახდა უნივერსიტეტის დიდი ქარტია, რომელიც ბოლონიაში მიიღეს ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების რექტორებმა 1998 წლი 18 სექტემბრს. სწორედ მისი ზოგადი პრინციპები ედება საფუძვლად

უმაღლესი სკოლის პედაგოგის ეთიკურ ნორმებს, რომელსაც ზოგჯერ ეთიკურ კოდექსსაც უწოდებენ.[1]

უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტურ პრინციპებში სათანადო ადგილი უჭირავს ზნეობრივ პრობლემებს, მასში მითითებულია, რომ უნივერსიტეტებში კვლევა და სწავლება ზნეობრივად და ინტელექტუალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებისგან. უნივერსიტეტისთვის ასევე არსებითია შეუწყნარებლობისა და ნებისმიერი ძალადობის დაგმობა, იგი იდეალური ასპარეზი უნდა იყოს ისეთი მასწავლებლებისათვის, რომლებიც მზად არიან სხვას გაუზიარონ თავისი ცოდნა, განავითარონ იგი კვლევებისა და ინოვაციების საშუალებით და გადასცენ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ ამ ცოდნასთან ზიარების უფლება, სურვილი და უნარი (უნივერსიტეტების დიდი ქარტია, III პრინციპი).

ევროპული უნივერსიტეტები საუკეთესო ჰუმანისტური ტრადიციების ერთგულნი რჩებიან და მათი ზრუნვის საგანი სტუდენტთა უფლებების დაცვა და მათ მიერ ისეთი გარემოთი სარგებლობაა, რომელშიც შესაძლებებია კულტურისა და ცოდნის შეძენა (უნივერსიტეტების დიდი ქარტია, მუხლი III). სწორედ ამგვარადაა ჩამოყალიბებული ევროპული უნივერსიტეტების დიდ ქარტიაში ზემოთ აღნიშნული ფუნდამენტური პრინციპების განხორციელების საშუალებები. ამდენად, მისი ზნეობრივი პათოსი სრულად შეესაბამება ლიბერალური საზოგადოების ფუძემდებლურ პრინციპებს და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგთათვის საპროგრამო მითითებებს შეიცავს.

---

[1] თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა 2006 წელს შეადგინეს „უმაღლესი სასწავლებლის ეთიკის კოდექსი", რომელიც მათივე განმარტებით არის საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების თანამდებობის პირების, პროფესორ–მასწავლებლების, დამხმარე პერსონალისა და სტუდენტების ურთიერთობის თვითრეგულირების ინსტრუმენტი. ასეთი დოკუმენტების შექმნა საჭირო და მისასალმებელია, მაგრამ აჯობებდა, წარმოდგენილი „კოდექსი" კონკრეტულ უნივერსიტეტს რომ ეხებოდეს და ქვეყნის ყველა უმაღლეს სასწავლებელზე გავრცელების პრეტენზია რომ არ ჰქონდეს.

ყოველი ეპოქის აღმზრდელობითი სისტემა (აღზრდა ფართო გაგებით განათლებასაც გულისხმობს – ა. ა.) მეტნაკლებად აღზრდაში ადამიანურობის აღზრდის პრიმატს გულისხმობდა, თუმცა, ცნობილია საპირისპირო ტენდენციებიც, როცა მთავარი აქცენტი კვალიფიკაციაზე კეთდებოდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ მიგვაჩნია გამოჩენილი რუსი პედაგოგისა და სამხედრო ქირურგის ნ. პიროგოვის სტატიიდან „ცხოვრების საკითხები" ერთი მონაკვეთის გახსენება: „–რისთვის ამზადებთ შვილს ? – მკითხა ვიღაცამ, – წერდა ნ. პიროგოვი, – იმისთვის, რომ ადამიანი იყოს, – ვუპასუხე მე. – ნუთუ არ იცით, მკითხა შემკითხველმა, – რომ ადამიანები არ არსებობენ ქვეყნად; ეს მხოლოდ განყენებული რამ არის, რომელიც სრულიად არაა საჭირო ჩვენი საზოგადოებისათვის, ჩვენთვის აუცილებელია ნეგოციანტები (სოვდაგრები – ა. ა.), სალდათები, მექანიკოსები, მეზღვაურები, ექიმები, იურისტები და არა ადამიანები. მართალია ეს ?" – სინანულით კითხულობს ავტორი (26. 63).

გლობალიზაციის ეპოქაში კიდევ უფრო მეტი სიმწვავე შეიძინა აღნიშნულმა პრობლემამ. დინამიზმით აღსავსე თანამედროვეობამ თითქოს უკან გადასწია ადამიანის უმთავრესი დანიშნულება და ეს ტენდენცია გაჩნდა საგანმანათლებლო სექტორშიც. რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ მარტო კვალიფიკაცია არ არის საზოგადოების წინსვლისთვის საკმარისი, თუ მას პიროვნების, მოქალაქის სრულფასოვანი აღზრდაც არ ახლავს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ მაღალკვალიფიციური ექიმი ან მასწავლებელი, რომელიც ზნეობაში მოიკოჭლებს. ამდენად, კვალიფიკაციის მიუხედავად, ეთიკის ნორმების დაცვა ყველას მოწოდება უნდა იყოს, მით უფრო, უმაღლესი განათლების მქონე პირებისთვის, რომელთა მოქალაქეობრივი აქტივობა ძირითადად განაპირობებს საზოგადოების ზნეობას.

ამ თვალსაზრისით, უდიდესი მისიის შესრულება შეუძლია უმაღლეს სასწავლებლებს. სწორედ უმაღლეს სკოლებშია ის დიდი პოტენციალი, რომელიც ტონის მიმცემია საზოგადოების ზნეობრივი განვითარებისთვის. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უმაღლესი სასწავლებლის აკადემიურ პერსონალს უჭირავს.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ იყო დიდი მეცნიერი, სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ამავე დროს

იყო კარგი პედაგოგიც. პედაგოგობა განსაკუთრებულ ფსიქო – სოციალურ და ზნეობრივ უნარებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით კ. უშინსკი წერდა: „სწავლების ყოველგვარი პროგრამა, აღზრდის ყოველგვარი მეთოდიკა, როგორი სრულყოფილიც უნდა იყოს იგი, თუ აღმზრდელის რწმენაში არ არის გადასული, მკვდარია და არავითარი ქმედითი ძალა არ გააჩნია" (36. 23). აქედან გამომდინარე, პედაგოგისთვის იმის რწმენა, რომ იგი უკეთილშობილეს საქმეს აკეთებს, უმნიშვნელოვანესია. ამასთან ერთად, ისე როგორც ნებისმიერი სასწავლო – აღმზრდელობითი დაწესებულების მასწავლებელისთვის, უმაღლესი სკოლის პედაგოგისთვისაც მთავარია, არა მარტო ნორმატიულ ფარგლებში შეასრულოს თავისი მოვალეობები, არამედ მთელი გატაცებით მიეცეს დაკისრებულ საქმეს. სხვა პროფესიებისგან განსხვავებით, პედაგოგის ზემოქმედების ობიექტი მოზარდი ან სტუდენტია, რომელიც ზედმიწევნით ფაქიზ მოპყრობას და გატაცებით მუშაობას მოითხოვს.

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგის უპირველესი მოვალეობა სასწავლო–საგანმანათლებლო პროცესში კეთილსინდისიერი მონაწილეობა, სტუდენტისათვის ხარისხიანი განათლების მიცემაა. მაგრამ ამ მასშტაბური ამოცანის შესასრულებლად უმაღლესი სკოლის პროფესორს უამრავი პრობლემის გადაწყვეტა და ბარიერის გადალახვა უხდება. მათი გათვალისწინებით, ყველას როდი ძალუძს მასწავლებლის რთული, მაგრამ საპატიო წოდების ტარება. სწორედ მათი მაღალი მორალური მდგომარეობის შესახებ მიუთითებდა მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, დიდი ჩეხი მოაზროვნე იან ამოს კომენსკი: „მასწავლებლები, – წერდა იგი, – დაყენებულნი არიან მაღალ საპატიო ადგილზე, რომ მათ ჩაბარებული აქვთ საუცხოო თანამდებობა, რომლის უკეთესიც მზის ქვეშ არაფერი შეიძლება იყოს." ზნეობრივი თვალსაზრისით, მასწავლებლის თანამდებობა მართლაც მნიშვნელოვანია, სამართლიანი იქნებოდა მასწავლებლის შრომა მატერიალური ანაზღაურების მხრივაც გამორჩეული რომ ყოფილიყო, თუმცა ამის იმედი აუცილებლად უნდა ვიქონიოთ. მაგრამ, ამჯერად ზნეობრივი ასპექტების ირგვლივ გავაგრძელებთ მსჯელობას.

ზემოთ აღინიშნა, რომ მასწავლებლის ეთიკა დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებაშიაო, რაც პროფესიულ საქმიანობაში ზედმიწევნით თავდაჯერებულობას, გატაცებას და რწმენას მოითხოვს, მაგრამ მარტო ესეც არ კმარა ზნეობის ისეთი ფუნქციების შესრულებისთვის, როგორიცაა შემეცნებითი, მოტივაციური, აღმზრდელობითი და ჰუმანისტური დანიშნულება, რაც ყველაზე ახლობელია პედაგოგის საქმიანობისთვის. პედაგოგის ეთიკური ნორმების შესრულებისთვის უპირველესად პედაგოგის მომზადებაა საჭირო. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ეთიკა რწმენის სფეროა და ამას სწავლება არ უნდაო, მაგრამ თუ საკითხს უფრო ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ რაგინდ დიდი სიყვარულით და რწმენით ვიყოთ აღვსილნი აღსაზრდელების მიმართ, თუ სათანადო კომპეტენცია არ გვექნება, ჩვენი შრომაც ფუჭი გამოვა და აღსაზრდელებიც მოტყუებულნი აღმოჩნდებიან, თუმცა, რწმენა და სიყვარული ყოველთვის პედაგოგიურ საქმიანობის განუყოფელ ატრიბუტებად დარჩება.

ამდენად, პედაგოგმა, რომ ეთიკური ნორმები დაიცვას, უპირველესად უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობები, ანუ კარგად ასწავლოს, რაც სათანადო კომპეტენციას და ზოგად ერუდიციას მოითხოვს. სწორედ მასში მოიაზრება პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური და მეთოდიკური მომზადება, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერი საგნის პედაგოგის საქმიანობის განმსაზღვრელია. ამათთან ერთად, ანგარიშგასაწევია ლექტორის ინტელიგენტურობა, ჰუმანურობა, სამართლიანობა, შემწყნარებლობა, ობიექტურობა და სხვა მრავალი თვისება, რომელთა უზადოდ დაცვის მაგალითებს სწორედ უმაღლესი სკოლის პედაგოგი უნდა იძლეოდეს.

უმაღლესი სკოლის პედაგოგი სამართლიანობისთვის უნდა აღანთებდეს სტუდენტს, სასურველია ავტორიტეტების პატივისცემა, მაგრამ რეალობის გრძნობამაც არ უნდა გვიღალატოს და ვინმე კერპად არ გავიხადოთ. ლექტორმა ჭეშმარიტების ძიებაში უნდა წაახალისოს აღსაზრდელი, თავდაჯერებულობა შესძინოს სტუდენტს. როგორც გენილური სოკრატე მის სახელოვან მოწაფეს პლატონს მიმართავდა: „როცა მე მომყვები ნაკლებად იფიქრე სოკრატეზე და მეტი ჭეშმარიტებაზეო.”

ლექტორმა პირადი საქციელით უნდა მოიპოვოს სტუდენტების ნდობა და პატივისცემა. იგი უფროსი მეგობარი და თანამოაზრეა სტუდენტისთვის. კარგი პედაგოგი სამართლიანად იცავს სტუდენტის ინტერესებს, ამიტომ მის სამართინობაში ეჭვიც არ ეპარებათ ახალგაზრდებს. ავტორიტეტის მოპოვებას წარმატებული პედაგოგები სტუდენტებთან თანამშრომლობით ახერხებენ და არა ავტორიტარული მიდგომით, სტუდენტებს რეალური საქმეების უფრო სჯერათ, ვიდრე უსაგნო ლაპარაკისა. როგორც დემოკრიტე ამბობდა: „უნდა მივეჩვიოთ ქველ საქმეებს და არა ლაყბობას ქველ საქმეებზე," რაც დროებით ეფექტს ქმნის მხოლოდ და პერსპექტივა არ გააჩნია.

უმაღლესი სკოლის პედაგოგში სტუდენტი გულისხმიერ თანამოაზრეს და სიმართლისთვის მებრძოლს უნდა ხედავდეს, ვისთვისაც მიუღებელია ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნების მიხედვით ადამიანების დაყოფა. ლექტორი თავად უნდა იყოს სამართლიანობისა და ჰუმანისტური იდეალების ერთგულების განსახიერება და სხვებსაც ამისთვის აღანთებდეს. წარმატებული პედაგოგები ადვილად პოულობენ საერთო ენას სტუდენტებთან, ტაქტიანად ახერხებენ მათი პრობლემების გაცნობას და საჭიროების შემთხვევებში, სათანადო მორალურ მხარდაჭერასაც არ აკლებენ მათ. სტუდენტისა და ლექტორის დამოკიდებულებაში უშუალობა, რომელიც ზომიერ ფარგლებშია მოქცეული, მათი სასწავლო–შემეცნებითი თანამშრომლობის მტკიცე საფუძველია, რომლის გარეშეც ეფექტური განათლება არ არსებობს.

უმაღლესი სკოლის პედაგოგოგმა რომ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოს აღსაზრდეთა ზნეობაზე, ამისათვის, პირველ რიგში, იგი თვით უნდა ფლობდეს ესთეტიკურ კულტურას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ესთეტიკური კულტურა არა მხოლოდ ხელს უწყობს ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას, არამედ მას შეუძლია დადებითი მუხტი გადასცეს სხვა ადამიანებსაც. აქედან გამომდინარე, ესთეტიკურად განვითარებული პედაგოგი ყოველთვის ეცდება პრაქტიკულ საქმიანობაში შეიტანოს ესთეტიკური საწყისი, რაც ვლინდება მის გარეგნულ იერსახეში, მეტყველების კულტურაში, ხელოვნების ნიმუშების შეფასებაში და

საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მოვლენების მიმართ დამოკიდებულებაში.

პედაგოგის ეთიკა ვლინდება არა მარტო კონკრეტული სასწავლო საგნის პრობლემებზე მსჯელობისას, არამედ მისი, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის დამოკიდებულებით პოლიტიკასთან, სამართალთან, რელიგიასთან და, რაც პედაგოგისთვის მეტად ახლობელია – მეცნიერებასთან. ამ უკანასკნელთან კეთილსინდისიერი დამოკიდებულება პირდაპირ კავშირშია პედაგოგის ავტორიტეტთან სტუდენტების თვალში.

პედაგოგს გათავისებული უნდა ჰქონდეს ეთიკის კატეგორიები: ბედნიერება, მოვალეობა, ღირსება და თავმოყვარეობა, სინდისი და სამართლიანობა. უმთავრესი, რაც პედაგოგის პროფესიას გამოარჩევს სხვებისგას – ესაა სხვა ადამიანების ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებაზე ზრუნვა, ხოლო, როცა ამგვარი ზრუნვა უანგაროა, მაშინ ეთიკური კატეგორიებიც მოქმედებაშია. შეიძლება ამ ფორმულირებას ზოგი არ დაეთანხმოს იმ მოტივით, რომ ზნეობრივი ქმედება საზღაურის გარეშე უნდა ხდებოდეს, პედაგოგის შრომა კი ხელფასის სახით ნაზღაურდება, მაგრამ ანაზღაურებას ექვემდებარება სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებილი საკითხების სწავლება, კონსულტაცია, გამოცდა და სხვა. მათ გარდა, ჭეშმარიტი პედაგოგი არაპროგრამულ მასალასაც გადასცემს და სტუდენტთა სულიერ სამყაროზეს ახდენს ზემოქმედებას, რომელიც არც ერთ ნორმატივში არ თავსდება, რაც პედაგოგის ზნეობის გამოვლინებაა, რომლის გარეშეც აზრს დაკარგავდა პედაგოგის პროფესია.

ეთიკის მეცნიერებაში გამოყოფილია ზნეობის პრინციპები: შრომისმოყვარეობა, კოლექტივიზმი, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ჰუმანიზმი და ოჯახის სიყვარული. თითოეული მათგანის მიმართ პედაგოგის დამოკიდებულება ბევრად განაპირობებს სტუდენტთა ზნეობრივ აღზრდას. პედაგოგის შრომისმოყვარეობის უპირველესი დასტური მისი მეცნიერული და პედაგოგიური მიღწევებია, რომელსაც მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევენ სტუდენტები. კოლექტივიზმისა და ზოგადად მეგობრული გარემოს ჩამოყალიბებაზე ზრუნვა პედაგოგის მოღვაწეობის არსებითი

სფეროა. როგორც ცნობილია, კარგად შეკავშირებულ სტუდენტურ ჯგუფში გაცილებით გაიოლებულია სასწავლო ამოცანების გადაწყვეტა, ხოლო სტუდენტთა ზნეობრივი სრულყოფილებისთვის მისი მნიშვნელობა განუზომელია. ასევე განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია ლექტორის პატრიოტული პათოსი. ყოველ ეპოქაში მოწინავე მასწავლებლები მომავალ თაობას აღანთებდნენ სამშობლოს სიყვარულის გრძნობით. საზოგადოებრივად პროგრესული აზრი ყოველთვის უმაღლესი საწავლებლის კედლებში იბადებოდა და მისი პირველწყარო სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული პედაგოგები იყვნენ. ამის მაგალითები ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსულიდანაც შეიძლება გავიხსენოთ. სწორედ უმაღლეს საწავლებლებში, გასული საუკუნის 80 – იან წლებში, გადაიდგა ეროვნული მოძრაობის პირველი ნაბიჯები, რომელიც შემდგომ მთელ საქართველოს მოედო. ჭეშმარიტი პატრიოტიზმი არათუ გამორიცხავს სხვათა პატივისცემას და ტოლერანტობას, არამედ გულისმობს მას. სწორედ რელიგიური და ეროვნული შემწყნარებლობის ღირსებით გამოირჩეოდა ქართველი ხალხი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მძიმე ქარტეხილების დროსაც კი.

ჰუმანიზმის პრინციპი პედაგოგის საქმიანობის ქვაკუთხედია. მასწავლებლის მთელი მოღვაწეობა ამ პრინციპის რეალურად ხორცშეხსხმას გულისხმობს. პედაგოგის საქმიანობა ჰუმანური იქნება, თუ მას აღსაზრდელი უყვარს, ხოლო ის პედაგოგი, ვისაც ეს კეთილშობილური გრძნობა არ აქვს, მარცხისთვისაა განწირული.

უმაღლესი სკოლის პედაგოგის მუშაობის ობიექტი იმ ასაკობრივი ჯგუფის სტუდენტებია, რომლებიც ემზადებიან ოჯახის შესაქმნელად, ხოლო ზოგიერთ მათგანს უკვე გადადგმული აქვს ეს მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ნაბიჯი. სტუდენტური ოჯახის სიმყარის ხელშეწყობისა და მისი ჰარმონიზაციისათვის სასწავლო დაწესებულებებსაც გარკვეული როლის შესრულება შეუძლიათ. როგორც ცნობილია, ახალგაზრდული ოჯახი მრავალ ყოფით პრობლემას აწყდება, რაც უარყოფითად აისახება ახალშეუღლებულთა სწავლაზე. ასეთ შემთხვევებში გულისხმიერ პედაგოგებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ.

მართალია, პედაგოგის ფუნქციონალური მოვალეობები ამას არ ითვალისწინებს, მაგრამ უმაღლესი სკოლის პედაგოგის ზნეობრივი კრედო მარტო ოფიციალურად ფიქსირებული მოვალეობებით არ შემოიფარგლება და იგი აღსაზრდელის კეთილდღეობისთვის უანგაროდ კისრულობს სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტას, რაც მისი, როგორც პედაგოგის ზნეობრივი მოთხოვნილებაა, სწორედ ასეთი და მსგავსი ქმედებები ექცევა ეთიკის ინტერესთა სფეროში და მას მართებულად ეძლევა პედაგოგის ეთიკის კვალიფაკაცია.

კითხვები და დავალებები:

1. განმარტეთ უმაღლესი სკოლის პედაგოგის ეთიკა;
2. ჩამოაყალიბეთ უმაღლესი სკოლის პედაგოგის ეთიკის თავისებურებანი;
3. ეთიკის ფუნქციებიდან რომელი მათგანი უფრო ახლოსაა უმაღლესი სკოლის პედაგოგის მუშაობის სპეციფიკასთან ?
4. გაიხსენეთ პედაგოგის მიერ ეთიკური გადაცდომის შემთხვევა და მის შესახებ ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრება;
5. რით განსხვავდება უმაღლესი სკოლის პედაგოგის ეთიკა სხვა პროფესიის მქონე ადამიანების ეთიკისგან ?
6. დაწერეთ ესე „ჩემი პროფესორი”.

7.4. პედაგოგიური და მენეჯერული ურთიერთობის სახეები

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება და ბიზნესის განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული განათლების სისტემის რეფორმაზე, განსაკუთრებით კი ახალი პირობებისათვის შესაფერის პროფესიონალ მენეჯერ–მმართველთა მომზადებაზე. ამიტომ უმაღლესი კვალიფიკაციის მენეჯერთა მომზადება ითვალისწინებს მთელი რიგი ახალი დისციპლინების შესწავლას, რომლებიც ადამიანის პიროვნული უნარების კვლევაზე არიან ორიენტირებულნი.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობა წარმოუდგენელია

პროფესიონალ მენეჯერთა გარეშე, რაშიც, პირველ რიგში მოიაზრება მენეჯერის პიროვნება, ადამიანი და შემდეგ, როგორც გარკვეული პროფესიის წარმომადგენელი. მაშასადამე, მმართველი–მენეჯერი უნდა იყოს მრავალმხრივ განათლებული ადამიანი, მაგრამ ამავე დროს, რაც ძალზე დიდ გავლენას ახდენს მის ჩამოყალიბებაში, როგორც კარგი მმართველი უნდა ფლობდეს პიროვნული თვისებების საუკეთესო ნაკრებს, რაც დამოკიდებულია ადამიანის აღზრდა–განათლებაზე, მის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე, რომელშიც წამყვანი ადგილი კომუნიკაციურ უნარებს უჭირავს.

თანამედროვე პირობებში, მენეჯერის მომზადებასა და საქმიანობაში კიდევ უფრო გაიზარდა იმ სასწავლო საგანთა როლი, რომლებიც ზოგადი და კომუნიკაციური უნარების ფორმირებას ისახავს მიზნად. ასეთია უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და მენეჯმენტი, რადგან უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და ზოგადი პედაგოგიკა ადამიანის შემსწავლელი მეცნიერებებიდან ერთადერთია, რომელიც სწავლობს ადამიანის აღზრდის, სწავლების, განათლებისა და განვითარების პრობლემებს. ხოლო მენეჯერის საქმიანობის დედაბოძი ადამიანური უნარებისა და ცოდნის მიზანმიმართული წარმართვაა. ამდენად, ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება მხოლოდ სათანადოდ მომზადებულ მენეჯერებს შეუძლიათ, რაშიც აღნიშნული მეცნიერება თავის სიტყვას ამბობს, ხოლო მენეჯერთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში ასევე მნიშვნელოვან როლს პედაგოგიური უნარები ასრულებს, რომელიც წარმატებული მენეჯერის ქმედით იარაღს წარმოადგენს.

თანამედროვე ბიზნესურთიერთობებში მთავარი ყურადღება ადამიანის პროფესიულ კომპეტენციასთან ერთად კომუნიკაციურ უნარებსაც ექცევა. მენეჯერის მომზადებაში მნიშვნელოვანი გახდა ემოციური ინტელექტი და ნეიროლინგვისტური პროგრამირება, რომელიც ხელს უწყობს პერსონალის შესაძლებლობების ამაღლებას, რაც საბოლოოდ ფასდება, როგორც „ადამიანური კაპიტალი”.

კომპანიები და ფირმები მენეჯერთა მომზადებისათვის მნიშვნელოვნად ზრდიან ინვესტიციებს, რაც კვალიფიციური მენეჯერების ეფექტური მართვის შედეგად უზარმაზრი მოგების სახით უკანვე უბრუნდებათ. ასეთი პოლიტიკა

„მენეჯმენტისაკენ შემობრუნების” სტრატეგიად არის შეფასებული.

ინფორმატიზაციის და გლობალიზაციის ეპოქამ დავიწყებას მისცა მენეჯმენტის ტრადიციული მეთოდები, რომელიც თანამედროვე პირობებში მეტ მოქნილობას და მუდმივ განვითარებას მოითხოვს. ახალი კონცეფცია „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში” კანონზომიერად დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში და შეცვალა ძველი დევიზი – „სწავლის დასრულება მუშაობის დაწყებამდე”.

თანამედროვე პედაგოგიკას და მენეჯმენტს ბევრი რამ საერთო აქვთ. ერთიცა და მეორეც ადამიანის ცოდნაზე, გამოცდილებაზე, უნარზე, ზნეობაზე და სხვა საზიარო ფასეულობებზე არიან ორიენტირებული. თუ პედაგოგიკა ამათ შეძენაზე ორიენტირებული მეცნიერებაა, მენეჯმენტი შეძენილი უნარების პრაქტიკულად განხორციელებას ემსახურება. ხოლო ამ უნართაგან მნიშვნელოვანი ადგილი ადამიანურ კომუნიკაციას უჭირავს.

მენეჯერები კოლეგებთან, პარტნიორებთან და დაქვემდებარებულ პერსონალთან მიმართებისას ავლენენ ზემოქმედების უნარს. მათი გავლენა დამოკიდებულია როგორც პიროვნების თანამდებობრივ მდგომარეობაზე, ასევე მათ კომუნიკაციურ უნარებზე. ბიზნესურთიერთობებზე ზემოქმედების ორ მიმართულებას გამოყოფენ: გავლენას და ძალაუფლებას. გავლენა არის ერთი ინდივიდის ნებისმიერი ქმედება, რომელიც იწვევს ცვლილებებს მეორე ინდივიდის ქცევაში და განსაზღვრავს მათ შორის ურთიერთობებს. (ჯ. მინერი „მენეჯმენტის პროცესი”, 1973). ძალაუფლება კი სხვათა ქცევაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობაა (ჯ. კოტერი „ძალაუფლება, დამოკიდებულებები და ეფექტური მენეჯმენტი”, 1977). ამრიგად, გავლენა არის ურთიერთდამოკიდებულებათა პროცესი, რომელშიც ერთ–ერთი მხარე, თავის ხელთ არსებული ძალაუფლების მობილიზაციით, ცდილობს შეცვალოს მეორე მხარის ქცევა. მაგრამ ძალუფლების გარეშეც შეიძლება ადამიანებმა გავლენა იქონიონ ერთმანეთზე, უფრო მეტიც, შეცვალონ ან კორექტივები შეიტანონ სხვა პიროვნების ქცევაში. სწორედ გავლენის ფორმირების კანოზომიერებათა კვლევა გახდა უკანასკნელ პერიოდში აქტუალური, რადგან ძალაუფლების წყაროს

უმთავრესად მაინც თანამდებობრივი მდგომარეობა წარმოადგენს, თუმცა გამოყოფენ ექსპერტულ, ეტალონურ და დაჯილდოებაზე დამყარებულ ძალაუფლებასაც. თითოეული მათგანი გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ამჯერად, ჩვენი ინტერესის საგანს ის კომუნიკაციური უნარები წარმოადგენს, რომელთა მეშვეობით ყალიბდება ხელმძღვანელობისა და ბიზნესურთიერთობის სტილი.

ბიზნესურთიერთობებზე და ხელმძღვანელობის ნებისმიერი სტილის ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია იმ სასწავლო–აღმზრდელობით დაწესებულებებს, რომელშიც კონკრეტული პიროვნების ჩამოყალიბება მიმდინარეობდა. ასეთი ლოგიკით ინტერესმოკლებული არ იქნება პედაგოგიკაში დამკვიდრებული პედაგოგიური ურთიერთობის სახეებისა და ბიზნესსაქმიანობაში – ხელმძღვანელობის მოდელებისა და ტიპების შედარებითი ანალიზი და მათ შორის ანალოგია –პარალელების ძიება.

როგორც ცნობილია, 1944 წელს კ. ლევინმა ჩამოაყალიბა ხელმძღვანელობის მოდელი, რომელიც სამ ტიპს ითვალისწინებს: 1) ავტორიტარული, 2) დემოკრატიული, 3) ლიბერალური. მოგვიანებით ამავე პრობლემით დაინტერესდა რ. ლაკერტი და გამოყო ხელმძღვანელის ოთხი ტიპი: 1) განუყოფელი ერთმმართველობა, 2) კეთილმოსურნე ავტორიტარული მმართველობა, 3) სათათბირო მმართველობა, 4) კოლეგიალური მმართველობა. თითქმის ანალოგიური კლასიფიკაცია წარმოადგინეს 1958 წელს ჟურნალ „ჰარვარდ ბიზნეს რევიუში", რ. ტანენბამმა და უ. შმიდტმა. სტატიაში „როგორ ავირჩიოთ მართვის სქემა", რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა, ამიტომ 1973 წელს იგი კვლავ გამოაქვეყნეს და მასში გამოთქმული მოსაზრების საფუძველზე ჩამოაყალიბეს ხელმძღვანელის ოთხი ტიპი: 1) მკაცრი ავტორიტარული (დიქტატურა), 2) კეთილმოსურნე ავტორიტარული (კეთილმოსურნე თვითმმართველობა), 3) სათათბირო მმართველობა, 4) კოლეგიალური მმართველობა.

ბიზნესურთიერთობებსა და მმართველობის სტილს მარტო საქმიანი კომუნიკაციები არ აყალიბებს. ეს უნარები და პიროვნული პრინციპები ადამიანის მსოფლმხედველობის ფორმირების კვალდაკვალ ყალიბდება, ამ თვალსაწიერიდან

საინტერესო იქნება პედაგოგიკურ მეცნიერებაში დამკვიდრებული აზრი.

პედაგოგიური ზემოქმედება, სასწავლო იქნება თუ აღმზრდელობითი, ურთიერთობის მეოხებით ხორციელდება. სწორად შერჩეული სტილი აადვილებს პედაგოგის ჩანაფიქრის შესრულებას, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს გამოყენებული მეთოდის წარმატებას და პირიქით: არაადეკვატური ურთიერთობა, რომელიც კომუნიკაციურად ვერ უზრუნველყოფს მეთოდს (ხერხს, საშუალებას) – საგრძნობლად ართულებს პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტას. ასე რომ – მეთოდი უშუალოდ არ წყვეტს პედაგოგიურ ამოცანას, მთავარია, მისი გამოყენების კომუნიკაციური შესაძლებლობა. მეთოდი ყოველთვის გაშუალებულია მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი ურთიერთობით. ამის გაცნობიერება გასაგებს ხდის ერთი შეხედვით უცნაურ ფაქტს, როცა ერთი და იგივე მეთოდი (ხერხი, საშუალება, სისტემა) სხვადასხვა პედაგოგის პრაქტიკაში მნიშვნელოვნად განსხვავებულ შედეგს იძლევა (20. 70). ანალოგიური მიდგომები შეინიშნება ბისნესურთიერთობებშიც.

როგორც ბიზნესურთიერთობებში, ისე პედაგოგიკაშიც გამოყოფენ (ვ. ა. კან–კალიკი) ურთიერთობის რამდენიმე სახეობას: 1) ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობით გატაცების საფუძველზე აღმოცენებულ ურთიერთობას, 2) მეგობრული განწყობის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობას, 3) დისტანციურ ურთიერთობას, 4) დაშინებისათვის გამიზნულ ურთიერთობას, 5) პირფერობაზე დამყარებულ ურთიერთობას.

პედაგოგიკის სპეციალისტები წარმოდგენილი სახეებიდან დადებითად აფასებენ პირველ ორს, განსაკუთრებით კი პირველს. დანარჩენი სამი სტილიდან უკანასკნელი ორი, დაშინებაზე და პირფერობაზე დამყარებული ურთიერთობები, აშკარად მიუღებელია და მათგან მხოლოდ ზიანს უნდა ველოდეთ, ხოლო დისტანციური ურთიეთობა ნაკლებ საზიანოა და ხშირად აკადემიურ შედეგსაც იძლევა.

პედაგოგოგიური ურთიერთობის სახეები კიდევ უფრო დააჯგუფეს ქართველმა მეცნიერებმა (შ. ამონაშვილი, მ. დოღონაძე) და გამოყვეს ურთიერთობის სამი სტილი: დემოკრატიული, ავტორიტარული და ლიბერალური. მათგან

ქმედითი მხოლოდ ორია: დემოკრატიული (თანამშრომლობითი) და ავტორიტარული. მიუხედავად მათი პოლარულად საპირისპირო ხასიათისა, მხოლოდ ისინი განაპირობებენ პედაგოგიური ამოცანის მეტ-ნაკლები წარმატების მიღწევას. რაც შეეხება ლიბერალურ სტილს, იგი მხოლოდ ზიანის მომტანია. მის გამოყენებას ანარქიამდე მიჰყავს სასწავლო პროცესი. იმის მიუხედავად, რომ ავტორიტარული სტილის გამოყენებით შესაძლებელია დისციპლინის დამყარება და აკადემიური წარმატებების მიღწევაც, ავტორიტარულ-იმპერატიული სტილი მაინც ამუხრუჭებს მოსწავლეებში დამოუკიდებლობას, ინიციატივიანობის, თვითმოქმედების, შემოქმედებითი საქმიანობის უნარის განვითარებას და ხშირად მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კონფლიქტის მიზეზადაც გვევლინება. ასეთი სტილით მუშაობისას ადამიანის ცნობიერება მორჩილად იღებს იმას, რასაც გადასცემენ, ცოდნას დოგმის ფორმა აქვს, რომელიც სავალდებულოა ისწავლონ. აქ ცნობიერება ძირითადად მეხსიერებას ტვირთავს, რადგან მთავარია დამახსოვრება. იგი შეესაბამება ავტორიტარულ საზოგადოებებს და საბოლოოდ მაინც მიუღებელია. ასევე საზიანოა ლიბერალური ურთიერთობის სტილიც. ყველაზე მისაღები სწორედ ჰუმანურ-დემოკრატიული სტილია, რომელსაც ახასიათებს, როგორც მოსწავლეებთან თანამშრომლობის ელემენტები, ისე დემოკრატიული წესრიგი. აქ მოსწავლეთა ცნობიერება ერთდროულად კრიტიკულიცაა და შემოქმედებითიც. მთავარი დახსომება კი არაა, არამედ მისი ცნობიერების ნაწილად ქცევა. როგორც ეგზისტენციალისტები ამბობდნენ, ისინი ფილოსოფიას კი არ ასწავლიან, როგორც მზამზარეულ სისტემას, არამედ ფილოსოფოსობას, როგორც საკუთარ აზროვნებაზე დამყარებით შემუშავებულ ცოდნისა და ღირებულებათა იერარქიას. სწორედ ჰუმანურ–დემოკრატიული სტილის ურთიერთობა შეესაბამება ღია საზოგადოებას, როდესაც ადამიანს შეუძლია ღირებულებათა სისტემა არა მარტო მიიღოს, არამედ საკუთარ ღირებულებათა იერარქია შეიმუშავოს და შეცვალოს მისთვის მიუღებელი ღირებულებები, საკუთარი ნოვაციები შეუზღუდავად განავითაროს, რაც შემოქმედებითი პედაგოგიკის ცხოველმყოფელობის საფუძველია.

პედაგოგიური ურთიერთობის სახეებისა და ბიზნეს საქმიანობის სტილთა მხოლოდ ფორმალური მსგავსება არ არის მათ შორის ანლოგიების გავლების საფუძველი. თითქოს სრულიად განსხვავებული საქმიანობის სფეროების შედარებითი დახასიათებისას, მათ შორის მრავალი გადაკვეთის წერტილიც აღმოჩნდა და მიზეზ–შედეგობრივი კავშირიც. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის გრაფიკულად მივმართოთ პედაგოგიური და ბიზნესსაქმიანობის სტილთა შედარებით დახასიათებას (იხ. სქემა № 1).

პედაგოგიური ურთიერთობების სახეებისა და ბიზნესსაქმიანობის სტილთა შედარებითი მახასიათებლები

სქემა №1

პედაგოგიკისა და ბიზნესსაქმიანობის სახეები	ავტორიტარული სტილი		დემოკრატიული სტილი		ლიბერალური (პასიური) სტილი	
	პედ. საქმიანობა	**ბიზნეს-საქმიანობა**	**პედ. საქმიანობა**	**ბიზნეს-საქმიანობა**	**პედ. საქმიანობა**	**ბიზნეს-საქმიანობა**
სტილის ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები	პედაგოგის ერთპიროვნული მმართველობით დახ ̆ის მექანიზმების ამოქმედებით და დისციპლინით უზრუნველყოფილია აკადემიური შედეგი	მთელი ძალაუფლება თავმოყრილია ხელმძღვანელ-ის ხელში, იგი იღებს ერთპიროვნულ-ად გადაწყვეტილ-ებებს.	მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებით, თანამშრომლობის საფუძველზე მიიღწევა წარმატებები	უფლებამოსილება განაწილებულია, გადაწყვეტილებები მიიღება დონეების შესაბამისად	პროცესის მართვა თვითდინება ზეა უპასუხისმგებ-ლობა და პირფერობა საფრთხეს ქმნის	ხელმძღვანელ-ის ნაცვლად გადაწყვეტილებებს სხვები იღებენ, კომუნიკაციები ჰორიზონტალურია
დადებითი მხარეები	მკაცრი და შეუვალი დისციპლინა განაპირობებს აკადემიურ შედეგს	შედეგი პროგნოზირებადია, გადაწყვეტილე-ბების შესრულებაზე მკაცრი კონტროლია	ინიციატივა, მეგობრული ურთიერთობები და შედეგი გარანტირებულია	მართვაში თანამონაწილეობა და პასუხისმგებლობა ზრდის მოტივაციას	მასწავლებ-ელსა დამოსწავლეს შორის გულთბილი დამოკიდებულებაა	ხელმძღვანელისგან დამოუკიდებლად სრულდება სამუშაოები
უარყოფითი მხარეები	ინიციატივა შეზღუდულია, მოსალოდნელია აგრესია ან არასრულყოფილების განცდა	ინიციატივა შეზღუდულია, არ არის შემოქმედებითი მუშაობის მოტივაცია	სიტუაციის გაუცნობიერების გამო მოსალოდნელია ზოგიერთი წარუმატებლობა	მართვის პროცესში შეინიშნება დროის ზედმეტი ხარ ̆ვა	დამკვიდრებულია ანარქია, შედეგებს საფრთხე ემუქრება	მართვის მექა- ნიზმი იშლება, შედეგებს საფრთხე ემუქრება

წარმოდგენილი მახასიათებლები ნათლად მიუთითებს, რომ მენე ̆ მენტში დამკვიდრებული ხელმძღვანელობის სამივე სტილი ძალიან ახლოსაა პედაგოგიური ურთიერთობის ჩვენ მიერ განხილულ სახეობებთან. ამასთან ერთად, გაცილებით არსებითად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ პედაგოგიური ზემოქმედების ესა თუ ის სტილი შემდგომში

აისახება აღსაზრდელთა ცნობიერებაში და გავლენას ახდენს მათი პიროვნული თვისებების ფორმირებაზე. ასეთი ლოგიკით დიდია იმის ალბათობა, რომ ატორიტარული ზემოქმედების შედეგად აღზრდილი მოზარდი, უკეთეს შემთხვევაში, ავტორიტარი ხელმძღვანელი გახდეს, ან უარეს შემთხვევაში, საერთოდ ვერ დაიმკვიდროს ცხოვრებაში საკუთარი ადგილი. თუ რამდენად საფუძვლიანია ასეთი ჰიპოთეზის წამოყენება, ამას პედაგოგიური ურთიერთობებისა და ბიზნესსაქმიანობის სტილთა შედარებითი დახასიათებაც გვაჩვენებს (იხ. სქემა №1).

ავტორიტარი პედაგოგის საქმიანობა შეუვალ სიმკაცრეს ეყრდნობა. ჭეშმარიტების საბოლოო ინსტანცია მხოლოდ მასწავლებლის აზრია. მოსწავლეებს ერიდებათ ინიციატივის გამოჩენა, ვაი, თუ შეცდომა მოგვივიდეს და ამით მასწავლებლის წყრომა დავიმსახუროთო! ამიტომ ისინი მითითებების შემსრულებლებად რჩებიან და არ იჩენენ ინიციატივას. შიშზე და ავტორიტეტზე დამყარებული ასეთი ურთიერთობა გარკვეულად ხელს უწყობს აკადემიურ მიღწევებს მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის მოსწავლეებში, თუმცა, აღსაზრდელთა დიდი ნაწილი ამას ვერ ახერხებს, ან მათ სწავლის ხალისი საერთოდ ეკარგებათ. უფრო მეტიც, ასეთი დამამცირებელი ზემოქმედება, რომლისთვისაც დამახასიათებელია დაშინება და დასჯა, ხშირად აგრესიასაც ბადებს ახალგაზრდებში, ან არასრულყოფილების განცდას ავითარებს, რაც უარყოფითად აისახება მათ მომავალ საქმიანობაზე.

თუ ჩვენ ასეთივე თვალსაზრისით განვიხილავთ ავტორიტარი მენეჯერის საქმიანობას, მრავალ პარალელს აღმოვაჩენთ მათ შორის: ავტორიტარული სტილის ხელმძღვანელის ხელში თავმოყრილია მთელი ძალაუფლება, გადაწყვეტილებას იგი ერთპიროვნულად იღებს. კომუნიკაციური ნაკადები მხოლოდ მისგან ანუ ზემოდან ქვემოთ მოედინება. თანამშრომლები ემორჩილებიან მის გადაწყვეტილებებს არა იმიტომ, რომ პატივს სცემენ მას და მართებულად მიაჩნიათ მისი მოსაზრებები, არამედ იმის გამო, რომ დაუმორჩილებლობა პრობლემებს შეუქმნით. აქედან გამომდინარე, ნაწილობრივი წარმატებები გარანტირებულია, თუმცა პირადი ინიციატივის შეზღუდვისა და დაბალი მოტივაციის გამო საქმისადმი შემოქმედებითი

დამოკიდებულება არ აღმოცენდება და მუშაკთა შესაძლებლობის სრული რეალიზება ვერ ხერხდება.

გარკვეული პარალელების აღმოჩენა შეიძლება დემოკრატიული სტილის მიმდევარ პედაგოგსა და მენეჯერს შორისაც. პედაგოგიურ საქმიანობაში ჰუმანურ–დემოკრატიული სტილის გამოყენების შემთხვევაში აღსაზრდელთა ინტერესების გათვალისწინებით აიგება ურთიერთობები. პედაგოგი აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეებთან, სწორედ აღსაზრდელთა პიროვნების პატივისცემითა და პედაგოგთა კომპეტენციის საფუძველზე მიიღწევა დემოკრატიული წესრიგი და აკადემიური წარმატებები. მასწავლებელი მუდამ მზადაა, საჭიროების შემთხვევაში მხარში ამოუდგეს მოსწავლეს, როგორც სწავლასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში, ისე პირადი პრობლემების მოგვარებაშიც, რაც ზრდის მათ შორის ნდობას და კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ჯგუფში მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე. ასეთი მუშაობა ფართო გასაქანს აძლევს მოსწავლეთა ინიციატივას, მყარი საფუძველი იქმნება ჯგუფური მუშაობის ჩვევების ჩამოყალიბებისათვის, მინიმუმამდეა დაყვანილი კონფლიქტების ალბათობა. ამასთან ერთად, ზოგიერთი მოსწავლე და სტუდენტი ვერ აცნობიერებს სიტუაციას და დაუსჯელობის განცდა ეუფლება, რაც უარყოფითად აისახება აკადემიურ შედეგებზე.

რაც შეეხება ბიზნესსაქმიანობაში დემოკრატიული ურთიერთობის სტილის გამოყენებას, აღნიშნულის მსგავსად, აქაც გადაწყვეტილებები კოლეგიალურად მიიღება, უფლებამოსილება გადანაწილებულია დონეების მიხედვით, კომუნიკაციებს აქვს როგორც დაღმავალი, ისე აღმავალი ხასიათი. მართვაში თანამონაწილეობა ზრდის თანამშრომელთა პირად პასუხისმგებლობას და მუშაობაში მყარ მოტივაციას. ხელმძღვანელის ყურადღება თანამშრომელთა კეთილდღეობაზე და მათთვის მუშაობის კომფორტული პირობების შექმნაზეა ორიენტირებული. იგი მჟღავნდება მენეჯერთა ისეთ ქმედებებში, როგორიცაა მუშაკების საწარმოო და პირადი პრობლემების გადაჭრა და მისთვის მზადყოფნა, კარგად შესრულებული საქმისათვის მადლობის გამოხატვა და დაჯილდოება და ა. შ. სტრუქტურის ინიცირების სტილი ვლინდება ხელმძღვანელის მიერ მიზნის დასახვის უნარში და

მის მისაღწევად ეფექტური გეგმის დამუშავებაში, რომელიც გულისხმობს ქვედა დონის მენეჯერთა აზრის გათვალისწინებას. ასეთი მუშაობით უზრუნველყოფილია ჯგუფური მუშაობა და კონფლიქტის შესაძლებლობები მინიმუმამდეა დაყვანილი. თუმცა, გადაწყვეტილებების მიღება ყოველთვის ვერ ხერხდება ოპერატიულად და აქედან გამომდინარე, მატულობს დროის დანახარჯები. თუმცა, ასეთი ფაქტები იმდენად მცირეა, რომ საბოლოო შედეგებზე არსებით გავლენას ვერ ახდენს.

განხილულ სახეებთან შედარებით ნაკლებად გავრცელებულია ლიბერალური ურთიერთობის სტილი. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტილის მიმდევრობა წარმატების შანსს მინიმუმამდე ამცირებს, როგორც სასწავლო პროცესში, ისე მენეჯერულ საქმიანობაში. როგორც ერთ, ისე მეორე სფეროში, ლიბერალური სტილის გამოყენებისას პროცესები თვითდინებაზეა მიშვებული. პირფერობა და მაამებლობა ძირს უთხრის დისციპლინას. დაუსჯელობის გამო პასუხილმგებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი ან საერთოდ არ არსებობს იგი. ერთნაირად ფასდება სიბეჯითე და წარუმატებლობა სწავლაშიც და შრომაშიც. ამის გამო ინიციატივის გამოჩენის სურვილიც არ არსებობს. მცირერიცხოვან მოწინავე მოსწავლეთა წარმატებები არ ფასდება შესაბამისად, ან მათთან გათანაბრებულია ჩამორჩენილებიც, ისე როგორც ბიზნესსაქმიანობაში, პასიური და უნარიანი მუშაკის დამსახურება, არაფრით არის გამორჩეული. როგორც ამ სტილის მიმდევარი მასწავლებლები, ისე მენეჯერები, დაუმსახურებლად მიმართავენ გათანაბრების პრინციპს და დამსახურებულსაც და ჩამორჩენილსაც ერთნაირად აფასებენ, რაც იწვევს მოტივაციის დაკარგვას ან დაძაბულობას კოლექტივში. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ამ სტილის მიმდევართა საქმიანობა მარცხისთვისაა განწირული.

აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია პიროვნების ფორმირების პროცესში, მის მიმართ განხორციელებულმა ზემოქმედებამ, შესაბამისი გამოხატულება პრაქტიკულ საქმიანობაში ჰპოვოს. კონკრეტულად ასეთი ვითარება ფიქსირდება ბიზნესსაქმიანობაში. გამორიცხული არ არის, გარკვეულწილად ანალოგიური ტენდენციები

მეტნაკლებად სხვა სფეროებშიც გამოვლინდეს. ამიტომ სასწავლო – აღმზრდელობითი პროცესისა და ზოგადად განათლების სისტემის სრულყოფას (როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი) სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რადგან აქ იწყება და სრულდება სულიერი ფასეულობებისა და კომუნიკაციური უნარების ფორმირება, რომელსაც პროფესიულ კვალიფიკაციასთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საქმიანობის ნებისმიერ სფეროში, ხოლო ამ უნარების როლი გამორჩეულია მენეჯერულ საქმიანობაში. იმისათვის, რომ ახალ პირობებში წარმატებას მიაღწიო, ახლებურად უნდა აზროვნებდე და ფლობდე შესაბამის ჩვევებს. ნებისმიერი პირს, რომელიც მმართველობით საქმიანობაში ჩაებმება, უნდა შეეძლოს ინფორმაციის ანალიზი და მისი სათანადოდ გამოყენება. კიდევ უფრო ინტენსიურად უნდა დაინერგოს ხელმძღვანელობის დემოკრატიულ სტილი, რომელიც გადაწყვეტილების მიღებაში ხელქვეითების ჩაბმას გულისხმობს, ავტორიტარული ხელმძღვანელობის სტილი კი, მისი ნაკლებ ეფექტურობის გამო არასასურველად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო ლიბერალური ურთიერთობის სტილი მიუღებლად ჩაითვალოს. რადგან ამ სტილის გამოყენება ეკონომიკურადაც არეფექტურია და კომუნიკაციური თვალსაზრისითაც ზიანის მომტანია.

ამრიგად, მენეჯერული კომუნიკაციების სახეთა უნარიანი შერჩევა და გამოყენება, ბიზნესის მართვის ტაქტიკური საკითხია, ხოლო მათი ფორმირება აღზრდა–განათლების ძირეული პრობლემაა, რომელიც გაცილებით ადრე, პიროვნების სულიერი სამყაროსა და კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბების კვალდაკვალ მიმდინარეობს, ამიტომ არის მათ შორის მიზეზ–შედეგობრივი კავშირი. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ის მენეჯერები, რომლებიც კარგად ფლობენ კომუნიკაციურ უნარებს, ადრეულ ასაკში ეზიარნენ მის საწყისებს, ჯერ კიდევ ზოგადი განათლების დონეზე, სწორედ დემოკრატიული პედაგოგიური ურთიერთობის ფარგლებში, რაც ფაქტიურად აისახა მათ მენეჯერულ საქმიანობაში. აქედან გამომდინარე, პიროვნების კომუნიკაბელურობას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სწავლების ყველა საფეხურზე, ხოლო მის მიმართ პროფესიული მიდგომა, მეტნაკლები ინტენსივობით, პროფილის შესაბამისად არის შესაძლებელი.

კითხვები და დავალებები:

1. ხელმძღვანელობის როგორი მოდელებია გავრცელებული მენეჯმენტში ?
2. რას ემყარება პედაგოგიური ურთიერთობის სახეები ?
3. რა სახის ანალოგიები შეიძლება გამოიყოს პედაგოგიურ და მენეჯერულ ურთიერთობებში ?
4. ურთიერთობის რომელი სტილია მისაღები ღია საზოგადოებისათვის პედაგოგიკაში და მენეჯმენტში ?
5. წერილობით, ცალ–ცალკე ჩამოაყალიბეთ, ავტორიტარი, ლიბერალი და დემოკრატი პედაგოგის საქმიანობა.

ტერმინების განმარტება[1]

აგნოსტიციზმი (a–უარყოფა, gnosis – ცოდნა) – მოძღვრება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) – ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

ავტორიტარული – ავტორიტეტისადმი უსიტყვო, ბრმა მორჩილება.

ავტონომია – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესეულებისა და და მისი ძირითადი ერთეულის თავისუფლება დამოუკიდებლდ განსაზღვროს და განახორციელოს აკადემიური, საფინასო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული საქმიანობა.

აზროვნება – პროცესი აზრთა შედგენა-შეპირისპირებისა, მსჯელობისა, დასკვნების გამოტანისა.

აზროვნების დონეები – შედგება შემდეგი საფეხურებისგან: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. პირველი სამი დონე აზროვნების ქვედა დონეს წარმოადგენს, ხოლო შემდეგი სამი – აზროვნების ზედა დონეს.

აკადემიური თავისუფლება – აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა.

---

[1] ტერმინების განმარტებისას გამოყენებულია საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ" 2004; „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი" ერთტომეული, ორ ნაკვეთად, თბ., 1990; ს. თეზელიშვილი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი", თბ., 2005; „ფილოსოფიური ლექსიკონი", თბ., 1987; „კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) და დიპლომის დანართი, სახელმძღვანელო, განათლებისა და კულტურის დირექტორატი, ბრიუსელი, ქართული თარგმანი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბ., 2005; განმარტებითი ლექსიკონი, პირველი ნაწილი, განათლების სპეციალისტებისთვის, სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბ., 2007; ნ. ვასაძე „პედაგოგიკა", თბ. 2000 წ. და პედაგოგიკის სხვა სახელმძღვანელოები. ზოგიერთი ტერმინი განმარტებულია სახელმძღვანელოს ტექსტშიც.

აკადემიური მობილობა – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევების პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, საქართველოს კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, აკადემიური ხარისხებისა და კვალიფიკაციის ცნობით.

აკადემიური მობილობა – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, საქართველოს კანონმდებლობითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით, აკადემიური ხარისხებისა და კვალიფიკაციის ცნობით.

აკადემიური საბჭო – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

აკადემიური ხარისხი – ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას.

აკადემიური წოდება – წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება უცხო ქვეყნის მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს, განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის.

აკრედიტაცია – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერთიფიკატის გაცემის უფლების) დადგების პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს სახელმწიფო სააკრედიტაციო სამსახური სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დეწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრდიტაცია) შესაბამისობის დადგენით.

ანალიზი – სააზროვნო უნარ–ჩვევა, რომლის დროსაც ხდება მთლიანი საგნის ცალკე ნაწილების, მხარეების და თვისებების გამოყოფა ადამიანის წარმოდგენაში. ცნობიერებაში მთლიანი საგნის ასეთ დაშლას ანალიზი ეწოდება.

ანთროპოლოგია – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ადამიანის წარმოშობას, რასებს.

აპროპაბაცია (ლათ. – მოწონება, მიღება) – მოწონება, დამტკიცება.

ასისტენტ-პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს;

ასოციაცია (ლათ. – ვუკავშირებ, ვუერთებ, შევუწყობ) – ფსიქიკის ელემენტებს შორის კავშირი, რომლის წყალობითაც ერთი ელემენტის გამოჩენა იწვევს მსგავს, მოსაზღვრე ან საწინააღმდეგო ელემენტს.

ასოციაციური ექსპერიმენტი (ფსიქოლოგიაში) – ფსიქიკურ მდგომარეობათა კვლევის ერთი მეთოდი, რომლის დახმარებითაც ვლინდება ასოციაცია წარდგენილ მნიშვნელობას და ნეიტრალური სტიმულების საპასუხოდ.

ასოცირებული პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ამ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი; ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს ძირითადად სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

აქტიური მოსმენა – ეფექტური კომუნიკაციის საფუძველია. აქტიური მოსმენის დროს მსმენელი ამახვილებს ყურადღებას მოსაუბრესა და და მის ნათქვამზე. მსმენელს უნდა შეეძლოს მოსმენილის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა. ეს ნიშნავს იმას, რომ მან კარგად გაიგო სხვისი ნათქვამი. ამისთვის აქტიურმა მსმენელმა უნდა დაამყაროს უკუკავშირი მოსაუბრესთან კითხვების საშუალებით, რათა დააზუსტოს, ერთი მხრივ, გადმოცემულის შინაარსი და, მეორეს მხრივ,

მოსაუბრის ემოციური მდგომარეობა, მისი დამოკიდებულება საკითხისადმი.

აქსელერაცია – ბავშვის ფიზიკური განვითარების დაჩქარებული მიმდინარეობა.

აქსიოლოგია – ფილოსოფიის დარგი, რომელიც სწავლობს ღირებულების რაობას.

აღზრდა – ყოფაქცევის ჩვევები, რომელსაც იძლევა სკოლა, ოჯახი, გარემო და გამოვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პედაგოგიური პროცესის ის ნაწილი, რომელშიც პიროვნების განათლება, განვითარება და ფორმირება ხდება მოქმედების სხვადასხვა სახეობით და აღმზრდელის ხელმძღვანელობით.

აღქმა – გრძნობის ორგანოებზე უშუალოდ ზემოქმედი მატერიალური სამყაროს საგნებისა და მოვლენების, მათი სხვადასხვა ნაწილებისა და თვისებების, მთლიანობაში მოცემული თვალსაჩინო, ხატოვანი ასახვა.

ბაკალავრი – იმ აკადემიური ხარისხის მფლობელი, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის – ბაკლავრიატის კურსდამთავრებულს ენიჭება.

ბაკალავრიატი – უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების პირველი საფეხური – ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობების თეორიული საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია კურსდამთავრებულის მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის, ან ისეთი პროფესიის ასათვისებლად, რომელიც სტუდენტისაგან საშუალო განათლებაზე უფრო მაღალ საწყის მომზადებას მოითხოვს.

განათლება – სწავლით მიღებული ცოდნა, სისტემატიზირებული ცოდნის, უნარ-ჩვევების და მათ მიერ განსაზღვრული შემეცნებითი ძალების, შესაძლებლობების და პრაქტიკული მომზადების დონის ერთობლიობა და მათი ათვისება. განათლებას ორგვარი გაგება აქვს – ერთ შემთხვევაში განათლებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებსაც ადამიანი ფლობს, სხვა შემთხვევაში განათლებაში შეიძლება ასევე იგულისხმებოდეს ცოდნის დაუფლების პროცესი. განათლება ადამიანის ზნეობრივი და ესთეტიკური ფორმირების, ე. ი. აღზრდის უმნიშვნელოვანესი საშუალებაც არის;

განვითარება – 1. ერთი მდგომარეობიდან მეორეში–უფრო მაღალში გადასვლა. 2. ზრდა, გაფართოება, გაძლიერება, 3. გონებრივი ან ფიზიკური მომწიფება. ბავშვის განვითარება არის მისი, როგორც პიროვნების, საზოგადოების წევრის ფორმირების და სრულყოფის პროცესი.

გენერალიზაცია – კერძო მოვლენათა დაქვემდებარება რაიმე ზოგადი პრინციპისადმი, განზოგადება.

გლობალური (ლათ. დედამიწის სფერო) – ყოვლისმოცველი, საყოველთაო.

გნოსეოლოგია – გნოსტიკური ფილოსოფიური მოძღვრება, მეცნიერული შემეცნების შესაძლებლობათა და საშუალებათა შესახებ, შემეცნების თეორია.

გნოსტიკური მოქმედება (ბერძ. – ცოდნა) - გარემოს შემეცნებაზე მიზანმიმართული მოქმედება.

დედუქცია – მსჯელობის ხერხი, ზოგადი დებულებიდან კერძო დასკვნების გამოტანა, საპირისპირო – ინდუქცია.

დევიანტური ქცევა – ნორმიდან გადახრილი ქცევა.

დეფექტოლოგია – მეცნიერება ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის მქონე ბავშვთა განვითარების, აღზრდისა და სწავლების შესახებ.

დიდაქტიკა – პედაგოგიკის ნაწილი, განათლებისა და სწავლების თეორია.

დივერსიფიკაცია (საშ. ლათ. divesificatio – ცვლილება, მრავალფეროვნება) – მრავალფეროვნება, განვითარების რამდენიმე ვარიანტის ქონა;

დიპლომირებული სპეციალისტი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც ენიჭება ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს, ან მრავალსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის იმ კურსდამთავრებულს, რომელიც პრაქტიკული ხასიათის საქმიანობისათვის მომზადდა.

დიპლომის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც გასცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დიპლომთან ერთად სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული სტატუსის დასადასტურებლად.

დისერტაცია – სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
დისკუსია – წამყვანსა და მსმენელს შორის ცოდნის, შეხედულებებისა და იდეების სიტყვიერი გაცვლის პროცესია. დისკუსიას მსჯელობასაც უწოდებენ.
დოქტორანტი – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
დოქტორანტურა – უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
დოქტორი – უმაღლესი აკადემიური ხარისხი, რომელიც დოქტორანტურის კურსდამთავრებულს დისერტაციის დაცვის შემდეგ ენიჭება.
ემოცია (ლათ. – აგზნება, რელვა) – განცდის, გრძნობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიმე გრძნობის უშუალო განცდა.
ემპირიული – (ბერძნ. „ემპირია" – გამოცდილება) ადამიანის გამოცდილება, გარე სამყაროს აღთქმა გრძნობის ორგანოებით, დაკვირვება ბუნებრივ პირობებში. ემპირიზმის თეორიის (დემოკრიტე, არისტოტელე, ჯონ ლოკი) თანახმად, პიროვნების განვითარებას, (ნაზივიზმის საპირისპიროდ) განაპირობებს მხოლოდ სოციალური გარემო და მიღებული გამოცდილება.
ერთიანი ეროვნული გამოცდა – პროცედურა, რომელიც ადგენს აბიტურიენტის მზაობას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასათვისებლად.
ერთობლივი აკადემიური ხარისხი – ენიჭება მობილურ სტუდენტს ორი (ან მეტი) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ერთობლივად შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.
ერუდიცია (ლათ. – განსწავლულობა) – ღრმა, მრავალმხრივი ცოდნა მეცნიერების რომელიმე სფეროში.
ვალეოლოგია – მეცნიერება, რომელიც სწავლებითა და აღზრდით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, შენარჩუნებას, ამ პროცესების კვლევას.
ვერბალური (ლათ. – სიტყვა) – სიტყვიერი.
ზნეობა – იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში, მორალი.

თვითმართვა – ადამიანის უნარ-ჩვევა, გააცნობიეროს და მართოს საკუთარი ქცევა, თვითმართვის უნარ-ჩვევებში შედის: მსხვილი და ნატიფი მოტორული ჩვევები (მოძრაობასთან, ძალის გამოყენებასთან, სიზუსტესთან დაკავშირებული ჩვევები), სივრცეში ორიენტაცია, მოქმედების დაგეგმვა, დროის მართვა (დროის ეფექტიანი და ადეკვატური გამოყენება), უსაფრთხოების დაცვა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა, ნორმების გათვალისწინება (ადამიანთა ჯგუფების შესატყვისი წესების ცოდნა და გამოყენება) და გააზრებული არჩევანის გაკეთება (მიზნის და შედეგის გათვალისწინება).

თვითშემეცნება ანუ რეფლექსიური აზროვნება – რთული სააზროვნო უნარ-ჩვევაა. იგი არის საკუთარი გამოცდილების კრიტიკული გადამუშავების პროცესი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ქცევის და აზროვნების ანალიზს, გაცნობიერებას, შეფასებას, დაგეგმვასა და კონტროლს.

თვითშეფასება – ისეთი პროცესია, რომლის საშუალებითაც მოსწავლე (სტუდენტი) ერთვება საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში.

იდეალი – (ფრანგ. „Ideal”- წარმოდგენა) – ადამიანის მისწრაფებათა და მოღვაწეობის საბოლოო მიზანი, რისამე სრულყოფის განსახიერება.

იდენტობა (გვიან ლათინ. – იგივეობრივი, ერთნაირი) – იგივეობა, ორი საგნის ან ორი ცნების მსგავსება.

ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა – სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი სპეციალური სასწავლო გეგმა, შინაარსი, მოცულობა და მისი ათვისების წესი.

ინდუქცია – (ლათ. „induqtio”) აზროვნების მეთოდი, კერძო ფაქტებიდან, ცალკეული დებულებებიდან ზოგადი დასკვნების გამოტანა, მისი საპირპიროა დედუქცია.

ინვარიანტული – (ფრანგ. „invariant”) ის, რაც უცვლელი რჩება ამა თუ იმ გარდაქმნის დროს.

ინოვაცია – (ლათ. `inovatio”) ახალი წარმონაქმნი, ახალი მოვლენა. პედაგოგიკაში – ახალი ფორმებისა და სხვა ელემენტების წარმოქმნა პედაგოგიურ პროცესში.

ინტეგრაცია – რაიმე ნაწილების დაახლოება–გაერთიანება.

ინსტიტუტი – (უმაღლესი სკოლა) – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც აქვს ერთ ან

რამდენიმე დარგში აკადემიური ხარისხების მინიჭების უფლება და რომლის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების სასწავლო კურსების 70 % მაინც შეიცავს ბაკალავრიატის, სპეციალური უმაღლესი განათლების ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

ირაციონალური (ლათ. – არაგონიერი) – გონებით, აზროვნებით მიუწვდომელი, რომლის გამოხატვა არ ხეხდება ლოგიკური ცნებებით.

კვალიმეტრია (ლათ. gualis როგორია ხარისხობრივად + ... მეტრია) მეცნიერების დარგი, რომელიც პრაქტიკულად შეისწავლის და ახორციელებს პროდუქციის ხარისხის რაოდენობრივი შეფასების მეთოდებს.

კვალიფიკაცია (საშ. laT. gualifikatio < gualis როგორი, როგორი ხარისხის + ... ფიკაცია) 1) ხარისხის დადგენა, რაიმეს შეფასება, მისი გარკვეული კატეგორიისათვის მიკუთვნება; 2) ვარგისიანობის ხარისხი, ადამიანის მომზადების დონე ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად; 3) პროფესია, სპეციალობა, მაგ. მშენებლის, მღებავის, ინჟინრის და ა. შ.

კვლევა – აქტიური, შრომატევადი, სისტემატური შესწავლის პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს რაიმე იდეის მხარდაჭერისა და უარყოფისთვის აუცილებელი ფაქტების დადგენას, ახსნას და ამის საფუძველზე დასკვნების გამოტანას.

კოგნიტური (ლათ. cognitio – ცოდნა, შეცნობა) – დაკავშირებულია შემეცნებასთან. კოგნიტური ფსიქოლოგია – მიმართულება, რომელიც ამერიკულ ფსიქოლოგიაში XX ს-ის 50-60 –ან წწ-ში წარმოიშვა ბიჰევიორიზმის საწინააღმდეგოდ. ამ თეორიის თანახმად, ყოველი ადამიანი მის გარემოცველ სამყაროს (საკუთარ თავსაც) აღიქვამს მის მიერ შექმნილი შემეცნებითი სისტემის – „პერსონალური კონსტრუქტორების" პრიზმის მიღმა.

კოგნიცია – ყოველგვარი ცოდნა, შეხედულება ანუ რწმენა გარემოზე, საკუთრ თავზე და საკუთარი ქცევის შესახებ.

კოეფიციენტი (კოეფიციენტები) – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული ერთეული (ერთეულები), რომლის შესაბამისად ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების

შედეგების რანჟირება კოკრეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კონკრეტულ ფაკულტეტზე ჩასარიცხად;

კომუნიკაცია – (ლათ. komunare – გასაგები) წარმოადგენს ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებების და იდეების ურთიერთგაცვლას.

კონვერგენცია (ლათ. convegere დაახლოება) – დასავლური საზოგადოებათმცოდნეობის კონცეფცია, რომელიც თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებად ორი პოლიტიკური სისტემის ან თეორიის დაახლოების ტენდენციას უჭერს მხარს (ვ. შტერნი). კონვერგენციის თეორიამ პიროვნების განვითარების ოპტიმალურ ფაქტორებად მიიჩნია მემკვიდრეობისა და ხელსაყრელი გარემოს ურთიერთქმედება, რითაც, ნაწილობრივ დაძლეულ იქნა ნატივიზმისა და ემპირიზმის თეორიების ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი.

კონცეფცია – (ლათ. „koncepcio”) შეხედულებათა სისტემა, მოვლენის მრავალმხრივი გაგება, წამყვანი იდეების ერთობლიობა, რაიმე მოქმედებათა ან მოვლენათა თეორიული დებულებების გაშუქება.

კორელაციური კვლევა (ლათ. corerelatio) – სხვასახვა მოვლენის, ქცევის, სიტუაციის კვლევა შედარება-შეპირისპირებითა და ურთიერდამოკიდებლებით.

კორექცია – რისამე შესწორება, გასწორება.

კრეატულობა – ინდივიდის სიღრმისეული თვისება შექმნას ორიგინალური ფასეულობები, მიიღოს არასტანდარტული გადაწყვეტილებები.

კრედიტების ტრანსფერი – მობილური სტუდენტის მიერ მშობლიურ და მასპინძელ უმაღლეს საგანმათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების გადატანა ურთიერთაღიარების მიზნით.

კრედიტი – ერთეული, რომელიც გამოხატავს სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას.

კრიტიკული აზროვნება – რთული სააზროვნო უნარ-ჩვევაა, რომელიც მოიცავს ერთდროულად ორ ან მეტ განსხვავებულ მოსაზრებაზე ფიქრს, სხვადასხვა მოსაზრების გაგებას, რაიმე

შეხედულების დასაბუთებას სხვადასხვა მიდგომის საფუძველზე და იმის გაცნობიერებას, რომ სხვასაც შეიძლება საკუთარი განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს.

კურიკულუმი – საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური სასწავლო-მეთოდური ხასიათის დოკუმენტია. ფართო გაგებით კურიკულუმს დიდაქტიკის დატვირთვასაც ანიჭებენ. იხ. საგანმანათლებლო პროგრამა.

ლატენტური (latens, latenntis) – გამოუმჟღავნებელი, ფარული.

ლიცენზია – კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მინიჭებული უფლება განახორციელოს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა, რომლის მოპოვების საფუძველია შესაბამისი ინსტიტუციური აკრედიტაციით დადგენილ მოთხოვნებთან დაწესებულების შესაბამისობა.

მაგისტრი – აკადემიური ხარისხი, რომელიც უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის – მაგისტრატურის კურსდამთავრებულს ენიჭება.

მაგისტრატურა – უმაღლესი საუნივერსიტეტო განათლების მეორე საფეხური; ისეთი სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევარის მომზადებას.

მასწავლებლის ინოვაცია – სოციალურ-პედაგოგიური ფენომენი, რომელიც ასახავს მის შემოქმედებით პოტენციალს, ნორმატული მოქმედების არედან გასვლა.

მეთოდი (ბერძნ. „MeTodos”) – 1. ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვლევის, შეცნობის წესი. 2. ხერხი, წესი, წესების სისტემა, რაიმე მოღვაწეობაში. პედაგოგიკაში - მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთმოქმედების ძირითადი საშუალება, რომელიც მიმართულია პედაგოგიური პროცესის კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისკენ.

მენეჯერი (ინგ. manager - მმართველი) – მართვის სპეციალისტი წარმოებაში, ბიზნესში, მომსახურების სფეროში, განათლებაში და ა. შ.

მეხსიერება – ინდივიდის მიერ მისი გამოცდილების აღბეჭდვა, შენახვა, შემდგომი აღდგენა და ცნობა.

მობილობა – სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, აკადემიური ხარისხებისა და კვალიფიკაციის ცნობით.

მობილური სტუდენტი – სტუდენტი, რომელიც აკადემიური ხარისხის მიღებისათვის საჭირი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილს გარკვეული პერიოდის განმავლობაში მშობლიური უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ (სხვა ქვეყანაშიც) გადის.

მოდული – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას.

მონიტორინგი – სპეციფიკური ინდიკტორების (მაჩვენებლების) მიხედვით მონაცემების შეგროვების და გაანალიზების სისტემური პროცესია, რომელიც მიზნად ისახავს მოცემული სიტუაციის შესწავლას და შესაბამის ზემოქმედებას.

მონოლოგი – დიალოგის საპირისპირო ფორმაა. მონოლოგის არსი ის არის, რომ ერთი პიროვნება (პროფესორი, მომხსენებელი) ხანგძლივად საუბრობს საკითხზე, ხოლო მსმენელი (სტუდენტი) არის ინფორმაციის პასიური მიმღები.

მორალი – (ლათ. „**moralis”** – ზნეობრივი) იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთამოკიდებულებასა და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში, ზნეობრივი დასკვნა, ზნეობრივი გაკვეთილი, რომელიც რაიმესაგან გამომდინარეობს, იმ ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომლითაც ხელმძღვანელობს ადამიანი თავის ქცევაში შრომისადმი ან მის შედეგად მიღებული პროდუქტისადმი, საზოგადოებისადმი, სახელმწიფოსადმი, ბუნებისადმი, სხვა ადამიანებისადმი და საკუთარი თავისადმი.

მოტივი (ლათ. – ვამოძრავებ) – რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი, ის, რაც ადამიანის მოქმედებას იწვევს, რისთვისაც იგი სრულდება.

მსოფლმხედველობა – შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა სამყაროს და მის კანონზომიერებაზე, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე.

ნატივიზმის თეორია (ლათ. nativus – თანდაყოლილი) – პიროვნების განვითარების ერთადერთ ფაქტორად თანდაყოლილ მემკვიდრულ თვისებებს აღიარებს (სოკრატე, პლატონი, ლეიბნიცი). იგი უპირისპირდება ემპირიზმის თეორიას.

ნოვატორობა – პედაგოგიურ პროცესში ახალი, პროგრესული იდეების, ხერხების და სხვა სიახლეთა დანერგვის და განხორციელებისათვის მიმართული მოქმედება.

ობიექტი – (ლათ. „Obieqtum" – საგანი) ჩვენს გარეშე და ჩვენი ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებული გარე სამყარო, მატერიალური სინამდვილე, მოვლენა, საგანი, პირი, რომლისკენაც არის მიმართული ვისიმე ყურადღება, ადამიანის, სუბიექტის შემეცნების და მოქმედების საგანი.

პარადიგმა – საზოგადოდ დადგენილი ნიმუში, მოდელი, რომლითაც უნდა გადაწყდეს პრობლემა. პედაგოგიკაში – შინაარსის, განათლების ორგანიზაციის ფორმების, სწავლების და აღზრდის საშუალებათა ორგანიზებაში წამყვანი მიდგომა.

პედაგოგიკა – მეცნიერება აღზრდის, სწავლების, განათლების და განვითარების შესახებ.

პედაგოგიური ანთროპოლოგია – პედაგოგიურ შეხედულებათა სისტემა დაფუძნებული ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებათა ძირითად მონაცემებზე.

პედაგოგიური დიაგნოსტიკა – დიაგნოზის დასმის პროცესი, მოსწავლეთა აღზრდილობის, განათლებულობის და განვითარების დადგენა.

პედაგოგიური პროგნოზირება – პიროვნების განვითარებაში, განათლებაში, ფორმირებაში სამომავლო ცვილებების განჭვრეტა, პიროვნების სრულყოფის გზების განსაზღვრა, პედაგოგიური პროცესის მსვლელობის განვითარების პროექტირება.

პედაგოგიური პროცესის ფუნქციები – საგანმანათლებლო, განმავითარებელი, აღმზრდელობითი.

პედაგოგიური ტექნოლოგია – პედაგოგიური პროცესის ორგანიზაცია კონკრეტული პედაგოგიური პარადიგმის შესაბამისად.

პერცეფციული – აღსაზრდელთა სულიერ სამყაროზე ზემოქმედების უნარი, მათი ემოციური მდგომარეობის ობიექტური შეფასება, ფსიქიკური თავისებურებების გამოვლენა.

პილოტირება – 1. ეროვნული სასწავლო გეგმების მიზნებისა და ამ მიზნების მიღწევის საშუალებების რეალურობის შემოწმება. 2. საგანმანათლებლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო დოკუმენტების შემოწმება-გამოცდა შემდგომში დანერგვის მიზნით.

პორტფოლიო – სტუდენტის ნამუშევრების (ხელოვნების ნიმუშები, საშემსრულებლო პრაქტიკა, პროექტები და ა.შ) თემატური ნაკრები ან სტუდენტის სასწავლო-კვლევითი აქტივობის აღწერა დროის გარკვეულ მონაკვეთში. პორტფოლიოს საფუძველზე ხდება სტუდენტის შუასემესტრული და საბოლოო შეფასება.

პრეზენტაცია – რაიმე საკითხის აუდიტორიის წინაშე საჯარო წარდგენის პროცესი.

პრინციპი (ლათ. „principum" – დასაწყისი), დასაბამი) – 1. რომელიმე თეორიის, მოძღვრების ძირითადი, ამოსავალი დებულება, სახელმძღვანელო იდეა. 2. მოქმედების, ქცევის ძირითადი წესი, რწმენა, თვალსაზრისი.

პოსტმოდერნი (< ლათ.–შემდეგ, მერე+მოდერნიზმი) ტენდენციების ერთობლიობა XX საუკუნის მხატვრულ კულტურაში, რომელიც დაკავშირებულია ავანგარდიზმის (ავანგარდიზმი XX ს-ის 10-იან წლებში წარმოიშვა, იგი უფრო აშკარად გაემიჯნა წინამორბედ მიმდინარეობებს, ვიდრე პოსტმოდერნი) ფასეულობების გადაფასებასთან. პოსტმოდერნიზმმა მოხსნა ყველა ესთეტიკური ტაბუ, განსხვავება „მაღალსა" და „დაბალს", მშვენიერსა და მახინჯს შორის. პოსტმოდერნიზმმა უარყო ცხოვრების ხელოვნების გზით შეცვლის უტოპიური შესაძლებლობა და აღიარა იგი ისეთი, როგორც არის. პოსტმოდერნიზმი მხარს უჭერს საზოგადოების გახსნილობას.

პოსტინდუსტრიული (პოსტ + ინდუსტრიული) საზოგადოების განვითარების სტადიაა, რომელიც ინდუსტრიულ სტადიას მოსდევს. იგი ხასიათდება მომსახურების სფეროს როლის ზრდით, ცხოვრების ყველა სფეროში ტექნიკური მიღწევების დანერგვით და ტოტალური კომპიუტერიზაციით. ამ პროცესებს

თან ახლავს მეცნიერების წამყვანი როლი, რომელშიც სახეზეა უნივერსიტეტების პრიორიტეტი. ასეთი ტენდენციები გამოკვეთილია განვითარებულ ქვეყნებში.

პროსოდია (ძვ. ბერძ. მახვილი, მისამღერი) – 1. ლექსმცოდნეობა. 2. სწავლება მეტყველების რიტმულად მნიშვნელოვანი ელემენტების გამოთქმის შესახებ.

პროფესორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორებისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

რეგულირებადი პროფესია – პროფესია, რომლის საქმიანობის წინაპირობა შესაბამისი აკადემიური ხარისხის გარდა სახელმწიფო სასერთიფიკაციო გამოცდაა.

რელევანტიზმი (ლათ. relativus – შეფარდებითი) – იდეალისტური მოძღვრება ადამიანის შემეცნების შეფარდებითობის, პირობითობის და სუბიექტურობის შესახებ; რელევანტიზმი ცოდნის შეფარდებითობას აღიარებს, რითაც უარყოფს შემეცნების ობიექტურობას. მიიჩნევს, რომ ჩვენს ცოდნაში ობიექტური სამყარო ასახული არ არის.

რეფლექსია (ლათ. „refleqso” – ასახვა) – საკუთარი აზრებისა და განცდების ანალიზი, თვითდაკვირვების სახე, საკუთარი მოქმედებისა და მდგომარეობის ანალიზი.

რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით.

რექტორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

როლური თამაში (სიმულაციური სიტუაცია) – სასწავლო დანიშნულების თამაში, რომელიც მიმართულია რომელიმე უნარ-ჩვევის განვითარებაზე, სტერეოტიპული აზროვნების დაძლევაზე. როლური თამაშის პროცესი წარმოადგენს ადამიანთა ჯგუფის მიერ ამა თუ იმ სიტუაციის მოდელირებას.

სენსიტიური (ლათ. sensitivus) – გრძნობითი.

სენსორული (ლათ. „sensus” – გრძნობა) –გრძნობის ორგანოებთან დაკავშირებული, შეგრძნებაზე დამყარებული, მგრძნობელობითი.

სააზროვნო უნარ-ჩვევები – უნარ–ჩვევის ერთ-ერთი სახეობაა. იგი ადამიანის შემეცნების მნიშვნელოვანი ნაწილი. განასხვავებენ მარტივ და რთულ შემეცნებით უნარ-ჩვევებს. შემეცნების პროცესში გამოყოფენ ისეთ მარტივ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა ინფორმაციის დამახსოვრება, ფაქტების გახსენება და ა. შ. რთულ სააზროვნო უნარ-ჩვევებში კი განიხილავენ კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემის გადაჭრას, შემოქმედებით აზროვნებას, თვითრეფლექსიურ აზროვნებასა და ა. შ. ადამიანის აზროვნების განვითარება სასწავლო პროცესისთვის ყველაზე არსებითია.

საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - სასწავლო კურსების ერთობლიობაა (მათი მიზნები და ამოცანები, შინაარსი და მოცულობა, ცოდნისა და უნარ-ჩვევების ხარისხის შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის პროგნოზირების თავისებურებები და მეთოდური უზრუნველყოფა), რომელიც სათანადო აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლადაა გამიზნული.

საგანმანათლებლო სერთიფიკატის ცნობა – კომპეტენტური ორგანოს მიერ უცხოეთში მიღებული განათლების ან კვალიფიკაციის ცნობა ან/და მომართვის საფუძველზე საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ავთენტურობის დადგენა.

სადისერტაციო საბჭო – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტზე არსებული ორგანო, რომელიც ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

საუნივერსიტეტო უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტოტანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს.

საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამა – სახელოვნებო ან/და სასპორტო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო პროგრამა, რომლის მიზანია ხელოვნების ან/და სპორტის ერთ-ერთი ან რამდენიმე საშემსრულებლო სპეციალობაში შემსრულებლის (მათ შორის მხატვრის, მუსიკოსის, მსახიობის, სპორტსმენის და სხვ.)

მომზადება და შესაბამისი სპეციალობით აკადემიური ხარისხის მინიჭება.

სახელმწიფო სასწავლო გრანტი – სახელმწიფოს მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე სტუდენტისთვის გადაცემული თანხა, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფოს მიერ აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურის დასაფინანსებლად.

სახელოვნებო უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლება, რომლის მიზანია ხელოვნების ერთ ან რამდენიმე დარგში შემსრულებელი სპეციალისტების მომზადება.

სილაბუსი – უმაღლესი სკოლის პედაგოგის მეთოდური ხასიათის სამუშაო გეგმა, რომელშიც გადმოცემულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსი, მისი მოცულობა, სწავლების ფორმები, მეთოდები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები.

სინთეზი – სააზროვნო უნარ-ჩვევაა, რომელიც ანალიზის საწინააღმდეგო პროცესს წარმოადგენს, სინთეზი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების გონებაში გაერთიანებას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით.

სოციალიზაცია – პიროვნების სოციალიზაცია, ადამიანის მიერ ცოდნის გარკვეული სისტემის, ნორმების და ფასეულობების ათვისების პროცესი, რომელიც აძლევს მას საზოგადოების სრულფასოვანი წევრობის უფლებას.

სოციალური უნარ-ჩვევები – იმ უნარ-ჩვევათა კრებულია, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა თანაარსებობას. სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების საფუძველია სოციალური შემეცნება.

სასპორტო უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლება, რომლის მიზანია სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში შემსრულებელი სპეციალისტების მომზადება.

სპეციალური უმაღლესი განათლება – უმაღლესი განათლება, რომელიც შეიცავს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამას.

სტუდენტი – პირი, რომელიც საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს

საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად.

სუბიექტი (ლათ. „subieqtum”) – ადამიანი, როგორც მატერიალური სამყაროს შემცნობელი და გარდამქმნელი პიროვნება, ის, ვინც შეიმეცნებს, აზროვნებს, მოქმედებს.

სწავლება - სწავლა – ცოდნის შეძენა, განათლების მიღება, პედაგოგიური პროცესის ის ნაწილი, რომელშიც პიროვნების განათლება, განვითარება და ფორმირება ხდება შემეცნებითი პროცესებით და მასწავლებლის ხელმძღვანელობით.

სწავლის სწავლა – პროცესი, რომელიც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი სწავლის მართვის გაცნობიერებას, რაც მოიცავს სწავლის დაგემვას, შეფასებას და მუდმივ მონიტორინგს. სწავლის სწავლა ეხება ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობს ადამიანი ეფექტიანად და საკუთარი სასწავლო გამოცდილების რეგულაციას. სწავლის სწავლას აქვს ორი კომპონენტი: გონებრივი და ემოციური, ხოლო მისი გონებრივი კომპეტენცია თავის მხრივ, იყოფა ორ ქვესფეროდ: სწავლის მოქმედებები და აზროვნების მოქმედებები.

სწავლის მოტივაცია – ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი, მოტივაციის ხარისხი აისახება სწავლის შედეგზე.

სწავლის გარეგანი მოტივაცია – როცა მოსწავლის (სტუდენტის) სასწავლო აქტივობის მიზანს წახალისება, ჯილდო წარმოადგენს, ხოლო თავად სასწავლო აქტივობა შესაძლებელია მისთვის არც იყოს საინტერესო.

სწავლის შინაგანი მოტივაცია – როცა სტუდენტისთვის უფრო მნიშვნელოვანია, თავად აქტივობა, ვიდრე მოსალოდნელი შედეგი.

სუგესტური – ემოციურ - ნებელობითი ზემოქმედება აღსაზრდელზე.

ტაგესტიკა – კომუნიკაცია ხელის ჩამორთმევით, მხარზე შეხებით.

ტესტი – გამოცდა, ამოცანა.

უმაღლესი განათლება – სრული ზოგადი განათლების შემდგომი განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საქმიანობის სხვადასხვა დარგში კვალიფიციური

კადრების მომზადებას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება – სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (პროგრამებს), რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზება, სამეცნიერო კვლევების განხორციელება და შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა, რომელიც შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს (ხარისხებს).

უნარი – ადამიანის თანდაყოლილი (ფიზიკური, ფსიქიკური) შესაძლებლობა, პოტენციალია. ადამიანის უნარების საფუძველს ქმნის გარკვეული თანდაყოლილი ნასახები, მისი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიეცემა ადამიანს ამ უნარების შესაძლებლობა.

უნარ-ჩვევა – თანდაყოლილი უნარების სათანადო მოქმედების საფუძველზე ვითარდება. უნარ-ჩვევა იგივე უნარია, რომელიც ძირითადად სწავლის შედეგად მიიღწევა. განასხვავებენ შემდეგ უნარებს: აკადემიური (კითხვა, წერა, კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი აზროვნება და სხვ.), პიროვნული ურთიერთობის (მოსმენა, საუბარი, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია) და მოტორული (ძერწვა, ხატვა, ჭიდაობა, მიზანში სროლა და სხვ.) დ. უზნაძე უნარ-ჩვევას უწოდებს ნიჭს.

უნივერსიტეტი – მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომელსაც აქვს სამივე აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლება და რომლის ძირითადი ერთეულების სასწავლო კურსების 70 % მაინც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან/და დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამებს.

უმაღლესი განათლების მენეჯმენტი – მართვის ორგანიზებული სისტემა, რომელიც მყარად ჩამოყალიბებული ორგანიზაციული ფორმების, პრინცინციპებისა და მეთოდების საფუძველზე უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო–აკადემიური პროცესების, ადამიანური რესურსებისა და მათთან დაკავშირებული სოციალურ–

ეკონომიკური პრობლემების ეფექტურ მართვას და პროგნოზირებას.

ფაკულტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

ფაკულტეტის საბჭო – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო.

ფრაგმენტული – ნაწყვეტების სახით არსებული, არასრული.

ფსიქიკა (ბერძ. „ფსიქოს" – სულიერი) – ტვინის ფუნქცია, რაც გამოიხატება გარე სამყაროს ასახვაში, ადამიანის სულიერ ძალთა, შესაძლებლობათა ერთობლიობაში.

ყურადღება – ფსიქიკური მოქმედების წარმართვა და კონცენტრაცია ობიექტზე, რომელსაც პიროვნებისადმი გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

შედეგზე ორიენტირებული სწავლება – სტანდარტზე დაფუძნებული განათლების მოდელის შემადგენელი ნაწილი.

შემოქმედებითი აზროვნება – რთული სააზროვნო უნარ-ჩვევა. იგი არის რაიმეს ახალი გზით კეთება ან დანახვა, რომელიც მრავალრიცხოვანი, ორიგინალური და მრავალფეროვანი იდეებით ხასითდება.

ჩვევა – მრავალჯერადი გამეორებით შეძენილი მეტად თუ ნაკლებად ავტომატიზებული მოქმედებაა, რომელსაც განაპირობებს ისეთი მოტორული იმპულსები და მოძრაობები, რომლებიც ცნობიერების მონაწილეობის ან ნაწილობრივი მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს;

ცოდნა – რაიმეს შესახებ ინფორმაციის ქონა და რაიმე საქმის ან მოქმედების შესასრულებლად საჭირო ხერხების ფლობა.

ცნება – აზროვნების ძირითადი პროდუქტი, ასახავს საგნებისა და მოვლენების ზოგადსა და არსებით (სპეციფიკურ) თვისებებს. (პედაგოგიკაში ძირ. ცნებებია – აღზრდა, განათლება, სწავლება და განვითარება).

წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლობითი ორგანო.

ხარისხის უზრუნველყოფა – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ჰიპოთეზა (ბერძ. „ჰიპოთეზეს” – ვარაუდი) – რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცდით დამტკიცებული.

ჰომოგენური (ბერძ. homogenes) – შემადგენლობით, წარმოშობით, თვისებით ერთგვარი. (საპირისპირო – ჰეტეროგენული).

ჰუმანიზმი (ლათ. „Humanus” – ადამიანი, კაცთმოყვარეობა) – მსოფლმხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, მისი ღირსების პატივისცემით, კაცთმოყვარეობა, შეხედულებათა, რწმენის, იდეალების სოციალურ-ფასეული კომპლექსი.

რეკომენდებული ლიტერატურა

1. ავალიანი ს., მეცნიერების ფილოსოფიის შესავალი, თბ., 1991;
2. ასათიანი ა., უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის საკითხები, თბ., 2001;
3. ბალანჩივაძე რ., ასათიანი ვ., პედაგოგიკის ფილოსოფიური საფუძვლები, თბ., 1997;
4. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი 2005;
5. ბაძაღუა მ., იურიდიული პედაგოგიკა, თბ., 2006;
6. გაგუა ვ., პედაგოგიკა, თბ., 1996;
7. განათლების ფსიქოლოგია, დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, რედ. მ. ჯაფარიძე, თბ., 2005;
8. გლასი ნეილ მ., მენეჯმენტის ხელოვნება, თბ., 2002;
9. გობრონიძე ა., ბიბილეიშვილი ი., უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები, ბათუმი, 2001;
10. გორდეზიანი ც., პედაგოგიური ტექნოლოგიების თეორიული ანალიზი, თბ., 2005;
11. გოგიჩაიშვილი თ., განვითარების ფსიქოლოგია, თბ., 2005;
12. გომელაური ბ., თავხელიძე მ., უმაღლესი განათლების ხარისხის მართვა, აკრედიტაცია, თბ., 2004;
13. გომელაური ბ., თავხელიძე მ., ევროპული დიდაქტიკა, თბ., 2002;
14. დავითაშვილი ზ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003;
15. ეთიკა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001;
16. ვასაძე ნ., პედაგოგიკა, თბ., 2000;
17. „კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS) და დიპლომის დანართი", ზ. მაჩაბლის ქართული თარგმანი, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, თბ., 2005;
18. ლერნერი ლ., სტატკინი მ., სწავლების მეთოდთა შესახებ, ჟურნალი „სოვეტსკაია პედაგოგიკა". 1965, № 3;
19. ლორთქიფანიძე დ., დიდაქტიკა, თბ. 1983;
20. მალაზონია შ., პედაგოგიკა, თბ., 2001;

21. მარგალიტაძე, მენეჯერის უნარ–ჩვევები, თბ., 2003;
22. მენთეშაშვილი ლ., ჰუმანიზმის სულისკვეთებით, თბ., 1988;
23. ნაკაიძე გ., საინოვაციო მენეჯმენტი, სტუ, 2004;
24. პაიჭაძე ნ., ხომერიკი თ., ხვინთელიანი ბ., შიხაშვილი გ., მენეჯმენტის საფუძვლები, თბ. 2005;
25. პედაგოგიკა, რედ. ჯ. ბერიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1994;
26. პიროგოვი ნ., რჩეული პედაგოგიური თხზულებები, თბ., 1956;
27. პედაგოგიკის ისტორია, რედ. ნ. ვასაძე, თბ,. 1998;
28. სამადაშვილი ა., ჯაფარიძე შ., განათლების ხარისხის მართვა, ხარისხის პრემიები, თბ., 2007;
29. სართანია ვ., თოქმაზიშვილი მ., მაღლაკელიძე შ., განათლების ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2004;
30. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ", თბ., 2004;
31. სოციოლოგია, II ნაკვეთი, თსუ გამოცემლობა, თბ., 1998;
32. სტრატეგიები სხვადასხვა საგანში, პროგრამა „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის" უმაღლესი განათლების სისტემაში, ქართული თარგამანი, ვილნიუსი 2001;
33. უზნაძე დ. პედაგოგიური თხზულებანი, თბ., 2005;
34. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისკენ: ბოლონიის პროცესის ძირითადი დოკუმენტები (კრებული), თბ., 2005;
35. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საკითხები, (ავტორთა ჯგუფი: გ. ჯიბლაძე, ტ. სარიშვილი, ი. ხარშილაძე„ გ. ნიკოლაიშვილი, პრ. ჯანელიძე), თბ., 1981;
36. უშინსკი კ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი ორ ტომად, მ., 1974, ტ. I;
37. ფრანგიშვილი ა., სწავლის ფსიქოლოგიის საკითხები, თბ., 1969;
38. ქართული პედაგოგიკის ისტორია, რედ. გ. სიხარულიძე, თბ. 1974;
39. ჩაჩანიძე გ., სართანია ვ., ინტერნეტ განათლების ტექნოლოგიები და მისი განვითარების პერსპექტივები, თბ., 2004;
40. ცუცქირიძე ზ., ლექციების კურსი პედაგოგიკაში, I ნაწ., აღზრდის თეორია, თბ., 1997.

41. ცუცქირიძე ზ., ორჯონიკიძე ნ., განათლების თანამედროვე თეორიები, თბ., 2005;
42. ჭავჭავაძე ი., რჩ. ნაწ. ხუთ ტომად, ტ. V;
43. ჯანელიძე ი., უმაღლესი სკოლის პედაგოგის პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხები, თბ., 1989;
44. ჯიბლაძე გ., პედაგოგიკა და მეთოდიკა, წერილები, მემორიალი, თბ., 1974;
45. Dewey and Dewey, The schools of tomorrow, 1915;
46. The Distance Education and Training Council, Washington, D.C. DETC.www.detc.org;
47. College of Engineering University of Idaho, Distance Education at a Glance, 1995 www.uidaho.edu/evo/newhtml/eomain.htm;
48. Passage of P.L. 105-244, Amendments to the Higher Education Act of 1965. New legislative definition of distance education (Title IV, Part G, Section 488);
49. The Distance Education and Training Council, Washington, D.C. DETC.www.detc.org;
50. Holmberg B. Institute for Research on Distance Education, FrnUniversität, Germany. Journal article, general comment in Open praxis, vol.1, 1998, pp.32-33. 1998;
51. Попков в., Коджуев А., Теория и практика высшего профессионального образования, М, 2004;
52. Гершунский Б.С. Философия образования для 21 века-М.:1998;
53. Чернилевский Д.В. Технологии обучения в ВШ.-М.: «Экспедитор»,1996;
54. Андреев А.А. Дидактические основы дистанционного обучения. – М.:РАО,1999;
55. Андреев А. А., Педагогика высшей школы (2-е издание), М., 2003;
56. *Дункан Дж. У.* Основополагающие идеи в менедж-менте. Уроки основоположников менеджмента и управленческой практики. М.: Дело, 1996. 272 с.
57. Фокин Ю.Г. Преподавание и воспитание в высшей школе - М.:Академия,2001;
58. Борисова Н.В. От традиционного через модульное к дистанционному образованию. г. Москва-Домодедово: ВИПК МВД России,1999;
59. Лиотар Ж. –Ф., Состояние постмодерна, пер. с фран., М., СПБ, 1998.

შინაარსი

შესავალი *3*

პირველი ნაწილი: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები და თანამედროვე საგანმანათლებლო სტრატეგია

I თავი: უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები

1. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის საგანი, ამოცანები და სტრუქტურა 7
2. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის ძირითადი ცნებები 16
3. პედაგოგიკის მეცნიერებათა სისტემა, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის წყაროები და მეცნიერული კვლევის მეთოდები 30
4. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და ადამიანთმცოდნეობის მეცნიერებები 42
5. განათლების ფილოსოფიის პრობლემები 47
6. განათლების ფსიქოლოგიის საკითხები 55
7. განათლების თეორიები და მეთოდოლოგიური პრინციპები 60

II თავი: უმაღლესი განათლება ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში

1. უმაღლესი განათლების როლი საზოგადოებაში 66
2. უმაღლესი განათლება და გლობალიზაცია 79
3. უმაღლესი განათლება თანამედროვე ინფორმატიზაციის პირობებში 94
4. საინფორმაციო – საგანმანათლებლო სივრცე და ღია განათლების სისტემა 102

მეორე ნაწილი: უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა

III თავი: საგანმანათლებლო პროგრამა–კურიკულუმი

1. უმაღლესი სკოლის დიდაქტიკა და კურიკულუმი 116
2. სწავლების ზოგადდიდაქტიკური პრინციპები 125
3. განათლების მიზანი და შინაარსი უმაღლეს სკოლაში 140
4. საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსის სილაბუსი 154
5. უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო 165
6. საკრედიტო სისტემა უმაღლეს სკოლაში 172

IV თავი: სწავლების ორგანიზაციული ფორმები

1. ლექცია უმაღლეს სკოლაში 179
2. სემინარული მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკის საკითხები 191
3. ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობა 197
4. სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა 205

V თავი: სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

1. სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები 213
2. პორტფოლიოს მეთოდი და ცოდნის შემოწმება–შეფასება 222
3. დისტანციური განათლება და კორპორაციული სწავლება 242

მესამე ნაწილი: უმაღლესი განათლების მენეჯმენტი

VI თავი: განათლების მენეჯმენტი უმაღლეს სკოლაში

1. განათლების მენეჯმენტის არსი და ძირითადი მიმართულებები 256
2. უმაღლესი სკოლის სტრუქტურა, მართვის ორგანოები და აკადემიური პერსონალი 273
3. უმაღლესი სასწავლებლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა და შრომის ბაზრის გავლენა საგანმანათლებლო პროცესებზე 280
4. უმაღლესი სასწავლებლის ლიცენზირება და აკრედიტაცია... 291
5. განათლების ხარისხის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები 296

VII თავი: აღმზრდელობითი მუშაობის მენეჯმენტი

1. სტუდენტური ასაკის პედაგოგიურ–ფსიქოლოგიური ასპექტები 311
2. საგანმანათლებლო პროცესის აღმზრდელობითი პოტენციალი 323
3. უმაღლესი სკოლის პედაგოგის ეთიკა 338
4. პედაგოგიური და მენეჯერული ურთიერთობის სახეები 349

ტერმინთა განმარტება 361
რეკომენდებული ლიტერატურა 381

AVTANDIL ASATIANI
ავთანდილ ჭიჭიკოს ძე ასათიანი

იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას 01.02.2008. ხელმოწერილია დასაბეჭ-
დად 18.02.2008. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 24. ტირაჟი 150 ეგზ.

შ პ ს „სტამბა გრიფონი"
აკაკი წერეთლის პროსპექტი
72